საზოგადოებრივი სექტორის ეკონომიკა

როზეტა ასათიანი

ვუძღვნი
ჩემს საყვარელ სამშობლოს
– ჩემს საქართველოს

როზეტა ასათიანი - ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორი (1993), პროფესორი (1994), საქართველოს ეკონომიკურ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი (1996 წლიდან დღემდე), რუსეთის საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა აკადემიის (საქართველოს განყოფილება) ნამდვილი წევრი (2007).

1972-2006 წლებში მუშაობდა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკური თეორიის კათედრაზე ჯერ ასისტენტის, შემდეგ დოცენტის, 1993-2006 წლებში პროფესორის თანამდებობაზე. 2007 წლიდან დღემდე არის საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ჯერ ეკონომიკისა და ბიზნესის, ამჟამად ბიზნესტექნოლოგიების ფაკულტეტის სრული პროფესორი. 2012 წლიდან თსუ-ის პაატა გუგუშვილის სახელობის ეკონომიკის ინსტიტუტის მეცნიერ-კონსულტანტია, 2014 წლიდან – თსუ-ის რექტორის მრჩეველთა საბჭოს წევრი.

ქართულ, რუსულ და ინგლისურ ენებზე გამოქვეყნებული აქვს 190-ზე მეტი მეცნიერული ნაშრომი. თანაავტორი და მთავარი რედაქტორია პირველი ქართული სახელმძღვანელოსი ეკონომიკურ თეორიაში (1998), მრავალი სტატიის ავტორია ქართულ ენციკლოპედიაში, 44 ნაშრომის მეცნიერ-რედაქტორია. 1993 წელს ჩამოაყალიბა სტატისტიკური სამსახური „ბარომეტრის“ სახელწოდებით, გამოსცა სტატისტიკური კრებულები სერიით – საქართველო და გარე სამყარო, სახელდობრ, „მოსახლეობა ციფრებში“ (1995), „მსოფლიო ციფრებში“ (2000).

სხვა საქმიანობა: გამომცემლობა „სიახლის“ პრეზიდენტი (1993 წლიდან დღემდე), თსუ-ის ეკონომიკის დარგის სადისერტაციო საბჭოს წევრი (1995-2006), საქართველოს ეკონომიკურ მეცნიერებათა აკადემიის შრომების კრებულის სარედაქციო კოლეგიის წევრი (2000-2014), ჟურნალ „ეკონომიკის“ (თსუ შრომები) სარედაქციო კოლეგიის წევრი (2003-2006), ჟურნალ „სოციალური ეკონომიკის“ სარედაქციო კოლეგიის წევრი (2001-2005, 2010-დღემდე), ჟურნალ „ეკონომისტის“ სარედაქციო კოლეგიის წევრი (2009-დღემდე), ჟურნალ „ახალი ეკონომისტის“ სარედაქციო კოლეგიის წევრი (2010-დღემდე), საქართველოს ჟურნალისტთა ფედერაციის წევრი

(1996), საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის ეკონომიკის ექსპერტი (2017).

ჯილდოები: ოქროს მედალი წარჩინებული სწავლისათვის (1957), საქართველოს ეკონომისტთა საზოგადოების სამეცნიერო პრემია (1988), თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის საიუბილეო სამეცნიერო პრემია (1994), ღირსების ორდენი (1999), საუნივერსიტეტთაშორისო სამეცნიერო პრემია 2008 წლის საუკეთესო სამეცნიერო ნაშრომისათვის ეკონომიკაში (2009), პაატა გუგუშვილის სახელობის სამეცნიერო პრემია და ლაურეატის დიპლომი - თსუ პაატა გუგუშვილის ეკონომიკის ინსტიტუტი (2013), საქართველოს საპატრიარქოს საპატიო სიგელი საქართველოში ეკონომიკური მეცნიერების განვითარების საქმეში შეტანილი დიდი წვლილისათვის (2014), ივანე ჯავახიშვილის სახელობის მედალი ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის წინაშე დიდი დამსახურებისათვის, ხანგრძლივი და ნაყოფიერი სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობისათვის (2014), საპატიო დიპლომი საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტში ნაყოფიერი სამეცნიერო-პედაგოგიური მუშაობისათვის (2014), რუსეთის საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა აკადემიის ვერნადსკის სახელობის ოქროს მედალი (2017).

კვლევის სფერო: მაკროეკონომიკის თეორიული და პრაქტიკული ხასიათის ამოცანათა ფართო წრე. მისი ნაშრომები, რომლებიც ძირითადად ეძღვნება საქართველოში მიმდინარე ეკონომიკური რეფორმების ანალიზს, მოიცავს ეკონომიკური თეორიის, საზოგადოებრივი სექტორის ეკონომიკის, მომსახურების სფეროს ეკონომიკისა და გლობალიზაციის ფრიად აქტუალურ პრობლემებს.

ძირითადი ნაშრომები: „მომსახურება და საბაზრო სისტემა“ (1993); „ფული და ფულადი სისტემები“ (2000); „საქართველოს ეკონომიკა. ახალი ეპოქა“ (2009); „გლობალიზაცია, ეკონომიკური თეორია და საქართველო“ (2010); „ზოგადი ეკონომიკური თეორიის სწავლების აღდგენის აუცილებლობა უნივერსიტეტებში (საკითხის დასმის წესით)“ (2013); „საით მიდის საქართველო? სოციალურ-ეკონომიკური განვითარების კონცეპტუალური ანალიზი“ (2014); „თანამედროვე ეკონომიკის მცირე ენციკლოპედია“ (2015); „XX საუკუნის მსოფლიო ეკონომიკის კონცეპტუალური ანალიზი და საქართველოს ეკონომიკური პორტრეტი“ (2016).

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი
თსუ პაატა გუგუშვილის სახელობის ეკონომიკის ინსტიტუტი

როზეტა ასათიანი

საზოგადოებრივი სექტორის ეკონომიკა

სახელმძღვანელო

გამომცემლობა „სიახლე“
თბილისი 2017

GEORGIAN TECHNICAL UNIVERSITY

PAATA GUGUSHVILI ECONOMIC INSTITUTE TSU

Rozeta Asatiani

PUBLIC SECTOR ECONOMICS

Textbook

Publishing-House “Siakhle”

TBILISI 2017

UDC(უაკ)330.1(075.8)

ა-871

როზეტა ასათიანი. საზოგადოებრივი სექტორის ეკონომიკა. სახელმძღვანელო. თბილისი, გამომცემლობა „სიახლე“, 2017. – 456 გვ.

წარმოგიდგენთ საუნივერსიტეტო სწავლებისათვის საზოგადოებრივი სექტორის ეკონომიკის პირველ სახელმძღვანელოს საქართველოში. იგი მოიცავს საკითხთა ფართო წრეს. მეცნიერების შედარებით ამ ახალი დარგის მთავარი მიზანია საზოგადოებრივი სექტორის როლის წარმოჩენა სოციალურად ორიენტირებული საბაზრო ეკონომიკის ფუნქციონირებასა და მის სოციალურ საბაზრო ეკონომიკად გარდაქმნაში, დემოკრატიისა და სამოქალაქო საზოგადოების განვითარებაში.

ნაშრომში განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა საქართველოს საბაზრო ეკონომიკაზე გარდამავალი ეკონომიკის აქტუალურ პრობლემებს, საზოგადოებრივი სექტორის ეკონომიკის განვითარებასთან დაკავშირებულ საკითხებს, საქართველოს უნივერსიტეტებში მისი სწავლების დანერგვის აუცილებლობას.

სახელმძღვანელო განკუთვნილია უმაღლესი სასწავლებლების ეკონომიკური პროფილის ფაკულტეტების მაღალი კურსების ბაკალავრებისთვის. მისი გამოყენება მიზანშეწონილია აგრეთვე მაგისტრატურასა და დოქტორანტურაში. წიგნი საინტერესო იქნება აკადემიური პერსონალისთვისაც, ვფიქრობთ, ინტერესმოკლებული არ უნდა იყოს სხვა სპეციალობების სტუდენტებისა და მკითხველთა ფართო წრისათვის.

სარედაქციო კოლეგია: ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორები, პროფესორები – **რამაზ აბესაძე** (მთავარი რედაქტორი), **ევგენი ბარათაშვილი,ვაჟა ლორთქიფანიძე, მერაბ კაკულია,რევაზ ლორთქიფანიძე;** ეკონომიკის აკადემიური დოქტორები – **რუსუდან ქუთათელაძე, იოსებ არჩვაძე, ვახტანგ ჭარაია.**

რეცენზენტები: **ნოდარ ჭითანავა** – ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი;

მერაბ გველესიანი – ეკონომიკის აკადემიური დოქტორი.

ISBN 978-9941-9377-2-9

© რ. ასათიანი, 2017;

© გამომცემლობა „სიახლე“, 2017.

UDC(უაკ)330.1(075.8)
ა-871

Rozeta Asatiani. Public Sector Economics. Textbook. Tbilisi, publishing-house "Siakhle", 2017. - 456 p.

We present Public Sector Economics textbook for higher education, the first of this kind in Georgia. It consists of 10 chapters enveloping a wide circle of issues. The main purpose of this comparatively new branch of science is to show the role of the public sector in functioning of socially oriented market economy and its transformation into social market economy, in the development of democracy and civil society.

In this work special attention is paid to the topical issues of transition economy to market economy in Georgia, questions related to the development of public sector economics, the necessity of its implementation in Georgia's universities.

The textbook is designed for senior-level undergraduate students of the faculties of economic profile. It can be also used by master and PhD students. This textbook will be interesting and even necessary to academic circle, students of different specialties and a wide public.

EDITORIAL BOARD: doctors of economic sciences, professors – **Ramaz Abesadze** (editor-in-chief), **Evgeni Baratashvili, Vazha Lortkipanidze, Merab Kakulia, Revaz Lortkipanidze**; academic doctors of Economics – **Rusudan Kutateladze, Ioseb Archvadze, Vakhtang Charaia.**

REVIEWERS: **Nodar Chitanava** – doctor of economic sciences, professor;

Merab Gvelesiani – doctor of economic sciences.

ISBN 978-9941-377-2-9

© R.Asatiani, 2017;
© Publishing house "Siakhle"

რეცენზიის მაგიერ

მეტად საჭირო ორიგინალური სახელმძღვანელო

ახალი, მაღალი დონის სახელმძღვანელოების შექმნა საზოგადოებრივი პროგრესის უმნიშვნელოვანესი პირობაა, ვინაიდან მათ საფუძველზე იზრდება ქვეყნის ეროვნული ადამიანისეული კაპიტალი, რაც ხელს უწყობს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და, საერთოდ, საზოგადოების საქმიანობის ნებისმიერი სფეროს განვითარებას. სწორედ ასეთი მაღალი დონის სახელმძღვანელოა ცნობილი ქართველი მეცნიერის, ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორის, პროფესორ როზეტა ასათიანის კიდევ ერთი წიგნი – „საზოგადოებრივი სექტორის ეკონომიკა“, რომელიც განკუთვნილია საუნივერსიტეტო სწავლებისათვის, ეკონომიკური პროფილის ფაკულტეტების მაღალი კურსების ბაკალავრებისათვის,ასევე იგი მეტად საჭირო და საინტერესო იქნება მაგისტრანტების,დოქტორანტებისა და აკადემიური პერსონალისთვისაც. **ნაშრომის განსაკუთრებულ მნიშვნელობას აძლიერებს ის, რომ იგი არის პირველი, ამასთან, ორიგინალური სახელმძღვანელო საქართველოში შექმნილი ქართველი მეცნიერის მიერ**.

განსაკუთრებით მისასალმებელია ის,რომ მასში ასახულია საქართველოს ეკონომიკის,ასევე,სხვა ქვეყნების შესაბამისი პრობლემები, რაც არ არის უცხოურიდან ნათარგმნ სახელმძღვანელოებში.

ნაშრომის გაცნობა გვარწმუნებს, რომ ჩატარებულია მეტად რთული და შრომატევადი სამუშაო. ნაშრომის თითოეულ თავს ახლავს „ძირითადი ცნებები“ და დასკვნა,

რაც მას თანამედროვე სახელმძღვანელოებისათვის დამახასიათებელ სახეს აძლევს. ხაზგასმით აღსანიშნავია ის, რომ სახელმძღვანელო დაწერილია გამართული ქართული ენითა და დახვეწილი სტილით, რაც დაეხმარება სტუდენტებს თავისუფლად აღიქვან შესასწავლად ყველაზე რთული საკითხებიც კი.

ნაშრომში არა მარტო მაღალ დონეზეა გაანალიზებული საზოგადოებრივი სექტორის ეკონომიკის უმნიშვნელოვანესი პრობლემები, არამედ გადმოცემული და დასაბუთებულია ავტორისეული პოზიცია საზოგადოებრივი სექტორის განვითარებისა და სახელმწიფო მოწყობის შესახებ. ავტორი, განვითარებული ქვეყნების გამოცდილების გაშუქების საფუძველზე, ასაბუთებს სახელმწიფოს როლის ზრდის აუცილებლობას საქართველოს ეკონომიკის სოციალური ორიენტაციის გაძლიერებაში. ყურადღებას იპყრობს კეთილდღეობის სახელმწიფოს მოდელების განხილვა, მათი წარმატებული ფუნქციონირების გაშუქება ევროპის განვითარებულ ქვეყნებში, სოციალურად ორიენტირებული საბაზრო ეკონომიკის სოციალურ საბაზრო ეკონომიკაში გადაზრდის კანონზომიერ პროცესში საზოგადოებრივი სექტორის ეკონომიკის განუსაზღვრელი როლი. სახელმძღვანელოში გამოთქმული და დასაბუთებულია არაერთი ორიგინალური მოსაზრება, რაც ზრდის ნაშრომის პრაქტიკულ მნიშვნელობას ქვეყნის ეკონომიკის მართვასთან დაკავშირებით.

დაბოლოს, პროფესორ როზეტა ასათიანის ახალი ორიგინალური სახელმძღვანელო – „საზოგადოებრივი სექტორის ეკონომიკა“ მნიშვნელოვანი შენაძენია საქართველოს სამეცნიერო და საგანმანათლებლო სფეროსათვის, ეკონომიკური საზოგადოებისათვის, განსაკუთრებით, არა

მხოლოდ სტუდენტებისათვის,არამედ პედაგოგებისთვისაც. იგი აუცილებელია დაინერგოს, როგორც სავალდებულო სასწავლო კურსი, საქართველოს უნივერსიტეტებში. ეს დაგვიანებულიც კია,ვინაიდან იგი 40 წელზე მეტია ისწავლება უცხოეთის უმაღლეს სასწავლებლებში, მაგრამ სჯობს გვიან, ვიდრე არასდროს. გარდა ამისა, ნაშრომში გამოთქმული მოსაზრებები სასარგებლო იქნება ხელისუფლების ორგანოებისათვის, ქვეყანაში დამოუკიდებლობის მოპოვებიდან დაწყებული ეკონომიკის ნგრევით პროცესებში გზის გაკვლევაში.

წინამდებარე წიგნის მაღალი ხარისხი არ არის გასაკვირი, ვინაიდან მისი ავტორი – პროფ. როზეტა ასათიანი ცნობილია როგორც ეკონომიკის აქტუალური საკითხებისადმი მიძღვნილი მრავალი მაღალი დონის მონოგრაფიის, სახელმძღვანელოს, ბროშურის, სამეცნიერო სტატიის, განმარტებითი ლექსიკონისა და ენციკლოპედიის ავტორი, მუხლმოუდრეკელი და მაღალი პასუხისმგებლობის გრძნობის მქონე ქალბატონი.

რამაზ აბესაძე

ეკონომიკურ მეცნიერებათა
დოქტორი, პროფესორი, თსუ პაატა
გუგუშვილის სახელობის ეკონო-
მიკის ინსტიტუტის დირექტორი

24.04.2017.

სახელმძღვანელო, რომელსაც უმაღლესი სკოლა ელოდება

მეოთხედი საუკუნეა საქართველო, პოლიტიკური, ეკონომიკური და ზნეობრივი კატაკლიზმების ფონზე, ეძებს გლობალური პროცესების გავლენით ჩამოყალიბებული სისტემური

კრიზისიდან გამოსვლის გზებს,ფორმებს,ცდილობს ძველი თუ ახალი თეორიების საფუძველზე შექმნილი მოდელები მიუსადაგოს ეროვნულ ეკონომიკას, მის ტრადიციებსა და თავი დააღწიოს უპერსპექტივო სტერეოტიპებს. ამას ადასტურებს საბაზრო ეკონომიკაზე გარდამავალ პერიოდში ეროვნული ეკონომიკის რეფორმირებისათვის თავსმოხვეული უცხოური დოქტრინების, „რეკომენდაციების“ სიმრავლე, მათი ბრმად გამოყენებით მიღწეული შედეგი – ეკონომიკის სისტემური კრიზისის ქრონიკულ ფაზაში გადასვლა. ამის პარალელურად საინტერესო ნაშრომები შეიქმნა ეროვნული ეკონომიკის ტრანსფორმაციის,თავისებურებების,ტენდენციებისა და კანონზომიერებების შესახებ, თუმცა, შემოთავაზებულ მოსაზრებებსა და რეკომენდაციებს განვლილი პერიოდის არაერთმა სახელისუფლებო გუნდმა არ გაუწია ანგარიში, მეტიც, უგულებელყოფილ იქნა ბევრი საგულისხმო მოსაზრება. საგულისხმო იყო მხოლოდ რეკომენდაციები სხვადასხვა საერთაშორისო ორგანიზაციებიდან,რომელთა წყალობით საქართველოში საბაზრო ურთიერთობებზე გარდამავალი პერიოდი ეროვნული ეკონომიკის დამანგრეველ ფაქტორად იქცა (წარმოების დონის მკვეთრი შემცირება, დემოგრაფიული სიტუაციის უკიდურესად გამწვავება, სოციალური პოლარიზაციის გაღრმავება,გარე ფაქტორებზე ქვეყნის დამოკიდებულების უკიდურესად გაზრდა,სხვის ხარჯზე ცხოვრების განწყობა, ქვეყნის წინაშე პასუხისმგებლობის დაქვეითება,კრიმინალური აზროვნების აღზევება და ა.შ.).

ასეთ პირობებში ყველაზე მეტად დაზარალდა საგანმანათლებლო სისტემა,განსაკუთრებით ეკონომიკური პროფილის უმაღლესი სკოლა. უცხოური სახელმძღვანელოების თარგმნამ და მათმა სწავლებამ მოიკიდა ფეხი უნივერსიტეტებში.

შემოთავაზებული სახელმძღვანელოების მნიშვნელოვანი ნაწილის ავტორები მსოფლიოში ცნობილი მეცნიერები არიან,ამიტომ მათ მიერ დაწერილი სახელმძღვანელოების გამოყენება ობიექტური აუცილებლობით იყო ნაკარნახევი და აღნიშნულმა სახელმძღვანელოებმა პოზიტიური როლი შეასრულეს, თუმცა, ამ სახელმძღვანელოებით სწავლების პროცესმა ცალმხრივი ხასიათი მიიღო,უმაღლეს სკოლაში ეკონომიკური დისციპლინების სწავლების პროცესი დასახულ მიზანს ააცდინა,იგი პოლიტიზებული აღმოჩნდა. განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს,რომ საქართველოში ეკონომიკურ სპეციალობებზე უგულებელყოფილ იქნა ეკონომიკური თეორიის საფუძვლების სწავლება. ამ ბოლო დროს პოლიტიკური ეკონომია სამეცნიერო ბრუნვიდან ამოვარდა, იმ მიზეზით,რომ თითქოს იგი მარქსისტულ მეთოდოლოგიას ეფუძნებოდა. ეს არ არის სწორი. პოლიტიკური ეკონომია, როგორც მეცნიერება და დისციპლინა მარქსამდეც ისწავლებოდა და რიგ განვითარებულ ქვეყანაში დღესაც ისწავლება. „პოლიტიკური ეკონომია“ უფრო სრულად, ვიდრე ეკონომიქსი,მოიცავს ეკონომიკური,სოციალური და ეკოლოგიური განვითარების მთლიანობით პროცესს,ასახავს სახელმწიფოს, სამოქალაქო საზოგადოებისა და საბაზრო მექანიზმების მოქმედების კოორდინაციის არსს, მათი ურთიერთგანპირობებულობის დონეს,თავისებურებებს,რაც დამახასიათებელია თანამედროვე მაღალგანვითარებული ეკონომიკური სისტემებისათვის. ამასვე ადასტურებს მდგრადი განვითარების კონცეფცია.

პრაქტიკა გვიჩვენებს, რომ ეკონომიკური დისციპლინის სწავლების მეთოდოლოგია, საერთოდ აღიარებულ მიდგომებთან ერთად,უნდა ეფუძნებოდეს ეროვნული ეკონომიკის განვითარების თავისებურებებს,ტენდენციებს. სწორედ ასეთ

შემთხვევაში მოხერხდება მეცნიერებისა და პრაქტიკის სინთეზი, მომავალ სპეციალისტს ზოგად თეორიულ საკითხებთან ერთად, ჩამოუყალიბდება რეალური წარმოდგენა ეროვნულ ეკონომიკაში მიმდინარე პროცესებზე.

ამ თვალსაზრისით **განსაკუთრებულ ინტერესს იწვევს პროფ. როზეტა ასათიანის მიერ შემოთავაზებული „საზოგადოებრივი სექტორის ეკონომიკა“. იგი პირველი, ამასთან, ორიგინალური სახელმძღვანელოა, რომელიც შეიქმნა საქართველოში.** მსოფლიოში გამოცემული სახელმძღვანელოებისგან იგი დიდად განსხვავდება, სახელდობრ, **უპირველეს ყოვლისა,** პრობლემების გაგების (შეცნობის) სიღრმით, საბაზრო ეკონომიკაზე გარდამავალი პერიოდის თავისებურებების (ტენდენციების), კანონზომიერებათა ახსნის ლოგიკით, ძველი და ახალი (გარდამავალი პერიოდის) პრობლემების რთულ კვანძებად ჩამოყალიბების მიზეზების არგუმენტირებით, არსებული რეალობის განზოგადების მცდელობით და, რაც ყველაზე მეტად საინტერესო და ფასეულია, ეროვნული ეკონომიკის სისტემური კრიზისიდან გამოსვლის კონცეპტუალური და მეთოდოლოგიური მიდგომებით. **ასეთი რაკურსით თანამედროვე ეკონომიკური პრობლემების განხილვა მეცნიერული სიახლეა.**

მეორე, სახელმძღვანელო გვაძლევს წარმოდგენას მსოფლიოს ეკონომიკურ მეცნიერებაში მიმდინარე ცვლილებებზე, ობიექტურად ხსნის ეკონომიკის განვითარების ცალკეულ ეტაპებზე მეცნიერული თეორიების გენეზისს, საზოგადოებრივი სექტორის განვითარების კანონზომიერებებსა და მის მზარდ როლს ეროვნული ეკონომიკის განვითარებაში.

მესამე, საზოგადოებრივი სექტორის ეკონომიკის, როგორც მეცნიერების შედარებით ახალი დარგისა და

სასწავლო დისციპლინის, არსი, ამოცანები, როლი და მნიშვნელობა განხილულია გლობალიზაციის შეუქცევად პროცესში ეროვნულ ეკონომიკაში სახელმწიფო რეგულირების, სამოქალაქო საზოგადოების და საბაზრო მექანიზმების ურთირთკავშირებისა და ურთიერთგანპირობებულობის კონტექსტში. **ეს, სტრატეგიული თვალსაზრისით, მეცნიერულად არგუმენტირებული ხედვაა და იძლევა რთული პრობლემების გადაწყვეტისადმი მრავალმხრივი (ვარიანტული) მიდგომების გამოყენების საფუძველს.**

მეოთხე, ნაშრომში ლოგიკური მსჯელობითა და სისტემური ანალიზით, კონცენტრირებულად წარმოდგენილია სოციალური საბაზრო ეკონომიკის ფორმირების შეუქცევადი პროცესის განვითარების ძირითადი მიმართულებები, ახსნილია მიზეზ-შედეგობრივი ფაქტორები, რომლებმაც ხელი შეუწყვეს ეკონომიკის სოციალიზაციის პროცესის გაღრმავებას,ეკონომიკის განვითარებაში პრიორიტეტების ჩამოყალიბებაზე ახალი მსოფლიო წესრიგის გავლენის გაძლიერებას. ეს და სხვა პრობლემები განხილულია ეკონომიკის, როგორც ასეთის, მიზნის არგუმენტირების კონტექსტში. ავტორი აფიქსირებს საკუთარ პოზიციას და ემხრობა ცნობილ მიდგომას იმის შესახებ,რომ ეკონომიკის მიზანია „კეთილდღეობა ყველასთვის“, ხოლო ამის მიღწევის საშუალება კონკურენციაა. ამასთან, მართებულია ავტორის მოსაზრება იმის შესახებ, რომ ღია, სტაბილური და სიცოცხლისუნარიანი სოციალური პოლიტიკა თანამედროვე ცივილიზაციის გამოწვევაა. ეს კი წინა პლანზე წამოსწევს სახელმწიფოს ახალ როლს ეკონომიკაში, განაპირობებს საზოგადოებრივი სექტორის ეკონომიკის სწრაფ განვითარებასა და მისი როლის შემდგომ ზრდას. ეს სწორი მიდგომაა, რომელიც დასტურდება საქართველოში

მიმდინარე გარდაქმნების შედეგად ჩამოყალიბებული ნეგატიური შედეგის – სოციალური პოლარიზაციის გაღრმავების ანალიზითაც. გამდიდრებული უმცირესობა და გაღატაკებული უმრავლესობა – ასეთია თანამედროვე საქართველოს საზოგადოების საერთო სურათი, რომელიც საზოგადოებაში დაპირისპირების გაძლიერების მკვებავი წყაროა. სწორია ავტორი,როცა მათი მოსალოდნელი დაპირისპირების შერბილების (საბოლოოდ თავიდან აცილების) მთავარ პირობად ეკონომიკური ეფექტიანობის ამაღლებასა და ეკონომიკის სოციალური ორიენტაციის გაძლიერებას მიიჩნევს,საბოლოოდ კი – სოციალური საბაზრო ეკონომიკის პრინციპებზე გადასვლას.

მეხუთე, ინსტიტუციური რეფორმები, რომლებსაც განმსაზღვრელი მნიშვნელობა აქვთ გარდამავალ პერიოდში, განხილულია ახალი რაკურსით – საზოგადოებრივი სექტორის ეკონომიკის ფორმირებისა და ეფექტიანობის ამაღლების კუთხით. არგუმენტირებულად ჩამოყალიბებულია ინსტიტუციური რეფორმების ძირითადი მიმართულებები, დამაჯერებლად დასაბუთებულია გარდამავალ პერიოდში საკუთრების გასახელმწიფოებრივება, როგორც საზოგადოებრივი სექტორის ეკონომიკის ინსტიტუციური ბაზის ზრდის ფაქტორი. სხვადასხვა განვითარებული ეკონომიკის ტენდენციების ანალიზით, ავტორი ლოგიკურად ასაბუთებს არასაბაზრო სექტორის ფორმირებისა და ეფექტიანად ფუნქციონირების თავსებადობას საბაზრო მექანიზმებთან. ამ დასკვნას არა მხოლოდ თეორიული, არამედ პრაგმატული მნიშვნელობაც აქვს, განსაკუთრებით საქართველოს ეკონომიკაში საბაზრო პრინციპების დამკვიდრებაში.

მეექვსე, შესაბამისი არგუმენტებით ახსნილია თანამედროვე პირობებში გლობალიზაციის (განსაკუთრებით

ეკონომიკური გლობალიზაციის) პროცესის გაღრმავების მიზეზები, ხელშემწყობი ფაქტორები, ეტაპობრივი განვითარების თავისებურებები (ტენდენციები). მართებულია ავტორის მოსაზრება იმის შესახებ,რომ თანამედროვე პირობებში გლობალიზაცია,როგორც ცივილიზაციის განვითარების ერთ-ერთი თავისებურება,უდიდეს როლს ასრულებს მსოფლიო ეკონომიკაში და გარკვეულწილად განსაზღვრავს მსოფლიო პოლიტიკას. ამასთან, მასზე მნიშვნელოვნადაა დამოკიდებული ნებისმიერი ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური განვითარებაც. ავტორის ეს მოსაზრება დასტურდება საქართველოს ეკონომიკის განვითარების ამჟამინდელი თავისებურებებითა და ტენდენციებით. გლობალიზაცია შეუქცევადი პროცესია. ნებისმიერი ქვეყანა ვალდებულია ეს ტენდენცია გაითვალისწინოს და მოძებნოს ადეკვატური ფორმები გლობალურ პროცესებთან ეროვნული ეკონომიკის ადაპტირებისთვის. არგუმენტირებულია ავტორის მოსაზრება იმის შესახებ,რომ გლობალიზაცია (რომელიც მოიცავს როგორც პოზიტიურ,ისე ნეგატიურ მოვლენებს),საბოლოო ანგარიშით, პოზიტიურ გავლენას ახდენს საზოგადოებრივი სექტორის ეკონომიკის განვითარებაზე.

სწორია დასკვნა იმის შესახებ, რომ „გლობალური პროცესები, ბუნებრივია, არ შეიძლება განვითარდეს ერთი რომელიმე მოდელით – ამერიკულით ან ევროპულით, იაპონურით თუ ჩინურით.“ ავტორი მხედველობაში იღებს იმას,რომ გლობალიზაციას ახასიათებს ზოგადი კანონზომიერებები,რომლებიც სხვადასხვა ქვეყანაში (ადგილობრივი თავისებურებების გათვალისწინებით) სპეციფიკურობით ხასიათდება. ეს დებულება ყოველმხრივ გასათვალისწინებელია ეროვნული ეკონომიკის განვითარების ინტერესებთან მისადაგებული მოდელის ფორმირებისას.

მეშვიდე, სახელმძღვანელოში დიდი ადგილი (X თავი. 269–424 გვ.) აქვს დათმობილი საქართველოში საზოგადოებრივი სექტორის ეკონომიკის ფუნქციონირების პრობლემებს. განვლილ პერიოდში ეროვნული ეკონომიკის ტრანსფორმაციის პროცესების ანალიზის საფუძველზე **ავტორმა პასუხი გასცა ბევრ, დღემდე ბუნდოვან კითხვას და მოგვცა განვლილი პერიოდის ეკონომიკაში მიზეზ-შედეგობრივი კავშირების სისტემური შეფასება, დასკვნები და არგუმენტირებული რეკომენდაციები თუ როგორ შეიძლება ქვეყნის გამოსვლა შექმნილი კრიზისიდან.**

ზემოთ აღნიშნული გვაძლევს საფუძველს დავასკვნათ:

– პროფესორ როზეტა ასათიანის მიერ შემოთავაზებული ნაშრომი, პრობლემების დასმისა და გადაწყვეტის მეცნიერული სიღრმით, გლობალიზაციისა და ლოკალიზაციის პროცესების ინტეგრირების ახსნის ლოგიკით, საზოგადოებრივი სექტორის მზარდი როლის არგუმენტირებით,ეროვნული ეკონომიკის სტაბილიზაციის სტრატეგიული ხედვებით, რეკომენდაციების პრაგმატული მნიშვნელობით, სწავლების შემოთავაზებული თანამედროვე მეთოდების გამოყენების მნიშვნელობის თვალსაზრისით სრულად უპასუხებს სახელმძღვანელოს მიმართ წაყენებულ თანამედროვე მოთხოვნებს. ამიტომ ყოველმხრივ გამართლებულია მიენიჭოს სახელმძღვანელოს გრიფი და ისწავლებოდეს საქართველოს უმაღლესი სასწავლებლების ეკონომიკურ ფაკულტეტებზე,როგორც სავალდებულო საგანი „საზოგადოებრივი სექტორის ეკონომიკა“. მითუმეტეს, როცა უკვე გვაქვს შესაბამისი სახელმძღვანელო.

ვსარგებლობ შემთხვევით და ქალბატონ როზეტას, ჩვენს კოლეგას,თანამედროვე ქართული ეკონომიკური მეცნიერების თვალსაჩინო წარმომადგენელს, თეორიული და

პრაგმატული მნიშვნელობის პრობლემების ლიდერ-მკვლევარს, ვუსურვებთ ჯანმრთელობასა და მორიგ წარმატებებს ეროვნული ეკონომიკური მეცნიერების საკეთილდღეოდ.

ნოდარ ჭითანავა
ეკონომიკურ მეცნიერებათა
დოქტორი, პროფესორი

22.04.2017.

ინოვაციური ნაშრომი

პროფესორ როზეტა ასათიანის პირველი სახელმძღვანელო საქართველოში ჭეშმარიტად ინოვაციური ნაშრომია, რომელიც, ახალი მსოფლიო წესრიგის მოთხოვნათა გათვალისწინებით, ეძღვნება საზოგადოებრივი სექტორის როლის გაზრდასა და მისი ეკონომიკის განვითარების კანონზომიერებების შესწავლას.

უდიდეს პატივისცემას გამოვხატავ ქალბატონ როზეტას მართლაც ფასდაუდებელი ღვაწლის მიმართ,რომელიც მან თავდაუზოგავი შრომით, ზოგადად ეკონომიკური მეცნიერების,ამ შემთხვევაში კი,წინამდებარე ნაშრომის მიმართ გასწია. ავტორმა ურთულესი საკითხები მარტივად, სტუდენტებისათვის გასაგები ენითა და ლოგიკური თანმიმდევრობით განიხილა და საგულისხმო დასკვნები გააკეთა.

საბჭოთა კავშირის რღვევასთან ერთად, სამწუხაროდ, მოდას აყოლილმა ეკონომისტთა ნაწილმა სწრაფად „ჩამოწერა“ ის დადებითი მხარეები, რაც საზოგადოებრივ სექტორს ჰქონდა წინა ეკონომიკურ სისტემაში და რასაც, კერძოდ,დღეს ეკონომიკის ინკლუზიური სოციალური განვითარებისთვის დიდ მნიშვნელობას ანიჭებენ თანამედროვე განვითარებულ მსოფლიოში.

როგორც კონკურენციის პრობლემის მკვლევარს, განსაკუთრებით დამაინტერესა IV თავის მე-4 პარაგრაფმა – „კეთილდღეობა ყველასათვის, კეთილდღეობა კონკურენციის გზით“, რომელშიც გამართული ქართულითა (რაც, სამწუხაროდ, იშვიათია) და საინტერესოდ განხილულია კონკურენციის უმნიშვნელოვანესი საკითხები. ავტორი სამართლიანი გულისტკივილით გამოთქვამს მოსაზრებას საქართველოში საზოგადოებრივი სექტორის როლის არასათანადოდ შეფასების გამო და,რომ „ტექნოლოგიური ბუმი დღეს ტრაექტორიას უცვლის მსოფლიო ეკონომიკის განვითარებას, უდიდესი პოზიტივი შეაქვს მასში, რომლის არგათვალისწინება ჩამორჩენილობის დაუძლევლობას ნიშნავს და საეჭვოს ხდის საზოგადოებრივი სექტორის ეკონომიკის განვითარებას“.

იმედს ვიტოვებ,პროფ. როზეტა ასათიანი შემდგომშიც გაამდიდრებს ქართულ ეკონომიკურ მეცნიერებას ინოვაციური ნაშრომებით.

აღნიშნული ნაშრომი უთუოდ იმსახურებს სახელმძღვანელოს გრიფს და აუცილებელია ისწავლებოდეს საქართველოს უნივერსიტეტებში, რაც წინგადადგმული ნაბიჯი იქნება ევროპისკენ მომავალ გზაზე.

რევაზ ლორთქიფანიძე
ეკონომიკურ მეცნიერებათა
დოქტორი, პროფესორი

22.04.2017.

დროული, მისასალმებელი, პერსპექტიული გამოწვევა

საზოგადოებრივი სექტორის ეკონომიკა, მსოფლიო მასშტაბით, ბოლო ათეული წლების განმავლობაში მნიშვნელოვნად გაიზარდა. ამისი ნათელი მაგალითია ევროკავშირი, სადაც სახელმწიფო ხარჯები მთლიანი შიდა პროდუქტის დაახლოებით 50 პროცენტია,ცალკეული ქვეყნების შემთხვევაში კი ეს მაჩვენებელი 60 პროცენტიან ზღვარსაც აღწევს (ბელგია, დანია, საფრანგეთი). საქართველო, ამ მხრივ,ჯერ კიდევ საკმაოდ მოკრძალებულად გამოიყურება (30%),თუმცა ტრენდი ზრდისკენაა მიმართული. ამასთან, ბოლო პერიოდში განვითარებული ქვეყნების მთავრობები უდიდეს როლს ასრულებენ ეკონომიკური ცხოვრების ყველა სფეროში,იქნება ეს მომსახურების სექტორის ცალკეული დარგის განვითარება თუ სამუშაო ძალის ბაზრის რეგულირება,ინსტიტუციური რეფორმები თუ საზოგადოებრივი კეთილდღეობის ამაღლებასთან დაკავშირებული ღონისძიებების გატარება, საბიუჯეტო-საგადასახადო რეგულირება თუ ეკონომიკური უსაფრთხოება და ა.შ.

მარტივი მისახვედრია, რომ სახელმწიფოს წილის სიდიდე ეკონომიკაში, არაფრისმომცემია სწორი პოლიტიკისა და სამართლიანი ნების გარეშე, რაც დიდი ხანია საქართველოს უმწვავეს და გადაულახავ პრობლემად იქცა. იმპულსური გადაწყვეტილებების ზეგავლენის ქვეშ არაერთი მთავრობა, მრავალი ათეული წელია განიხილავს არა გრძელვადიანი ფუნდამენტური განვითარების, არამედ,ცალკეული უწყებების გაერთიანებას თუ დაშლას, პიარ ნაბიჯების განხორციელებასა თუ არგანხორციელებას, ტურიზმზე თუ სოფლის მეურნეობაზე დაფუძნებული ეკონომიკის შექმნას, ცალკეული წარმატებული ქვეყნებიზაციას, (მაგ.: სინგაპურიზაციას,შვეიცარიზაციას, ესტონეთიზაციას) და ა.შ.

ზემოთ აღნიშნულიდან გამომდინარე,საზოგადოებრივი სექტორის მანკიერი ეკონომიკური სისტემა ცვლილებებს საჭიროებს. ცვლილებებისთვის კი, როგორც მინიმუმ ღირებული ლიტერატურის არსებობაა აუცილებელი. აღნიშნულის გათვალისწინებით, ამ მხრივ, პროფესორ როზეტა ასათიანის მიერ საუნივერსიტეტო სწავლებისათვის წარმოდგენილი სახელმძღვანელო – საზოგადოებრივი სექტორის ეკონომიკა – დროული, მისასალმებელი და პერსპექტიული გამოწვევაა. ამიტომ ნაშრომი იმსახურებს სახელმძღვანელოს გრიფს და აუცილებელია, როგორც სავალდებულო საგანი გათვალისწინებულ იქნეს სასწავლო პროგრამაში.

„საზოგადოებრივი სექტორის ეკონომიკა“ შესაძლებლობას გვაძლევს ფართოდ და უფრო ყურადღებით დავაკვირდეთ საქართველოში მიმდინარე პროცესებს,გავაანალიზოთ შეცდომები და დავსახოთ სწორი გეგმები სამომავლო განვითარებისთვის. რაც მთავარია, სახელმძღვანელო ადგილობრივი და უცხოური გამოცდილების, მრავალმხრივი ანალიზისა და საინტერესო წინადადებების არაჩვეულებრივი კომბინაციით იძლევა შესანიშნავ შესაძლებლობას გამოიზარდონ ახალი თაობის ქართველი ეკონომისტები, არა უცხოელი ავტორების ლიტერატურაზე (რაც ნეგატიური მოვლენა არ არის), არამედ ქართველი მეცნიერის ფუნდამენტურ ნაშრომზე დაყრდნობით, რაც მეტად საამაყოა.

ვახტანგ ჭარაია

ეკონომიკის
აკადემიური დოქტორი

23.04.2017.

ზომ ლამაზია ეს საქართველო,
მაგრამ მე უფრო ლამაზი მინდა...

წ ი ნ ა თ ქ მ ა

ყოველ ადამიანს სამშობლოსადმი დამოკიდებულების გამოხატვის თავისებური ფორმა აქვს. ზოგიერთი მას მომხმარებლური თვალით უყურებს, ზოგიერთისთვის კი იგი დედასამშობლოა. ადამიანთა პირველი კატეგორია სოციალური ნულია (ონორე დე ბალზაკი), ვინაიდან მხოლოდ იმაზე ფიქრობს, თუ რას მისცემს მას სამშობლო და არა იმაზე,თვით რას გასცემს მისთვის. მაგრამ ქართველში პოზიტიური ყოველთვის სჭარბობდა და ასეა დღესაც. ამან გადაარჩინა საქართველო და ამაშია მისი ძლიერების წყარო.

ქვეყნის კეთილდღეობაზე, მის ტკივილსა და იარებზე საქართველოში დღეს ბევრს მსჯელობენ,მიუთითებენ ნაკლოვანებებზე, მაგრამ უმეტეს შემთხვევაში გვესმის მხოლოდ მტკივნეულ საკითხებზე კამათი,ხოლო პრაქტიკულად საქმეზე ნაკლებად ზრუნავენ, არადა, ბევრად მეტ გონებრივ და ფიზიკურ ძალებს მოითხოვს პრაქტიკული მოქმედება და მისი სასიკეთოდ დაგვირგვინება.

ქვეყანას სჭირდება საქმიანი,შედეგიანი კრიტიკა,რომელიც გზას გადაუკეტავს ყოველგვარ მანკიერებას. ზერელე და შიშველ ემოციებზე აგებული მსჯელობა იმის შესახებ, რის გაგებასაც სპეციალური ცოდნა და პროფესიონალიზმი სჭირდება,მხოლოდ ვნებს საქმეს.

ისიც გასათვალისწინებელია, რომ ჩვენი ეკონომიკა იმდენად არის დამძიმებული უწესრიგობით, რომ ესოდენ მოჭარბებული პრობლემების სწრაფად დაძლევა შეუძლებე-

ლია. ამასთან, წარმატების საფუძველი, უპირველეს ყოვლისა, წესრიგი და დისციპლინაა.

გავიხსენოთ ნაპოლეონისეული შეფასება ცუდი ცხენოსნის, მაგრამ კარგად დისციპლინებული ფრანგი კავალერიის ბრძოლისა მამლუქებთან, რომლებიც იმ დროს საუკეთესო, მაგრამ არადისციპლინებულ მხედრობას წარმოადგენდა: „ორი მამლუქი უცილობლად სჯობდა სამ ფრანგს, 100 მამლუქი 100 ფრანგს უდრიდა,300 ფრანგი ჩვეულებრივ სჯობდა 300 მამლუქს, ხოლო 1000 ფრანგი ყოველთვის ამარცხებდა 1500 მამლუქს...“

პოსტკომუნისტურ ქვეყნებს შორის საქართველო ერთ-ერთია,რომლის მაგალითზეც ნათლად ჩანს,თუ როგორ არ უნდა გატარებულიყო სისტემური რეფორმა. ისეთ პატარა ქვეყანას, როგორიც საქართველოა, არ ჰქონდა დიდი შეცდომების დაშვების უფლება. ამ შეცდომების გამოსწორება რთულია, მაგრამ უნდა გამოსწორდეს,სხვა გზა არა გვაქვს. როგორც იტყვიან – სჯობს გვიან,ვიდრე არასდროს.

დამოუკიდებლობის აღდგენის შემდეგ საქართველოს ეკონომიკურმა მეცნიერებამ, რომელმაც ესოდენი სისწრაფით განიცადა „მორალური ცვეთა“, სწრაფად მოიკრიბა ძალა და სწრაფადვე გამოეხმაურა ახალ მოვლენებსა და პროცესებს. მაგრამ, არის კი ისეთი ატმოსფერო საქართველოში,რომ მეცნიერულ რეკომენდაციებს ანგარიშს უწევენ ეკონომიკურ პოლიტიკაში?

*

* *

წინამდებარე სახელმძღვანელო საზოგადოებრივი სექტორის ეკონომიკაში, რომელიც პირველი ცდაა ქართულ ეკონომიკურ მეცნიერებაში, უცხოური სახელმძღვანელოების იდენტური არ არის. იგი, გარკვეული თვალსაზრისით,ორიგინალურიცაა.

საქართველოში ეკონომიკის ტრანსფორმაციის პროცესების სწორი წარმართვისათვის განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს საზოგადოებრივი სექტორის ეკონომიკის კვლევას, საუნივერსიტეტო სწავლებაში მის დანერგვასა და ამ სპეციალობით კადრების მომზადებას. ამას გვავალებს დღევანდელი საქართველოს სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობა და ის მწვავე მაკროეკონომიკური პრობლემები, რომელთა თუნდაც ნაწილობრივი გადაჭრა დღეს, ასეთ სიტუაციაში წინგადადგმული ნაბიჯი იქნება ქვეყნის აღმშენებლობის საქმეში.

ამ უაღრესად რთული პროცესების ახსნისა და ანალიზის, თეორიული განზოგადების აუცილებლობამ საკითხების ახლებურად გააზრება და შემოქმედებითი მიდგომა მოითხოვა.

საგულისხმოა ერთი მეტად მნიშვნელოვანი გარემოება: 2000 წლის 2–3 ივნისს სანკტ-პეტერბურგში საზოგადოებრივი სექტორის რეფორმირებისადმი მიძღვნილ მესამე საერთაშორისო კონფერენციაზე დაფუძნდა **საზოგადოებრივი სექტორის ეკონომიკის მკვლევართა ასოციაცია (ASPE),** რომლის მიზანია საზოგადოებრივი სექტორის ეკონომიკური პრობლემების შესწავლა. იგი არაფორმალური გაერთიანებაა, რომელიც თავის საქმიანობას ახორციელებს სტოკჰოლმისა და სანკტ-პეტერბურგის უნივერსიტეტების ერთობლივი პროექტის ჩარჩოებში და ითვალისწინებს: ყოველწლიური საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციის ორგანიზებას, ასოციაციის წევრთა სამეცნიერო მოხსენებების გამოქვეყნებას, სემინარების მოწყობას, უცხოელი სპეციალისტების ლექციების ორგანიზებასა და ა.შ. ეს აპრობირებული პრაქტიკა, ვფიქრობთ, გასათვალისწინებელია საქართველოს სინამდვილეშიც.

საქართველოში ასეთ კრიტიკულ სიტუაციაში აუცილე-

ბელია შევიმუშაოთ მეცნიერული პარადიგმა, რომელშიც, პირველ რიგში,გათვალისწინებული იქნება საზოგადოების ინტერესები, მისი მოთხოვნილებები. ამისათვის კი საჭიროა არა ზედაპირული შეფასებები, არამედ ღრმა ანალიზი, რომელიც დაეფუძნება ფუნდამენტურ კონცეფციებსა და კავშირს მიზეზებსა და შედეგებს შორის. ეს საშუალებას მოგვცემს განვასხვავოთ მიღწეული სასურველისაგან, თავი დავაღწიოთ ილუზიებსა და ზედმეტ დანახარჯებს. ამ თვალსაზრისით, **საზოგადოებრივი სექტორის ეკონომიკის კვლევა გარკვეულ წვლილს შეიტანს საქართველოში სოციალურად ორიენტირებული საბაზრო ეკონომიკის დამკვიდრებაში.**

როგორ მიესადაგება საქართველოში მიმდინარე სოციალურ-ეკონომიკური მოვლენები და პროცესები კაპიტალიზმის წარმოშობისა და განვითარების ადრეულ პერიოდს! რა თქმა უნდა, ბევრ სხვა ქვეყანაშიც მიმდინარეობს ანალოგიური პროცესები, მაგრამ ამ შემთხვევაში მსოფლიოში აპრობირებული პოზიტიური ცვლილებების ფონზე, როდესაც ჩვენ შეგვეძლო მეურნეობრიობის პროგრესული ფორმებისა და მეთოდების დანერგვა და სოციალურად დაუცავი და როგორც მას ეკონომიკურ ლიტერატურაში ხშირად უწოდებენ – „ველური“ კაპიტალიზმის გვერდის ავლით, საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლა, მეტად დასანანია, რომ აღმოვჩნდით უაღრესად მძიმე სიტუაციაში და, შეიძლება ითქვას, დავადექით იმ გრძელ და რთულ გზას, რომელიც ძალზე მტკივნეულად განვლო ცივილიზებულმა სამყარომ.

როგორც განვითარებული ქვეყნების გამოცდილებიდან ჩანს, თანამედროვე პირობებში სახელმწიფო ხარჯების პოლიტიკაში ცენტრალური ადგილი საზოგადოებაში სოციალური სტაბილურობის უზრუნველყოფის ხარჯებს

უჭირავს. ნაკლებად უზრუნველყოფილი მოსახლეობის ჯგუფების მხარდამჭერი სოციალური პროგრამების დაფინანსებასთან ერთად,საბიუჯეტო სახსრების გარკვეული ნაწილი გამოიყოფა სოციალურ-კულტურული დარგების განვითარების სახელმწიფო პროგრამებისათვის. სოციალურ სფეროში აქტიური როლის შესრულებით სახელმწიფო „კეთილდღეობის სახელმწიფოს“ ნიშნებს იძენს. **მოსახლეობის საშუალო ფენის გაძლიერებით სახელმწიფო აპარატი კარგავს კონსერვატიულ-ბიუროკრატიულ ხასიათს, ძლიერდება კერძო სტრუქტურების სოციალური პასუხისმგებლობა. სამოქალაქო საზოგადოების ინსტიტუტებისა და ჰუმანიზაციის პროცესების განვითარებით წარმოქმნილი ახალი პრობლემები ამდიდრებს საზოგადოებრივი სექტორის ეკონომიკის შინაარსს.**

საგულისხმოა, რომ საზოგადოებრივი სექტორის ეკონომიკა, როგორც სასწავლო დისციპლინა, უკვე დიდი ხანია ფართოდ დაინერგა მსოფლიოს მრავალი ქვეყნის უმაღლეს სასწავლებლებში, მათ შორის, პოსტკომუნისტურ ქვეყნებშიც, მაგალითად, რუსეთში, უკრაინაში, ბალტიისპირეთის, აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებში. გამოვიდა ცნობილ მეცნიერთა სახელმძღვანელოებიც.[1]

დაიწყო მეტად საჭირო და საზოგადოების დაკვეთით წარმოშობილი ეკონომიკური მეცნიერების ამ ახალი დარ-

[1] **Stiglitz J. E.** Economics of the public sector. Second Edition. New York-London. W. W. Norton & Company, 1988 (ეს წიგნი რუსულად გამოვიდა შეცვლილი სათაურით: Экономика государственного сектора. М., ИНФА-М, 1997); **Atkinson A. B., Stiglitz J. E.** Lectures on public economics. 1980 (სახელმძღვანელო გამოვიდა ლონდონში, მადრიდში, ტოკიოში, პარიზში, ლისაბონში, სიდნეიში, მეხიკოში, აგრეთვე სინგაპურში,გვატემალაში და ა.შ. (რუსეთში გამოვიდა სათაურით: Лекции по экономической теории государственного сектора. М., “Аспект пресс”, 1995); **Рингквист М.** Об общественном секторе, что он дает и

გის აქტუალური პრობლემების კვლევა და საუნივერსიტეტო სწავლებაში დანერგვა, რაც საქართველოში ჯერჯერობით ფეხს ვერ იკიდებს. არადა, სამეცნიერო კადრების თვალსაზრისით, ამის პოტენციური შესაძლებლობა ჩვენს ქვეყანაში ნამდვილად არის.

დღეს საქართველოში არსებული არაორდინარული სოციალურ-ეკონომიკური სიტუაცია უამრავ პრობლემას წარმოქმნის,რომელთა შორის ერთ-ერთი უმთავრესი სოციალური პრობლემებია. შექმნილმა მდგომარეობამ მრავალი მწვავე საკითხი კითხვის ქვეშ დააყენა,რამაც უარყოფითი გავლენა მოახდინა საქართველოს ავტორიტეტსა და მის საერთაშორისო იმიჯზე.

ნაშრომში, აღნიშნული პრობლემის თეორიულ-მეთოდოლოგიური ასპექტების გაანალიზების საფუძველზე,გაშუქებულია საზოგადოებრივი სექტორის ეკონომიკის წარმოშობის კანონზომიერებები და საქართველოს საბაზრო ეკონომიკაზე გარდამავალ ეკონომიკაში მისი ფუნქციონირების თავისებურებები.

საუნივერსიტეტო სწავლებაში საზოგადოებრივი სექტორის ეკონომიკის საგნის შემოღება დროის მოთხოვნაცაა და ობიექტური აუცილებლობაც. იგი მსოფლიოში განვითარებული მოვლენების გამოძახილიცაა და ეროვნული დაკვეთაც. ასეთ ვითარებაში,ვფიქრობთ,საზოგადოებრივი სექტორის ეკონომიკა სათანადო ადგილს დაიკავებს საუნივერსიტეტო ფაკულტეტების სასწავლო პროგრამებში. **იგი, როგორც სავალდებულო კურსი, უნდა ისწავლებოდეს**

что берет. Стокголм, 1995; **Жильцов Е. Н.** Экономика государственного сектора. М., 1995; **Якобсон Л.** Экономика общественного сектора. М., “Аспект пресс”, 1996; Экономика государственного сектора. Под ред. **Жильцова Е.Н., Лафея Ж. Д.** М., 1998; Экономика общественного сектора. Под ред. **Якобсона Л.И., Колосницыной М.Г.** 3-е перераб. изд. М., “Юраит”, 2016 და ა.შ.

ეკონომიკური სპეციალობების ბაკალავრიატის მაღალ კურსებზე. რაც შეეხება ახალბედა სტუდენტებს,რომლებიც, ჯერ კიდევ,ნაკლებად არიან დაუფლებულნი ეკონომიკური აზროვნების წესს და სათანადოდ ვერ ერკვევიან ეკონომიკურ კატეგორიებში,ტერმინებსა და ცნებებში, გაუჭირდებათ „კარის შეღება“ ამ დისციპლინაში.

წიგნი ჩააფიქრებს საზოგადოების იმ წარმომადგენლებს, რომლებიც მიმდინარე ტრანსფორმაციული პროცესებისადმი ზედმეტად პესიმისტურად ან ნაკლებკრიტიკულად არიან განწყობილნი, უარყოფენ საქართველოს ეკონომიკის რეფორმირებაში მიღწეულ წარმატებებს ან დაშვებულ სერიოზულ შეცდომებს.

განვითარებული ქვეყნების გამოცდილება მეტყველებს იმ დიდ შესაძლებლობებზე, რასაც საბაზრო მექანიზმზე დაფუძნებული ეკონომიკა იძლევა. ასეთ პირობებში **ეროვნული ეკონომიკის სტაბილიზაციისა და განვითარების გზა მხოლოდ სოციალურად ორიენტირებული საბაზრო ეკონომიკისაკენ მიდის.** ამიტომაცაა აუცილებელი საზოგადოებრივი სექტორის ეკონომიკის შესწავლა-გაანალიზება, საქართველოში არსებული ნაკლოვანებების გამოვლენა, მსოფლიოში აპრობირებული გამოცდილების გათვალისწინებით,ეკონომიკური კრიზისიდან გამოსვლისა და საბაზრო ეკონომიკის განვითარების გზების დასახვა.

საქართველოში საზოგადოებრივი სექტორის ეკონომიკის ფუნქციონირებასთან დაკავშირებული ძირითადი საკითხების განხილვამდე, მიზანშეწონილად მივიჩნიეთ მოკლედ მიმოგვეხილა ახალ ეპოქაში განვითარებული სოციალურ-ეკონომიკური პროცესები, რომლებმაც უდიდესი ნეგატიური გავლენა მოახდინეს ქვეყნის პროგრესზე, ბუნებრივია, საზოგადოებრივი სექტორის ეკონომიკის ფუნქციონირება-განვითარებაზეც.

დამოუკიდებლობის აღდგენის შემდეგ, საქართველომ, ისე როგორც ჩვენს მდგომარეობაში მყოფმა ბევრმა ქვეყანამ (27 ქვეყანა 400 მლნ მოსახლეობით) უარი თქვა რა კვაზისოციალისტურ დოგმებზე და დაიწყო ახალი ეკონომიკური სისტემის მშენებლობა,მარქსისტულ-ლენინური პოლიტიკური ეკონომიის ადგილი დასავლურ თეორიებს დაუთმო. თუმცა,ვფიქრობთ,დასავლურ თეორიებზე,განსაკუთრებით კი კეინზიანური მაკროეკონომიკური რეგულირების თეორიაზე,დიდი გავლენა მოახდინა კარლ მარქსის „კაპიტალმა“, რომელშიც XIX საუკუნის კაპიტალიზმის სიღრმისეული პოლიტეკონომიური ანალიზია მოცემული.

საგულისხმოა „კაპიტალის“ სამუელსონისეული შეფასება. ამ ცნობილი ამერიკელი მეცნიერის აზრით,„როგორც სწორი არ არის მარქსისტული ეკონომიკური თეორიის დოგმად გადაქცევა, ასევე, სწორი არ არის მარქსის მოძღვრების ხელაღებით უარყოფა.“ ამიტომაცაა, რომ დღეს დასავლელ ეკონომისტთა კრიტიკა მარქსის მიმართ არ არის მძაფრი. ისინი ჯეროვნად აფასებენ მას, ეკონომიკური აზრის ისტორიაში ერთ-ერთ უძლიერეს ფიგურად მიიჩნევენ და მოიხსენიებენ მსოფლიოს ისეთ უდიდეს ეკონომისტთა შორის, როგორებიც იყვნენ ადამ სმითი და ჯონ მეინარდ კეინზი. პოლ სამუელსონის აზრით,მარქსი იმდენად მნიშვნელოვანი ფიგურაა, რომ სწორი არ ვიქნებით, თუ მას მხოლოდ მარქსისტებს „შევატოვებთ“.

პოლ სამუელსონმა კ. მარქსის „კაპიტალს“ „ეკონომიკური სახარება“ უწოდა იმ ქვეყნებისთვის, რომლებიც სოციალიზმის აშენებას ფიქრობდნენ. ჩვენი აზრით, XXI საუკუნის დასაწყისში „ეკონომიკური სახარება“ შეიძლება ვუწოდოთ „საზოგადოებრივი სექტორის ეკონომიკას“,რომელიც ემსახურება რეალური (და არა კვაზი) სოციალიზმის მშენებლობას

განვითარებულ ქვეყნებში. **სოციალურად ორიენტირებული საბაზრო ეკონომიკა სოციალური საბაზრო ეკონომიკის წინამორბედია, რომლის თეორიულ-მეთოდოლოგიურ საფუძველს საზოგადოებრივი სექტორის ეკონომიკა წარმოადგენს.**

ნაშრომში საკითხების დამუშავების პროცესში გამოყენებულია მეცნიერული აბსტრაქციის,შედარებითი ანალიზის, ისტორიულისა და ლოგიკურის ერთიანობის, სტატისტიკური დაჯგუფებებისა და ა.შ. მეთოდები. კვლევის მიზანმა და ამოცანების სირთულემ (რაზედაც ნაშრომის არქიტექტონიკა მიგვანიშნებს), განსაზღვრა საკვლევი პრობლემის მასშტაბურობა, რამაც, თავის მხრივ, მოითხოვა ნაშრომის ძირითადი საკითხების სისტემური ანალიზი.

ნაშრომის ყოველი თავის პარაგრაფების განხილვას წინ უძღვის შესაბამისი საპროგრამო საკითხები, ამასთან, დართული აქვს ძირითადი ცნებები და დასკვნა, ხოლო სახელმძღვანელოს ბოლოს – გამოყენებული და სარეკომენდაციო ლიტერატურის სია.

კვლევის საინფორმაციო ბაზას წარმოადგენს როგორც ქართული,ისე უცხოური სტატისტიკური მასალები: საქართველოს ეროვნული სტატისტიკური სამსახურის (ადრე – საქართველოს რესპუბლიკის უზენაეს საბჭოსთან არსებული სოციალურ-ეკონომიკური ინფორმაციის სახელმწიფო კომიტეტის, შემდეგ – საქართველოს სტატისტიკის სახელმწიფო დეპარტამენტის,ამის შემდეგ კი – საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროს სტატისტიკის დეპარტამენტის) მასალები; საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შესაბამისი მონაცემები; საქართველოს ეროვნული ბანკის ბიულეტენები; პერიოდული გამოცემების მასალები; გაეროს,საერთაშორისო სავალუტო ფონდის, ევროკავშირის,

საქართველოს სტრატეგიული კვლევებისა და განვითარების ცენტრის, საექსპერტო სამსახურების მონაცემები; ცალკეული ქვეყნების სტატისტიკური სამსახურების მიერ გამოცემული კრებულები (აშშ-ის საგადასახდელო ბალანსის სტატისტიკური წელიწდეულები, გერმანიის სახალხო მეურნეობის ინსტიტუტის საინფორმაციო სამსახურის პუბლიკაციები),აგრეთვე როგორც ცალკეულ მკვლევართა, ისე წინამდებარე ნაშრომის ავტორის მიერ მოპოვებული ფაქტობრივი მონაცემები და დამატებითი გაანგარიშებები.*

უდიდეს მადლობას მოვახსენებ სარედაქციო კოლეგიასა და რეცენზენტებს – უაღრესად საპატივცემულო პიროვნებებს. მინდა მადლობა გამოვხატო 1993 წელს ჩვენს მიერ დაარსებული პირველი კერძო გამომცემლობის – „სიახლის“ კოლექტივის მიმართ წიგნის პოლიგრაფიულად მაღალ დონეზე გამოცემაში მონაწილეობის მიღებისათვის.

დაბოლოს, მკითხველთა ყველა ობიექტურ შენიშვნასა და გონივრულ წინადადებას მადლიერების გრძნობით მივიღებთ და გავითვალისწინებთ შემდეგ გამოცემაში.

წარმოდგენილი გეგმის მიხედვით საზოგადოებრივი სექტორის ეკონომიკის პირველი სახელმძღვანელოს დაწერა დაკავშირებულია როგორც თეორიულ-მეთოდოლოგიური, ისე პრაქტიკული ხასიათის სიძნელეებთან. მაგრამ,როგორც უინსტონ ჩერჩილი წერდა: „გამბედაობა – ეს არის უპირველესი სათნოება,იმიტომ რომ იგი შესაძლებელს ხდის ყველა დანარჩენს.“ ამიტომ ჩვენც გავბედეთ ხელი მოგვეკიდა ამ მეტად რთული საქმისათვის.

---

* თუ სტატისტიკურ მასალას სქოლიოში მითითებული არ ექნება წყარო, იგულისხმება, რომ იგი საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის ოფიციალური მონაცემია.

შესავალი

მსოფლიო ცივილიზაციაში გარდაუვალი სისტემური და მასთან დაკავშირებული ინსტიტუციური თუ სტრუქტურული ძვრები საზოგადოების განვითარების განსაზღვრულ ეტაპზე მეცნიერების ამა თუ იმ დარგის პრიორიტეტულ მდგომარეობას განაპირობებს. ასეთ როლს ეკონომიკური მეცნიერება ყოველთვის ასრულებდა, მაგრამ უკანასკნელ პერიოდში მისი მნიშვნელობა განსაკუთრებით გაიზარდა. ამ მხრივ, ბოლო წლების „რევოლუციურმა“ ძვრებმა ეკონომიკურ მეცნიერებას დიდი საზრუნავი გაუჩინა. ეს არც იყო მოულოდნელი. სოციალიზმის (შემდეგ,განვითარებული სოციალიზმის, კომუნიზმისაც კი) მშენებლობა მხოლოდ ენთუზიაზმით,ვოლუნტარისტული მეთოდებით, ქვეყნის სოციალურ–ეკონომიკური პირობების გაუთვალისწინებლად, წინააღმდეგობებს წააწყდა. ქვეყანა ახალი დილემის წინაშე დადგა. საკუთრების ტოტალურმა გასახელმწიფოებრივებამ (ნაციონალიზაციამ) უარყოფითი გავლენა მოახდინა საზოგადოებრივი პროგრესის მთელ პროცესზე და წარმოშვა ისეთი ნეგატიური მოვლენები, როგორიცაა: შრომისადმი ინდიფერენტული დამოკიდებულება, ცოდნის მიღებისა და კვალიფიკაციის ამაღლებისადმი ინტერესის დაკარგვა, კორუფცია და ა.შ. ჩამოყალიბდა დეფიციტური ეკონომიკა, რომლისთვისაც ტიპური იყო წარმოებული საქონლისა და მომსახურების აბსოლუტური უმრავლესობის დაბალი ხარისხი. ცენტრალიზებულმა დირექტიულმა დაგეგმვამ,რომელიც ძირითადად გამორიცხავდა რეგულირების საბაზრო მექანიზმს,გამოიწვია ეკონომიკის მართვის ბიუროკრატიზაცია.

დამოუკიდებლობის აღდგენის შემდეგ, ოცდახუთ წელზე მეტია საქართველოში მიმდინარეობს რთული, წინააღმდეგობებით სავსე პროცესები, არ ცხრება ვნებათა ღელვა. „საბაზრო სოციალიზმზე“ უარის თქმა და ახალი ეკონომიკური სისტემის მშენებლობა უნდა გამხდარიყო ქვეყანაში ცხოვრების დონისა და ხარისხის ამაღლების, დემოკრატიული,სამართლიანობის პრინციპებზე აგებული ეკონომიკური სისტემის დამკვიდრების საფუძველი. სამწუხაროდ,ასე არ მოხდა. იმ გზას არ დავადექით,რომელიც დასახულ მიზნამდე მიგვიყვანდა. საქართველოს განვითარებაზე უდიდესი გავლენა მოახდინა ძველიდან შემორჩენილმა თუ ახალმა სოციალურ-ეკონომიკურმა პრობლემებმა. ათეული წლების განმავლობაში ქვეყნის ყოფნას ეკონომიკურ იზოლაციაში უკვალოდ არ ჩაუვლია. ახალი ეკონომიკური აზროვნება ძნელად იკაფავს გზას. არადა, დრო არ ითმენს. ამიტომ ამ მეტად საპასუხისმგებლო ეტაპზე აუცილებელია **არა ეკონომიკური ლიტერატურიდან ამოკრეფილი მასალით განვლილი წლების გაანალიზება, არამედ ეკონომიკის წარუმატებლობის მიზეზების კეთილსინდისიერად შეფასება და ამ მძიმე მდგომარეობიდან ქვეყნის გამოყვანის გზების დასახვა.**

საქართველოში არსებული არაორდინარული სოციალურ-ეკონომიკური სიტუაცია მრავალ რთულ პრობლემას წარმოშობს. ერთ-ერთი ასეთი პრობლემა საზოგადოებრივი სექტორის, მისი ეკონომიკისა და მასთან დაკავშირებული ინსტიტუტების ჩამოყალიბება-ფუნქციონირებაა. არადა, მათ გარეშე, თანამედროვე მსოფლიოში, გლობალიზაციის დაჩქარებული ტემპის პირობებში, შეუძლებელია ქვეყნის ნორმალური განვითარება და გარე სამყაროსთან ცივილიზებული ურთიერთობა.

რა უშლის ხელს საქართველოში ჯანსაღი საზოგა-

დოებრივი სექტორის ეკონომიკის განვითარებას? პირველ ყოვლისა, არასწორად გატარებული ეკონომიკური რეფორმები, ის ინსტიტუციური ცვლილებები, რომლებმაც წარმოქმნა გაცილებით მეტი პრობლემა, ვიდრე გადაჭრა.

ცნობილია,რომ ეროვნული სახელმწიფოს აღორძინება შეუძლებელია ეკონომიკის აღორძინების გარეშე. ვერც ერთი სახელმწიფო ვერავითარ პრობლემას ვერ გადაწყვეტს, თუ იგი ეკონომიკურად სუსტია. **ეკონომიკა ქვეყნის განვითარების ქვაკუთხედია**. თუ ცხოვრების ეკონომიკური მხარე არ იწვევს დაძაბულობას საზოგადოებაში,მაშინ განვითარებისა და უკონფლიქტო თანაარსებობისათვის გასაქანი ეძლევა მის ყველა მხარეს – ზნეობრივს, კულტურულს, ეროვნულ-ეთიკურს,საგანმანათლებლოს,სამეცნიერო-ინოვაციურსა და ა.შ. მაგრამ,ყოველი ჩავარდნა ეკონომიკაში საზოგადოების ბედსა და მის განვითარებაზე მწვავედ აისახება. თუნდაც ეკონომიკური განვითარების ერთი რგოლი ამოვარდეს,ვექტორი მაშინვე იცვლის მიმართულებას და წარმოიქმნება მკვეთრი სოციალური დიფერენციაცია, კორუფცია (მათ შორის,ელიტარულიც),ზნეობრივი დეგრადაცია და ა.შ. ამიტომ, ეს მრავალწახნაგოვანი პროცესი მოითხოვს თეორიულ განზოგადებას.

სოციალურად ორიენტირებული საბაზრო ეკონომიკისაკენ მიმავალ რთულ გზაზე სამართლებრივი ბაზის შექმნა, ინსტიტუციური რეფორმების გატარება და,პირველ რიგში, ცივილიზებული მეთოდებით საკუთრების განსახელმწიფოებრივება, საბიუჯეტო-საგადასახადო რეგულირება, ეკონომიკური უსაფრთხოების უზრუნველყოფა, ქვეყანაში ახალი ეკონომიკური წესრიგის დამყარება და სამოქალაქო საზოგადოების მშენებლობა მსოფლიოში აპრობირებული გამოცდილების გათვალისწინების საფუძველზე, საზოგადოებრივი სექტორის განვითარება და ა.შ. ეკონომიკური

განვითარებისადმი ახლებურ მიდგომას უკავშირდება. სწორედ ეს დაედო საფუძვლად წინამდებარე ნაშრომს. იგი ეძღვნება ეკონომიკურ ლიტერატურაში სისტემური სახით ჯერ კიდევ ნაკლებად შესწავლილ უაღრესად აქტუალურსა და მასშტაბურ პრობლემას.

ნაშრომში საზოგადოებრივი სექტორის ეკონომიკა (და მასთან დაკავშირებული საკითხები) განიხილება ზოგადსაკაცობრიო ტენდენციების ჭრილში, მაგრამ ყველა მისი ასპექტი აისახება იმ ეროვნული პრობლემების პრიზმაში, რომლებიც არსებობს დღეს ნებისმიერ ქვეყანაში,მათ შორის, საქართველოშიც. ამიტომ **როგორი სახელმწიფო იქნება საქართველო მომავალში ბევრად არის დამოკიდებული იმაზე თუ როგორი ეკონომიკა ჩამოყალიბდება დღეს**. ეს უკანასკნელი კი ორგანულად არის დაკავშირებული, ეროვნული თავისებურებების გათვალისწინებით,საბაზრო ეკონომიკის უნივერსალურ მექანიზმებზე დაფუძნებულ ეკონომიკურ პოლიტიკაზე ანუ ხელისუფლების მიერ ეკონომიკური მართვის ბერკეტებისა და მეთოდების გამოყენებით გატარებულ ღონისძიებათა სისტემაზე ინსტიტუციურ,საბიუჯეტო-საგადასახადო,ფულად-საკრედიტო,საინვესტიციო,მეცნიერულ-ტექნოლოგიურ, საგარეო-ეკონომიკურ და ა.შ. სფეროებში.

დამოუკიდებლობის აღდგენის შემდეგ საქართველოს არც ერთ ხელისუფლებას არ გამოუყენებია განვითარებულ ქვეყნებში საკმაოდ აპრობირებული მაკროეკონომიკური რეგულირების ბერკეტები, პირიქით, Laissez faire-სთან („დაე, წავიდეს თავისი გზით“) მიახლოვებული პოლიტიკა მომდევნო ეტაპებზე შეცვალა ეკონომიკაში უხეში ჩარევის პოლიტიკამ. ზედმეტია ლაპარაკი ეკონომიკური პოლიტიკის წარმართვის კლასიკურ ფორმებზე, რომლებსაც, ეკონომიკური მეცნიერების წარმოშობიდან მოყოლებული, მსოფლიო ეკონომიკის განვითარების ნებისმიერ

ეტაპზე საფუძვლად ედო ესა თუ ის ეკონომიკური თეორია. ამ უკანასკნელს უდიდესი წვლილი მიუძღვის ეკონომიკური პოლიტიკის სრულყოფასა და მსოფლიოს წამყვანი ქვეყნების განვითარებაში. ამასთან დაკავშირებით, საგულისხმოა პოსტინდუსტრიული საზოგადოების ერთ-ერთი ფუძემდებლის, ცნობილი ამერიკელი მეცნიერის, **დენიელ ბელის** მოსაზრება. 1973 წელს სამეცნიერო ბრუნვაში მანვე შემოიტანა ტერმინი – პოსტინდუსტრიული საზოგადოება, ჩამოაყალიბა პოსტინდუსტრიული საზოგადოების ხუთი ნიშანი, რომელთაგან ერთ-ერთი სწორედ **თეორიული ცოდნის, როგორც სიახლეების დანერგვისა და ეკონომიკური პოლიტიკის ჩამოყალიბების საფუძვლის, როლის ამაღლებაა.** „ჩვენ მოწმენი ვართ დასავლეთში მიმდინარე მასშტაბური ისტორიული პროცესებისა, როდესაც ძველი საზოგადოებრივი ურთიერთობები, სახელისუფლებო სტრუქტურები და ბურჟუაზიული კულტურა სწრაფ ეროზიას განიცდის. ახალ საზოგადოებაში, სადაც სოციალური პრობლემები უკეთესად წყდება, მთავარია არა ძლიერი კუნთები,არამედ ცოდნა და ინფორმაცია“.[1] შეიძლება ითქვას,დღეს ეკონომიკური მიმდინარეობები და შესაბამისი მოდელები, მსოფლიო ეკონომიკაში განსაზღვრავენ „თამაშის წესებს“.

მიმდინარე და სტრატეგიული ინტერესების სწორად განსაზღვრა,ეროვნული კულტურის შენარჩუნება,ტრადიციების დაცვა, ადამიანისთვის თავისუფალი არჩევანის უფლების მინიჭება,განათლებისკენ სწრაფვა,ეკონომიკის სოციალური ორიენტაცია და მაღალი სოციალური პასუხისმგებლობა ის ღირებულებებია, რომლებზეც დღეს დგანან დემოკრატიული

1 **Белл Д.** Грядущее постиндустриальное общество. Перевод с английского. М., “Academia”, 1999, с. 499.

ქვეყნები და მათში არსებული სამოქალაქო საზოგადოებები. ამ გზით უნდა განვითარდეს საქართველოც.

საზოგადოებას, რომელიც არ არის ორიენტირებული სამართლიანობაზე, არა აქვს მომავალი და ასეთ ქვეყანაში ვერ განვითარდება ეკონომიკა, მითუმეტეს მისი საზოგადოებრივი სექტორი.

კმარა დემოკრატიობანას თამაში,ძალა სამართლიანობის გარეშე დესტრუქციაა, სამართლიანობა თვით ძალაა. ეს აქსიომატური ჭეშმარიტება გასათვალისწინებელია საქართველოში.

რეფორმატორთა დილეტანტიზმმა, ფრაგმენტულად, უსისტემოდ განხორციელებულმა რეფორმებმა ფრიად ნეგატიური ტენდენციები წარმოქმნა საქართველოში,რამაც ქვეყანა სერიოზულ შეცდომებამდე მიიყვანა, რეალური საფრთხე შეუქმნა მის განვითარებასა და დემოკრატიულ ქვეყნად ჩამოყალიბებას.

მოკლედ, კვაზიდემოკრატიამ საქართველოში შეაფერხა ეკონომიკური განვითარება და საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლა. ვერ მოხერხდა ტრანსფორმაციული პროცესების ეთიკის ნორმებში წარმართვა, შეიარაღებული კონფლიქტების თავიდან აცილება, ბუნებრივია, საზოგადოებრივი სექტორის ეკონომიკის განვითარებაც. უკიდურესად დაბალი მოთხოვნის პირობებში ქვეყანაში გამწვავებულია სოციალური სტრატიფიკაცია და გაღრმავებული სოციალური პოლარიზაცია.

საქართველოს მოსახლეობა დიდი სიხარულით შეხვდა სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენასა და მბრძანებლურ-ადმინისტრაციული სისტემიდან თავის დაღწევას. მაგრამ რა მივიღეთ? **სახელმწიფო-მონოპოლისტური სოციალიზმი შეცვალა სახელმწიფო-მონოპოლისტური კაპიტალიზმის თავისებურმა ფორმამ,** სამართლიანობის პრინ-

ციპებზე აგებული დემოკრატიული ეკონომიკური სისტემის ნაცვლად მივიღეთ კვაზიდემოკრატიაზე,მოჩვენებით სამართლიანობაზე დაფუძნებული კაპიტალიზმი,რომელსაც არაფერი აქვს საერთო დასავლურ საბაზრო ეკონომიკასთან. მართალია 2012 წლის შემდეგ მდგომარეობა რამდენადმე გამოსწორდა,მაგრამ იმდენად არის მოშლილი ეკონომიკა, რომ ჯერ კიდევ დიდი გზა გვაქვს გასავლელი დასახულ მიზნამდე.

მსოფლიოში გამორჩეული „ოქროს საწმისის“ ქვეყანა საკუთარი მოდელის საფუძველზე უნდა განვითარდეს.

ვიმედოვნებთ, **დამოუკიდებელი საქართველოს ისტორიაში ქვეყნის ეკონომიკის სოციალური ორიენტირებულობის შესწავლისადმი მიძღვნილი წინამდებარე პირველი სახელმძღვანელო (შეიძლება ითქვას, გამოკვლევაც) არ იქნება ინტერესმოკლებული ფართო საზოგადოებისთვის, განსაკუთრებით კი სტუდენტ–ახალგაზრდობისათვის**. იგი სამსახურს გაუწევს საქართველოს დღევანდელი მდგომარეობითა და სამომავლო შესაძლებლობებით დაინტერესებულ მკითხველს, ჩააფიქრებს იმ პირებს,რომლებიც აფერხებენ საქართველოს დემოკრატიულ სახელმწიფოდ ჩამოყალიბებას,რეალურ საფრთხეს უქმნიან მის განვითარებასა და უბიძგებენ ჩამორჩენილ ქვეყნად დარჩენისაკენ.

სოციალურად ორიენტირებული საბაზრო ეკონომიკის გაანალიზება,მსოფლიოში აპრობირებული გამოცდილების გათვალისწინებით, ხელს შეუწყობს საქართველოს ეკონომიკური კრიზისიდან გამოსვლასა და ჯერ სოციალურად ორიენტირებულ, ხოლო შემდეგ – სოციალური საბაზრო ეკონომიკის ჩამოყალიბებას.

ცნობილია,რომ დღეს ქართულ ეკონომიკურ მეცნიერებაში,პოლიტიკურ თუ ფართო საზოგადოებრივ წრეებში აზრთა სხვადასხვაობაა ქვეყნისთვის საჭირბოროტო მრავალ

საკითხზე. ამ მხრივ,შეიძლება ჩვენი მსჯელობა ყოველთვის არ ემთხვეოდეს სხვათა შეხედულებებს. ჩვენ შევეცადეთ, ისტორიულ-ლოგიკური ერთიანობის პრინციპის დაცვით, შეგვესწავლა და სათანადო დასკვნების საფუძველზე პირუთვნელად შეგვეფასებინა მსოფლიოსა და საქართველოში საზოგადოებრივი სექტორის ეკონომიკის განვითარებაში არსებული მდგომარეობა და სამომავლო გეგმები.

ნაშრომის არქიტექტონიკა და საკითხთა ფართო წრე საკვლევი თემის მასშტაბურობამ განაპირობა. შევეცადეთ წინა პლანზე წამოგვეწია საკვანძო საკითხები და გაგვეშუქებინა ისე,რომ **მკითხველი ერთხელ კიდევ ჩაფიქრებულიყო იმაზე, თუ ქართველთა ეს ძირძველი ქვეყანა დღესაც ღია თუ ფარული წინააღმდეგობების „მორევში“ როგორ იკაფავს გზას**. ამაზე პირველ რიგში ქართველებს გვმართებს დაფიქრება. ამას დროის მიერ დასმული ამოცანების სირთულე და მნიშვნელობაც განაპირობებს,ამას ითხოვს გლობალიზაციის პროცესში საქართველოს აქტიურად ჩართვა და საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისი ეკონომიკის შექმნის აუცილებლობაც.

აღნიშნულიდან გამომდინარე,საქართველოში საზოგადოებრივი სექტორის ეკონომიკის ფუნქციონირებასთან დაკავშირებული პრობლემების ფართო სპექტრის კვლევა უაღრესად აქტუალურია. ქვეყანა ახალი გამოწვევების წინაშეა,ამიტომ ნაშრომს არა მხოლოდ სახელმძღვანელოს ფუნქცია დაეკისრება,არამედ იგი,გარკვეულწილად,შეიძლება გზამკვლევად წაადგეს ხელისუფლებასაც.

I თავი

საზოგადოებრივი სექტორის ეკონომიკის, როგორც მეცნიერების, გენეზისი

მიკროეკონომიკური პარადიგმებისა და საზოგადოებრივი კეთილდღეობის ინდივიდუალისტური კონცეფციის ბატონობის ეპოქა. საზოგადოებრივი სექტორის ეკონომიკის, როგორც მეცნიერების, წარმოშობის ობიექტური წანამძღვრები. ეკონომიკის სახელმწიფო რეგულირება – საბაზრო სისტემაში საზოგადოებრივი სექტორის ეკონომიკის წარმოშობის საფუძველი. საზოგადოებრივი სექტორის ეკონომიკის საგანი, ამოცანები და სტრუქტურა. ეკონომიკის სახელმწიფო რეგულირების ძირითადი მიმართულებები. „მესამე სექტორის" არსი და ფუნქციები. სამოქალაქო საზოგადოება – ეკონომიკის „მესამე სექტორი" და საზოგადოებრივი სექტორის შემადგენელი ნაწილი.

I.1. მიკროეკონომიკური პარადიგმებისა და საზოგადოებრივი კეთილდღეობის ინდივიდუალისტური კონცეფციის ბატონობის ეპოქა

ინდუსტრიულმა ეპოქამ, რომელიც კაპიტალისტური ეკონომიკური სისტემის განმტკიცებას უკავშირდება,დასაბამი მისცა ხანგრძლივ ისტორიულ ციკლს,რომლისთვისაც დამახასიათებელი იყო კერძო ინტერესების პრიორიტეტი საზოგადოებრივთან შედარებით „უხილავი ხელის" მეშვეობით,საკუთრების პლურალიზმის არარსებობა და წარმოების საშუალებებზე კერძო საკუთრების გაბატონებული მდგომარეობა. ამ პერიოდში ყურადღების ცენტრში იდგა ცალკეული ფირმა,მისი დანახარჯების მინიმიზაციისა და მოგების მაქსიმიზაციის პრობლემა. ეს იყო მიკროეკონომიკური პარადიგმებისა და საზოგადოებრივი კეთილდღეობის

ინდივიდუალისტური კონცეფციის ბატონობის ეპოქა. მისი იდეოლოგია ადამიანს განიხილავდა, როგორც ეკონომიკურ ფენომენს, როგორც წარმოების საშუალებას და არა როგორც საზოგადოებრივი წარმოების მიზანს. საზოგადოებრივ ინტერესებზე კერძო ინტერესების პრიორიტეტის პერიოდი აღინიშნა ექსპლუატაციური ურთიერთობების გაძლიერებით და სხვა ანტისოციალური მოვლენებით,მათ შორის, საზოგადოებრივი მორალის დეფორმაციით. ამ პერიოდში ზედმეტი იყო საუბარი ეკონომიკის სოციალურ ორიენტაციასა და საზოგადოებრივი სექტორის ეკონომიკის არსებობა-ფუნქციონირებაზე. ეს ეპოქა მოიცავს XVIII საუკუნის 70-იანი წლების მეორე ნახევრიდანდან XX საუკუნის 40-იანი წლების დასაწყისამდე განვლილ პერიოდს.

დასავლური ცივილიზაციის ინდუსტრიულ ეპოქაში გაბატონებულმა სმითისეულმა კონცეფციამ, რომელიც სახელმწიფოს განიხილავდა როგორც „ღამის დარაჯს“, ხოლო სახელმწიფოს საქმიანობას – არამწარმოებლურ შრომად,ადგილი კეინზიანურ მაკროეკონომიკურ რეგულირებას დაუთმო. **ეს მოვლენა საზოგადოებრივი პროგრესის დაწყების მომასწავებელი იყო**. იგი, პირველ ყოვლისა, მნიშვნელოვნად დააჩქარა „კეინზიანურმა რევოლუციამ“ და, შეიძლება ითქვას, მისი განმაპირობებელი ფაქტორიც კი გახდა.*

XX საუკუნის 40-იანი წლებიდან მსოფლიო ეკონომიკის ისტორიაში დაწყებული ეს უპრეცენდენტო მოვლენა, რომელიც უკავშირდება თითქმის 160 წლის მანძილზე – XVIII საუკუნის უკანასკნელი მეოთხედიდან (კლასიკური ეკონო-

* ეს საკითხი სხვადასხვა კუთხით განხილული გვაქვს წიგნში: **ასათიანი რ.** პატარა ქვეყანას დიდი შეცდომების უფლება არა აქვს. თბილისი, გამომცემლობა „სიახლე“, 2005, გვ.: 363, 420, 422, 558-560.

მიკური თეორიისა და ინგლისური კლასიკური სკოლის აღმოცენებიდან)* „კეინზიანურ რევოლუციამდე“ – თავისუფალი ბაზრის იდეოლოგიაზე დაფუძნებულ,მთვლემარე მდგომარეობაში მყოფ „ველური“ კაპიტალიზმის გარდაქმნას სოციალურ ორიენტაციაზე მორგებულ, მაკროეკონომიკური რეგულირებით განმტკიცებულ ეკონომიკურ სისტემად, აღინიშნა როგორც შემობრუნების ეტაპი წამყვანი კაპიტალისტური ქვეყნების ეკონომიკაში. სახელმწიფო „დამის დარაჯიდან“ ევოლუციური გზით მაკროეკონომიკურ რეგულატორად გარდაიქმნა,ხოლო ამ ცვლილების საფუძველზე **საკუთრების პლურალიზმზე დაფუძნებულ ბაზარს განმსაზღვრელი როლი დაეკისრა ახალი ეკონომიკური ურთიერთობების ჩამოყალიბებაში**.[1]

სწორედ ახალ ოვისებრიობაში გადაზრდილ კაპიტალისტური ეკონომიკური სისტემის ძირითად მახასიათებლად, ბაზრის პრინციპების რეალიზაციასთან ერთად, **სოციალური ორიენტაცია იქნა აღიარებული,** რამაც,თავის მხრივ, დაადასტურა ეკონომიკის სახელმწიფო რეგულირების აუცილებლობის შესახებ კეინზიანური თეორიის სისწორე. სახელმწიფომ თავის თავზე აიღო ბაზრის

---

* კონკრეტულად იგი უკავშირდება ეკონომიკური თეორიის (პოლიტიკური ეკონომიის) მამამთავრის **ადამ სმითის** ფუნდამენტური ნაშრომის – „ხალხთა სიმდიდრის მიზეზებისა და ბუნების შესახებ“ (1776) გამოსვლას. აღსანიშნავია ისიც,რომ სწორედ ამ ნაშრომს უკავშირდება ეკონომიკური მეცნიერების წარმოშობა, ხოლო მანამდე არსებულმა ეკონომიკურმა მიმდინარეობებმა – მერკანტილიზმმა და ფიზიოკრატიზმმა – მხოლოდ შექმნეს წანამძღვრები ეკონომიკური მეცნიერების აღმოცენებისათვის.

[1] **ასათიანი რ.** საქართველოს ეკონომიკა. ახალი ეპოქა. თბილისი, გამომცემლობა „სიახლე“, 2009, გვ.: 40–42; 205–241; 215–218; **ასათიანი რ.** ზოგადი ეკონომიკური თეორია და მისი სწავლების აღდგენის აუცილებლობა უნივერსიტეტებში (საკითხის დასმის წესით). თბილისი, გამომცემლობა „სიახლე“, 2013, გვ. 7–8;

„შეცდომების“ გამოსწორება,რაც ჰუმანიზაციის მსოფლიო პროცესის საფუძველი გახდა.

ეკონომიკაში გაბატონებულმა მიკროეკონომიკურმა მიდგომამ ცენტრალური ადგილი მაკროეკონომიკურ თეორიასა და მასზე დაფუძნებული ეკონომიკის სახელმწიფო რეგულირებას დაუთმო. ჯონ მეინარდ კეინზის (1883–1946) თეორიის მიხედვით, რომელიც წარმოდგენილია მის, შეიძლება ითქვას„საუკუნის ნაშრომში“ – „დასაქმების,სარგებლისა და ფულის ზოგადი თეორია“ (1936),ცალკეული ფირმის აყვავების პირობები შეიძლება არ ემთხვეოდეს მთელი ეკონომიკის განვითარების პირობებს, მათ შორის წარმოშობილი წინააღმდეგობების გადაჭრა კი შესაძლებელია არა ცალკეული ფირმების მოგების მაქსიმიზაციით, არამედ, მაკროეკონომიკური პროპორციების აღდგენითა და კვლავწარმოების საერთო პირობების სრულყოფით,რაშიც გადამწყვეტი როლი სახელმწიფოს აკისრია.[2] კეინზიანურ თეორიას მრავალმა ცნობილმა მეცნიერმა დაუჭირა მხარი. მათგან განსაკუთრებით გამოვყოფდით მსოფლიოში აღიარებულ ისეთ მეცნიერებს,როგორებიცაა: უ. ბევერიჯი,ს. ჰარისი, ა. ჰანსენი,რ. ჰაროდი,ჯ. რობინსონი,პ. კრუგმანი და ა.შ.

I.2. საზოგადოებრივი სექტორის ეკონომიკის, როგორც მეცნიერების, წარმოშობის ობიექტური წანამძღვრები

საზოგადოებრივი სექტორის ეკონომიკის წარმოშობას წინ უძღოდა ობიექტური წანამძღვრები, რამაც საფუძველი ჩაუყარა ეკონომიკური მეცნიერების ამ შედარებით ახალი დარგის განვითარებას. ამ პროცესს ხელი შეუწყო, ერთი მხრივ, ეკონომიკური მიმდინარეობებისა და თეორიების

[2] **Кеинс Дж.** Общая теория занятости, процента и денег. Перевод с английского. М., «Прогресс», 1978, с. 55.

განვითარებამ,* ხოლო, მეორე მხრივ, საზოგადოებრივ წარმოებაში მიმდინარე პროგრესულმა სტრუქტურულმა ცვლილებებმა, მათ შორის, ტექნოლოგიების სფეროში დაწყებულმა ბუმმა.

საზოგადოებრივი სექტორის ეკონომიკა ეკონომიკური თეორიის შედარებით ახალი განშტოებაა. მაკროეკონომიკურმა თეორიამ ჩაუყარა საფუძველი მის გენეზისს, ამასთან, საზოგადოებრივი სექტორის ეკონომიკა, არ შემოიფარგლება მხოლოდ მაკროეკონომიკური პრობლემებით, მის საკვლევ არეალში თავს იყრის მიკრო-, მეზო- და მეგაეკონომიკური პრობლემებიც,რაც კიდევ უფრო ზრდის მის როლსა და მნიშვნელობას ეკონომიკის სოციალური ორიენტაციის გაძლიერებაში.

ეკონომიკისათვის სიცოცხლისუნარიანობის მინიჭებაში უდიდესი როლი XX საუკუნის 50-იან წლებში დაწყებულმა **მეცნიერულ-ტექნიკურმა რევოლუციამ** შეასრულა, რომელმაც მძლავრი ბიძგი მისცა საზოგადოებრივი წარმოების პროგრესულ სტრუქტურულ გარდაქმნებს, გამოიწვია მომსახურების მწარმოებელი დარგების დაჩქარებული განვითარება და მოამზადა პირობები ინდუსტრიული საზოგადოების პოსტიუნდუსტრიულში გადაზრდისათვის.[3]

მსოფლიოს ეკონომიკური განვითარების ახალ ისტორიაში რევოლუციურ მახასიათებლად წარმოჩნდა მომსახურების სექტორის წილის უპირატესი ზრდა დანარჩენ ორ სექტორთან შედარებით. ეს მნიშვნელოვანი თეორიული პარადიგმები

---

* ამიტომაცაა, რომ თანამედროვე პირობებში განვითარებულ ქვეყნებში განსაკუთრებული ყურადღება ექცევა ეკონომიკური თეორიების მნიშვნელოვანი პოსტულატების გათვალისწინებას სახელმწიფოსა და ბაზრის ურთიერთობაში.

[3] **ასათიანი რ.** ეკონომიკის „სერვიზაცია“ – საზოგადოების პოსტინდუსტრიული განვითარების მნიშვნელოვანი მახასიათებელი. „საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის მაცნე“. ეკონომიკის სექცია. I ტომი. 1993,№ 2.

რეალურად აისახა ეკონომიკაში მიმდინარე პროცესებში.

ეკონომიკის სექტორებს შორის, მომსახურების სექტორის წილის უპირატესი ზრდა პოსტინდუსტრიული საზოგადოების მნიშვნელოვანი მახასიათებელი გახდა. მეცნიერთა აბსოლუტური უმრავლესობის აზრით, ეს გადასვლა მოასწავებდა არა მიღწეულიდან უკან დახევას,არამედ,პირიქით, უფრო მაღალი სოციალური წესრიგის გამარჯვებას.

60-იანი წლებიდან **ახალი ერა დაიწყო კაცობრიობის ისტორიაში, რაც ახალი მსოფლიო წესრიგისა და სამოქალაქო საზოგადოების მშენებლობის დასაწყისიც იყო.**[4]

ამ ობიექტურმა წანამძღვრებმა საფუძველი ჩაუყარეს საზოგადოებრივი სექტორის ეკონომიკის წარმოშობასა და განვითარებას. ეკონომიკის სახელმწიფო რეგულირებასთან ერთად,კაპიტალიზმის მრავალსაუკუნოვანი არსებობის მანძილზე პირველად ბაზრის, როგორც მეურნეობის ეფექტიანი მექანიზმის, ჩამოყალიბებამ უდიდესი როლი შეასრულა საზოგადოებრივი სექტორის ეკონომიკის წარმოშობაში. **იგი ცივილიზაციის ერთ-ერთ მნიშვნელოვან მონაპოვრად იქნა აღიარებული.**

1953 წელს, პირველად მსოფლიო ისტორიაში, გაეროს მიერ 1948 წელს პროექტის სახით მიღებულ საერთაშორისო სტანდარტულ დარგობრივ კლასიფიკაციაზე დაყრდნობით, შეიქმნა ეროვნულ ანგარიშთა სისტემა,* რომელიც 1958 წლიდან საფუძვლად დაედო ცალკეული ქვეყნების ეკონომიკის

---

[4] Экономическая цивилизация и постиндустриализм. “Экономическая теория на пороге XXI века.” М., “Юрист”, 2000, с. 49-57.

* **ეროვნულ ანგარიშთა სისტემა** შეიქმნა ეკონომიკის დარგში ნობელის პრემიის პირველი ლაურეატის **რაგნარ ფრიშის** (1895–1973) უშუალო ხელმძღვანელობით. აღსანიშნავია, რომ ეკონომიკურ ანალიზში მათემატიკური მეთოდების გამოყენებაში შეტანილი წვლილისთვის ნორვეგიელი მეცნიერის პატივსაცემად 1978 წელს დაარსდა **ფრიშის** მედალი.

დანარჩენ მსოფლიოსთან ეკონომიკური კავშირების შესწავლას. დასაბამი მიეცა მომსახურების სფეროს დივერსიფიკაციას, მისი განსაკუთრებული როლის წარმოჩენასა და ახალი ტექნოლოგიების შექმნას.[5] რეალური სექტორი (აგრარული და ინდუსტრიული სექტორები) მიზეზ-შედეგობრივ კავშირურთიერთობაში აღმოჩნდა მომსახურების სექტორთან. **ამ პროგრესულმა მოვლენამ მსოფლიო ეკონომიკური განვითარების ვექტორი შეცვალა**. უკვე 60-იანი წლებიდან კაპიტალიზმის გავითარებაში დაიწყო ახალი ეპოქა – ინდუსტრიული საზოგადოების პოსტინდუსტრიულში გადაზრდის შეუქცევადი პროცესი.[6] **ამ მოვლენამ უდიდესი როლი შეასრულა საზოგადოებრივი სექტორის ეკონომიკის, როგორც მეცნიერების, წარმოშობაში**. ამ გადასვლით ყურადღება გამახვილდა ახალი საზოგადოების, ახალი სოციუმის ფორმირებაზე. დაიწყო ტრადიციული სოციალური სტრუქტურების არსებითი მოდიფიკაცია, საფუძველი ჩაეყარა სამოქალაქო საზოგადოების ფორმირებასაც. XX საუკუნის 60-იანი წლებიდან ეკონომიკურად დაწინაურებულმა ქვეყნებმა მიიღეს განვითარებული ქვეყნის სტატუსი.*

---

[5] **ასათიანი რ.** მომსახურება და საბაზრო სისტემა. თბილისი, „თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა “, 1993, გვ. 44-49.

[6] **Белл Д.** Грядущее постиндустриальное общество. Перевод с английского. М., «Academia», 1999.

* სხვადასხვა საერთაშორისო ორგანიზაციის (გაეროს განვითარების ფონდი, საერთაშორისო სავალუტო ფონდის, გაეროს ვაჭრობისა და განვითარების კონფერენციის – UNCTAD, მსოფლიო ბანკის...) თუ ცალკეული მკვლევართა მიერ ერთმანეთისგან განსხვავებული კრიტერიუმების საფუძველზე შემოთავაზებული კლასიფიკაციების მიხედვით, ამ ქვეყნების რაოდენობა განსხვავებულია. მაგალითად, გაეროს განვითარების ფონდის კლასიფიკაცია მოიცავს მსოფლიოს 194 ქვეყანას, მათ შორის, განვითარებულია ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითა-

ამ პერიოდიდან მოყოლებული,კაპიტალიზმის ტრანსფორმაციის შედეგად,კერძო კაპიტალისტური საკუთრების ბატონობაზე დაფუძნებული ეკონომიკური სისტემის ახალ თვისებრიობაში გადაზრდამ ტრაექტორია შეუცვალა მსოფლიო განვითარებას. **სოციალურად ორიენტირებული ეკონომიკის ფორმირება თანამედროვე მსოფლიოს განვითარების მნიშვნელოვან ტენდენციად იქცა და ახალი მსოფლიო წესრიგისა და სამოქალაქო საზოგადოების ჩამოყალიბების გარანტადაა აღიარებული**. ამ გარემოებამ ხელი შეუწყო ზნეობრივი ფასეულობების წინა პლანზე წამოწევას, რომელმაც ჩამოიტოვა მანამდე ფესვებგადგმული,შეიძლება ითქვას,სოციალური ინსტიქტით განპირობებული მოთხოვნილებები და მათზე მაღლა დადგა.

ასეთია ის ობიექტური წანამძღვრები, რომლებმაც შექმნეს პირობები საზოგადოებრივი სექტორის ეკონომიკის წარმოშობისათვის. ეკონომიკური მეცნიერების არც ერთი დარგისთვის არ არის ნიშანდობლივი ისეთი ძლიერი ინტეგრირებული საწყისი,როგორიც საზოგადოებრივი სექტორის ეკონომიკისთვისაა.

რების ორგანიზაციის (OECD) 35 ქვეყანა,აქედან,უფრო განვითარებულია (more developed countries) – 24 ქვეყანა, რომელთა წილად მოდის მსოფლიოში წარმოებული საქონლისა და მომსახურების თითქმის 2/3,ნაკლებად განვითარებულია (less developed countries) 137 ქვეყანა, რომელთა წილად მოდის მსოფლიო მოსახლეობის 81%. ცალკე ჯგუფადაა გამოყოფილი აღმოსავლეთ ევროპისა და СНГ–ს ქვეყნებიმაგრამ **არსებობს 22 ქვეყანა, რომელიც ნებისმიერ კლასიფიკაციაში ხვდება, როგორც განვითარებული ქვეყანა**. ეს ქვეყნებია: აშშ,იაპონია, გერმანია, საფრანგეთი, გაერთიანებული სამეფო, კანადა,ესპანეთი,შვედეთი, იტალია, ნორვეგია, ლუქსემბურგი, ავსტრია, შვეიცარია, ბელგია, დანია, ფინეთი, ისლანდია, ირლანდია, ნიდერლანდები, პორტუგალია, ავსტრალია, ახალი ზელანდია.

I.3. ეკონომიკის სახელმწიფო რეგულირება – საბაზრო სისტემაში საზოგადოებრივი სექტორის ეკონომიკის წარმოშობის საფუძველი

პასუხი საბაზრო ეკონომიკის ტრიადაზე – რა? როგორ? ვისთვის? არ შემოიფარგლება მხოლოდ კერძო საქონლისა და მომსახურების კვლავწარმოებით. ამ ფუნდამენტური პრობლემების გადასაწყვეტად საკმარისი არ არის მხოლოდ მოთხოვნით გამოხატული ინდივიდუალური მომხმარებლების ინტერესების გათვალისწინება, აუცილებელია სახელმწიფოს მიერ საზოგადოებრივი ინტერესების დაცვაც. საბაზრო სისტემის ზოგად თეორიულ პრინციპებზე დაყრდნობით, ბაზრის პრიზმაში გავლითა და საზოგადოების ინტერესების გათვალისწინებით, სახელმწიფო არეგულირებს თავის საქმიანობას ეკონომიკაში.

მაკროეკონომიკური რეგულირების კეინზიანური მოდელი,რომელმაც უდიდესი როლი შეასრულა სახელმწიფოს ეკონომიკური როლის გააქტიურებაში,XX საუკუნის 70-იანი წლების შუა ხანებამდე გამოიყენებოდა განვითარებული ქვეყნების ეკონომიკურ პოლიტიკაში (აშშ-ში სწორედ ამ პერიოდში გაატარეს სიღარიბესთან ბრძოლის ფართომასშტაბური ღონისძიებები),* თუმცა,ჯ. მ. კეინზის მითითებების უგულებელყოფამ (რომელიც ითვალისწინებდა ეკონომიკის აღმავლობის პერიოდში „მოთხოვნის თეორიის“ „მიწოდების თეორიით“ შეცვლასა და ნეოკლასიკური პოსტულატების წინა პლანზე წამოწევას) და დასავლეთის ქვეყნების ეკონომიკაში სახელმწიფოს მეტისმეტმა ჩარევამ უარყოფითი შედეგები გამოიწვია, რაც გამოიხატა ინფლა-

* აშშ-ის იმდროინდელმა პრეზიდენტმა **ლინდონ ბ. ჯონსონმა** 60-იან წლებში გამოაცხადა „ომი სიღარიბესთან“ და დაიწყო სახელმწიფო პროგრამების განხორციელება.

ციის გაძლიერებაში, ბიუჯეტის დეფიციტისა და სახელმწიფო ვალის გაზრდაში,გადასახადების გადიდებასა და ა.შ., რასაც მოჰყვა ეკონომიკური ზრდის შენელება და 1974–1975 წლების მსოფლიო ეკონომიკური კრიზისი.[7] მართალია, კეინზიანური მოდელის მოწინააღმდეგეთა შეხედულებების რენესანსმა ხელშემწყობი პირობები შექმნა „სახელმწიფო მინიმუმის“ კლასიკური თეორიის აღორძინებისათვის, მაგრამ, სახელმწიფოს არ დაუკარგავს თავისი როლი და მნიშვნელობა საზოგადოებრივი ინტერესების რეალიზაციის თვალსაზრისით, განსაკუთრებით 80-იანი წლებიდან მოყოლებული, როდესაც განვითარებული ქვეყნების ეკონომიკურ პოლიტიკას საფუძვლად ახალი ეკონომიკური თეორია – „ნეოკლასიკური სინთეზი“* დაედო.

საბაზრო ეკონომიკის განვითარება დროის მოთხოვნად შეფასდა. ჩამოყალიბდა ღია, ჰუმანური საზოგადოება, რომელიც დემოკრატიული ფასეულობების განვითარების საწინდარია.

მსოფლიოში სოციალურობის ტენდენციის გაძლიერებამ კანონზომიერი ხასიათი მიიღო. სოციალურმა ორიენტაციამ საბაზრო ეკონომიკა პოლიტიკურად სიცოცხლისუნარიანი გახადა და დააჩქარა საზოგადოებრივი სექტორის ეკონომიკის ჩამოყალიბება-განვითარება,რომლის სიდიდეს ძირითადად განსაზღვრავს ეკონომიკის ნაციონალიზაციის დონე, სახელმწიფო ფინანსების ოდენობა, „მესამე სექტორის“ მასშტაბები და ხელისუფლების პოლიტიკური ნება.

---

7 **Асатиани Р.** Все ли отношения в рыночной экономике рыночны? “Российский экономический журнал,” 1993, №1.

* „ნეოკლასიკური სინთეზის“ მთავარი წარმომადგენელია „ეკონომიქსის“ პირველი ავტორი **პოლ სამუელსონი**.

I.4. საზოგადოებრივი სექტორის ეკონომიკის საგანი, ამოცანები და სტრუქტურა

საზოგადოებრივი სექტორის ეკონომიკა შეისწავლის სახელმწიფო სექტორში არსებული შეზღუდული რესურსების ეფექტიანად გამოყენების გზებსა და ოპტიმალური არჩევანის პრობლემას შეუზღუდავი საზოგადოებრივი მოთხოვნილებების მაქსიმალურად დაკმაყოფილების მიზნით. იგი იკვლევს საზოგადოებრივ სექტორში არსებული რესურსების ფორმირებისა და გამოყენების პრობლემებს, მისი ორგანიზაციების ეკონომიკურ ქცევასა და გავლენას ეკონომიკის სექტორებისა (აგრარული, ინდუსტრიული და მომსახურების სექტორების) და შინამეურნეობების ეკონომიკურ საქმიანობაზე. ამ რესურსების რაციონალურ გამოყენებაზე დიდად არის დამოკიდებული ქვეყნის ეკონომიკის მდგომარეობა, განსაკუთრებით, მისი სოციალური ორიენტირებულობის ხარისხი. **ამიტომ სახელმწიფოს მიერ აკუმულირებული რესურსების, პირველ რიგში, სახელმწიფო ფინანსების ეფექტიანად გადანაწილება და გამოყენება საზოგადოებრივი სექტორის ეკონომიკის, როგორც მეცნიერების, კვლევის საგანი და მისი პრეროგატივაა.**

უკანასკნელი ათეული წლების მანძილზე საზოგადოებრივი სექტორის ეკონომიკას საპატიო ადგილი უჭირავს ეკონომიკურ მეცნიერებებსა და სასწავლო დისციპლინებს შორის. ამასთან, იგი სწრაფად ვითარდება. საერთაშორისო მასშტაბით ეკონომიკაში სოციალური ორიენტირებულობის გაძლიერების ტენდენციამ ახალი გამოწვევების წინაშე დააყენა საზოგადოების განვითარებისთვის ეს მეტად საჭირო დარგი.

რა საკითხებზე ცდილობს პასუხის გაცემას საზოგადოებრივი სექტორის ეკონომიკა როგორც მეცნიერება?

ამ საკითხებს შორის ყველაზე არსებითია ის, თუ:

1. რა როლს ასრულებს საზოგადოებრივი სექტორის ეკონომიკა სოციალურად ორიენტირებული საბაზრო ეკონომიკის სოციალურ საბაზრო ეკონომიკად ფორმირებაში?

2. რა გავლენას ახდენს სახელმწიფოს შემოსავლები და ხარჯები ეკონომიკურ სუბიექტთა ქცევაზე,კერძო ფირმებსა და შინამეურნეობებზე?

3. რა გზით უნდა შემცირდეს ბიუჯეტის დეფიციტი – მაღალი გადასახადების შემოღებით თუ სახელმწიფო ხარჯების შემცირებით?

4. რა როლს ასრულებს მეცნიერების ეს დარგი ეკონომიკის სოციალური ორიენტირებულობის გაძლიერებისათვის?

საზოგადოებრივი სექტორის ეკონომიკის ყურადღების ცენტრშია, პირველ ყოვლისა, სახელმწიფოს ზემოქმედება საბაზრო ეკონომიკის სხვა სუბიექტებზე.

საზოგადოებრივი სექტორის ეკონომიკა შეისწავლის ზემოთ ჩამოთვლილ საკითხებს როგორც პოზიტიური,ისე ნორმატიული ასპექტების გათვალისწინებით,ანუ **საზოგადოებრივი სექტორის ეკონომიკა, ერთი მხრივ, შეისწავლის სახელმწიფოს ფაქტობრივ ეკონომიკურ საქმიანობას და მასზე სამეურნეო სუბიექტების რეაგირებას (მათ ქცევას), მეორე მხრივ, ფაქტებზე დაყრდნობით, სახელმწიფოს მიერ გატარებული ღონისძიებების ეფექტიანობას, ქვეყნის ეკონომიკურ პოლიტიკაში მათი ასახვის მიზანშეწონილობას.**

საზოგადოებრივი სექტორის ეკონომიკა, ქვეყნის ეკონომიკის სოციალური ორიენტაციის გაძლიერებასთან დაკავშირებით იძლევა სამომავლო რეკომენდაციებს დასმული მრავალი პრობლემის გადაჭრისათვის.

საზოგადოებრივი სექტორის ეკონომიკა, როგორც მაკროეკონომიკური რეგულირების შემადგენელი ნაწილი, ქვეყნის ეკონომიკურ პოლიტიკაზე დაყრდნობით,ითვალისწინებს: 1. **ეკონომიკურ თავისუფლებას** (ეკონომიკური სუბიექტების შესაძლებლობას და უფლებას აირჩიონ ეკონომიკური საქმიანობის სფერო); 2. **სრულ დასაქმებას** (უმუშევრობის ბუნებრივ დონეზე შენარჩუნებას); 3. **ეკონომიკურ ზრდასა და ეკონომიკურ განვითარებას** (მოსახლეობის ცხოვრების ხარისხის ამაღლებასა და ცხოვრების მაღალი დონის უზრუნველყოფას); 4. **ფასების სტაბილურობას** (ინფლაციის ზრდის დაუშვებლობასა და ფინანსური სტაბილურობის შენარჩუნებას); 5. **ეფექტიან დაბეგვრას** (გადასახადების იმ დონეზე დაწესებას, რომელიც ხელს შეუწყობს ქვეყანაში ეფექტიანი ეკონომიკური პოლიტიკის განხორციელებას); 6. **სოციალურ სტაბილურობას** (მოსახლეობის სოციალურ დაცვას, სოციალური პროგრესის უზრუნველყოფისათვის პირობების შექმნას); გარდა ამისა, სოციალურ სტაბილურობაში შედის გაეროს ეროვნულ ანგარიშთა სისტემაში ცალკე პუნქტად წარმოდგენილი **სხვა სოციალური, კომუნალური და პერსონალური მომსახურება,** რომელშიც, თავის მხრივ, შედის: ნარჩენების ლიკვიდაცია, სანიტარული გადამუშავება (ქუჩებისა და გზების დაგვა, მორწყვა, ავტოსტრადებისა და აეროპორტების გაწმენდა თოვლისა და ყინულისაგან და სხვ.), რელიგიური ორგანიზაციების საქმიანობა, პოლიტიკური ორგანიზაციების საქმიანობა, სხვა საწევრო ორგანიზაციების საქმიანობა, (ომის ვეტერანთა საქმიანობა, ახალგაზრდობის ასოციაცია, სტუდენტური ასოციაცია, კინომოყვარულთა ასოციაცია, მებაღეობის მოყვარულთა ასოციაცია, მუსიკისა და მხატვრობის მოყვარულთა ასოციაცია და სხვ.) , დასვენებისა და გართობის, კულტურისა და სპორტის ორგანიზაციის

სფეროში საქმიანობა; 7. **ეკონომიკურ უსაფრთხოებას** (ეკონომიკური წონასწორობის შენარჩუნებას); 8. **სასურსათო უსაფრთხოებას** (სასურსათო წონასწორობის შენარჩუნებას, მოსახლეობის დაცვას ჯანმრთელობისათვის მავნე სურსათისაგან); 9. **მსოფლიოში აპრობირებული მეთოდებით რაციონალურ ბუნებათსარგებლობასა და ეკოლოგიური უსაფრთხოების უზრუნველყოფას** (ეკოლოგიური წონასწორობის შენარჩუნებას, გარემოს დაცვას, ჯანსაღ ბუნებათსარგებლობას); 10. **ეფექტიანი სახელმწიფო დაზღვევის** (სავალდებულო სოციალური დაზღვევის) განვითარებას, ასევე,კერძო დაზღვევის ხელშეწყობას.

საზოგადოებრივი სექტორის ეკონომიკის ძირითადი მიმართულებების რეალიზაცია უკავშირდება სახელმწიფო ფინანსების ეფექტიან მართვასა და არასაბაზრო სექტორის განვითარებას.

ბაზრის ნაკლოვანებებიდან გამომდინარე,საზოგადოებრივი სექტორის ეკონომიკის კვლევის სფეროშია მოქცეული **ეკონომიკის არასაბაზრო სექტორი,** რაც უშუალოდ უკავშირდება დასავლეთში საკმაოდ აპრობირებულ **საზოგადოებრივი დოვლათის (Public goods) წარმოებას, საზოგადოების დაცვას უარყოფითი გარე ეფექტებისგან, სასიცოცხლო მნიშვნელობის დარგებში ბუნებრივი მონოპოლიების შენარჩუნებასა და მართვას, შემოსავლების გადანაწილებას გარკვეული დოზით, მაკროეკონომიკურ რეგულირებას საბიუჯეტო-საგადასახადო და ფულად-საკრედიტო მექანიზმებით** და ა.შ. ამათ გარეშე ზედმეტია სოციალურ რეფორმებზე საუბარი. აქედან გამომდინარე,**საზოგადოებრივი სექტორის ეკონომიკა შეისწავლის სახელმწიფოს, როგორც საბაზრო ეკონომიკის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი სუბიექტის, ეკონომიკურ ქცევას საზოგადოებრივი დოვლათის წარმოების, განაწილების, გაცვლისა და მოხმარების პრო-**

ცესში. საზოგადოებრივ დოვლათზე მოთხოვნა-მიწოდება ხორციელდება სახელმწიფო რეგულირებითა და უშუალო კონტროლით.

სახელმწიფოსადმი ერთ-ერთი მკაცრი მოთხოვნაა **ალოკაციის ფუნქციის** შესრულება, რაც უკავშირდება არასასაქონლო დოვლათისა და მომსახურების ანუ საზოგადოებრივი დოვლათის (გზები, საზოგადოებრივი განათება, წესრიგის დაცვა და ა.შ.) წარმოებას, რომელიც შეუძლებელია საბაზრო ფასით მიეწოდოს მოსახლეობას. ეს სახელმწიფოს ერთ-ერთი მთავარი ფუნქციაა. მისი ინდივიდუალიზაცია ყიდვით არ შეიძლება და ექვემდებარება კოლექტიურ მოხმარებას. სახელმწიფო თავის თავზე იღებს საზოგადოებრივი დოვლათის წარმოებას,მისი დაფინანსება კი უმთავრესად სახელმწიფო ბიუჯეტით ხორციელდება.

საზოგადოებრივი სექტორის ეკონომიკის ამოცანებიდან გამომდინარე, გარდა ალოკაციის ფუნქციისა, სახელმწიფო ასრულებს რეგულირებისა და გადანაწილების ფუნქციებს.

რეგულირების ფუნქციით სახელმწიფო არეგულირებს ეკონომიკურ საქმიანობას ანუ მისი ფუნქციაა გამოასწოროს მაკროეკონომიკური წონასწორობის დარღვევა, რაც გამოიხატება ეკონომიკური ზრდის დაცემით, უმუშევრობის, ინფლაციის ზრდით, საგადასახდელო ბალანსის დეფიციტით და ა.შ.

გადანაწილების ფუნქციით სახელმწიფო, ეკონომიკურ აგენტთა მკვეთრად დიფერენცირებული შემოსავლების გადანაწილებით, უზრუნველყოფს საზოგადოებაში არსებული უთანასწორობის შემცირებას. ჭეშმარიტი სოციალური რეფორმები იწყება მაშინ, როდესაც სახელმწიფო შეიმუშავებს ქვეყნის ინტერესებიდან გამომდინარე კანონმდებლობას (მათ შორის, ანტიმონოპოლიურსაც). მოქნილი ფისკალური და ფულად-საკრედიტო პოლიტიკის გატარებით,კონკურენციის დაცვით,ჯანსაღი საინვესტიციო

კლიმატის შექმნით, მცირე ბიზნესის წახალისებითა და, საერთოდ, მოსახლეობის საქმიანი აქტიურობის გაზრდით მოახდენს **საბაზრო უწონასწორობის*** მინიმიზაციას, ისეთ მიმართულებას მისცემს ბაზარს, რომელიც განაპირობებს პიროვნების შესაძლებლობათა მაქსიმალურ რეალიზაციას. ეს პრობლემებიც, რომელთა გადაჭრასაც სოციალურად ორიენტირებული ეკონომიკისაკენ მივყავართ, საზოგადოებრივი სექტორის ეკონომიკის კვლევის სფეროა.

საზოგადოებრივი სექტორის ეკონომიკის კვლევის არეალშია **ქვეყნის ეკონომიკური უსაფრთხოების უზრუნველყოფაც**. ეს უკანასკნელი საკითხთა ფართო წრეს მოიცავს, ეროვნული უსაფრთხოების შემადგენელი ნაწილი და მისი მატერიალური საფუძველია. ეკონომიკური უსაფრთხოების სტრატეგიაში განსაკუთრებული ყურადღება ექცევა ეკონომიკური უსაფრთხოების კრიტერიუმებისა და პარამეტრების შემუშავებას, რაც საზოგადოებრივი სექტორის ეკონომიკის პრეროგატივაა.

როგორც განვითარებული ქვეყნების გამოცდილებიდან ჩანს, სახელმწიფო ხარჯების პოლიტიკაში ცენტრალური ადგილი სოციალური სტაბილურობის უზრუნველყოფის ხარჯებს უჭირავს. მოსახლეობის ნაკლებად უზრუნველყოფილი ჯგუფების მხარდამჭერი სოციალური პროგრამების დაფინანსებასთან ერთად, საბიუჯეტო სახსრების გარკვეული ნაწილი გამოიყოფა სოციალურ-კულტურული დარგების განვითარების სახელმწიფო პროგრამებისათვის. **სოციალურ სფეროში აქტიური როლის შესრულებით სახელმწიფო**

* 2014 წლის საქსტატის მონაცემებით, საქართველოში **საბაზრო უწონასწორობის** ნათელი მაგალითია **თვითუზრუნველყოფის დონე** (ადგილობრივი სასურსათო წარმოების თანაფარდობა სასურსათო მოხმარებასთან) რიგი სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის მიხედვით: ხორბალი 8%, ფრინველის ხორცი 25%, ხორცი 41%, ბოსტნეული 70% და ა.შ.

სოციალურად ორიენტირებული, „კეთილდღეობის სახელმწიფოს“ ნიშნებს იძენს. მოსახლეობის საშუალო ფენის გაძლიერებით მცირდება ლობიზმის ნეგატიური შედეგების მასშტაბები, სახელმწიფო აპარატის კონსერვატიულ-ბიუროკრატიული ხასიათი, ჩქარდება ეკონომიკის ინსტიტუციონალიზაციის პროცესი, ძლიერდება კერძო სტრუქტურების სოციალური პასუხისმგებლობა, ვითარდება საზოგადოების თვითშეგნება. **სამოქალაქო საზოგადოების ინსტიტუტებისა და ჰუმანიზაციის პროცესების გაძლიერებით წარმოშობილი ახალი პრობლემები ამდიდრებს საზოგადოებრივი სექტორის ეკონომიკის შინაარსს.**

გადასახადები, როგორც სახელმწიფოს მიერ საზოგადოებისათვის გაწეული მომსახურების საფასური, ეკონომიკის სტიმულირებისა და რეგულირების უმნიშვნელოვანესი ბერკეტი, საბიუჯეტო შემოსავლების ძირითადი წყარო, წინა პლანზე აყენებს დაბეგვრის თეორიის საკითხების კვლევას, გადასახადებისა და ეკონომიკური ეფექტიანობის ურთიერთქმედების ჭრილში და სახელმწიფოს როლს ოპტიმალური დაბეგვრის განხორციელებაში. ამ კუთხითაც **გადასახადების მრავალწახნაგოვანი ფენომენიც საზოგადოებრივი სექტორის ეკონომიკის კვლევის საგანია.**

სახელმწიფო ბიუჯეტის დეფიციტის გლობალური პრობლემა განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებს სახელმწიფო ხარჯების ოპტიმალური განაწილების საკითხს. ამასთან დაკავშირებით, მეტად აქტუალური ხდება **საბიუჯეტო ფედერალიზმის საკითხების კვლევა,** რომელიც საზოგადოებრივი სექტორის ეკონომიკის შესწავლის ერთ-ერთი სფეროა. მთლიანობაში, საბიუჯეტო-საგადასახადო რეგულირებას, როგორც ეკონომიკის სახელმწიფო რეგულირების ანუ მაკროეკონომიკური რეგულირების ერთ-ერთ ძირითად მიმართულებას, მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს სახელმძღვანელოში და ზრდის ინტერესს საკვლევი პრობლემის მიმართ.

საზოგადოებრივი სექტორის ეკონომიკის კვლევის მნიშვნელოვანი სფეროა აგრეთვე **შემოსავლების გადანაწილების პრობლემებიც,** რომლებიც, თავის მხრივ, მოიცავენ სიღარიბისა და მინიმალური სოციალური გარანტიების, ინფლაციისა და მოსახლეობის შემოსავლების გაუფასურების, ქველმოქმედებისა და მეცენატობის, განათლების განვითარებისა და ჯანმრთელობის დაცვის სახელმწიფო დაფინანსების და სახელმწიფოს მიერ მეცნიერების სტიმულირების აუცილებლობის საკითხებს.

ინსტიტუციურ რეფორმებთან (განსაკუთრებით განსახელმწიფოებრიობასთან), ახალი მსოფლიო წესრიგისა (ეკონომიკური წესრიგის პრიორიტეტის გათვალისწინებით) და სამოქალაქო საზოგადოების მშენებლობასთან დაკავშირებული საკითხები, რომლებიც უდიდეს გავლენას ახდენენ საზოგადოებრივი სექტორის ეკონომიკის განვითარებაზე, კიდევ უფრო აფართოებს საკვლევ არეალს, ხოლო **გლობალიზაციის ეპოქალური მრავალწახნაგოვანი პროცესის ახსნა,** მისი პოზიტიური და ნეგატიური ეფექტების გავლენა ეკონომიკის განვითარებაზე, კერძოდ კი, საზოგადოებრივი სექტორის ეკონომიკის ფუნქციონირებაზე, ამდიდრებს და უაღრესად საინტერესოს ხდის საკვლევ პრობლემას.

თანამედროვე პირობებში ქვეყნის ეკონომიკურ განვითარებაში, ნაკლებად მოიძებნება საკითხი,რომელიც რაიმე კუთხით გავლენას არ ახდენდეს საზოგადოების სოციალურ ორიენტირებულობაზე. სოციალურად ორიენტირებული საბაზრო ეკონომიკის განვითარების შემდგომი საფეხური – **სოციალური საბაზრო ეკონომიკა ცივილიზაციის ახალი ფორმაა, რომლის „ყლორტები“ უკვე გამოიკვეთა დასავლეთ ევროპის ზოგიერთ განვითარებულ ქვეყანაში.** ეს უაღრესად საინტერესო პრობლემა ნაშრომის ლაიტმოტივი და განხილვის თემაა.

დაბოლოს,პოსტკომუნისტურ ქვეყნებში საბაზრო ეკონომიკაზე გარდამავალი პერიოდის პრობლემები კიდევ უფრო აფართოებს საზოგადოებრივი სექტორის ეკონომიკის კვლევის არეალს. ამასთან დაკავშირებით, **სახელმძღვანელოში გაშუქებულია საზოგადოებრივი სექტორის ეკონომიკის როლი და ზემოთ ჩამოთვლილი ზოგადსაკაცობრიო ამოცანების განხორციელების თავისებურებები საქართველოს საბაზრო სისტემაზე გარდამავალ ეკონომიკაში.**

ყურადღებას იმსახურებს საზოგადოებრივ სექტორში დასაქმებულთა სტატუსის განსაზღვრა. ვინ უნდა ჩაითვალოს საზოგადოებრივ სექტორში დასაქმებულად, მხოლოდ სახელმწიფო მოხელეები თუ სახელმწიფო სექტორში, ყველა დაქირავებული ანუ სახელმწიფო საკუთრებაში არსებულ საწარმოებში, დაწესებულებებსა და ორგანიზაციებში დასაქმებულები,ე.ი. სახელმწიფო ბიუჯეტიდან შრომის ანაზღაურების მიმღები პირები?

სხვადასხვა ქვეყანაში ამ პრობლემის მიმართ რამდენადმე განსხვავებული მიდგომაა,მაგალითად:

აშშ-ში საზოგადოებრივ სექტორში დასაქმებულთა რიცხვს მიეკუთვნება ნებისმიერი პირი, რომლის შრომაც ანაზღაურდება ხელისუფლების ფედერალური, შტატებისა თუ ადგილობრივი ორგანოების ბიუჯეტებიდან;

გერმანიაში საზოგადოებრივი სექტორის მუშაკებს მიეკუთვნება არა მხოლოდ მმართველობის ორგანოებში დასაქმებულები, არამედ ყველა დაქირავებით დასაქმებულები სახელმწიფო სექტორში (მათ რიცხვში, უმაღლეს სასწავლებლებში დასაქმებულები, სკოლამდელი დაწესებულებების მუშაკები,მასწავლებლები,სახელმწიფო საწარმოთა მუშაკები და ა.შ.);

იაპონიაში საზოგადოებრივ სექტორში დასაქმებულთა კატეგორიას მიეკუთვნება არა მხოლოდ ადმინისტრაცი-

ული აპარატის მუშაკები,ჩინოვნიკები,არამედ სახელმწიფო საწარმოებში მომუშავენი (რკინიგზის, ტელევიზიის, პოლიციისა და სახანძრო სამსახურის მუშაკები,თავდაცვისა და სამხედრო სფეროში, აგრეთვე სახელმწიფო და მუნიციპალიტეტის სკოლების თანამშრომლები და ა.შ.);

ფინეთში საზოგადოებრივ სექტორში დასაქმებულები დაყოფილია ორ ჯგუფად: პირველი, სახელმწიფოს ადმინისტრაციაში, სამინისტროებში, სააგენტოებსა და ა.შ. მომუშავენი და მეორე, სახელმწიფო საწარმოებსა და დაწესებულებებში (ფოსტა,რკინიგზა,ტელეკომუნიკაციების სისტემა და ა.შ.) დასაქმებულები;

გაერთიანებულ სამეფოში არსებობს მკვეთრი დაყოფა: სამოქალაქო (სახელმწიფო) სფეროში დასაქმებულებს მიეკუთვნება სამინისტროების (დეპარტამენტების) და ცენტრალური უწყებების მუშაკები, რომლებიც ხელფასს იღებენ პარლამენტიდან. სამოქალაქო მოსამსახურეებს არ მიეკუთვნებიან მოსამართლეები,სამხედრო მოსამსახურენი, პოლიციისა და ადგილობრივი თვითმმართველობის მუშაკები, მასწავლებლები და ჯანდაცვის ეროვნულ სამსახურში დასაქმებულები. თუმცა,ყველა ზემოთ ჩამოთვლილი გაერთიანებულია საზოგადოებრივი სექტორის მუშაკთა კატეგორიაში.[8]

საზოგადოებრივი სექტორი როგორც არაკომერციული (არასაბაზრო) სექტორის ნაწილი (არაკომერციულ სექტორში შედის აგრეთვე შინამეურნეობები), ეკონომიკურ ურთიერთობათა სპეციფიკური სფეროა, სადაც არ მოქმედებს ბაზრის კანონები (ან მოქმედებს შეზღუდულად) და ეკონომიკურ სუბიექტებს შორის მოქმედებს ურთიერთობის არასაბაზრო წესი, ამასთან, მოგების მიღება არ წარმოადგენს

[8] **Зенков М. Ю.** Зарубежный опыт управления: государственная служба. Новосибирск, 2014.

წამყვან ეკონომიკურ საქმიანობასა და წარმოების მიზანს. საზოგადოებრივ სექტორში წამყვან როლს ასრულებს სახელმწიფო შესაბამისი ინსტიტუციური ერთეულებით, ხოლო მიზანია საზოგადოებრივი დოვლათის წარმოება. საზოგადოებრივ სექტორში, გარდა სახელმწიფო სექტორისა, შედის „მესამე სექტორი – არასახელმწიფო, არაკომერციული სექტორი.

საბაზრო ეკონომიკის, როგორც კაპიტალიზმის განვითარებული ფორმის, სტრუქტურის შესახებ ნათელ წარმოდგენას იძლევა №1 სქემა.

№1 სქემა

სოციალურად ორიენტირებული საბაზრო ეკონომიკის სტრუქტურა



კერძო, კომერციული სექტორი მოიცავს კერძო ფირმებში, საწარმოებსა და ორგანიზაციებში წარმოებულ საქონელსა და მომსახურებას, ხოლო მისი დაფინანსების წყაროა კერძო სექტორში წარმოებული საქონლისა და მომსახურების გაყიდვით მიღებული შემოსავალი.*

---

* **კერძო, კომერციულ სექტორში შედის:** კომპიუტერებთან დაკავშირებული საქმიანობები (კონსულტაციები ტექნიკურ და პროგრამულ უზრუნველყოფაში, საფინანსო, სტატისტიკური და ტექნიკური მონაცემების დამუშავება და შენახვა, საკანცელარიო, საბუღალტრო და ეგმ-ის ტექნიკური მომსახურება და რემონტი, კომპიუტერულ ტექნიკასთან დაკავშირებული სხვა საქმიანობები), გამოკვლევები და დამუშავებები (ფუნდამენტური და გამოყ-

შერეულ სექტორში შედის საერთო ინტერესების საფუძველზე შექმნილი სხვადასხვა მიზნის მატარებელი საბაზრო სისტემის ნებისმიერი სტრუქტურა.

შინამეურნეობა თვითუზრუნველყოფაზე მყოფი გამოცალკევებული ინსტიტუციური ერთეულია. 1981 წლის გაეროს კომისიის გადაწყვეტილებით, შინამეურნეობა შეიძლება იყოს წარმოდგენილი ერთი პირით ან ადამიანთა ჯგუფის სახით. გამომდინარე იქიდან, რომ სახელმწიფოს ფუნქციების განხორციელებაში მთავარ როლს სახელმწიფო ბიუჯეტი ასრულებს,ხოლო სახელმწიფო სექტორი საზოგადოებრივი სექტორის ძირითადი შემადგენელი ნაწილია, ამიტომ **საზოგადოებრივი სექტორის ეკონომიკა არსებითად სახელმწიფო ფინანსების ხარჯზე ფუნქციონირებს**. გამონაკლისია მხოლოდ „მესამე სექტორი“, რომელიც სრულიად განსხვავებულ დაფინანსებაზე მყოფი სტრუქტურაა.

ენებითი გამოკვლევები,ექსპერიმენტული დამუშავებები),სხვა კომერციული საქმიანობები (საქმიანობა სამართლის,ანგარიშების შედგენის, საბუღალტრო აღრიცხვისა და რევიზიის სფეროში, კონსულტაციები დაბეგვრის საკითხებზე,ბაზრის კონიუნქტურის გამოკვლევა და საზოგადოებრივი აზრის შესწავლა, კონსულტაციები კომერციულ საქმიანობასა და მართვის საკითხებზე), საქმიანობები არქიტექტურისა და სამოქალაქო მშენებლობის სფეროში და მათთან დაკავშირებული ტექნიკური კონსულტაციები (საპროექტო-საკონსტრუქტორო,მარკშეიდერული,გეოლოგიურ-საძიებო,საინჟინრო სამუშაოები და სხვ.),ყველა სახის მასალისა და პროდუქტის შემოწმება და ანალიზი,რეკლამა,ის კომერციული საქმიანობა, რომელიც არ შედის სხვა კატეგორიებში (სამუშაო ძალის დაქირავება და პერსონალით უზრუნველყოფა, გამოძიებასა და ცალკეული პიროვნების ან ქონების დაცვასთან დაკავშირებული საქმიანობა, შენობის გაწმენდა და დალაგებასთან დაკავშირებული საქმიანობა,ფოტოგრაფიის სფეროში საქმიანობა, საბროკერო საკომისიო ოპერაციები, თამასუქების ინკასირება, გამოფენების ორგანიზაციასთან დაკავშირებული მომსახურება, აუქციონერული საქმიანობა,სარედაქტორო საქმიანობა და სხვ.).

სახელმწიფო სექტორის სტრუქტურის შესახებ წარმოდგენას იძლევა №2 სქემა.

№2 სქემა

სახელმწიფო სექტორის სტრუქტურა



სახელმწიფო მმართველობის სექტორში (საბიუჯეტო სექტორში) შედის: უწყებები, სააგენტოები, მმართველობის სეგმენტი და ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოები, აგრეთვე საბიუჯეტო დაფინანსებისა და სახელმწიფო კონტროლის ქვეშ მყოფი სკოლები, საავადმყოფოები, კულტურის დაწესებულებები და ა.შ.

ურბანიზაციის ზრდა გავლენას ახდენს საზოგადოების ცხოვრების დონესა და ხარისხზე, ცვლილებებს იწვევს დასაქმების სტრუქტურაში, რაც, თავის მხრივ, აფართოებს ეკონომიკის სახელმწიფო რეგულირების სფეროს, ზრდის მოთხოვნას საზოგადოებრივ დოვლათზე. განათლებაზე, ჯანდაცვაზე, კულტურაზე (თეატრები, მუზეუმები), სოციალურ დაცვაზე, ფართოვდება გარე ეფექტების რეგულირების სფერო. ეკონომიკის განვითარებასთან ერთად, წარმოიქმნება მოთხოვნის ახალი სახეობები (ელექტრონული ვაჭრობა,

გლობალური კავშირი და ა.შ.) და ბუნებრივია,ფართოვდება არა მხოლოდ მაკრო–, არამედ მიკრო–, მეზო– და მეგა-ეკონომიკური რეგულირების სფერო, რაც განაპირობებს საზოგადოებრივი სექტორის ეკონომიკის გაფართოებას.

სახელმწიფოს ეკონომიკური ფუნქციებია: 1. ანტიინფლაციური პოლიტიკის გატარება და ანტიციკლური რეგულირება;

2. გარე ეფექტების რეგულირება;

3. საზოგადოებრივ დოვლათზე მოთხოვნის დაკმაყოფილება;

4. საბაზრო კონკურენციის ნეგატიური შედეგების (უარყოფითი გარე ეფექტების) ლიკვიდაცია;

5. ეკონომიკის ეფექტიანობის, სტაბილურობისა და სამართლიანობის უზრუნველყოფა და მასტიმულირებელი ფუნქციის შესრულება.

სახელმწიფო შემოსავლების გადანაწილებას ასახავს №3 სქემა.

№3 სქემა

სახელმწიფო შემოსავლების გადანაწილების ფორმები

საქონლისა და მომსახურების სახელმწიფო შესყ-



იდვა შემოსავლების გადანაწილების თავისებური ფორმაა, რომელიც მოიცავს სამხედრო დაკვეთებს, სამოქალაქო სამშენებლო პროგრამებს,სახელმწიფო საწარმოების კაპიტალდაბანდებების დაფინანსებას. სახელმწიფო შესყიდვა

ქმნის საქონლისა და მომსახურების გასაღების სტაბილურ ბაზარს, რაც მეწარმეთათვის მოგების მიღების გარანტია, ამასთან, ხელს უწყობს დასაქმების პრობლემის გადაჭრასა და საზოგადოების კეთილდღეობის ამაღლებას.

შემოსავლების გადანაწილების მნიშვნელოვან არხებს წარმოადგენს **სახელმწიფო კრედიტები და სუბსიდიები**. ისინი გაიცემა სახელმწიფოს მიერ სახელმწიფო ან ადგილობრივი ბიუჯეტიდან,აგრეთვე,სპეციალური ფონდებიდან. სახელმწიფო კრედიტები და სუბსიდიები გაიცემა როგორც იურიდიულ, ისე ფიზიკურ პირებზე, ასევე, ხელისუფლების ადგილობრივ ორგანოებზე.

შემოსავლების საგადასახადო გადანაწილება არის შემოსავლების რეგულირების არაპირდაპირი მეთოდი. იგი ითვალისწინებს გარკვეულ პირთა ნაწილობრივ ან მთლიან განთავისუფლებას გადასახადების გადახდისაგან და სხვა პირებისთვის საგადასახადო განაკვეთის ამაღლებას. საგადასახადო შედავათები გამოიყენება მცირე ბიზნესის განვითარებისათვის, უცხოური ინვესტიციების მოზიდვისათვის და ა.შ.

სახელმწიფო თავის თავზე იღებს ისეთ ფუნქციებს, როგორიცაა მომსახურების გაწევა უმუშევრებისათვის, ასევე, ინვალიდებისა და მათი ოჯახებისათვის, მოსახლეობის იმ ფენისათვის, რომლებიც სოციალურად დაუცველნი არიან.

I.5. ეკონომიკის სახელმწიფო რეგულირების ძირითადი მიმართულებები

თანამედროვე განვითარებულ ეკონომიკაში **სახელმწიფო რეგულირების ერთ-ერთი მიმართულებაა ეკონომიკურ-სამართლებრივი ბაზის შექმნა.** სახელმწიფო შეიმუშავებს საკანონმდებლო და ნორმატიულ დოკუმენტებს, რომლებიც წარმოადგენს ეკონომიკისა და მისი ცალკეული

სუბიექტების ფუნქციონირების მარეგულირებელ მექანიზმს. ამ ფუნქციით სახელმწიფო განსაზღვრავს ეკონომიკაში ქცევის წესებს. ამასთან, სახელმწიფო ვალდებულია გააკონტროლოს საკანონმდებლო და ნორმატიული დოკუმენტებით დადგენილი ღონისძიებების შესრულება.

განვითარებულ ქვეყნებში განსაკუთრებული ადგილი უჭირავს ეკონომიკის პროგრამირებასა და ინდიკატურ (საორიენტაციო) დაგეგმვას. ეკონომიკის პროგრამირების პრაქტიკა არსებობს მრავალ ქვეყანაში. ეს პროცესი დაიწყო II მსოფლიო ომის შემდეგ ნორვეგიაში, საფრანგეთში, ნიდერლანდში, იაპონიაში, მოგვიანებით კი – შვედეთში, დიდ ბრიტანეთში, ფინეთსა და სხვა ანალოგიური განვითარების ღონის ქვეყნებში.

ეკონომიკაში სახელმწიფო რეგულირების მეორე მნიშვნელოვანი მიმართულებაა საზოგადოებრივი დოვლათის წარმოება და განაწილება. სახელმწიფოს შეუძლია ეროობლივი მოთხოვნის დაკმაყოფილება საზოგადოებრივი დოვლათის იმ რაოდენობით, რის საშუალებასაც იძლევა საბიუჯეტო რესურსები მოცემულ პერიოდში.

სახელმწიფო ეხმარება მცირე ბიზნესს საგადასახადო და საკრედიტო პოლიტიკით, მომსახურებას და კონსულტაციებს უწევს საგანმანათლებლო სფეროს.

საბაზრო ეკონომიკისთვის დამახასიათებელი ტენდენცია მონოპოლიზაციისაკენ მოითხოვს **სახელმწიფოს მიერ ანტიმონოპოლიური კანონმდებლობის შემუშავებასა და შესაბამის რეგულირებას.** ეს აუცილებელია კონკურენციული გარემოს შექმნისათვის. ანტიმონოპოლიური რეგულირება ხორციელდება შესაბამისი საკანონმდებლო აქტების მეშვეობითა და მიმართულია მონოპოლიური გაერთიანებების შექმნის წინააღმდეგ.

სახელმწიფო ახორციელებს გარე ეფექტების რეგული-

რებას. სხვადასხვა ღონისძიებების გატარებით დადებითი გარე ეფექტების წახალისებასა და ხელშეწყობას, ხოლო უარყოფითი გარე ეფექტების – ლიკვიდაციას.

ეკონომიკის ინფრასტრუქტურის შექმნა და ინფრასტრუქტურული უზრუნველყოფა სახელმწიფოს ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მიმართულებაა. ეფექტიანი ეკონომიკა მოითხოვს მის შესაბამის ინფრასტრუქტურას – ორგანიზაციების კომპლექსს, რომელიც უზრუნველყოფს შეუფერხებელ კვლავწარმოებას. როგორც **ინსტიტუციური ინფრასტრუქტურა** (მმართველობის სახელმწიფო აპარატი), ისე **სოციალური ინფრასტრუქტურა** (სასწავლო,სამედიცინო,კულტურის დაწესებულებები) და **საინფორმაციო ინფრასტრუქტურა** (ინფორმაციული არხებისა და საცავების) იმ სფეროების ერთობლიობაა, სადაც ბაზარი შეზღუდულად მონაწილეობს და ამ ფუნქციების შესრულებას სახელმწიფოს აკისრებს.

სახელმწიფო სექტორი ქვეყნის ეკონომიკის ადეკვატური, ჯანსაღი ეკონომიკური პოლიტიკის გატარებით **საბიუჯეტო-საგადასახადო და ფულად-საკრედიტო სფეროებში** მნიშვნელოვან როლს ასრულებს ეკონომიკის სტაბილიზაციის თვალსაზრისით.

სახელმწიფო ახორციელებს ფუნდამენტური მეცნიერების წახალისებას, ატარებს სამეცნიერო-ტექნოლოგიურ და ინოვაციურ პოლიტიკას.

უდიდესია სახელმწიფოს როლი საგარეო-ეკონომიკური საქმიანობის რეგულირებაში, ეკონომიკური და სასურსათო უსაფრთხოების უზრუნველყოფაში.

რაციონალური ბუნებათსარგებლობის, ხალხთმოსახლეობისა და ურბანიზაციის ზრდის თანამედროვე პრობლემები უდიდეს პასუხისმგებლობას ანიჭებს სახელმწიფოს.

სახელმწიფოს სექტორის, როგორც ქვეყნის მაკროეკონომიკური რეგულირების ღერძის, ძირითად მიმართულებებს სქემატურად ასახავს №4 სქემა.

№4 სქემა

მაკროეკონომიკური რეგულირების ძირითადი მიმართულებები

ეკონომიკური საქმიანობის სამართლებრივი ბაზის შექმნა	მაკროეკონომიკური სტაბილიზაცია
საზოგადოებრივი დოვლათის წარმოება	ფისკალური პოლიტიკის გატარება
გარე ეფექტების (ექსტერნალიების) რეგულირება	ფულად–საკრედიტო პოლიტიკის გატარება
ანტიმონოპოლიური პოლიტიკის გატარება	საგარეო–ეკონომიკური საქმიანობის რეგულირება
ინფრასტრუქტურის შექმნა-განვითარება	ფუნდამენტური მეცნიერების ხელშეწყობა
შემოსავლების გადანაწილება	სამეცნიერო–ტექნოლოგიური პოლიტიკის გატარება
სოციალური პოლიტიკის გატარება	ეკონომიკური უსაფრთხოების უზრუნველყოფა
ინოვაციური პოლიტიკის გატარება	რაციონალური ბუნებათსარგებლობისა და ეკოლოგიური უსაფრთხოების უზრუნველყოფა
მცირე ბიზნესის ხელშეწყობა	სასურსათო უსაფრთხოების უზრუნველყოფა

I.6. „მესამე სექტორის“ არსი და ფუნქციები

„მესამე სექტორი“, როგორც არასახელმწიფო, არაკომერციული სექტორი, არის ფართო სპექტრის ორგანიზაციების, კავშირების, გაერთიანებების, ფონდებისა და

ა.შ. ერთობლიობა, საქმიანობს სპეციფიკურ რეჟიმში და კომერციული სტრუქტურებისგან განსხვავებულ მიზნებს ისახავს. „მესამე სექტორის“ მიზანი სოციალური, საქველ-მოქმედო, კულტურულ-საგანმანათლებლო, სამეცნიერო და ა.შ. სფეროებში არსებული პრობლემების გადაჭრაში აქტი-ური მონაწილეობის მიღებაა,მოქალაქეთა ჯანმრთელობის დაცვის,ფიზიკური კულტურისა და სპორტის განვითარების, კონფლიქტების გადაჭრის,ფიზიკურ და იურიდიულ პირთა უფლებებისა და კანონიერი ინტერესების დაცვისა და ა.შ. ხელშეწყობა და მიდწევაა.

„მესამე სექტორი“ ყალიბდება ისეთ საზოგადოებაში, სადაც მიმდინარეობს ღრმა სოციალურ-ეკონომიკური, ტექნოლოგიური და სხვა ცვლილებები. იგი, როგორც ინსტიტუციური ერთეული*, თავისებური რეაქციაა სახ-ელმწიფოსა და ბაზრის ნაკლოვანებებზე,ხოლო როგორც შუამავალი სახელმწიფოსა და საზოგადოებას შორის,ხელს უწყობს სოციალური დაძაბულობისა და კონფლიქტების შემცირებას.

„მესამე სექტორი“ ასრულებს შემდეგ ფუნქციებს:

– „მესამე სექტორის“ საშუალებით საზოგადოება გამო-ხატავს (და ზოგჯერ ახორციელებს კიდეც) თავის სამარ-თლიან მოთხოვნებს;

– ხელს უწყობს საზოგადოებაში მოსახლეობის ცხოვ-რების დონისა და ხარისხის ამაღლებას, პლურალიზმის განვითარებას;

– მნიშვნელოვან როლს ასრულებს საზოგადოებრივი

***ინსტიტუციური ერთეული** – სამეურნეო ერთეული, რომელიც ფლობს აქტივებს და თავისი სახელით დებულობს ვალდებულე-ბებს. გამოყოფენ კორპორაციებს,კვაზიკორპორაციებს,არაკომერ-ციულ ორგანიზაციებს,სახელმწიფო მმართველობის ორგანოებს, შინამეურნეობებს.

აზრის ჩამოყალიბებაში;

– წარმოადგენს რა სამოქალაქო საზოგადოების ინსტიტუციას, არა მხოლოდ ავრცელებს სხვადასხვა ინფორმაციას, არამედ სხვადასხვა საკითხისადმი ქმნის კიდეც ალტერნატიულ მიდგომებს განათლების, სამედიცინო მომსახურების, სოციალური დაცვის, საარსებო მინიმუმისა და ა.შ. პრობლემებთან დაკავშირებით;

– საზოგადოებრივი ღირებულებების დაცვისას, ზოგჯერ გამოდის როგორც სახელმწიფოს პარტნიორი, ზოგჯერ კი მოქმედებს სახელმწიფოს ქმედებათა ალტერნატივის როლში;

– ხელს უწყობს საზოგადოების ინტეგრაციას, სხვადასხვა ჯგუფებს შორის არსებული დაძაბულობის განმუხტვას;

– მნიშვნელოვან როლს ასრულებს საზოგადოების მობილიზებაში, საპროტესტო კამპანიების ორგანიზებაში;

– მოქალაქეებს აძლევს საშუალებას, გამოხატონ თავიანთი აზრი საზოგადოებრივ პრობლემებზე. მისი ორგანიზაციების საშუალებით მოქალაქეები აიძულებენ სახელმწიფოს პირნათლად შეასრულოს თავისი მოვალეობები;

– გარკვეული თვალსაზრისით, ასრულებს მაკონტროლებელ ფუნქციებს;

– დგას დემოკრატიული წესების დაცვის სადარაჯოზე;

– აქტიურად გამოდის როგორც ცალკეული პიროვნებების, ისე მოქალაქეთა ჯგუფების უფლებების დასაცავად;

– გამოდის საერთაშორისო ასპარეზზე: ახორციელებს სახელმწიფო და საერთაშორისო ვალდებულებების მონიტორინგს, მოითხოვს ამ ვალდებულებების შესრულებასა და ა.შ.

– საზოგადოებას უწევს იმ სოციალურ, საგანმანათლე-

ბლო, იურიდიულ, საინფორმაციო და ა.შ. ხასიათის მომსახურებას,რასაც,როგორც წესი,არ უზრუნველყოფს არც სახელმწიფო და არც ბიზნესი;

– აქტიურ მონაწილეობას ღებულობს ეთნიკურ და რასობრივ ნიადაგზე წარმოქნილი კონფლიქტების პრევენციასა და დაძაბულობის მოხსნაში. სხვადასხვა საერთაშორისო ღონისძიებებში „მესამე სექტორის“ მონაწილეობა ხელს უწყობს კონფლიქტების თავიდან აცილებასა და ურთიერთთანამშრომლობის მიღწევას.

I.7. სამოქალაქო საზოგადოება – ეკონომიკის „მესამე სექტორი“ და საზოგადოებრივი სექტორის შემადგენელი ნაწილი

სამოქალაქო საზოგადოება ნებაყოფილობით საწყისებზე შექმნილი, არასახელმწიფო,დამოუკიდებელი, არაკომერციული, ადამიანის უფლებების დამცველი ასოციაციების ერთობლიობაა, რომელიც გამოხატავს საზოგადოების ინტერესებს და თავისუფალია ხელისუფლებისა და ბიზნესის ზეწოლისაგან. იგი ხელისუფლების თანასწორუფლებიანი პარტნიორია სამართლებრივი სახელმწიფოს ჩამოყალიბებაფუნქციონირებასთან დაკავშირებული პრობლემების გადაჭრაში. სამოქალაქო საზოგადოება მაღალი სოციალური, მორალური,საზოგადოებრივი და კულტურული სტატუსის მქონე ფენომენია. იგი განვითარებულ ეკონომიკურ,პოლიტიკურ, სამართლებრივ ურთიერთობებზე დაფუძნებული, სახელმწიფოსაგან დამოუკიდებელი,მაგრამ მასთან ურთიერთზემოქმედებაში მყოფი რთული სტრუქტურაა. სამოქალაქო საზოგადოება გამორიცხავს კომერციულ საქმიანობასა და ამ გზით სარგებლობის მიღებას. იგი დაფუძნებულია სოციალურ სოლიდარობაზე და სახელმწიფოსთან ერთად უფლებამოსილია მონაწილეობა მიიღოს სამეურნეო,

სამართლებრივი,ეთნიკური, რელიგიური საკითხების განხილვაში, ხოლო არა აქვს უფლება მონაწილეობა მიიღოს მოქალაქეებს შორის სადავო საკითხების გადაჭრაში,რაც დამოუკიდებელი სასამართლოს პრეროგატივაა.

სამოქალაქო საზოგადოების ფუნქციებია:

1. სამართლებრივი სახელმწიფოს კონსტიტუციური პრინციპების დაცვის საფუძველზე, გაკონტროლების გზით, პოლიტიკური ძალაუფლების შეკავება აბსოლუტური ბატონობისგან;
2. საზოგადოებრივი ურთიერთობების სტაბილიზაცია;
3. სახელმწიფო და კომერციულ სტრუქტურებს შორის ურთიერთობის ნორმალიზაცია და ბალანსის დაცვა;
4. კონსტიტუციური პრინციპების ცხოვრებაში დანერგვისათვის სათანადო ღონისძიებების გატარება;
5. საზოგადოებრივი ინტერესების დაცვა;
6. პროექტის ჩარჩოებში გარემოს დაცვა.

სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციების დაფინანსებას ახორციელებს მრავალი სხვადასხვა სამთავრობო და არასამთავრობო ეროვნული თუ საერთაშორისო საქველმოქმედო ფონდები,კონკურსის საფუძველზე გამოცხადებული ისეთი პროექტების ჩარჩოებში, რომლებიც ეხება კონკრეტულ ქვეყანაში, ზემოთ განხილული სამოქალაქო საზოგადოების ფუნქციებისა და ამოცანების გარდა,განათლების სისტემის განვითარებას,* ჯანდაცვის სფეროში არსებული პრობლემების გადაჭრასა და უკიდურესი სიღარიბის დაძლ-

* მაგალითად, **როკფელერის ფონდი** აფინანსებს სხვადასხვა საგანმანათლებლო პროექტებს მთელ მსოფლიოში.

** მსოფლიოში უმსხვილესი საქველმოქმედო ფონდი **„ბილა და მელინდ გრეისი“** აფინანსებს ჯანდაცვის სფეროსა და სიღარიბესთან ბრძოლის პროექტებს.

ევას.** საქველმოქმედო ფონდები გამოყოფილი გრანტებით გარკვეულწილად მონაწილეობენ არაკომერციული ორგანიზაციების საქმიანობის მართვაში, ახორციელებენ მონიტორინგს, კურირებენ პროექტების რეალიზაციასა და ა.შ.

სამოქალაქო საზოგადოება, თავისი არასახელმწიფო, არაკომერციული ორგანიზაციებითა და ასოციაციებით, წარმოადგენს „მესამე სექტორს“, რომელიც აერთიანებს არასამთავრო და საქველმოქმედო ორგანიზაციებს და, სახელმწიფო სექტროთან ერთად, წარმოადგენს საზოგადოებრივ სექტორს.

დაბოლოს, სოლიდარობა და მადალი პასუხისმგებლობა ის ფასეულობებია, რომლებიც თან ახლავს არაკომერციული ორგანიზაციების – „მესამე სექტორის“ საქმიანობას.

ამრიგად, საბაზრო ეკონომიკის რთულ სისტემაში შემავალი ქვეყნის სოციალური ორიენტირებულობის ამაღლებისკენ „მიპყრობილი“ საზოგადოებრივი სექტორი ყურადღებას იპყრობს თავისი ორიგინალობით, სტრუქტურით, მიზნებითა და ამოცანებით. ამიტომ სავსებით ლოგიკურია, რომ საზოგადოებრივი სექტორის ეკონომიკა ჩამოყალიბდა მეცნიერების სრულიად ცალკე დარგად, რომელიც მოითხოვს სხვადასხვა ასპექტით განხილვას, საკვანძო საკითხების გაშუქებას როგორც გლობალურ, ისე ლოკალურ დონეზე. ეს დროის მოთხოვნა და საზოგადოებრივი დაკვეთაა.

ძირითადი ცნებები

მეცნიერულ-ტექნიკური რევოლუცია. გაეროს ეროვნულ ანგარიშთა სისტემა. „კეინზიანური რევოლუცია“. სახელმწიფო ფინანსები. „მოთხოვნის თეორია“. „მიწოდების თეორია“. ეროვნულ ანგარიშთა სისტემა. საზოგადოებრივი

სექტორის ეკონომიკა. პოსტინდუსტრიული საზოგადოება. საკუთრების პლურალიზმი. საბაზრო უწონასწორობა. ალოკაციის ფუნქცია. რეგულირების ფუნქცია. გადანაწილების ფუნქცია. არაკომერციული ორგანიზაციები. „მესამე სექტორი“. სამოქალაქო საზოგადოება.

დასკვნა

1. ინდუსტრიული ეპოქა, რომლისთვისაც დამახასიათებელი იყო კერძო ინტერესების პრიორიტეტი საზოგადოებრივთან შედარებით, საკუთრების პლურალიზმის არარსებობა,წარმოების საშუალებებზე კერძო საკუთრების გაბატონებული მდგომარეობა და ექსპლუატაციური ურთიერთობების დამკვიდრება, მოიცავს პერიოდს XVIII საუკუნის 70-იანი წლების II ნახევრიდან XX საუკუნის 40-იანი წლების დასაწყისამდე. ამ ეპოქაში ზედმეტი იყო საუბარი ეკონომიკის სოციალურ ორიენტაციასა და, აქედან გამომდინარე, საზოგადოებრივი სექტორის ეკონომიკის არსებობა-ფუნქციონირებაზე;

2. ინდუსტრიულ ეპოქაში გაბატონებულმა სმითისეულმა კლასიკურმა მიკროეკონომიკურმა მიმართულებამ, რომელიც სახელმწიფოს განიხილავდა როგორც „ღამის დარაჯს“, ხოლო სახელმწიფოს საქმიანობას არამწარმოებლურ შრომად, XX საუკუნის 40-იანი წლებიდან ადგილი დაუთმო კეინზიანურ მაკროეკონომიკურ მიმართულებას. **ეს მოვლენა საზოგადოებრივი პროგრესის მომასწავებელი იყო, რომლის განმაპირობებელი ფაქტორი „კეინზიანური რევოლუცია“ გახდა;**

3. სახელმწიფო „ღამის დარაჯიდან“ მაკროეკონომიკურ რეგულატორად გარდაიქმნა, ხოლო საკუთრების პლურალიზმზე დაფუძნებულ ბაზარს განმსაზღვრელი როლი დაეკისრა

ახალი ეკონომიკური ურთიერთობების ჩამოყალიბებაში;

4. სახელმწიფომ თავის თავზე აიღო ბაზრის „შეცდომების“ გამოსწორება, რაც ჰუმანიზაციის მსოფლიო პროცესის საფუძველი გახდა, ხოლო კაპიტალისტური ეკონომიკური სისტემის ძირითად მახასიათებლად **ეკონომიკის სოციალური ორიენტაცია იქნა აღიარებული;**

5. ჯონ მეინარდ კეინზის „მოთხოვნის თეორიის“ გათვალისწინებამ წამყვანი კაპიტალისტური ქვეყნების ეკონომიკურ პოლიტიკაში განაპირობა საზოგადოებრივ წარმოებაში მიმდინარე პროგრესული სტრუქტურული ცვლილებები, რაც გამოიხატა: 1. 50-იანი წლების მეორე ნახევრიდან მეცნიერულ-ტექნიკური რევოლუციის დაწყებაში; 2. 1953 წელს მსოფლიო ისტორიაში პირველად გაეროს ეროვნული ანგარიშთა სისტემის შექმნაში; 3. რეალურ სექტორთან შედარებით, მომსახურების სექტორის უპირატეს განვითარებაში; 4. ინფორმაციული ეკონომიკის წარმოშობისათვის წანამძღვრების შექმნაში. ეკონომიკის სოციალური ორიენტაციისთვის ობიექტური წანამძღვრები შექმნასა და საზოგადოებრივი სექტორის ეკონომიკის,როგორც ეკონომიკური მეცნიერების ახალი დარგის წარმოშობისათვის ხელის შეწყობაში.

6. XX საუკუნის 60-იანი წლებიდან ეკონომიკის სახელმწიფო რეგულირებასთან ერთად, ბაზრის, როგორც მეურნეობის ეფექტიანი მექანიზმის, ჩამოყალიბებამ უდიდესი როლი შეასრულა ინდუსტრიული საზოგადოების პოსტინდუსტრიულში გადაზრდისათვის და საზოგადოებრივი სექტორის ეკონომიკის ფორმირებაში. **იგი ცივილიზაციის ერთ-ერთ მნიშვნელოვან მონაპოვრად იქნა აღიარებული;**

7. მთვლემარე მდგომარეობაში მყოფი „ველური“ კაპიტალიზმის გარდაქმნა სოციალურ ორიენტაციაზე მორგე-

ბულ, მაკროეკონომიკური რეგულირებით განმტკიცებულ ეკონომიკურ სისტემად, აღინიშნა როგორც შემობრუნების ეტაპი წამყვანი კაპიტალისტური ქვეყნების ეკონომიკურ პოლიტიკაში;

8. ყურადღება გამახვილდა ახალი სოციუმის ფორმირებასა და სამოქალაქო საზოგადოების ჩამოყალიბებაზე. 60-იანი წლებიდან მსოფლიოს დაწინაურებულმა ქვეყნებმა მიიღეს განვითარებული ქვეყნის სტატუსი. სოციალურად ორიენტირებული ეკონომიკის ფორმირება თანამედროვე მსოფლიოს განვითარების მნიშვნელოვან ტენდენციად იქცა, რაც ახალი მსოფლიო წესრიგისა და სამოქალაქო საზოგადოების ჩამოყალიბების გარანტადაა აღიარებული;

9. 1974–1975 წლების მსოფლიო ეკონომიკური კრიზისი ჯ. მ. კეინზის მითითებების უგულვებელყოფამ გამოიწვია (რომელიც ითვალისწინებდა აღმავლობის პერიოდში „მოთხოვნის თეორიის“ „მიწოდების თეორიით“ შეცვლას), მაგრამ სახელმწიფოს არ დაუკარგავს თავისი როლი ეკონომიკის სოციალურობის ზრდაში,განსაკუთრებით,80-იანი წლებიდან მოყოლებული,როდესაც განვითარებული ქვეყნების ეკონომიკურ პოლიტიკას საფუძვლად დაედო ახალი ეკონომიკური თეორია – „ნეოკლასიკური სინთეზი“;

10. ჩამოყალიბდა ღია, ჰუმანური საზოგადოება,რომელიც დემოკრატიული ფასეულობების განვითარების საწინდარი გახდა. ეკონომიკის სოციალურმა ორიენტაციამ საბაზრო ეკონომიკა სიცოცხლისუნარიანი გახადა და ხელი შეუწყო საზოგადოებრივი სექტორის ეკონომიკის განვითარებას;

11. **საზოგადოებრივი სექტორის ეკონომიკა შეისწავლის შეუზღუდავი საზოგადოებრივი მოთხოვნილებების დაკმაყოფილების მიზნით სახელმწიფო ფინანსების ეფექტიანად გამოყენების, გადანაწილებისა და მიზანდასახული**

ხარჯვის გზებსა და ოპტიმალური არჩევანის პრობლემებს, მის სტრუქტურაში არსებული ორგანიზაციების ეკონომიკურ ქცევასა და გავლენას ეკონომიკის სექტორებისა და შინამეურნეობების ეკონომიკურ საქმიანობაზე;

12. საზოგადოებრივი სექტორის ეკონომიკა, როგორც მაკროეკონომიკური რეგულირების შემადგენელი ნაწილი, ითვალისწინებს და მიზნად ისახავს: 1. ეკონომიკურ თავისუფლებას; 2. სრულ დასაქმებას; 3. ეკონომიკურ ზრდასა და ეკონომიკურ განვითარებას; 4. ფასების სტაბილურობას; 5. ეფექტიან დაბეგვრას; 6. სოციალურ სტაბილურობას; 7. ეკონომიკურ უსაფრთხოებას; 8. სასურსათო უსაფრთხოებას; 9. რაციონალურ ბუნებათსარგებლობასა და ეკოლოგიურ უსაფრთხოებას; 10. ეფექტიანი სახელმწიფო დაზღვევის განვითარებასა და ხელშეწყობას;

13. საზოგადოებრივი სექტორის ეკონომიკის ფუნქციონირების ძირითადი მიმართულებების რეალიზაცია უკავშირდება **სახელმწიფო ფინანსების ეფექტიან მართვასა და არასაბაზრო სექტორის განვითარებას;**

14. **საზოგადოებრივი სექტორის ეკონომიკა შეისწავლის სახელმწიფოს ეკონომიკურ ქცევას საზოგადოებრივი დოვლათის წარმოების, განაწილების, გაცვლისა და მოხმარების პროცესში;**

15. სახელმწიფოსადმი მკაცრი მოთხოვნაა ალოკაციის ფუნქციის შესრულება,რაც უკავშირდება საზოგადოებრივი დოვლათის (გზები, საზოგადოებრივი განათლება,წესრიგის დაცვა და ა.შ.) წარმოებას,რომელიც შეუძლებელია საბაზრო ფასით მიეწოდოს მოსახლეობას. ეს სახელმწიფოს პრეროგატივაა. სახელმწიფო ასრულებს აგრეთვე რეგულირებისა და გადანაწილების ფუნქციებს;

16. საზოგადოებრივი სექტორის ეკონომიკის კვლევის

არეალშია: 1. ქვეყნის ეკონომიკური უსაფრთხოების უზრუნველყოფა; 2. დაბეგვრის თეორიის საკითხები გადასახადებისა და ეკონომიკური ეფექტიანობის ურთიერთქმედების ჭრილში და სახელმწიფოს როლი ოპტიმალური დაბეგვრის ფუნქციონირებაში; 3. სახელმწიფო ხარჯების ოპტიმალური განაწილებისა და საბიუჯეტო ფედერალიზმის საკითხები; 4. შემოსავლების გადანაწილების პრობლემები, რომლებიც, თავის მხრივ, მოიცავენ ქველმოქმედებისა და მეცენატობის, განათლების განვითარებისა და ჯანმრთელობის დაცვის დაფინანსების,სახელმწიფოს მიერ მეცნიერების სტიმულირების აუცილებლობის საკითხებს;

17. სახელმწიფო ხარჯების პოლიტიკაში ცენტრალური ადგილი სოციალური სტაბილურობის უზრუნველყოფის ხარჯებს უჭირავთ. სოციალური პროგრამების დაფინანსებასთან ერთად,საბიუჯეტო სახსრების გარკვეული ნაწილი გამოიყოფა სოციალურ–კულტურული დარგების განვითარების სახელმწიფო პროგრამებისათვის;

18. ინსტიტუციური რეფორმები,ახალი მსოფლიო წესრიგისა და სამოქალაქო საზოგადოების მშენებლობის საკითხები, გლობალიზაციის ეპოქალური პროცესის გავლენა საზოგადოებრივი სექტორის ეკონომიკის ფუნქციონირებაზე ამდიდრებს საკვლევ სფეროს;

19. **ნაშრომის ლაიტმოტივი და განხილვის თემაა სოციალურად ორიენტირებული საბაზრო ეკონომიკის გადაზრდა ცივილიზაციის ახალ ფორმაში – სოციალურ საბაზრო ეკონომიკაში;**

20. საქართველოში საბაზრო ეკონომიკაზე გარდამავალი პერიოდის პრობლემები კიდევ უფრო აფართოებს საკვლევ არეალს. სახელმძღვანელოში გაშუქებულია საზოგადოებრივი სექტორის ეკონომიკის როლი და მისი

ფუნქციების განხორციელების თავისებურებები საქართველოს საბაზრო ეკონომიკაზე გარდამავალ პერიოდში. ამასთან, არსებული პრობლემები გაშუქებულია ზოგადსაკაცობრიო ამოცანების ჭრილში;

21. საზოგადოებრივი სექტორი, როგორც არაკომერციული (არასაბაზრო) სექტორის ნაწილი, არის ეკონომიკურ ურთიერთობათა სპეციფიკური სფერო, სადაც არ მოქმედებს ბაზრის კანონები (ან მოქმედებს შეზღუდულად) და ეკონომიკურ სუბიექტებს შორის არის ურთიერთობის არასაბაზრო წესი, მოგების მიღება არ წარმოადგენს წამყვან ეკონომიკურ საქმიანობასა და წარმოების მიზანს. საზოგადოებრივ სექტორში წამყვან როლს ასრულებს სახელმწიფო სექტორი. მისი მიზანია საზოგადოებრივი დოვლათის წარმოება, ამასთან, გარდა სახელმწიფო სექტორისა,მასში შედის „მესამე სექტორი“ – არასახელმწიფო, არაკომერციული სექტორი;

22. ეკონომიკის სახელმწიფო რეგულირების ძირითადი მიმართულებებია: ეკონომიკური საქმიანობის სამართლებრივი ბაზის შექმნა; საზოგადოებრივი დოვლათის წარმოება; გარე ეფექტების (ექსტერნალიების) რეგულირება; ანტიმონოპოლიური პოლიტიკის გატარება; ინფრასტრუქტურის შექმნა-განვითარება; შემოსავლების გადანაწილება; სოციალური პოლიტიკის გატარება; მაკროეკონომიკური სტაბილიზაცია; ფისკალური პოლიტიკის გატარება; ფულად-საკრედიტო პოლიტიკის გატარება; საგარეოეკონომიკური საქმიანობის რეგულირება; ფუნდამენტური მეცნიერების ხელშეწყობა; სამეცნიერო-ტექნოლოგიური პოლიტიკის გატარება; ინოვაციური პოლიტიკის გატარება; მცირე ბიზნესის ხელშეწყობა; ეკონომიკური, სასურსათო და ეკოლოგიური უსაფრთხოების უზრუნველყოფა;

23. **„მესამე სექტორი“,** ფართო სპექტრის ორგანიზაციების,

კავშირების, გაერთიანებების, ფონდების ერთობლიობაა, საქმიანობს სპეციფიკურ რეჟიმში და კომერციული სტრუქ-ტურებისგან განსხვავებულ მიზნებს ისახავს. მისი მიზანია აქტიური მონაწილეობის მიღება სოციალურ, საქველმოქმ-ედო, კულტურულ-საგანმანათლებლო, სამეცნიერო სფერ-ოებში არსებული პრობლემების გადაჭრაში. მოქალაქეთა მოთხოვნების შესწავლა, პლურალიზმის განვითარება და საზოგადოებრივი აზრის ჩამოყალიბება,თამაშის დემოკრა-ტიული წესების დაცვა და მაკონტროლებელი ფუნქციების შესრულება,კონფლიქტების გადაჭრა, ფიზიკურ და იური-დიულ პირთა უფლებებისა და კანონიერი ინტერესების დაცვა და ა.შ.;

24. სამოქალაქო საზოგადოება,თავისი არასახელმწიფო, არაკომერციული ორგანიზაციებითა და ასოციაციებით, წარმოადგენს „მესამე სექტორს“, რომელიც აერთიანებს არასამთავრობო და საქველმოქმედო ორგანიზაციებს და,სა-ხელმწიფო სექტორთან ერთად,წარმოადგენს საზოგადოებ-რივ სექტორს;

25. საბაზრო ეკონომიკის რთულ სისტემაში შემავალი ქვეყნის სოციალურ ორიენტირებულობის ამაღლებისკენ „მიპყრობილი“ საზოგადოებრივი სექტორის ეკონომიკა, თავისი ორიგინალობით, სტრუქტურით, მიზნებითა და ამოცანებით,ჩამოყალიბდა მეცნიერების სრულიად ცალკე დარგად,რომელიც მოითხოვს საკვანძო საკითხების სხვა-დასხვა ასპექტით განხილვას, გაშუქებას როგორც გლო-ბალურ, ისე ლოკალურ დონეზე. ეს დროის მოთხოვნა და საზოგადოების დაკვეთაა.

II თავი

ბაზრის ნაკლოვანებათა თეორია და საზოგადოებრივი სექტორის ეკონომიკის ფუნქციონირების აუცილებლობა

ბაზრის არასრულყოფილება საბაზრო ეკონომიკაში. არასაბაზრო ურთიერთობების არსებობის განმაპირობებელი ფაქტორები. საზოგადოებრივი დოვლათის არსი და ძირითადი ნიშნები. გარე ეფექტების არსი და რეგულირების მაკროეკონომიკური მექანიზმები. ქოუზის თეორემა. ბუნებრივი მონოპოლიების არსი და სახელმწიფო რეგულირება.

II.1. ბაზრის არასრულყოფილება საბაზრო ეკონომიკაში

ბაზრის განმსაზღვრელი ინსტრუმენტი ფასწარმოქმნის მექანიზმია. ამიტომ სამეურნეო საქმიანობის ყველა სფეროში მას არ შეუძლია თანაბარი ზომით ფუნქციონირება, ზოგიერთ მათგანში კი,ეკონომიკური სივრცის უქონლობის ან სოციალური ფაქტორების ზეგავლენით, საერთოდ არ მოქმედებს. ამერიკელი მეცნიერის რ. ფლექსნერის აზრით, საბაზრო ეკონომიკა წარმოადგენს ცოცხალ სისტემას, რომელიც განიცდის ევოლუციასა და სრულყოფას. ზოგიერთი ეკონომისტი ცდილობს მის გაიდეალებას. მართალია, ბაზარი ეფექტიანი ეკონომიკის გასაღებია,მაგრამ მას არ შესწევს უნარი,გადაჭრას ბევრი სხვა პრობლემა.[1] ბაზარს არ შეუძლია დადებითად გადაწყვიტოს იმ სამეურნეო სტრუქტურების ბედი, რომლებიც ვერ ეგუებიან ფასების

[1] **Флекснер К.** Капитализм с “человеческим лицом”. “Новое время”, 1999, № 43, с. 12.

ცვალებადობას. ბიზნესის არასტაბილურობა ქმნის უმუშევრობის,ინფლაციისა და ცალკეულ მეწარმეთა გაკოტრების პირობებს.

საბაზრო კონკურენცია იწვევს საზოგადოების შემოსავლების დიფერენციაციასა და მათ უსამართლო განაწილებას. ბაზარი ვერ უზრუნველყოფს მოსახლეობის დაბალშემოსავლიან ფენებს საქონლითა და მომსახურებით. მას არ შეუძლია აღკვეთოს სოციალური ბოროტებები, დაიცვას გარემო, გადაჭრას სტიქიურ უბედურებებთან დაკავშირებული პრობლემები. ბაზარს არ ძალუძს დაიცვას ეროვნული უშიშროება, უზრუნველყოს სახელმწიფო ინსტიტუტების ფუნქციონირება და ა.შ. ჯ. გელბრეითის აზრით,ბაზარს ახასიათებს უამრავი დეფექტი და ნაკლოვანება,რომლებიც მოითხოვს სახელმწიფოს ჩარევას.[2] სწორედ ბაზრის ნაკლოვანებებმა, მისმა არასრულყოფილებამ შექმნა ობიექტური პირობები საზოგადოებრივი სექტორის ეკონომიკის ჩამოყალიბებისათვის. ამიტომ, სავსებით კანონზომიერად, საბაზრო სექტორის გვერდით არსებობს შეზღუდული ხასიათის არასაბაზრო სექტორი, გაბატონებული მდგომარეობა კი უჭირავს ჯანსაღ საბაზრო ურთიერთობებს, რომლებიც ექვემდებარება მოქმედ კანონმდებლობას. რაც შეეხება არაჯანსაღ საბაზრო ურთიერთობებს, მათ წინააღმდეგ საზოგადოება ატარებს სამართლებრივ, ადმინისტრაციულ და სხვა სახის ღონისძიებებს.

არასაბაზრო ურთიერთობებს ადგილი აქვს როგორც მატერიალურ-ნივთობრივი პროდუქტის,ისე მომსახურების

[2] **Гэлбрейт Дж. К.** Экономические теории и цели общества. Перевод с английского. М., 1979, с. 74.

წარმოებაში. ისინი ყალიბდება ქვეყნის მაკროეკონომიკური რეგულირების, სახელმწიფო საწარმოებში მტკიცე ფასების დადგენის, სახელმწიფო დაკვეთების შემოღების, მოსახლეობის სოციალურ დაცვასთან დაკავშირებული ღონისძიებების გატარების შემთხვევაში. არასაბაზრო პირობებში იმყოფება საბიუჯეტო დაფინანსებაზე მყოფი ორგანიზაციებიც,რომლებიც საზოგადოებრივი სექტორის ეკონომიკის კვლევის სფეროა.

საგულისხმოა, რომ არასაბაზრო სექტორი ფართოდ გავრცელდა განვითარებულ ქვეყნებში. მაგალითად, აშშ-ში ამ სექტორში დასაქმებულთა ხვედრითმა წონამ 10%-მდე შეადგინა. არ შეიძლება არ დავეთანხმოთ კ. ფლექსნერს, რომლის აზრით, განვითარებული ქვეყნების უმრავლესობის ეკონომიკა არსებითად შერეულია,რომელიც ყველაზე ეფექტიანი აღმოჩნდა და სადაც ბაზარი ერწყმის ცხოვრების პირობების გაუმჯობესებისაკენ მიმართულ სოციალურ დაგეგმვას.[3]

II.2. არასაბაზრო ურთიერთობების არსებობის განმაპირობებელი ფაქტორები

საბაზრო ეკონომიკაში არასაბაზრო ურთიერთობის არსებობას ძირითადად განაპირობებს შემდეგი ფაქტორები:

პირველი,ბაზრის მექანიზმი საშუალებას აძლევს მომხმარებლებს დაიკმაყოფილონ მხოლოდ ის მოთხოვნილებები,რომლებიც გამოხატულებას მოთხოვნაში პოვებენ,მაგრამ არსებობს რიგი მოთხოვნილებებისა,რომელთა ფულით გაზომვა შეუძლებელია,ბაზარი არ ახდენს მათზე რეაგირებას. ასეთი სახის მოთხოვნილებები, როგორც პირველ თავში

[3] **Флекснер К.** Капитализм с “человеческим лицом”. “Новое время”, 1999, № 43, с. 12-13.

აღინიშნა, უკავშირდება განსაკუთრებული ტიპის საქონლისა და მომსახურების წარმოებას,რომელიც მსოფლიო ეკონომიკურ ლიტერატურაში ცნობილია **საზოგადოებრივი დოვლათის** სახელწოდებითა და იგი (კიდევ ერთხელ ხაზგასმით აღვნიშნავთ) საზოგადოებრივი სექტორის ეკონომიკის კვლევის სფეროა.

მეორე ფაქტორი, რომელიც განაპირობებს საბაზრო ეკონომიკაში არასაბაზრო ურთიერთობების არსებობას, არის ის,რომ ბაზარს არ შეუძლია,მისთვის ნიშანდობლივი ფასწარმოქმნის მექანიზმის მეშვეობით, შეაფასოს ადამიანთა საქმიანობის **გარე ეფექტები (ექსტერნალიები)**. ესეც საზოგადოებრივი სექტორის ეკონომიკის კვლევის სფეროა.

მესამე ფაქტორი,რომელიც განაპირობებს ეკონომიკური საქმიანობის ზოგიერთ სფეროში ბაზრის არაქმედუნარიანობას,მდგომარეობს **ბუნებრივი (სახელმწიფო) მონოპოლიების** არსებობის აუცილებლობასა და მათ ეფექტიან მართვაში.

ზემოთ აღნიშნული ფაქტორები განაპირობებენ არასაბაზრო სექტორის არსებობას. ამასთან, არასაბაზრო სექტორის გვერდით ფუნქციონირებს საბაზრო სექტორი, რომელიც ხასიათდება მაღალი დინამიზმითა და ტერიტორიული,ლოკალური სეგმენტაციით,უკავშირდება რესურსების მაღალ ბრუნვადობას,მომსახურების მიწოდებაში მცირე და საშუალო ფირმების სიჭარბეს,მათ გაზრდილ მგრძნობელობას საბაზრო კონიუნქტურის მიმართ და სხვ. საბაზრო სექტორი დიდ გავლენას ახდენს არასაბაზრო სექტორის საქმიანობაზე. რაც უფრო ეფექტიანად ფუნქციონირებს იგი, მით უფრო ფართოა მისი განვითარების შესაძლებლობები. თავის მხრივ, არასაბაზრო სექტორის წარმატებები ხელს უწყობს საბაზრო სექტორის ეფექტიან ზრდას,მასში შემავალი დარგების განვითარებას.

განვიხილოთ აღნიშნული ფაქტორები ცალ-ცალკე.

II.3. საზოგადოებრივი დოვლათის არსი და ძირითადი ნიშნები

საზოგადოებრივ დოვლათს ზოგჯერ მიიჩნევენ მხოლოდ სახელმწიფო სექტორის პრეროგატივად და ამ ნიშნის მიხედვით განასხვავებენ კერძო საქონლისაგან,თუმცა, გამიჯვნის ეს კრიტერიუმი არ იძლევა საზოგადოებრივი მეწარმეობის საზღვრების ზუსტად დადგენის საშუალებას. საქმე ისაა, რომ, ჯერ ერთი, ყველა საზოგადოებრივი დოვლათი არ იწარმოება სახელმწიფო სექტორში და მეორე, სახელმწიფო სექტორის ყველა საქონელს არა აქვს „საზოგადოებრივი“ ხასიათი. ამ შემთხვევაში უპრიანია, არა მათი წარმოშობის წყაროს,არამედ მიწოდების მექანიზმის გათვალისწინება – საბაზროა იგი თუ არასაბაზრო.

ეს კრიტერიუმი ზუსტად მიჯნავს საზოგადოებრივ დოვლათს კერძო საქონლისაგან. ყველა საქონელი თუ მომსახურება, რომელიც მოექცევა საბაზრო მექანიზმის ორბიტაში, მიეკუთვნება კერძო საქონლის კატეგორიას, ხოლო რომელიც რჩება მის ფარგლებს გარეთ, ე.ი. მოექცევა არასაბაზრო სექტორში – საზოგადოებრივი დოვლათის კატეგორიას. მაგრამ ეს სრულებითაც არ ნიშნავს იმას, თითქოს ამის გამო საზოგადოებრივი დოვლათი კარგავდეს საქონლის თვისებებს. ის ფაქტი,რომ საზოგადოებრივი დოვლათი რჩება საბაზრო სექტორის მიღმა, ნიშნავს მხოლოდ იმას,რომ არასაბაზრო სექტორში არ არის დაცული საბაზრო მექანიზმის ფუნქციონირების აუცილებელი პირობები. ამ შემთხვევაში სწორედ „ბუნებრივი მონოპოლიის“ როლში გამოდის სახელმწიფო,რომელიც არასაბაზრო, საზოგადოებრივ სექტორში მოაქცევს საქონლისა და მომსახურების განსაზღვრულ სახეებს. მისი ასეთი მოქმედება შეიძლება გამოწვეული იყოს როგორც პოლიტიკური, სოციალური და სხვა მოტივებით, ისე იმ ეკონომიკური რეალობით, რო-

მელიც შემოფარგლავს საბაზრო მექანიზმის მოქმედების საზღვრებს. მის გარეთ, საზოგადოებრივ სექტორში, ნათლად გამოიკვეთება ეკონომიკური სივრცის უქონლობა და ბაზრის უუნარობა.

ავიღოთ ისეთი საზოგადოებრივი დოვლათი,როგორიც ფუნდამენტური მეცნიერებაა. მის გარეშე შეუძლებელია თანამედროვე მეცნიერულ-ტექნოლოგიური პროგრესი,ეკონომიკის ახალი თვისებრივი ზრდის მიღწევა,მაგრამ გაუთვალისწინებელი შედეგების, მოთხოვნისა და კაპიტალის დანახარჯების ანაზღაურების ვადების გაურკვევლობის გამო, ბიზნესი არაა დაინტერესებული მისი წარმოებით.

მოხმარების ხასიათიდან გამომდინარე,როგორც კერძო, ისე საზოგადოებრივი დოვლათი იყოფა ინდივიდუალური და კოლექტიური მოხმარების დოვლათად.

ინდივიდუალური მოხმარების კერძო დოვლათს მიეკუთვნება: კვების პროდუქტები, ტანსაცმელი, საყოფაცხოვრებო საქონელი და სხვ., ხოლო კოლექტიური მოხმარების კერძო დოვლათს – საზოგადოებრივი კვების კერძო ფირმების მომსახურება,კერძო საჰაერო და საავტომობილო გადაზიდვები,კერძო თეატრების,კინო-თეატრების, აბანოების მომსახურება და სხვ. ინდივიდუალური მოხმარების საზოგადოებრივ დოვლათს მიეკუთვნება, მაგალითად,სახელმწიფო სავაჭრო მონოპოლიების საქონელი (მარილი და სხვ.), ხოლო რაც შეეხება კოლექტიური მოხმარების საზოგადოებრივ დოვლათს, მას მიეკუთვნება სოციალურ-კულტურული მომსახურება, სახელმწიფო მმართველობის, უშიშროების ორგანოების (ეროვნული თავდაცვის, საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის, სახანძრო დაცვის) მომსახურება, ეროვნული საინფორმაციო სისტემა, ერთიანი ენერგეტიკული სისტემა, კომუნიკაციის ეროვნული ქსელი, ფუნდამენტური მეცნიერება და სხვ.

საზოგადოებრივ დოვლათს ახასიათებს მკვეთრად გამოხატული რეგიონული სტრუქტურა. მისი ერთი ნაწილი, რომელიც ვრცელდება მთელი ქვეყნის მასშტაბით, განიხილება გლობალურ ასპექტში (მაგალითად, ეროვნული თავდაცვა, ფუნდამენტური მეცნიერება,ამინდის ეროვნული სამსახური,ეროვნული პარლამენტი და სხვ.), ხოლო მეორე ნაწილი, რომელიც არსებობს ქალაქის, რაიონის და ა.შ. ფარგლებში – ლოკალურ დონეზე (მაგალითად, ქალაქის თბომომარაგება, ქუჩების გამწვანება და კეთილმოწყობა, ადგილობრივი სახანძრო სამსახური და სხვ.).

საზოგადოებრივ დოვლათს მიაწერენ შემდეგ ხუთ ფუნქციას: **პირველი**, სამუშაო ძალის კვლავწარმოებისათვის მინიმალურად აუცილებელი პირობების შექმნა (კომუნალური მომსახურება...); **მეორე**,სამუშაო ძალის შენარჩუნების პირველადი (ჯანდაცვისა და საპენსიო მომსახურების სისტემები...) და მეორეული (დაზღვევა უმუშევრობის შემთხვევაში,კადრების პროფესიული მომზადება და გადამზადება...) პირობების შექმნა; **მესამე**,სამუშაო ძალის მომზადება, რომელიც შეესაბამება საწარმოო ძალების განვითარების თანამედროვე დონეს (დაწყებითი,საშუალო და უმაღლესი განათლება...); **მეოთხე**, საკომუნიკაციო მომსახურების გაწევა (ტრანსპორტი, კავშირგაბმულობა, საინფორმაციო მომსახურება...); **მეხუთე**, კოლექტიურ-საზოგადოებრივი მომსახურების გაწევა (კულტურის დაწესებულებები,რეკრეაციული სფერო,სპორტული დაწესებულებები...).[4]

საზოგადოებრივი დოვლათი გამოირჩევა ისეთი ნიშნებით, როგორიცაა: **განუყოფლობა, მოხმარების კოლექტიური ხასიათი, მაღალი სოციალური დანიშნულება და სახელმწიფო საკუთრების უპირატესი ხვედრითი წონა.**

[4] **Кравцевич А. И.** Общественное предпринимательство в Японии. М., 2000, с. 15.

გარდა ამისა, ყველა მომხმარებლისათვის იგი თითქმის თანაბრად ხელმისაწვდომია, რაც გამორიცხავს მეტოქეობას მისი მითვისებისას ანუ, სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, ერთი ინდივიდუმის მიერ საზოგადოებრივი დოვლათის მოხმარება არ ზღუდავს სხვა ინდივიდუმის მიერ მის მოხმარებას.

ზოგ შემთხვევაში ძნელია საზოგადოებრივი დოვლათის კერძოსგან გამიჯვნა, ვინაიდან არსებობს მომსახურების ისეთი სახეობები, რომლებსაც ახასიათებთ როგორც პირველის, ისე მეორის ნიშნები. მათ უწოდებენ **შერეულ საზოგადოებრივ დოვლათს** და განასხვავებენ **წმინდა საზოგადოებრივი დოვლათისაგან,** ე. ი. ისეთისაგან, რომელსაც ახასიათებს ყველა ზემოთ ჩამოთვლილი ნიშანი. მაგალითისათვის ავიღოთ განათლება.

საგანმანათლებლო მომსახურებას ახასიათებს საზოგადოებრივი დოვლათის ისეთი ნიშნები, როგორიცაა მოხმარების კოლექტიური და თანაბარი ხასიათი, მაღალი სოციალური დანიშნულება, მაგრამ არ ახასიათებს მოხმარებისაგან განუყოფლობა, რის გამოც იგი გადაიხრება ხოლმე კერძო საქონლისაკენ. ამიტომ მომსახურების ეს სახე, ისე როგორც მისი რიგი სხვა სახეობები (მაგალითად, ჯანმრთელობის დაცვა, მეცნიერების სფერო და სხვ.), ერთი მხრივ, ქმნის ეკონომიკის არასაბაზრო სექტორს, რომელიც არ ექვემდებარება ბაზრის კანონებს და მოსახლეობას მიეცემა უფასოდ ან დაბალი, დოტაციური ფასით, ხოლო, მეორე მხრივ, ჩაერთვის წმინდა საბაზრო ურთიერთობაში და ექვემდებარება ბაზრის კანონებს. ამ უკანასკნელში კერძო საწარმო-დაწესებულებების (სკოლების, სავადმყოფოების, უნივერსიტეტებისა და ა.შ.) არსებობა ამტკიცებს იმას, რომ წმინდა ეკონომიკური თვალსაზრისით, მასში საბაზრო მექანიზმის ფუნქციონირება მისაღებია, თუმცა,

მას თან სდევს დისკრიმინაციის ელემენტები და ბევრი სოციალურ-ეკონომიკური პრობლემის გამწვავება. ამიტომ სახელმწიფო იძულებულია ჩაერიოს ეკონომიკის აღნიშნულ სფეროებში.

განვითარებული ქვეყნების გამოცდილებიდან გამომდინარე, პრაქტიკაში ეფექტიანად გამოიყენება შერეული საზოგადოებრივი დოვლათი, რომელიც გულისხმობს საზოგადოებრივისა და კერძოს თანაარსებობასა და ამ უკანასკნელის მიმართ სახელმწიფოს აქტიურ მხარდაჭერასა და დახმარებას.

წმინდა საზოგადოებრივი დოვლათის ეკონომიკური მითვისების ადეკვატური ფორმაა სახელმწიფო საკუთრება და,შესაბამისად,საყოველთაო უფასო სარგებლობის იურიდიული უფლება. მასზე საზოგადოებრივი მოთხოვნილების დაკმაყოფილება სახელმწიფოს პრეროგატივაა. მაგალითად, ეროვნული არმიის მომსახურება შეუფასებელია და წარმოუდგენელია მისი ჩართვა საბაზრო ურთიერთობებში. მის მიმართ ბაზარი აბსოლუტურად უუნაროა. ამიტომ სახელმწიფოს ეკისრება მთელი პასუხისმგებლობა მისი ფუნქციონირებისათვის. რაც შეეხება შერეულ საზოგადოებრივ დოვლათს, მის მიმართ გამოიყენება მითვისების როგორც უფასო, ისე ფასიანი ფორმა. ამ შემთხვევაში ბაზარი არასრულყოფილია ანუ შეფარდებით უუნაროა და სახელმწიფოს როლი ეკონომიკაში გამოიხატება ისეთი პრობლემების გადაჭრაში,რომლის მიმართ საბაზრო მექანიზმი უძლურია.

სოციალური და ეკონომიკური ეფექტიანობის მიღწევის თვალსაზრისით, ყოველთვის არ არის მიზანშეწონილი საზოგადოებრივ დოვლათზე მოთხოვნილების დაკმაყოფილება მხოლოდ სახელმწიფო დაწესებულებების სისტემის მეშვეობით. უფასო საზოგადოებრივ დოვლათზე

მოთხოვნილებისა და მიწოდების რეალიზაციის ეფექტიან მეთოდს წარმოადგენს **სავალდებულო სოციალური დაზღვევის სისტემა** (სოციალური პოლისების გამოყენებით) და **საბიუჯეტო სახსრებიდან პირადი დაკრედიტების სისტემა** (განსაკუთრებით ნაკლებუზრუნველყოფილი პირების მიმართ). საზოგადოებრივ დოვლათზე მოთხოვნილების დაკმაყოფილების ერთ-ერთ სახესხვაობას წარმოადგენს სოციალურად დაუცველი მოსახლეობისათვის მასზე დაბალი, დოტაციური ფასების დაწესება.

შერეული საზოგადოებრივი დოვლათის მწარმოებელი ფირმები,რომლებიც არსებობენ თვითდაფინანსების პრინციპზე, მსოფლიო პრაქტიკაში იწოდებიან **არაკომერციულ ორგანიზაციებად**. ეს სტატუსი გამორიცხავს მოგების მაქსიმიზაციის შესაძლებლობას,ხოლო მიღებულ მოგებას აძლევს საზოგადოებრივი მოთხოვნილებების დაკმაყოფილების მიზნით გამოყენების ორიენტაციას. არაკომერციული ფირმის სტატუსი უკრძალავს მის მონაწილეებს მოგებიდან მიღებულ დივიდენდზე განკარგვის უფლებას, მაგრამ იგი ითვალისწინებს საზოგადოებრივ მხარდაჭერას პირდაპირი საბიუჯეტო და საქველმოქმედო დაფინანსების სახით, შეღავათიან დაბეგვრასა და მათი საქმიანობის დაკრედიტებას.

საზოგადოებრივი დოვლათის ერთ-ეროი დამახასიათებელი ნიშანი – მოხმარების თანაბრად ხელმისაწვდომობა, წინა პლანზე აყენებს პრობლემას: თუ როგორ უნდა მოხდეს მომხმარებელთა მიერ საშემოსავლო გადასახადის გადახდა, თანაბრად თუ დიფერენცირებულად? თუ თანაბრად განხორციელდება იგი, მაშინ საზოგადოების ნაკლებშემოსავლიანი ფენები აღმოჩნდებიან მძიმე მდგომარეობაში, ვინაიდან მათი ფულადი შემოსავლები გაცილებით დაბალია,

იმათთან შედარებით, რომელთა შემოსავალი მილიონებს აღწევს. ამიტომ, ასე რომ არ მოხდეს, სოციალური სამართლიანობის უზრუნველყოფის მიზნით, სახელმწიფო იყენებს საშემოსავლო დაბეგვრის ისეთ სისტემას,რომელიც თანაბარ ზიანს აყენებს ყველა მოქალაქის მატერიალურ კეთილდღეობას, ანუ მიმართავს მსოფლიო პრაქტიკაში კარგად ცნობილ „საგადასახადო ტვირთის განაწილების კრიტერიუმს“,რომელიც ატარებს შვედური სკოლის დამაარსებლის,სოციალ-დემოკრატ კ. ვიქსელის სახელს **(ვიქსელის კრიტერიუმი)**. მისი არსი მდგომარეობს შემდეგში: სახელმწიფო მდიდრების შემოსავლებზე აწესებს გაცილებით მაღალ საგადასახადო განაკვეთს, ვიდრე ღარიბებისაზე. პროგრესიული დაბეგვრის ასეთი გონივრული სკალა,ჯერ ერთი, ხელს უწყობს შემოსავლების სამართლიან გადანაწილებას, ხოლო, მეორე, ზრდის საბიუჯეტო შენატანებს. ამრიგად,ბაზრის შეზღუდული შესაძლებლობები საზოგადოებრივი კეთილდღეობის ამოცანების გადაჭრის მიზნით, წარმოშობს შემოსავლების გადანაწილებაში სახელმწიფო საგადასახადო რეგულირების აუცილებლობას სოციალური სამართლიანობის უზრუნველყოფის მიზნით. ამ თვალსაზრისით, სახელმწიფოს ჩარევას ეკონომიკაში მსოფლიო ეკონომიკურ ლიტერატურაში ეწოდება **„პარეტოს კრიტერიუმის გაუმჯობესება“**. იგი საზოგადოებრივი სექტორის ეკონომიკის კვლევის სფეროა.

ამრიგად, საზოგადოებრივი დოვლათის მთელი სპექტრი შეიძლება დაიყოს სამ კატეგორიად: **პირველი**, ეს წმინდა საზოგადოებრივი დოვლათია, რომლის შინაგანი სპეციფიკა განსაზღვრავს მიწოდების საბაზრო ფორმის შეუძლებლობას; **მეორე**, ეს შერეული საზოგადოებრივი დოვლათია, რომელიც ძირითადად ექცევა საბაზრო მექა-

ნიზმის გავლენის ქვეშ, მაგრამ მისი მიწოდებისას ბაზარი ავლენს არასრულყოფილებას; **მესამე**,ეს ის დოვლათი და მომსახურეობაა,რომელთათვის,მათი თავისებურებებიდან და ბაზრის ტერიტორიული შეზღუდულობიდან გამომდინარე, გარდაუვალია ბუნებრივი მონოპოლიების არსებობა. ამასთან,თეორიულად იგი **„კვაზისაზოგადოებრივი დოვლათია“**.

საზოგადოებრივი დოვლათის ეს კატეგორიები მთლიანობაში ქმნიან მკვეთრად გამოხატულ სპეციფიკურ სახეს, რომელიც განასხვავებს მათ კერძო საქონლისაგან.

II.4. გარე ეფექტების არსი და რეგულირების მაკროეკონომიკური მექანიზმები

გარე ეფექტები (ექსტერნალიები),* როგორც საბაზრო ეკონომიკაში არასაბაზრო ურთიერთობების არსებობის ერთ-ერთი განმაპირობებელი მნიშვნელოვანი ფაქტორი, თან ახლავს ადამიანთა საქმიანობას,მაგრამ არ აისახება ფასების სისტემაში.** ღირებულებითი ფორმით მათი გამოხატვა შეუძლებელია. გარე ეფექტების გაზომვისათვის გამოიყენება მხოლოდ ნატურალური მაჩვენებლები.

გარე ეფექტი წარმოიქმნება მაშინ,როდესაც ერთი სუბიექტის ქმედება გავლენას ახდენს მეორე სუბიექტის კეთილდღეობაზე. იმისდა მიხედვით, დადებითია თუ უარყოფითი გარე ეფექტები,გამოიხატება ეკონომიკური წონასწორობის დაცვასა თუ დარღვევაში,ესთეტიკურ ფასეულობათა, კულტურის ძეგლთა,ბუნებრივი ლანდშაფტების შენარჩუნებასა

* „გარე“ ეწოდება იმიტომ, რომ გამოვლინდება კონკრეტულ საქმიანობაში ჩართული ეკონომიკური სუბიექტების გარეთ მიმდინარე პროცესებში. იგი თანამდევი „გადასხმის“ ხარჯია.

** ეკონომიკურ ლიტერატურაში ცნობილია გარე ეფექტების **ინტერნალიზება** (ინგ. internal),რაც ფასებში ჩართვის შეუძლებლობას გამოხატავს.

თუ ნგრევაში, მოსახლეობის სიცოცხლის ხანგრძლივობისა და აქტიური საქმიანობის პერიოდის გადიდებასა თუ შემოკლებაში, დაავადებების შემცირებასა თუ გაზრდაში, პიროვნების შემოქმედებითი პოტენციალის ზრდასა თუ დაქვეითებაში, მოსახლეობის ფიზიკური განვითარების, მოქალაქეობრივი და ზნეობრივი კულტურის ამაღლებასა თუ დაცემაში და ა.შ.

გარე ეფექტის კატეგორიას მიეკუთვნება, აგრეთვე, თანმხლები სოციალურ-ეკონომიკური ეფექტები, რომლებიც უკავშირდება შრომის შედეგებს მათ ფარგლებს გარეთ. მაგალითად, საყოფაცხოვრებო მომსახურების განვითარების თანმხლებ ეფექტს წარმოადგენს მოსახლეობის ფულადი სახსრების ეკონომია, რომელიც უკავშირდება საყოფაცხოვრებო მომსახურებით სარგებლობის შედეგად საოჯახო საგნების გამოყენების ვადის გადიდებასა და, მოსახლეობის ანალოგიური მოთხოვნილებების დაკმაყოფილებისათვის,ახალი სახის პროდუქციის წარმოებისათვის საჭირო დანახარჯების შემცირებას. ან კიდევ, საბინაო მეურნეობაში თანმხლებ გარე ეფექტს მიეკუთვნება წარმოების მოცულობის ზრდა, რომელიც უკავშირდება აღნიშნული სფეროს განვითარების კვალობაზე კადრების დენადობის შემცირებას, სტაბილური საწარმოო კოლექტივის ფორმირებას,კადრების შევსებასთან დაკავშირებული ხარჯების შემცირებასა და ა.შ.

გარე ეფექტი შეიძლება გამოიხატოს როგორც დადებით, ისე უარყოფითი შედეგებით. მაგალითად,გარემოს დაცვას, ან კიდევ, ინფექციური დაავადების თავიდან აცილების მიზნით, სასმელი წყლის სანაციის პროგრამის განხორციელებას თან ახლავს უაღრესად დადებითი გარე ეფექტი – ეკოლოგიური და სანიტარიული ნორმების დარღვევისა და მათგან გამოწვეული ზარალის თავიდან აცილება, ხოლო მოსახლეობის საგანმანათლებლო დონის ზრდა,

რომელიც განაპირობებს კულტურული მსოფლმხედველობის ამაღლებას, ახალ გარემოსადმი ადაპტაციური შესაძლებლობების გადიდებასა და სხვ., ხელს უწყობს სოფლის მცხოვრებთა მასობრივ მიგრაციას ქალაქში და, საბოლოო ანგარიშით, იწვევს სასოფლო-სამეურნეო კადრების დეფიციტს, ურბანიზაციის პროცესის გაძლიერებას, უმუშევრობის გადიდებასთან ერთად, სიღატაკისა და დანაშაულობათა ზრდას. ამრიგად, მას თან ახლავს როგორც დადებითი, ისე უარყოფითი სოციალურ-ეკონომიკური შედეგები.

გარე ეფექტის მრავალფეროვანი ხასიათი და სპეციფიკა პრაქტიკულად შეუძლებელს ხდის ეკონომიკური საქმიანობის ზოგიერთ დარგში საბაზრო ეკონომიკის იმ ძირითადი პრინციპების გამოყენებას, რომლებიც გულისხმობს დანახარჯებისა და კომერციული ეფექტის შედარებას. სოციალური მიზნობრივი პროგრამების გარე ეფექტის შეფასებისას რეკომენდებულია მისი გაზომვა ადეკვატურ მაჩვენებლებში: სოციალურ სტანდარტებთან (ნორმატივებთან) სოციალური შედეგების ფაქტობრივი მნიშვნელობების შედარების გზით.

წმინდა საზოგადოებრივი დოვლათი, რომლის გარე ეფექტი საკმაოდ დიდია, არ შეიძლება გადაიქცეს კერძო მეწარმეობისა და საბაზრო მექანიზმის ფუნქციონირების სფეროდ,ხოლო შერეული საზოგადოებრივი დოვლათი,რომელიც ხასიათდება გარე ეფექტის გამოვლენის სხვადასხვა დონით, შეიძლება ჩაერთოს ან არ ჩაერთოს საბაზრო მექანიზმში; ეს დამოკიდებულია კონკრეტულ სოციალურ-ეკონომიკურ პირობებზე. ზოგიერთ შემთხვევაში შერეული საზოგადოებრივი დოვლათის მწარმოებელ დარგებში არასაბაზრო ურთიერთობების არსებობა იწვევს უარყოფით გარე ეფექტს. მაგალითად, შერეული საზოგადოებრივი დოვლათის უფასოდ მოხმარებამ შეიძლება გამოიწვიოს

მისი დეფიციტი, მომსახურების ხარისხის გაუარესება, ადამიანში მახინჯი ფსიქოლოგიის ფორმირება, ინდიფერენტიზმი საზოგადოებრივი ქონების მიმართ და სხვ.,ხოლო ფასიანობის შემოღება ზღუდავს მის მოხმარებას და ხელს უწყობს ეკონომიკური და სოციალური წონასწორობის აღდგენას. ამიტომ ასეთ შემთხვევაში განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება გარე ეფექტების სწორ შეფასებასა და ოპტიმალური გადაწყვეტილებების მიღებას.

გარე ეფექტების არსებობა განაპირობებს კერძო და სოციალური დანახარჯებისა და შედეგების გამიჯვნის აუცილებლობას. კერძო დანახარჯები და შედეგები ასახავენ საბაზრო ურთიერთობას, ხოლო მათი ტოლობა – საბაზრო წონასწორობას. სოციალური დანახარჯები და შედეგები შეიძლება იყოს კერძოზე მეტი ან ნაკლები. ამას განსაზღვრავს გარე ეფექტის ხასიათი – დადებითია იგი თუ უარყოფითი. მათი ტოლობა გამოხატავს არა უბრალოდ საბაზრო,არამედ ფსევდოსაბაზრო წონასწორობას,რომელიც თავისი ეკონომიკური შინაარსით,საბაზროზე გაცილებით ფართოა.

მხოლოდ ბაზარს არ შეუძლია ფსევდოსაბაზრო წონასწორობის დამყარება. იგი დგინდება სახელმწიფოსა და მოთხოვნა-მიწოდების მექანიზმის ერთობლივი ძალისხმევით. იქ,სადაც უძლურია ბაზარი,აუცილებელია სახელმწიფოს ჩარევა. ეს უკანასკნელი თავის თავზე იღებს გარე ეფექტების გაზომვისა და სახელმწიფო ბიუჯეტის მეშვეობით შემოსავლების გადანაწილების ორგანიზაციას, რაც კონკრეტულ გამოხატულებას სპეციალურ დაბეგვრაში პოვებს. მსოფლიო პრაქტიკაში იგი ცნობილია „პიგუს გადასახადის“ სახელწოდებით.

განვითარებულ ქვეყნებში დიდი ხნის განმავლობაში

მიმდინარეობდა დავა გარე ეფექტების სახელმწიფო რეგულირების აუცილებლობის აღიარების შესახებ.[5] მუდმივად მზარდ მოთხოვნაზე ორიენტირებული საბაზრო ძალები სულ უფრო მეტ ბუნებრივ რესურსებს აქცევდნენ სამეურნეო ბრუნვაში,რაც ზიანს აყენებდა ბუნებას,იწვევდა რეგიონული დისპროპორციების წარმოქმნასა და დიდი ქალაქების პრობლემების გამწვავებას. ეკოლოგიური სიტუაციის სერიოზულმა გაუარესებამ გამოიწვია ის,რომ უკანასკნელ პერიოდში,განსაკუთრებით გასული საუკუნის 80-იანი წლებიდან,განვითარებულ ქვეყნებში წარმოიშვა საბაზრო კონკურენციის ნეგატიური სოციალური „გამონაბოლქვების“ ლიკვიდაციის სპეციალური სახელმწიფო რეგულატორები. ეკოლოგიური საფრთხის თავიდან აცილების მიზნით,ფართოდ გავრცელდა საინვესტიციო პროექტების წინასწარი სახელმწიფო ექსპერტიზა და „პიგუს გადასახადის“ ტიპის საბიუჯეტო პროცედურა.

დავუშვათ, რომ საბაზრო კონკურენციაში მონაწილე ფირმა აჭუჭყიანებს გარემოს, რითაც რეალურ ზარალს აყენებს მის ირგვლივ მცხოვრებლებს. ამის შედეგად ცხოვრების დონე შეიძლება იქამდე დაეცეს,რომ შეიქმნას შთაბეჭდილება, თითქოს მკვეთრად დაეცა ხელფასები, ან აიწია ფასებმა საქონელსა და მომსახურებაზე. საბაზრო მექანიზმი მოსახლეობას აძლევს იმის შანსს, რომ გამოასწორონ თავიანთი მდგომარეობა (მეტი გამოიმუშავონ, შეცვალონ მოთხოვნის სტრუქტურა და ა.შ.), მაგრამ გარე ეფექტებს ვერაფერს უხერხებენ. აქ სახელმწიფოს ჩარევა აუცილებელია.

ამრიგად, პირდაპირი ადმინისტრირება, რომელიც გამოიხატება არაკვლავწარმოებადი ბუნებრივი რესურსების

[5] **ასათიანი რ**. გარე ეფექტები და „გადასხმის“ ხარჯები. „ეკონომისტი“,2009,№2.

ნაწილის კომერციული ექსპლოატაციის,ადამიანის ჯანმრთელობისთვის მავნე ტექნოლოგიის გამოყენების აკრძალვაში და სხვ., სრულებითაც არ ეწინააღმდეგება საბაზრო ეკონომიკის პრინციპებს. ბევრ ქვეყანაში სახელმწიფო იყენებს სამართლებრივ და ადმინისტრაციულ ბერკეტებს, რათა აიძულოს ბიზნესი მოახდინოს კაპიტალის ინვესტირება გარემოს აღდგენისათვის.

II.5. ქოუზის თეორემა

რონალდ ქოუზმა – ნეოკლასიკური მიმდინარეობის თვალსაჩინო წარმომადგენელმა, ჩიკაგოს უნივერსიტეტის პროფესორმა, ეკონომიკის დარგში ნობელის პრემიის ლაურეატმა (1991) გარე ეფექტების კვლევაში, აგრეთვე, ტანსაქციული ხარჯების* თეორიის შექმნასა და საკუთრების უფლების არსის ახსნაში შეტანილი წვლილისთვის ნაშრომში „სოციალური ხარჯების პრობლემა“ (1960) (“The Problem of Social Cost”) გააკეთა დასკვნები,რომლებიც ცნობილია **ქოუზის თეორემის** (Coase’s theorem) სახელწოდებით. თეორემა ეფუძნება მტკიცებას იმის შესახებ, რომ გარე ეფექტები – ექსტერნალიები იმ შემთხვევაში არ იწვევენ რესურსების არარაციონალურ ალოკაციას,თუ არ არსებობს ტრანსაქციული ხარჯები. ამიტომ ნულოვანი ტრანსაქციული ხარჯების საფუძველზე ბაზარს შეუძლია გაუმკლავდეს ნებისმიერ გარე ეფექტებს. ასეთ პირობებში

---

* **ტრანსაქციული ხარჯები** მოლაპარაკების მონაწილეთა მიერ კონტრაქტების დადებისას წარმოქმნილი ხარჯებია ანუ ინფორმაციის შეკრებისა და დამუშავების,მოლაპარაკებების წარმართვისა და გადაწყვეტილების მიღების,კონტრაქტების შესრულების, კონტროლისა და ა.შ. ხარჯები.
ტერმინი „ტრანსაქციული ხარჯები“ რ. ქოუზმა პირველად განიხილა თავის ადრინდელ ნაშრომში „ფირმის ბუნება“ (“The Nature of the Firm”),რომელიც 1937 წელს გამოვიდა.

საკუთრების უფლების განაწილებაში ცვლილებების მიუხედავად, წარმოების სტრუქტურა უცვლელი რჩება.

რ. ქოუზის აზრით, ექსტერნალიებს აქვთ ურთიერთგანმაპირობებელი ანუ სიმეტრიული ბუნება. თუ A-ს საქმიანობა ზიანს აყენებს B-ს, მაშინ შემდგომი შეზღუდვები A-ს საქმიანობაში, B-ს დაცვის მიზნით, ავნებს A-ს. ამიტომ სოციალური პრობლემა სიტუაციის ოპტიმალურ გადაწყვეტაში მდგომარეობს. ამრიგად, ასეთ სიტუაციაში არჩევანი უნდა გადაიხაროს იმ გადაწყვეტილებისაკენ, რომელიც საზოგადოებისთვის უმცირეს დანახარჯებს გამოიწვევს.

ქოუზის თეორემა ხსნის საკუთრების უფლების ეკონომიკურ არსს. ქოუზის აზრით, რაც უფრო ზუსტად იქნება განსაზღვრული საკუთრების უფლება, მით უფრო მეტია იმის ალბათობა, რომ გარე ეფექტები გარდაიქმნან შიდა ეფექტებად. ეკონომიკური ზრდა ან ეკონომიკური განვითარება ძირითადად არ არის დამოკიდებული ხელისუფლებაზე, თუკი ტრანსაქციული ხარჯები პოლიტიკურ და ეკონომიკურ სფეროებში ნულის ტოლია.[6]

პრაქტიკაში ადგილი აქვს ბევრ ისეთ შემთხვევას, როდესაც ქოუზის თეორემის გამოყენება შეუძლებელია, მაგალითად, მთავრობებს შორის მოლაპარაკებების დროს, როცა მასში მხარეთა დიდი რაოდენობა მონაწილეობს.*

II.6. ბუნებრივი მონოპოლიების არსი და სახელმწიფო რეგულირება

საბაზრო ეკონომიკაში არასაბაზრო ურთიერთობებისა

6 **Couse R.** The problem of Social cost. "Journal of Law and Economics", Vol. 3, 1960, p. 17.

* აღსანიშნავია, რომ ეს პრობლემა ადრე განიხილა **არტურ პიგუმ** ნაშრომში – „კეთილდღეობის ეკონომიკური თეორია" ("The Economics of Welfare").

და საზოგადოებრივი სექტორის ეკონომიკის არსებობის მესამე ფაქტორს, რომელიც უკავშირდება ბუნებრივი ანუ სახელმწიფო მონოპოლიების არსებობას, ადგილი აქვს ენერგო-, თბო-, წყალ- და გაზმომარაგებაში, სარკინიგზო მიმოსვლაში, საფოსტო, სატელეფონო და სატელეგრაფო კავშირგაბმულობაში და სხვ. საქმიანობის ამ სფეროებში ბუნებრივი მონოპოლიების არსებობა გამოწვეულია წარმოებული პროდუქტის თავისებურებებითა და მისი გამოყენების განსაკუთრებული ხასიათით, დარგის ტექნოლოგიური სპეციფიკით,რომელიც მოითხოვს წარმოების, განაწილებისა და მოხმარების ერთიან სისტემას. წარმოებული პროდუქციის მოხმარების მასობრივი ხასიათი განაპირობებს ფართომასშტაბური წარმოების აუცილებლობას. ამასთან, ვინაიდან ეს პროდუქცია გამოირჩევა ეროგვაროვნების მაღალი დონით და მისი შეცვლა ალტერნატიული პროდუქციით შეუძლებელია, ამდენად ამ დარგებში, წარმოების მასშტაბების გაფართოებასთან დაკავშირებით, ძლიერ მოქმედებს ერთეულ პროდუქციაზე დანახარჯების ეკონომიის კანონი. მათში საბაზრო ურთიერთობების ჩამოყალიბების შემთხვევაში, კერძო მეწარმეები, რომლებიც ბაზარზე მყარ პოზიციას დაიკავებდნენ,ადვილად შეძლებდნენ კონკურენციულ ბრძოლაში ახალი მეტოქეების დამარცხებას. მათი მდგომარეობა ბაზარზე, წარმოების ფართომასშტაბური ხასიათიდან გამომდინარე,ყოველთვის მონოპოლიური იქნებოდა და გამოიწვევდა რესურსების უკიდურესად არარაციონალურ გამოყენებას. ამიტომ ეკონომიკური საქმიანობის ამ სფეროებში არ არსებობს ეკონომიკური სივრცე ნორმალური კონკურენციისათვის, რაც განაპირობებს ბუნებრივი მონოპოლიების არსებობას.

ამრიგად, ბუნებრივი მონოპოლიების ფუნქციონირება არ არის დაკავშირებული ბაზრის არაქმედითუნარიანო-

ბასთან, თუმცა, რეალურ სინამდვილეში იგი სწორედ არასრულყოფილ საბაზრო ეკონომიკაში არსებობს. ამიტომ ბუნებრივი მონოპოლია უნდა განვასხვავოთ ხელოვნური მონოპოლიისაგან, რომელიც ფორმირდება ამა თუ იმ საქონლის ან მომსახურების წარმოების,განაწილებისა და მოხმარების მონოპოლიზაციის საფუძველზე და ხელოვნურად ხღუდავს საბაზრო მექანიზმის მოქმედების სფეროს. მონოპოლიის ამ ორ სახეს შორის მთავარი განსხვავება ისაა,რომ **ბუნებრივი მონოპოლიის გაუქმება (მაგალითად, პრივატიზაცია) ნიშნავს წარმოების ეფექტიანობის მკვეთრ დაცემას (ზოგჯერ მის გაქრობას), ხოლო ხელოვნური მონოპოლიისა – მხოლოდ საბაზრო მექანიზმის ფუნქციონირების პოზიტიურ ტრანსფორმაციას.**

საბაზრო პირობები დიდ გავლენას ახდენს არასაბაზრო სექტორის საქმიანობაზე. რაც უფრო ეფექტიანად ფუნქციონირებს ეს უკანასკნელი, მით უფრო ფართოა მისი განვითარების შესაძლებლობები. თავის მხრივ, არასაბაზრო სექტორის წარმატებები ხელს უწყობს არა მხოლოდ საბაზრო სექტორის ზრდასა და მასში შემავალი დარგების განვითარებას, არამედ საზოგადოებრივი სექტორის ეკონომიკის ფუნქციონირებასაც.

ძირითადი ცნებები

არასაბაზრო სექტორი. საზოგადოებრივი დოვლათი. წმინდა საზოგადოებრივი დოვლათი. შერეული საზოგადოებრივი დოვლათი. კვაზისაზოგადოებრივი დოვლათი. გარე ეფექტები (ექსტერნალიები). „გადასხმის“ ხარჯები. ფსევდოსაბაზრო წონასწორობა. სახელმწიფო რეგულირება. პიგუს გადასახადი. პროგრესიული დაბეგვრა. ვიქსელის კრიტერიუმი. ტრანსაქციული ხარჯები. ქოუზის თეორემა.

ბუნებრივი მონოპოლია. ხელოვნური მონოპოლია.

დასკვნა

1. ბაზარი ეფექტიანი ეკონომიკის გასაღებია, მაგრამ მას არ შესწევს უნარი გადაჭრას ბევრი სხვა პრობლემა. ბიზნესის არასტაბილურობა იწვევს უმუშევრობას, ინფლაციას, შემოსავლების უსამართლო განაწილებას. ბაზარს არ შეუძლია დაიცვას გარემო, გადაჭრას სტიქიურ უბედურებასთან დაკავშირებული პრობლემები, უზრუნველყოს სახელმწიფო ინსტიტუტების ფუნქციონირება, დაიცვას ეროვნული უშიშროება და ა.შ. ბაზარს ახასიათებს უამრავი ნაკლოვანება, რომელიც მოითხოვს სახელმწიფოს ჩარევას;

2. ბაზრის ნაკლოვანებებმა, მისმა არასრულყოფილებამ ობიექტური პირობები შექმნა საზოგადოებრივი სექტორის ეკონომიკის ჩამოყალიბებისათვის. არასაბაზრო სექტორი არსებობს შეზღუდული ხასიათის საბაზრო სექტორის გვერდით. მისი მასშტაბების შეზღუდულობის გამო, გაბატონებული მდგომარეობა უჭირავს ჯანსაღ საბაზრო ურთიერთობებს, თუმცა, არასაბაზრო სექტორის წარმატებები ხელს უწყობს საბაზრო სექტორის ეფექტიან ზრდას,მასში შემავალი დარგების განვითარებას;

3. არასაბაზრო ურთიერთობებს ადგილი აქვს როგორც მატერიალურ-ნივთობრივი პროდუქტის,ისე მომსახურების წარმოებაში. ისინი ყალიბდება ქვეყნის მაკროეკონომიკური რეგულირების, სახელმწიფო საწარმოებში მტკიცე ფასების დადგენის, სახელმწიფო დაკვეთების შემოღების, მოსახლეობის სოციალურ დაცვასთან დაკავშირებული ღონისძიებების გატარების შემთხვევაში. არასაბაზრო პირობებში იმყოფება საბიუჯეტო დაფინანსებაზე მყოფი ორგანიზაციებიც,რომლებიც საზოგადოებრივი სექტორის

ეკონომიკის კვლევის სფეროა.

4. საბაზრო ეკონომიკაში არასაბაზრო ურთიერთობების არსებობას ძირითადად განაპირობებს შემდეგი ფაქტორები: **პირველი**, საზოგადოებრივი დოვლათის წარმოების აუცილებლობა; **მეორე**,გარე ეფექტების (ექსტერნალიების) შეფასება; **მესამე**, ბუნებრივი მონოპოლიების არსებობის აუცილებლობა და სახელმწიფო რეგულირება;

5. საზოგადოებრივ დოვლათს მიაწერენ შემდეგ ხუთ ფუნქციას: **პირველი**,სამუშაო ძალის კვლავწარმოებისათვის მინიმალურად აუცილებელი პირობების შექმნა (კომუნალური მომსახურება...); **მეორე**, სამუშაო ძალის შენარჩუნების პირველადი (ჯანდაცვისა და საპენსიო მომსახურების სისტემები...) და მეორეული (დაზღვევა უმუშევრობის შემთხვევაში,კადრების პროფესიული მომზადება და გადამზადება...) პირობების შექმნა; **მესამე**, სამუშაო ძალის მომზადება, რომელიც შეესაბამება საწარმოო ძალების განვითარების თანამედროვე დონეს (დაწყებითი,საშუალო და უმაღლესი განათლება...); **მეოთხე**, საკომუნიკაციო მომსახურების გაწევა (ტრანსპორტი, კავშირგაბმულობა, საინფორმაციო მომსახურება...); **მეხუთე**, კოლექტიურ-საზოგადოებრივი მომსახურების გაწევა (კულტურის დაწესებულებები, რეკრეაციული სფერო, სპორტული დაწესებულებები...).

6. საზოგადოებრივი დოვლათის ნიშნებია: მოხმარებისგან განუყოფლობა, მოხმარების კოლექტიური ხასიათი, მაღალი სოციალური დანიშნულება და სახელმწიფო საკუთრების უპირატესი ხვედრითი წონა;

7. საზოგადოებრივი დოვლათი იყოფა სამ კატეგორიად: **პირველი**, წმინდა საზოგადოებრივი დოვლათი, რომლის შინაგანი სპეციფიკა განსაზღვრავს მიწოდების საბაზრო ფორმის შეუძლებლობას; **მეორე**, შერეული საზოგადოებრივი დოვლათი,რომელიც ძირითადად ექცევა საბაზრო მექა-

ნიზმის გავლენის ქვეშ, მაგრამ მისი მიწოდებისას ბაზარი ავლენს არასრულყოფილებას; **მესამე**, ეს არის ბუნებრივი მონოპოლია, რომლის თავისებურებებიდან გამომდინარე, გარდაუვალია მისი არსებობა;

8. ნობელის პრემიის ლაურეატმა (1991), ნეოკლასიკური მიმდინარეობის თვალსაჩინო წარმომადგენელმა რ. ქოუზმა, ტრანსაქციული ხარჯების თეორიის შექმნასა და საკუთრების უფლების არსის ახსნაში შეტანილი წვლილისათვის ნაშრომში – „სოციალური ხარჯების პრობლემა“ გააკეთა დასკვნები, რომლებიც ცნობილია **„ქოუზის თეორემის“** სახელწოდებით. თეორემა ეფუძნება მტკიცებას იმის შესახებ, რომ გარე ეფექტები იმ შემთხვევაში არ იწვევენ რესურსების არარაციონალურ ალოკაციას, თუ არ არსებობს ტრანსაქციული ხარჯები. ამიტომ ნულოვანი ტრანსაქციული ხარჯების საფუძველზე ბაზარს შეუძლია გაუმკლავდეს ნებისმიერ გარე ეფექტებს. ასეთ პირობებში, საკუთრების უფლების განაწილებაში ცვლილებების მიუხედავად, წარმოების სტრუქტურა უცვლელი რჩება.

9. ეკონომიკური ზრდა და ეკონომიკური განვითარება ძირითადად არ არის დამოკიდებული ხელისუფლებაზე, თუკი ტრანსაქციული ხარჯები პოლიტიკურ და ეკონომიკურ სფეროებში ნულის ტოლია;

10. ბუნებრივ ანუ სახელმწიფო მონოპოლიებს ადგილი აქვს ენერგო-, თბო-, წყალ- და გაზმომარაგებაში, სარკინიგზო მიმოსვლაში, საფოსტო, სატელეფონო და სატელეგრაფო კავშირგაბმულობაში და ა.შ. საქმიანობის ამ სფეროებში ბუნებრივი მონოპოლიების არსებობა გამოწვეულია წარმოებული პროდუქტის თავისებურებებითა და მისი გამოყენების განსაკუთრებული ხასიათით, დარგის ტექნოლოგიური სპეციფიკით, რომელიც მოითხოვს წარმოების, განაწილებისა და მოხმარების ერთიან სისტემას. წარმოე-

ბული პროდუქციის მოხმარების მასობრივი ხასიათი განაპირობებს ფართომასშტაბური წარმოების აუცილებლობას. ამასთან, ვინაიდან ეს პროდუქცია გამოირჩევა ეროგვაროვნების მაღალი დონით და მისი შეცვლა ალტერნატიული პროდუქციით შეუძლებელია, ამდენად ამ დარგებში, წარმოების მასშტაბების გაფართოებასთან დაკავშირებით, ძლიერ მოქმედებს ერთეულ პროდუქციაზე დანახარჯების ეკონომიის კანონი. მათში საბაზრო ურთიერთობების ჩამოყალიბების შემთხვევაში, კერძო მეწარმეები, რომლებიც ბაზარზე მყარ პოზიციას დაიკავებდნენ, ადვილად შეძლებდნენ კონკურენციულ ბრძოლაში ახალი მეტოქეების დამარცხებას. მათი მდგომარეობა ბაზარზე,წარმოების ფართომასშტაბური ხასიათიდან გამომდინარე,ყოველთვის მონოპოლიური იქნებოდა და გამოიწვევდა რესურსების უკიდურესად არარაციონალურ გამოყენებას. ამიტომ ეკონომიკური საქმიანობის ამ სფეროებში არ არსებობს ეკონომიკური სივრცე ნორმალური კონკურენციისათვის, რაც განაპირობებს ბუნებრივი მონოპოლიების არსებობას;

11. ბუნებრივი მონოპოლიის გაუქმება (მაგალითად, პრივატიზაცია) ნიშნავს წარმოების ეფექტიანობის მკვეთრ დაცემას (ზოგჯერ მის მთლიანად გაქრობას), ხოლო ხელოვნური მონოპოლიისა – მხოლოდ საბაზრო მექანიზმის ფუნქციონირების პოზიტიურ ტრანსფორმაციას;

12. არასაბაზრო სექტორის წარმატებები ხელს უწყობს არა მხოლოდ საბაზრო სექტორის ზრდასა და მასში შემავალი დარგების განვითარებას, არამედ საზოგადოებრივი სექტორის ეკონომიკის ეფექტიან ფუნქციონირებასაც.

III თავი

სოციალური საბაზრო ეკონომიკა როგორც ცივილიზაციის უმაღლესი ფორმა

ფრაიბურგის სკოლის „წესრიგის“ ორდოლიბერალური კონცეფცია და „მესამე გზის“ თეორია. საბაზრო ეკონომიკაში სოციალური ორიენტაციის გაძლიერების წანამძღვრები. კეთილდღეობის მაკონტროლებელი – სახელმწიფოს სოციალური დაცვის პროგრამები. სოციალური სტრატიფიკაციის თეორია და სოციალური დიფერენციაციის მოდელები. სოციალური საბაზრო ეკონომიკა, როგორც საბაზრო სისტემის განსაკუთრებული ფორმა.

III.1. ფრაიბურგის სკოლის „წესრიგის“ ორდოლიბერალური კონცეფცია და „მესამე გზის“ თეორია

XX საუკუნის 30-იანი წლების ბოლოს მსოფლიოს წამყვან ქვეყნებში აქტიურად დაიწყო ნეოლიბერალური იდეების განვითარება, რომლებიც დაუპირისპირდა ეკონომიკის სახელმწიფო რეგულირების კეინზიანურ თეორიას. შეიქმნა კვლევითი ცენტრები ახალი ისტორიული სკოლის,ნეოკლასიკური და ტრადიციული ლიბერალიზმის ბაზაზე,სადაც დაიწყო სახელმწიფო რეგულირების ალტერნატიული მეთოდების შემუშავება. ნეოლიბერალური კვლევების ყველაზე მსხვილი სკოლები, გარდა აშშ-ისა, ჩამოყალიბდა გერმანიასა და ინგლისში. აშშ-ში ეს იყო ჩიკაგოს მონეტარიზმის სკოლა (ლ. მიზესი,მ. ფრიდმენი, ა. შვარცი...),გერმანიაში – ორდოლიბერალიზმის ფრაიბურგის სკოლა (ვ. ოიკენი,ლ. ერჰარდი, ა. მიულერ-არმაკი, ი. რიოპკე, ა. რიუსტოვი...), ინგლისში – ლონდონის სკოლა (ფ. ჰაიეკი,ლ. რობინსი...).

ფრაიბურგის სკოლის ცნობილმა წარმომადგენელმა ვ. ოიკენმა (1891-1950) გერმანიაში საფუძველი ჩაუყარა ნეოლიბერალიზმის ორდოლიბერალურ მიმართულებას და შექმნა მისი მეთოდოლოგია „წესრიგის ორდოლიბერალური კონცეფციის“ სახით. ასევე, ლ. ერჰარდმა (1897-1977), ა. მიულერ-არმაკმა (1901-1978), ვ. რიოპკემ (1899-1966), ა. რიუსტოვმა (1885-1963) და სხვებმა ისტორიული სკოლის, ნეოკლასიკურისა და ტრადიციული ლიბერალიზმის იდეების სინთეზის საფუძველზე შექმნეს მოძღვრება სახალხო მეურნეობის განვითარების შესახებ.[1]

ფრაიბურგის სკოლის ორდოლიბერალიზმს ტრადიციულ ლიბერალიზმთან აერთიანებს კერძო საკუთრებაზე დაფუძნებული ინდივიდუალური თავისუფლების იდეა. ამასთან, ორდოლიბერალები,ლიბერალებისაგან განსხვავებით,ეკონომიკურ პროცესებს განიხილავდნენ არა მიკრო-, არამედ მაკროეკონომიკური პოზიციებიდან და მხარს უჭერდნენ სახელმწიფოს ეკონომიკაში ჩარევის იდეას. თუმცა, კეინზიანური მოდელისგან განსხვავებით, ორდოლიბერალიზმი ეკონომიკაში სახელმწიფოს ჩარევის გაცილებით შეზღუდულ მასშტაბებს გულისხმობდა და,რაც მთავარია, ჩარევის ობიექტად ორდოლიბერალები მიიჩნევდნენ არა უშუალოდ კვლავწარმოების პროცესს, არამედ მეწარმეობისა და კონკურენციის ინსტიტუციონალურ საფუძვლებს.[2]

თუ ჯონ მეინარდ კეინზი კაპიტალიზმის უმთავრეს პრობლემად მიიჩნევდა ერთობლივი მოთხოვნის უკმარისობას, რომლის დროსაც ეკონომიკა კარგავს განვითარების სტიმულებს, გერმანელი ნეოლიბერალები კაპიტალიზმის

[1] **სილაგაძე ა.** ეკონომიკური დოქტრინები. თბილისი,„ინოვაცია“, 2010.

[2] **Megay E. N.** Anti-Pluralist Liberalism: The German Neoliberals. “Politikan Science Quarterly”, Vol. 85, N. 3. 85(3). 1970, pp. 422-442.

მთავარ პრობლემად ეკონომიკის მონოპოლიზაციას* აღიარებდნენ. შესაბამისად, მათ მიაჩნდათ, რომ ქვეყნის ეკონომიკური პოლიტიკის მთავარი მიზანი უნდა იყოს არა ერთობლივი მოთხოვნის რეგულირება,არამედ კონკურენტული გარემოს შექმნა და კონკურენციის განვითარება,კერძო და სახელმწიფო საკუთრების თანაფარდობის რეგულირება, სამართლებრივი გარემოს შექმნა, ეკონომიკაში როგორც პირდაპირი, ისე არაპირდაპირი მეთოდებით ჩარევა. აქედან გამომდინარე,მათი პოლიტიკის ძირითად პრინციპებს წარმოადგენდა: 1) კერძო საკუთრების ხელშეუხებლობა; 2) მონეტარული სტაბილურობა; 3) ბაზრების გახსნილობა; 4) გარიგებებისა და კონტრაქტების დადების თავისუფლება; 5) მატერიალური პასუხისმგებლობის დაკისრება მათზე, რომლებიც პასუხს აგებდნენ სამეურნეო სუბიექტების მოქმედებებზე; 6) ეკონომიკური პოლიტიკის თანმიმდევრულობა და სხვ.

ჯ. მ. კეინზის მაკროეკონომიკურ იდეებს, რომლებიც გულისხმობს ეკონომიკურ პოლიტიკაში,ერთობლივი მოთხოვნის ზრდასთან ერთად, მოქნილ ფისკალურ და ფულადსაკრედიტო ანტიციკლურ პოლიტიკას, 40-იანი წლებიდან დაწყებული დიდი წარმატება მოჰყვა წამყვანი კაპიტალისტური ქვეყნების ეკონომიკაში. ორდოლიბერალებმა მას დაუპირისპირეს თანმიმდევრულობა ეკონომიკურ პოლიტიკაში: სამეურნეო პროცესებზე სახელმწიფოს მხრიდან ზემოქმედებას ისინი დასაშვებად მიიჩნევდნენ მხოლოდ განსაკუთრებულ შემთხვევებში, მაგალითად, მაშინ, როდე-

* საინტერესოა **ა. რიუსტოვის** შეხედულება მონოპოლიების შესახებ. მისი აზრით,ეკონომიკურ ცხოვრებაში მონოპოლიების გაბატონება Laissez-faire-ს პოლიტიკის შედეგია,რომლის აღმოფხვრა შესაძლებელია აქტიური ეკონომიკური პოლიტიკით,მათ შორის, ანტიმონოპოლიური ღონისძიებების გატარებით.

საც ეკონომიკა განიცდიდა ეგზოგენური ფაქტორების ზეგავლენას.

აღსანიშნავია,რომ II მსოფლიო ომის შემდეგ დასავლეთ გერმანიაში ორდოლიბერალების თეორია ვერ იქნებოდა გამოყენებული,რადგან იმდროინდელ გერმანიაში შეიქმნა ვითარება, როდესაც აუცილებელი გახდა ეკონომიკაში უფრო მოქნილი მეთოდებით სახელმწიფოს მხრიდან ზემოქმედება,ვიდრე ამას გულისხმობდნენ ორდოლიბერალები.

მოსახლეობა,30-იანი წლების „დიდი დეპესიის“ გავლენით,მხარს არ უჭერდა კონკურენციის იდეას. ამ გარემოების გათვალისწინებით,**გერმანელმა ნეოლიბერალებმა განავითარეს „სოციალური საბაზრო ეკონომიკის“ კონცეფცია,** რომელსაც საფუძველად დაედო ა. მიულერ-არმაკის წიგნი **„ეკონომიკის რეგულირება და საბაზრო მეურნეობა“ (1947)**.

თუ სოციალურ სამართლიანობად ვ. ოიკენი შემოსავლების საბაზრო განაწილებას მიიჩნევდა, ა. მიულერ-არმაკი მხარს უჭერდა სოციალური კომპენსაციის პრინციპებზე დაფუძნებულ აქტიურ სოციალურ პოლიტიკას. სოციალური კომპენსაციის მთავარ ინსტრუმენტებად იგი მიიჩნევდა მაღალი შემოსავლების პროგრესიულ დაბეგვრასა და სახსრების გადანაწილებას დაბალშემოსავლიანი სოციალური ფენების სასარგებლოდ. ამისათვის კი გათვალისწინებული იყო საბიუჯეტო დოტაციები შვილების აღზრდისათვის, ბინის ქირის გადასახდელად, საკუთარი საცხოვრებლის ასაშენებლად, აგრეთვე, სოციალური დაზღვევა უმუშევრობისა და ავადმყოფობის შემთხვევებში, ადამიანისთვის ღირსეული სოციალური ინფრასტრუქტურის შექმნა და ა.შ.

ამ იდეების პრაქტიკულ განხორციელებაში განსაკუთრებული ღვაწლი მიუძღვის გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის იმდროინდელ ჯერ ვიცე-კანცლერს და შემ-

დეგ კანცლერს ლუდვიგ ერჰარდს.* სოციალური საბაზრო ეკონომიკის ძირითად მიზნებად იგი მიიჩნევდა თავისუფლებასა და სამართლიანობას, ამასთან, თვლიდა, რომ ეკონომიკური თავისუფლება შეუძლებელია პოლიტიკური თავისუფლების გარეშე,ადამიანის უფლებების სახელმწიფო გარანტიების, სოციალური დაცულობის გარეშე.**

მართალია, **სოციალური საბაზრო ეკონომიკის კონცეფცია წარმოიშვა ორდოლიბერალიზმის იდეებიდან**, ეს კონცეფცია არ არის ორდოლიბერალიზმის იდენტური, რადგან იგი ყურადღებას ამახვილებს სახელმწიფოს პასუხისმგებლობაზე – აქტიურად სრულყოს საბაზრო გარემო და ამავდროულად უზრუნველყოს სოციალური ინტერესების ბალანსი. ვ. ოიკენის ორდოლიბერალიზმისაგან განსხვავებით, რომლის თანახმად, სოციალური პრობლემების გადასაჭრელად საკმარისი იყო სახელმწიფოს მიერ კონკურენტული გარემოს უზრუნველყოფა, ა. მიულერ-არმაკის კონცეფციის თანახმად, სოციალური საბაზრო ეკონომიკა, როგორც მარეგულირებელი პოლიტიკის იდეა, მიზნად ისახავს თავისუფალი მეწარმეობისა და სოციალური პროგრამების თანაარსებობას კონკურენტული ეკონომიკის საფუძველზე.

სოციალური საბაზრო ეკონომიკა წარმოადგენს მესამე გზას laissez-faire-ის ეკონომიკურ ლიბერალიზმსა და სოციალისტურ ეკონომიკას შორის. ამიტომ იგი „მესამე გზის“ თეორიითაა ცნობილი და ინსპირირებულია ორდოლიბერალიზმის, სოციალ-დემოკრატიული შეხედულე-

* **ლ. ერჰარდი** სოციალური საბაზრო ეკონომიკის (მეურნეობის) დოქტრინის ერთ-ერთი ავტორია, რასაც მისი ნაშრომები ადასტურებს. ამ მხრივ განსაკუთრებით გამოირჩევა: **„კეთილდღეობა ყველასათვის“** (1956) და სხვ.

** სოციალური საბაზრო ეკონომიკის ნეოლიბერალური მოდელი საფუძვლად დაედო ცნობილ გერმანულ „ეკონომიკურ სასწაულს,“ რომელიც, თავის მხრივ, უკავშირდება ლ. ერჰარდის სახელს.

ბებისა და ქრისტიანული ეთიკის იდეებით. „მესამე გზის“ თეორიაზე აგებული ეკონომიკური პოლიტიკა მონეტარული, საკრედიტო, სავაჭრო, საგადასახადო, საბაჟო, საინვესტიციო და სოციალური პოლიტიკის კომბინაციით მიმართულია საზოგადოების კეთილდღეობის ამაღლებასა და სოციალური სამართლიანობის უზრუნველყოფაზე.

შემთხვევითი არ იყო, რომ მოსახლეობა მხარს არ უჭერდა ზემოხსენებული „კვლევითი ცენტრების“ იდეებს. „დიდი დეპრესიისა“ და მეორე მსოფლიო ომის გავლენით გაღატაკებულმა მოსახლეობამ, უაღრესად დაბალი ერთობლივი მოთხოვნის პირობებში, თავისი მხარდაჭერა გამოხატა ჯონ მეინარდ კეინზის მაკროეკონომიკურ თეორიაზე მორგებული იდეების მიმართ.

40-იანი წლების დასაწყისში ლიბერალური ეკონომიკური პოლიტიკის საფუძველზე შექმნილი მონოპოლიზირებული ეკონომიკის „მკურნალობა“ კონკურენციის განვითარებით ნაადრევი იყო, ამიტომაც მოსახლეობა არ უჭერდა მხარს კონკურენციის იდეას, ხოლო კეინზის მულტიპლიკაციური ეფექტი მიმზიდველი შეიქნა საზოგადოებისათვის.

მოსახლეობის მხარდაჭერამ პოზიტიური როლი შეასრულა „კეინზიანური რევოლუციის“ სახელწოდებით ცნობილ მაკროეკონომიკური რეგულირების წარმატებაში. წამყვანი კაპიტალისტური ქვეყნების ეკონომიკურ პოლიტიკაში კეინზიანური თეორიის პოსტულატების გატარებით„„ველური“ კაპიტალიზმის ისტორიაში ერთობლივი მოთხოვნის გაზრდით დაიწყო ახალი ათვლის წერტილი, ჩამოყალიბდა სოციალურად ორიენტირებული საბაზრო ეკონომიკა, რომლის თითქმის 70–წლიანი ევოლუციური გზით განვითარების შემდეგ, დღეს, ეკონომიკურად წარმატებულ ქვეყნებში, მიმდინარეობს **სოციალურად ორიენტირებული საბაზრო ეკონომიკის სოციალურ საბაზრო ეკონომიკაში გადაზრდა.**

III.2. საბაზრო ეკონომიკაში სოციალური ორიენტაციის გაძლიერების წანამძღვრები

ეკონომიკისათვის სოციალური ორიენტაციის მიცემა ქვეყნის მშვიდობიანი და ჰარმონიული განვითარების საწინდარია. ამიტომაცაა, რომ თანამედროვე პირობებში განვითარებული ქვეყნების ეკონომიკურ პოლიტიკაში ცენტრალური ადგილი სოციალური სტაბილურობის პროგრამებს უჭირავს.

სოციალურად ორიენტირებულმა საბაზრო ეკონომიკის ქვეყნებმა,რომლებმაც მიაღწიეს ეკონომიკური ზრდისა და განვითარების მაღალ დონეს,შეძლეს გამოეყოთ სოლიდური სახსრები ღარიბების დასახმარებლად და ჯანდაცვის დაფინანსებისათვის.

ასეთი საზოგადოების ყველაზე მკაფიო ილუსტრაციას წარმოადგენს აშშ, კანადა. ამის საწინააღმდეგოდ დასავლეთევროპული ქვეყნები, რომლებიც აბსოლუტური მაჩვენებლებით ჩამორჩებიან აშშ-ს, ხასიათდებიან „სოციალური ეკონომიკის“ სიმწიფის გაცილებით მაღალი დონით.

სოციალური საბაზრო ეკონომიკის ცნება ყველაზე მეტად ასოცირდება გერმანულ მოდელთან, რომელსაც, შეიძლება ითქვას, ლომის წილი მოდის სოციალური საბაზრო ეკონომიკის ფორმირების პროცესსა და საზოგადოებრივი სექტორის ეკონომიკის ფუნქციონირებაში. მას საფუძვლად უდევს კონკურენციის განვითარება,როგორც პროგრესის,სამართლიანობისა და მშვიდობის საწინდარი.

ეკონომიკის დარგის ექსპერტები და მეცნიერთა აბსოლუტური უმრავლესობა სიღარიბის წინააღმდეგ ბრძოლის რეალურ შესაძლებლობას სოციალური საბაზრო ეკონომიკის შექმნაში ხედავენ, ხოლო სოციალური საბაზრო

ეკონომიკის გასაღებს – კონკურენციის დაცვასა და განვითარებაში.[3]

III.3. კეთილდღეობის მაკონტროლებელი – სახელმწიფოს სოციალური დაცვის პროგრამები

სიღარიბე, რომელიც დღეს მსოფლიოში ერთ-ერთი ყველაზე დიდი პრობლემაა, უდიდესი „თავსატეხია“ არა მხოლოდ განვითარებადი,არამედ განვითარებული ქვეყნებისთვისაც. ამიტომ სახელმწიფოს აქტიური მონაწილეობა სოციალურ სფეროში აუცილებელია როგორც პოლიტიკური სიცოცხლისუნარიანობისათვის,ისე საბაზრო ეკონომიკის ეფექტიანი ფუნქციონირებისთვისაც. **ცეს უკანასკნელი თანამედროვე პირობებში მნიშვნელოვანწილად არის დამოკიდებული საზოგადოებრივი სექტორის ეკონომიკის განვითარების დონეზე.**

მეტწილ განვითარებულ ქვეყანაში სახელმწიფო ფინანსების საფუძველზე შემუშავებულია სხვადასხვა სახის სოციალური დაცვის პროგრამები. მათ ძირითადად სახელმწიფო აფინანსებს, თუმცა, ზოგიერთი პროგრამა შეიძლება დაფინანსდეს კერძო წყაროებიდანაც. პროგრამები ითვალისწინებს შემოსავლების გარკვეული ნაწილის გადასახადებით ამოღებას მოსახლეობის განსაზღვრული ჯგუფებიდან და დახმარების სახით მათ გადანაწილებას მოსახლეობის ნაკლებუზრუნველყოფილ ფენებზე. მიუხედავად იმისა, რომ ასეთი პროგრამები არ არის მისაღები მოქალაქეთა იმ ჯგუფებისათვის, რომლებიც იხდიან გადასახადებს და არ იღებენ დახმარებას,მაინც ყველა განვითარებული და ზოგიერთი განვითარებადი ქვეყანა იყენებს სოციალური დახმარების ფართო ქსელს.

[3] http://economylit.online/obshie-rabotyi_719/nestabilnost-funktsionirovaniyaryinochnoy.html

სოციალურად დაუცავი ფენების დახმარებისა და ქველმოქმედების ორგანიზაცია, ჯერ კიდევ, საოავეს იღებს XIX საუკუნის 60-იან წლებიდან ინგლისში, 90-იან წლებში კი ამ მოძრაობამ მიიღო საერთაშორისო მიწოდების ფორმა.

1893 წელს ჩიკაგოში ჩატარდა ქველმოქმედების პირველი საერთაშორისო კონგრესი, სადაც განსაკუთრებული ყურადღება სახელმწიფო პროგრამებს მიექცა. დაიწყო სახელმწიფო სოციალური დაცვის მიზნობრივი პროგრამების რეალურად შექმნა. ეს პროცესი სხვადასხვა ქვეყანაში სხვადასხვა დროსა და სხვადასხვა მიმართულებით განხორციელდა, რაზეც ნათელ წარმოდგენას იძლევა ცხრილი.

ცხრილი

სახელმწიფო სოციალური პროგრამების შემოღების წლები მსოფლიოს რიგ ქვეყნებში[4]

პროგრამები	გერმანია	გაერთიანებული სამეფო	შვედეთი	საფრანგეთი	იტალია	აშშ	კანადა
დაზღვევა წარმოებაში უბედური შემთხვევის გამო	1884	1906	1901	1946	1898	1930	1930
დახმარება ავადმყოფობის გამო	1883	1911	1910	1930	1943	–	1971
საპენსიო უზრუნველყოფა	1889	1908	1913	1910	1919	1935	1927
უმუშევრობის დაზღვევა	1927	1911	1934	1967	1919	1935	1940
საოჯახო დახმარება	1954	1945	1947	1932	1936	–	1944
სამედიცინო დაზღვევა ან უფასო სამედიცინო დახმარება	1880	1948	1962	1945	1945	–	1972

როგორც ცხრილიდან ჩანს, ამ სფეროში პიონერი გერმანია იყო, სადაც სახელმწიფოს მილიტარისტული პოლიტიკა შეერწყა ბისმარკის სოციალურ რეფორმას, შემდეგ კი სხვა ქვეყნებმაც დაიწყეს ფართომასშტაბური სოციალური პროგრამების განხორციელება.

[4] Social Economics. Eds. **Entvell L., Milgate M., Newman P**. London. “Macmillan press LTD”, 1989, p. 277.

ამჟამად აშშ-ში სოციალური დაცვის სისტემა მრავალ-ფეროვანია და შედგება ორი სხვადასხვა ჯგუფის პროგ-რამებისგან: კერძოდ, სადაზღვევო ტიპისა და სიღარიბის დაძლევისაკენ მიმართული პროგრამებისგან.

ამ პროგრამებს **კეთილდღეობის მაკონტროლებელ პროგრამებს** უწოდებენ.

სადაზღვევო ტიპის პროგრამები გათვალისწინებულია იმისათვის, რომ მოსახლეობის ფართო ფენებმა განსაზ-ღვრულ პირობებში შეინარჩუნონ გარკვეული ცხოვრების დონე.

გარდა ამისა, არსებობს საკმაოდ ფართო მასშტაბის **კერძო პროგრამები** – კერძო საპენსიო სისტემები,რომლე-ბიც ფინანსდება დაქირავებულთა სახსრების ხარჯზე. ამას-თან, გასათვალისწინებელია ის გარემოებაც, რომ კერძო პროგრამები არაპირდაპირი გზით სუბსიდირდება, რაც იწვევს ბიუჯეტში საგადასახადო შენატანების შემცირებას. საქმე ისაა, რომ ცალკეულ მოქალაქეთა ან კომპანიების კერძო შემოწირულობა არ შედის დასაბეგრ შემოსავლებში და ამდენად,ამცირებს საგადასახადო შენატანებს. ანალო-გიურად,ის თანხა,რომელსაც კომპანია თანამშრომლებზე სადაზღვევო დახმარების სახით გასცემს, გამოირიცხება დახმარების მიმღებთა დასაბეგრი შემოსავლიდან.

ზოგიერთი პროგრამა ითვალისწინებს მხოლოდ მარ-ტოხელა დედებისადმი დახმარებას,ან იმ ოჯახების დახმა-რებას,რომელთა მთავარმა მარჩენალმა დაკარგა სამუშაო. არის პროგრამები,რომლებიც ითვალისწინებს დახმარებას 65 წელს ზევით ასაკის ინვალიდებისათვის ან პენსიების გაცემას ვეტერანებისათვის. არსებობს ფიზიკური პირების საშემოსავლო გადასახადზე საგადასახადო შეღავათების დაწესების პროგრამა.

სიღარიბესთან ბრძოლის პროგრამები, უპირველეს ყოვლისა, ითვალისწინებს კვების ტალონების გამოყენებას. ეს არის უნივერსალური პროგრამა,რომელშიც მონაწილეობის უფლება აქვს ყველა იმ პირს, რომელთა შემოსავალი სიღარიბის ოფიციალურ მონაცემზე, სიღარიბის ზღვარზე დაბალია.

აშშ-ში ცნობილია უფასო სამედიცინო დაზღვევის სახელმწიფო სოციალური პროგრამა – „მედიკერი“ და მოსახლეობის ნაკლებუზრუნველყოფილი ფენების დაცვის სოციალური პროგრამა – „მედიკეიდი.“ ეს ფართომასშტაბური პროგრამები, აშშ-ში, ჯერ კიდევ, გასული საუკუნის 60–იანი წლებიდან გამოიყენება.

სიღარიბესთან ბრძოლის ამერიკული მოდელი ითვალისწინებს აგრეთვე, საგადასახადო მექანიზმის გამოყენების საფუძველზე, მდიდრების შემოსავლების ნაწილის გადანაწილებას მოსახლეობის იმ სოციალურ ჯგუფებზე, რომელთა შემოსავლები საშუალოზე დაბალია. შემოსავლების გადანაწილების ეს ამერიკული მოდელი ცნობილია **„რობინ გუდის ეფექტის“** სახელწოდებით. მიუხედავად სახელმწიფო ფინანსების ფართოდ გამოყენებისა და მთავრობის აქტიური მონაწილეობისა ამერიკელთა სოციალური პრობლემების გადაჭრაში, საგადასახადო პოლიტიკა აშშ-ში მკაცრი კრიტიკის ქვეშაა და პერმანენტულ ცვლილებებს განიცდის.

აშშ-ში სოციალური დაცვის პროგრამები საკმაოდ მრავალმხრივია (ასევე, კანადაშიც), თუმცა მას არა აქვს სოციალურ ჯგუფებს შორის ინტერესების შეჯერების მძლავრი „ჩაშენებული“ მექანიზმები. ცნობილია, რომ აშშ-ს, უდიდესი ეკონომიკის მქონე ქვეყანას,ნომინალური მთლიანი შიდა პროდუქტის მოცულობით, რანჟირების მიხედვით,

პირველი ადგილი უჭირავს მსოფლიოში. ეს მაჩვენებელი XXI საუკუნის დასაწყისში,მსოფლიო ბანკის მონაცემებით, 7434 მლრდ დოლარს შეადგენდა,[5] ხოლო მოსახლეობის ერთ სულზე 27590 დოლარს,[6] 2015 წელს კი,შესაბამისად,– დაახლოებით 18 ტრილიონსა და 55837 დოლარს. ამიტომაცაა,რომ მას შეუძლია გაიღოს მნიშვნელოვანი სოციალური ხარჯები ღარიბებისათვის. ამჟამად აშშ-ში სოციალურ პროგრამებზე იხარჯება მშპ–ის 11%. ეს საკმაოდ სოლიდური თანხაა. მიუხედავად ამისა, სიღარიბე მწვავე პრობლემაა აშშ-სთვისაც, რასაც ადასტურებს შემოსავლების დიფერენციაციის მაღალი მაჩვენებლები.

ამასთან, შემოსავლების დიფერენციაციის მაჩვენებლები აშშ-ში უფრო მაღალია, ვიდრე ევროპაში, რასაც ეკონომისტები ეკონომიკური პოლიტიკის ლიბერალიზაციის სხვადასხვა დონით ხსნიან: აშშ-ში ეკონომიკის ლიბერალიზაცია ტრადიციულია და უფრო მკვეთრად არის გამოხატული, ვიდრე დასავლეთ ევროპაში,სადაც ეკონომიკაში ლიბერალიზმი მნიშვნელოვან ადგილს სახელმწიფო სოციალური პატერნალიზმის ტრადიციებს უთმობს. თუ შემოსავლების დეცილური კოეფიციენტი აშშ-ში არის 13 : 1-თან,* კვინტილური კოეფიციენტი არის 6 : 1–თან, დასავლეთ ევროპის ქვეყნებში კი იგი შეადგენს 4-5 : 1–თან,თუმცა,შვედეთში ეს მაჩვენებელი არის 3 : 1–თან.**

[5] მსოფლიო ციფრებში. საქართველო და გარე სამყარო. თბილისი, გამომცემლობა „სიახლე“,2000,გვ. 18.

[6] იქვე,გვ. 20.

* **დეცილური კოეფიციენტი** (ლათ. deci – მეათედი) გამოხატავს თანაფარდობას 10% ყველაზე შეძლებული შინამეურნეობების საშუალო შემოსავლებისა და 10% ყველაზე ღარიბი შინამეურნეობების საშუალო შემოსავლებს შორის.

** **კვინტილური კოეფიციენტი** (ლათ. quinta – მეხუთედი) გამოხატავს თანაფარდობას 20% ყველაზე შეძლებული შინამეურნეობების საშუალო შემოსავლებისა და 20% ყველაზე ღარიბი შინამეურნეობების საშუალო შემოსავლებს შორის.

III.4. სოციალური სტრატიფიკაციის თეორია და სოციალური დიფერენციაციის მოდელები

საყურადღებოა ავსტრიელი ეკონომისტისა და სოციოლოგის მაქს ვებერის (1864 – 1920) შეხედულება სოციალური უთანასწორობის, აქედან გამომდინარე, სიღარიბისა და სოციალური დიფერენციაციის შესახებ. მან შეიმუშავა **სოციალური სტრატიფიკაციის თეორია,** რომელიც სოციალურ უთანასწორობას განიხილავს როგორც საზოგადოებისათვის შინაგანად დამახასიათებელ თვისებას, ხოლო ვ. პარეტო (1848–1923),რომელმაც განავითარა ეს შეხედულება, სოციალური სტრატიფიკაციის გასაღებად ფსიქოლოგიურ საწყისს თვლიდა.

მართლაც, ამ მსჯელობებში არის რაციონალური მარცვალი. ამიტომაც არის,რომ სიღარიბის აბსოლუტური დაძლევა შეუძლებელია. იგი ყველგან არის,მაგრამ,მთავარია, სიღარიბე სოციალურად ასატანი იყოს. სიღარიბის გამომწვევი მიზეზები და დონე განსხვავებულია.* ამის გამოა, რომ სოციალურ სტრატიფიკაციას პირამიდის ფორმა აქვს.

როგორც ცნობილია, საზოგადოება შედგება მრავალი ფენისგან (სტრატა), რომლებიც ერთმანეთისაგან განსხვავდებიან სხვადასხვა ნიშნის მიხედვით, მათ შორის, სოციალური სტატუსით, ხელისუფლებისადმი დამოკიდებულებით და ა.შ. მოკლედ,საკითხი ეხება უთანასწორობისა და კეთილდღეობის დონეს, რომელიც, ბუნებრივია, განსხვავებულია სხვადასხვა ქვეყანაში. მაგალითად,მინიმალური ხელფასი აშშ-ში შეადგენს საშუალო ხელფასის დაახლოებით 50%-ს,იაპონიაში – 44%-ს, საფრანგეთში – 60%-ს,

* სხვადასხვა განვითარებულ ქვეყანაში სიღარიბისადმი განსხვავებული მიდგომაა. მაგალითად, გერმანიაში ძირითადად ღარიბად თვლიან ადამიანთა იმ კატეგორიას,რომელთა ხელფასი საშუალო ხელფასის ნახევარზე ნაკლებია.

ნიდერლანდში – 75%-ს და ა.შ.

სოციალური სტრატიფიკაციის თეორიის მიხედვით, სოციალური უთანასწორობის კვლავწარმოებას ახდენს ყოველი ახალი თაობა, ამდენად, საზოგადოების დიფერენციაციას ბიოლოგიური საფუძველი აქვს.

მსოფლიოს წამყვანი ქვეყნები დარწმუნდნენ იმაში, რომ ეკონომიკისათვის სოციალური ორიენტაციის მიცემა ქვეყნის მშვიდობიანი და ჰარმონიული განვითარების საწინდარია. ამიტომაცაა, რომ თანამედროვე პირობებში განვითარებული ქვეყნების ეკონომიკურ პოლიტიკაში ცენტრალური ადგილი სოციალური სტაბილურობის პროგრამებს უჭირავთ. ამასთან დაკავშირებით, განსაკუთრებულ ყურადღებას იმსახურებს **სოციალური დიფერენციაციის მოდელების** შესწავლა.

არსებობს შემოსავლების დიფერენციაციის ოპტიმალური და ზღვრული დონეები. გამოყოფენ ოთხ მოდელს: ზეპოლარულს,ზომიერად პოლარულს,ზომიერსა და ეგალიტარულს (არასაბაზროს).

ზეპოლარული მოდელისათვის დამახასიათებელია ეკონომიკის დაბალი დონე,დამქირავებელთა და დაქირავებულთა ინტერესების მკვეთრი დაპირისპირება,მოსახლეობის უმრავლესობის უკიდურესი სიღარიბე,ქონებრივი დიფერენციის მაღალი დონე. ასეთი საზოგადოებისათვის შემოსავლების დიფერენციაციის დონე უკიდურესად დეცილურ ჯგუფებს შორის შეადგენს არანაკლებ 20-30 : 1–თან.[7]

ზეპოლარული მოდელი უნივერსალური იყო მხოლოდ ინდუსტრიულამდელ საზოგადოებასა და ინდუსტრიული საზოგადოების პირველ ეტაპზე. მან ნოყიერი ნიადაგი შექმნა კომუნისტური მოძრაობის ფართოდ გაშლისთვის.

[7] **Пронин С., Люблинский В., Цвышев Р.** О приоритетах социальной политики. “Общество и экономика”, 2000, №8, с. 29.

ამჟამად ეს მოდელი დამახასიათებელია მხოლოდ განვითარებადი ქვეყნებისთვის.

ზომიერად პოლარული მოდელი წარმოიშვა XX საუკუნის პირველ ნახევარში და უკავშირდება სოციალური რეგულირების ელემენტების შემოტანას საზოგადოების განვითარებაში. მისი მიზანია,შემოსავლების გადანაწილებაში, პოზიტიური ცვლილებების შეტანის საფუძველზე, სოციალურ–ეკონომიკური ეფექტიანობის ამაღლება. ასეთი მოდელისათვის შემოსავლების დიფერენციაციის დეცილური კოეფიციენტი არის 10-15:1-თან. ზომიერად პოლარული მოდელი არსებობდა ინდუსტრიულ საზოგადოებაში და ამჟამად იგი დამახასიათებელია ახალინდუსტრიული ქვეყნებისათვის.

განვითარებულ ქვეყნებში ამჟამად არსებობს **ზომიერი მოდელი,** რომლისთვისაც ნიშანდობლივია საერთო კეთილდღეობის ზრდა და კონსოლიდირებული სოციალური დიფერენციაცია. ამასთან,ამ მოდელის მქონე ქვეყნები ერთმანეთისგან განვასხვავდებიან **„სოციალური ეკონომიკის“ სიმწიფის მიხედვით. სახელდობრ, ეკონომიკა მაღალი ცხოვრების დონითა და მნიშვნელოვანი სოციალური დანახარჯებით უნდა განვასხვავოთ საკუთრივ, სოციალური საბაზრო ეკონომიკისაგან**. პირველს მიეკუთვნება ლიბერალური საზოგადოებები,რომელთაც მიაღწიეს მატერიალური სიმდიდრის უმაღლეს დონეს და ამიტომ შეუძლიათ გამოყონ სოლიდური სახსრები სოციალურად დაუცველი ფენების დასახმარებლად, ჯანდაცვის დაფინანსებისათვის, განათლებისა და სხვა სოციალური მიზნებისათვის. ასეთი საზოგადოების ყველაზე მკაფიო მაგალითია აშშ და კანადა. ამის საწინააღმდეგოდ, დასავლეთევროპული ქვეყნები, რომლებიც ზოგიერთი აბსოლუტური მაჩვენებლით ჩამორჩებიან

აშშ-ს,ხასიათდებიან „სოციალური ეკონომიკის“ სიმწიფის გაცილებით მაღალი დონით. მათი სოციალურ-ეკონომიკური და სამართლებრივი ინსტიტუტები, შემოსავლების განაწილებაში უთანაბრობის შემცირებისა და მომსახურების ხელმისაწვდომობის გაზრდის გზით, მიმართულია ჰუმანიზაციის პროცესების გაღრმავების,სამართლიანობისა და სოციალური თანხმობის,მოსახლეობის ძირითადი ნაწილის მაღალი ცხოვრების დონის მიღწევისა და საშუალო ფენის გაძლიერებისაკენ. ამიტომაცაა,რომ სოციალური საბაზრო ეკონომიკის ცნება ყველაზე მეტად ასოცირდება გერმანულ მოდელთან. თვით ამ სახელმწიფოს ლომის წილი ეკუთვნის სოციალური საბაზრო ეკონომიკის ფორმირებაში. მას საფუძვლად უდევს კონკურენციის განვითარება,როგორც პროგრესის,სამართლიანობისა და მშვიდობის საწინდარი.

სოციალური დიფერენციაციის მეოთხე მოდელი – **არასაბაზრო, ეგალიტარული მოდელი** არსებობდა ექსკომუნისტურ ქვეყნებში, რეფორმამდელ ჩინეთში, ხოლო ამჟამად არსებობს კუბასა და ჩრდილოეთ კორეაში. ეს მოდელი აფერხებს ეკონომიკურ ზრდას, თუმცა, მისთვის დამახასიათებელია შემოსავლების დიფერენციაციის მეტად მიმზიდველი დონე – 4:1-თან.

დღეს მსოფლიოში გაბატონებულია სოციალური დიფერენციაციის ზომიერი მოდელი. მაღალ ეკონომიკურ ზრდასთან ერთად, მისთვის დამახასიათებელმა სოციალურობის გაძლიერების ტენდენციამ კანონზომიერი ხასიათი მიიღო,თუმცა,ამერიკულ საბაზრო ეკონომიკას განასხვავებს გერმანული (და არა მხოლოდ გერმანული, იგი დასავლეთ ევროპის სხვა ქვეყნებსაც აერთიანებს) საბაზრო ეკონომიკისაგან, ანუ **სოციალურად ორიენტირებულ საბაზრო ეკონომიკას განასხვავებს დასავლეთ ევროპაში ფორმირების პროცესში მყოფ სოციალური საბაზრო ეკონომიკისაგან**.

III.5. სოციალური საბაზრო ეკონომიკა როგორც საბაზრო სისტემის განსაკუთრებული ფორმა

სოციალური უსამართლობა და სოციალური კატასტროფები, უპირველეს ყოვლისა, აიხსნება საბაზრო კონკურენციის შეზღუდვით, ხელისუფლებასთან ბიზნესის შერწყმით. მთავარი ძალა, რომელიც წინ ეღობება საბაზრო ეკონომიკის განვითარებას, არის ხელისუფლების როგორც პოლიტიკური, ისე ეკონომიკური ძალაუფლება, რომელიც წარმოშობს უსამართლობას ეკონომიკაში და საერთოდ, საზოგადოებაში. ამიტომ ეკონომიკის დაცვა ხელისუფლების ინტერვენციისაგან ქვეყნის ეკონომიკური პოლიტიკის მნიშვნელოვანი ნაწილია. მაგალითად, მთავრობა ცდილობს სოციალური პრობლემები გადაჭრას შემოსავლების გადანაწილებით (უმუშევართა დახმარება და სხვ.), მაგრამ ხომ არ აჯობებდა, ჯერ კარგად გაგვერკვია ამ საკითხის არსი: **მწვავე სოციალურ პრობლემებს ხომ არ წარმოშობს ხელისუფლების გაბატონება ეკონომიკაში?** თუ ეს ასეა, მაშინ გადანაწილების სისტემა მკაცრად უნდა გავაკრიტიკოთ, ვინაიდან იგი არაპირდაპირი გზით იცავს ხელისუფლების პოზიციას. ამიტომ სოციალური პოლიტიკა – ეკონომიკაში სახელმწიფოს ჩარევისა და გადანაწილების პოლიტიკა – სპეციალური განხილვის თემაა, რომელზედაც დღეს მწვავე კამათი მიმდინარეობს პოლიტიკურ წრეებში თუ მეცნიერ-ეკონომისტებში. ეს გასაკვირი არც არის. ჩვენ ხომ ეკონომიკური აზრის განვითარების სრულიად სხვა ეტაპზე ვიმყოფებით, ვიდრე ამ აზრის ფუძემდებლები იყვნენ!

განვითარებულ ქვეყნებში უკვე დიდი ხანია, როდესაც კრიტიკის ქარ-ცეცხლში ატარებენ ხელისუფლების ძალაუფლების დამღუპველ გავლენას ეკონომიკაზე. მეტიც, არ არის ერთიანი მიდგომა საბაზრო ეკონომიკის, როგორც კაპ-

იტალისტური ეკონომიკური სისტემის შედარებით მაღალი ფორმის,შეფასებისადმი. საკმაოდ გავრცელდა შეხედულება, რომლის მიხედვითაც საბაზრო ეკონომიკა დეგრადაციას განიცდის და ამიტომ რეფორმირებას საჭიროებს.

დისკუსია განსაკუთრებით მწვავედ მიმდინარეობს „სოციალურის", როგორც სოციალური პოლიტიკის ცნების, გარშემო. იგი, ბუნებრივია, გულისხმობს სახელმწიფოს ჩარევას ეკონომიკაში,რაც ეწინააღმდეგება საბაზრო კონკურენციის პრინციპებს. ამიტომ დღეს მწვავედ დგას საკითხი იმის შესახებ, თუ როგორ შეიძლება წინააღმდეგობის დაძლევა „სოციალურსა" და „საბაზროს" შორის. **ამ წინააღმდეგობის დაძლევის გზას დასავლეთში მეცნიერ–ეკონომისტები ხედავენ სოციალური საბაზრო ეკონომიკის, როგორც საბაზრო სისტემის ახალი, უმაღლესი ფორმის შექმნაში.**

საბაზრო ეკონომიკას სოციალური პოლიტიკით განასხვავებენ სოციალური საბაზრო ეკონომიკისაგან. ეს მეტად საგულისხმო მოსაზრებაა. ნებისმიერმა ქვეყანამ, დიდი იქნება ის თუ პატარა,განვითარებული თუ განვითარებადი, ყურადღება უნდა მიაქციოს ამ შედარებით ახალ ეკონომიკურ აზრს (ჩვენთვის უახლესს), რომელსაც **სოციალური საბაზრო ეკონომიკის თეორია** ეწოდება.

„წონასწორობა" მაშინ მყარდება ქვეყანაში, როდესაც ხელისუფლება კონკურენციულ პოლიტიკას ატარებს. ამიტომაცაა აღიარებული, რომ **კონკურენციული პოლიტიკა საუკეთესო სოციალური პოლიტიკაა.** ეს არის მთავარი, განმსაზღვრელი ეკონომიკურ პოლიტიკაში. რაც შეეხება სახელმწიფოს მიერ შემოსავლების გადანაწილების პოლიტიკას,იგი განსაკუთრებული სფეროებისთვისაა გათვალისწინებული და სულ სხვა შინაარსობრივი დატვირთვა აქვს. ამ შემთხვევაში ყურადღება მახვილდება სოციალურ

პროგრამებსა და საზოგადოებრივი სექტორის ეკონომიკის ფუნქციონირების ხარისხზე,მის განვითარებაზე.

სოციალური საბაზრო ეკონომიკის თეორიის პრინციპებიდან გამომდინარე, ქვეყნის ეკონომიკურ პოლიტიკაში ყველაზე ცუდი ის არის,რომ **მსხვილი ბიზნესმენები ადგილს იკავებენ ხელისუფლებაში და ამით კიდევ უფრო აძლიერებენ თავიანთ მონოპოლიურ პოზიციებს ბაზარზე**.

სოციალური საბაზრო ეკონომიკის თეორიაში ხაზგასმითაა აღნიშნული ის,რომ ეკონომიკური და პოლიტიკური ელიტის მჭიდრო თანამშრომლობა, ურთიერთშეთანხმება და ინტერესების შერწყმა ყველა სოციალური უბედურების მიზეზია. ამიტომ კანონმდებლობა წინ უნდა აღუდგეს ხელისუფლების ბოროტად გამოყენების მცდელობას. ეს მნიშვნელოვანწილად ხსნის „კონტროლიორების გაკონტროლების“ პრობლემას.

დასავლეთ ევროპაში ამჟამად „ჩაკეტილი“, ინტერვენციული სოციალური პოლიტიკის ადგილს იკავებს „ღია“, სტაბილური და სიცოცხლისუნარიანი სოციალური პოლიტიკა, როგორც თანამედროვე ცივილიზაციის გამოწვევა. ამ გზით მიმავალი ქვეყნები **დღეს უპირატესობას ანიჭებენ ახალი სამუშაო ადგილების შექმნის სისტემის ორგანიზაციას, თვითდასაქმების სისტემის განვითარებასა და არა სოციალური დახმარების ჩვეულებრივ, შეიძლება ითქვას, ვადაგასულ სისტემას**.

აქედან გამომდინარე, **ეკონომიკა მაღალი ცხოვრების დონითა და მნიშვნელოვანი სოციალური დანახარჯებით უნდა განვასხვაოთ საკუთრივ სოციალური საბაზრო ეკონომიკისაგან**. პირველი არის ლიბერალური საზოგადოებები,რომელთაც მიაღწიეს მატერიალური სიმდიდრის უმაღლეს დონეს და ამიტომ შეუძლიათ გამოყონ სოლი-

დური სახსრები ღარიბების დასახმარებლად, ჯანდაცვის დაფინანსებისათვის, განათლებისა და სხვა სოციალური მიზნებისათვის. ასეთი საზოგადოების ყველაზე მკაფიო მაგალითია აშშ და კანადა. მაგრამ ამ ქვეყნებს არა აქვთ სოციალურ ჯგუფებს შორის ინტერესების შეჯერების მძლავრი „ჩაშენებული" მექანიზმები. ამის საწინააღმდეგოდ, პატარა დასავლეთევროპული ქვეყნები, მაგალითად ავსტრია, ბელგია, შვეიცარია და ა.შ., შეიძლება მივაკუთნოთ ახალი ტიპის საბაზრო ეკონომიკას სწორედ იმის გამო, რომ მათი სოციალურ-ეკონომიკური და სამართლებრივი სისტემები მიმართულია სოციალური თანხმობისა და მოსახლეობის ძირითადი ნაწილის მაღალი ცხოვრების დონისა და ხარისხ-ის მიღწევისაკენ, მიუხედავად იმისა, რომ აბსოლუტური მაჩვენებლებით ეს ქვეყნები ბევრად ჩამორჩებიან აშშ-სა და კანადას. ამის დასტურია თუნდაც ის, რომ 2015 წლის მონაცემებით, ცხოვრების ხარისხისა და „კომფორტულო-ბის" კრებსითი ინდექსის მიხედვით, 188 ქვეყანას შორის მსოფლიოში პირველ ადგილზეა შვეიცარია (222,94), მეორე ადგილზე – გერმანია (195,94),ხოლო,193,86 ინდექსით,მესამე ადგილზეა შვედეთი.* აღნიშნული მაჩვენებლით საქართ-ველო 64,96 ინდექსით 57-ე ადგილზეა.

ცხოვრების ხარისხის მაჩვენებელთა სისტემის დეტალ-ური სტრუქტურის შესახებ ნათელ წარმოდგენას იძლევა №1 ნახაზი.

---

* **ცხოვრების ხარისხის ინდექსი** (Quality-of-Life index) გამოითვ-ლება შემდეგი მაჩვენებლების მიხედვით: მშპ მოსახლეობის ერთ სულზე, უმუშევრობის დონე, შრომისუნარიანი მოსახლეობის დასაქმების საშუალო წლიური ზრდა, ინფლაციის საშუალო წლიური ნორმა,ბავშვთა სიკვდილიანობის დონე,სუფთა წყლის ხელმისაწვდომობა,ენერგიის მოხმარება მოსახლეობის ერთ სულ-ზე,სრული პირადი თავისუფლება,სასჯელმისჯილთა რაოდენობა და ხვედრითი წონა მთელ მოსახლეობაში,გარემოს დაცვის დონე.

№1 ნახაზი

ცხოვრების ხარისხის მაჩვენებელთა სისტემა



სოციალური დაცვის სისტემის განვითარებისა და სოციალური დაცვის სახელმწიფო ხარჯების პრობლემები სახელმწიფო ფინანსებთან დაკავშირებული პრობლემებია, რომლებიც უშუალოდ საზოგადოებრივი სექტორის ეკონომიკის ფუნქციონირებისა და განვითარების პრობლემებიცაა.

ზემოაღნიშნულიდან შეიძლება გაკეთდეს შემდეგი დასკვნა: მსოფლიოში სოციალურობის გაძლიერების ტენდენციამ კანონზომიერი ხასიათი მიიღო,თანდათან ყალიბდება „კეთილდღეობის სახელმწიფო“. ეს პროცესი დაიწყო კიდეც ევროპის განვითარებულ ქვეყნებში. **მას საფუძვლად უდევს კონკურენციის განვითარება, როგორც პროგრესის,**

სამართლიანობისა და მშვიდობის საწინდარი. ყოველივე ეს საბაზრო ეკონომიკას პოლიტიკურად სიცოცხლისუნარიანს ხდის. ამიტომაც ამბობენ, რომ მომავალი **კეთილდღეობის სახელმწიფოს** ეკუთვნის.

ძირითადი ცნებები

„წესრიგის“ ორდოლიბერალური კონცეფცია. „მესამე გზის“ თეორია. სოციალური საბაზრო ეკონომიკა. „რობინ გუდის ეფექტი“. კეთილდღეობის მაკონტროლებელი პროგრამები. დეცილური კოეფიციენტი. კვინტილური კოეფიციენტი. სადაზღვევო ტიპის პროგრამები. სიღარიბესთან ბრძოლის პროგრამები. „ჩაკეტილი“ სოციალური პოლიტიკა. „ღია“ სოციალური პოლიტიკა. სოციალური სტრატიფიკაციის თეორია. სოციალური დიფერენციაციის მოდელები. კონკურენციული პოლიტიკა. ცხოვრების ხარისხის ინდექსი.

დასკვნა

1. სახელმწიფო რეგულირების კეინზიანურ თეორიას დაუპირისპირდა ნეოლიბერალური მიმართულება,რომლის განვითარება,მსოფლიოს წამყვან ქვეყნებში აქტიურად დაიწყო XX საუკუნის 30-იანი წლების ბოლოს. შეიქმნა კვლევითი ცენტრები ახალი ისტორიული სკოლის,ნეოკლასიკური და ტრადიციული ლიბერალიზმის ბაზაზე, სადაც დაიწყო სახელმწიფო რეგულირების ალტერნატიული მეთოდების შემუშავება. ნეოლიბერალური კვლევების ყველაზე მსხვილი სკოლები ჩამოყალიბდა აშშ-ში ჩიკაგოს მონეტარიზმის სკოლა (ლ. მიზესი, მ. ფრიდმენი, ა. შვარცი...), გერმანიაში – ორდოლიბერალიზმის ფრაიბურგის სკოლა (ვ. ოიკენი, ლ. ერჰარდი, ა. მიულერ-არმაკი, ი. რიოპკე, ა. რიუსტოვი...) და ინგლისში – ლონდონის სკოლა (ფ. ჰაიეკი, ლ. რობინსი...);

2. თუ ჯ. მ. კეინზი კაპიტალიზმის უმთავრეს პრობლემად მიიჩნევდა ერთობლივი მოთხოვნის უკმარისობას,რომლის გარეშეც ეკონომიკა კარგავს განვითარების სტიმულებს, გერმანელი ნეოლიბერალები კაპიტალიზმის მთავარ პრობლემად ეკონომიკის მონოპოლიზაციას აღიარებდნენ და ეკონომიკური პრობლემების გადაჭრის გზას კონკურენციის განვითარებაში,სამართლებრივი გარემოს შექმნაში,კერძო და სახელმწიფო საკუთრების თანაფარდობის რეგულირებასა და პროგრესიულ დაბეგვრაში ხედავდნენ;

3. გერმანელმა ნეოლიბერალებმა განავითარეს აქტიურ სოციალურ პოლიტიკაზე დაფუძნებული **„სოციალური საბაზრო ეკონომიკის“ კონცეფცია**. ამ იდეის განხორციელებაში დიდი ღვაწლი მიუძღვის გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის კანცლერს ლუდვიგ ერჰარდს;

4. მოსახლეობა არ უჭერდა მხარს კონკურენციის იდეას. „დიდი დეპრესიითა“ და II მსოფლიო ომით გაღატაკებულმა საზოგადოებამ, უაღრესად დაბალი ერთობლივი მოთხოვნის პირობებში,თავიანთი მხარდაჭერა გამოხატეს კეინზის იდეების მიმართ. ერთობლივი მოთხოვნის გაზრდით დაიწყო ახალი ათვლის წერტილი გერმანიის ეკონომიკის ისტორიაში;

5. laissez-faire-ის ეკონომიკურ ლიბერალიზმსა და სოციალისტურ ეკონომიკას შორის წარმოიშვა „მესამე გზა“ და მისი შესაბამისი თეორია,რომელიც ინსპირირებული იყო ორდოლიბერალიზმის, სოციალ-დემოკრატიული შეხედულებებისა და ქრისტიანული ეთიკის იდეებით;

6. სოციალურად ორიენტირებულმა საბაზრო ეკონომიკის ქვეყნებმა, რომლებმაც მიაღწიეს ეკონომიკური ზრდის მაღალ დონეს, შეძლეს გამოეყოთ სოლიდური სახსრები ღარიბების დასახმარებლად და ჯანდაცვის დაფინანსებისათვის. ასეთი საზოგადოების ყველაზე მკაფიო ილუსტრა-

ციას წარმოადგენს აშშ, კანადა, ხოლო დასავლეთევროპული ქვეყნები, რომლებიც აბსოლუტური მაჩვენებლებით ჩამორჩებიან აშშ-ს, ხასიათდებიან „სოციალური ეკონომიკის“ სიმწიფის გაცილებით მაღალი დონით;

7. დღეს სოციალური საბაზრო ეკონომიკის ცნება ყველაზე მეტად ასოცირდება გერმანულ მოდელთან, რომელსაც, შეიძლება ითქვას, ლომის წილი მიუძღვის სოციალური საბაზრო ეკონომიკის ფორმირების პროცესსა და საზოგადოებრივი სექტორის ეკონომიკის ფუნქციონირებაში;

8. სიღარიბე დღეს უდიდესი „თავსატეხია“ არა მხოლოდ განვითარებადი,არამედ განვითარებული ქვეყნებისთვისაც. ამიტომ სახელმწიფოს აქტიური მონაწილეობა სოციალურ სფეროში აუცილებელია როგორც პოლიტიკური სიცოცხლისუნარიანობისათვის, ისე საბაზრო ეკონომიკის ეფექტიანი ფუნქციონირებისთვისაც. რაც **მნიშვნელოვანწილად არის დამოკიდებული საზოგადოებრივი სექტორის ეკონომიკის განვითარების დონეზე;**

9. მეტწილ განვითარებულ ქვეყანაში **სახელმწიფო ფინანსების საფუძველზე** შემუშავებულია სხვადასხვა სახის სოციალური დაცვის პროგრამები, რომლებიც ითვალისწინებს შემოსავლების გარკვეული ნაწილის გადასახადებით ამოღებას მოსახლეობის განსაზღვრული ჯგუფებიდან და დახმარების სახით მათ გადანაწილებას მოსახლეობის ნაკლებუზრუნველყოფილ ფენებზე;

10. განვითარებულ ქვეყნებში სოციალური დაცვის სისტემა მრავალფეროვანია და შედგება სადაზღვევო ტიპისა და სიღარიბის დაძლევისაკენ მიმართული მაკონტროლებელი პროგრამებისგან. აშშ-ში სოციალური დაცვის პროგრამები საკმაოდ მრავალმხრივია (ასევე, კანადაშიც),

თუმცა,მათ არა აქვთ სოციალურ ჯგუფებს შორის ინტერესების შეჯერების მძლავრი „ჩაშენებული“ მექანიზმები. შემოსავლების დიფერენციაციის მაჩვენებლები აშშ-ში უფრო მაღალია, ვიდრე ევროპაში. აშშ-ში ეკონომიკის ლიბერალიზაცია ტრადიციულია და უფრო მკვეთრად არის გამოხატული, ვიდრე დასავლეთ ევროპაში,სადაც ეკონომიკაში ლიბერალიზმი მნიშვნელოვან ადგილს სახელმწიფო სოციალური პატერნალიზმის ტრადიციებს უთმობს. თუ შემოსავლების დეცილური კოეფიციენტი აშშ-ში არის 13 : 1-თან, კვინტილური კოეფიციენტი არის 6 : 1–თან, დასავლეთ ევროპის ქვეყნებში კი იგი შეადგენს 4-5 : 1–თან;

11. **განვითარებული ქვეყნები დარწმუნდნენ იმაში, რომ ეკონომიკისათვის სოციალური ორიენტაციის მიცემა ქვეყნის მშვიდობიანი და ჰარმონიული განვითარების საწინდარია.** ამიტომაცაა, რომ თანამედროვე პირობებში მათ ეკონომიკურ პოლიტიკაში ცენტრალური ადგილი სოციალური სტაბილურობის პროგრამებს უჭირავთ. ამასთან დაკავშირებით,ყურადღებას იმსახურებს სოციალური დიფერენციაციის ოთხი მოდელი: ზეპოლარული,ზომიერად პოლარული, ზომიერი და ეგალიტარული (არასაბაზრო);

12. „სოციალურსა“ და „საბაზროს“ შორის წინააღმდეგობის დაძლევის გზას დასავლეთში მეცნიერ–ეკონომისტები ხედავენ სოციალური საბაზრო ეკონომიკის, როგორც საბაზრო სისტემის ახალი, უმაღლესი ფორმის შექმნაში;

13. საბაზრო ეკონომიკას სოციალური პოლიტიკით განასხვავებენ სოციალური საბაზრო ეკონომიკისაგან. ნებისმიერმა ქვეყანამ, დიდი იქნება ის თუ პატარა,განვითარებული თუ განვითარებადი,ყურადღება უნდა მიაქციოს ამ შედარებით ახალ და საგულისხმო ეკონომიკურ აზრს,რომელსაც სოციალური საბაზრო ეკონომიკის თეორია ეწოდება;

14. დასავლეთ ევროპაში ამჟამად „ჩაკეტილი“ სოციალუ-

რი პოლიტიკის ადგილს იკავებს „ღია“, სტაბილური და სიცოცხლისუნარიანი სოციალური პოლიტიკა, როგორც თანამედროვე ცივილიზაციის გამოწვევა;

15. ეკონომიკა მაღალი ცხოვრების დონითა და მნიშვნელოვანი სოციალური დანახარჯებით უნდა განვასხვავოთ სოციალური საბაზრო ეკონომიკისაგან. პირველს მიეკუთვნება ლიბერალური საზოგადოებები, რომელთაც მიაღწიეს მატერიალური სიმდიდრის უმაღლეს დონეს და ამიტომ შეუძლიათ სოლიდური სახსრების გამოყოფა სოციალურად დაუცველი ფენების დასახმარებლად, ჯანდაცვის დაფინანსებისათვის, განათლებისა და სხვა სოციალური მიზნებისათვის. ამჟამად ასეთი საზოგადოების მკაფიო მაგალითია ამერიკის შეერთებული შტატები და კანადა. დასავლეთევროპული ქვეყნები კი,რომლებიც ზოგიერთი აბსოლუტური მაჩვენებლით ჩამორჩებიან ამერიკის შეერთებულ შტატებს,ხასიათდებიან „სოციალური ეკონომიკის“ სიმწიფის გაცილებით მაღალი დონით. მათი სოციალურ-ეკონომიკური და სამართლებრივი ინსტიტუტები მიმართულია ჰუმანიზაციის პროცესების გაღრმავების, სოციალური თანხმობის,მოსახლეობის ძირითადი ნაწილის მაღალი ცხოვრების დონის მიღწევისა და საშუალო ფენის გაძლიერებისაკენ;

16. სოციალური დაცვის სისტემის განვითარებისა და სოციალური დაცვის პრობლემები სახელმწიფო ფინანსებთან დაკავშირებული პრობლემებია,რომლებიც უშუალო გავლენას ახდენენ საზოგადოებრივი სექტორის ეკონომიკის ფუნქციონირებასა და განვითარებაზე.

IV თავი
კეთილდღეობის სახელმწიფო და სამოქალაქო საზოგადოების მშენებლობა

კეთილდღეობის სახელმწიფოს თეორია და მისი კავშირი საზოგადოებრივი სექტორის ეკონომიკასთან. კეთილდღეობის სახელმწიფოს მოდელები. კეთილდღეობის სახელმწიფოს ნორდიკული მოდელის მომხიბვლელობა. „კეთილდღეობა ყველასათვის, კეთილდღეობა კონკურენციის გზით“. ეროვნული კონკურენტული უპირატესობის რომბი.

IV.1. კეთილდღეობის სახელმწიფოს თეორია და მისი კავშირი საზოგადოებრივი სექტორის ეკონომიკასთან

დასავლურ ლიტერატურაში დიდი ხანია მიმდინარეობს კეთილდღეობის სახელმწიფოს სოციალურ-ეკონომიკური ასპექტების კვლევა. ამასთან, საბაზრო ეკონომიკაში სოციალური ორიენტაციის გაძლიერებამ წინა პლანზე წამოსწია ეს პრობლემა. იგი მიკროეკონომიკური ინსტრუმენტარიუმის გამოყენების საფუძველზე მაკროეკონომიკურ, აგრეგირებულ დონეზე ახდენს ქვეყანაში კეთილდღეობის დონის შეფასებას.

თანამედროვე კეთილდღეობის თეორიები, მოდელები თუ პროგრამები არსებითად განსხვავდება ადრინდელებისაგან, რასაც, ბუნებრივია, ეკონომიკის განვითარების განსხვავებული დონეები და საზოგადოების განსხვავებული მოთხოვნილებები განაპირობებს.

როგორ, რა გზით შეიძლება ეკონომიკაში სახელმწიფოს ჩართვით, მისი მონაწილეობით საზოგადოების კეთილდღეო-

ბის ამაღლება? ეს საკითხი არ არის ახალი და მასზე მსჯელობა სხვადასხვა ეპოქაში,დროსა და სივრცეში მიმდინარეობდა.

აღსანიშნავია, რომ ტერმინი – „სოციალური სახელმწიფო“ (sozialstaat), ჯერ კიდევ 1850 წელს გამოიყენა გერმანელმა თეორეტიკოსმა **ლორენც ფ. შტეინმა**. რაც შეეხება ინგლისურ ტერმინს - „საყოველთაო კეთილდღეობის სახელმწიფო“ – თავდაპირველად იგი გამოიყენა ინგლისელმა არქიეპისკოპოსმა **უილიამ ტემპლმა** ნაშრომში – „ქრისტიანობა და სოციალური წესრიგი“ (1942).

კეთილდღეობის ეკონომიკა (welfare economics),როგორც კეთილდღეობის ეკონომიკური დოქტრინა, ეკონომიკური თეორიის კვლევის სპეციფიკური სფერო შეისწავლის რესურსების ეფექტიანი განაწილებისა (**ალოკაციური ეფექტიანობა**) და საზოგადოების შემოსავლების ოპტიმალური გადანაწილების (**პარეტოს ოპტიმუმი**) საკითხებს.

კეთილდღეობის ეკონომიკური თეორიის შექმნაში დიდი წვლილი მიუძღვის იტალიელ ეკონომისტს, მათემატიკოსსა და სოციოლოგს **ვილფრედო პარეტოს** (1848-1923), ლეონ ვალრასის მემკვიდრეს, ლოზანის უნივერსიტეტის ეკონომიკის კათედრის ხელმძღვანელს. მან განსაზღვრა სოციალური ოპტიმუმი (რომელიც „პარეტო-ოპტიმუმის“ სახელწოდებითაა ცნობილი), რომლის მიხედვით, საზოგადოების ერთი ნაწილის კეთილდღეობის ზრდამ არ უნდა შეამციროს მეორე ნაწილის კეთილდღეობის დონე. სარგებლიანობის ინდივიდუალიზმის კონცეფცია – კარდინალური სარგებლიანობის კონცეფცია ითვალისწინებს, ერთი მხრივ, ინდივიდების კეთილდღეობას პარეტო-ოპტიმუმის ფარგლებში,მეორე მხრივ, გარკვეულ პარამეტრებში ინდივიდებს შორის საზოგადოებრივი დოვლათის განაწილებასა

და არათანაბრად განაწილებული შემოსავლების გადანაწილებას.

კეთილდღეობის ეკონომიკას იხილავდა აგრეთვე ცნობილი ინგლისელი ეკონომისტი **არტურ პიგუ**. მან კეთილდღეობის საკითხებს მიუძღვნა ნაშრომები – „სიმდიდრე და კეთილდღეობა“ (1912), „კეთილდღეობის ეკონომიკა“ (1921), ამასთან, შექმნა სრული დასაქმების მიღწევის მექანიზმი, კეინზიანური სისტემის ჩარჩოებში,რომელიც „პიგუს ეფექტის“ სახელწოდებითაა ცნობილი.[1]

თანამედროვე კეთილდღეობის სახელმწიფოს საკანონმდებლო აქტები ეყრდნობა ა. მარშალის „სოციალური მოქალაქეობრიობის კონცეფციას“, რომლის მიხედვით სახელმწიფომ უნდა უზრუნველყოს შემოსავლების მინიმალური დონე, ამასთან, **სოციალური დოვლათი უნდა მიაწოდოს თითოეულ მოქალაქეს როგორც მისი პოლიტიკური უფლების განხორციელება და არა როგორც ქველმოქმედება.**

30-იან წლების პირველ ნახევარში დიდი რეზონანსი ჰქონდა აშშ-ში დემოკრატ–პრეზიდენტის ფრანკლინ დ. რუზველტის მთავრობის მიერ „ახალი კურსის“ ჩარჩოებში გატარებულ სოციალური დაცვის ღონისძიებებს. ასევე,1942 წელს დიდი რეზონანსი მოჰყვა უილიამ ბევერიჯის მოხსენებას დიდი ბრიტანეთის პარლამენტში,სადაც მან პირველმა წინა პლანზე წამოსწია კეთილდღეობის სახელმწიფოს თეორია სოციალური პრობლემების გადაჭრასთან დაკავშირებით.

„კეინზიანურ რევოლუციამდე“ კეთილდღეობის სახელმწიფო აღიქმებოდა როგორც „მესამე გზა“ ორ უკიდურესობას – მკაცრად რეგულირებად იმდროინდელ სოციალიზმსა და უკონტროლო,არარეგულირებად Laissez-faire-ის ტიპის კაპიტალიზმს შორის.

[1] **ასათიანი რ.** თანამედროვე ეკონომიკის მცირე ენციკლოპედია. თბილისი,გამომცემლობა „სიახლე“,გვ. 316.

„დიდმა დეპრესიამ“,რომელმაც მილიონობით ადამიანს მოუტანა უმუშევრობა და სიღარიბე, მრავალ ქვეყანაში საზოგადოების პროგრესული მსოფლმხედველობითი ცვლილებები გამოიწვია და საფუძველი ჩაუყარა კეთილდღეობის სახელმწიფოს მშენებლობას.

ინგლისელი სოციოლოგი თომას მარშალი ნაშრომში – „მოქალაქეობა და სოციალური კლასი“ კეთილდღეობის სახელმწიფოს მოიაზრებდა როგორც დემოკრატიის, კეთილდღეობისა და კაპიტალიზმის თავისებურ ნაზავს. მისი აზრით, ქვეყნის მოქალაქეობა უნდა მოიცავდეს არა მხოლოდ სოციალურ,არამედ სამოქალაქო და პოლიტიკურ უფლებებს; აქედან გამომდინარე,ტერმინი – კეთილდღეობის სახელმწიფო უნდა გამოიყენებოდეს იმ ქვეყნების მიმართ, სადაც სოციალურ უფლებებს თან ახლავს სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებები.[2]

კეთილდღეობის თეორიაში გამოიყოფა ორი ძირითადი მიმართულება: პოზიტიური და ნორმატიული. პოზიტიური მიმართულება განიხილავს „ღვეზელის ოდენობას“ (ეკონომიკური ეფექტიანობა), ხოლო ნორმატიული მიმართულება – არსებული „ღვეზელის დაყოფას“ ანუ საზოგადოებრივი დოვლათის განაწილებასა და შემოსავლების გადანაწილებას (სოციალური ეფექტიანობა).

კეთილდღეობის სახელმწიფოს უშუალო კავშირი აქვს საზოგადოებრივი სექტორის ეკონომიკის ფუნქციონირებასთან და კეთილდღეობის სახელმწიფოს თეორია, პროგრესიული დაბეგვრის საფუძველზე, ითვალისწინებს შემოსავლების გადანაწილებას მკვეთრი სოციალური უთანასწორობის დაძლევის მიზნით. **იგი წინა პლანზე**

---

[2] **Marshall T.** Citizenship and Social class: And Other Essays. Cambridge, “University Press”, 1950.

აყენებს სახელმწიფოს ახალ როლს ეკონომიკაში, განაპირობებს საზოგადოებრივი სექტორის ეკონომიკის სწრაფ განვითარებასა და მისი როლის ზრდას ისეთი ამოცანების გადაჭრაში, როგორიცაა საზოგადოებრივი დოვლათის წარმოება, საზოგადოების დაცვა უარყოფითი გარე ეფექტებისგან, ბუნებრივი მონოპოლიების ჩართვა მაკროეკონომიკურ რეგულირებაში, საბაზრო ეკონომიკის თანმხლები უარყოფითი სოციალური შედეგების კორექტირება, ანუ პარეტოს მიხედვით რესურსების გადანაწილების გზით გაუმჯობესების მიღწევა,როდესაც ერთი ინდივიდის (ან ინდივიდთა ჯგუფის) მდგომარეობა უმჯობესდება მეორე ინდივიდის (ან ინდივიდთა ჯგუფის) მდგომარეობის გაუარესების გარეშე.

კეთილდღეობის სახელმწიფოს თეორიის კვლევის ცენტრშია სახელმწიფო ხარჯებისა და ტრანსფერების განაწილებისა და გადანაწილების მექანიზმი. უშუალოდ საზოგადოების კეთილდღეობის ამაღლებისთვის გამოყოფილი სახელმწიფო ხარჯები იყოფა სამ ძირითად ჯგუფად: **პირველი**, სოციალური დახმარების გაწევა მოსახლეობის იმ ნაწილისთვის,რომელსაც არ შეუძლია დამოუკიდებლად თავის რჩენა; **მეორე,** სავალდებულო დაზღვევა ავადმყოფებისა და უმუშევრების მიმართ; **მესამე**, სახელმწიფოს მიერ პასუხისმგებლობის აღება სოციალურად დაუცველი ფენების არსებობისათვის აუცილებელი საქონლითა და მომსახურებით დაკმაყოფილებაზე.

ნებისმიერ დროში არიან მოხუცები,ინვალიდები,ავადმყოფები და სხვა მიზეზებით შრომისუუნაროები; ზოგიერთს არ გაუმართლა დაბადებიდან და ისინი ვერ ფლობენ ვერც ფიზიკურ და ვერც გონებრივ უნარს; ცუდ დროში ბევრი მუშაკი,რომლებსაც ჩვეულებრივ შესწევთ უნარი უზრუნველყონ თავიანთი თავი და თავიანთი ოჯახი, კარგავენ

სამუშაოს; უარეს დროში,ისეთში როგორიც ეკონომიკური დაცემის პერიოდია, მილიონობით ადამიანი ღატაკდება ზემოთ ჩამოთვლილი ან სხვა მიზეზებით. როდესაც ქვეყანას უდგას საუკეთესო პერიოდი, ზოგიერთი ადამიანი ვერ ახერხებს სამუშაოს შოვნას,ან საკმარისი ფულის გამომუშავებას აუცილებელი მოთხოვნილებების დასაკმაყოფილებლად და მოხუცებულობისთვის დასაზოგად. **სახელმწიფომ არ უნდა დაუშვას თავისი მოსახლეობის მნიშვნელოვანი ნაწილის გაღატაკება და საზოგადოებრივი დოვლათი თითოეული პირისთვის თანაბრად ხელმისაწვდომი უნდა გახადოს**. ამიტომაცაა,რომ კეთილდღეობის სახელმწიფოს თეორია ყურადღებას ამახვილებს სახელმწიფო ხარჯებისა და ტრანსფერების განაწილებისა და გადანაწილების მექანიზმზე,რაც საზოგადოებრივი სექტორის ეკონომიკის კვლევის სფეროა. კეთილდღეობის სახელმწიფოს თეორიის პრინციპების გამოყენების მცდელობამ დასაბამი მისცა საზოგადოებრივი სექტორის ეკონომიკის **(საზოგადოებრივი სექტორის ეკონომიკური თეორიის)** განვითარებასა და მის სწავლებას იმის შესახებ, თუ საბაზრო ეკონომიკაში როგორ შეიძლება სახელმწიფო ჩაერიოს ეკონომიკაში სოციალური პრობლემების გადაჭრისა და კეთილდღეობის ამაღლების მიზნით.

დაბოლოს,მინდა მოვიშველიო დე გოლის სიტყვები – „რაც უფრო მეტად არის შერყეული ეკონომიკა,მით უფრო აქტიურად მართული უნდა იყოს იგი.“

IV.2. კეთილდღეობის სახელმწიფოს მოდელები

ეკონომიკურ ლიტერატურაში კეთილდღეობის სახელმწიფოს ოთხ ძირითად მოდელს გამოყოფენ. ეს მოდელებია: კონტინენტალურ-ევროპული ანუ გერმანული მოდელი, ან-

გლოსაქსური ანუ ბრიტანული მოდელი,სკანდინავიური ანუ ნორდიკული მოდელი და ხმელთაშუაზღვის ანუ სამხრეთევროპული მოდელი.[3] თუმცა კეთილდღეობის სახელმწიფოს ოთხი ძირითადი მოდელის გარდა,ზოგიერთი ავტორი (მაგ., დანიელი პოლიტოლოგი და სოციოლოგი ესპინგ-ანდერსენი ზ.კ.) გამოყოფს მეხუთე, **კონსერვატიულ–კორპორატიულ მოდელს,**[4] აგრეთვე გამოყოფენ **კათოლიკურ მოდელსაც.**[5]

კონტინენტალურ-ევროპული მოდელი ქრისტიანულ-დემოკრატიული მოდელია, რომელიც გარდა გერმანიისა, არის ავსტრიაში,ბელგიაში,ნიდერლანდსა და შვეიცარიაში, ნაწილობრივ,საფრანგეთშიც. მისი ჩამოყალიბება პირველად 1950-იან წლებში დაიწყო გერმანიაში. ამ მოდელისათვის დამახასიათებელია სოციალური მიზნებისათვის სახელმწიფო ფინანსების მნიშვნელოვანი ნაწილის (თითქმის 50%) გადანაწილება სახელმწიფო ბიუჯეტიდან, სადაზღვევო ფონდების ფორმირება ძირითადად დამქირავებელთა ხარჯზე, სოციალური პარტნიორობის განვითარებული ინსტიტუტების არსებობა, მაღალი დასაქმების მიღწევისათვის სახელმწიფოს აქტიური მხარდაჭერა, ქვეყნის მასშტაბით ცხოვრების მაღალი ხარისხის მიღწევა, სახელმწიფოს მხრიდან კერძო საკუთრების დაცვა და განვითარება,საბაზრო კონკურენციის სტიმულირება და ა.შ.

ანგლოსაქსური მოდელი ნეოლიბერალური მოდელია, რომელიც გარდა დიდი ბრიტანეთისა, არის აშშ-ში, ირლანდიაში, კანადაში, აგრეთვე ავსტრალიასა და ახალ

---

[3] http://www.economy-web.org/?p=612 , http://www.european.ge/ketildgeobis-saxelmwifos-modelebi-nordikuli-qveynebi-i/copyright ეს მოდელები ოქსფორდის **„საყოველთაო კეთილდღეობის სახელმწიფოს“** სახელმძღვანელოშია შესული.

[4] http://www.studme.org/31098/pravo/modeli_sotsialnogo_gosudarstva

[5] http://eclib.net/27/79.html

ზელანდიაში. იგი ითვალისწინებს სახელმწიფო ფინანსების არაუმეტეს 40%-ის გადანაწილებას სოციალური მიზნებისათვის. გერმანული მოდელისაგან განსხვავებით, ანგლოსაქსური მოდელისათვის დამახასიათებელია სახელმწიფოს შედარებით პასიური როლი დასაქმების რეგულირებაში,მაღალი ხვედრითი წონა კი – კერძო კომპანიებისა და საზოგადოებრივი ორგანიზაციებისათვის სოციალური მომსახურების გაწევაში, ქვეყნის მასშტაბით ცხოვრების ხარისხის ამაღლებაში.

სკანდინავიური მოდელი სოციალ-დემოკრატიული მოდელია,რომელიც დამახასიათებელია შვედეთის,დანიის,ისლანდიის,ნორვეგიისა და ფინეთისათვის. ამ მოდელისთვის ნიშანდობლივია აქტიური სოციალური პოლიტიკა, ქვეყანაში სოციალური კეთილდღეობის,როგორც სახელმწიფოს ეკონომიკური საქმიანობის მიზნის,მიღწევა საზოგადოებრივი სექტორის ეკონომიკის განვითარების საფუძველზე (სახელმწიფო პროგრესიული დაბეგვრით, სახელმწიფო ფინანსების 50%-ის ბიუჯეტის მეშვეობით გადანაწილების გზით), სოციალური სოლიდარობის იდეის რეალიზაცია და ა.შ.

სამხრეთ ევროპის ქვეყნების (საბერძნეთის, ესპანეთის, იტალიის) **ხმელთაშუაზღვის მოდელი**, რომელსაც სამხრეთევროპულ მოდელსაც უწოდებენ, ხასიათდება სოციალური მიზნებისათვის მშპ-ის 50%-ზე ნაკლების ბიუჯეტის გზით გადანაწილებით, თუმცა,სოციალური პოლიტიკა ეხება სოციალურად ნაკლებად დაცულ მოსახლეობას და არა აქვს საყოველთაო, ყოვლისმომცველი, ინკლუზიური ხასიათი.

კეთილდღეობის სახელმწიფოს **კონსერვატიულ-კორპორატიულ მოდელს** საფუძვლად უდევს ე.წ. კორპორაციული პრინციპი, რომელიც, კორპორაციას ანიჭებს მთელ პასუხისმგებლობას თავისი მუშაკების სოციალურ-ეკონომი-

კური მდგომარობის მიმართ. დაქირავებულთა მთელი სიცოცხლის მანძილზე დაქირავების სისტემის შექმნით, კორპორაცია (საწარმო, დაწესებულება) მაქსიმალურად ზრდის მათ დაინტერესებას თავიანთი შრომის შედეგებით, რაც განმტკიცებულია აგრეთვე კორპორაციის აქციების გარკვეული ნაწილის დაქირავებულებზე განაწილებით, მათი ძალისხმევით მოგების გაზრდასთან დაკავშირებით და ა.შ., რაც გამოიხატება სხვადასხვა სახის სოციალურ გარანტიებში,კერძოდ,საპენსიო უზრუნველყოფაში,სამედიცინო მომსახურებასა და განათლებასთან დაკავშირებული ხარჯების ნაწილობრივ დაფარვაში და ა.შ. ამ მოდელის ფინანსურ უზრუნველყოფას ძირითადად ქმნის კორპორაციების სადაზღვევო შენატანები.

კეთილდღეობის სახელმწიფოს კონსერვატიულ-კორპორატიული მოდელის კლასიკური წარმომადგენელია იაპონია.[6] ამ ქვეყანაში ძალზე განვითარებულია **ეროვნული სიამაყის გრძნობა**. სოციალური ამოცანების გადაჭრით უშუალოდ დაკავებულნი არიან სხვადასხვა კორპორაციები, ყურადღება ექცევა მოსახლეობის ფართო ფენების მონაწილეობის წახალისებას წარმოების მართვაში. ყოველივე ეს მსოფლიო ბაზარზე იაპონური საქონლის მაღალ კონკურენტუნარიანობას განაპირობებს,რაც უზრუნველყოფს მაღალი ცხოვრების დონეს.

ნებისმიერ განვითარებულ ქვეყანაში სახელმწიფოს ძირითადი პრინციპებია: მან უნდა გააკეთოს ყოველივე ის, რისი გაკეთებაც არ შეუძლია ბაზარს. უპირველეს ყოვლისა, საქმე ეხება სახელმწიფოს მიერ კანონების მკაცრად დაცვასა და მთელ ეკონომიკაში წესრიგის დამყარებას, ქვეყანაში დემოკრატიის განვითარებასა და საზოგადოე-

[6] http://www.studme.org/31098/pravo/modeli_sotsialnogo_gosudarstva

ბრივი სექტორის ეკონომიკის ცივილიზებული, მსოფლიოში აპრობირებული გზით ფუნქციონირებას.

სახელმწიფოს, საზოგადოებასა და ბიზნესს შორის ურთიერთობის ნორმალიზაცია მოითხოვს დემოკრატიის ინსტიტუტებისა და სამოქალაქო საზოგადოების განვითარებას, სოციალური პარტნიორობის ინტიტუტების მეშვეობით კონკურენტული გარემოს შექმნასა და კონკურენციის ხელშეწყობას.

ქვეყნის კეთილდღეობაზე სახელმწიფოებრივი ზრუნვის მაგალითია ბუტანი,მსოფლიოში ერთადერთი სახელმწიფო, სადაც არსებობს **ბედნიერების სამინისტრო** და მთავრობას მთავარ მიზნად გამოცხადებული აქვს ოითოეული მოქალაქის ბედნიერება და ქვეყნის კეთილდღეობა,რაც განმტკიცებულია კონსტიტუციით.

საინტერესოა ბუტანელთა მოსაზრება ბედნიერებისა და კეთილდღეობის შესახებ: მათი აზრით, მატერიალური კეთილდღეობა არ არის მთავარი ბედნიერების მისაღწევად. ბუტანში ქვეყნის პროგრესს აფასებენ არა ეკონომიკური ზრდისა და მთლიანი შიდა პროდუქტის მაკროეკონომიკური მაჩვენებლებით,არამედ ქვეყანაში **მთლიანი ეროვნული ბედნიერების მაჩვენებლით**. ეს უკანასკნელი „კეთილდღეობის სახელმწიფოს“ მთავარი ინდიკატორია.

ბუტანის მეოთხე მეფის გ. დ. ბანჩუკის აზრით„„ქვეყნის აყვავებისა და ხალხის ბედნიერებისათვის გაცილებით მნიშვნელოვანია მთლიანი ეროვნული ბედნიერება, ვიდრე მთლიანი ეროვნული პროდუქტი. ამიტომ ერის პრიორიტეტი უნდა იყოს არა მთლიანი ეროვნული პროდუქტი, არამედ მთლიანი ეროვნული ბედნიერება“. ამასთან,ბანჩუკ IV დაასკვნის, რომ მდიდრები ყოველთვის არ არიან ბედნიერები, მაშინ როდესაც ბედნიერები თავიანთ თავს მიიჩნევენ მდიდრებად. მთლიანი **ეროვნული ბედნიერების კონცეფცია ეყრდნობა მოსაზრებას, რომლის მიხედვით საზოგადოების**

ჭეშმარიტი ევოლუცია ხდება მაშინ, როდესაც მატერიალური და სულიერი კეთილდღეობა ვითარდება თანაბრად, ერთმანეთს ავსებენ და ამაგრებენ.

მთლიანი ეროვნული ბედნიერება ეყრდნობა შემდეგ პრინციპებს: 1. ყველასათვის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების თანასწორი შესაძლებლობა; 2. კულტურული და სულიერი მემკვიდრეობის შენარჩუნება და სტიმულირება; 3. გარემოს დაცვა; 4. ხელისუფლების ორგანოებში წესრიგი, კოორდინირებული და თანმიმდევრული მმართველობის უზრუნველყოფა.

თანამედროვე გლობალიზაციის ეპოქაში ბუტანის სახელმწიფო ამაყობს თავისი ტყეებით,ფლორითა და ფაუნით, მაშინ,როდესაც **სხვა ქვეყნებში ღვთისგან ბოძებული ეს სიმდიდრე გაქრა ან გაქრობის ზღვარზეა.**

ბუტანელთა კულტურული, სულიერი და ტრადიციული ფასეულობების შენარჩუნება და განვითარება პოზიტიურ გავლენას ახდენს მათ ცხოვრებაზე.[7]

გლობალიზაციამ გარკვეული კორექტივები შეიტანა კეთილდღეობის სახელმწიფოს მოდელებში. დასავლეთ-ევროპული ქვეყნების ეკონომიკაში სახელმწიფოს მონაწილეობის გაზრდამ, ჯანდაცვის, ტრანსპორტის, ენერგეტიკის, მძიმე და მომპოვებელი მრეწველობის უმნიშვნელოვანესი ნაწილის ნაციონალიზაციამ ახალი შინაარსი შეიძინა.

IV.3. კეთილდღეობის სახელმწიფოს ნორდიკული მოდელის მომხიბვლელობა

კეთილდღეობის სახელმწიფოს ყველაზე წარმატებულ მოდელად **ნორდიკული (სკანდინავიური) მოდელია** აღიარებული. მეორე მსოფლიო ომის შემდგომი პერიოდის პირველ

[7] https://vk.com/topik-11828368033427030

ათწლეულებში,როდესაც ევროპას „რკინის ფარდა“ ყოფდა, კეთილდღეობის სახელმწიფოს ნორდიკული მოდელი წარმატებით გამოიყენებოდა სკანდინავიის ქვეყნებში. ამ მხრივ,განსაკუთრებით გამოირჩეოდა **შვედეთი.**

ეკონომიკური აზრის შვედური სკოლა წარმოიშვა XX საუკუნის 30-იან წლებში,როგორც „დიდი დეპრესიის“ გამოწვევა. მან მიიპყრო სოციალ-დემოკრატებისა და სხვა პოლიტიკური მოძრაობების ყურადღება. შვედური მოდელის ცნობილი წარმომადგენლებია ვ. მიურდალი,ბ. ოლინი, ბ. ჰანსენი, ე. ლინდალი და სხვები.

„მესამე გზის“ პოლიტიკაზე დამყარებული სკანდინავიის ქვეყნების ყველასაგან განსხვავებული კეთილდღეობის სახელმწიფოს მოდელი აქტიური განხილვის საგანი 1980-იან წლებში გახდა. ნორდიკული მოდელი გულისხმობდა სოციალურ სფეროში აქტიურად ჩართულ სახელმწიფო სექტორს, განვითარებულ საზოგადოებრივ სექტორსა და **პასუხისმგებლობის გრძნობის მქონე საზოგადოებას,** რომელსაც ღრმად სწამდა სოციალური კეთილდღეობის დიდი მნიშვნელობა. იგი განიხილებოდა სხვა ქვეყნებისთვის მისაბაძ მაგალითად.

შვედური მოდელისათვის დამახასიათებელი ძლიერი სოციალური პოლიტიკა ითვალისწინებს ქონებრივი უთანასწორობის მკვეთრ შემცირებას, ეკონომიკის სახელმწიფო რეგულირებას, სახელმწიფო ფინანსების მნიშვნელოვანი ნაწილის გამოყენებას ნაკლებად უზრუნველყოფილი მოსახლეობის სასარგებლოდ,მშპ-ის ხარჯვითი ნაწილის ნახევარზე მეტის გამოყენებას სოციალური მიზნებისათვის, შემოსავლების გადანაწილებას, ძირითადად, დაბეგვრის მაღალი ნორმის საფუძველზე და ა.შ.

შვედეთში სახელმწიფო თავის თავზე იღებს მოსახლეობის დასაქმების, განათლების, სამედიცინო მომსახურების,

სოციალური დაზღვევის უზრუნველყოფაზე ზრუნვას, აგრეთვე სოციალური ინფრასტრუქტურის განვითარებას, სამეცნიერო-კვლევითი დაწესებულებების, ტრანსპორტისა და ა.შ. მუშაობისათვის სათანადო პირობების შექმნას.

შვედეთის სახელმწიფომ თავის ლაიტმოტივად დაისახა მნიშვნელოვანი სოციალური პროგრამებისა და შესაბამისი ეკონომიკური რეფორმების წარმატებით განხორციელება, ადამიანისეული კაპიტალის განვითარებისა და სიღარიბის წინააღმდეგ ქმედითი ღონისძიებების გატარება.

ამჟამად შვედეთში მიმდინარეობს მთელი ქვეყნის მასშტაბით ცხოვრების დონისა და ხარისხის გამოთანაბრება და სოციალურად ორიენტირებული საბაზრო ეკონომიკიდან სოციალურ საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლა.

კეთილდღეობის სახელმწიფოს ნორდიკული მოდელის „შარმი“ ხალხში უდიდეს კეთილგანწყობასა და სიმპათიას იმსახურებდა და იმსახურებს.

ნორდიკული მოდელის მომხიბვლელობა გამოიხატება ქონებრივი უთანასწორობის შედარებით დაბალ დონეში, სოციალური მობილობის მაღალ ხარისხში, გენდერულ ბალანსში, აბსოლუტურ მატერიალურ კეთილდღეობასა და ა.შ.

ნორდიკული მოდელის პოპულარობა სკანდინავიურ ქვეყნებში მოვლენების ცვლილების პარალელურად იცვლებოდა. მაშინ, როდესაც 80-იანი წლების დასაწყისში შვედეთმა, ნორვეგიამ და ფინეთმა მიაღწიეს მოსახლეობის სრულ დასაქმებას, დანარჩენი ევროპა, დანიის ჩათვლით, მასობრივ უმუშევრობას ებრძოდა. ნორდიკული მოდელის მაღალი პოპულარობა შემცირდა მაშინ, როდესაც 90-იან წლებში წარმატებულ ქვეყნებში თავი იჩინა უმუშევრობის მაღალმა დონემ, თუმცა, 90-იანი წლების ბოლოს ნორდიკული მოდელის ადრინდელი პოპულარობა ისევ გაიზარდა, ვინაიდან

აღნიშნულმა ქვეყნებმა ისევ მიაღწიეს სრულ დასაქმებას, დანიამაც თავი დააღწია ქვეყანაში გაბატონებულ უმუშევრობას და გახდა უპირველესი რეფორმატორი სრული დასაქმების საკითხში.

კონტინენტური ევროპის ქვეყნებისაგან განსხვავებით, 90-იან წლებში სკანდინავიური სახელმწიფოების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მახასიათებელი იყო საზოგადოების ხელმისაწვდომობა სხვადასხვა სერვისებისადმი,განსაკუთრებით ჯანდაცვაზე. ნორდიკული მოდელისთვის ნიშანდობლივია მჭიდრო კავშირი სოციალურ პოლიტიკასა და დასაქმების პოლიტიკას შორის, რამაც, თავის მხრივ, გამოიწვია ეკონომიკური პროგრესი. აღსანიშნავია, რომ **მოსახლეობის ასეთი კეთილდღეობა განაპირობა მთელი საზოგადოების მაღალმა შრომისუნარიანობამ. ნორდიკული კეთილდღეობა შედეგია არა იმდენად სახელმწიფოს მიერ გაღებული ხარჯების, რამდენადაც საზოგადოების მონდომების საფუძველზე მიღებული უკუგებისა.**

თანამედროვე პირობებში კეთილდღეობის სახელმწიფოს ნორდიკული მოდელის თვალსაჩინო მაგალითია **გერმანია.** მისთვის გამოკვეთილად ნიშანდობლივია მეწარმეობის ეკონომიკური თავისუფლება, რომელიც გარანტირებულია სახელმწიფოს მხრიდან და **იგი, გარკვეულწილად, საზოგადოებრივი სექტორის ეკონომიკის აქტიურად ფუნქციონირების შედეგია.** საზოგადოებრივი სექტორის სოციალური ორიენტაციის მასშტაბები დამოკიდებულია არა მხოლოდ ქვეყნების ეკონომიკურ შესაძლებლობებზე, არამედ არსებულ ტრადიციებსა და ეკონომიკური პოლიტიკის თავისებურებებზე.

გერმანიაში სახელმწიფო ხარჯების გაზრდას, ჯერ კიდევ, II მსოფლიო ომამდე ჰქონდა ადგილი. იგი ომის პერიოდშიც იზრდებოდა, ხოლო ომის შემდგომ წლებში,

მართალია, შემცირდა, მაგრამ, მიუხედავად ამისა, ომამდელ დონემდე არ დაცემულა. ასე იყო დიდ ბრიტანეთში, საფრანგეთში, ავსტრიასა და რიგ სხვა ქვეყანაში.

XX საუკუნის შემდგომ პერიოდში საზოგადოებრივი სექტორის წილი მშპ-ში კვლავ იზრდებოდა და, აქედან გამომდინარე, სოციალური პროგრამების განხორციელებისთვის გაცემული სახელმწიფო ხარჯების წილიც იზრდებოდა. საზოგადოებრივი სექტორის მასშტაბები სულ უფრო ფართოვდებოდა მოსახლეობის ფართო მასების მომსახურებასთან დაკავშირებით. განვითარებულ ქვეყნებში, მათ შორის, ნორდიკულ ქვეყნებში, ეს პროცესი ინტენსიურად მიმდინარეობდა.

II მსოფლიო ომის შემდგომ პერიოდში, მაგალითად, გერმანიაში თუ ერთობლივმა სახელმწიფო ხარჯებმა მთლიან ეროვნულ პროდუქტში (მეპ) 1960 წელს 32,4% შეადგინა, 2010 წელს შეადგინა 47,5%, შვედეთში, შესაბამისად, 31,0 და 55,2%, ნორვეგიაში – 29,9 და 46,3% და ა.შ.[8] შედარებით შეფერხდა ეს პროცესი 1970–იან წლებში, თუმცა, შემდგომ პერიოდში ხასიათდეობდა ზრდის ტენდენციით. 2008 წლის მსოფლიო ეკონომიკურმა კრიზისმა, ბუნებრივია, ნეგატიური გავლენა მოახდინა განვითარებული, მათ შორის, ნორდიკული ქვეყნების ეკონომიკაზე, მაგრამ საზოგადოებრივი სექტორის ეკონომიკას არ დაუკარგავს თავისი მნიშვნელობა და ფუნქციები. ბოლო პერიოდში ამ ქვეყნებში სახელმწიფო სექტორი ზრდის ტენდენციით ხასიათდება.[9]

---

[8] **Мюллер Д.** Общественный выбор. М., ИД. ГУВШЭ, 2007; OECP, Government at a Glance. 2011.

[9] http://www.european.ge/letildgeobis_saxelmwifos_modelebi_nordikuli_qveynebi/copyright

IV.4. „კეთილდღეობა ყველასათვის, კეთილდღეობა კონკურენციის გზით“

თანამედროვე ცივილიზებულ ეკონომიკაში კონკურენცია ქვეყნის ეკონომიკური ეფექტიანობისა და კეთილდღეობის ამაღლების უმნიშვნელოვანესი ფაქტორია. **„კეთილდღეობა ყველასათვის, კეთილდღეობა კონკურენციის გზით“** განუყრელადაა დაკავშირებული ერთმანეთთან: პირველი არის მიზანი, ხოლო მეორე – ამ მიზნის მიღწევის საშუალება.[10]

გლობალურმა ეკონომიკამ და მსოფლიოში შექმნილმა მძიმე სოციალურ-ეკონომიკურმა მდგომარეობამ კონკურენციის თეორიები წინა პლანზე წამოსწია და პრაქტიკაში მათი გამოყენების აუცილებლობა დააყენა. საგულისხმოა, რომ **დღეს დასავლეთის უნივერსიტეტებში ისწავლება „კონკურენციული ეკონომიკა“ როგორც ცალკე აკადემიური დისციპლინა.**

კონკურენციის თეორიები და მათთან დაკავშირებული პრობლემები მსჯელობის საგანი წინა საუკუნეებშიც იყო, მაგრამ განსაკუთრებული აქტუალურობა თანამედროვე პირობებში,XX საუკუნის ბოლოსა და XXI საუკუნის დასაწყისში შეიძინა. მაიკლ პორტერი გახდა კონკურენტული სტრატეგიისა და საერთაშორისო კონკურენტუნარიანობის კონცეფციების მსოფლიოში აღიარებული მკვლევარი.[11]

აღსანიშნავია, რომ კონკურენციის თეორიების შესახებ მნიშვნელოვანი ნაშრომები ჰქონდათ ისეთ ცნობილ ეკონომისტებს, როგორებიც იყვნენ ოქსფორდის უნივერსიტეტის პროფესორი ისიდრო ეჯოურტი, ამერიკელი ეკონომისტი,

---

[10] **Эрхард Л.** Благосостояние для всех. М., “Начала-Пресс”, 1991, с. 15.

[11] **მაიკლ პორტერის** ცნობილი ნაშრომებია: „კონკურენცია,კონკურენციის სტრატეგია“, „სხვადასხვა ქვეყნის კონკურენტული უპირატესობა“, „საერთაშორისო კონკურენცია“ და ა.შ.

ჰარვარდის უნივერსიტეტის პროფესორი ედვარდ ჩემბერლინი, კემბრიჯის უნივერსიტეტის პროფესორი, ჯოან რობინსონი და სხვები.[12]

მსოფლიო ეკონომიკის განვითარების თანამედროვე ეტაპზე აქტუალური გახდა კონკურენციის გაძლიერების გლობალური ტენდენციებისა და კონკურენტუნარიანობაზე ორიენტირებული ქვეყნის ახალი პერსპექტივების კვლევა.

ცივილიზებულ სამყაროში საკმაოდ აპრობირებულ თეზას – „კეთილდღეობა კონკურენციის გზით", მნიშვნელოვნად შეუწყო ხელი ანტიმონოპოლიური კანონმდებლობისა და, აქედან გამომდინარე,ანტიმონოპოლიური რეგულირების არსებობამ,რომლებიც აღიარებულია კონკურენციის მიღწევის ერთ-ერთ საუკეთესო საშუალებად. იგი ითვალისწინებს წარმოების მონოპოლიზაციის (ფირმების შერწყმა, ერთი ფირმის მიერ მეორის შთანთქმა, კანონსაწინააღმდეგო შეთანხმებები ბაზრების დანაწილებისა და ფასების დადგენის მიზნით) შეზღუდვებსა და ეწინააღმდეგება მონოპოლიური გაერთიანებების შექმნას.

---

[12] აღსანიშნავია,რომ არასრულყოფილი კონკურენციის ფორმად აღიარებული **მონოპოლისტური კონკურენციის მოდელი** ერთობლივად შექმნეს ე. ჩემბერლინმა და ჯ. რობინსონმა. ი. ეჯოურტმა,მიუხედავად იმისა, რომ მარჟინალისტი და ეკონომიკურ-მათემატიკური სკოლის თვალსაჩინო წარმომადგენელი იყო, ჯერ კიდევ, 1897 წელს ნაშრომით – „მონოპოლიის თეორია" მიიპყრო სამეცნიერო საზოგადოების ყურადღება. ე. ჩემბერლინმა 1933 წელს გამოაქვეყნა ნაშრომი „მონოპოლისტური კონკურენციის თეორია", გააანალიზა მონოპოლისტური კონკურენციისათვის დამახასიათებელი ფასწარმოქმნის მექანიზმი, შემოიტანა ტერმინი – წმინდა კონკურენცია,ხოლო 1933 წელს ჯ. რობინსონმა,ე. ჩემბერლინისაგან დამოუკიდებლად,ჩამოაყალიბა **„არასრულყოფილი კონკურენციის ეკონომიკური თეორია",** რითაც მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა სრულყოფილი კონკურენციის კონცეფციაზე აგებული ღირებულების თეორიის კრიტიკაში.

მაიკლ პორტერის აზრით, ქვეყნის კონკურენტუნარიანობა იქმნება არა გარე, არამედ შიდა ბაზრებზე.[13] სწორედ შიდა ბაზრების განუვითარებლობის გამო, მსოფლიოს მრავალ ქვეყანაში (მათ შორის, საქართველოში) ფერხდება საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლა და, ფაქტობრივად, ყალიბდება საუკუნისწინანდელი კაპიტალისტური ეკონომიკური ურთიერთობები, რომლისგანაც თავის დაღწევა შეძლო მხოლოდ ცივილიზებულმა სამყარომ და დღეს იგი განვითარებული ქვეყნებისთვის ისტორიის კუთვნილებაა.

კონკურენციის გარეშე ბაზარი ფიქციაა. უკვე დიდი ხანია კონკურენცია გასცდა ერთი ქვეყნის ფარგლებს და გლობალური მასშტაბი შეიძინა.

ერთ ქვეყანას არ შეუძლია მოიპოვოს კონკურენტული უპირატესობა ეკონომიკის ყველა დარგში, ან რომელიმე (აგრარული, ინდუსტრიული თუ მომსახურების) სექტორის უმეტეს დარგებში. ქვეყნები წარმატებას აღწევენ მხოლოდ კონკურენტულ დარგებში. ქვეყანა რომ კონკურენტუნარიანი იყოს, მან თავისი პროდუქცია უნდა გაყიდოს საზღვარგარეთ საერთაშორისო საბაზრო ქსელის მეშვეობით. ეს არის დიდი „სათამაშო ველი“, რომელიც თავისებურ კომპასს წარმოადგენს თითოეული ქვეყნისთვის – რა გზას დაადგეს, რომელი დარგები განავითაროს, რა უნდა იყოს მისი ეკონომიკური განვითარების გენერალური სტრატეგია.

წარმოების პროცესების კომპლექსურმა ავტომატიზაციამ, ენერგიის ახალი წყაროებისა და ბიოტექნოლოგიის გამოყენებამ, მიკროელექტრონიკისა და ტელეკომუნიკაციური ტექნიკის მიღწევათა ათვისებამ და ა.შ. თვისებრივად ახალი ეტაპი შექმნა ეკონომიკურ განვითარებაში, მსოფლიოს წამყვანი ქვეყნების გენერალური განვითარების

[13] **Портер М.** Конкуренция. Перевод с английского. Санкт-Петербург, Москва, Киев, “Вильямс”, 2000, с. 218.

სტრატეგიაში. არნახულმა ტექნოლოგიურმა პროგრესმა გამოიწვია კაპიტალიზმის ტრანსფორმაცია ახალ საზოგადოებად რაც აისახა კიდეც პოსტინდუსტრიალიზაციის პროცესში,ეკონომიკური ზრდის ტემპების ამაღლებასა და მომსახურების სექტორის სწრაფ განვითარებაში.

ბოლო პერიოდში არა მხოლოდ პოსტინდუსტრიულ, არამედ მრავალ ახალინდუსტიულ ქვეყანაშიც **მეცნიერება** განიხილება უმნიშვნელოვანეს ეროვნულ პრიორიტეტად. ამ ქვეყნებმა თითქმის 2-ჯერ გაზარდეს თავიანთი ინოვაციური პოტენციალი და უახლოვდებიან ევროპული ქვეყნების შესაბამის მაჩვენებელს. მსგავსი ტენდენცია შეიმჩნევა ჩინეთშიც. ინოვაციური ეკონომიკის განვითარების თვალსაზრისით, უდიდეს წარმატებას მიაღწიეს ევროკავშირის ქვეყნებმაც. მაგალითად,ირლანდია ჩამორჩენილი ქვეყნიდან გადაიქცა ინოვაციური კაპიტალის დაბანდებისათვის ერთ-ერთ მიმზიდველ ქვეყნად, რაც დაეტყო კიდეც მის განვითარებას.

ინოვაციური პროცესების სტიმულირებაში ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ფაქტორი ვენჩურული დაფინანსების ინსტიტუტები გახდა. ვენჩურული კაპიტალის ფორმირებაში მონაწილეობას იღებენ ბანკები, საპენსიო ფონდები, სადაზღვევო კომპანიები და ა.შ.

ამჟამად მსოფლიოში მაღალტექნოლოგიური წარმოებით პირველ ათეულშია ფინეთი, აშშ, შვედეთი, იაპონია, სამხრეთი კორეა, ნიდერლანდი, დიდი ბრიტანეთი, კანადა, ავსტრალია და სინგაპური. მათ მოჰყვება ჩინეთი. რაც შეეხება რუსეთს, მას მაღალი ტექნოლოგიების მსოფლიო ბაზარზე მხოლოდ 1% უჭირავს.

ამიტომაცაა, რომ XXI საუკუნეში სტრუქტურული გარდაქმნების ბირთვს ინოვაციური ეკონომიკის განვითარება წარმოადგენს. განსაკუთრებულ ყურადღებას იმსახურებს საინფორმაციო ტექნოლოგიები (IT). მისი განვითარება ეკონომიკური უსაფრთხოების სტრატეგიული მიმართულე-

ბაა. ეს პროცესი დიდ გავლენას ახდენს არა მხოლოდ მატერიალური რესურსების, არამედ ინტელექტუალური კაპიტალის ხარისხზე და განაპირობებს ცოდნის ფენომენის წინა პლანზე წამოწევას.

დღეს ტექნოლოგიური ბუმი ტრაექტორიას უცვლის მსოფლიო ეკონომიკის განვითარებას, უდიდესი პოზიტივი შეაქვს მასში, რომლის არგათვალისწინება ჩამორჩენილობის დაუძლეველობას ნიშნავს და საეჭვოს ხდის საზოგადოებრივი სექტორის ეკონომიკის განვითარებას.

ინოვაციების განვითარება, რომელიც დღეს მსოფლიოში ეკონომიკური ზრდის უმნიშვნელოვანეს რესურსად არის აღიარებული, ვრცელდება არა მხოლოდ საბაზრო, არამედ არასაბაზრო სექტორზეც და უდიდეს გავლენას ახდენს საზოგადოებრივი სექტორის ეკონომიკის ფუნქციონირებაზე, ყველა ინსტიტუციურ ფორმასა და სტრუქტურაზე.

გლობალურ სამყაროში ინოვაციური ეკონომიკის უპირატესმა განვითარებამ მაღალი ეკონომიკური წესრიგის ჩამოყალიბების საფუძველი შექმნა. **ინოვაციურმა პროგრესმა მძლავრი ბიძგი მისცა ქრეატიული პოტენციალის ყოველმხრივ განვითარებას, ინტელექტუალური საკუთრების დაცვასა და საზოგადოებრივი სექტორის ეფექტიან ფუნქციონირებას.**

განვითარებული ქვეყნები გამოირჩევიან საერთო კეთილდღეობითა და სოციალური ორიენტაციით, მაგრამ ერთმანეთისგან განსხვავდებიან **„სოციალური ეკონომიკის“ სიმწიფის ხარისხის მიხედვით.** მაგ., აშშ-ს, რომლისთვისაც დამახასიათებელია მნიშვნელოვანი სოციალური დანახარჯები და,მართალია,შეუძლია გამოყოს სოლიდური სახსრები სოციალურად დაუცველი ფენების დასახმარებლად, ჯანდაცვის დასაფინანსებლად,განათლებისა და სხვა სოციალური მიზნებისათვის, აბსოლუტური მაჩვენებლებით ჩამორჩებიან დასავლეთევროპული ქვეყნები, მაგრამ ისინი

„სოციალური ეკონომიკის“ სიმწიფის გაცილებით მაღალი დონით ხასიათდებიან, ვიდრე აშშ. დასავლეთ ევროპის ქვეყნების სოციალურ-ეკონომიკური და სამართლებრივი ინსტიტუტები,შემოსავლების გადანაწილებაში უთანაბრობის ხარისხის შემცირებისა და მომსახურების ხელმისაწვდომობის გაზრდის გზით, მიმართულნი არიან ჰუმანიზაციის პროცესების გაღრმავების,სამართლიანობისა და სოციალური თანხმობის,მოსახლეობის ძირითადი ნაწილის ცხოვრების დონის ამაღლებისა და საშუალო ფენის გაძლიერებისაკენ.

XXI საუკუნემ, მისი „უდიდებულესობის“ – ინტელექტუალური კაპიტალის საუკუნემ,მნიშვნელოვნად შეცვალა კონკურენციისა და კონკურენტუნარიანობის საფუძვლები. თუ უახლოეს წარსულში ქვეყნის კონკურენტუნარიანობის ყველაზე მძლავრ დეტერმინატებს წარმოადგენდა ვალუტის კურსის სიმყარე, ბუნებრივი რესურსები, მენეჯმენტის განვითარების დონე, მასშტაბის ეფექტი ანუ წარმოების გაფართოების ხარჯზე მიღწეული ეკონომია და ა.შ., ამჟამად, აქცენტი კონკურენტუნარიანობის სრულიად ახალ წყაროებზე კეთდება, თუმცა, აღნიშნულ დეტერმინატებს, გარკვეული თვალსაზრისით,თავიანთი მნიშვნელობა დღესაც არ დაუკარგავთ.

თანამედროვე ეკონომიკაში ახალი სტრატეგიის შექმნა ეყრდნობა ახალ ინოვაციურ სისტემას, რაც მოიცავს როგორც უახლეს ტექნოლოგიებს, ასევე,გულისხმობს საქმის ახლებურად კეთებას,ახალი უნარ-ჩვევების ათვისებასა და ცოდნის განახლებას. განვითარებული ქვეყნების წარმოების მატების 75%-დან 100%-მდე სწორედ ინოვაციების გამოყენებით მიიღწევა.[14] აქედან გამომდინარე, ასეთ პირობებში ინვესტიციებს,სრულიად ახალი როლი აკისრიათ და ისინი,

[14] http://www.chelt.ru/2001/12/uzbashianz-12.html

წინანდელთან შედარებით,განსხვავებული მიმართულებებით წარიმართება. საერთაშორისო პრაქტიკა ადასტურებს ამ სიახლეთა ჭეშმარიტებას. საკმარისია მოვიყვანოთ ბუნებრივი რესურსებით ღარიბი იაპონიის მაგალითი,რომელიც მყარი სტრატეგიითა და ახალი, კონკურენტული ინოვაციებით მაღალი კონკურენტუნარიანობით გამოირჩევა, ან ბუნებრივი რესურსებით მდიდარი აფრიკის ქვეყნების წარუმატებლობა,რომლებიც უაღრესად დაბალი კონკურენტუნარიანობით გამოირჩევა.

გლობალური ეკონომიკის პირობებში კონკურენციის ხელოვნების დაუფლება როგორც შიდა,ისე საგარეო ბაზრებზე ქვეყნის წარმატების საწინდარია. **დღეს ჭეშმარიტ კეთილდღეობას ის ქვეყნები და ის კომპანიები აღწევენ, რომლებიც სწრაფად აღიქვამენ მსოფლიოში მიმდინარე პროცესებს და ითვალისწინებენ გლობალიზაციის მოთხოვნებს, რაც, უპირველეს ყოვლისა, მწარმოებლებისაგან ახლებურ აზროვნებასა და ინფორმაციის ყველა დონეზე გაფილტვრას უკავშირდება.**

მსოფლიო გამოცდილება გვიჩვენებს,რომ კომპანიებმა წარმატებას საერთაშორისო ბაზარზე ეკონომიკის ახალი სტრატეგიით – ახალი ინოვაციური სისტემით მიაღწიეს. მაიკლ პორტერი სტარტეგიას ახასიათებს როგორც კომპრომისების გადაჭრის ხელოვნებას კონკურენციაში.[15]

როგორც მსოფლიო პრაქტიკიდან ჩანს, კონკურენტული უპირატესობა ყველაზე პროგრესულ და დინამიკურ დარგებში მიიღწევა. მომთხოვნი მომხმარებლები კომპანიებს არ აძლევენ მოდუნების საშუალებას,ამიტომ მეწარმეები წარმოების მუდმივი განახლების,სიახლეების დანერგვისა

[15] **Porter M.**Competitivite Advantages of Nations. “Harvard Business Revieu”, 1990, № 2.

და განვითარების რეჟიმში არიან.

თანამედროვე განვითარებულ ეკონომიკაში,სტრუქტურულმა და ტექნოლოგიურმა დივერსიფიკაციამ შეცვალა ეროვნული ეკონომიკის განვითარების კურსი. წარმოების პროცესების ავტომატიზაციამ,ენერგიის ახალი წყაროებისა და ბიოტექნოლოგიების გამოყენებამ,მიკროელექტრონიკისა და ტელეკომუნიკაციური ტექნიკის მიღწევათა ათვისებამ და ა.შ. თვისებრივად ახალი პერსპექტივები შექმნა მსოფლიოს მოწინავე ქვეყნების საზოგადოებრივი სექტორის ეკონომიკის განვითარებაში.

ნიშანდობლივია, რომ თანამედროვე კონკურენტულ ეკონომიკაში განსაკუთრებულ ყურადღებას იმსახურებს **საკვანძო კომპეტენტურობის თეორია** (core competence theory). იგი ასახავს იმ ახალ ტენდენციებს, რომლებიც ყალიბდება კომპანიაში კოლექტიური ცოდნის სახით. ურთიერთთანამშრომლობის პრინციპზე აგებული საკვანძო კომპეტენტურობა ეხმარება კომპანიებს არსებული სამეწარმეო თვისებების კოორდინირებასა და განვითარებაში, ინოვაციებზე ორიენტირებული, მუდმივად ცვალებადი ტექნოლოგიური ნაკადების ინტეგრირებაში. ის გარემოება, რომ თანამედროვე ბიზნესმა განიცადა დივერსიფიკაცია, შეუძლებელი ხდება ცენტრიდან ეფექტიანი მენეჯმენტის განხორციელება. ამიტომ დღეს დიდი ყურადღება ექცევა ახალი ორგანიზაციული სტრუქტურების შექმნას. ასეთ ორგანიზაციულ სტრუქტურას წარმოადგენს **„ქრეატიული ქსელი“** (“Creative net”). მასში შემავალი კორპორაციები ერთმანეთზეა დამოკიდებული,რომელთა წარ-მატება ურთიერთთანამშრომლობაზეა აგებული. „ქრეატიული ქსელი“ ახდენს მასში შემავალი კომპანიების საქმიანობის კოორდინაციას. დიდი კომპანიები (ტრადიციული იერარქიული

პირამიდისგან განსხვავებით) სულ უფრო მეტად აკისრებენ პასუხისმგებლობას მცირე კომპანიებს გადაწყვეტილების მიღებაში, დასამზადებლად გადასცემენ მათ პროდუქციის ცალკეულ დეტალებს და ა.შ. მენეჯმენტში განხორციელებული ეს ახალი მიდგომები სტიმულს აძლევს კომპანიათა ცალკეულ ჯგუფებს სიახლეების დანერგვაში, ახალი პროდუქციის, მომსახურების ახალი სახეობების წარმოებაში და ა.შ. ამიტომ XXI საუკუნეში „ქრეატიული ქსელის“ განვითარებაზე დიდად იქნება დამოკიდებული მენეჯმენტში წარმატება.

კონკურენციის განვითარებაში ასახული პოზიტიური ცვლილებები უდიდეს გავლენას ახდენს როგორც ლოკალურ, ისე გლობალურ კონკურენტუნარიანობაზე. აქედან გამომდინარე, მიზანშეწონილია კონკურენტუნარიანობა განვიხილოთ როგორც მიკრო- და მეზოდონეზე, ისე მაკრო- და მეგადონეზე.

კონკურენტუნარიანობა მიკრო- და მეზოდონეზე არის ეკონომიკური ურთიერთობების სუბიექტთა თვისება კონკურენცია გაუწიონ ქვეყნის შიდა ბაზარზე ანალოგიური თვისების მატარებელ ეკონომიკური ურთიერთობების სუ-ბიექტებს. ამ თვისების შეფასება იძლევა დაბალი, საშუალო და მაღალი ლოკალური კონკურენტუნარიანობის განსხვავების საშუალებას. კონკურენტუნარიანობა მაკრო- და მეგადონეზე არის ქვეყნის თვისება კონკურენცია გაუწიოს მსოფლიო ბაზარზე სხვა ქვეყნების ანალოგიური თვისებების მქონე ეკონომიკური ურთიერთობების მქონე სუბიექტებს, რაც, საბოლოო ანგარიშით, მოცემული ქვეყნის კონკურენტუნარიანობაში აისახება. აქედან გამომდინარე, **გლობალური კონკურენტუნარიანობა განსაზღვრავს ქვეყნის ადგილს მსოფლიო ეკონომიკაში და იგი ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ინდიკატორია. მასში აისახება ქვეყნის მოსახლეობის კეთილდღეობის დონე.** ამიტომაც შემოხ-

ვევითი არ არის, რომ დღეს, კონკურენციის გლობალიზაციის ფონზე, შეიცვალა ქვეყნის კონკურენტული უპირატესობის საფუძვლები.

თანამედროვე საგარეო ვაჭრობაში შეფარდებითი უპირატესობის თეორია სულ უფრო უთმობს ადგილს კონკურენტული უპირატესობის თეორიას. მსოფლიო ბაზარზე ქვეყნის კონკურენტულ უპირატესობას განაპირობებს მეცნიერებატევადი და მაღალტექნოლოგიური დარგები. მსოფლიო ეკონომიკის განვითარების პრაქტიკა აჩვენებს, რომ დღეს ყველაზე მომგებიანი ის დარგებია, რომლებიც აწარმოებენ საინფორმაციო ტექნოლოგიებს, კავშირგაბმულობის საშუალებებსა და ტელეკომუნიკაციების მთელ სისტემას. მათ წარმატებას მსოფლიო ბაზარზე,უპირველეს ყოვლისა, განაპირობებს ინოვაციების დანერგვა და არა წარმოებრივი შესაძლებლობების ზრდა, ინტენსიური და არა ექსტენსიური წარმოება.

ქვეყნის კონკურენტუნარიანობის განმსაზღვრელი ეს შედარებით ახალი თეორია აქცენტს ისეთ ფასეულობებზე აკეთებს, როგორიცაა ხარისხი, „ნოუ-ჰაუ“, ბაზრისადმი ახლებური მიდგომა,ინფორმაციის ყველა დონეზე გაფილტვრა,ახალი დიზაინი,ახალი სახეობის პროდუქციის შექმნა და ა.შ.

IV.5. ეროვნული კონკურენტული უპირატესობის რომბი

ქვეყნის კეთილდღეობის ამაღლების პრობლემა მეტად აქტუალურია თანამედროვე გლობალურ ეკონომიკაში, ფართო მსჯელობის საგანია ის ფაქტორები, რომლებიც განსაზღვრავენ მას. **ეს პრობლემა ორგანულად უკავშირდება ეროვნული კონკურენტული უპირატესობის რომბს, რომელიც მაიკლ პორტერის დაიმონდის მოდელის სახელ-**

წოდებითაა ცნობილი.[16] იგი დღევანდელ პირობებში ქვეყნის კეთილდღეობის ამაღლების მიმართულებებში გარკვევის საშუალებას იძლევა.

ის გარემოება, რომ გლობალიზაცია ცალკეულ ქვეყნებში აჩქარებს ღია საზოგადოების ჩამოყალიბებას და ანგრევს ჩაკეტილ,ტოტალიტარულ რეჟიმებს,ხელს უწყობს მსოფლიო მასშტაბით რესურსების ეფექტიან გამოყენებას, მეცნიერული მიღწევების მოკლე დროში დანერგვას, რესურსდამზოგველი და უნარჩენო ტექნოლოგიების ფართოდ გავრცელებას, ინტერნეტული ქსელისა და, საერთოდ, საინფორმაციო ინდუსტრიის სწრაფ განვითარებას,კაპიტალის თავისუფალ მოძრაობასა და ა.შ.,ახალი დროის დადგომის მაუწყებელია.

მაიკლ პორტერის დაიმონდის მოდელი, როგორც ქვეყნის კონკურენტული უპირატესობის ქვაკუთხედი, აისახება ლოკალური კონკურენტული უპირატესობის ოთხ დეტერმინატში, რომლებიც ერთობლიობაში წარმოქმნიან იმ სპეციფიკურ გარემოს,რომელიც ხელს უწყობს კონკურენციის განვითარებასა და ახალი კონკურენტუნარიანი კომპანიების აღმოცენებას, აყალიბებს იმ „სათამაშო ველს“, რომელსაც კონკურენტუნარიანი ქვეყანა ქმნის საკუთარი ინდუსტრიის განვითარებისათვის. ეს დეტერმინატებია:

1. **ფაქტორული პირობები.** ქვეყნის შიდა ბაზარზე ყურადღების გამახვილება წარმოების იმ ფაქტორებზე (კვალიფიციური სამუშაო ძალა, ადმინისტრაციული, ტექნოლოგიური და წარმოებრივი ინფრასტრუქტურა, კაპიტალის ბაზარი, მიწოდების პირობები), რომლებიც აუცილებელია მოცემული დარგის კონკურენტუნარიანობის მიღწევისათვის. ძალზე მნიშვნელოვანია თუ რა ტემპით და

[16] **Портер М.** Конкуренция. Перевод с английского. Санкт-Петербург, Москва, Киев. «Вильямс», 2000.

რამდენად ეფექტიანად ქმნის და განაახლებს ქვეყანა ამ ფაქტორებს კონკურენტულ დარგებში. მაგ., კოლეჯდამთავრებული მუშახელი არ განაპირობებს კონკურენტულ უპირატესობას თანამედროვე პირობებში. ამისათვის იგი სპეციალიზირებული უნდა იყოს დარგის კონკურენტული მოთხოვნების შესაბამისად,რაც ვენჩურულ კაპიტალსა და სტაბილურ ინვესტიციებს მოითხოვს;

2. **მოთხოვნის პირობები.** ქვეყნის ბაზარზე კონკრეტული დარგის პროდუქციის წარმოებისას ყურადღების გამახვილება მოთხოვნის რაოდენობრივ და ხარისხობრივ დეტერმინატებზე. მოცემული ქვეყნის კომპანიებმა კონკურენტული უპირატესობა შეიძლება იმ შემთხვევაში მოიპოვონ,თუ ადგილობრივ მყიდველთა მოთხოვნა (ხარისხობრივი მაჩვენებლის გათვალისწინებით) წინ უსწრებს სხვა ქვეყნების ანალოგიურ მაჩვენებელს. ეს უბიძგებს კომპანიებს მოდერნიზაციისკენ,ინოვაციისკენ და ამით აიძულებს მათ დააკმაყოფილონ მაღალი სტანდარტები.

3. **ქვეყანაში საერთაშორისო დონეზე ერთმანეთთან დაკავშირებული კონკურენტუნარიანი დარგებისა და დამხმარე სფეროების არსებობა.** ეს დეტერმინატი სწრაფი და შედავათიანი გზით ხელსაყრელ პირობებს ქმნიან კონკურენტუნარიანობის ამაღლებისათვის;

4. კომპანიის მყარი სტრატეგია, სტრუქტურა და კონკურენტული გარემო. ეროვნული კონკურენტული უპირატესობის რომბი,როგორც სისტემა,გავლენას ახდენს კომპანიათა კონკურენტუნარიანობის ისეთ კომპონენტებზე,როგორებიცაა: რესურსების ხელმისაწვდომობა,დასაბუთებული უახლესი ინფორმაციის მოპოვება, უნარ-ჩვევების აკუმულირება, ინფორმაციის სწრაფი მოპოვების გზით ბაზრის მდგრადი სეგმენტის მოძიება და ა.შ. როდესაც კომპანიები არასახარბიელო მდგომარეობაში აღმოჩნდებიან ნედლეულის სიმ-

ცირის,მიწის მაღალი ფასის,მუშახელის დეფიციტის გამო, იმისათვის რომ გაუძლონ კონკურენციას, ნერგავენ ახალ ტექნოლოგიებს,ამით ქმნიან ახალ ბაზრებს და არაფასისმიერი კონკურენციით აღწევენ წარმატებას.

ეროვნული კონკურენტული უპირატესობის რომბი,თავისი ოთხი დეტერმინატით, ხელს უწყობს კონკურენტულ სფეროებში მაღალტექნოლოგიური პარკების – **კლასტერების** წარმოშობას.

ამრიგად, თანამედროვე გლობალურ სამყაროში ქვეყნის კონკურენტუნარიანობა, როგორც განვითარების და, აქედან გამომდინარე, საზოგადოების კეთილდღეობის უმნიშვნელოვანესი ინდიკატორი,განსაზღვრავს თითოეული ქვეყნის ადგილსა და როლს მსოფლიო ეკონომიკაში.[17]

ქვეყნის კონკურენტული უპირატესობის მისაღწევად XXI საუკუნე მსოფლიოს სთავაზობს ეკონომიკური განვითარების ახალ მოდელს. ეს მოდელი ინოვაციურ ეკონომიკას ეფუძნება, რომელშიც წამყვან როლს ინტელექტუალური კაპიტალი, საინფორმაციო და ტელეკომუნიკაციური ტექნოლოგიები ასრულებენ. მათი განვითარების დონეს კი განსაზღვრავს საზოგადოებრივი სექტორის ეკონომიკის ფუნქციონირების ხარისხი.

ძირითადი ცნებები

კეთილდღეობის სახელმწიფო. კეთილდღეობის ეკონომიკა. პარეტოს ოპტიმუმი. კონტინენტალურ-ევროპული მოდელი. ანგლოსაქსონურ-ნეოლიბერალური მოდელი. სკანდინავიურ-ნორდიკული მოდელი. ხმელთაშუაზღვის

[17] **Кетелс К. , Портер М.** Конкурентноспособность: экономике нужны ясные цели; www.vedomosti.ru/newspaper/article/2007/11/26/136711

სამხრეთევროპული მოდელი. კონსერვატიულ-კორპორატიული მოდელი. ნორდიკული მოდელი. კონკურენციული ეკონომიკა. დაიმონდის მოდელი. საკვანძო კომპეტენტურობის თეორია. ქრეატიული ქსელი. კლასტერი. კონკურენტული უპირატესობის რომბი.

დასკვნა

1. საბაზრო ეკონომიკაში სოციალური ორიენტაციის გაძლიერებამ წინა პლანზე წამოსწია კეთილდღეობის სახელმწიფოს სოციალურ-ეკონომიკური ასპექტების კვლევა;

2. კეთილდღეობის ეკონომიკა, როგორც კეთილდღეობის ეკონომიკური დოქტრინა შეისწავლის რესურსების ეფექტიანი განაწილებისა (**ალოკაციური ეფექტიანობა**) და საზოგადოების შემოსავლების ოპტიმალური გადანაწილების (**პარეტოს ოპტიმუმი**) საკითხებს;

3. 30-იან წლების პირველ ნახევარში დიდი რეზონანსი ჰქონდა აშშ-ში დემოკრატ–პრეზიდენტის ფრანკლინ დ. რუზველტის მთავრობის მიერ „ახალი კურსის“ ჩარჩოებში გატარებულ სოციალური დაცვის ღონისძიებებს. ასევე, 1942 წელს დიდი რეზონანსი მოჰყვა უილიამ ბევერიჯის მოხსენებას დიდი ბრიტანეთის პარლამენტში, სადაც მან პირველმა წინა პლანზე წამოსწია კეთილდღეობის სახელმწიფოს თეორია სოციალური პრობლემების გადაჭრასთან დაკავშირებით;

4. „კეინზიანურ რევოლუციამდე“ კეთილდღეობის სახელმწიფო ადიქმებოდა როგორც „მესამე გზა“ ორ უკიდურესობას შორის – მკაცრად რეგულირებად იმდროინდელ სოციალიზმსა და უკონტროლო,არარეგულირებად Laissez-faire-ის ტიპის კაპიტალიზმს შორის;

„დიდმა დეპრესიამ“,რომელმაც მილიონობით ადამიანს

მოუტანა უმუშევრობა და სიღარიბე, მრავალ ქვეყანაში საზოგადოების პროგრესული მსოფლმხედველობითი ცვლილებები გამოიწვია და საფუძველი ჩაუყარა კეთილდღეობის სახელმწიფოს მშენებლობას;

5. კეთილდღეობის სახელმწიფოს უშუალო კავშირი აქვს საზოგადოებრივი სექტორის ეკონომიკის ფუნქციონირებასთან. **იგი წინა პლანზე წამოსწევს სახელმწიფოს ახალ როლს ეკონომიკაში, განაპირობებს საზოგადოებრივი სექტორის ეკონომიკის სწრაფ განვითარებასა და მისი როლის ზრდას ისეთი ამოცანების გადაჭრაში, როგორიცაა** საზოგადოებრივი დოვლათის წარმოება,საზოგადოების დაცვა უარყოფითი გარე ეფექტებისგან,ბუნებრივი მონოპოლიების ჩართვა მაკროეკონომიკურ რეგულირებაში, საბაზრო ეკონომიკის თანმხლები უარყოფითი სოციალური შედეგების კორექტირება, ანუ პარეტოს მიხედვით რესურსების გადანაწილების გზით გაუმჯობესების მიღწევა, როდესაც ერთი ინდივიდის (ან ინდივიდთა ჯგუფის) მდგომარეობა უმჯობესდება მეორე ინდივიდის (ან ინდივიდთა ჯგუფის) მდგომარეობის გაუარესების გარეშე;

6. **სახელმწიფომ არ უნდა დაუშვას თავისი მოსახლეობის მნიშვნელოვანი ნაწილის გაღატაკება და საზოგადოებრივი დოვლათი თითოეული პირისთვის თანაბრად ხელმისაწვდომი უნდა გახადოს.** ამიტომაცაა, რომ კეთილდღეობის სახელმწიფოს თეორია ყურადღებას ამახვილებს სახელმწიფო ხარჯებისა და ტრანსფერების განაწილებისა და გადანაწილების მექანიზმზე,რაც საზოგადოებრივი სექტორის ეკონომიკის კვლევის სფეროა;

7. კეთილდღეობის სახელმწიფოს ოთხ ძირითად მოდელს გამოყოფენ. ეს მოდელებია: **კონტინენტალურ-ევროპული** ანუ გერმანული მოდელი,**ანგლოსაქსური** ანუ ბრიტანული მოდელი,**სკანდინავიური** ანუ ნორდიკული მოდელი

და **ხმელთაშუაზღვის** ანუ სამხრეთევროპული მოდელი. გამოყოფენ აგრეთვე **კონსერვატიულ–კორპორატიულ და კათოლიკურ მოდელებს**;

8. კონტინენტალურ-ევროპული მოდელი ქრისტიანულ-დემოკრატიული მოდელია, რომელიც, გარდა გერმანიისა, არის ავსტრიაში, ბელგიაში, ნიდერლანდსა და შვეიცარიაში, ნაწილობრივ, საფრანგეთშიც. იგი პირველად 1950-იან წლებში შეიქმნა გერმანიაში. ამ მოდელისათვის დამახასიათებელია სოციალური მიზნებისათვის სახელმწიფო ფინანსების მნიშვნელოვანი ნაწილის (თითქმის 50%) გადანაწილება სახელმწიფო ბიუჯეტიდან, სადაზღვევო ფონდების ფორმირება ძირითადად დამქირავებელთა ხარჯზე, სოციალური პარტნიორობის განვითარებული ინსტიტუტების არსებობა, მაღალი დასაქმების მიღწევისათვის სახელმწიფოს აქტიური მხარდაჭერა, ქვეყნის მასშტაბით მაღალი ცხოვრების ხარისხის მიღწევა,სახელმწიფოს მხრიდან კერძო საკუთრების დაცვა და განვითარება, საბაზრო კონკურენციის სტიმულირება და ა.შ.;

9. ანგლოსაქსური მოდელი ნეოლიბერალური მოდელია, რომელიც გარდა გაერთიანებული სამეფოსი, არის აშშ-ში, ირლანდიაში, კანადაში, აგრეთვე ავსტრალიასა და ახალ ზელანდიაში. იგი ითვალისწინებს სახელმწიფო ფინანსების არაუმეტეს 40%-ის გადანაწილებას სოციალური მიზნებისათვის. გერმანული მოდელისაგან განსხვავებით, ანგლოსაქსური მოდელისათვის დამახასიათებელია სახელმწიფოს შედარებით პასიური როლი დასაქმების რეგულირებაში,მაღალი ხვედრითი წონა კი – კერძო კომპანიებისა და საზოგადოებრივი ორგანიზაციებისათვის სოციალური მომსახურების გაწევაში, ქვეყნის მასშტაბით ცხოვრების ხარისხის ამაღლებაში;

10. სკანდინავიური მოდელი სოციალ-დემოკრატიული

მოდელია,რომელიც დამახასიათებელია შვედეთის,დანიის, ისლანდიის, ნორვეგიისა და ფინეთისათვის. ამ მოდელისთვის ნიშანდობლივია აქტიური სოციალური პოლიტიკა, ქვეყანაში **სოციალური კეთილდღეობის, როგორც სახელმწიფოს ეკონომიკური საქმიანობის მიზნის, მიღწევა საზოგადოებრივი სექტორის ეკონომიკის განვითარების საფუძველზე** (სახელმწიფო პროგრესიული დაბეგვრით, სახელმწიფო ფინანსების 50%-ის ბიუჯეტის მეშვეობით გადანაწილების გზით) და ა.შ.;

11. სამხრეთ ევროპის ქვეყნების (საბერძნეთის, ესპანეთის, იტალიის) **ხმელთაშუაზღვის მოდელი**, რომელსაც სამხრეთევროპულ მოდელსაც უწოდებენ, ხასიათდება სოციალური მიზნებისათვის მშპ-ის 50%-მდე ბიუჯეტის გზით გადანაწილებით,თუმცა,სოციალური პოლიტიკა ეხება სოციალურად ნაკლებად დაცულ მოსახლეობას და არა აქვს საყოველთაო,ინკლუზიური ხასიათი;

12. კეთილდღეობის სახელმწიფოს **კონსერვატიულ-კორპორატიულ მოდელს** საფუძვლად უდევს ე.წ. კორპორაციული პრინციპი, რომელიც, კორპორაციას ანიჭებს მთელ პასუხისმგებლობას თავის მუშაკების სოციალურ-ეკონომიკური მდგომარობის მიმართ. დაქირავებულთა მთელი სიცოცხლის მანძილზე დაქირავების სისტემის შექმნით, კორპორაცია მაქსიმალურად ზრდის მათ დაინტერესებას თავიანთი შრომის შედეგებით, რაც განმტკიცებულია აგრეთვე კორპორაციის აქციების გარკვეული ნაწილის დაქირავებულებზე განაწილებით, მათი ძალისხმევით მოგების გაზრდასთან დაკავშირებით და ა.შ., რაც გამოიხატება სხვადასხვა სახის სოციალურ გარანტიებში, კერძოდ,საპენსიო უზრუნველყოფაში,სამედიცინო მომსახურებასა და განათლებასთან დაკავშირებული ხარჯების ნაწილობრივ დაფარვაში და ა.შ. ამ მოდელის ფინანსურ

უზრუნველყოფას ძირითადად ქმნის კორპორაციების სადაზღვევო შენატანები.

კეთილდღეობის სახელმწიფოს კონსერვატიულ-კორპორატიული მოდელის კლასიკური წარმომადგენელია იაპონია;

13. სახელმწიფოს ძირითადი პრინციპებია: მან უნდა გააკეთოს ყოველივე ის, რისი გაკეთებაც არ შეუძლია ბაზარს. უპირველეს ყოვლისა, საქმე ეხება სახელმწიფოს მიერ კანონების მკაცრად დაცვასა და მთელ ეკონომიკაში წესრიგის დამყარებას,ქვეყანაში დემოკრატიის განვითარებასა და საზოგადოებრივი სექტორის ეკონომიკის ცივილიზებული, მსოფლიოში აპრობირებული გზით ფუნქციონირებას;

14. კეთილდღეობის სახელმწიფოს ყველაზე წარმატებულ მოდელად **ნორდიკული (სკანდინავიური) მოდელია** აღიარებული. მეორე მსოფლიო ომის შემდგომი პერიოდის პირველ ათწლეულებში,როდესაც ევროპას „რკინის ფარდა“ ყოფდა, კეთილდღეობის სახელმწიფოს ნორდიკული მოდელი წარმატებით გამოიყენებოდა სკანდინავიის ქვეყნებში, ამ მხრივ,განსაკუთრებით გამოირჩეოდა **შვედეთი;**

15. „მესამე გზის“ პოლიტიკაზე დამყარებული სკანდინავიის ქვეყნების ყველასაგან განსხვავებული კეთილდღეობის სახელმწიფოს მოდელი აქტიური განხილვის საგანი 1980-იან წლებში გახდა. ნორდიკული მოდელი გულისხმობდა სოციალურ სფეროში აქტიურად ჩართულ სახელმწიფო სექტორს, განვითარებულ საზოგადოებრივ სექტორსა და **პასუხისმგებლობის გრძნობის მქონე საზოგადოებას,** რომელსაც ღრმად სწამდა სოციალური კეთილდღეობის დიდი მნიშვნელობა,იგი განიხილებოდა სხვა ქვეყნებისთვის მისაბაძ მაგალითად.

შვედური მოდელისათვის დამახასიათებელი ძლიერი სოციალური პოლიტიკა ითვალისწინებს ქონებრივი უთანასწორობის მკვეთრ შემცირებას, ეკონომიკის სახელმწიფო

რეგულირებას, სახელმწიფო ფინანსების მნიშვნელოვანი ნაწილის გამოყენებას ნაკლებად უზრუნველყოფილი მოსახლეობის სასარგებლოდ, მშპ-ის ხარჯვითი ნაწილის ნახევარზე მეტის გამოყენებას სოციალური მიზნებისათვის, შემოსავლების გადანაწილებას, ძირითადად, დაბეგვრის მაღალი ნორმის საფუძველზე და ა.შ.;

16. ნორდიკული მოდელის მომხიბვლელობა გამოიხატება ქონებრივი უთანასწორობის შედარებით დაბალ დონეში, სოციალური მობილობის მაღალ ხარისხში, გენდერულ ბალანსში, აბსოლუტურ მატერიალურ კეთილდღეობაში და ა.შ.;

17. ნორდიკული მოდელის პოპულარობა სკანდინავიურ ქვეყნებში მოვლენების ცვლილების პარალელურად იცვლებოდა. მაშინ,როდესაც 80-იანი წლების დასაწყისში შვედეთმა,ნორვეგიამ და ფინეთმა მიაღწიეს მოსახლეობის სრულ დასაქმებას,დანარჩენი ევროპა მასობრივ უმუშევრობას ებრძოდა. ნორდიკული მოდელის მაღალი პოპულარობა შემცირდა მაშინ, როდესაც 90-იან წლებში წარმატებულ ქვეყნებში თავი იჩინა უმუშევრობის მაღალმა დონემ,თუმცა, 90-იანი წლების ბოლოს ნორდიკული მოდელის ადრინდელი პოპულარობა ისევ გაიზარდა. აღნიშნულმა ქვეყნებმა ისევ მიაღწიეს სრულ დასაქმებას.

კონტინენტური ევროპის ქვეყნებისაგან განსხვავებით, 90-იან წლებში სკანდინავიური სახელმწიფოების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მახასიათებელი იყო საზოგადოების ხელმისაწვდომობა სხვადასხვა სერვისებისადმი,განსაკუთრებით ჯანდაცვაზე. ნორდიკული მოდელისთვის ნიშანდობლივია სოციალურ პოლიტიკასა და დასაქმების პოლიტიკას შორის მჭიდრო კავშირი, რამაც, თავის მხრივ, გამოიწვია ეკონომიკური პროგრესი. აღსანიშნავია,რომ **მოსახლეობის ასეთი კეთილდღეობა განაპირობა მთელი საზოგადოების**

მაღალმა შრომისუნარიანობამ. ნორდიკული კეთილდღეობა არა იმდენად სახელმწიფოს მიერ გაღებული ხარჯების შედეგია, რამდენადაც საზოგადოების მონდომების საფუძველზე მიღებული უკუგებისა;

18. თანამედროვე პირობებში კეთილდღეობის სახელმწიფოს ნორდიკული მოდელის თვალსაჩინო მაგალითია **გერმანია.** მისთვის გამოკვეთილად ნიშანდობლივია მეწარმეობის ეკონომიკური თავისუფლება,რომელიც გარანტირებულია სახელმწიფოს მხრიდან და **იგი, გარკვეულწილად, საზოგადოებრივი სექტორის ეკონომიკის აქტიურად ფუნქციონირების შედეგია.** საზოგადოებრივი სექტორის სოციალური ორიენტაციის მასშტაბები დამოკიდებულია არა მხოლოდ ქვეყნების ეკონომიკურ შესაძლებლობებზე, არამედ არსებულ ტრადიციებსა და ეკონომიკური პოლიტიკის თავისებურებებზე;

19. გერმანიაში სახელმწიფო ხარჯების გაზრდას,ჯერ კიდევ, I მსოფლიო ომამდე ჰქონდა ადგილი. იგი ომის პერიოდშიც იზრდებოდა,ხოლო ომის შემდგომ წლებში,მართალია, შემცირდა, მაგრამ, მიუხედავად ამისა, არ დაცემულა ომამდელ დონემდე. ასე იყო დიდ ბრიტანეთში,საფრანგეთში, ავსტრიასა და რიგ სხვა ქვეყანაში.

XX საუკუნის შემდგომ პერიოდში საზოგადოებრივი სექტორის წილი მშპ-ში კვლავ იზრდებოდა გერმანიაში და, აქედან გამომდინარე, სოციალური პროგრამების განხორციელებისთვის გაცემული სახელმწიფო ხარჯების წილიც იზრდებოდა. საზოგადოებრივი სექტორის მასშტაბები სულ უფრო ფართოვდბოდა მოსახლეობის ფართო მასების მომსახურებასთან დაკავშირებით. 2008 წლის მსოფლიო ეკონომიკურმა კრიზისმა ნეგატიური გავლენა მოახდინა ნორდიკული ქვეყნების ეკონომიკაზეც, მაგრამ საზოგადოებრივი სექტორის ეკონომიკას არ დაუკარგავს თავისი

მნიშვნელობა და ფუნქციები. ბოლო პერიოდში ამ ქვეყნებში სახელმწიფო სექტორი ზრდის ტენდენციით ხასიათდება;

21. მსოფლიო ეკონომიკის განვითარების თანამედროვე ეტაპზე აქტუალური გახდა კონკურენციის გაძლიერების გლობალური ტენდენციებისა და კონკურენტუნარიანობაზე ორიენტირებული ქვეყნის ახალი პერსპექტივების კვლევა.

ცივილიზებულ სამყაროში საკმაოდ აპრობირებულ თეზას – „კეთილდღეობა კონკურენციის გზით“, მნიშვნელოვნად შეუწყო ხელი ანტიმონოპოლიური კანონმდებლობისა და ანტიმონოპოლიური რეგულირების არსებობამ, რომლებიც აღიარებულია კონკურენციის მიღწევის ერთ-ერთ საუკეთესო საშუალებად;

22. კონკურენტუნარიანობა,როგორც საზოგადოებრივი სექტორის არსებობის გარანტი,განსაზღვრავს თითოეული ქვეყნის ადგილსა და როლს მსოფლიო ეკონომიკაში. ქვეყანა რომ კონკურენტუნარიანი იყოს,მან თავისი პროდუქცია უნდა გაყიდოს საზღვარგარეთ საერთაშორისო საბაზრო ქსელის მეშვეობით. ეს არის დიდი „სათამაშო ველი“, რომელიც თავისებურ კომპასს წარმოადგენს თითოეული ქვეყნისთვის – რა გზას დაადგეს,რომელი დარგები განავითაროს, რა უნდა იყოს მისი ეკონომიკური განვითარების გენერალური სტრატეგია;

23. ბოლო პერიოდში არა მხოლოდ პოსტინდუსტრიულ, არამედ მრავალ ახალინდუსტიულ ქვეყანაშიც **მეცნიერება** განიხილება უმნიშვნელოვანეს ნაციონალურ პრიორიტეტად. ამ ქვეყნებმა თითქმის 2-ჯერ გაზარდეს თავიანთი ინოვაციური პოტენციალი და უახლოვდებიან ევროპული ქვეყნების შესაბამის მაჩვენებელს. მსგავსი ტენდენცია შეიმჩნევა ჩინეთშიც. ინოვაციური ეკონომიკის განვითარების თვალსაზრისით, უდიდეს წარმატებას მიაღწიეს ევრო-

კავშირის ქვეყნებმაც;

24. ინოვაციური პროცესების სტიმულირებაში ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ფაქტორი ვენჩურული დაფინანსების ინსტიტუტები გახდა. ვენჩურული კაპიტალის ფორმირებაში მონაწილოებას იღებენ ბანკები,საპენსიო ფონდები,სადაზღვევო კომპანიები და ა.შ. ამჟამად მსოფლიოში მაღალტექნოლოგიური წარმოებით პირველ ათეულშია ფინეთი, აშშ,შვედეთი,იაპონია,სამხრეთი კორეა,ნიდერლანდი,დიდი ბრიტანეთი,კანადა,ავსტრალია და სინგაპური. მათ მოჰყვება ჩინეთი;

25. XXI საუკუნეში სტრუქტურული გარდაქმნების ბირთვს ინოვაციური ეკონომიკის განვითარება წარმოადგენს. დღეს ეკონომიკის ეფექტიანი ფუნქციონირების საფუძველი მოძველებული ტექნოლოგიების ახლით შეცვლის უწყვეტი პროცესია,რესურსდამზოგველი ტექნოლოგიების განვითარებაა. განსაკუთრებულ ყურადღებას იმსახურებს საინფორმაციო ტექნოლოგიები (IT). მისი განვითარება ეკონომიკური უსაფრთხოების სტრატეგიული მიმართულებაა. ეს პროცესი დიდ გავლენას ახდენს არა მხოლოდ მატერიალური რესურსების,არამედ ინტელექტუალური კაპიტალის ხარისხზე და განაპირობებს ცოდნის ფენომენის წინა პლანზე წამოწევას;

26. მეცნიერების მიღწევებზე დაყრდნობით,ინოვაციების განვითარება დღეს მსოფლიოში ეკონომიკური ზრდის უმნიშვნელოვანეს რესურსად არის აღიარებული. ინოვაციურმა პროგრესმა მძლავრი ბიძგი მისცა ქრეატიული პოტენციალის ყოველმხრივ განვითარებას,ინტელექტუალური საკუთრების დაცვასა და საზოგადოებრივი სექტორის ეფექტიან ფუნქციონირებას;

27. განვითარებული ქვეყნები გამოირჩევიან საერთო კეთილდღეობითა და სოციალური ორიენტაციით, მაგრამ ერთმანეთისგან განსხვავდებიან **„სოციალური ეკონომიკის“**

სიმწიფის ხარისხის მიხედვით. აშშ-ს,რომლისთვისაც დამახასიათებელია მნიშვნელოვანი სოციალური დანახარჯები, აბსოლუტური მაჩვენებლებით ჩამორჩებიან დასავლეთევროპული ქვეყნები,მაგრამ ისინი „სოციალური ეკონომიკის“ სიმწიფის გაცილებით მაღალი დონით ხასიათდებიან,ვიდრე ამერიკის შეერთებული შტატები. დასავლეთ ევროპის ქვეყნების სოციალურ-ეკონომიკური და სამართლებრივი ინსტიტუტები,შემოსავლების გადანაწილებაში უთანაბრობის ხარისხის შემცირებისა და მომსახურების ხელმისაწვდომობის გაზრდის გზით, მიმართულია ჰუმანიზაციის პროცესების გაღრმავების, სამართლიანობისა და სოციალური თანხმობის,მოსახლეობის ძირითადი ნაწილის ცხოვრების დონის ამაღლებისა და საშუალო ფენის გაძლიერებისაკენ;

28. ინტელექტუალური კაპიტალის საუკუნემ, მნიშვნელოვნად შეცვალა კონკურენციისა და კონკურენტუნარიანობის საფუძვლები. თუ უახლოეს წარსულში ქვეყნის კონკურენტუნარიანობის ყველაზე მძლავრ დეტერმინატებს წარმოადგენდა ვალუტის კურსის სიმყარე, ბუნებრივი რესურსები, მენეჯმენტის განვითარების დონე, მასშტაბის ეფექტი და ა.შ., ამჟამად, აქცენტი კონკურენტუნარიანობის სრულიად ახალ წყაროებზე კეთდება, თუმცა, აღნიშნულ დეტერმინატებს, გარკვეული თვალსაზრისით, თავიანთი მნიშვნელობა დღესაც არ დაუკარგავთ. თანამედროვე ეკონომიკაში ახალი სტრატეგიის შექმნა ეყრდნობა ახალ ინოვაციურ სისტემას. განვითარებული ქვეყნების წარმოების მატების 75%-დან 100%-მდე სწორედ ინოვაციების გამოყენებით მიიღწევა;

29. თანამედროვე კონკურენტულ ეკონომიკაში განსაკუთრებულ ყურადღებას იმსახურებს **საკვანძო კომპეტენტურობის თეორია**. იგი ასახავს იმ ახალ ტენდენციებს, რომლებიც ყალიბდება კომპანიაში კოლექტიური ცოდნის

სახით. ურთიერთთანამშრომლობის პრინციპზე აგებული საკვანძო კომპეტენტურობა ეხმარება კომპანიებს არსებული სამეწარმეო თვისებების კოორდინირებასა და განვითარებაში,ინოვაციებზე ორიენტირებული,მუდმივად ცვალებადი ტექნოლოგიური ნაკადების ინტეგრირებაში. დღეს დიდი ყურადღება ექცევა ახალი ორგანიზაციული სტრუქტურების შექმნას. ასეთ ორგანიზაციულ სტრუქტურას წარმოადგენს **„ქრეატიული ქსელი“**. მასში შემავალი კორპორაციები ერთმანეთზეა დამოკიდებული,რომელთა წარ-მატება ურთიერთთანამშრომლობაზეა აგებული. „ქრეატიული ქსელი“ ახდენს მასში შემავალი კომპანიების საქმიანობის კოორდინაციას. დიდი კომპანიები სულ უფრო მეტად აკისრებენ პასუხისმგებლობას მცირე კომპანიებს გადაწყვეტილების მიღებაში. მენეჯმენტში განხორციელებული ეს ახალი მიდგომები სტიმულს აძლევს კომპანიათა ცალკეულ ჯგუფებს სიახლეების დანერგვაში, ახალი პროდუქციის, მომსახურების ახალი სახეობების წარმოებაში და ა.შ.;

30. თანამედროვე საგარეო ვაჭრობაში შეფარდებითი უპირატესობის თეორია ადგილს უთმობს კონკურენტული უპირატესობის თეორიას. მსოფლიო ბაზარზე ქვეყნის კონკურენტულ უპირატესობას განაპირობებს მეცნიერებატევადი და მაღალტექნოლოგიური დარგები. დღეს ყველაზე მომგებიანი ის დარგებია,რომლებიც აწარმოებენ საინფორმაციო ტექნოლოგიებს,კავშირგაბმულობის საშუალებებსა და ტელეკომუნიკაციების მთელ სისტემას. მათ წარმატებას მსოფლიო ბაზარზე განაპირობებს ინოვაციების დანერგვა და არა წარმოებრივი შესაძლებლობების ზრდა,ინტენსიური და არა ექსტენსიური წარმოება.

ქვეყნის კონკურენტუნარიანობის განმსაზღვრელი ეს შედარებით ახალი თეორია აქცენტს ისეთ ფასეულობებზე აკეთებს, როგორიცაა ხარისხი, „ნოუ-ჰაუ“, ბაზრისადმი

ახლებური მიდგომა, ინფორმაციის ყველა დონეზე გაფილტ-ვრა, ახალი დიზაინი, ახალი სახეობის პროდუქციის შექმნა და ა.შ.;

31. მაიკლ პორტერის დაიმონდის მოდელი,როგორც ქვეყ-ნის კონკურენტული უპირატესობის ქვაკუთხედი,აისახება ლოკალური კონკურენტული უპირატესობის ოთხ დეტერ-მინატში, რომლებიც წარმოქმნიან იმ სპეციფიკურ გარემოს, რომელიც ხელს უწყობს კონკურენციის განვითარებასა და ახალი კონკურენტუნარიანი კომპანიების აღმოცენებას. ეს დეტერმინატებია: **1. ფაქტორული პირობები; 2. მოთხოვნის პირობები; 3. ქვეყანაში საერთაშორისო დონეზე ერთმანეთ-თან დაკავშირებული კონკურენტუნარიანი დარგებისა და დამხმარე სფეროების არსებობა; 4. კომპანიის მყარი სტრა-ტეგია, სტრუქტურა და კონკურენტული გარემო.** ეროვნული კონკურენტული უპირატესობის რომბი გავლენას ახდენს კომპანიათა კონკურენტუნარიანობის ისეთ კომპონენტებზე, როგორებიცაა: რესურსების ხელმისაწვდომობა,უნარ-ჩვევების აკუმულირება,უახლესი ინფორმაციის სწრაფი მოპოვების გზით ბაზრის მდგრადი სეგმენტის მოძიება და ა.შ.;

32. ეროვნული კონკურენტული უპირატესობის რომბი ხელს უწყობს კონკურენტულ სფეროებში მაღალტექნოლო-გიური პარკების – **კლასტერების** წარმოშობას. თანამედროვე გლობალურ სამყაროში ქვეყნის კონკურენტუნარიანობა,რო-გორც განვითარებისა და საზოგადოების კეთილდღეობის უმნიშვნელოვანესი ინდიკატორი,განსაზღვრავს თითოეული ქვეყნის ადგილსა და როლს მსოფლიო ეკონომიკაში. მის ამაღლებას დიდად უწყობს ხელს ქვეყანაში საზოგადო-ებრივი სექტორის ეკონომიკის განვითარების დონე და, პირიქით, ამ უკანასკნელის „სიცოცხლისუნარიანობის“ ხარისხი მნიშვნელოვნად არის დამოკიდებული ქვეყნის კონკურენტუნარიანობის დონეზე.

V თავი

ახალი მსოფლიო წესრიგის გავლენა საზოგადოებრივი სექტორის ეკონომიკის განვითარებაზე

ახალი მსოფლიო წესრიგი და სამოქალაქო საზოგადოების ფორმირება. ეკონომიკური წესრიგის პოლიტიკის როლი ეკონომიკის სოციალური ორიენტაციის უზრუნველყოფასა და საზოგადოებრივი სექტორის ეკონომიკის განვითარებაში. საზოგადოებრივ წარმოებაში პროგრესული სტრუქტურული გარდაქმნების გავლენა საზოგადოებრივი სექტორის ეკონომიკის განვითარებაზე. სახელმწიფოს ეკონომიკური როლის გააქტიურება – სოციალურად ორიენტირებული საბაზრო ეკონომიკის გარანტი.

V.1. ახალი მსოფლიო წესრიგი და სამოქალაქო საზოგადოების ფორმირება

ცივილიზაციის განვითარება რთული, მრავალმხრივი და პერმანენტული პროცესია, რომელიც, პროგრესთან ერთად, მრავალ რთულ პრობლემას წარმოქმნის. მათ შორის ერთ-ერთი უმთავრესი ეკონომიკური პრობლემებია. თუ ცხოვრების ეკონომიკური მხარე არ იწვევს დაძაბულობას საზოგადოებაში, მაშინ განვითარებისა და უკონფლიქტო თანაარსებობისათვის გასაქანი ეძლევა მის ყველა სხვა მხარეს – ზნეობრივს, კულტურულს, ეროვნულ-ეთიკურს, საგანმანათლებლოს, სამეცნიერო-ინოვაციურს და ა.შ. მაგრამ, ყოველი ჩავარდნა ეკონომიკაში საზოგადოების ბედსა და მის განვითარებაზე მწვავედ აისახება. თუნდაც ეკონომიკური განვითარების ერთი რგოლი ამოვარდეს, ვექტორი მაშინვე იცვლის თავის მიმართულებას და წარმოიქმნება

სოციალური დიფერენციაცია,კორუფცია,ზნეობრივი დეგრადაცია და ა.შ. ამიტომ, ეს მრავალწახნაგოვანი პროცესი მოითხოვს ადეკვატურ თეორიულ განზოგადებას. მართალია, მოცემული საკითხი განიხილება,როგორც ზოგადსაკაცობრიო ტენდენცია,მაგრამ ყველა მისი ასპექტი აისახება იმ ეროვნული პრობლემების პრიზმაში,რომლებიც არსებობს დღეს ნებისმიერ ქვეყანაში,მათ შორის,საქართველოში და გაგრძლედება მომავალშიც.

XX-XXI საუკუნეთა მიჯნაზე მსოფლიოში ეკონომიკური განვითარების სრულიად ახალი ტენდენციები და კანონზომიერებები წარმოიშვა. საქმე ეხება XX საუკუნის მეორე ნახევრიდან,განსაკუთრებით მისი უკანასკნელი პერიოდიდან ცივილიზებულ ქვეყნებში განვითარებულ მოვლენებს, რომლებმაც წარმოქმნა **ახალი მსოფლიო წესრიგის** დამყარების აუცილებლობა, რაც, თავის მხრივ,სამოქალაქო საზოგადოების მშენებლობის საფუძველი გახდა.

ახალი დრო ყოველთვის წარმოქმნის თავის პრიორიტეტებს. ამ პერიოდის ასეთი პრიორიტეტი სწორედ სამოქალაქო საზოგადოების მშენებლობა გახდა.[1] ეს პროცესი აისახა მსოფლიო სამიტის მიერ დამტკიცებულ ეკონომიკური განვითარების ახალ პროგრამაში – „დღის წესრიგი XXI საუკუნისათვის“, რომელშიც წინა პლანზე დადგა **„ახალი სოციალური საკითხი“** და რომელიც აისახა კიდეც მსოფლიო ეკონომიკური განვითარების ახალ პროგრამაში.[2] პირველ ყოვლისა, იგი ითვალისწინებს **ახალი პოლიტი-**

---

[1] **ასათიანი რ.** ახალი მსოფლიო წესრიგი და სამოქალაქო საზოგადოების მშენებლობა. „მაკრო მიკრო ეკონომიკა“,2003,№4.

[2] **ასათიანი რ.** „ახალი სოციალური საკითხი“ და სიღარიბის წინააღმდეგ ბრძოლა. „შრომები“. II ტომი. საქართველოს ეკონომიკურ მეცნიერებათა აკადემია. თბილისი, გამომცემლობა „სიახლე“,2001,გვ. 60-83.

კური კულტურის დამკვიდრებასა და დემოკრატიის ამაღლებას, რომლის ერთ-ერთი მახასიათებელი და ძირითადი მიმართულება ეკონომიკის სოციალური ორიენტაციის გაძლიერება და მისი საყრდენის – საზოგადოებრივი სექტორის ეკონომიკის განვითარებაა.

მსოფლიოს ეკონომიკურმა განვითარებამ ახალი თვისებრიობა შეიძინა. რომელშიც „პირველი ვიოლინოს“ როლი არა კაპიტალის მფლობელს, არამედ ბაზარს დაეკისრა. ბაზარმა, რომელიც ძალზე შორეულ წარსულში ნამეტი პროდუქტის შექმნით აღმოცენდა და ხანგრძლივი განვითარების გზა განვლო, სრულიად სხვა შინაარსი შეიძინა. იგი აღიარებულ იქნა ცივილიზაციის უდიდეს მონაპოვრად. საბაზრო ურთიერთობებმა, შეიძლება ითქვას „„შტამპი მოხსნა“ კაპიტალიზმს, გაბატონებული კერძო კაპიტალისტური საკუთრებითი ურთიერთობების ნაცვლად, საკუთრების პლურალიზმის დამკვიდრებით. **სწორედ საკუთრებით ურთიერთობებში განხორციელებულმა რადიკალურმა და ამავე დროს, უაღრესად პროგრესულმა ცვლილებებმა, ეკონომიკის სახელმწიფო რეგულირებასთან ერთად, განაპირობა კაცობრიობის მრავალსაუკუნოვანი არსებობის მანძილზე პირველად ბაზრის, როგორც მეურნეობის ეფექტიანი მექანიზმის, ჩამოყალიბება.** ასეთმა ბაზარმა, როგორც კვლავწარმოების მთელი პროცესის მომცველმა ფენომენმა, შრომის მოტივაციის ეფექტიანი სისტემის შექმნით მეწარმეობის განვითარებას ფართო შესაძლებლობები მისცა. მან, ჰორიზონტალური კავშირების გაფართოება-განმტკიცების საფუძველზე, საგრძნობლად გაამარტივა მმართველობის იერარქიული სტრუქტურა, განაპირობა კერძო და საზოგადოებრივი ინტერესების დაახლოება და, საბოლოო ანგარიშით, წარმოქმნა ისეთი ობიექტური კანონზომიერება, რომელმაც გამოხატულება თვისებრივად სრულიად ახალ

ეკონომიკურ ზრდაში პოვა. **კაცობრიობის განვითარების ამ თვისებრივ ნახტომში ყველაზე მნიშვნელოვანი იყო ის, რომ მან სამუშაო ძალას ეკონომიკური თავისუფლება მიანიჭა და ეკონომიკას სოციალური ორიენტაცია შესძინა.** ამ გარემოებამ დასაბამი მისცა საზოგადოებრივ გარდაქმნებს ახალ ამპლუაში და დადებითი გავლენა მოახდინა თანამედროვე საზოგადოების პოტენციალის ზრდაზე. ყურადღება გამახვილდა **ახალი საზოგადოების ფორმირებაზე, ახალ სოციუმზე,** რამაც ხელი შეუწყო საზოგადოებრივი ინტერესების წინა პლანზე წამოწევას,კერძო სექტორის სოციალური პასუხისმგებლობის ამაღლებასა და ჰუმანიზაციის პროცესების გაღრმავებას. კაცობრიობის განვითარების განვლილ პერიოდთან შედარებით,ეს იყო წინგადადგმული ნაბიჯი და ახალი სიტყვა უფრო მაღალი სოციალური და, ამავე დროს, ახალი მსოფლიო წესრიგის დამყარების თვალსაზრისით.

V.2. ეკონომიკური წესრიგის პოლიტიკის როლი ეკონომიკის სოციალური ორიენტაციის უზრუნველყოფასა და საზოგადოებრივი სექტორის ეკონომიკის განვითარებაში

ეკონომიკური წესრიგი ახალი მსოფლიო წესრიგის შემადგენელი ნაწილია, ხოლო ეკონომიკური წესრიგის პოლიტიკა გულისხმობს სახელმწიფოს მიერ კონკურენციის დაცვის პოლიტიკის შეხამებას საზოგადოების სოციალური დაცვის პოლიტიკასთან იმ ჩარჩო-პირობების გათვალისწინებით, რომელთაც ეკონომიკური წესრიგის პოლიტიკა ადგენს. ჩარჩო-პირობებში შედის:

1. ქვეყნის ინსტიტუციური მოწყობა და, პირველ ყოვლისა, წესრიგი საკუთრებით ურთიერთობებში (ინსტიტუციური წესრიგი). მასში იგულისხმება: საკუთრების მრავალფორმიანობის მასშტაბი და საკუთრების პლურალიზმის

ხარისხი, ეროვნული ვალუტის სტაბილურობის დონე, ბიუჯეტის დეფიციტის სიდიდე, სავალუტო რეზერვების ოდენობა, საგადასახადო განაკვეთების დონე, საგადასახადო შედავათების რაოდენობა და მასშტაბები;

2. კონკურენციის დაცვის პირობები და მაკროეკონომიკური რეგულირების პრიორიტეტები (კონკურენციის წესრიგი). მასში იგულისხმება: ანტიმონოპოლიური კანონმდებლობის არსებობა და მისი განვითარების დონე, გადასახადების ლიბერალიზაციის დონე, საკრედიტო განაკვეთების სიდიდე, ბიზნესის თავისუფლების ხარისხი, ეკონომიკურ-სამართლებრივი სისტემის სანდოობის ხარისხი, იმპორტის წილი მშპ-ში, მეცნიერებატევადი პროდუქციის წილი გამოშვებული პროდუქციის მთლიან მოცულობაში, ინვესტიციების, მათ შორის, უცხოური ინვესტიციების წილი ძირითად და საბრუნავ კაპიტალში, ინფლაციის საშუალო წლიური ნორმა, უმუშევრობის დონე, სახელმწიფო ვალის მოცულობა მშპ-თან %-ით, ფარული ეკონომიკის მასშტაბები, საგადასახდელო ბალანსის მდგომარეობა, საერთაშორისო ეკონომიკურ ურთიერთობებში ჩართვის მასშტაბები და ხარისხი, აგრეთვე იმის განსაზღვრა კერძო სექტორი არის თუ არა პოლიტიკური რუპორი მოცემულ ქვეყანაში, ბიზნესის წარმომადგენლები იკავებენ თუ არა ადგილს ხელისუფლებაში და ა.შ.;

3. სოციალური დაცვის პირობები და მაკროეკონომიკური რეგულირება (სოციალური წესრიგი). მასში იგულისხმება: საზოგადოებრივი დოვლათის წარმოების დონე და ხარისხი, მოსახლეობის დაცვა უარყოფითი ექსტერნალიებისგან, ბუნებრივი მონოპოლიების მასშტაბები, სამომხმარებლო კალათის სტრუქტურა, მოსახლეობის იმ ჯგუფის წილი, რომელთა შემოსავალი საარსებო მინიმუმზე

დაბალია,მშპ მოსახლეობის ერთ სულზე,შრომისუნარიანი მოსახლეობის დასაქმების საშუალო წლიური ზრდა,საარსებო მინიმუმის თანაფარდობა პენსიებთან და მინიმალურ ხელფასთან, კომუნალური გადასახადების განაკვეთები, სოციალური დაზღვევის სამართლებრივი ნორმები,არასაბაზრო სექტორის თანაფარდობა საბაზრო სექტორთან,საზოგადოებრივი სექტორის ეკონომიკის განვითარების დონე და ა.შ.

აღნიშნული ჩარჩო-პირობები გამოხატავს მოცემულ ქვეყანაში ეკონომიკური წესრიგის პოლიტიკის განვითარების დონეს და უპასუხებს კითხვას: არსებობს კი იგი რეალურად ქვეყანაში თუ სინამდვილეში არის თვალის დახუჭვისა და მისგან გაქცევის პოლიტიკა?

ბაზარი სოციალური პრობლემების მიმართ არაელასტიკური და დაუნდობელია. თუ იგი თავის ნებაზეა მიშვებული, უთუოდ განაპირობებს უსამართლობასა და სიღატაკეს ქვეყანაში, რაც, საბოლოო ანგარიშით, ბუმერანგივით უბრუნდება თვით მას (ბაზარს), იწვევს სტაგნაციას, რომლის მულტიპლიკაციური ეფექტი მაღალია. ეს აისახება უმუშევრობის ზრდაში, ეკონომიკური ზრდის ტემპების დაცემაში, სოციალურ აფეთქებებსა და ა.შ.

თანამედროვე პირობებში ეკონომიკური წესრიგის პოლიტიკაზე მნიშვნელოვნად არის დამოკიდებული ეკონომიკის მდგრადი განვითარება. ეს უკანასკნელი ქვეყნის კეთილდღეობის დონის ამაღლების გარანტია,რაც უშუალო გავლენას ახდენს საზოგადოებრივი სექტორის ეკონომიკის განვითარების ხარისხზე.

დემოკრატია და სამოქალაქო საზოგადოება ურთიერთდაკავშირებული ფენომენებია. ისინი ერთმანეთს ავსებენ, რაც **ეკონომიკური წესრიგის პოლიტიკითაა განმტკიცებული**. ეს უკანასკნელი მოიცავს ფისკალურ, ფულად-საკრედიტო, სავალუტო, სტრუქტურულ, ინსტი-

ტუციურ, საინვესტიციო, საგარეო-ეკონომიკურ, სოციალურ, მეცნიერულ-ტექნოლოგიურ და ა.შ. პოლიტიკას. იგი უდიდეს გავლენას ახდენს ქვეყანაში არსებულ სამართლებრივ და ინსტიტუციურ მდგომარეობაზე, საზოგადოებაში ადამიანთა ინტეგრირების ხარისხზე,საზოგადოების ფენებად დაყოფის წილობრივ თანაფარდობაზე და ა.შ.[3]

თანამედროვე მსოფლიოში არსებული სოციალურ-ეკონომიკური სიტუაცია განუზომლად ზრდის ეკონომიკური წესრიგის პოლიტიკის მნიშვნელობას. ამიტომაცაა დღეს ეს პრობლემა წინა პლანზე წამოწეული, მყარად დამკვიდრდა საზოგადოების ცხოვრებაში და, შეიძლება ითქვას, უდიდეს გავლენას ახდენს ინსტიტუციური წესრიგის დონესა და ხარისხზე. ეკონომიკური წესრიგის პოლიტიკის მოთხოვნათა გათვალისწინება და სწორად წარმართვა სახელმწიფოს უმნიშვნელოვანესი ფუნქციაა, რაც უშუალო გავლენას ახდენს საზოგადოებრივი სექტორის ეკონომიკის ფუნქციონირებაზე.

საგულისხმოა ერთი მეტად მნიშვნელოვანი გარემოება: ეკონომიკური წესრიგის პოლიტიკის გატარება ორგანულად უკავშირდება სასამართლო სისტემის გამჭვირვალობას. ამასთან, **ეკონომიკური წესრიგის გატარებაში უდიდეს როლს ეროვნული იდეოლოგია ასრულებს, მაგრამ თუ იგი მოსწყდა ეროვნულ ფესვებსა და სარწმუნოებას, რელიგიას, მაშინ ზედმეტია მსჯელობა ეკონომიკურ წესრიგზე, ეკონომიკის სოციალურ ორიენტაციასა და ინსტიტუციურ მოწყობაზე, საბოლოო ანგარიშით კი, საზოგადოებრივი სექტორის ეკონომიკის განვითარებაზე; ხოლო ქვეყანა, რომელიც არ ატარებს ეკონომიკური წესრიგის პოლიტიკას, ვერასდროს განვითარდება და განწირულია ქრონიკული ჩამორჩენილობისათვის, უარყოფით გავლენას ახდენს**

[3] **ასათიანი რ.** ეკონომიკური წესრიგი და დემოკრატიული სისტემა. „საქართველოს ეკონომიკა“,2012,№9.

საზოგადოებრივი სექტორის განვითარებაზე.

V.3. საზოგადოებრივ წარმოებაში პროგრესული სტრუქტურული გარდაქმნების გავლენა საზოგადოებრივი სექტორის ეკონომიკის განვითარებაზე

საზოგადოებრივი სექტორი იმთავითვე რთული ამოცანების წინაშე დადგა. მისი ჩამოყალიბება ითვალისწინებდა ახალი, ამასთან, უფრო **მაღალი სოციალური წესრიგის** დამყარებას. აღნიშნულმა გარემოებამ კიდევ უფრო გაზარდა სახელმწიფოს როლი ეკონომიკაში და, აქედან გამომდინარე, საზოგადოებრივი სექტორის ეკონომიკის ფუნქციონირების მნიშვნელობაც.

ეკონომიკისთვის სოციალური ორიენტაციის მინიჭებით წინა პლანზე საზოგადოებრივი ინტერესები წამოიწია, რაშიც გადამწყვეტ როლს, შეიძლება ითქვას, დირიჟორის როლს, ბუნებრივია, სახელმწიფო ასრულებს. **ამიტომაცაა, რომ ეკონომიკურ ლიტერატურაში საზოგადოებრივი სექტორის ეკონომიკა ზოგჯერ გაიგივებულია სახელმწიფო სექტორის ეკონომიკასთან.**[4]

აღნიშნული თეორიული პარადიგმების პრაქტიკულად განხორციელებამ და ეკონომიკაში მიმდინარე ტენდენციების ასახვამ გაეროს ეროვნულ ანგარიშთა სისტემაში მნიშვნელოვნად შეუწყო ხელი მეცნიერულ-ტექნოლოგიური პროგრესის დაწყებას. თუ ეროვნულ ანგარიშთა სისტემის I ვარიანტში (1953 წ.) მომსახურების დარგებს მოკრძალებული ადგილი ეკავათ, მის II ვარიანტში (1968 წ.) გაცილებით ფართოდ იქნა წარმოდგენილი „სერვისული“ წარმოება, ხოლო 1989 წელს მიღებულ ეროვნულ ანგარიშთა სისტემის III ვარიანტში მომსახურების ეკო-

[4] **Жильцов Е. Н.** Экономика государственного сектора. М., “Изд-во московского университета”, 1995; Экономика государственного сектора. Под ред. **Жильцова Е. Н., Лафея Ж.Д.**, М., 1998 და სხვ.

ნომიკას სოლიდური ადგილი ეჭირა – 17 განყოფილებიდან 5 მოიცავდა მატერიალურ-ნივთობრივი წარმოების სფეროს (რეალურ სექტორს), ხოლო დანარჩენი 12 – მომსახურების სფეროს. 2008 წლიდან დღემდე მოქმედებაშია ეროვნულ ანგარიშთა სისტემის IV ვარიანტი, რომელშიც უდიდესი ადგილი მომსახურების სექტორს, განსაკუთრებული კი – ინფორმაციულ ტექნოლოგიებს უჭირავთ. თუ III ვარიანტში რეალური სექტორი წარმოდგენილი იყო 5 განყოფილებით (1. სოფლის მეურნეობა, სატყეო მეურნეობა და ნადირობა; 2. თევზჭერა; 3. სამთომოპოვებითი მრეწველობა; 4. გადამმუშავებელი მრეწველობა; 5. მშენებლობა), IV ვარიანტში იგი 4 განყოფილებას მოიცავს, მთელი აგრარული სექტორის ერთ განყოფილებად წარმოდგენის საფუძველზე.[5]

ასეთი დაყოფის აუცილებლობა კიდევ უფრო განამტკიცა 80-იანი წლების დასაწყისში განვითარებული ქვეყნების საზოგადოებრივი წარმოებისა და პირადი მოხმარების სტრუქტურაში მატერიალური დოვლათის ინტენსიურმა შემცირებამ და სხვდასხვა სახის მომსახურების წილის გადიდებამ. მომსახურების სფერომ ყველა ძირითადი მაკროეკონომიკური მაჩვენებლით,მათ შორის,დასაქმებულთა რიცხოვნობით, წინ გაუსწრო მატერიალურ-ნივთობრივი წარმოების სფეროს და გადაიქცა ეკონომიკის უმსხვილეს სექტორად. საზოგადოების განვითარებაში მნიშვნელოვანი როლი **სოციალურ ინფრასტრუქტურას** (განათლება,ჯანმრთელობის დაცვა, სავალდებულო სოციალური დაზღვევა,*

[5] მომსახურების ტიპოლოგია საბაზრო ეკონომიკაში დეტალურად იხ. **ასათიანი რ.** მომსახურება და საბაზრო სისტემა. თბილისი, „თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა“, 1993, გვ. 43–54.

* **სავალდებულო სოციალური დაზღვევა,** როგორც წესი,მოიცავს ავადმყოფობის, უბედური შემთხვევისა და უმუშევრობის გამო დაზღვევას, აგრეთვე პენსიებს სამსახურიდან გადადგომასთან

საზოგადოებრივი ტრანსპორტი,სოციალური მომსახურება,* დასვენების ორგანიზაციის სფერო და სხვ.) დაეკისრა. ეკონომიკის რეალურ სექტორზე უშუალო გავლენა მოახდინა და,მისი ეკონომიკური საქმიანობიდან გამომდინარე,მასში მეტ-ნაკლებად აისახა დივერსიფიცირებული სპექტრით წარმოდგენილი მომსახურების სასარგებლო ეფექტი. ამის პარალელურად საწარმოო მოხმარების სტრუქტურაში საგრძნობლად იმატა **წარმოებრივი ინფრასტრუქტურის** წილმაც. ეკონომიკის სახელმწიფო რეგულირების გაძლიერებამ განაპირობა **ინსტიტუციური ინფრასტრუქტურის** განვითარება. ტექნოლოგიურმა ბუმმა აუცილებელი გახადა **ეკოლოგიური ინფრასტრუქტურის** განვითარებაც.

ეკონომიკის „სერვიზაციამ“ მოიცვა ცივილიზებული სამყარო. საბაზრო ურთიერთობების რთულმა სისტემამ, საბაზრო ინფრასტრუქტურასთან ერთად, მოითხოვა **არასაბაზრო ინფრასტრუქტურის განვითარება,** რაც ეკონომიკის ნორმალური ფუნქციონირების მნიშვნელოვანი მახასიათებელი გახდა.

არასაბაზრო ურთიერთობები ჩამოყალიბდა ქვეყნის მაკროეკონომიკური რეგულირების, სახელმწიფო საწარმოე-

---

დაკავშირებით. მასში შეიძლება შევიდეს რისკის უფრო კონკრეტული სახეები, გამოწვეული შემოსავლების დაკარგვით, დროებითი შრომისუუნარობის და ა.შ. გამო.

* **სოციალურ მომსახურებაში** შედის: ბავშვებისა და მოხუცებულებისათვის მომსახურება საცხოვრებლის უზრუნველყოფით (უპატრონო ბავშვთა თავშესაფრები, არასრულწლოვან სამართალდამრღვევთათვის გამოსასწორებელი სახლები, გონებრივი და ფიზიკური ნაკლის მქონე პირთათვის,მარტოხელა დედებისა და მათი შვილებისათვის სახლები), სოციალური მომსახურება საცხოვრებლით უზრუნველყოფის გარეშე (საქველმოქმედო და აღმზრდელობითი საქმიანობა, სტიქიური უბედურებით დაზარალებულთა,ლტოლვილთა,იმიგრანტთა დახმარება და სხვ.).

ბში მტკიცე ფასების დადგენის, სახელმწიფო დაკვეთების შემოღების, მოსახლეობის სოციალურ დაცვასთან დაკავშირებული ღონისძიებების გატარებასთან დაკავშირებით. მომსახურება როგორც საწარმოო, ისე პირადი მოხმარების სწრაფად მზარდი ინგრედიენტი გახდა. მეტიც, **ამ პროცესმა თვისებრივად ახალი ეტაპი შექმნა საზოგადოებრივი სექტორის ეკონომიკის განვითარებაში**, დაიწყო ტრადიციული სოციალური სტრუქტურების არსებითი მოდიფიკაცია. ამ გარემოებამ დადებითი გავლენა მოახდინა თანამედროვე საზოგადოების პოტენციალის ზრდაზე. ჩამოყალიბდა ძლიერი საშუალო ფენა, რომელიც საფუძვლად დაედო ჰუმანიზაციის პროცესების გაღრმავებას. **საზოგადოების სოციალური დაცვა ეკონომიკის სტაბილიზაციის ერთ-ერთ მნიშვნელოვან მიმართულებად იქნა აღიარებული.** მას შეუერთდა ქრისტიანულ მორალსა და ეთიკაზე დაფუძნებული კერძო ქველმოქმედება.

განვითარებულ ქვეყნებში დაიწყო მაღალი მასობრივი მოხმარების ხანა, რაც გამოიხატა იმაში, რომ: ა). მკვეთრად გაიზარდა იმ უმაღლესი ხარისხის საქონლისა და მომსახურების მასობრივი მოხმარება, რომლებიც წინათ ხელმისაწვდომი იყო მხოლოდ მოსახლეობის ძალზე მცირე ნაწილისთვის; ბ). საგრძნობლად შემცირდა სიღარიბე; გ). მოსახლეობის 10%-მა ფუფუნების დონეს მიაღწია, მაშინ როდესაც არც ისე შორეულ წარსულში იგი ხელმისაწვდომი იყო მხოლოდ ეროვნულებისთვის.

საზოგადოებრივი ინტერესების წარმოჩენამ კიდევ უფრო გაზარდა საზოგადოებრივი სექტორის როლი ეკონომიკაში. საზოგადოებრივი ინტერესების რეალიზაციის მხრივ, მისი როლი განსაკუთრებით გაძლიერდა მსოფლიოში 90-იანი წლების დასაწყისში განვითარებული მოვლენების შემდეგ.

V.4. სახელმწიფოს ეკონომიკური როლის გააქტიურება – სოციალურად ორიენტირებული საბაზრო ეკონომიკის გარანტი

ნებისმიერ ეკონომიკურ სისტემაში სახელმწიფო ასრულებს კანონიერების, წესრიგის დაცვის ფუნქციებს, ორგანიზაციას უწევს ფულის მიმოქცევას, ასტაბილურებს გადასახადების აკრეფას, გაჰყავს გზები, აშენებს ხიდებს, სასწავლო, სამედიცინო და კულტურის დაწესებულებებსა და ა.შ. ყველა ამ ღონისძიების განხორციელებაში სახელმწიფოს როლი სხვადასხვა ქვეყანაში განსხვავებულია და დამოკიდებულია ეკონომიკური სისტემის ფუნქციონირების დონეზე.

საბაზრო ეკონომიკაში სახელმწიფო თავისუფალია ისეთი ფუნქციებისაგან, როგორიცაა, მაგალითად, ერთობლივი მოთხოვნის მთლიანად დაკმაყოფილება, მიწოდების რეგულირება და ა.შ. **იგი დაკავებულია ისეთი ფუნქციების შესრულებით, რომლის გარეშეც, თანამედროვე პირობებში საზოგადოებას არ შეუძლია არსებობა, რამდენადაც ამ ფუნქციების შესრულებას გაურბის კერძო სექტორი**. იგი სახელმწიფოს პრეროგატივაა. საბაზრო ეკონომიკისათვის დამახასიათებელი წარმოების კონცენტრაციისა და მონოპოლიზაციისკენ სწრაფვა, რომელიც იწვევს ბუნებრივი რესურსების არარაციონალურ გამოყენებასა და სოციალური პრობლემების გამწვავებას, ზრდის სახელმწიფოსა და საზოგადოებრივი სექტორის როლს ქვეყნის მაკროეკონომიკურ რეგულირებასა და განვითარებაში.

ეკონომიკაში სახელმწიფოს როლის გააქტიურებას განაპირობებს აგრეთვე საერთაშორისო კონკურენციის გაღრმავება, რომელიც ართულებს მსოფლიო ბაზარზე ეროვნული პროდუქციის გასაღებას. რაც უბიძგებს სახელმწიფოს ადგილობრივ მეწარმეებს, დახმარებისა და ბიზნესის დაცვისაკენ უცხოელი კონკურენტების შემოტევებისაგან.

გამომდინარე იქიდან,რომ სამხედრო წარმოების ბევრი ახალი დარგის განვითარება მოითხოვს უდიდეს ხარჯებს, რაც,თავის მხრივ, დაკავშირებულია მაღალ რისკთან,კაპიტალის დანაკარგის თვალსაზრისით,ამიტომ კერძო სექტორი გაურბის თავისი კაპიტალის ამ სფეროში დაბანდებას. ბიზნესმენები თავს არიდებენ იმ რისკის თავიანთ თავზე აღებას. ბუნებრივია, სახელმწიფო იძულებულია იკისროს ეს პასუხისმგებლობა და სახელმწიფო ფინანსებით დაარეგულიროს შექმნილი სიტუაცია. რიგ განვითარებულ ქვეყანაში, მაგალითად აშშ-ში საწარმოთა 10–12%-ს აშენებს სახელმწიფო. აქედან,6% რჩება სახელმწიფო საკუთრებაში, დანარჩენი კი ექსპლოატაციისათვის გადაეცემა კერძო კომპანიებს. გერმანიაში სახელმწიფოს ეკუთვნის მთელი ეროვნული ქონების 1/4,როგორც კაპიტალტევად დარგებში, ისე შერეულ (სახელმწიფო – კერძო) საწარმოებსა და კორპორაციებში. ამდენად,წარმოიქმნება ეკონომიკაში სახელმწიფოს ფართო მასშტაბით ჩარევისა და სახელმწიფო ფინანსების ხარჯვის გაზრდის ობიექტური აუცილებლობა, რაც, ბუნებრივია, ზღუდავს სახელმწიფო ფინანსებსა და ნეგატიურ გავლენას ახდენს საზოგადოებრივი სექტორის ეკონომიკის განვითარებაზე. თუმცა,თანამედროვე პირობებში ამის პარალელურად ინოვაციებისა და ცოდნის საუკუნე ზრდის სახელმწიფო ხარჯებს განათლების სისტემის განვითარებისათვის,სამეცნიერო კვლევების წარმოებისათვის, რაც,რა თქმა უნდა,დადებითად აისახება საზოგადოებრივი სექტორის ეკონომიკის ფუნქციონირების ხარისხზე.

ბაზრის არასრულყოფილებამ, რომელიც წარმოქმნის მწვავე სოციალურ-ეკონომიკურ პრობლემებს, შეიძლება გამოიწვიოს გამოუსწორებელი შედეგები და საშიშროება შეუქმნას სოციალურ ორიენტაციაზე აგებული ეკონომიკური სისტემის ფუნქციონირებას. ამიტომ სახელმწიფოს ჩა-

რევა ამ პროცესებში და სახელმწიფო ფინანსების გამოყენება ბაზრის სტიქიური ძალების აღსაკვეთად გლობალიზაციის მკაცრი მოთხოვნაა.

უახლოეს წარსულში ქვეყნის კონკურენტულ უპირატესობას განსაზღვრავდნენ ისეთი პარამეტრებით, როგორიცაა მდიდარი ბუნებრივი რესურსები, ვალუტის სიმყარე, იაფი სამუშაო ძალის სიჭარბე, ბიუჯეტის მყარი მდგომარეობა, დაბალი საპროცენტო განაკვეთი, მენეჯმენტის განვითარების მაღალი დონე და ა.შ., თუმცა, ამჟამად ეს ფასეულობები, მნიშვნელოვან, მაგრამ არა მთავარ გავლენას ახდენენ ქვეყნის კონკურენტუნარიანობაზე. მსოფლიო პრაქტიკამ არ დაადასტურა ასეთი მიდგომების უტყუარობა, ამ მოსაზრებათა ჭეშმარიტება. ასე რომ იყოს, მაშინ რით შეიძლება აიხსნას იაპონიის ან სამხრეთ კორეის წარმატებები,რომლებიც ბუნებრივი რესურსების მწვავე დეფიციტს განიცდიან, ან ბუნებრივი რესურსებით მდიდარი რუსეთის წარუმატებლობა? ან კიდევ, გერმანია,შვეიცარია და შვედეთი განვითარდნენ სამუშაო ძალის სიმცირის (შესაბამისად, მაღალი ხელფასების) პირობებში,ხოლო აშშ-ში,იაპონიასა და სხვა ქვეყნებში ცხოვრების დონე სწრაფად იზრდებოდა ბიუჯეტის დეფიციტის მიუხედავად.

„ცოდნის საუკუნე“ მნიშვნელოვნად ცვლის ქვეყნის კონკურენტუნარიანობის საფუძვლებს.

ისმება კითხვა: დღეს როგორ ყალიბდება ზოგიერთ ქვეყანაში ისეთი ბიზნესგარემო, რომელიც შესაძლებლობას აძლევს ამ ქვეყნების კომპანიებს სწრაფად დანერგონ სიახლეები და უფრო განვითარდნენ,ვიდრე სხვა ქვეყნების კომპანიები“? საერთაშორისო გამოცდილება გვიჩვენებს,რომ კომპანიებმა და, აქედან გამომდინარე, ქვეყნებმა წარმატებას მსოფლიო ბაზრებზე ერთმანეთისაგან განსხვავებული სტრატეგიებით მიაღწიეს. დღეს ქვეყნები კონკურენტულ უპი-

რატესობას ინოვაციების, ახალი ტექნოლოგიების გზით აღწევენ. ისინი აფუძნებენ ახალ სტანდარტებს,ინვესტიციებს დებენ ცოდნის განახლებაში, ახალი სახეობის პროდუქციის შექმნასა და ა.შ. ყოველივე ეს განაპირობებს სახელმწიფო სექტორში არსებული რესურსების ეფექტიან გამოყენებას.

უკანასკნელ პერიოდში ცივილიზებულ ქვეყნებში განსაკუთრებით გაძლიერდა ყურადღება სახელმწიფო სოციალური დაცვის მიზნობრივი პროგრამების მიმართ. ეს პროგრამები, რომლებიც ითვალისწინებენ უმუშევრობის დაზღვევას, საპენსიო უზრუნველყოფას, დახმარებას, ავადმყოფობის და,წარმოებაში უბედური შემთხვევების გამო, დახმარებას, სამედიცინო დაზღვევას ან უფასო სამედიცინო მომსახურებასა და ა.შ.,[6] მართალია, დიდი ხანია არსებობენ, მაგრამ თანამედროვე პირობებში მათი მასშტაბები საგრძნობლად გაიზარდა.

ყოველივე ეს, საზოგადოების სოციალური დაცვის გაძლიერებისა და XXI საუკუნის პრიორიტეტების განხორციელების საწინდარია. მართალია ასეთი გამოწვევები „აზარალებს“ სახელმწიფო ფინანსებს, მაგრამ ხელს უწყობს საზოგადოებრივი სექტორის ეკონომიკის სწრაფ განვითარებასა და ქვეყნის პროგრესს.

ძირითადი ცნებები

ახალი მსოფლიო წესრიგი. ეკონომიკური წესრიგის პოლიტიკა. ახალი პოლიტიკური კულტურა. ინსტიტუციური წესრიგი. კონკურენციის წესრიგი. სოციალური წესრიგი. ქრეატიული საზოგადოება. ვენჩურული კაპიტალი. ინოვაციური ეკონომიკა.

---

[6] Social Economics. Eds. l. Entvell, **M. Milgate, P. Newman.** London, “Macmillan press”, LTD, 1989. p. 277.

დასკვნა

1. XX საუკუნის მეორე ნახევრიდან ცივილიზებულ ქვეყნებში განვითარებულმა მოვლენებმა წარმოქმნა ახალი მსოფლიო წესრიგის დამყარების აუცილებლობა.

ახალი დრო ყოველთვის წარმოქმნის თავის პრიორიტეტებს. ამ პერიოდის ასეთი პრიორიტეტი სამოქალაქო საზოგადოების მშენებლობა გახდა;

2. მსოფლიო სამიტის მიერ დამტკიცებულ ეკონომიკური განვითარების ახალ პროგრამაში – „დღის წესრიგი XXI საუკუნისათვის“,წინა პლანზე აღმოჩნდა „ახალი სოციალური საკითხი“,რომელიც ითვალისწინებს ახალი პოლიტიკური კულტურის დამყარებას, დემოკრატიის ამაღლებას, ეკონომიკის სოციალური ორიენტაციის გაძლიერებასა და მისი საყრდენის – საზოგადოებრივი სექტორის ეკონომიკის განვითარებას;

3. მსოფლიოს ეკონომიკურმა განვითარებამ ახალი თვისებრიობა შეიძინა. „პირველი ვიოლინოს“ როლი არა კაპიტალის მფლობელს,არამედ ბაზარს დაეკისრა. ბაზარმა სრულიად სხვა შინაარსი შეიძინა. იგი აღიარებულ იქნა ცივილიზაციის უდიდეს მონაპოვრად. საკუთრებით ურთიერთობებში განხორციელებულმა რადიკალურმა და ამავე დროს,უაღრესად პროგრესულმა ცვლილებებმა,ეკონომიკის სახელმწიფო რეგულირებასთან ერთად, განაპირობა კაცობრიობის მრავალსაუკუნოვანი არსებობის მანძილზე პირველად ბაზრის, როგორც მეურნეობის ეფექტიანი მექანიზმის, ჩამოყალიბება. **კაცობრიობის განვითარების ამ თვისებრივ ნახტომში ყველაზე მნიშვნელოვანი იყო ის, რომ მან ეკონომიკას სოციალური ორიენტაცია შესძინა**. ყურადღება გამახვილდა ახალი საზოგადოების ფორმირებაზე, ახალ სოციუმზე, რამაც ხელი შეუწყო საზოგადოებრივი

ინტერესების წინა პლანზე წამოწევას, კერძო სექტორის სოციალური პასუხისმგებლობის ამაღლებასა და ჰუმანიზაციის პროცესების გაღრმავებას;

4. ახალი მსოფლიო წესრიგის შემადგენელი ნაწილია ეკონომიკური წესრიგი, ხოლო ეკონომიკური წესრიგის პოლიტიკა გულისხმობს სახელმწიფოს მიერ კონკურენციის დაცვის პოლიტიკის შეხამებას საზოგადოების სოციალური დაცვის პოლიტიკასთან. ეკონომიკური წესრიგის პოლიტიკაში შედის: 1. ინსტიტუციური წესრიგი; 2. კონკურენციის წესრიგი და 3. სოციალური წესრიგი;

5. ეკონომიკური წესრიგის პოლიტიკაზე მნიშვნელოვნად არის დამოკიდებული ეკონომიკის მდგრადი განვითარება. ეს უკანასკნელი ქვეყნის კეთილდღეობის დონის ამაღლების გარანტია,რაც უშუალო გავლენას ახდენს საზოგადოებრივი სექტორის ეკონომიკის განვითარების ხარისხზე.

ეკონომიკური წესრიგის პოლიტიკა მოიცავს ფისკალურ, ფულად-საკრედიტო, სავალუტო, სტრუქტურულ, ინსტიტუციურ, საინვესტიციო, საგარეო-ეკონომიკურ, სოციალურ, მეცნიერულ-ტექნოლოგიურ და ა.შ. პოლიტიკას;

6. ეკონომიკური წესრიგის გატარებაში უდიდეს როლს ეროვნული იდეოლოგია ასრულებს, მაგრამ თუ იგი მოწყდა ეროვნულ ფესვებსა და სარწმუნოებას, რელიგიას, მაშინ ზედმეტია მსჯელობა ეკონომიკურ წესრიგზე, ეკონომიკის სოციალურ ორიენტაციასა და ინსტიტუციურ მოწყობაზე, საბოლოო ანგარიშით კი, საზოგადოებრივი სექტორის ეკონომიკის განვითარებაზე. ხოლო ქვეყანა, რომელიც არ ატარებს ეკონომიკური წესრიგის პოლიტიკას, ვერასდროს განვითარდება და განწირულია ქრონიკული ჩამორჩენილობისათვის, უარყოფით გავლენას ახდენს საზოგადოებრივი სექტორის ეკონომიკის განვითარებაზე;

7. უკანასკნელ პერიოდში ცივილიზებულ ქვეყნებში განსაკუთრებით გაძლიერდა ყურადღება სახელმწიფო სოციალური დაცვის მიზნობრივი პროგრამების მიმართ. ეს პროგრამები,რომლებიც ითვალისწინებენ უმუშევრობის დაზღვევას, საპენსიო უზრუნველყოფას, ავადმყოფობის გამო დახმარებას,წარმოებაში უბედური შემთხვევის გამო დახმარებას, სამედიცინო დაზღვევას ან უფასო სამედიცინო მომსახურებასა და ა.შ., მართალია, დიდი ხანია არსებობს,მაგრამ თანამედროვე პირობებში მისი მასშტაბები საგრძნობლად გაიზარდა. ყოველივე ეს საზოგადოების სოციალური დაცვის გაძლიერებისა და XXI საუკუნის პრიორიტეტების განხორციელების საწინდარია. მართალია ასეთი გამოწვევები აზარალებს სახელმწიფო ფინანსებს, მაგრამ ხელს უწყობს საზოგადოებრივი სექტორის ეკონომიკის სწრაფ განვითარებას;

8. ინოვაციების,ცოდნისა და ინტელექტუალური კაპიტალის საუკუნე – XXI საუკუნე მნიშვნელოვნად ცვლის ქვეყნის კონკურენტუნარიანობის საფუძვლებს. დღეს ქვეყნები კონკურენტულ უპირატესობას ინოვაციების, ახალი ტექნოლოგიების გზით აღწევენ. ისინი აფუძნებენ ახალ სტანდარტებს,ინვესტიციებს დებენ ცოდნის განახლებაში, ახალი სახეობის პროდუქციის შექმნასა და ა.შ. ყოველივე ეს განაპირობებს სახელმწიფო სექტორში არსებული რესურსების ეფექტიან გამოყენებასა და საზოგადოებრივი სექტორის ეკონომიკის განვითარებას.

VI თავი

ინსტიტუციური რეფორმები – საზოგადოებრივი სექტორის ეკონომიკის ეფექტიანად ფუნქციონირების წანამძღვრები

ინსტიტუციური რეფორმები – ეკონომიკის სისტემური გარდაქმნის წანამძღვარი. ინსტიტუციური რეფორმების ძირითადი მიმართულებების გავლენა საზოგადოებრივი სექტორის ეკონომიკის ფუნქციონირებაზე. საკუთრების განსახელმწიფოებრივება როგორც საზოგადოებრივი სექტორის ეკონომიკის ინსტიტუციური ბაზის ზრდის ფაქტორი.

VI.1. ინსტიტუციური რეფორმები – ეკონომიკის სისტემური გარდაქმნის წანამძღვარი

ეკონომიკის რეალური ტრანსფორმაცია ჯანსაღი ინსტიტუციური გარემოს ჩამოყალიბებით იწყება. მის სწორ წარმართვაზე ბევრად არის დამოკიდებული ეკონომიკური რეფორმების წარმატება თუ წარუმატებლობა, ამასთან დაკავშირებით კი, ეკონომიკის სოციალური ორიენტაციის გაძლიერება და საზოგადოებრივი სექტორის განვითარება.

ინსტიტუციური რეფორმების ეს მრავალმხრივი და ყოვლისმომცველი პროცესი ქვეყნის ეკონომიკური სტრატეგიის მაკროდონეზე გაანალიზებას მოითხოვს. ამასთან დაკავშირებით, ერთმანეთს უპირისპირდება ორი განსხვავებული მეთოდოლოგიური მიდგომა, რომელთაგან ერთი ემყარება ეკონომიკური ინდივიდუალიზმისა და მაქსიმალური ეკონომიკური თავისუფლების,ხოლო მეორე – ეკონომიკური წესრიგისა და ეკონომიკური ზრდის პრიორიტეტებს.

პირველი პოზიცია სათავეს, ჯერ კიდევ, ა. სმითიდან და თავისუფალი კონკურენციის ეპოქიდან იღებს. მისი ამოსავალი პრინციპია ეკონომიკურ ურთიერთობებში ინდივიდუალური სამეწარმეო ინტერესების, როგორც განვითარების მამოძრავებელი ძალის, გაძლიერება და ეკონომიკაში სახელმწიფოს ჩარევის მინიმიზაცია. ამ შემთხვევაში შედეგიანობის შეფასებისათვის გამოიყენება შემდეგი წესი: „ის, რაც ხელსაყრელია ეკონომიკური სუბიექტისთვის (ფირმისთვის,ინდივიდისთვის) ავტომატურად ხელსაყრელია მთელი მაკროსისტემისთვის“. ასეთი მიდგომა ხანგრძლივი დროის განმავლობაში არსებობდა კაპიტალისტური ქვეყნების ეკონომიკურ პოლიტიკაში და განვლო გრძელი,ამასთან,წინააღმდეგობებით სავსე ევოლუციური გზა.

მეორე პოზიცია აქცენტს მაკროსისტემის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების მდგრადობაზე აკეთებს და, გარკვეული თვალსაზრისით, შეუზღუდავი ინდივიდუალიზმის იგნორირებას ახდენს.

როგორც მსოფლიო გამოცდილებიდან ჩანს, შეუზღუდავი ინდივიდუალიზმი ეკონომიკაში ადრე თუ გვიან მაკროსისტემის კრიზისს იწვევს. ამასთან, ეს პრინციპი არაადეკვატურია საბაზრო ეკონომიკისთვის,რომელიც თავისი არსითა და ბუნებით განსხვავდება XX საუკუნის 40-იან წლებამდე დამკვიდრებული კაპიტალისტური ეკონომიკური სისტემისაგან.

თანამედროვე პირობებში მდგრადი და ეფექტიანი ეკონომიკური სტრატეგიის ამოცანების შემუშავებასა და გადაწყვეტაში ყურადღება ეკონომიკურ წესრიგსა და ინკლუზიურ ეკონომიკურ ზრდაზეა გამახვილებული, რომელთა გარეშე შეუძლებელია ინსტიტუციური რეფორმების განხორციელება და საზოგადოებრივი სექტორის ეკონომიკის ნორმალური ფუნქციონირება.

ინსტიტუციური რეფორმების შემუშავებისა და განხორციელების ეს მოთხოვნები განსაკუთრებით გასათვალისწინებელია პოსტკომუნისტური ქვეყნებისთვის (მათ შორის საქართველოსათვის) ძველის ნანგრევებზე ახალი ეკონომიკური სისტემის მშენებლობის პროცესში. სახელმწიფო ფინანსები,როგორც საზოგადოებრივი სექტორის ეკონომიკის ფორმირებისა და ფუნქციონირების ძირითადი წყარო,ახალ ეკონომიკურ სისტემაში სულ სხვა შინაარსს იძენს და დიდ როლს ასრულებს ეკონომიკის სისტემურ გარდაქმნაში. ინსტიტუციური რეფორმები კი,როგორც ახალი ეკონომიკური სისტემის ფორმირების წანამძღვარი და ათვლის წერტილი, უდიდეს გავლენას ახდენს სახელმწიფო ფინანსების სიდიდესა და გამოყენების ეფექტიანობაზე.

VI.2. ინსტიტუციური რეფორმების ძირითადი მიმართულებების გავლენა საზოგადოებრივი სექტორის ეკონომიკის ფუნქციონირებაზე

ინსტიტუციური რეფორმების გატარებისთვის აუცილებელია ჯანსაღი, სამართლებრივი და მარეგულირებელი გარემოს შექმნა. ამის გარეშე ზედმეტია ლაპარაკი საზოგადოებრივი სექტორის სწორი გზით წარმართვასა და მის განვითარებაზე.

ინსტიტუციური რეფორმების ძირითადი მიმართულებებია: **ა). რეფორმის საკანონმდებლო-სამართლებრივი უზრუნველყოფა,** რომელიც, თავის მხრივ, ეკონომიკური სისტემის კონსტიტუციურ უზრუნველყოფასა და შესაბამის კანონთა სისტემის შექმნას გულისხმობს; **ბ). ადმინისტრაციული სტრუქტურებისა და ფუნქციების ტრანსფორმაცია,** რომელიც გულისხმობს სახელმწიფო მმართველობის რადიკალურ შეცვლასა და საბაზრო პრინციპებთან მისადაგებას, სახელმწიფოს მართვის ახალი სტრუქტურების (სასამართ-

ლო სისტემა, ანტიმონოპოლიური სამსახური, ბუნებრივი მონოპოლიების მარეგულირებელი კომისიები,სახელმწიფო ქონების მართვის ორგანო, გარემოს დაცვის სტრუქტურა და ა.შ.) ჩამოყალიბებასა და სხვ.; **გ). საკუთრების დერეგულირება, პირველ რიგში, განსახელმწიფოებრივება და საკუთრების პლურალიზმის დამყარება**. ამ პროცესს თან ახლავს საკუთრების მრავალფორმიანობის დამყარება,მისი თითოეული ფორმის თანაბარი უფლებით,პრივატიზაციის საფუძველზე კერძო საკუთრების ინსტიტუტის დამკვიდრება და მეწარმეობის განვითარება, მცირე, საშუალო და მსხვილი ბიზნესის ფორმირება და ხელშეწყობა,ხელსაყრელი საინვესტიციო გარემოს შექმნა, ფერმერული მეურნეობის ჩამოყალიბება და ა.შ.; **დ). საბაზრო ინფრასტრუქტურის ფორმირება**. საბაზრო ურთიერთობების რთული სისტემა მოითხოვს მის შესაბამის ინფრასტრუქტურას. მასში შედის ცალკეული ბაზრის ფარგლებში მოქმედი სპეციალიზებული ორგანიზაციები: საქონლისა და საფონდო ბირჟები, საფინანსო-საგადასახადო სისტემის შესაბამისი ინსტიტუტები,ბანკები,სადაზღვევო და საინვესტიციო კომპანიები, პროფკავშირთა და პენსიონერთა ფონდები და ა.შ.

საბაზრო ურთიერთობების ფასეულობათა დამკვიდრებისთვის გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს ქვეყანაში დემოკრატიისა და სამოქალაქო საზოგადოების მშენებლობას, შესაბამისად, საზოგადოებრივი სექტორის ეკონომიკის განვითარებას,ისეთი სისტემური ტრანსფორმაციის განხორციელებას,რომელიც განაპირობებს ადამიანის პოლიტიკურ, ეკონომიკურ, კულტურულ, რელიგიურ თავისუფლებას, სოციალური პროგრამების შემუშავებისათვის ხელშეწყობასა და ეკონომიკისათვის სოციალური ორიენტაციის მიცემას, სოციალური სტაბილურობის უზრუნველყოფას, **პოლიტიკურად და ეკონომიკურად სამართლიანი ქვეყნის იმიჯის**

შექმნით ახალ მსოფლიო წესრიგში სათანადო ადგილის დამკვიდრებასა და ა.შ. ყოველივე ეს და ამ გზით სისტემური ტრანსფორმაციის განხორციელება მნიშვნელოვნად უწყობს ხელს საზოგადოებრივი სექტორის ეკონომიკის თანამედროვე მოთხოვნათა დონეზე ფუნქციონირებას, სახელმწიფო ფინანსების მსოფლიოში აპრობირებული მეთოდებით მართვას.

VI.3. საკუთრების განსახელმწიფოებრივება, როგორც საზოგადოებრივი სექტორის ეკონომიკის ინსტიტუციური ბაზის ზრდის ფაქტორი

მსოფლიო გამოცდილებიდან გამომდინარე, საკუთრების განსახელმწიფოებრივება გულისხმობს სახელმწიფო ქონების უსასყიდლოდ გადაცემას ან სხვადასხვა პირობით გაყიდვას როგორც შრომით კოლექტივებზე, ისე კერძო პირებზე, აქციონერებზე, საზღვარგარეთულ ფირმებსა და ა.შ. მისი მიზანია საქონლის ან მომსახურების უშუალო მწარმოებელთა ინტერესის გაძლიერება წარმოების შედეგებით,ეკონომიკურ აგენტებსა და მათი საქმიანობის შედეგებს შორის ახალი კავშირურთიერთობების ჩამოყალიბება და განმტკიცება, ბაზრის პოზიტიური შესაძლებლობების აქტივიზაცია და ა.შ. ეკონომიკის ეფექტიანობის გაზრდაში საკუთრების განსახელმწიფოებრივების წვლილის დასასაბუთებლად არსებობს უამრავი შემთხვევა.

მაგალითად, ნიუ-იორკში ცენტრალურ პარკში საციგურაო ყინულის მოედნის რესტავრაციაზე 1980–1986 წლებში 12 მლნ აშშ დოლარი დაიხარჯა,მაგრამ სასურველი შედეგი არ იქნა მიღწეული. მთავარი პრობლემა იყო ის, რომ კონტრაქტორები ყინულის წარმოებისათვის სრულიად ახალი ტექნოლოგიის გამოგონებას შეეცადნენ, მაგრამ ტექნოლოგიამ არ გაამართლა. იმის გამოსარკვევად, თუ რა არ

კეთდებოდა სწორად, ქალაქის პირველი პირები მიხვდნენ, რომ ყველაფერი თავიდან იყო დასაწყები.

1986 წლის ივნისში უძრავი ქონების დეველოპერი,ამჟამინდელი აშშ-ის პრეზიდენტი **დონალდ ჯ. ტრამპი** შეუდგა პროექტის განხორციელებას და იმავე წლის დეკემბერში დაასრულა იგი დაახლოებით 2,5 მლნ აშშ დოლარად,თანაც დ. ტრამპმა საციგურაო მოედნის მშენებლობა დაგეგმილზე სამი კვირით ადრე დაამთავრა; მეორე მაგალითია: ჩიკაგოში, როდესაც მიტოვებული მანქანების ბუქსირით გამოსაყვანად სახელმწიფო ბრიგადას კერძო ბრიგადები ჩაენაცვლა, წლიური წმინდა დანაზოგი 2,0 მლნ აშშ დოლარი იყო; ან კიდევ,1998 წელს კერძო კომპანიის საკუთრებაში გადავიდა სამხრეთ ფლორიდის სახელმწიფო ფსიქიატრიული კლინიკა, რომელიც საკმაოდ უარყოფითი რეპუტაციით სარგებლობდა, რადგან იქ პაციენტებს ცუდად მკურნალობდნენ. გონებრივად დაავადებულთა ბედით დაინტერესებული ადამიანები შოკირებულნი იყვნენ ამ გადაწყვეტილებით. ერთი წლის შემდეგ ისინიც კი აღიარებდნენ, რომ ჰოსპიტალში მდგომარეობა გაუმჯობესდა. ცოტა ხანში კომპანიამ აღნიშნა, რომ ჰოსპიტალს უკვე მოგება მოჰქონდა.

საკუთრების განსახელმწიფოებრივება, როგორც წესი, ხელს უწყობს მეწარმეობის განვითარებას, უყაირათობისა და კორუფციის დაძლევას. მას ახალი ეკონომიკური სტიმულები შეაქვს შრომით საქმიანობაში, ფართო გასაქანს აძლევს სასაქონლო-ფულად ურთიერთობებსა და ზოგადსაკაცობრიო ფასეულობებს. ასეთ პირობებში არსებითად იცვლება სახელმწიფოს როლი: იგი გვევლინება არა როგორც მესაკუთრე და მეურნეობრივი სუბიექტი, არამედ როგორც ეკონომიკის რეგულატორი. საკუთრების განსახელმწიფოებრივების შედეგად ჩამოყალიბებული ახალი მესაკუთრენი,რომლებიც შეიძლება იყვნენ განკარგვის უფლების

მქონე ინდივიდუალური მეწარმეები, უმცირესი, მცირე, საშუალო ან მსხვილი ფირმების სრული მესაკუთრენი, უნდა აკმაყოფილებდნენ შემდეგ მოთხოვნებს:

1. მეწარმეებს მინიჭებული უნდა ჰქონდეთ მეურნეობრივი დამოუკიდებლობა, რომელიც შეხამებული იქნება სახელმწიფოებრივ ინტერესებთან და, ბუნებრივია, ბაზრის მოთხოვნებთან; 2. მეწარმეებმა სამოქმედო პროგრამა უნდა განსაზღვრონ სახელმწიფო ორგანოების ჩაურევლად; 3. ფასების ფორმირება უნდა მოხდეს მოთხოვნა-მიწოდების საფუძველზე; 4. ბაზარზე უნდა არსებობდეს მიმწოდებლებისა და მომხმარებლების თავისუფალი არჩევანი; 5. სავალდებულო გადასახადების გადახდის შემდეგ მეწარმეს უნდა ჰქონდეს შემოსავლების დამოუკიდებლად გამგებლობის უფლება; 6. საბოლოო შედეგებისათვის უნდა გაძლიერდეს მეწარმის ეკონომიკური (და არა მხოლოდ) პასუხისმგებლობა. **რაც უფრო სრულყოფილად იქნება დაცული ეს პირობები, მით უფრო მეტია, ერთი მხრივ, საბაზრო მექანიზმის მეშვეობით ეკონომიკის სახელმწიფო რეგულირების, ხოლო, მეორე მხრივ, სახელმწიფო ფინანსების დაზოგვით საზოგადოებრივი სექტორის ეკონომიკის განვითარების შესაძლებლობები**.

დასავლეთ ევროპის ქვეყნებისათვის 80-იანი წლებიდან დამახასიათებელია ეკონომიკის რეგულირების პროცესების სწრაფი განვითარება და სახელმწიფო საწარმოთა განსახელმწიფოებრივება, მათ შორის – პრივატიზაცია. მიუხედავად ამისა, ამ ქვეყნებში, აშშ-საგან განსხვავებით, სადაც სახელმწიფო სექტორის წილი მცირეა,დიდ ყურადღებას უთმობენ სახელმწიფო სექტორის შენარჩუნებასა და მისი კონკურენტუნარიანობის ამაღლებას. ამიტომაცაა,რომ დასავლეთ ევროპის ქვეყნებში სახელმწიფო ფინანსების მნიშვნელოვანი ნაწილი ხმარდება სოციალური სფეროს განვითარებასა და ეკონომიკის სოციალური ორიენტაციის ამაღლებას.

დასავლეთ ევროპის ბევრი ქვეყნის ძირითად კაპიტალში სახელმწიფო საკუთრების წილი დაახლოებით 1/3-ს შეადგენს. ამასთან, სახელმწიფო მეწარმეობა გააქტიურებულია სოციალური ინფრასტრუქტურის დარგებში, განსაკუთრებით ჯანდაცვაში, განათლებასა და კულტურაში. მისი მნიშვნელოვანი ნაწილი მოდის კავშირგაბმულობასა და ინფორმაციის ეროვნულ სისტემაზე, ენერგეტიკისა და ტრანსპორტის ზოგიერთ სახეობაზე, ბუნების დაცვის ინსტიტუტებზე, საპოლიციო და სახანძრო სამსახურზე, პენიტენციურ დაწესებულებებზე, აგრეთვე სამხედრო წარმოებაზე, თავდაცვისა და უშიშროებასთან დაკავშირებულ საწარმოებზე და ა.შ. ისინი ფუნქციონირებენ სახელმწიფო ორგანოების პირდაპირი კონტროლით და, ფაქტობრივად, გამოცალკევებულნი არიან საბაზრო ურთიერთობების სფეროდან.

საფრანგეთში სახელმწიფო საწარმოებს განსაკუთრებული როლი განეკუთვნება ძვირადღირებული, მაღალტექნოლოგიური პროგრამების რეალიზაციაში. დიდია სახელმწიფო მეწარმეობის როლი ატომურ ენერგეტიკაში, მაღალი სიჩქარის მატარებლების წარმოებაში, „აერობუსის“, „ევრიკისა“ და „არიანის“ პროგრამების განხორციელებაში. ასევე არ მომხდარა ავიასატრანსპორტო და ავიაკოსმოსური დარგების პრივატიზაცია;

დიდ ბრიტანეთში პრივატიზაციის პოლიტიკამ, რომელიც „ტეტჩერიზმის“ სახელით არის ცნობილი, მკაცრი ფორმა მიიღო. მას,როგორც სახელმწიფო მეწარმეობის შემცირების მიზანდასახულ ღონისძიებათა სისტემას,ფართო სარბიელი მიეცა მ. ტეტჩერის კონსერვატიული მთავრობის მმართველობის პერიოდში,ხოლო შემდეგ იგი ფართოდ გავრცელდა საფრანგეთში, გფრ-ში, იტალიასა და სხვა ქვეყნებში. მათში განვითარება პოვა სახელმწიფო საკუთრების როგორც სრულმა, ისე ნაწილობრივმა გამოსყიდვამ, შერეული (სახ-

ელმწიფო–კერძო) საწარმოების შექმნამ, რამაც იმპულსი მისცა საბაზრო ეკონომიკის განვითარებას;

აშშ-ში შეიმჩნევა სახელმწიფო–აქციონერული (შერეული) კაპიტალის პრივატიზაციის შედარებით სუსტი ტალღა, რაც აიხსნება არა მარტო იმით, რომ ევროპული საზომის მიხედვით, სახელმწიფო სექტორის მასშტაბი ამ ქვეყანაში უმნიშვნელოა, არამედ იმითაც, რომ ბევრი საწარმო, რომელიც ეკონომიკური აუცილებლობის გამო შენარჩუნებულია სახელმწიფო საკუთრებაში,მიმზიდველი არ არის კერძო ბიზნესისათვის.

ამრიგად, მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყანაში საბაზრო სექტორთან ერთად,ფუნქციონირებს არასაბაზრო,საზოგადოებრივი სექტორი,შესაბამისი ეკონომიკური სუბიექტების საკმაო რაოდენობით,რომელთაც აქვთ არასაბაზრო გარემოში ადაპტირების შესაძლებლობები.

ძირითადი ცნებები

ინსტიტუციური რეფორმები. შეუზღუდავი ინდივიდუალიზმი. მაკროსისტემა. საკუთრების დერეგულირება. საკუთრების განსახელმწიფოებრივება. პრივატიზაცია. საბაზრო ინფრასტრუქტურა. სახელმწიფო-აქციონერული კაპიტალი. შერეული საწარმოები.

დასკვნა

1. ეკონომიკის რეალური ტრანსფორმაცია ჯანსაღი ინსტიტუციური გარემოს ჩამოყალიბებით იწყება. მის სწორ წარმართვაზე ბევრად არის დამოკიდებული ეკონომიკური რეფორმების წარმატება თუ წარუმატებლობა, ამასთან დაკავშირებით კი, ეკონომიკის სოციალური ორიენტაციის გაძლიერება და საზოგადოებრივი სექტორის ეკონომიკის განვითარება;

2. თანამედროვე პირობებში მდგრადი და ეფექტიანი ეკონომიკური სტრატეგიის ამოცანების შემუშავებასა და გადაწყვეტაში ყურადღება ეკონომიკურ წესრიგსა და ინკლუზიურ ეკონომიკურ ზრდაზეა გამახვილებული, რომელთა გარეშე შეუძლებელია ინსტიტუციური რეფორმების განხორციელება და საზოგადოებრივი სექტორის ეკონომიკის ნორმალური ფუნქციონირება;

3. სახელმწიფო ფინანსები,როგორც საზოგადოებრივი სექტორის ეკონომიკის ფორმირებისა და ფუნქციონირების ძირითადი წყარო, ახალ ეკონომიკურ სისტემაში სულ სხვა შინაარსს იძენს და დიდ როლს ასრულებს საზოგადოებრივი სექტორის ეკონომიკის განვითარებაში;

4. ინსტიტუციური რეფორმების გატარებისთვის აუცილებელია ჯანსაღი სამართლებრივი და მარეგულირებელი გარემოს შექმნა. ინსტიტუციური რეფორმების ძირითადი მიმართულებებია: ა). რეფორმის საკანონმდებლო-სამართლებრივი უზრუნველყოფა; ბ). ადმინისტრაციული სტრუქტურებისა და ფუნქციების ტრანსფორმაცია; გ). საკუთრების დერეგულირება, პირველ რიგში, განსახელმწიფოებრივება და საკუთრების პლურალიზმის დამყარება; დ). საბაზრო ინფრასტრუქტურის ფორმირება.

ამ გზით სისტემური ტრანსფორმაციის განხორციელება მნიშვნელოვნად უწყობს ხელს საზოგადოებრივი სექტორის ეკონომიკის თანამედროვე მოთხოვნათა დონეზე ფუნქციონირებას, სახელმწიფო ფინანსების მსოფლიოში აპრობირებული მეთოდებით მართვას;

5. საკუთრების განსახელმწიფოებრივება საზოგადოებრივი სექტორის ეკონომიკის ინსტიტუციური ბაზის ფორმირების საფუძველია. მისი მიზანია უშუალო მწარმოებელთა წარმოების შედეგებით ინტერესის გაძლიერება, ეკონომიკურ აგენტებსა და მათი საქმიანობის შედეგებს შორის

ახალი მტკიცე კავშირურთიერთობების ჩამოყალიბება და განმტკიცება, ბაზრის პოზიტიური შესაძლებლობების აქტივიზაცია;

6. საკუთრების განსახელმწიფოებრივების შედეგად ჩამოყალიბებული ახალი მესაკუთრენი უნდა აკმაყოფილებდნენ შემდეგ მოთხოვნებს: 1. მინიჭებული უნდა ჰქონდეთ მეურნეობრივი დამოუკიდებლობა; 2. სამოქმედო პროგრამა უნდა განსაზღვრონ სახელმწიფო ორგანოების ჩაურევლად; 3. ფასების ფორმირება უნდა მოხდეს მოთხოვნა-მიწოდების საფუძველზე; 4. ბაზარზე უნდა არსებობდეს მიმწოდებლებისა და მომხმარებლების თავისუფალი არჩევანი; 5. სავალდებულო გადასახადების გადახდის შემდეგ მეწარმეს უნდა ჰქონდეს შემოსავლების დამოუკიდებლად გამგებლობის უფლება; 6. საბოლოო შედეგებისათვის უნდა გაძლიერდეს მეწარმის ეკონომიკური პასუხისმგებლობა. რაც უფრო სრულყოფილად იქნება დაცული ეს პირობები, მით უფრო მეტია, ერთი მხრივ, საბაზრო მექანიზმის მეშვეობით ეკონომიკის სახელმწიფო რეგულირების, ხოლო, მეორე მხრივ, სახელმწიფო ფინანსების დაზოგვით საზოგადოებრივი სექტორის ეკონომიკის განვითარების შესაძლებლობები;

7. დასავლეთ ევროპის ქვეყნებისათვის 80-იანი წლებიდან დამახასიათებელია ეკონომიკის რეგულირების პროცესების სწრაფი განვითარება და სახელმწიფო საწარმოთა განსახელმწიფოებრივება, მათ შორის – პრივატიზაცია. მიუხედავად ამისა, ამ ქვეყნებში, აშშ-საგან განსხვავებით, სადაც სახელმწიფო სექტორის წილი მცირეა, დიდ ყურადღებას უთმობენ სახელმწიფო სექტორის შენარჩუნებასა და მისი კონკურენტუნარიანობის ამაღლებას.

8. დასავლეთ ევროპის ბევრი ქვეყნის ძირითად კაპიტალში სახელმწიფო საკუთრების წილი დაახლოებით 1/3-ს

შეადგენს. ამასთან, სახელმწიფო მეწარმეობა გააქტიურებულია სოციალური ინფრასტრუქტურის დარგებში, განსაკუთრებით ჯანდაცვაში, განათლებასა და კულტურაში. მისი მნიშვნელოვანი ნაწილი მოდის კავშირგაბმულობასა და ინფორმაციის ეროვნულ სისტემაზე, ენერგეტიკისა და ტრანსპორტის ზოგიერთ სახეობაზე, ბუნების დაცვის ინსტიტუტებზე, საპოლიციო და სახანძრო სამსახურზე, პენიტენციურ დაწესებულებებზე, აგრეთვე სამხედრო წარმოებაზე, თავდაცვისა და უშიშროებასთან დაკავშირებულ საწარმოებზე და ა.შ.;

9. როგორც განვითარებული ქვეყნების გამოცდილებიდან ჩანს, საბაზრო ურთიერთობების ფასეულობათა დამკვიდრებისთვის გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს ქვეყანაში დემოკრატიისა და სამოქალაქო საზოგადოების მშენებლობას, შესაბამისად, საზოგადოებრივი სექტორის ეკონომიკის განვითარებას ეკონომიკური სუბიექტების საკმაო რაოდენობით,ისეთი სისტემური ტრანსფორმაციის განხორციელებას,რომელიც განაპირობებს ადამიანის პოლიტიკურ, ეკონომიკურ, კულტურულ, რელიგიურ თავისუფლებას, სოციალური პროგრამების შემუშავებისათვის ხელშეწყობასა და ეკონომიკისათვის სოციალური ორიენტაციის მიცემას, სოციალური სტაბილურობის უზრუნველყოფას, პოლიტიკურად და ეკონომიკურად სამართლიანი ქვეყნის იმიჯის შექმნით ახალ მსოფლიო წესრიგში სათანადო ადგილის დამკვიდრებას.

VII თავი

საბიუჯეტო-საგადასახადო რეგულირება – საზოგადოებრივი სექტორის ეკონომიკის განვითარების მნიშვნელოვანი მიმართულება

სახელმწიფო ფინანსები – საზოგადოებრივი სექტორის ეკონომიკის ფუნქციონირების ძირითადი წყარო. სახელმწიფო შემოსავლებისა და ხარჯების ოპტიმიზაციის პრობლემა. საგადასახადო სისტემის ძირითადი ფუნქციები და ხარჯები.

საბიუჯეტო-საგადასახადო რეგულირების,როგორც მაკროეკონომიკური რეგულირების ღერძის სწორად წარმართვაზე ბევრად არის დამოკიდებული ქვეყნის განვითარების დონე,მისი სოციალური ორიენტაციის ხარისხი,საზოგადოებრივი სექტორის ეკონომიკის განვითარების მასშტაბები და ა.შ. ამიტომ იგი ეკონომიკის ტრანსფორმაციის პროცესების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი კომპონენტია,რომელშიც, როგორც სარკეში, აირეკლება სხვა სფეროებში წარმოქმნილი პრობლემები.

ფინანსური ურთიერთობების არსს, განვითარების კანონზომიერებებსა და გამოყენების თავისებურებებს ცალკეულ ქვეყნებში განსაზღვრავს არსებული ეკონომიკური სისტემა. ფინანსური ურთიერთობების მარეგულირებელი ინსტიტუტები წარმოგენილია ფინანსური სექტორის სახით, რომელიც აერთიანებს როგორც სახელმწიფო, ისე კერძო საწარმოთა ფინანსურ სისტემებს, აგრეთვე ინვესტირების სისტემას. ფინანსური სექტორი დაკავშირებული ფინანსური რესურსების მიზანდასახულ წარმოქმნას,განაწილებასა

და გამოყენებასთან, მოიცავს, ერთი მხრივ, სახელმწიფო ფინანსებს, ხოლო, მეორე მხრივ, შინამეურნეობებისა და ფირმების ფინანსებს.

*

* *

VII.1. სახელმწიფო ფინანსები – საზოგადოებრივი სექტორის ეკონომიკის ფუნქციონირების ძირითადი წყარო

ქვეყნის ფინანსურ სისტემაში, ასევე, საზოგადოებრივ სექტორში ცენტრალური ადგილი სახელმწიფო ფინანსებს უჭირავს. იგი მოიცავს ცენტრალურ,რეგიონულ და ადგილობრივი ერთეულების ფინანსებს, ხოლო საწარმოთა ფინანსები აერთიანებს მსხვილი, საშუალო და მცირე ფირმების ფინანსებს,აგრეთვე ინსტიტუციური ინვესტირების სისტემას, რომელშიც შედის არასაბიუჯეტო სახელმწიფო ფონდები, ძირითადად: საპენსიო,სოციალური დაზღვევის,სამედიცინო დაზღვევის,აგრეთვე,არასაბიუჯეტო სახელმწიფო ფონდები: მრეწველობის განვითარების,მეცნიერებისა და ტექნოლოგიების განვითარების, საფინანსო, საინვესტიციო ფონდები და ა.შ., ანუ ის იურიდიული პირები, რომლებიც ფლობენ ფულად სახსრებს და ახორციელებენ ინვესტიციებს უძრავ ქონებასა და ფასიან ქაღალდებში.

სახელმწიფო ფინანსების როლი გააქტიურდა XX საუკუნის მეორე ნახევრიდან, განსაკუთრებით, 60-იანი წლებიდან, როდესაც მსოფლიოს მოწინავე ქვეყნებმა განვითარებული ქვეყნის სტატუსი მიიღეს და ჯ. მ. კეინზის მაკროეკონომიკური რეგულირების თეორიის მოთხოვნათა გათვალისწინებით,თავიანთ ეკონომიკურ პოლიტიკაში წინა პლანზე ეკონომიკის სოციალური ორიენტაცია წამოსწიეს. ამ პერიოდიდან სახელმწიფომ დაიწყო მსხვილი ობიექტების გასახელმწიფოებრივების (ნაციონალიზაციის) გზით ფულადი

სახსრების აკუმულირება მნიშვნელოვანი სოციალური და ეკონომიკური პროგრამების განსახორციელებლად.

სახელმწიფო ფინანსები მოიცავს სახელმწიფო ბიუჯეტსა და სახელმწიფო არასაბიუჯეტო ფონდებს. სახელმწიფო ბიუჯეტი, როგორც დროის გარკვეულ პერიოდში სახელმწიფო შემოსავლებისა და ხარჯების ნუსხა,ფინანსური სისტემის ცენტრალიზებული ფონდია. მასში ასახულია სახელმწიფო შემოსავლების წყაროები და სახსრების ხარჯვითი არხები. სახელმწიფო ბიუჯეტს ადგენს მთავრობა, ხოლო ამტკიცებს ქვეყნის უმაღლესი საკანონმდებლო ორგანო.

სახელმწიფო ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილის სიდიდეზეა დამოკიდებული სახელმწიფო ფინანსების ოდენობა და მის ხარჯვით ნაწილზე მნიშვნელოვნად არის დამოკიდებული საზოგადოებრივი სექტორის ეკონომიკის ფუნქციონირება,სოციალური მიზნით მისი გამოყენების ხარისხი და შესაძლებლობები.

სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსავლის ძირითადი წყაროებიდან, პირდაპირი და არაპირდაპირი გადასახადების გარდა,აღსანიშნავია: სახელმწიფო ქონების პრივატიზაციიდან მიღებული შემოსავალი (მიწის გაყიდვიდან მიღებული შემოსავალიც), სახელმწიფო მარაგების რეალიზაციიდან მიღებული შემოსავალი,ადმინისტრაციული გადასახდელები და საჯარიმო სანქციები, სპეციალურ მომსახურებაზე მოსაკრებლები, საგარეო-ეკონომიკური საქმიანობიდან მიღებული შემოსავალი, არარეზიდენტებიდან გადარიცხვები და ა.შ.

სახელმწიფო ფინანსები დაკავშირებულია სახელმწიფო სექტორის მრავალმხრივ ეკონომიკურ საქმიანობასთან. სახელმწიფო ბიუჯეტის გასავლის (ხარჯების) ძირითადი არხებია: სახელმწიფო და ადგილობრივი მმართველობის

ორგანოების ხარჯები, სასამართლო ხელისუფლების ხარ-ჯები, საერთაშორისო საქმიანობასთან დაკავშირებული ხარჯები, ეროვნული თავდაცვის ხარჯები, სახელმწიფო უსაფრთხოების (ეკონომიკური, სასურსათო, ეკოლოგიური) ხარჯები, სამართალდამცავი ორგანოების ხარჯები, მეცნიერებისა და მეცნიერულ-ტექნოლოგიური პროგრესის ხელშეწყობის ხარჯები, სოციალური პროგრამების დაფინანსების ხარჯები, ბუნებრივი რესურსების დაცვის ხარჯები, ინფრასტრუქტურის განვითარების ხარჯები, საგანგებო სიტუაციებისა და სტიქიური უბედურებების შედეგების ლიკვიდაციის ხარჯები, განათლების, ჯანდაცვისა და კულტურის ხარჯები, სახელმწიფო ვალის მომსახურების ხარჯები და ა.შ.

განვითარებული ქვეყნები, იმისათვის, რომ ეკონომიკას მისცენ სოციალური ორიენტაცია და ხელი შეუწყონ საბაზრო ეკონომიკის ფუნქციონირებასა და განვითარებას, საბიუჯეტო ხარჯებში ზრდიან სოციალურ, ჯანდაცვისა და განათლების ხარჯებს, რითაც მნიშვნელოვან როლს ასრულებენ საზოგადოებრივი სექტორის ეკონომიკის განვითარებასა და, აქედან გამომდინარე, საბაზრო ეკონომიკის, როგორც სოციალურად ორიენტირებული ეკონომიკის, სოციალურ ეკონომიკაში ევოლუციური გზით გადაზრდაში. ამასთან დაკავშირებით, უკანასკნელ პერიოდში განვითარებულ ქვეყნებში დიდი მნიშვნელობა შეიძინა სახელმწიფო ხარჯებისა და შედეგების ანალიზმა და კონტროლმა.

სახელმწიფო არასაბიუჯეტო ფონდები სახელმწიფო ფინანსების შემადგენელი ნაწილია, ფულადი სახსრების ფონდია, რომელიც იქმნება სხვადასხვა დონის სახელმწიფო ხელისუფლების ან ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების გადაწყვეტილებით. არასაბიუჯეტო ფონდებს

აქვთ მიზნობრივი დანიშნულება. ამ ფონდების ფორმირება ხდება სპეციალური (მიზნობრივი) გადასახადებით, სესხებით, სუბსიდიებით ბიუჯეტიდან და ა.შ.

არასაბიუჯეტო ფონდები იყოფა სოციალურ და ეკონომიკურ ფონდებად. **სოციალურს** მიეკუთვნება: საპენსიო ფონდი, სოციალური დაზღვევის ფონდი, სავალდებულო სამედიცინო დაზღვევის ფონდი და სხვ. **ეკონომიკურს** მიეკუთვნება: საბიუჯეტო-საგადასახადო (ფინანსური) რეგულირების ფონდი,სამეცნიერო-კვლევითი და საცდელ-საკონსტრუქტორო დამუშავების დარგობრივი და დარგთაშორისი ფონდი.

არასაბიუჯეტო სოციალური ფონდი თანამედროვე ეკონომიკაში ასრულებს მნიშვნელოვან სოციალურ ფუნქციებს. მის ხარჯზე ხდება სახელმწიფო პენსიებისა და დახმარებების გაცემა,მასში შედის სოციალური დაზღვევის ყველა სახეობა და ა.შ. **სოციალური დაზღვევის ფონდი** იქმნება დროებით შრომისუნარმოკლებულთა დასახმარებლად, ფეხმძიმობისა და ბავშვის დაბადების ხარჯების დასაფინანსებლად,ბავშვების მოვლის,მოქალაქეთა სანატორიულ-საკურორტო მკურნალობისათვის და ა.შ.

VII.2. სახელმწიფო შემოსავლებისა და ხარჯების ოპტიმიზაციის პრობლემა

სახელმწიფო ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილის შესრულებაში დიდი მნიშვნელობა სწორი,ქვეყნის ეკონომიკისათვის ადეკვატური საგადასახადო პოლიტიკის გატარებას ენიჭება. იგი მაკროეკონომიკური რეგულირების მნიშვნელოვანი მიმართულების – ფისკალური რეგულირების შემადგენელი ნაწილი და მთავარი ბერკეტია. გადასახადებთან მჭიდროდ არის დაკავშირებული ყველა დღევანდელი მწვავე პრობლემა – უმუშევრობა, ინფლაცია, ბიუჯეტის

დეფიციტი, სიღარიბე, ბიზნესის სამთავრობო რეგულირება, გარემოს გაჭუჭყიანებაც კი და ა.შ. აქედან გამომდინარე, გადასახადები უდიდეს გავლენას ახდენს საზოგადოებრივი სექტორის ეკონომიკის რეგულირებაზე. სოციალურ-ეკონომიკურ პრობლემებს, შეიძლება ითქვას, ფესვები გადასახადებში აქვთ გართხმული.

საგადასახადო პოლიტიკა, რომელიც საბიუჯეტოსთან ერთად, ფისკალურ პოლიტიკას ქმნის, ქვეყნის ეკონომიკური პოლიტიკის განუყოფელი ნაწილი და საგადასახადო რეგულირების საფუძველია. ეს კონცეფცია დღეს საყოველთაოდაა აღიარებული, მაგრამ ეროვნული ეკონომიკის შესაბამისი და პერსპექტივის მქონე საგადასახადო პოლიტიკის შერჩევა ერთ-ერთი ურთულესი საკითხია. ამ პრობლემის მოგვარება სახელმწიფოებრიობის განმტკიცების უმნიშვნელოვანესი პრობლემაა. ცნობილი ჭეშმარიტებაა: **ჯანსაღი საგადასახადო სისტემის შექმნა (ე.ი. ისეთი საგადასახადო სისტემის შექმნა, რომელიც, ფისკალურთან ერთად, მარეგულირებელ და მასტიმულირებელ ფუნქციებს შეასრულებს) ჯანსაღი საბაზრო ურთიერთობების ჩამოყალიბების საწინდარია.** ამ საქმეში გადასახადებს სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის ფუნქცია აკისრიათ.

მიუხედავად იმისა, რომ საგადასახადო პრაქტიკას ხანგრძლივი ისტორია აქვს, დაბეგვრის თეორია მხოლოდ XVIII საუკუნეში წარმოიშვა. აქედან მოყოლებული იგი „დუღილს“ განიცდის და დღესაც ნელ-ნელა იწმინდება.

ქვეყნის ეკონომიკაში გადასახადების განსაკუთრებულ როლს მსოფლიოში ცნობილი ისეთი ეკონომისტებიც ამტკიცებენ, როგორებიც არიან ა. სმითი (ინგლისი), რ. ფრიში (ნორვეგია), ა. პიგუ (ინგლისი), ი. შუმპეტერი (გერმანია), ი. ბინბერგენი (ნიდერლანდი), უ. ბევერიჯი (ინგლისი), კ. ლანდაუერი, უ. მიჩელი (აშშ) და ა.შ.

სახელმწიფოს წარმოშობიდანვე გადასახადები ეკონომიკის მოწყობის აუცილებელ რგოლს წარმოადგენდა. ბიბლიაში ნათქვამია, რომ მოსავლის 1/10 უნდა დარჩეს გადანაწილებისა და საეკლესიო მრევლისათვის. მართლაც, თავდაპირველად გადასახადები შემოსავლის 10%-ს შეადგენდა. ეკონომიკური სისტემების განვითარების კვალობაზე იცვლებოდა საგადასახადო სისტემაც. „დაბეგვრის თეორიის“ ევოლუცია ეკონომიკური აზრის განვითარების პარალელურად მიმდინარეობდა.

ა. სმითმა პირველმა შექმნა დაბეგვრის თეორია. მისი აზრით, „გადასახადი, რომლის გადახდაც ყველასათვის სავალდებულოა,უნდა განისაზღვროს ზუსტად და არა თვითნებურად... **საგადასახადო ტვირთის შემცირებით სახელმწიფო მეტს მოიგებს, ვიდრე მისი გაზრდით** (ხაზგასმა ჩვენია – რ.ა.) ამასთან,გადამხდელები თავისუფლად შეძლებენ გადახდას,რაც სახელმწიფოს გაათავისუფლებს გადასახადების აკრეფასთან დაკავშირებული დამატებითი ხარჯებისაგან.“[1]

მაშინ, როდესაც კლასიკური ეკონომიკური თეორია გადასახადებს მიიჩნევს წმინდა ფისკალურ იარაღად, **კეინზიანური თეორია ინვესტიციების მოზიდვასა და ეკონომიკის სოციალური ორიენტაციის გაზრდაში განსაკუთრებულ როლს გადასახადებს ანიჭებს.** კეინზიანელების აზრით,გადასახადები გამოყენებული უნდა იქნეს ინფლაციისა და უმუშევრობის წინააღმდეგ, უნდა შეასრულოს „ჩაშენებული სტაბილიზატორის როლი“ და ამით ხელი შეუწყოს ეკონომიკის მდგრად განვითარებას.

ნეოკლასიკური თეორიის ძირითადი იდეა კორპორაციებისათვის საგადასახადო შეღავათების დაწესებასა და

[1] **სმითი ა.** გამოკვლევა ხალხთა სიმდიდრის ბუნებისა და მიზეზების შესახებ. თარგმანი ინგლისურიდან **ფ. გოგიჩაიშვილის** მიერ. თბილისი, 1938, გვ. 588–589.

სამომხმარებლო მოთხოვნის ხელშეწყობაში მდგომარეობს. ნეოკლასიკოსების აზრით,მაღალი გადასახადები აფერხებენ სამეწარმეო ინიციატივას,ამუხრუჭებენ საინვესტიციო პოლიტიკასა და ამდენად,ხელს უშლიან ბაზრის ნორმალურ ფუნქციონირებას. ამასთან,საგადასახადო განაკვეთები არ უნდა იყოს მინიმალური. წინააღმდეგ შემთხვევაში დაირღვევა ბიუჯეტის მოთხოვნა და გადასახადები შეწყვეტენ ეკონომიკური რეგულატორის ფუნქციის შესრულებას.

XX საუკუნის 20-იან წლებში კემბრიჯის სკოლის თვალსაჩინო წარმომადგენელმა არტურ პიგუმ თავის ნაშრომში „სახალხო ფინანსები“ განავითარა აზრი იმის შესახებ, რომ **კონფისკატორული დაბეგვრა არაეფექტიანია და სწორმა საგადასახადო პოლიტიკამ შუალედური გზა უნდა იპოვოს**. მისი აზრით, გადასახადებმა რიგითი მოქალაქის კეთილდღეობა მინიმალურად უნდა დააზარალოს. იოზეფ შუმპეტერი 1918 წელს გამოქვეყნებულ ნაშრომში – „სახელმწიფო გადასახადების კრიზისი“ – ხაზგასმით აყალიბებს აზრს იმის შესახებ, რომ **გადასახადებით სახელმწიფო შეიძლება შეეჯახოს ისტორიულ ბარიერს და დაინგრეს**.

XX საუკურის 80-იან წლებში მიწოდების თეორია აშშ-ში განავითარეს მ. ბერნსონმა, ა. ლაფერმა, მ. უეიდენბაუმმა, გ. სტაინომმა და სხვებმა. მათი მსჯელობა ეყრდნობა ზღვრული საგადასახადო განაკვეთების რადიკალური შემცირების იდეას. ეკონომისტებისათვის კარგად ცნობილი „ლაფერის მრუდი“ ამ იდეის ილუსტრირების ნათელი მაგალითია. ა. ლაფერის აზრით, „რაც უფრო მაღალია ზღვრული საგადასახადო განაკვეთები,მით უფრო ძლიერია გადამხდელთათვის თავის არიდების წამქეზებელი მოტივი... ადამიანები იმისათვის კი არ მუშაობენ, რომ გადასახადები იხადონ. გადასახადების გამოქვითვით წმინდა შემოსავალი განსაზ-

ღვრავს კონკრეტული პიროვნება მუშაობს თუ „პლაჟზე ზის“.[2]

ნეოკლასიკოსების მტკიცებით,ბიუჯეტში საგადასახადო შენატანების ზღვრული განაკვეთი 30%-ია, რომლის ფარგლებშიც ბიუჯეტი იზრდება. გადასახადებით შემოსავლის 40–50%-ის ამაღლებისას,როდესაც საგადასახადო განაკვეთი „აკრძალულ ზონაში“ მოხვდება,მოსახლეობის დანაზოგი მცირდება, რაც ახშობს ინვესტირებისადმი ინტერესს და ამცირებს საგადასახადო შენატანებს. მართალია, გადასახადების გაზრდა, ერთი მხრივ, ბიუჯეტის დეფიციტის შემცირების ან დაძლევის ყველაზე მარტივი გზაა,მაგრამ,მეორე მხრივ,**მზარდი გადასახადები მხოლოდ აღრმავებს დეფიციტს. გადასახადების მაღალი პროცენტი ასოცირდება დიდ დეფიციტთან, უმუშევრობის დონის ზრდასა და მოულოდნელ ინფლაციასთან.**

გადასახადების ფისკალური ფუნქციით ძირითადად ფორმირდება სახელმწიფო ფინანსები, რომელიც საზოგადოებრივი სექტორის ეკონომიკის ფუნქციონირების ძირითადი წყაროა. ფისკალური ფუნქციით ხდება მშპ-ის მნიშვნელოვანი ნაწილის ფულადი ფორმით გასახელმწიფოებრივება.

საგადასახადო ტვირთის დონეს,პირველ ყოვლისა,სახელმწიფო ხარჯების სიდიდე განსაზღვრავს. 1995 წლის მონაცემებით,განვითარებულ ქვეყნებში სახელმწიფო ხარჯების საგადასახადო დაფარვის კოეფიციენტით პირველ ადგილზე იყო აშშ (82,8%), მეორეზე – გერმანია (79,4%), მესამეზე – დიდი ბრიტანეთი (77,2%), შემდეგ – იაპონია (75,7%), საფრანგეთი (73,1%) და ა.შ.[3]

---

[2] ციტირებულია შემდეგი ნაშრომის: Налоговые реформы 80-ых годов в США. М., 1995, с. 9-12 მიხედვით.

[3] **Стиглиц Дж. Ю.** Экономика государственного сектора. Перевод с английского. М., “Издательство московского университета”, 1997, с. 387.

ამრიგად, გადასახადებზე დიდად არის დამოკიდებული არა მხოლოდ ქვეყნის ეკონომიკა,არამედ საზოგადოებრივი ყოფიერებაც. ძნელია იპოვო ადამიანი, რომელსაც არ აწუხებდეს ეს პრობლემა – საგადასახადო ტვირთთან დაკავშირებით წარმოქმნილი დილემა. ნებისმიერი სამეურნეო სუბიექტი, ეს იქნება სახელმწიფო, ფირმა თუ შინამეურნეობა, უხილავი თუ ხილული ძაფებითაა დაკავშირებული გადასახადებთან.

გადასახადებით რეგულირება არა მხოლოდ საზოგადოების ჰარმონიული განვითარების, არამედ ეკონომიკის სტაბილიზაციის უმნიშვნელოვანესი ბერკეტია. მისი სწორად წარმართვა საქმიანი აქტიურობის გამოცოცხლებისა და სამამულო წარმოების არა მხოლოდ გაზრდის, არამედ მისი კონკურენტუნარიანობის ამაღლების საწინდარია.

„რეიგანომიკის“ ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი მახასიათებელი სწორედ გადასახადების ლიბერალიზაცია და ფისკალური პოლიტიკის კონსერვატიული მიმართულებით შემობრუნება იყო.

ეფექტიანია ის საგადასახადო სისტემა, რომელიც იძლევა გადასახადის გადამხდელთა ხარჯების მინიმიზაციისა და ეკონომიკის სტიმულირების გაზრდის საშუალებას. საგადასახადო პოლიტიკა ისე უნდა იყოს აგებული, რომ წაახალისოს ფირმები წარმოებაში დანაზოგის დასაბანდებლად,რაც,თავის მხრივ,ერთობლივი ინვესტიციების ზრდას განაპირობებს.

ქვეყნის სიცოცხლისუნარიანობის დონეს განსაზღვრავს მისი უნარი,აწარმოოს საქონელი და მომსახურება,რომელიც, თავის მხრივ, მნიშვნელოვნადაა დამოკიდებული დანაზოგისა და ინვესტიციების დონეზე.

დანაზოგის დონესა და ეკონომიკური კეთილდღეობის მაჩვენებლებს შორის მჭიდრო ურთიერკავშირია. დანაზო-

გის მაღალი დონე საინვესტიციო რესურსების გადიდებას, შრომის მწარმოებლურობისა და,აქედან გამომდინარე,შემოსავლების ზრდას განაპირობებს. თუ კანონმდებლობა მიმართულია ქვეყანაში დანაზოგის სტიმულირებისაკენ, ბუნებრივია,მოსახლეობა თავისი შემოსავლის მნიშვნელოვან ნაწილს გამოიყენებს დაგროვებისთვის,რაც,საბოლოო ანგარიშით,უზრუნველყოფს ცხოვრების დონის ამაღლებას.

სოციალური სამართლიანობის პრინციპი საგადასახადო სისტემის აგების ერთ-ერთი ცენტრალური პრინციპია.

ცნობილია, რომ ლუდვიგ ერჰარდის პოლიტიკაში მთავარი სწორედ გადასახადების შემცირება იყო. ომით გაპარტახებულმა გერმანიამ ამ გზით ბიუჯეტში სამჯერ მეტი შემოსავალი მიიღო. პრეზიდენტ ჯონსონის აზრით, გადასახადების შემცირება ყველაზე მნიშვნელოვანი და ისტორიული ნაბიჯი იყო,რომელიც აშშ-მა გადადგა მეორე მსოფლიო ომის შემდეგ ეკონომიკის განმტკიცებისათვის. **მაშინ, როდესაც ბიუჯეტის მნიშვნელოვანი დეფიციტი იყო, პრეზიდენტი და კონგრესი ამცირებდნენ გადასახადებს 11,5 მლრდ დოლარით წელიწადში.** რეიგანის ადმინისტრაციამ ახალ დარგებში შეამცირა გადასახადი ინვესტიციებიდან შემოსავლებზე,რამაც გაზარდა წარმოებაში კაპიტალდაბანდებაც და შრომის მწარმოებლურობაც. **აშშ-ში 1974 წლიდან მოქმედებს კანონი საგადასახადო შეღავათების იმ კომპანიებზე მიცემის შესახებ, რომლებიც აქციებს ანაწილებენ მუშებს შორის.** ამისათვის კომპანიები ქმნიან მოგებიდან ანარიცხების ფონდს, რომლის სახსრებიც ხმარდება მუშების მიერ აქციების გამოსყიდვას. რა თქმა უნდა, მათ საკუთრებაში აქციების საკონტროლო პაკეტი არ გადადის, მაგრამ მუშები რეალურად ერთვებიან საწარმოს მართვაში და ღებულობენ

მოგების ნაწილს დივიდენდების სახით.

საზღვარგარეთული გამოცდილებიდან ჩანს,რომ საგადასახადო შეღავათები ფართოდ გამოიყენება საწარმოების ახალ პირობებთან შეგუებისა (მათ „ადაპტაციური“ შეღავათები ეწოდებათ) და სტიმულირებისათვის. განვითარებულ ქვეყნებში ეს შეღავათები განსაკუთრებით გამოიყენება სოფლის მეურნეობის განვითარებისათვის, ენერგომატარებლების წარმოებაში,მეცნიერულ-ტექნოლოგიური პროცესების დაჩქარებასა და ა.შ.

აშშ-ში საგადასახადო კანონმდებლობა ნებას რთავს ფირმებს,თავიანთი შეწირულობანი გამოაკლონ დასაბეგრი მოგების თანხას.

ცივილიზებულ მსოფლიოში ფართოდ არის აპრობირებული მცირე საწარმოების განთავისუფლება მოგების გადასახადისაგან შესაბამისი ბიზნეს-გეგმის წარდგენისა და ანალიზის საფუძველზე, აგრეთვე მათთვის დაბეგვრის ერთიანი სისტემის შემოღება,როდესაც გადასახადის განაკვეთის ზღვრული სიდიდე არ აღემატება მთლიანი შემოსავლების 20%-ს. ამასთან,ამ ერთიანი გადასახადის 70% (ანუ განაკვეთის 14%) რჩებათ ტერიტორიულ ბიუჯეტებს,ხოლო 30% (ანუ განაკვეთის 6%) გადადის ცენტრალურ ბიუჯეტში.

ამრიგად,**მსოფლიოში ფართოდაა აპრობირებული საბიუჯეტო–საგადასახადო რეგულირებით მეწარმეობის განვითარების სტიმულები, რაც, თავის მხრივ, განაპირობებს სახელმწიფო ფინანსების ოპტიმიზაციასა და საზოგადოებრივი სექტორის ეკონომიკის განვითარებას**.

შეხედულება იმის შესახებ,რომ სახელმწიფო ხარჯები არ უნდა იყოს **მშპ**-ის 40%-ზე ნაკლები, აპრობირებულია განვითარებულ ქვეყნებში. ამ იდეის ავტორი მილთონ ფრიდმენია. სახელმწიფო ხარჯების დონის განსაზღვრი-

სადმი ასეთი ემპირიული მიდგომა ეფუძნება სახელმწიფო ხარჯების მიზანმიმართულ გამოყენებას ეკონომიკური ზრდის სფეროში მაკროეკონომიკური ამოცანების გადასაჭრელად. ამასთან, იმის გათვალისწინებით, რომ ყოველ ქვეყანას, თავისი თავისებურებებიდან გამომდინარე, აქვს საკუთარი პრობლემები საბიუჯეტო-საგადასახადო,ფულად-საკრედიტო,საზოგადოებრივი სექტორისა და ა.შ. სფეროებში,სახელმწიფო ხარჯების მისაღები დონე გრძელვადიან პერიოდში სპეციფიკურია ცალკეული ქვეყნისათვის.

თუ სახელმწიფო ხარჯები დაუსაბუთებლად იზრდება, მაშინ იგი დესტაბილიზაციის ფაქტორად იქცევა, მაგრამ თუ სახელმწიფო ხარჯებისაგან უკუგება მაღალია, მაშინ საკითხი იმის შესახებ, რამდენად მისაღებია ამ ხარჯების არსებული დონე, არ ექვემდებარება განხილვას. მაგრამ როგორ უნდა ანაზღაურდეს ეს ხარჯები – ერთ-ერთი მნიშვნელოვანი საკითხია და ძირითადად ორი გზით წყდება: პირველ შემთხვევაში ყურადღება მახვილდება გადასახადების გაზრდაზე ან სახელმწიფო ხარჯების შემცირებაზე,ხოლო მეორე შემთხვევაში ბიუჯეტის დეფიციტი იფარება ფულის ემისიით, საგარეო და საშინაო სესხებით (აგრეთვე, გრანტებით).

ფულის ემისია ორგანულად უკავშირდება ქვეყნის **მშპ**-ის საერთო მოცულობას. მისი ზღვარსგადასული ზრდა იწვევს ფასების დონის ზრდასა და წარმოქმნის ინფლაციურ გადასახადს. საგარეო სესხების აღებაც უკავშირდება დაბეგვრას,ოღონდ იგი გარკვეული დროითაა გადავადებული და წინა პლანზე სახელმწიფოს გადახდისუნარიანობის საკითხს აყენებს. ამ უკანასკნელს კი,როგორც ცნობილია, განსაზღვრავს ქვეყნის წარმოებრივი პოტენციალი.

VII.3. საგადასახადო სისტემის ძირითადი პრინციპები და ხარჯები

რა ფუნქციები უნდა შეასრულოს გადასახადებმა,რომ ერთდროულად ხელი შეუწყოს როგორც საზოგადოებრივი სექტორის ეკონომიკის განვითარებას, ისე ერთობლივი მოთხოვნის ზრდას?

„კარგი“ გადასახადების დახასიათებისათვის ეკონომიკურ ლიტერატურაში გამოყოფენ ხუთ ძირითად ფუნქციას, რომლებიც ფაქტობრივად ავსებენ წინა პარაგრაფში განხილულ საგადასახადო სისტემას. ეს პრინციპებია:

1. ეკონომიკური ეფექტიანობა: საგადასახადო სისტემამ ხელი არ უნდა შეუშალოს რესურსების ეფექტიან განაწილებას;

2. ადმინისტრაციული სიმარტივე: საგადასახადო სისტემა უნდა იყოს მარტივი და ყველა გადამხდელისთვის გასაგები;

3. მოქნილობა: საგადასახადო სისტემამ სწრაფი რეაგირება უნდა მოახდინოს ეკონომიკური პროცესების ცვლილებებზე;

4. პოლიტიკური პასუხისმგებლობა: საგადასახადო სისტემა იმგვარად უნდა იყოს აგებული,რომ მოსახლეობა დარწმუნდეს მის სისწორეში და ობიექტურობაში,რაც პოზიტიურ გავლენას მოახდენს გადასახადის გადამხდელთა ფართო კორპუსზე;

5. სამართლიანობა: საგადასახადო სისტემა უნდა იყოს სამართლიანი ყველა ეკონომიკური სუბიექტის მიმართ.[4]

აღნიშნული ფუნქციების საფუძველზე შექმნილი საგადასახადო სისტემა გადასახადებს გაცილებით მობილურს

[4] **Стиглиц Дж. Ю.** Экономика государственного сектора. Перевод с английского. М., “Издательство московского университета”, 1997, с. 369.

ხდის, ერთდროულად ზრდის საგადასახადო შენატანებს ბიუჯეტში და აუმჯობესებს რესურსების განაწილების ეფექტიანობას.

ქვეყანაში არსებული საგადასახადო სისტემის ფუნქციონირების ამოსავალი წერტილი საქმიანი აქტიურობის გაზრდაა,რაც,მრავალ სხვა სიკეთესთან ერთად,ხელს უწყობს საზოგადოებრივი სექტორისა და სოციალური სფეროს განვითარებას. დაბეგვრა ზოგჯერ გამოიყენება ბაზრის არასრულყოფილებით გამოწვეული ნეგატიური ეფექტების განეიტრალებისათვის,ექსტერნალიების კორექციისათვის.

საგადასახადო სისტემის ფუნქციების რეალიზაციასთან დაკავშირებით წარმოიქმნება პირდაპირი და არაპირდაპირი ხარჯების დაყოფის აუცილებლობა. პირდაპირი ხარჯები საგადასახადო მმართველობის მომსახურების ადმინისტრაციული ხარჯებია,ხოლო არაპირდაპირი – გადასახადის გადამხდელების მიერ გაწეული ხარჯები.

ადმინისტრაციულ ხარჯებში შედის: დაბეგვრის დოკუმენტაციის შერჩევის,დამუშავებისა და შენახვის ხარჯები, თუმცა ეს უკანასკნელი მნიშვნელოვნად შეამცირა მაღალი წარმადობის კომპიუტერების გამოყენებამ; სხვადასხვა კატეგორიის შემოსავლების დაბეგვრა სხვადასხვა საგადასახადო განაკვეთებით ხორციელდება რაც,ბუნებრივია, ზრდის ადმინისტრაციულ ხარჯებს.

არაპირდაპირ ხარჯებში შედის გადასახადების გამოთვლის ხარჯები,ბუღალტრებისა და იურისტების მომსახურებისთვის გაწეული ხარჯები,სხვადასხვა სახის ტექნიკური ხასიათის ხარჯები და ა.შ. არაპირდაპირი ხარჯები, როგორც წესი 5-ჯერ აღემატება პირდაპირ ხარჯებს.[5]

---

[5] **Стиглиц Дж. Ю.** Экономика государственного сектора. Перевод с английского. М., “Издательство московского университета”, 1997, с. 372.

ქვეყანაში მიმდინარე ეკონომიკური მოვლენებისა და მასთან დაკავშირებული ცხოვრების პირობების ცვლილება განაპირობებს საგადასახადო განაკვეთების კორექტირებას. ზოგიერთ სამეწარმეო სეგმენტში მისი ფუნქციონირებიდან გამომდინარე, კორექტირება მარტივია, ზოგიერთში მოითხოვს შედარებით რთულ ცვლილებებს,ზოგჯერ პოლიტიკურ დებატებსაც კი,ზოგჯერ ავტომატურად ხორციელდება საგადასახადო განაკვეთებთან დაკავშირებული ცვლილებები.

ეკონომიკური კრიზისების პერიოდში,როდესაც შემოსავლები მცირდება არა მხოლოდ მიკრო–,არამედ მაკროდონეზე,მცირდება სამეწარმეო სუბიექტების საგადასახადო განაკვეთებიც,ხოლო შემოსავლების გაზრდასთან ერთად, იზრდება საშუალო საგადასახადო განაკვეთები. ასეთი ცვლილებები,ბუნებრივია,გავლენას ახდენს საგადასახადო სისტემის ხარჯების სიდიდეზე.

საგადასახადო სისტემისა და,აქედან გამომდინარე,გადასახადების უმნიშვნელოვანესი მახასიათებლის – სამართლიანობის გარკვევისათვის (რა არის სამართლიანი და რა არა) ლიტერატურაში განიხილავენ მის ორ სახეობას – ჰორიზონტალურსა და ვერტიკალურს.

ჰორიზონტალური სამართლიანობა გულისხმობს ჰორიზონტალურ თანასწორობას,რომელიც,რიგი ფაქტორების გათვალისწინებით, გამოხატავს იმ ადამიანთა თანაბარ დაბეგვრას,რომლებიც იმყოფებიან თანაბარ ეკონომიკურ მდგომარეობაში. იგი გამორიცხავს ადამიანთა დისკრიმინაციას,თუმცა,ბევრ კითხვას ბადებს და სადისკუსიო თემაა. თუ დაბეგვრის ჰორიზონტალური თანასწორობის პრინციპი არსებითად ითვალისწინებს,გადასახადების გადახდასთან დაკავშირებით,ადამიანთა მიმართ თანაბარ მიდგომას,**ვერ-**

ტიკალური სამართლიანობა გულისხმობს ვერტიკალურ თანასწორობას და ეყრდნობა სამ კრიტერიუმს,ასაბუთებს იმას,თუ რატომ უნდა გადაიხადოს ერთმა ადამიანმა მეორეზე მეტი. პირველი კრიტერიუმი ასაბუთებს იმას, რომ ერთს უფრო მეტი შესაძლებლობები აქვს, ვიდრე მეორეს, ამიტომ პირველმა მეორეზე მეტი გადასახადი უნდა გადაიხადოს,მეორე კრიტერიუმი მდგომარეობს ეკონომიკური კეთილდღეობის განსხვავებაში,მესამე კრიტერიუმის მიხედვით,სახელმწიფო ხარჯებიდან ვინც მეტს იღებს,მან მეტი გადასახადი უნდა გადაიხადოს.[6]

მიუხედავად სახელმწიფო შემოსავლებისა და ხარჯების ოპტიმიზაციის მიღწევის მცდელობისა, საგადასახადო სისტემის თეორიის განვითარებაში მიღწეული წარმატებისა, „კეთილდღეობის სახელმწიფოს“ სტატუსის მოპოვებისა და დაბეგვრის პრაქტიკაში სამართლიანობის დამკვიდრებისათვის რიგი ღონისძიებების გატარებისა, ჯერ კიდევ (ალბათ მომავალშიც ასე იქნება), არა მხოლოდ უდიდესი, არამედ გასაოცარი განსხვავებაა აშშ-ში ქონების უთანაბრობასა და შემოსავლების განაწილებაში. ამ დებულების საილუსტრაციოდ წარმოგიდგენთ შემდეგ მონაცემებს:

აშშ-ში მოსახლეობის უმდიდრესი 1% ერთ კვირაში იღებს 40%-ით მეტ შემოსავალს,ვიდრე მოსახლეობის უღარიბესი 20% წელიწადში. უმდიდრესი 0,1% დღენახევარში იღებს დაახლოებით იმდენ შემოსავალს,რამდენსაც უღარიბესი მოსახლეობის 90% იღებს წელიწადში,უმდიდრესი მოსახლეობის 20% იღებს დაახლოებით იმდენ შემოსავალს, რამდენსაც დანარჩენი მოსახლეობის 80%.[7]

---

[6] **Стиглиц Дж. Ю.** Экономика государственного сектора. Перевод с английского. М., “Издательство московского университета”, 1997, с. 377.

7 **Stiglitz J.** The Price Inequality. “W.W. Nortonn & Company”, New York-London, 2012, p. 15;

აშშ-ში უთანაბრობა სიმდიდრის განაწილებაში უფრო დიდია,ვიდრე შემოსავლების განაწილებაში. ამერიკელების 1% ფლობს სიმდიდრის 35%-ს. მარტო „უოლ-მარტის იმპერიის“ 6 მემკვიდრე (უოლტონების ოჯახი) განკარგავს 69,7 მლრდ დოლარს,რაც უდრის აშშ-ის მოსახლეობის ქვედა ფენის 30%-ის ქონებას.[8] კიდევ უფრო დიდია უთანაბრობა მსოფლიო მასშტაბით.

დღეს, „როდესაც კაცობრიობის ერთი მესამედი უკიდურეს სიღატაკეში ცხოვრობს, ასეთი პოლარიზაცია როგორც ქვეყნის, ისე მსოფლიო მასშტაბით, არის არა მხოლოდ უზნეობა, არამედ წმინდა ეკონომიკური თვალსაზრისით, გახდა პროგრესის ძირითადი შემაფერხებელი ფაქტორი.“ [9]

ამიტომაცაა, რომ დაბეგვრის თეორია დღესაც „დუღილს“ განიცდის,თუმცა,ნელ-ნელა მართლაც იწმინდება.

ძირითადი ცნებები

სახელმწიფო ფინანსები. სახელმწიფო ბიუჯეტი. არასაბიუჯეტო ფონდები. საბიუჯეტო-საგადასახადო რეგულირება. ზღვრული საგადასახადო განაკვეთი. ფისკალური პოლიტიკა. გადასახადების ფისკალური ფუნქცია. გადასახადების მარეგულირებელი ფუნქცია. გადასახადების მასტიმულირებელი ფუნქცია. სოციალური სამართლიანობის პრინციპი. ჰორიზონტალური სამართლიანობა. ვერტიკალური სამართლიანობა. სახელმწიფო შემოსავლების ოპტიმიზაცია. სახელმწიფო ხარჯების ოპტიმიზაცია.

---

[8] **Stiglitz J.** The Price Inequality. “W.W. Nortonn & Company”, New York-London, 2012, p. 18;

[9] **ლეიაშვილი პ.** ეკონომიკური მოღვაწეობა. სისტემური ანალიზი. თბილისი,გამომცემლობა „სიახლე“,გვ. 318–319.

დასკვნა

1. ქვეყნის ფინანსურ სისტემაში ცენტრალური ადგილი სახელმწიფო ფინანსებს, როგორც საზოგადოებრივი სექტორის ეკონომიკის ფუნქციონირების ძირითად წყაროს უჭირავს.

სახელმწიფო ფინანსების როლი გააქტიურდა XX საუკუნის მეორე ნახევრიდან, განსაკუთრებით, 60-იანი წლებიდან, როდესაც მსოფლიოს მოწინავე ქვეყნებმა განვითარებული ქვეყნის სტატუსი მიიღეს და თავიანთ ეკონომიკურ პოლიტიკაში წინა პლანზე ეკონომიკის სოციალური ორიენტაცია წამოსწიეს. ამ პერიოდიდან სახელმწიფომ დაიწყო მსხვილი ობიექტების გასახელმწიფოებრივების (ნაციონალიზაციის) გზით ფულადი სახსრების აკუმულირება მნიშვნელოვანი სოციალური და ეკონომიკური პროგრამების განსახორციელებლად;

2. სახელმწიფო ფინანსები მოიცავს სახელმწიფო ბიუჯეტსა და სახელმწიფო არასაბიუჯეტო ფონდებს.

სახელმწიფო ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილის სიდიდეზეა დამოკიდებული სახელმწიფო ფინანსების ოდენობა და მის ხარჯვით ნაწილზე – საზოგადოებრივი სექტორის ეკონომიკის ფუნქციონირება, სოციალური მიზნით მისი გამოყენების ხარისხი და შესაძლებლობები;

3. სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსავლის ძირითადი წყაროებიდან, პირდაპირი და არაპირდაპირი გადასახადების გარდა, აღსანიშნავია: სახელმწიფო ქონების პრივატიზაციიდან მიღებული შემოსავალი, სახელმწიფო მარაგების რეალიზაციიდან მიღებული შემოსავალი, ადმინისტრაციული გადასახდელები და საჯარიმო სანქციები,სპეციალურ მომსახურებაზე მოსაკრებლები, საგარეო-ეკონომიკური საქმიანობიდან მიღებული შემოსავალი,არარეზიდენტებიდან გადარიცხვები;

4. ბიუჯეტის გასავლის ძირითადი არხებია: სახელმწიფო და ადგილობრივი მმართველობის ორგანოების ხარჯები,სასამართლო ხელისუფლების ხარჯები,საერთაშორისო საქმიანობასთან დაკავშირებული ხარჯები,ეროვნული თავდაცვის ხარჯები,სახელმწიფო უსაფრთხოების ხარჯები, სამართალდამცავი ორგანოების ხარჯები, მეცნიერებისა და მეცნიერულ-ტექნოლოგიური პროგრესის ხელშეწყობის ხარჯები,სოციალური პროგრამების დაფინანსების ხარჯები, ბუნებრივი რესურსების დაცვის ხარჯები,ინფრასტრუქტურის განვითარების ხარჯები,საგანგებო სიტუაციებისა და სტიქიური უბედურებების შედეგების ლიკვიდაციის ხარჯები, განათლების, ჯანდაცვისა და კულტურის ხარჯები, სახელმწიფო ვალის მომსახურების ხარჯები და ა.შ.;

5. განვითარებული ქვეყნები, იმისათვის, რომ ეკონომიკას მისცენ სოციალური ორიენტაცია, საბიუჯეტო ხარჯებში ზრდიან სოციალურ ხარჯებს,ჯანდაცვისა და განათლების ხარჯებს,რითაც ხელს უწყობენ საზოგადოებრივი სექტორის ეკონომიკის განვითარებასა და, აქედან გამომდინარე, საბაზრო ეკონომიკის,როგორც სოციალურად ორიენტირებული ეკონომიკის, სოციალურ საბაზრო ეკონომიკაში ევოლუციური გზით გადაზრდას;

6. სახელმწიფო ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილის შესრულებაში დიდი მნიშვნელობა სწორი, ქვეყნის ეკონომიკისათვის ადეკვატური საგადასახადო პოლიტიკის გატარებას ენიჭება. იგი მაკროეკონომიკური რეგულირების მნიშვნელოვანი მიმართულების – ფისკალური რეგულირების შემადგენელი ნაწილი და მთავარი ბერკეტია;

7. საგადასახადო სისტემის ძირითადი პრინციპებია: 1. ეკონომიკური ეფექტიანობა; 2. ადმინისტრაციული სიმარტივე; 3. მოქნილობა; 4. პოლიტიკური პასუხისმგებლობა; 5. სამართლიანობა.

ეფექტიანია ის საგადასახადო სისტემა, რომელიც გადასახადის გადამხდელთა ხარჯების მინიმიზაციისა და ეკონომიკის სტიმულირების გაზრდის საშუალებას იძლევა;

საგადასახადო სისტემა უნდა იყოს მარტივი და ყველა გადამხდელისათვის გასაგები, ამასთან, სწრაფი რეაგირება უნდა მოახდინოს ეკონომიკური პროცესების ცვლილებებზე. საგადასახადო სისტემა ისე უნდა იყოს აგებული, რომ მოსახლეობა დარწმუნდეს მის სისწორესა და ობიექტურობაში, რაც პოზიტიურ გავლენას მოახდენს გადამხდელთა ფართო კორპუსზე. საგადასახადო სისტემა უნდა იყოს სამართლიანი ყველა ეკონომიკური სუბიექტის მიმართ;

აღნიშნული პრინციპების საფუძველზე აგებული საგადასახადო სისტემა გადასახადებს გაცილებით მობილურს ხდის,ერთდროულად ზრდის საქმიან აქტიურობასა და საგადასახადო შენატანებს ბიუჯეტში, აუმჯობესებს რესურსების განაწილების ეფექტიანობას, რითაც ხელს უწყობს საზოგადოებრივი სექტორის ეკონომიკის ფუნქციონირებასა და სოციალური სფეროს განვითარებას;

8. განასხვავებენ ჰორიზონტალურ და ვერტიკალურ სამართლიანობას. ჰორიზონტალური სამართლიანობა გულისხმობს ჰორიზონტალურ თანასწორობას, ითვალისწინებს თანაბარ ეკონომიკურ მდგომარეობაში მყოფ ადამიანთა თანაბარ დაბეგვრას, გამორიცხავს ადამიანთა დისკრიმინაციას, ხოლო ვერტიკალური სამართლიანობა გულისხმობს ვერტიკალურ თანასწორობას და ეყრდნობა სამ კრიტერიუმს: პირველი კრიტერიუმი ასაბუთებს იმას, რომ ერთს უფრო მეტი შესაძლებლობები აქვს, ვიდრე მეორეს, ამიტომ პირველმა მეორეზე მეტი გადასახადი უნდა გადაიხადოს,მეორე კრიტერიუმი მდგომარეობს ეკონომიკური კეთილდღეობის განსხვავებაში, მესამე კრიტე-

რიუმის მიხედვით, სახელმწიფო ხარჯებიდან ვინც მეტს იღებს,მან მეტი გადასახადი უნდა გადაიხადოს;

9. აშშ-ში 1974 წლიდან მოქმედებს კანონი საგადასახადო შეღავათების იმ კომპანიებზე მიცემის შესახებ,რომლებიც აქციებს ანაწილებენ მუშებს შორის. ამისათვის კომპანიები ქმნიან მოგებიდან ანარიცხების ფონდს, რომლის სახსრებიც ხმარდება მუშების მიერ აქციების გამოსყიდვას. რა თქმა უნდა,მათ საკუთრებაში აქციების საკონტროლო პაკეტი არ გადადის, მაგრამ მუშები რეალურად ერთვებიან საწარმოს მართვაში და ღებულობენ მოგების ნაწილს დივიდენდების სახით;

10. ცივილიზებულ მსოფლიოში ფართოდ არის აპრობირებული მცირე საწარმოების განთავისუფლება მოგების გადასახადისაგან შესაბამისი ბიზნეს-გეგმის წარდგენისა და ანალიზის საფუძველზე,აგრეთვე მათთვის დაბეგვრის ერთიანი სისტემის შემოღება,როდესაც გადასახადის განაკვეთის ზღვრული სიდიდე არ აღემატება მთლიანი შემოსავლების 20%-ს. ამასთან,ამ ერთიანი გადასახადის 70% (ანუ განაკვეთის 14%) რჩებათ ტერიტორიულ ბიუჯეტებს,ხოლო 30% (ანუ განაკვეთის 6%) გადადის ცენტრალურ ბიუჯეტში;

11. მიუხედავად სახელმწიფო შემოსავლებისა და ხარჯების ოპტიმიზაციის მიღწევის მცდელობისა, საგადასახადო სისტემის თეორიის განვითარებაში მიღწეული წარმატებისა, „კეთილდღეობის სახელმწიფოს“ სტატუსის მოპოვებისა და დაბეგვრის პრაქტიკაში სამართლიანობის დამკვიდრებისათვის რიგი ღონისძიებების გატარებისა, ჯერ კიდევ არა მხოლოდ უდიდესი, არამედ გასაოცარი განსხვავებაა აშშ-ში ქონების უთანაბრობასა და შემოსავლების განაწილებაში. ეს განსხვავება კიდევ უფრო დიდია მსოფლიო მასშტაბით. ამიტომაცაა, რომ დაბეგვრის თეორია დღესაც „დუღილს“ განიცდის და ნელ-ნელა იწმინდება.

VIII თავი

ეკონომიკური უსაფრთხოება – საზოგადოებრივი სექტორის ეკონომიკის განვითარების გარანტი

ეკონომიკური უსაფრთხოების სტრატეგია. ეკონომიკური უსაფრთხოების ინდიკატორები. ეკონომიკურ უსაფრთხოებაზე მოქმედი ფაქტორები და მათი გავლენა საზოგადოებრივი სექტორის ეკონომიკის ფუნქციონირებაზე. ეკონომიკური უსაფრთხოების კრიტერიუმები. ეკოლოგიური და სასურსათო უსაფრთხოების ზოგადსაკაცობრიო პრობლემა და საზოგადოებრივი სექტორის ეკონომიკა.

VIII.1. ეკონომიკური უსაფრთხოების სტრატეგია

ეკონომიკური უსაფრთხოება ეკონომიკური სისტემის ფუნქციონირების ხარისხის განმაზოგადებელი მაჩვენებელია, ქვეყნის ეკონომიკისა და, ბუნებრივია, მისი შემადგენელი ნაწილის – საზოგადოებრივი სექტორის ეკონომიკის განვითარების უმნიშვნელოვანესი ფაქტორია.

ეკონომიკური უსაფრთხოების პრობლემა ნებისმიერ პერიოდში იყო ყურადღების ცენტრში, მაგრამ განსაკუთრებულ აქტუალურობას XXI საუკუნეში იძენს, რასაც მსოფლიოში მიმდინარე ეკონომიკური მოვლენებისა და პროცესების მთელი კომპლექსი განაპირობებს. მეტ-ნაკლები სიმწვავით იგი კომუნისტურ ქვეყნებშიც არსებობდა,მაგრამ XX საუკუნის 90-იანი წლებიდან მოყოლებული,აღნიშნულ ქვეყნებში, ეკონომიკური სისტემის შეცვლასთან დაკავშირებით,სოციალურ-ეკონომიკურ სფეროში წარმოქმნილმა

რადიკალურმა პროცესებმა ეს პრობლემა არა მხოლოდ წინა პლანზე წამოსწია, არამედ ახალი შინაარსიც შესძინა.

ეკონომიკური უსაფრთხოება უშუალოდაა დაკავშირებული ეკონომიკის სტაბილურ განვითარებასთან, ინკლუზიური ეკონომიკური ზრდის პრობლემებთან. იგი იცავს ეროვნულ ეკონომიკას (როგორც საბაზრო,ისე არასაბაზრო სექტორებს) იმ შიდა და გარე ნეგატიური ფაქტორებისგან, რომლებიც საფრთხეს უქმნიან ეკონომიკის მდგრად განვითარებას, რესურსული და ტექნოლოგიური პოტენციალის შენარჩუნებას,აქედან გამომდინარე კი,ქვეყნის ეკონომიკური დამოუკიდებლობისა და სახელმწიფოებრიობის განმტკიცებას.

ეკონომიკური უსაფრთხოების დაცვის გარეშე შეუძლებელია საზოგადოებრივი სექტორის ეკონომიკის განვითარება, აქედან გამომდინარე, ქვეყნის სოციალური ორიენტაციის უზრუნველყოფა. ამიტომაცაა,რომ იგი სახელმწიფოს ეკონომიკური პრიორიტეტების განმსაზღვრელია და განიხილება მიკრო-,მაკრო-,მეზო- და მეგადონეზე.

დღეს მსოფლიოს მრავალ ქვეყანაში ეკონომიკური უსაფრთხოების პრობლემა სახელმწიფოს საშინაო და საგარეო პოლიტიკის შემადგენელი ნაწილია და უდიდეს გავლენას ახდენს თავდაცვით,ეკოლოგიურ,ინფორმაციულ, მეცნიერულ-ტექნოლოგიურ,სოციალურ,სასურსათო,დემოგრაფიულ,ინვესტიციურ,საგარეო და ა.შ. უსაფრთხოებაზე და მათთან ერთად ქმნის ეროვნულ უსაფრთხოებას.

ეკონომიკური უსაფრთხოება ეროვნული ინტერესების (პოლიტიკური, ეკონომიკური, სოციალური, სამართლებრივი, ეკოლოგიური და ა.შ.) შემადგენელი ნაწილია და, შეიძლება ითქვას, მათი რეალიზაციის გადამწყვეტი პირობაც.

მსოფლიოს მრავალ ქვეყანაში (მათ შორის, აშშ-ში) შე-

მუშავებულია ეკონომიკური უსაფრთხოების სტრატეგია, რომელსაც სათანადო ადგილი უჭირავს ეკონომიკის სახელმწიფო რეგულირებაში და ქვეყნის ეკონომიკური პოლიტიკის შემადგენელი ნაწილია. მისი ლაიტმოტივია, ეკონომიკური დამოუკიდებლობის შენარჩუნებისა და სოციალურ-ეკონომიკური სტაბილურობის უზრუნველყოფის საფუძველზე ტრადიციებისა და წეს-ჩვეულებების დაცვა, საზოგადოების ჰარმონიული განვითარებისათვის ეპოქის შესაბამისი პირობების შექმნა და ა.შ.

ეკონომიკურ უსაფრთხოებას მნიშვნელოვანი როლი აკისრია საბაზრო მექანიზმის ეფექტიან ფუნქციონირებაში, სახელმწიფო ფინანსების მართვაში ოპტიმალური პირობების შექმნასა და,აქედან გამომდინარე,საზოგადოებრივი სექტორის ეკონომიკის განვითარებაში,ქვეყნის ეკონომიკის ადეკვატური სტრუქტურული პოლიტიკის გატარებასა და ბაზრის სუბიექტებისათვის ინფორმაციის ხელმისაწვდომობაში, ხელისუფლების მხარდაჭერით ბაზრის სტიქიური ძალების აღკვეთაში, ინვესტიციების მოცულობისა და საინვესტიციო პორტფელის დივერსიფიკაციაში, საინვესტიციო „კლიმატის“ შექმნაში,საკუთრების პლურალიზმის დამკვიდრებაში, ქვეყნის ინტელექტუალური პოტენციალის შენარჩუნება–განვითარებაში და ა.შ.

ეკონომიკური უსაფრთხოების ძირითად სტრატეგიულ მიმართულებად აღიარებულია კონკურენციული ბაზრის შექმნა და დაცვა, რისთვისაც განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება მოქნილი კანონმდებლობის შემუშავებასა და ანტიმონოპოლიური პოლიტიკის გატარებას,ეკონომიკის პრიორიტეტული დარგების გამოყოფას, მათდამი სახელმწიფოებრივ მხარდაჭერას, ეროვნული ვალუტის სიმყარის უზრუნველყოფას, საკუთრების დაცვასა და ა.შ.

ეკონომიკური უსაფრთხოების სტრატეგია ითვალისწინებს აგრეთვე საბიუჯეტო-საგადასახადო უფლებამოსილების ოპტიმალურ ტერიტორიულ განაწილებასა და რეგიონების მიხედვით დისკრიმინაციის ლიკვიდაციას, სამამულო წარმოების პროდუქციის გასაღების ბაზრების დაცვას,სასურსათო უსაფრთხოების უზრუნველყოფასა და ა.შ.

ეკონომიკური უსაფრთხოების სტრატეგიაში განსაკუთრებული ადგილი საზოგადოების სოციალურ დაცვას უჭირავს. მასში აისახება პიროვნების, საზოგადოებისა და სახელმწიფოს ინტერესები და იგი ქვეყანაში პოლიტიკური სტაბილურობის შენარჩუნების გარანტია, საზოგადოების სოციალური დაუცველობის შედეგი კი ნარკომანიის ზრდა, კრიმინოგენული სფეროს გაფართოება,სოციალური აფეთქებები,კატასტროფები და სხვა ნეგატიური მოვლენებია.

ეკონომიკურ უსაფრთხოებას დიდი როლი აკისრია ეკონომიკის სიცოცხლისუნარიანობის შენარჩუნებაში და აისახება ქვეყნის ცხოვრების დონეზე,გარემოს დაცვაზე*, სამართალწესრიგზე,მეცნიერულ-ტექნოლოგიურ პოტენციალზე, დემოგრაფიულ მდგომარეობაზე, უმუშევრობასა და ა.შ.

ეკონომიკურ უსაფრთხოებასთან მიმართებაში განსაკუთრებულ ყურადღებას იმსახურებს ინსტიტუციური უმუშევრობის პრობლემა. იგი ერთ-ერთი მწვავე პრობლემაა და, ქვეყანაში არსებული სუსტი ინსტიტუტებისა და, შრომის ბაზრის მოუქნელი ფუნქციონირებიდან გამომდინარე, ვაკანტური სამუშაო ადგილების აუთვისებლობით (მოსახლეობისათვის ინფორმაციის მიუწვდომლობის გამო) არის გამოწვეული და, ბუნებრივია, უმეტესწილად სუსტად განვითარებული ქვეყნებისთვისაა დამახასიათებელი.

---

* ამჟამად დასავლეთში ტერმინი – გარემოს დაცვა“ „რაციონალური ბუნებათსარგებლობის“ ტერმინით შეიცვალა.

სუსტად განვითარებული ქვეყნების ეკონომიკური მდგომარეობის მახასიათებელია ეკონომიკურ თეორიაში საკმაოდ გავრცელებული ტერმინი **„მანკიერი წრე“** (“Viciois Circles”),რომელიც უდიდეს გავლენას ახდენს ეკონომიკურ უსაფრთხოებაზე და მდგომარეობს შემდეგში: ითვლება, რომ განვითარებადი ქვეყნების ეკონომიკა,სადაც ძირითადად იწარმოება მხოლოდ არსებობისათვის აუცილებელი საშუალებები, არ ექვემდებარება გარდაქმნას, ვინაიდან დაბალია წარმოების მთლიანი მოცულობა და უმნიშვნელოა სარეზერვო მარაგები. აქედან გამომდინარე, მოხმარების შემდეგ არ არსებობს ნამეტი კაპიტალის დაგროვებისათვის,რომლის გარეშეც ნაკლებად შესაძლებელია წარმოების გადიდება. **„მანკიერი წრის“ გასაღები კაპიტალის დაგროვებაა**. თუ ქვეყანა შეძლებს თავი დააღწიოს ამ წრეს, მაშინ წარმოიქმნება საწინააღმდეგო პროცესი: როგორც კი დაიწყება კაპიტალის დაგროვება, იზრდება წარმოების მოცულობა, ხოლო შემდეგ იწყებს ზრდას შემოსავლებიც, რომლებიც ქმნის ნამეტს ინვესტირებისა და დაგროვებისათვის.

ამრიგად, ეკონომიკური უსაფრთხოების სტრატეგია უკავშირდება სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის ამოცანებს და ეყრდნობა ქვეყნის განვითარების სოციალურ-ეკონომიკურ მოდელს. თუ რამდენად ასახავს ეს უკანასკნელი ეროვნული ეკონომიკის ინტერესებს, მნიშვნელოვნად განსაზღვრავს ეკონომიკური უსაფრთხოების როლს ქვეყნის სიცოცხლისუნარიანობის შენარჩუნებაში.

ზემოთქმულიდან გამომდინარე, შეიძლება შემდეგი დასკვნის გაკეთება: **ეკონომიკური უსაფრთხოების სტრატეგია არის ქვეყნის სტრატეგია მდგრადი და მუდმივად განვითარებადი ეკონომიკით, რომელიც ითვალისწინებს ქვეყ-**

ნის ეკონომიკური მთლიანობისა და დამოუკიდებლობის შენარჩუნებას, ეკონომიკის სიცოცხლისუნარიანობის განმტკიცებას, საზოგადოების სოციალურ-ეკონომიკური სტაბილურობისათვის სათანადო პირობების შექმნას, რესურსული პოტენციალის თანამედროვე მოთხოვნათა დონეზე განვითარებას, საბაზროსთან ერთად, არასაბაზრო სექტორისა და, აქედან გამომდინარე, საზოგადოებრივი სექტორის ეკონომიკის განვითარებას.

VIII.2. ეკონომიკური უსაფრთხოების ინდიკატორები

ეკონომიკური უსაფრთხოების სტრატეგიის შემუშავებაში დიდი მნიშვნელობა ეკონომიკური საფრთხის რაოდენობრივ განსაზღვრასა და მულტიპლიკაციური ეფექტის დადგენას ენიჭება.

ეკონომიკური უსაფრთხოების შეფასების ხარისხი ეკონომიკურ ინდიკატორებში აისახება, რომლებიც შეიძლება სამ ჯგუფად დაიყოს: 1). ეკონომიკის სოციალური ორიენტირებულობის ინდიკატორები; 2). მიმდინარე და საშუალოვადიან პერიოდებში ეკონომიკური განვითარების ინდიკატორები; 3). ეროვნული ეკონომიკის მდგრადი განვითარების დონის ამსახველი ინდიკატორები.

ეკონომიკის სოციალური ორიენტაციის ხარისხს დიდად განსაზღვრავს ზემოჩამოთვლილ ინდიკატორთა ჯგუფები. ამასთან, **ეკონომიკის სოციალური ორიენტირებულობის ინდიკატორები**, თავის მხრივ, აერთიანებს ისეთ მაჩვენებლებს, როგორიცაა: მოსახლეობის სოციალური დაცვის თვალსაზრისით სამომხმარებლო კალათის შემადგენლობის (სტრუქტურის) ზღვრული ნორმის განსაზღვრა; საარსებო მინიმუმისა და სამომხმარებლო კალათის თანაფარდობა; მინიმალური ხელფასისა და საარსებო მინიმუმის თანაფარ-

დობა; საარსებო მინიმუმზე დაბალი შემოსავლების მქონე მოსახლეობის წილი მოსახლეობის მთლიან რიცხოვნობაში; პენსიებისა და საარსებო მინიმუმის თანაფარდობა; დაქირავებით დასაქმებულთა შრომის ანაზღაურების წილი მოსახლეობის მთლიან შემოსავლებში; ბუნებრივი კატასტროფებისა და ეკოლოგიური დაბინძურების ზონებში მცხოვრებთა წილი მოსახლეობის მთლიან რიცხოვნობაში; სოციალურ პროგრამებზე გაწეული ხარჯების წილი მთლიან შიდა პროდუქტში; ჯინის კოეფიციენტი – შემოსავლების განაწილებაში უთანაბრობის ხარისხის აგრეგირებული რაოდენობრივი მაჩვენებელი; მოსახლეობის მაღალშემოსავლიან 10%-სა და დაბალშემოსავლიან 10%-ს შორის დასაშვები თანაფარდობის გარდვევის სიდიდე (შემოსავლების დიფერენციაციის დეცილური კოეფიციენტი); შემოსავლებისა და მოხმარების მკვეთრი დიფერენციაცია; მოხმარების საშუალო ნორმის შემცირების საფუძველზე კვების სტრუქტურის გაუარესება; სიღარიბის ზრდა იმ პირთა აბსოლუტური და შეფარდებითი გადიდებით,რომელთა შემოსავლები საარსებო მინიმუმზე დაბალია. ამ ჯგუფში აისახება აგრეთვე ცხოვრების დონის და ხარისხის ისეთი ინდიკატორები,როგორიცაა მშპ მოსახლეობის ერთ სულზე, შრომისუნარიანი მოსახლეობის დასაქმების საშუალო წლიური ზრდა,სიცოცხლის საშუალო ხანგრძლივობა და ა.შ.

ეკონომიკური უსაფრთხოების ინდიკატორების ზღვრული მნიშვნელობის მიღებისათვის აუცილებელია განისაზღვროს ქვეყნის ეროვნული ინტერესები,ეკონომიკური უსაფრთხოების ზღვრული სიდიდეები რაოდენობრივი პარამეტრებით,რომლებიც ეკონომიკის სხვადასხვა სფეროში ავლებს ზღვარს უსაფრთხო და საშიშ ზონებს შორის.

ეკონომიკური უსაფრთხოების მაღალი დონე მიიღწევა

მაშინ, როდესაც ინდიკატორთა მთელი სისტემა თავისი მანკიერი მნიშვნელობის დასაშვები საზღვრების ფარგლებშია.

თუ ფაქტობრივი პარამეტრები ამ ინდიკატორების ზღვრულ სიდიდეებზე მაღალია, მაშინ ქვეყანა იმყოფება საშიშ ზონაში, რომლის გაუთვალისწინებლობას მისთვის მძიმე შედეგები მოაქვს, იწვევს დიდ სოციალურ დანაკარგებს და აფერხებს საზოგადოებრივი სექტორის ეკონომიკის განვითარებას.

სახელმწიფო ვალდებულია არ დაუშვას მოსალოდნელი კატასტროფული შედეგები, რომელთა მულტიპლიკაციური ეფექტი მაღალია და დიდ ზემოქმედებას ახდენს დემოგრაფიულ,ეკოლოგიურ,თავდაცვით,მეცნიერულ-ტექნოლოგიურ,ინფორმაციულ და ა.შ. უსაფრთხოებაზე.

VIII.3. ეკონომიკურ უსაფრთხოებაზე მოქმედი ფაქტორები და მათი გავლენა საზოგადოებრივი სექტორის ეკონომიკის ფუნქციონირებაზე

ეკონომიკურ უსაფრთხოებაზე გავლენას ახდენს ქვეყანაში მიმდინარე როგორც კონსტრუქციული, ისე დესტრუქციული ხასიათის პროცესები. კონსტრუქციული პროცესები ხელს უწყობს საზოგადოებრივი ინტერესების რეალიზაციას და ეკონომიკურ უსაფრთხოებაზე მოქმედ პოზიტიურ ფაქტორებში აისახება,ხოლო დესტრუქციული პროცესები, ბუნებრივია, ეწინააღმდეგება საზოგადოების ინტერესებს და ეკონომიკურ უსაფრთხოებაზე მოქმედ ნეგატიურ ფაქტორებში აისახება.

ეკონომიკურ უსაფრთხოებაზე მოქმედი ფაქტორები განიხილება როგორც ქვეყანაში პოლიტიკური მდგომარეობისა და საგანგებო სიტუაციების გათვალისწინებით, ისე

ქვეყნის ეკონომიკური განვითარების დონის მიხედვით,რაც უდიდეს გავლენას ახდენს საზოგადოებრივი სექტორის ეკონომიკის ფუნქციონირებასა და მისი განვითარების ხარისხზე.

ეკონომიკურ უსაფრთხოებაზე მოქმედი ფაქტორები ორ ჯგუფად იყოფა:

I ჯგუფში შედის: ეკონომიკური უსაფრთხოება მშვიდობიან პერიოდში,საომარი მზადების პირობებში,საომარ პირობებში, ომისშემდგომ პერიოდში, ლოკალური კონფლიქტების პირობებში, სტიქიური უბედურებების შედეგების აღკვეთის პირობებში და ა.შ.

II ჯგუფში შედის: ეკონომიკური უსაფრთხოება ეკონომიკური ზრდის მკვეთრი დაცემის პირობებში,საზოგადოებრივი სექტორის განვითარების დაბალი დონის პირობებში, ადგილობრივი ნედლეულის ზღვარსგადასული ექსპორტის პირობებში,ექსპორტ-იმპორტის თანაფარდობის ზღვრული მნიშვნელობიდან ფაქტობრივი მნიშვნელობის მკვეთრი გადახრის პირობებში,საგარეო-ეკონომიკური ურთიერთობების მკაცრი შეზღუდვის პირობებში,წარმოების დაცემისა და მისგან წარმოქმნილი ნეგატიური მოვლენების პირობებში,საშინაო ბაზრის უცხოური საქონლით გაჯერებისა და „დაპყრობის“ პირობებში, ეკონომიკის კრიმინალიზაციისა და საგარეო ბაზრების დაკარგვის პირობებში და ა.შ.

ეკონომიკურ უსაფრთხოებაზე მოქმედი ფაქტორები იყოფა შიდა და გარე ფაქტორებად.

შიდა ფაქტორებს მიეკუთვნება: ბუნებრივი ფაქტორები, სტრუქტურული, მეცნიერულ-ტექნოლოგიური, საფინანსო-საკრედიტო, ორგანიზაციულ-სამმართველო, შრომითი რესურსების გამოყენებისა და სოციალურ-ეკონომიკური ფაქტორები. **ბუნებრივ ფაქტორებში** შედის: ქვეყნის უზრუნ-

ველყოფის დონე საკუთარი ბუნებრივი რესურსებით, მათი მოპოვების პირობები და ა.შ.; **სტრუქტურულ ფაქტორებში** შედის: ინვესტიციების მოცულობა და სტრუქტურა, ჰორიზონტალური კავშირების განვითარების დონე, კაპიტალის განაწილება დარგებისა და რეგიონების მიხედვით და ა.შ.; **მეცნიერულ-ტექნოლოგიური ფაქტორები** მოიცავს: ტექნოლოგიების განვითარების დონეს, ინტელექტუალური საკუთრების უფლების დაცვას და ა.შ.; **საფინანსო-საკრედიტო ფაქტორებია:** საბანკო სისტემისა და შესაბამისი ბაზრის მდგომარეობა, კრედიტების მიღების პირობები, დისციპლინა უნაღდო ანგარიშსწორების სფეროში და ა.შ.; **ორგანიზაციულ-მმართველობითი ფაქტორები** მოიცავს: წარმოების ორგანიზაციის, ეკონომიკური და სამართლებრივი რეგულირების მეთოდებსა და ა.შ.; **შრომითი რესურსების გამოყენების ფაქტორებში** შედის: სამუშაო ძალის გამოყენების სტრუქტურა, უმუშევრობის დონე, სამუშაო ძალის კვალიფიკაციის დონე და ა.შ.; **სოციალურ-ეკონომიკურ ფაქტორებში** შედის: შრომის პირობები, შრომის ანაზღაურების დონე და ა.შ.

ეკონომიკურ უსაფრთხოებაზე მოქმედ **გარე ფაქტორებს** მიეკუთვნება: საგარეო-ეკონომიკური კავშირების ოპტიმალური სტრუქტურის განვითარების ფაქტორები; უცხოური ინვესტიციების მოზიდვის ფაქტორები; საგარეო-ეკონომიკური ოპერაციებისადმი კონტროლის გაძლიერების ფაქტორები და ა.შ.

ეკონომიკური უსაფრთხოება ზემოქმედებს ეკონომიკური ურთიერთობების მთელ სისტემაზე და გარკვეულწილად განსაზღვრავს ამ ურთიერთობების განვითარების ხასიათს როგორც საბაზრო, ისე არასაბაზრო სექტორებში.

VIII.4. ეკონომიკური უსაფრთხოების კრიტერიუმები

ეკონომიკური უსაფრთხოების კრიტერიუმების დადგენა შეუძლებელია ქვეყნის ეკონომიკური მდგომარეობის შეფასების გარეშე.

ქვეყნის ეკონომიკური მდგომარეობის შეფასება თუ ეროვნული და არა კომპრადორული ინტერესების მატარებელია, მაშინ მას უდიდესი როლი აკისრია ეროვნული დამოუკიდებლობის შენარჩუნების თვალსაზრისით. იგი მოიცავს არა მხოლოდ რესურსული პოტენციალისა და ეკონომიკის კონკურენტუნარიანობის შეფასებას, არამედ სოციალური სტაბილურობის, სოციალური კონფლიქტების დაძლევის შესაძლებლობების,უცხოური ვალუტის შეუზღუდავი შემოდინებით გამოწვეული შედეგების შეფასებასაც.

თანამედროვე საბაზრო სისტემის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი თავისებურება – ახალ თვისებრივ ზრდაზე გადასვლა ეფუძნება იმ კრიტერიუმებს, რომლებიც იძლევა ქვეყნის ეკონომიკური პოტენციალის თვისებრივ დახასიათებას, ძირითადად აისახება კრებსით ინდექსში – **სოციალურ ინდიკატორებში და უდიდეს გავლენას ახდენს არა მხოლოდ ცხოვრების დონეზე, არამედ ცხოვრების ხარისხზეც,** აქედან გამომდინარე კი,საზოგადოებრივი სექტორის ეკონომიკის განვითარებაზე. სოციალური ინდიკატორების გაუთვალისწინებლობა არა მხოლოდ ეკონომიკური,არამედ ეკოლოგიური და სასურსათო უსაფრთხოების დარღვევაში აისახება და უდიდეს ზიანს აყენებს ეროვნული უსაფრთხოების უზრუნველყოფას და,პირველ რიგში,დემოგრაფიული პროცესების სწორი გზით წარმართვას.

ეკონომიკური უსაფრთხოების კრიტერიუმები,გარკვეული თვალსაზრისით, უკავშირდება **„ხაფანგის ეფექტის“** (“Entrapment Effect”) ცნობილ ჰიპოთეზას, რომლის მიხედ-

ვით შრომის ბაზარი იყოფა პირველად და მეორეულ ბაზრებად და შესაბამის სექტორებად. პირველადი ბაზარი ხასიათდება მაღალი ანაზღაურებით, ზრდის პერსპექტივებით, უსაფრთხოებითა და დამატებითი სარგებლობით, მაშინ როდესაც მეორეული ბაზრისათვის ნიშანდობლივია დაბალანაზღაურებადი სამუშაო ადგილები, არასრული დასაქმება, არასტაბილური და, როგორც წესი, ნაკლებად მიმზიდველი სამუშაო. მეორეული სექტორიდან პირველად სექტორში გადასვლას აფერხებს არა იმდენად განსხვავება მუშაკთა კვალიფიკაციის დონეში, რამდენადაც ინსტიტუციური ბარიერები დისკრიმინაციის ფორმით.

ჰიპოთეზა მდგომარეობს იმაში, რომ მეორეული შრომის ბაზრის პირობები წარმოადგენს მუშაკების მიერ ცუდი შრომის ჩვევების შეძენის მთავარ მიზეზს. „ცუდი“ სამუშაოს მქონე მუშაკები ხდებიან „ცუდი“ მუშაკები. ეს მოვლენა უკუკავშირის დიდი სისტემის მხოლოდ ერთი ასპექტია. მასზე გავლენას ახდენს რიგი სოციალურ-ეკონომიკური ფაქტორები, მათ შორის, ოჯახური მდგომარეობაც. საბოლოო ანგარიშით, ყალიბდება „ხაფანგის ეფექტი“, რომელიც გამომდინარეობს „სიღარიბის კულტურის ჰიპოთეზიდან“ (“Culture of Poverty Hypothesis”).

„სიღარიბის კულტურის ჰიპოთეზა“ გამოხატავს ფუნქციონალურ დამოკიდებულებას სიღარიბესა და მის განმაპირობებელ ისეთ ფაქტორებს შორის,როგორიცაა პიროვნების შეზღუდული, სუსტი ინდივიდუალური შესაძლებლობები, განათლებისა და კვალიფიკაციის დაბალი დონე,მუშაკთა ცუდი შრომითი ჩვევები,უნარები და ა.შ. შრომითი უნარების ხარისხს სპეციალისტები უკავშირებენ მეორეული შრომის ბაზრის პირობებს,სადაც,პირველადი შრომის ბაზრისაგან განსხვავებით, არსებული ცუდი პირობები უარყოფითად

აისახება მუშაკთა კვალიფიკაციაზე და მათში ცუდ შრომით უნარებს აყალიბებს, საბოლოო ანგარიშით კი, უარყოფით გავლენას ახდენს ქვეყნის ეკონომიკურ უსაფრთხოებაზე.

სამთავრობო პოლიტიკა უნდა ითვალისწინებდეს „კარგი“ სამუშაო ადგილების შექმნას, კანონმდებლობით აკრძალულ დისკრიმინაციასთან ერთად, რაც დადებითად აისახება ეკონომიკურ უსაფრთხოებაზე.

ეკონომიკური უსაფრთხოების კრიტერიუმები: ეკონომიკის დამანგრეველი პროცესების, სტრუქტურული და ინსტიტუციური დეფორმაციების თავიდან აცილების შესაძლებლობები, ქვეყნის ბუნებრივ-რესურსული და მეცნიერულ-ტექნოლოგიური პოტენციალის გამოყენების დონე და ხარისხი,* სოციალურ-ეკონომიკური ეფექტიანობის ზრდა, ცხოვრების დონის ამაღლება და ხარისხის მკვეთრი გაუმჯობესება, დანაკარგებისა და რისკების მინიმიზაცია, კონკურენტუნარიანი საქონლისა და მომსახურების წარმოების ზრდა, მოსალოდნელი კატასტროფული პროცესების არდაშვება, არაკვლავწარმოებადი ბუნებრივი რესურსების უპირატესი გამოყენებიდან კვლავწარმოებადი ბუნებრივი რესურსების უპირატეს გამოყენებაზე გადასვლის ტექნოლოგიური უზრუნველყოფა და ა.შ.

ძირითადი ეკონომიკური მაჩვენებლების დონის მანკიერი მნიშვნელობის დასაშვებ საზღვრებში მოქცევა განაპირობებს ეკონომიკური საფრთხის თავიდან აცილებას, ხოლო

* განვითარებადი ქვეყნების სუსტი განვითარება მნიშვნელოვანწილად განპირობებულია ამ ქვეყნებში არსებული რესურსების გამოუყენებლობის მაღალი დონით, იმ სტრუქტურული და ინსტიტუციური დეფორმაციებით, რომლებიც წარმოიშობა შიდა და გარე მიზეზების ერთობლივი ზემოქმედებით. ეს ჰიპოთეზა ეკონომიკურ მეცნიერებაში ცნობილია **„სტრუქტურული გარდაქმნების თეორიის“** (“Structural Changes Theory”) სახელწოდებით.

ეკონომიკური უსაფრთხოების ზღვრულ მნიშვნელობებზე გადაჭარბება ქვეყანაში წარმოქმნის არაორდინარულ სიტუაციას.[1] ზღვრულ სიდიდეებზე მაღალი ფაქტობრივი პარამეტრები დიდი რისკის შემცველია, რომელთა არგათვალისწინებას გამოუსწორებელი შედეგები მოაქვს მოცემული ქვეყნისთვის, იწვევს დიდ სოციალურ-ეკონომიკურ დანაკარგებს და უარყოფით გავლენას ახდენს საზოგადოებრივი სექტორის ეკონომიკის განვითარებაზე.

VIII.5. ეკოლოგიური და სასურსათო უსაფრთხოების ზოგადსაკაცობრიო პრობლემები და საზოგადოებრივი სექტორის ეკონომიკა

ქვეყნის ეკონომიკური უსაფრთხოების უზრუნველყოფაზე არაპირდაპირი გზით უდიდეს გავლენას ახდენს ბუნებათსარგებლობის პრობლემები, ეკოლოგიურთან ერთად დიდია სასურსათო უსაფრთხოების გავლენაც.

ეკოლოგიური და სასურსათო უსაფრთხოება უკავშირდება არა მხოლოდ საზოგადოების სასიცოცხლო ინტერესების დაცვას იმ შიდა და გარე უარყოფითი ეფექტებისგან, ექსტერნალიებისგან,რომლებიც საფრთხეს უქმნიან ქვეყნის ეკონომიკური სისტემის მყარ ფუნქციონირებას, არამედ, უარყოფით გავლენას ახდენენ დემოგრაფიულ პროცესებზე და, გარკვეული თვალსაზრისით, არყევენ ქვეყნის სახელმწიფოებრიობას.

გლობალური მნიშვნელობის ეს პრობლემები მსოფლიოს ეკონომიკური უსაფრთხოების შემადგენელი ნაწილები და ზოგადსაკაცობრიო პრიორიტეტული მიმართულებებია.

[1] **Corden Max W., Nearvy Peter J.** Booming Sector and Deindustrialization in a Small open Economy. “The Economic Journal”, Vol. 92, 1992, pp. 825-848.

მათი სიმწვავე კიდევ უფრო გააძლიერა საზოგადოების გარემოზე ზემოქმედების ამჟამინდელმა მასშტაბებმა,რამაც რეალური საფრთხის წინაშე დააყენა მსოფლიოს განვითარება. **გარემოს დაცვა და ეკოლოგიურად სუფთა სურსათის წარმოება სოციალური მნიშვნელობის პრობლემებია და მაკროეკონომიკური რეგულირების მნიშვნელოვანი სფეროა, რომლებიც უშუალო გავლენას ახდენენ საზოგადოებრივი სექტორის ეკონომიკის ფუნქციონირებაზე.**

როგორი განვითარებულიც არ უნდა იყოს ქვეყანა, ბაზრის ფენომენის გაუთვალისწინებლად, დღეს ძნელია ეკონომიკური წონასწორობის შენარჩუნება.

ბუნებათსარგებლობისა და სურსათის წარმოების ეკონომიკური ასპექტების კვლევაში მნიშვნელოვანი ადგილი გარე ეკონომიკურ ხარჯებს უჭირავს. მისი არსი მდგმარეობს იმაში,რომ ხშირ შემთხვევაში სამეუნეო საქმიანობის ზოგიერთი რეალური შედეგი და ხარჯი,რაც უარყოფით ექსტერნალიებში აისახება,ყურადღების მიღმა რჩება. მას მიეკუთვნება გარემოს დაბინძურება, მოდიფიცირებული სურსათის წარმოება და მათთან დაკავშირებული ხარჯები, რომლებიც ხშირად არ აისახება საწარმოს წარმოებრივ დანახარჯებში და მით უმეტეს სოციალურ ხარჯებში.

სოციალურ და წარმოებრივ ხარჯებს შორის სხვაობა ექსტერნალიებია, რომლებიც არღვევს წონასწორობას საზოგადოებას,ეკონომიკასა და ბუნებას შორის.

თანამედროვე პირობებში ბუნებრივი რესურსების სულ უფრო მეტი რაოდენობით წარმოებაში ჩართვის შედეგად იზრდება ექსტერნალიების უარყოფითი გავლენა საზოგადოებრივ განვითარებაზე. ეს მოვლენა განიხილება არა როგორც იშვიათი და გამონაკლისი შემთხვევა, არამედ როგორც პერმანენტული პროცესი, რომელიც მოითხოვს

სახელმწიფო ფინანსების საფუძველზე საზოგადოებრივი სექტორის აქტიურ ჩარევას.

ეკოლოგიური და სასურსათო საფრთხის თავიდან აცილებისა და ეკოლოგიური წონასწორობის აღდგენისათვის მიზანშეწონილია როგორც საკანონმდებლო–ადმინისტრაციული მეთოდების, ისე ეკონომიკური მექანიზმის გამოყენება. ამასთან, აუცილებელია ექსტერნალიების წარმოების დანახარჯებში ჩართვა იმ პრინციპით, რომ უნდა გადაიხადოს მან, ვინც უშუალოდ აბინძურებს გარემოს. ასეთი მექანიზმის დანერგვა გარემოს დაცვის პრობლემას გადააქცევს საწარმოს შიდა პრობლემად, რაც აიძულებს გადამხდელებს ეძებონ ეფექტიანი, ეკონომიკურად ხელსაყრელი მეთოდები გარე ეკონომიკური ხარჯების შემცირებისათვის. ეს შექმნის მაიძულებელ მოტივებს გარემოს დაბინძურების წინააღმდეგ. **სახელმწიფომ კი, როგორც საზოგადოების ინტერესების არბიტრმა, უნდა დაადგინოს ეკონომიკური განვითარების ეკოლოგიური და სასურსათო წარმოების საზღვრები.**

ის გარემოება, რომ ექსტერნალიები ამჟამად არ არის გათვალისწინებული წარმოების დანახარჯებში, მიუთითებს ისეთი მნიშვნელოვანი მაკროეკონომიკური მაჩვენებლების არასრულყოფილებაზე, როგორიცაა მთლიანი ეროვნული პროდუქტი და მთლიანი შიდა პროდუქტი. პარადოქსია, რომ ამ მაჩვენებლებში, რომლებიც საზოგადოების კეთილდღეობის უნივერსალურ საზომადაა მიჩნეული, არ არის გათვალისწინებული ეკონომიკური საქმიანობისა და, აქედან გამომდინარე, ეკონომიკური ზრდის პროცესში წარმოქმნილი ე.წ. „ბიოლოგიური კაპიტალის“ დანაკარგები. მეტიც, ეკოლოგიური დაბინძურების, მასთან დაკავშირებული კატასტროფების აღკვეთისათვის გაწეული ხარჯები კი

არ გამოიქვითება ამ მაკროეკონომიკური მაჩვენებლებიდან, არამედ, პირიქით, აისახება მათში, როგორც ეკონომიკური ზრდის კომპონენტები. **ამ თვალსაზრისით წინგადადგმული ნაბიჯია გაერთიანებული ერების ორგანიზაციის მიერ შემოღებული ადამიანის განვითარების ინდექსი, რომელიც, ეკონომიკურთან ერთად, ითვალისწინებს სოციალური ხასიათის პარამეტრებს**.

თანამედროვე პირობებში დასავლურ ეკონომიკურ ლიტერატურაში ფართო განვითარება პოვა ე.წ. **ეკოლოგიური ეკონომიკის** (ecological economics) კონცეფციამ. იგი ამჟამინდელი მძიმე ეკოლოგიური სიტუაციის თავისებური გამოძახილია. ეს კონცეფცია მხარს უჭერს ეკოლოგ–ეკონომიკური სისტემის შექმნის იდეას და მისი რეალიზაციისათვის გვთავაზობს ორ გზას: პირველი მიმართულების წარმომადგენლები მთელ ეკოსისტემას ეკონომიკური საქმიანობის შემადგენელ ნაწილად მიიჩნევენ და მოითხოვენ ბუნებრივი პროცესების უარყოფითი ეფექტებისგან წარმოქმნილი დანახარჯების ჩართვას ეკონომიკურ საქმიანობაში. მეორე მიმართულების წარმომადგენლები ეკოლოგიური პრობლემების მოგვარებას მეურნეობრიობის ტრადიციული მეთოდების გამოყენებას უკავშირებენ. მეორე მიმართულებამ მიიღო გარემოთი განპირობებული, **ენვაირონმენტალური დეტერმინიზმის** (environmental determinism) სახელწოდება. ეს არის ჰიპოთეზა, რომლის მიხედვით გარემო წარმოადგენს ქვეყნის ეკონომიკური განვითარების დონის მთავარ განმსაზღვრელ ფაქტორს. ეს განსაკუთრებით ეხება სუსტად განვითარებულ ქვეყნებს,სადაც კაპიტალის მიწოდების შეზღუდულობის, ახალი ტექნოლოგიების უქონლობისა და მწირი სამეწარმეო გამოცდილების გამო,ადგილობრივ ბუნებრივ რესურსებს უაღრესად დიდი მნიშვნელობა აქვთ

ქვეყნის ეკონომიკური განვითარებისათვის. ეკონომიკის განვითარების დაბალი დონე აიძულებს ამ ქვეყნებს მოახდინონ მოძველებული მოწყობილობებისა და ტექნოლოგიების იმპორტი, რომელთა გამოყენების გრძელვადიანი შედეგების შესახებ (კლიმატზე ზემოქმედებისა და გარემოს სხვა პარამეტრების გათვალისწინებით) ინფორმაციასაც კი არ ფლობენ. ამიტომ ასეთ ქვეყნებში იაფი სამუშაო ძალა და დაბალი საინვესტიციო შესაძლებლობები შრომატევადი ტექნოლოგიების გამოყენებას განაპირობებს. რაც შეეხება ალტერნატიულ ტექნოლოგიებს, რომლებიც იწვევენ გარემოს დაბინძურებას შედარებით დაბალი დონით, სამუშაო ძალის ექსპლუატაციის მაქსიმალურად გამორიცხვასა და ა.შ., ნაკლებად ხელმისაწვდომია ამ ქვეყნებისათვის. ადგილობრივი პრიმიტიული და იმპორტირებული მოძველებული ტექნოლოგიები ხელს უწყობს ეკოლოგიური კატასტროფების წარმოქმნასა და გარემოს დაბინძურებას.

დასავლეთის ქვეყნების მაღალ კაპიტალინტენსიურ და სუსტად განვითარებული ქვეყნების მოძველებულ ტექნოლოგიებს შორის არსებული შუალედური ტექნოლოგიების გამოყენების შესახებ 1915 წელს ლონდონში შეიქმნა სპეციალისტთა ჯგუფი, რომელმაც მიზნად დაისახა სუსტად განვითარებული ქვეყნებისათვის დახმარების პროგრამის შემუშავება და კონკრეტული პროექტების რეალიზაციაში ყურადღების გამახვილება შუალედურ ტექნოლოგიებზე.

წარმოიქმნა ეკონომიკური, ეკოლოგიური და სურსათის წარმოების პროცესების ინტეგრაციის იდეა, რომელიც XX საუკუნის უკანასკნელ ათწლეულში საფუძვლად დაედო მდგრადი განვითარების კონცეფციას. ამასთან დაკავშირებით, შეიქმნა გარემოს დაცვის საერთაშორისო კომისია, რომელმაც განსაზღვრა მდგრადი განვითარება როგორც

ეკონომიკის განვითარების მოდელი,რომლის მნიშვნელოვანი კომპონენტი,მყარ ეკონომიკურ ზრდასთან ერთად,ეკოლოგიური წონასწორობის დაცვაა. ეს კონცეფცია ოფიციალურად დამტკიცდა 1992 წელს გაეროს გარემოს დაცვისადმი მიძღვნილ კონფერენციაზე რიო-დე-ჟანეიროში. მსოფლიო სამიტის მიერ **მდგრადი განვითარების პროგრამაში** აღნიშნულია,რომ კაცობრიობის განვითარებამ მიაღწია გარკვეულ ზღვარს, რომლის იქითაც სამეურნეო საქმიანობით გამოწვეულ ბუნების დეგრადაციას,მსოფლიოს უთანაბრო განვითარების გაღრმავებას შეიძლება კაცობრიობისათვის შეუქცევადი შედეგები მოჰყვეს.

მდგრადი განვითარების პროგრამა განსაზღვრავს მსოფლიოს განვითარების მიმართულებებს ახალ ათასწლეულში, ითვალისწინებს მსოფლიო მეურნეობის სტრუქტურულ გარდაქმნას რესურსდამზოგველი ტექნოლოგიების განვითარების საფუძველზე, მსოფლიოს განვითარების ეკოლოგიური და სასურსათო წონასწორობის აღდგენასა და სოციალური პრობლემების გადაჭრის ეფექტიანი გზების ძიებას,სოციალურ–ეკონომიკური განვითარების ადეკვატური მაკრო მაჩვენებლების შექმნას. ამასთან დაკავშირებით, წინა პლანზე დადგა სოციალური პარტნიორობის საკითხი, სადაც მნიშვნელოვანი როლი სამართლიანობის პრინციპების რეალიზაციას დაეკისრა.

ეკოლოგიური და სასურსათო რეგულირება და,აქედან გამომდინარე, ეკონომიკური უსაფრთხოების უზრუნველყოფა ქვეყნის სოციალური ორიენტაციის მნიშვნელოვანი ფაქტორია. იგი განაპირობებს სახელმწიფო ფინანსებისა და მასთან დაკავშირებული ხარჯების ეკონომიასა და,აქედან გამომდინარე, ხელს უწყობს საზოგადოებრივი სექტორის ეკონომიკის განვითარებას.

ძირითადი ცნებები

ეკონომიკური უსაფრთხოება. ინკლუზიური ეკონომიკური ზრდა. მულტიპლიკაციური ეფექტი. „მანკიერი წრე“. პირველადი ბაზარი. მეორეული ბაზარი. ჯინის კოეფიციენტი. „ხაფანგის ეფექტი“. „სიღარიბის კულტურის ჰიპოთეზა“. „სტრუქტურული გარდაქმნების თეორია“. რესურსდაზოგველი ტექნოლოგია. ეკოლოგიური ეკონომიკის კონცეფცია. ეკოლოგიური უსაფრთხოება. სასურსათო უსაფრთხოება. ენვაირონმენტალური დეტერმინიზმი.

დასკვნა

1. ეკონომიკური უსაფრთხოება ეკონომიკური სისტემის ფუნქციონირების ხარისხის განმაზოგადებელი მაჩვენებელია,ქვეყნის ეკონომიკისა და მისი შემადგენელი ნაწილის – საზოგადოებრივი სექტორის ეკონომიკის განვითარების უმნიშვნელოვანესი ფაქტორია.

ეკონომიკური უსაფრთხოების პრობლემა ნებისმიერ პერიოდში იყო ყურადღების ცენტრში, მაგრამ განსაკუთრებულ აქტუალურობას XXI საუკუნეში იძენს, რასაც მსოფლიოში მიმდინარე ეკონომიკური მოვლენებისა და პროცესების მთელი კომპლექსი განაპირობებს;

2. XX საუკუნის 90-იანი წლებიდან მოყოლებული, პოსტკომუნისტურ სივრცეში,ეკონომიკური სისტემის შეცვლასთან დაკავშირებით,სოციალურ-ეკონომიკურ სფეროში წარმოქმნილმა რადიკალურმა პროცესებმა ეს პრობლემა არა მხოლოდ წინა პლანზე წამოსწია, არამედ ახალი შინაარსიც შესძინა.

ეკონომიკური უსაფრთხოება უშუალოდაა დაკავშირებული ეკონომიკის სტაბილურ განვითარებასთან, ინკლუზიური ეკონომიკური ზრდის პრობლემებთან. იგი იცავს

ეროვნულ ეკონომიკას (როგორც საბაზრო,ისე არასაბაზრო სექტორებს) იმ შიდა და გარე ნეგატიური ფაქტორებისგან, რომლებიც საფრთხეს უქმნიან ეკონომიკის მდგრად განვითარებას, რესურსული და ტექნოლოგიური პოტენციალის შენარჩუნებას,აქედან გამომდინარე კი,ქვეყნის ეკონომიკური დამოუკიდებლობისა და სახელმწიფოებრიობის განმტკიცებას;

3. ეკონომიკური უსაფრთხოების დაცვის გარეშე შეუძლებელია საზოგადოებრივი სექტორის ეკონომიკის განვითარება, აქედან გამომდინარე, ქვეყნის სოციალური ორიენტაციის უზრუნველყოფა;

4. ეკონომიკურ უსაფრთხოებას მნიშვნელოვანი როლი აკისრია საბაზრო მექანიზმის ეფექტიან ფუნქციონირებაში, **სახელმწიფო ფინანსების მართვისათვის ოპტიმალური პირობების შექმნაში,** ბაზრის სტიქიური ძალების აღკვეთაში, ინვესტიციების მოცულობისა და საინვესტიციო პორტფელის დივერსიფიკაციაში, საინვესტიციო „კლიმატის“ შექმნაში, საკუთრების პლურალიზმის დამკვიდრებაში;

5. ეკონომიკური უსაფრთხოების სტრატეგია არის ქვეყნის სტრატეგია მდგრადი და მუდმივად განვითარებადი ეკონომიკით, რომელიც ითვალისწინებს ქვეყნის ეკონომიკური მთლიანობისა და დამოუკიდებლობის შენარჩუნებას, ეკონომიკის სიცოცხლისუნარიანობის განმტკიცებას, საზოგადოების სოციალურ-ეკონომიკური სტაბილურობისათვის სათანადო პირობების შექმნას, რესურსული პოტენციალის თანამედროვე მოთხოვნათა დონეზე განვითარებას, საბაზრისთან ერთად, არასაბაზრო სექტორისა და, აქედან გამომდინარე, საზოგადოებრივი სექტორის ეკონომიკის განვითარებას;

6. ეკონომიკური უსაფრთხოების სტრატეგიაში განსაკუთრებული ადგილი **საზოგადოების სოციალურ**

დაცვას უჭირავს. მასში აისახება პიროვნების, საზოგადოებისა და სახელმწიფოს ინტერესები და იგი ქვეყანაში პოლიტიკური სტაბილურობის შენარჩუნების გარანტია. ეკონომიკურ უსაფრთხოებას დიდი როლი აკისრია ეკონომიკის სიცოცხლისუნარიანობის შენარჩუნებაში და აისახება ქვეყნის ცხოვრების დონეზე,გარემოს დაცვაზე,სამართალწესრიგზე, მეცნიერულ-ტექნოლოგიურ პოტენციალზე, დემოგრაფიულ მდგომარეობაზე, უმუშევრობასა და ა.შ.;

7. ეკონომიკური უსაფრთხოების შეფასების ხარისხი ეკონომიკურ ინდიკატორებში აისახება, რომლებიც სამ ჯგუფად იყოფა: 1). ეკონომიკის სოციალური ორიენტირებულობის ინდიკატორები; 2). მიმდინარე და საშუალოვადიან პერიოდებში ეკონომიკური განვითარების ინდიკატორები; 3). ეროვნული ეკონომიკის მდგრადი განვითარების დონის ამსახველი ინდიკატორები;

8. **ეკონომიკის სოციალური ორიენტირებულობის ინდიკატორები** აერთიანებს ისეთ მაჩვენებლებს,როგორიცაა: მოსახლეობის სოციალური დაცვის თვალსაზრისით სამომხმარებლო კალათის სტრუქტურის ზღვრული ნორმის განსაზღვრა; საარსებო მინიმუმისა და სამომხმარებლო კალათის თანაფარდობა; მინიმალური ხელფასისა და საარსებო მინიმუმის თანაფარდობა; საარსებო მინიმუმზე დაბალი შემოსავლების მქონე მოსახლეობის წილი მოსახლეობის მთლიან რიცხოვნობაში; პენსიებისა და საარსებო მინიმუმის თანაფარდობა; დაქირავებით დასაქმებულთა შრომის ანაზღაურების წილი მოსახლეობის მთლიან შემოსავლებში; ბუნებრივი კატასტროფებისა და ეკოლოგიური დაბინძურების ზონებში მცხოვრებთა წილი მოსახლეობის მთლიან რიცხოვნობაში; სოციალურ პროგრამებზე გაწეული ხარჯების წილი მთლიან შიდა პროდუქტში;

ჯინის კოეფიციენტი; შემოსავლების დიფერენციაციის დეცილური კოეფიციენტი; შემოსავლებისა და მოხმარების მკვეთრი დიფერენციაცია; მოხმარების საშუალო ნორმის შემცირების საფუძველზე კვების სტრუქტურის გაუარესება; სიღარიბის ზრდა იმ პირთა აბსოლუტური და შეფარდებითი გადიდებით,რომელთა შემოსავლები საარსებო მინიმუმზე დაბალია;

9. ეკონომიკურ უსაფრთხოებაზე გავლენას ახდენს ქვეყანაში მიმდინარე როგორც კონსტრუქციული, ისე დესტრუქციული ხასიათის პროცესები. კონსტრუქციული პროცესები ხელს უწყობს საზოგადოებრივი ინტერესების რეალიზაციას და ეკონომიკურ უსაფრთხოებაზე მოქმედ პოზიტიურ ფაქტორებში აისახება, ხოლო დესტრუქციული პროცესები ეწინააღმდეგება საზოგადოების ინტერესებს და ეკონომიკურ უსაფრთხოებაზე მოქმედ ნეგატიურ ფაქტორებში აისახება;

10. ეკონომიკურ უსაფრთხოებაზე მოქმედი ფაქტორები ორ ჯგუფად იყოფა: I ჯგუფში შედის: ეკონომიკური უსაფრთხოება მშვიდობიან პერიოდში,საომარი მზადების პირობებში, საომარ პირობებში, ომისშემდგომ პერიოდში, ლოკალური კონფლიქტების პირობებში, სტიქიური უბედურებების შედეგების აღკვეთის პირობებში. II ჯგუფში შედის: ეკონომიკური უსაფრთხოება ეკონომიკური ზრდის მკვეთრი დაცემის პირობებში,საზოგადოებრივი სექტორის ეკონომიკის განვითარების დაბალი დონის პირობებში,ადგილობრივი ნედლეულის ზღვარსგადასული ექსპორტის პირობებში,ექსპორტ-იმპორტის თანაფარდობის ზღვრული მნიშვნელობიდან ფაქტობრივი მნიშვნელობის მკვეთრი გადახრის პირობებში,საგარეო-ეკონომიკური ურთიერთობების მკაცრი შეზღუდვის პირობებში,წარმოების დაცემისა და მისგან წარმოქმნილი ნეგატიური მოვლენების პირობებში,

საშინაო ბაზრის უცხოური საქონლით გაჯერებისა და „დაპყრობის“ პირობებში, ეკონომიკის კრიმინალიზაციისა და საგარეო ბაზრების დაკარგვის პირობებში;

11. ქვეყნის ეკონომიკური მდგომარეობის შეფასება თუ ეროვნული და არა კომპრადორული ინტერესების მატარებელია, მაშინ მას უდიდესი როლი აკისრია ეროვნული დამოუკიდებლობის შენარჩუნების თვალსაზრისით. იგი მოიცავს არა მხოლოდ რესურსული პოტენციალისა და ეკონომიკის კონკურენტუნარიანობის შეფასებას, არამედ სოციალური სტაბილურობის,სოციალური კონფლიქტების დაძლევის შესაძლებლობების,უცხოური ვალუტის შეუზღუდავი შემოდინებით გამოწვეული შედეგების შეფასებასაც;

12. თანამედროვე საბაზრო სისტემის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი თავისებურება – ახალ თვისებრივ ზრდაზე გადასვლა ეფუძნება იმ კრიტერიუმებს,რომლებიც იძლევა ქვეყნის ეკონომიკური პოტენციალის თვისებრივ დახასიათებას,ძირითადად აისახება კრებსით ინდექსში – სოციალურ ინდიკატორებში და უდიდეს გავლენას ახდენს არა მხოლოდ ცხოვრების დონეზე,არამედ ცხოვრების ხარისხზეც,აქედან გამომდინარე კი, საზოგადოებრივი სექტორის ეკონომიკის განვითარებაზე;

13. ეკონომიკური უსაფრთხოების კრიტერიუმებია: ეკონომიკის დამანგრეველი პროცესების, სტრუქტურული და ინსტიტუციური დეფორმაციების თავიდან აცილების შესაძლებლობები, ქვეყნის ბუნებრივ-რესურსული და მეცნიერულ-ტექნოლოგიური პოტენციალის გამოყენების დონე და ხარისხი,სოციალურ-ეკონომიკური ეფექტიანობის ზრდა,ცხოვრების დონის ამაღლება და ხარისხის მკვეთრი გაუმჯობესება, დანაკარგებისა და რისკების მინიმიზაცია, კონკურენტუნარიანი საქონლისა და მომსახურების წარ-

მოების ზრდა,მოსალოდნელი კატასტროფული პროცესების არდაშვება,არაკვლავწარმოებადი ბუნებრივი რესურსების უპირატესი გამოყენებიდან კვლავწარმოებადი ბუნებრივი რესურსების უპირატეს გამოყენებაზე გადასვლის ტექნოლოგიური უზრუნველყოფა და ა.შ. ზღვრულ სიდიდეებზე მაღალი ფაქტობრივი პარამეტრები დიდი რისკის შემცველია, რომელთა არგათვალისწინებას გამოუსწორებელი შედეგები მოაქვს მოცემული ქვეყნისთვის,იწვევს დიდ სოციალურ-ეკონომიკურ დანაკარგებს და უარყოფით გავლენას ახდენს საზოგადოებრივი სექტორის ეკონომიკის განვითარებაზე;

14. ქვეყნის ეკონომიკური უსაფრთხოების უზრუნველყოფაზე არაპირდაპირი გზით უდიდეს გავლენას ახდენს ბუნებათსარგებლობის პრობლემები. ეკოლოგიური უსაფრთხოების გლობალური მნიშვნელობის ეს პრობლემები მსოფლიოს ეკონომიკური უსაფრთხოების შემადგენელი ნაწილი და ზოგადსაკაცობრიო პრიორიტეტული მიმართულებაა. თანამედროვე პირობებში ბუნებრივი რესურსების სულ უფრო მეტი რაოდენობით წარმოებაში ჩართვის შედეგად იზრდება ექსტერნალიების უარყოფითი გავლენა საზოგადოებრივ განვითარებაზე. ეს მოვლენა განიხილება არა როგორც იშვიათი და გამონაკლისი შემთხვევა, არამედ როგორც პერმანენტული პროცესი, რომელიც მოითხოვს სახელმწიფოს აქტიურ ჩარევას;

15. ეკოლოგიური და სასურსათო საფრთხის თავიდან აცილებისა და ეკოლოგიური წონასწორობის აღდგენისათვის მიზანშეწონილია როგორც საკანონმდებლო–ადმინისტრაციული მეთოდების, ისე ეკონომიკური მექანიზმების გამოყენება. ამასთან, აუცილებელია ექსტერნალიების ჩართვა წარმოების დანახარჯებში იმ პრინციპით, რომ უნდა გადაიხადოს მან, ვინც უშუალოდ აბინძურებს გარემოს. ასეთი მექანიზმის დან-

ერგვა გარემოს დაცვის პრობლემას გადააქცევს საწარმოს შიდა პრობლემად, რაც აიძულებს გადამხდელებს ეძებონ ეფექტიანი, ეკონომიკურად ხელსაყრელი მეთოდები გარე ეკონომიკური ხარჯების შემცირებისათვის. ეს შექმნის მაიძულებელ მოტივებს გარემოს დაბინძურების წინააღმდეგ. სახელმწიფომ კი, როგორც საზოგადოების ინტერესების არბიტრმა, უნდა დაადგინოს ეკონომიკური განვითარების ეკოლოგიური და სასურსათო წარმოების საზღვრები;

16. ის გარემოება, რომ ექსტერნალიები ამჟამად არ არის გათვალისწინებული წარმოების დანახარჯებში,მიუთითებს ისეთი მნიშვნელოვანი მაკროეკონომიკური მაჩვენებლების არასრულყოფილებაზე, როგორიცაა მთლიანი ეროვნული პროდუქტი და მთლიანი შიდა პროდუქტი. ამ მაჩვენებლებში არ არის გათვალისწინებული ეკონომიკური საქმიანობისა და ეკონომიკური ზრდის პროცესში წარმოქმნილი ე.წ. „ბიოლოგიური კაპიტალის“ დანაკარგები. მეტიც,ეკოლოგიური და სურსათის დაბინძურების,მათთან დაკავშირებული კატასტროფების ლიკვიდაციისათვის გაწეული ხარჯები კი არ გამოიქვითება ამ მაკროეკონომიკური მაჩვენებლებიდან, არამედ, პირიქით, აისახება მათში, როგორც ეკონომიკური ზრდის კომპონენტები. ამ თვალსაზრისით წინგადადგმული ნაბიჯია გაერთიანებული ერების ორგანიზაციის მიერ შემოღებული ადამიანის განვითარების ინდექსი,რომელიც, ეკონომიკურთან ერთად,ითვალისწინებს სოციალური ხასიათის პარამეტრებს;

17. თანამედროვე პირობებში დასავლურ ეკონომიკურ ლიტერატურაში ფართო განვითარება პოვა **ეკოლოგიური ეკონომიკის კონცეფციამ**. იგი ითვალისწინებს ეკოლოგ–ეკონომიკური სისტემის შექმნის იდეას და გვთავაზობს ორ გზას: პირველი მიმართულების წარმომადგენლები

მოითხოვენ ბუნებრივი პროცესების უარყოფითი ეფექტებისგან წარმოქმნილი დანახარჯების ჩართვას ეკონომიკურ საქმიანობაში; მეორე მიმართულების წარმომადგენლები ეკოლოგიური პრობლემების მოგვარებას მეურნეობრიობის წარმართვის მეთოდების გამოყენებას უკავშირებენ. მეორე მიმართულებამ მიიღო **ენვაირონმენტალური დეტერმინიზმის** სახელწოდება. ეს არის ჰიპოთეზა, რომლის მიხედვით გარემო წარმოადგენს ქვეყნის ეკონომიკური განვითარების დონის მთავარ განმსაზღვრელ ფაქტორს. სუსტად განვითარებულ ქვეყნებში, სადაც კაპიტალის მიწოდების შეზღუდულობის, ახალი ტექნოლოგიების უქონლობისა და მწირი სამეწარმეო გამოცდილების გამო, ადგილობრივ ბუნებრივ რესურსებს უაღრესად დიდი მნიშვნელობა აქვთ ქვეყნის ეკონომიკური განვითარებისათვის. ეკონომიკის განვითარების დაბალი დონე აიძულებს ამ ქვეყნებს მოახდინონ მოძველებული მოწყობილობებისა და ტექნოლოგიების იმპორტი, რომელთა გამოყენების გრძელვადიანი შედეგების შესახებ ინფორმაციასაც კი არ ფლობენ. ამიტომ ასეთ ქვეყნებში იაფი სამუშაო ძალა და დაბალი საინვესტიციო შესაძლებლობები შრომატევადი ტექნოლოგიების გამოყენებას განაპირობებს. ადგილობრივი პრიმიტიული და იმპორტირებული მოძველებული ტექნოლოგიები ხელს უწყობს ეკოლოგიური კატასტროფების წარმოქმნასა და გარემოს დაბინძურებას;

18. დასავლეთის ქვეყნების მაღალ კაპიტალისტურად და სუსტად განვითარებული ქვეყნების მოძველებულ ტექნოლოგიებს შორის არსებული შუალედური ტექნოლოგიების გამოყენების შესახებ 1915 წელს ლონდონში შეიქმნა სპეციალისტთა ჯგუფი, რომელმაც მიზნად დაისახა სუსტად განვითარებული ქვეყნებისათვის დახმარების პროგრამის შემუშავება

და კონკრეტული პროექტების რეალიზაციაში ყურადღების გამახვილება შუალედურ ტექნოლოგიებზე.

წარმოიქმნა ეკონომიკური, ეკოლოგიური და სურსათის წარმოების პროცესების ინტეგრაციის იდეა, რომელიც XX საუკუნის უკანასკნელ ათწლეულში საფუძვლად დაედო მდგრადი განვითარების კონცეფციას. იგი ოფიციალურად დამტკიცდა 1992 წელს გაეროს გარემოს დაცვისადმი მიძღვნილ კონფერენციაზე რიო–დე–ჟანეიროში;

19. **მდგრადი განვითარების პროგრამა** განსაზღვრავს მსოფლიოს განვითარების მიმართულებებს ახალ ათასწლეულში, ითვალისწინებს მსოფლიო მეურნეობის სტრუქტურულ გარდაქმნას რესურსდამზოგველი ტექნოლოგიების განვითარების საფუძველზე, მსოფლიოს განვითარების ეკოლოგიური და სასურსათო წონასწორობის აღდგენასა და სოციალური პრობლემების გადაჭრის ეფექტიანი გზების ძიებას. წინა პლანზე დადგა **სოციალური პარტნიორობის** საკითხი, სადაც მნიშვნელოვანი როლი სამართლიანობის პრინციპების რეალიზაციას დაეკისრა;

20. ეკოლოგიური და სასურსათო რეგულირება და,აქედან გამომდინარე,ეკონომიკური უსაფრთხოების უზრუნველყოფა ქვეყნის სოციალური ორიენტაციის მნიშვნელოვანი ფაქტორია. იგი განაპირობებს სახელმწიფო ფინანსებისა და მასთან დაკავშირებული ხარჯების ეკონომიასა და,აქედან გამომდინარე, ხელს უწყობს საზოგადოებრივი სექტორის ეკონომიკის განვითარებას.

IX თავი

გლობალიზაციის ეპოქალური პროცესი ახალი გამოწვევების წინაშე და მისი როლი ეკონომიკის სოციალურ ორიენტაციაში

გლობალიზაცია – კაცობრიობის განვითარების თვისებრივი ნახტომი. გლობალიზაციის პოზიტიური ეფექტები და მათი გავლენა სოციალურად ორიენტირებული საბაზრო ეკონომიკის სოციალურ საბაზრო ეკონომიკად გარდაქმნაში. გლობალიზაციის KOF-ინდექსი – სოციალური გლობალიზაციის ხარისხის მაჩვენებელი. გლობალიზაცია და კეთილდღეობის სახელმწიფოს პოლიტიკა.

IX.1. გლობალიზაცია – კაცობრიობის განვითარების თვისებრივი ნახტომი

XX საუკუნის 60-იანი წლებიდან მსოფლიოში დაწყებულმა სისტემურმა პროგრესულმა ცვლილებებმა მნიშვნელოვნად შეუწყო ხელი გლობალიზაციის წარმოშობას.[1] თანამედროვე პირობებში გლობალიზაცია,როგორც ცივილიზაციის ერთ-ერთი ძირითადი თავისებურება, უდიდეს როლს ასრულებს მსოფლიო ეკონომიკაში და,გარკვეულ-

[1] **ასათიანი რ.** გლობალიზაცია,ეკონომიკური თეორია და საქართველო. თბილისი, გამომცემლობა „სიახლე“, 2010; **ასათიანი რ.** საქართველოს მდგრადი განვითარების ზოგიერთი ასპექტი გლობალიზაციის კონტექსტში. „გლობალიზაცია და საქართველოს მდგრადი განვითარების პერსპექტივები“. I საერთაშორისო კონფერენციის მასალები. 22-24 ოქტომბერი, 2008. თბილისი, „თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა“, 2008; **Asatiani R.** The Phenomenon of Globalization and its Influence on National Economics. “The Caucasus & Globalization”. Vol 1(3), Sweden, 2007; **ასათიანი რ.** გლობალიზაცია და საქართველოს სოციალურ-ეკონომიკური განვითარების ზოგიერთი ასპექტი. „ეკონომიკა“,თსუ შრომები. 2003,№3-4.

წილად, განსაზღვრავს მსოფლიო პოლიტიკას. ამასთან, დღეს გლობალურ პროცესებზე მნიშვნელოვნადაა დამოკიდებული საზოგადოებრივი ცხოვრების გარკვეული ნაწილი და ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური განვითარებაც. ამიტომ გლობალიზაცია, თავისი პოზიტიური და ნეგატიური ეფექტებით,მეთოდოლოგიურ ასპექტში გაანალიზებასა და განზოგადებას მოითხოვს.

XX საუკუნის 80-იან წლებში გლობალიზაცია ფრაგმენტაციის საწინააღმდეგო ტერმინად მოგვევლინა და პირველად ამერიკელმა თეოდორ ლევიტმა ცალკეული ბაზრების შერწყმის პროცესის ასახსნელად გამოიყენა.[2] სულ მოკლე ხანში გლობალიზაციამ ფართო მნიშვნელობა შეიძინა და საზოგადოებრივი საქმიანობის ყველა სფერო მოიცვა.[3] 1990 წელს ეს პრობლემა განიხილა იაპონელმა კ. ომემ,[4] ხოლო 1999 წელს იგი ფართო მსჯელობის თემა იყო დავოსის მსოფლიო ეკონომიკურ ფორუმზეც.[5]

გლობალიზაცია, ჯერ კიდევ, XIX საუკუნის შუახანების იდეის – თავისუფალი ვაჭრობის რეალიზაციას ახდენს. ტრანსეროვნული კომპანიები და კაპიტალის მსოფლიო ბაზრები ათავისუფლებენ ბიზნესს პოლიტიკური შეზღუდვებისაგან, რითაც ბაზარს სულ უფრო მეტ თავისუფლებას ანიჭებენ. ამასთან, სწრაფი ტემპით მიმდინარეობს ბიზნეს–საქმიანობის ინტერნაციონალიზაციაც. მმართველობის ავტოკრატიული ფორმიდან რიგმა ქვეყნებმა დემოკრატიულისკენ აიღეს გეზი. **დღეს დემოკრატია**

---

[2] **Levitt T.** International Business, the Challenge of Global Competition. “Harvard Business Review”, McGraw-Hill, 2008, p. 13.

[3] Globalization : Knowledge and Society. London, “Sage”, 1990.

[4] **Ohmae K.** The Borderless World: Power and Strategy in the Interlinked Economy.London, “Fontana”, 1990.

5 http://globalization.kof.ethc.ch/ **Asatiani R.** Globalization and Economic Theory. “The Caucasus & Globalization”. Volum 2(1), Sweden, 2008.

უნივერსალურ იდეოლოგიადაა აღიარებული. ამიტომ „არადემოკრატიული რეჟიმები“ ქრონიკული ეკონომიკური ჩამორჩენილობის მაჩვენებლად ითვლება.

გლობალიზაციამ, როგორც თანამედროვე მსოფლიო განვითარების მნიშვნელოვანმა ტენდენციამ, უკანასკნელ პერიოდში, საერთაშორისო ეკონომიკური ურთიერთობებისა და ინტეგრაციის გაღრმავების საფუძველზე, კანონზომიერი ხასიათი მიიღო. იგი თავისი არსით, უნივერსალურია და, უპირველეს ყოვლისა, **მსოფლიოს ახალი წესრიგისა და სამოქალაქო საზოგადოების ჩამოყალიბებას გულისხმობს, აქედან გამომდინარე, პოზიტიურ გავლენას ახდენს საზოგადოებრივი სექტორის ეკონომიკის განვითარებაზეც.**

გლობალიზაცია არა მხოლოდ აახლოვებს ქვეყნებს ერთმანეთთან, არამედ ურთიერდამოკიდებულსაც ხდის. იგი ხელს უწყობს და აჩქარებს ცალკეულ ქვეყნებში ღია საზოგადოებების ჩამოყალიბებას*, მსოფლიო მასშტაბით რესურსების ეფექტიან გამოყენებას, საქონლისა და მომსახურების

---

* ტერმინი „**ღია საზოგადოება**“ პირველად გამოიყენა ფრანგმა ფილოსოფოსმა, ნობელის პრემიის ლაურეატმა **ანრი ბერგსონმა** წიგნში - „რელიგიისა და მორალის ორი წყარო“ (1932). ღია საზოგადოების ჩამოყალიბების იდეა შემდეგ განავითარა ცნობილმა ავსტრო-ინგლისელმა ფილოსოფოსმა **კარლ პოპერმა** წიგნში – „ღია საზოგადოება და მისი მტრები“ (1966). ა. ბერგსონი ცნობდა ორი ტიპის საზოგადოებას და,შესაბამისად,ორი ტიპის მორალს: „ჩაკეტილსა“ და „ღიას“. მისი აზრით, პირველი აკმაყოფილებს სოციალური ინსტიქტის მოთხოვნილებებს და მიზნად ისახავს მოდგმის გადარჩენას,რომლის პირობებშიც პიროვნება არის კოლექტივის მსხვრპლი,მეორე კი უკავშირდება ზნეობრივ ფასეულობებს, რომელიც მოდგმის გადარჩენის,მისი შენარჩუნების ინტერესებზე მაღლაა. **Lindsay A.** The philosophy of Bergson. Wasb.- N.Y., 1968, pp. 40-45. კ. პოპერმა „ღია“„ჰუმანური“ საზოგადოება დაუპირისპირა „ჩაკეტილ“„ტოტალიტარულ“ საზოგადოებას. ამ უკანასკნელს იგი, ანტიკომუნისტური პოზიციებიდან, მიაკუთვნებდა XX საუკუნის სოციალისტურ საზოგადოებას. **Корнфорт М.** Открытая философия и открытое общество. Перевод с английского. М., 1972, с. 72.

თავისუფალ გაცვლას, პარტნიორული ურთიერთობების წინა პლანზე წამოწევას,ჩამორჩენილი ქვეყნების გასვლას მსოფლიოს კულტურულ გზაზე, ცხოვრების დონისა და ხარისხის ამაღლებას,ეროვნულ კულტურათა ურთიერთგამდიდრებას, მეცნიერების მიღწევების მოკლე ვადებში დანერგვას,რესურსდამზოგველი და უნარჩენო ტექნოლოგიების ფართოდ გავრცელებას,ინფორმაციული საუკუნის პირმშოს – ინტელექტუალური კაპიტალის, როგორც თანამედროვე ეპოქაში განვითარების კრიტერიუმის, წარმოჩენას, ინტერნეტული ქსელისა და,საერთოდ,საინფორმაციო ინდუსტრიის სწრაფ განვითარებას,კაპიტალის თავისუფალ მოძრაობასა და, განსაკუთრებით, ფინანსური კაპიტალის მობილურობის არნახულ ზრდას, რაც უშუალო გავლენას საზოგადოებრივი სექტორის ეკონომიკის განვითარებაზე ახდენს.

გლობალიზაციას განსაკუთრებული წვლილი მიუძღვის საერთაშორისო სამართლისა და ინსტიტუტების განმტკიცებაში. ჯ. სოროსი გამოთქვამს მოსაზრებას იმის შესახებ, რომ, თუმცა დღეს მსოფლიოში არ არის დემოკრატიის ტრიუმფი, გლობალური ეკონომიკის დიდი დამსახურებაა მნიშვნელოვანი ნაბიჯების გადადგმა მსოფლიო დემოკრატიის დამკვიდრებაში.[6] ამიტომ თავის მასშტაბებიდან და ფუნქციებიდან გამომდინარე, ძალზე მნიშვნელოვანია, რამდენად მართული იქნება ეს ყოვლისმომცველი, მრავალწახნაგოვანი და წინააღმდეგობებით სავსე ფენომენი. წინააღმდეგ შემთხვევაში გლობალიზაციას დიდი ზიანის მოტანა შეუძლია კაცობრიობისათვის.

მესამე ათასწლეულის დასაწყისში გლობალიზაცია მკვეთრად დიფერენცირებულია, ხასიათდება შინაგანი წინააღმდეგობებით,რომლებიც უპირატესად სუსტად განვითა-

[6] **Сорос Дж**. Открытое общество: реформируя глобальный капитализм. Перевод с английского. М., 2001.

რებულ ქვეყნებში გამოვლინდება. ამიტომ **გართულებულია განვითარებად ქვეყნებში ეკონომიკის მართვის დამოუკიდებელი სტრატეგიის განხორციელება, მითუმეტეს სახელმწიფო ფინანსების სფეროში. განსაკუთრებით ნაკლებად ავტონომიურია ტრანზიტული, გარდამავალი ეკონომიკის მქონე ქვეყნები.** მათ სულ უფრო ნაკლები ექსკლუზიური კონტროლი აქვთ საკუთარ ტერიტორიაზე მიმდინარე სოციალურ-ეკონომიკურ პროცესებზე, რის გამოც შეზღუდულია და სახეშეცვლილია ამ ქვეყნებში ეკონომიკური სუვერენიტეტი. მათი ეკონომიკური პოლიტიკა სულ უფრო „გრილდება", ხოლო ეროვნული თავისებურებებისა და ტრადიციების შენარჩუნების შესაძლებლობები მცირდება.

ინვესტიციები და ფინანსური ნაკადები განვითარებულ ქვეყნებშია კონცენტრირებული,განვითარებადი სამყარო კი ინვესტიციების დიდ ნაკლებობას განიცდის.

დღეს წამყვან, განვითარებულ ქვეყნებს დომინანტური პოზიცია უკავიათ ახალი მსოფლიო წესრიგის განსაზღვრის საქმეში,მაშინ,როდესაც მცირე, განსაკუთრებით ტრანზიტულ ქვეყნებს გლობალური სისტემის მუნიციპალიტეტებად აღიქვამენ.[7] აღნიშნულმა ტენდენციამ უკვე კანონზომიერი ხასიათი მიიღო, რაზეც უდიდეს ზეგავლენას ახდენს მსოფლიო ეკონომიკის ინსტიტუციონალიზაციის პროცესი.

ცნობილია, რომ ამერიკის შეერთებულ შტატებს მსოფლიოში თანაბარი სიძლიერის კონკურენტები არ ჰყავს. არც ევროკავშირსა და არც იაპონიას არ შეუძლიათ ამ როლის შესრულება. დღეს მცირე ქვეყნების ეკონომიკური პოლიტიკა მსოფლიო ბაზრების ძალებმა დაჩრდილა. მათ არ შეუძლიათ ეკონომიკურ და სოციალურ შედეგებზე განსაკუთრებული გავლენის მოხდენა.[8] ამიტომ აშშ-ზე

[7] **Ohmae K.** The rise of the region State. Forreign Affairs, Spring. 1993, pp. 78-87.

მნიშვნელოვნად არის დამოკიდებული განვითარებადი და ტრანზიტული ქვეყნების ეკონომიკური პოლიტიკა და, აქედან გამომდინარე, მათი ეკონომიკური განვითარება. ამის დასტურია თუნდაც ის, რომ XX საუკუნის 80-იანი წლების შუა პერიოდში შეიქმნა ამერიკული დოქტრინა „ნეოგლობალიზმი". იგი ცნობილია „რეიგანის დოქტრინის" სახელწოდებით და ითვალისწინებს აშშ-ის გავლენას „მესამე სამყაროს" ქვეყნებზე.

გლობალიზაციის გამოვლენის ნათელი მაგალითია 2008 წელს მსოფლიოში და, პირველ ყოვლისა, აშშ-ში განვითარებული მოვლენები. მსოფლიოში, როდესაც შეიქმნა ახალი „დიდი დეპრესიის" წარმოქმნის საშიშროება, სსფ-ის მეთაურმა **დომინიკ სტროს-კანმა** სსფ-ისა და მსოფლიო ბანკის ხელმძღვანელთა მორიგ სესიაზე ვაშინგტონში განაცხადა, რომ მაშინ, როდესაც აშშ-ში დიდი იყო მოლოდინი მსოფლიო ეკონომიკური კრიზისის დაწყებისა, იმ პერიოდში „ვაშინგტონის კონსენსუსი" აყალიბებდა სავალუტო და საგადასახადო პოლიტიკის კონკრეტულ წესებს და ამტკიცებდა, რომ სახელმწიფო კონტროლის აკრძალვა სტიმულს მისცემდა ეკონომიკურ ზრდას. მაგრამ ამ პოლიტიკაზე დაყრდნობით, თავისუფალმა და უკონტროლო ბაზარმა ვერავითარი პოზიტიური ეფექტი ვერ შექმნა. „ვაშინგტონის კონსენსუსი" თავისი ესოდენ გამარტივებული ხედვითა და რეცეპტებით ჩამოიშალა, დაინგრა მსოფლიო ეკონომიკური კრიზისის დროს და უკან დარჩა – აღნიშნა სტროს-კანმა.[9]

დღეს მსოფლიოშო ეკონომიკური სიტუაცია ძალზე რთულია, ამიტომ დ. სტროსკანის აზრით, საჭიროა ახალი მიდგომები როგორც ეკონომიკურ, ისე სოციალურ პოლიტი-

[8] **ჰერსტი პ., ტომპსონი ბ.** გლობალიზაცია. კრიტიკული ანალიზი. თარგმანი ინგლისურიდან. თბილისი, „დიოგენე", 2005, გვ. 303.

[9] http://ng.ru/economics/200-04-06/1-globalizm.html

კაში, მთელ მსოფლიოში, საერთაშორისო არენაზე თუ ცალკეულ ქვეყნებში. დასავლეთმა აღიარა,რომ ქვეყნებმა უნდა შეზღუდონ საშიში სპეკულაციური კაპიტალის მოზღვავება და გაზარდონ კაპიტალის მიგრაციის სტიმულირება, რათა შეაღწიოს იმ ქვეყნებში,რომლებიც ადრე განიცდიდა კაპიტალის ნაკლებობას. დღეს, ასეთ ვითარებაში განვითარებადი ქვეყნები ცდილობენ თავი აარიდონ სარისკო ოპერაციებს,განვითარებულმა ქვეყნებმა კი ანგარიში უნდა გაუწიონ განვითარებად ქვეყნებს.[10]

„ვაშინგტონის კონსენსუსმა“ ქვეყნებს შესთავაზა შემდეგი უნივერსალური ღონისძიება: საბიუჯეტო დისციპლინა, მიმართული ბიუჯეტის დეფიციტის შემცირებაზე, კაპიტალის თავისუფალ გადაადგილებასა და ინფლაციის შემცირებაზე,პირდაპირი უცხოური ინვესტიციების წახალისებაზე,ეკონომიკის დარეგულირებასა და გადასახადების ზღვრული განაკვეთების შემცირებაზე.

სსფ-ის ხელმძღვანელმა განაცხადა, რომ მსოფლიო ფინანსურმა კრიზისმა გვიჩვენა, რომ ამ ღონისძიებებმა ვერ გაამართლა და ფინანსური სექტორი რეგულირების თვალსაზრისით საჭიროებს სერიოზულ ქირურგიულ ჩარევას. ეკონომიკური ზრდით მიღებული სიკეთე ფართოდ უნდა გავრცელდეს არა მხოლოდ პრივილეგიურ ნაწილში, მას უნდა ჰქონდეს ინკლუზიური ხასიათი.[11]

შეიქმნა მეორე „დიდი დეპრესიის“ წარმოქმნის საშიშროება. სსფ და სხვა საერთაშორისო ორგანიზაციები ალაპარაკდნენ ეკონომიკის სახელმწიფო რეგულირების გაძლიერების აუცილებლობაზე,შემოსავლების სამართლიან და არა საბაზრო მეთოდებით განაწილებაზე.

---

[10] http://ng.ru/economics/200-04-06/1-globalizm.html

[11] იქვე.

IX.2. გლობალიზაციის პოზიტიური ეფექტები და მათი გავლენა სოციალურად ორიენტირებული საბაზრო ეკონომიკის სოციალურ საბაზრო ეკონომიკად გარდაქმნაზე

მიუხედავად ზემოაღნიშნულისა,გლობალიზაციისაგან გვერდზე გადგომა დღეს შეუძლებელიცაა და იგი ქვეყნის იზოლაციაში ყოფნას ნიშნავს, ვინაიდან ამ ეპოქალურ პროცესს,ნეგატიურთან ერთად,აქვს უაღრესად პოზიტიური ეფექტები. იგი არა მხოლოდ აახლოებს ქვეყნებს ერთმანეთთან,არამედ ანგრევს ჩაკეტილ,ტოტალიტარულ რეჟიმებსა და ეკონომიკებს,აფართოებს ქვეყნების პარტნიორულ ურთიერთობებს, სწრაფი ტემპით ახდენს ბიზნეს-საქმიანობის ინტერნაციონალიზაციას,აყალიბებს ისეთ ბიზნეს-გარემოს, რომელიც შესაძლებლობას აძლევს კომპანიებს სწრაფად დანერგონ სიახლეები, ბიზნესს სულ უფრო მეტად ათავისუფლებს პოლიტიკური შეზღუდვებისაგან, რითაც მეტ თავისუფლებას ანიჭებს ბაზრებს და ა.შ. **ყოველივე ეს პოზიტიურ გავლენას ახდენს სახელმწიფო ფინანსების ზრდასა და „მესამე სექტორის“ განვითარებაზე, აქედან გამომდინარე კი, საზოგადოებრივი სექტორის ფუნქციონირებაზე.**

თანამედროვე მსოფლიო განვითარების ერთ–ერთი მთავარი ამოცანაა გლობალური და ლოკალური პროცესების ურთიერთშეხამება და ინტეგრაცია. ამისთვის კი აუცილებელია კონფრონტაციული განვითარებიდან („საჩვენებელი თითის“ პრინციპი) კომპრომისულ განვითარებაზე („ცერა თითის“ პრინციპი) გადასვლა, შრომის საერთაშორისო დანაწილებაში ეროვნული თავისებურებების გათვალისწინება, საბაზრო და არასაბაზრო ურთიერთობებისა და ინსტიტუტების თანაფარდობის ოპტიმიზაცია და ა.შ. განსაკუთრებულ ყურადღებას იპყრობს მდგრადი და უსაფრთხო

განვითარების სტრატეგიის შემუშავება ცალკეული რეგიონებისა და ქვეყნებისათვის. **ყოველივე ეს ნებისმიერ ქვეყანაში არაპირდაპირი გზით უდიდეს გავლენას ახდენს საზოგადოებრივი სექტორის ეკონომიკის განვითარებაზე.**

ინდუსტრიული საზოგადოების გადაზრდამ პოსტინდუსტრიულში, მსოფლიო განვითარებასთან ერთად, ახალი ბიძგი მისცა და დააჩქარა გლობალიზაციის პროცესი. **კაცობრიობის განვითარების ამ თვისებრივ ნახტომში ყველაზე მნიშვნელოვანი იყო ის, რომ მან ბიძგი მისცა ეკონომიკის სოციალურ ორიენტაციას.** აღსანიშნავია ისიც,რომ გასული საუკუნის 70-იან წლებში საერთაშორისო ფინანსური ბაზრების ლიბერალიზაციამ (რაც უკავშირდება მცურავი სავალუტო კურსების რეჟიმის წარმოქმნას),ამასთან,ტარიფებისა და ფასების შესახებ ურუგვაის გენერალურმა შეთანხმებამ ხელი შეუწყო მსოფლიო სავაჭრო სისტემის გახსნილობასა და გლობალური პროცესების განვითარებას.

მსოფლიო მასშტაბით გლობალიზაციის ერთ-ერთი თანმხლები გამოკვეთილი ტენდენციაა გაკოტრებული,გადახდისუუნარო ფირმების ზომბირება ანუ ნეკროეკონომიკის ზომბირება,[12] რომელიც განსაკუთრებით ნეგატიურად აისახება პოსტკომუნისტურ ქვეყნებზე,თუმცა,ამ საფრთხ-

[12] **Папава В.** Проблема зомбирования посткоммунистической некроэкономики. “Вестник института Кенмана в Россий”. Выпуск 15. М., 2009, с. 17; **Папава В.** Некроэкономика - феномен посткоммунистического переходного периода. “Общество и экономика”, 2001, №5; **Papava V.** Necroeconomics: The Political Economy of Post-Communist Capitalism. New-York, “Universe”, 2005. **პაპავა ვ.** გლობალური ფინანსური კრიზისი და ნეკროეკონომიკის ზომბირების საფრთხე. „შრომები“. VIII ტომი. საქართველოს ეკონომიკურ მეცნიერებათა აკადემია. თბილისი, გამომცემლობა „სიახლე“,2010. გვ. 34. http://www.moneyweek.com/news-and-charts/economics/how-zombie-companies-suck-the-life-from-an-economy-14089.aspx (**Sepek J.** Nov 18, 2008).

ისგან არც განვითარებული ქვეყნებია დაცული.*

ამრიგად,მესამე ათასწლეულის დასაწყისში გლობალიზაციის პროცესი მკვეთრად დიფერენცირებულია, ხასიათდება შინაგანი წინააღმდეგობებით,რომლებიც უპირატესად თავს იჩენენ განვითარებად ქვეყნებში.

გლობალური პროცესები, ბუნებრივია, არ შეიძლება განვითარდეს ერთი რომელიმე მოდელით – ამერიკულით ან ევროპულით,იაპონურით თუ ჩინურით. გლობალიზაციას ახასიათებს ზოგადი კანონზომიერებები,რომლებიც,ქვეყნის მართვის თავისებურებებიდან გამომდინარე, არა მხოლოდ სხვადასხვა რეგიონში, არამედ ცალკეულ ქვეყნებშიც კი სპეციფიკურობით ხასიათდება.**

IX.3. გლობალიზაციის KOF-ინდექსი – სოციალური გლობალიზაციის ხარისხის მაჩვენებელი

XXI საუკუნის დასაწყისში გლობალური პროცესების გაღრმავებამ დღის წესრიგში გლობალიზაციის კომპლექსური მაჩვენებლის შემუშავება დააყენა. გლობალიზაციის პოლიტიკურ და ეკონომიკურ მაჩვენებლებთან ერთად, ყურადღება **სოციალურ მაჩვენებლებზეც** გამახვილდა. 2002 წელს შეიქმნა გლობალიზაციის KOF-ინდექსი. მონაცემები ძირითადად ეყრდნობა საერთაშორისო სავალუტო ფონდის,მსოფლიო ბანკის,გაეროს განათლების, მეცნიერებისა და კულტურის ორგანიზაციის, ვაჭრობისა და განვითარების შესახებ გაეროს კონფერენციის წლიურ

* რაოდენ გასაკვირიც არ უნდა იყოს, ზომბიეკონომიკის ფენომენი გასული საუკუნის 90-იანი წლებიდან სათავეს იღებს იაპონიაში.

** ამ მხრივ, არც **საქართველოა** გამონაკლისი, რომელიც მრავალი რთული პრობლემის წინაშე დგას, მაგრამ თავისი ორიგინალობით მიიპყრო მსოფლიოს ყურადღება.

ანგარიშებს, საერთაშორისო საფოსტო კავშირისა და საფოსტო სტატისტიკის საინფორმაციო მასალებს.

გლობალიზაციის ინდექსის ზოგადი მაჩვენებლის მიხედვით ლიდერობენ და პირველ ათეულში შედიან: ბელგია, ირლანდია,ნიდერლანდი,შვეიცარია,ავსტრია,შვედეთი,დანია, კანადა,ლუქსემბურგი და უნგრეთი.*

ამ საყოველთაო ინდექსით, პროცენტული გამოხატულებით, მსოფლიოს 158 ქვეყანაში ყოველწლიურად განისაზღვრება, პოლიტიკური, ეკონომიკური და სოციალური გლობალიზაციის ხარისხი.[13]

პოლიტიკური გლობალიზაცია გამოითვლება ისეთი მაჩვენებლებით,როგორიცაა საერთაშორისო ორგანიზაციების წევრობა,ქვეყანაში საელჩოებისა და საერთაშორისო ხელშეკრულებების რაოდენობა, გაეროს უსაფრთხოების საბჭოს მისიის წევრობა. ამ მაჩვენებლებით განისაზღვრება სამთავრობო პოლიტიკის გავრცელების ხარისხი. პოლიტიკურ გლობალიზაციაში,საერთაშორისო წესრიგის დამყარების თვალსაზრისით, მნიშვნელოვანი როლი გაეროსა და სხვა სტრუქტურებს აკისრიათ.

პოლიტიკური გლობალიზაციის მაჩვენებლის მიხედვით პირველ ათეულში შედიან: საფრანგეთი, იტალია, ბელგია, ავსტრია, შვედეთი, ესპანეთი, შვეიცარია, კანადა, აშშ და პოლონეთი. ამ ქვეყნებში პოლიტიკური გლობალიზაციის KOF-ინდექსი 93,88%-სა და 89,03%-ს შორის ფიქსირდება.**

---

* ამ მაჩვენებლით **საქართველო** 2002 წელს 59,85%-ით 90-ე ადგილზე იყო, ხოლო 2014 წლის მონაცემებით – 64-ე ადგილზე.

[13] http://globalization.kof.ethz.ch/

** ამ მაჩვენებლით **საქართველო** 46,08%-ით 138-ე ადგილზეა.

ეკონომიკური გლობალიზაცია, რომელშიც მნიშვნელოვან როლს ტრანსეროვნული კორპორაციები (ტეკ-ები) ასრულებენ,განისაზღვრება ისეთი მაჩვენებლებით,როგორიცაა საქონლის,მომსახურების,კაპიტალის საზღვარგარეთ გატანის მასშტაბები და საგარეო ვაჭრობაში ჩართულობის დონე, გახსნილობისა და ინტეგრირების ტენდენციების გაძლიერება,ინფორმაციის ნაკადების შორ მანძილზე გავრცელების ხარისხი,უცხოური ინვესტიციების ქვეყანაში შემოდინების მოცულობა,საერთაშორისო ვაჭრობაში საბაჟო პოლიტიკის სიმკაცრის ხარისხი და საიმპორტო ბარიერები და ა.შ.[14] ეკონომიკური გლობალიზაცია მრავალმხრივი პროცესია. იგი აძლიერებს ქვეყნებს შორის ურთიერთკავშირსა და სამეურნეო ინტერნაციონალიზაციას.

ეკონომიკური გლობალიზაციის მაჩვენებლით,რომელიც გამოხატავს მოცემული ქვეყნის მსოფლიო ეკონომიკაში ინტეგრირების ხარისხს,პირველ ათეულში შედიან: სინგაპური, ლუქსემბურგი, ირლანდია, მალტა, ბელგია, ნიდერლანდი, ესტონეთი, უნგრეთი, ბახრეინი, შვედეთი. ამ ქვეყნებში ეკონომიკური გლობალიზაციის KOF-ინდექსი 96,67%-სა და 88,11%-ს შორის ფიქსირდება.*

პოლიტიკურ და ეკონომიკურ გლობალიზაციასთან მყარ კავშირშია სოციალური გლობალიზაცია. **სოციალური გლობალიზაცია** განისაზღვრება საერთაშორისო ტურიზმის განვითარების დონით, საერთაშორისო სატელეფონო კავშირებითა და წერილებით, ქვეყნის მთლიან მოსახლეობაში უცხოელთა წილით, ყოველ 1000 კაცზე ინტერნეტით მომხმარებელთა რაოდენობით, წიგნებისა და გაზეთების

[14] **ჭითანავა ნ.** გლობალიზაცია და საქართველოს სოციალურ-ეკონომიკური განვითარების პრობლემები. „შრომები“. VIII ტომი. საქართველოს ეკონომიკურ მეცნიერებათა აკადემია. თბილისი, გამომცემლობა „სიახლე“, გვ. 91.

* **საქართველო** ამ მაჩვენებლებით 69,43%-ით 51-ე ადგილზეა.

ვაჭრობით მიღებული შემოსავლების წილით მთლიან შიდა პროდუქტში და ა.შ. იგი, კულტურის უნივერსალიზაციის საფუძველზე, ხელს უწყობს ჩამორჩენილი ქვეყნების ხალხთა ცხოვრების წესში თანამედროვე ცივილიზაციის ელემენტების დამკვიდრებას, რაც მნიშვნელოვან როლს ასრულებს სხვადასხვა ქვეყანათა ცხოვრების წესის დაახლოებაში.

სოციალური გლობალიზაციის მაჩვენებლის მიხედვით პირველ ათეულშია: ლუქსემბურგი, შვეიცარია, ირლანდია, ანტიგუა და ბარბუდა, კვიპროსი, პუერტო რიკო, სინგაპური, ავსტრია, გრენადა და ბელგია. ამ ქვეყნებში სოციალური გლობალიზაციის KOF-ინდექსი 93,87%-სა და 88,12%-ს შორის ფარგლებშია.*

IX.4. გლობალიზაცია და კეთილდღეობის სახელმწიფოს პოლიტიკა

ის გარემოება,რომ სახელმწიფომ სოციალურ სფეროში აქტიური როლის შესრულებით, კეთილდღეობის სახელმწიფოს ნიშნები შეიძინა, არის გლობალიზაციის თავისებური გამოძახილი და ახალი დროის გამოწვევა. კაცობრიობის განვითარების განვლილ პერიოდთან შედარებით, იგი წინგადადგმული ნაბიჯი და ახალი სიტყვაა უფრო მაღალი სოციალური და, ამავე დროს, ახალი მსოფლიო წესრიგის დამყარების თვალსაზრისით. კეთილდღეობის სახელმწიფო პოლიტიკის გატარებით, წინა პლანზე საზოგადოების სოციალური დაცვის ფუნქციამ წამოიწია, რომლის გარეშეც შეუძლებელია ბაზრის პრინციპების რეალიზაცია და იგი ეკონომიკის სტაბილიზაციის ერთ-ერთ მნიშვნელოვან მიმართულებადაა აღიარებული.

---

* **საქართველოს** ამ მაჩვენებლით 58,94%-ით 83-ე ადგილი უჭირავს.

დღეს თვისებრივად ახალი ეტაპი გამოიკვეთა კაცობრიობის განვითარებაში. მსოფლიოს განვითარების პრიორიტეტებად,ეკონომიკის სოციალურ ორიენტირებულობასთან ერთად,სიღარიბის წინააღმდეგ ბრძოლა გამოცხადდა, რაც ეკონომიკურად და სოციალურად სამართლიანი მსოფლიოს შექმნის საწინდარია. ამიტომაცაა,რომ დღეს საერთაშორისო ორგანიზაციები და არა მხოლოდ ისინი, არამედ მოწინავე ქვეყნების მთავრობებიც, ცდილობენ თავიანთი წვლილი შეიტანონ რეგიონული კონფლიქტების მოგვარებაში.

გლობალიზაციამ ახალი იმპულსი შეიძინა და ბიძგი მისცა მსოფლიო განვითარების კანონზომიერ პროცესს. ამით ახალი ერა დაიწყო საზოგადოების განვითარებაში. სავსებით ობიექტურად წინა პლანზე, ახალი მსოფლიოს წესრიგის საკითხის განხილვასთან ერთად,განსაკუთრებული ყურადღება **სოციალური წესრიგის დამყარებაზე გამახვილდა.** ამ მიზნით შემუშავდა სხვადასხვა სახის სოციალური დაცვის მიზნობრივი პროგრამები,რომელთა დაფინანსებაში,სახელმწიფოსთან ერთად ფართო მონაწილეობა, კერძო სტრუქტურებმაც მიიღეს. ამ პროგრამებმა განვითარებულ ქვეყნებში მნიშვნელოვანი როლი შეასრულეს სოციალურად ორიენტირებული ეკონომიკის განვითარებაში. **ფართოდ გაიშალა სამოქალაქო საზოგადოების ჩამოყალიბების მსოფლიო პროცესი, რომელმაც, თავის მხრივ, ხელი შეუწყო გლობალიზაციის მასშტაბების გაფართოებას.** გლობალიზაცია გაცდა განვითარებული ქვეყნების ფარგლებს და სხვა ქვეყნებში,მათ შორის,განვითარებად ქვეყნებშიც შეაღწია.

გლობალიზაციას ახალი იმპულსი შესძინა 90–იან წლებში პოსტკომუნისტურ ქვეყნებში ელვისებურად გან-

ვითარებულმა მოვლენებმა, „კომუნისტური სოციალიზმის“ ხანის დასრულებით. ესეც დროის მოთხოვნა იყო და მსოფლიოში მიმდინარე გლობალური პროცესების გამოძახილიც.*

გლობალიზაცია რადიკალურად ცვლის თანამედროვე საზოგადოების არა მხოლოდ ცხოვრების შინაარსს, არამედ განაპირობებს ეკონომიკის ღრმა სტრუქტურულ ცვლილებებსაც, რაც არაპირდაპირი გზით უდიდეს გავლენას ახდენს ქვეყნის მოსახლეობის კეთილდღეობის დონეზე. ამის ერთ-ერთი დასტურია თუნდაც ის, რომ ამჟამად განვითარებული ქვეყნების ეკონომიკა, სტრუქტურული თვალსაზრისით, დიამეტრალურად განსხვავდება წინა ეპოქების ეკონომიკისაგან, როდესაც დომინირებული მდგომარეობა ეკავა ჯერ სოფლის მეურნეობას, ხოლო შემდეგ – მრეწველობას. მაგალითად, თუ 1820 წელს აშშ-ის აგრარულ სექტორში დასაქმებული იყო მომუშავეთა 70%, ამ დარგის ინდუსტრიალიზაციის საფუძველზე, 2014 წლის მონაცემებით, აშშ-ის აგრარულ სექტორში დასაქმებული იყო მხოლოდ 1,0%, ინდუსტრიაში – 19,2%, ხოლო მომსახურების სფეროში – 79,8%. იაპონიაში ეს თანაფარდობა, შესაბამისად, ასეთია: 4,4%,27,9% და 66,4%; გერმანიაში – 2,4%,29,7%,67,8%; საფრანგეთში – 3,8%,24,3%,71,8%; ავსტრალიაში – 3,6%,21,1%, 75,0%; ლუქსემბურგში – 2,2%, 17,2%, 80,6%; ევროკავშირში – 5,6%,27,7%,66,7% და ა.შ.[15]

არასაკმაოდ განვითარებული (ახალინდუსტრიული ქვეყნების) ეკონომიკისათვის არსებობს სხვადასხვა მიდ-

---

* პოსტკომუნისტურ ქვეყნებთან კავშირურთიერთობების განმტკიცების მიზნით, 1997 წელს ნატოს სისტემაში ჩამოყალიბდა **„ევროატლანტიკური თანამშრომლობის საბჭო“**, რომელმაც შეცვალა **„ჩრდილოატლანტიკური პარტნიორობის საბჭო“**.

[15] http://www.cia.gov/library/publications/the-world_factbook/geas

გომა, რომელთა შორის აღსანიშნავია: ა) სამრეწველო განვითარება და იმპორტის ჩანაცვლება შიდა წარმოებით; ბ) სოფლის მეურნეობის სახელმწიფო მხარდაჭერა და, ექსპორტის გაზრდა ეკონომიკის ნებისმიერ სექტორში საექსპორტო პროდუქციის წარმოების უპირატესი განვითარების საფუძველზე, უცხოური ვალუტის მიღების მიზნით; გ) ქალაქისა და სასოფლო რაიონების ბალანსირებული განვითარება და ა.შ.

ახალინდუსტრიულ ქვეყნებში, განვითარებულ ქვეყნებთან შედარებით, მაღალია აგრარულ სექტორში დასაქმებულთა ხვედრითი წონა. მაგალითად, 2014 წლის მონაცემებით ბრაზილიაში იგი შეადგენდა 20%-ს.[16]

რაც შეეხება განვითარებად, „მესამე სამყაროს“ ქვეყნებს,სადაც ინდუსტრიალიზაციის დონე დაბალია,მათთან მიმართებაში განვითარების გენერალური სტრატეგიისადმი კიდევ უფრო განსხვავებული მიდგომაა. I მსოფლიო ომის შემდგომი პერიოდიდან 60-იანი წლების დასაწყისამდე ეკონომიკურ ლიტერატურაში გაბატონებული იყო შეხედულება იმის შესახებ,რომ სუსტად განვითარებული ქვეყნებისთვის ყველაზე მისაღები სამრეწველო წარმოების უპირატესი განვითარების სტრატეგია იყო. მრავალმა განვითარებადმა ქვეყანამ გაიზიარა ეს შეხედულება და შეიმუშავა კიდეც შესაბამისი სტრატეგია. ზოგიერთ ქვეყანაში იმედისმომცემი შედეგებიც კი იქნა მიღწეული (განსაკუთრებით იმ ქვეყნებში,რომლებიც უპირატესობას ექსპორტის განვითარებას ანიჭებდნენ, იმპორტშემცვლე- ლი წარმოების განვითარებასთან შედარებით), მაგრამ ქვეყნების უმრავლესობამ სავალალო შედეგები მიიღო,რაც ძირითადად გამოწვეული იყო შემდეგი მიზეზებით:

[16] http://www.cia.gov/library/publications/the-world_factbook/geas

1. ინვესტიციებთან დაკავშირებული სირთულეები. მრეწველობის პრიორიტეტული განვითარება საკმაოდ დიდ ინვესტიციებს მოითხოვდა: უცხოური ინვესტიციების მოზიდვა,არაჯანსაღი საინვესტიციო კლიმატის გამო,თითქმის შეუძლებელი იყო,ადგილობრივი საინვესტიციო რესურსები კი,ჯერ ერთი,მცირე ოდენობის იყო და მეორეც,მათი გადასროლა მრეწველობაში ხდებოდა სოფლის მეურნეობის ხარჯზე და მის საზიანოდ,რაც ქვეყანაში მწვავე სასურსათო პრობლემებს წარმოშობდა;

2. ადგილობრივმა მრეწველობამ ნაკლებგანვითარებული ტექნოლოგიებისა და დაბალკვალიფიციური სამუშაო ძალის გამო, ვერ შეძლო იმპორტისადმი კონკურენციის გაწევა;

3. შიდა ბაზრის სივიწროვისა და დაბალი მოთხოვნის გამო,ეს ქვეყნები ვერ ახერხებდნენ რეალიზაციასთან დაკავშირებული პრობლემების გადაჭრას.

ამ ობიექტური მიზეზებიდან გამომდინარე,განვითარებადი ქვეყნების უმრავლესობამ ვერ შეძლო საგადასახდელო ბალანსის არსებითი გაუმჯობესება, ამასთან, ექსპორტის სტრუქტურაც შეიცვალა. მზა სამომხმარებლო საქონლის ნაცვლად მასში მეტწილად სჭარბობდა ნედლეული. უკანასკნელ პერიოდში ამ ქვეყნების დამოუკიდებლობა კიდევ უფრო შეიზღუდა, ხოლო შიდაეკონომიკური პრობლემები გამწვავდა. სახელდობრ,სწრაფი ტემპით იზრდება მიგრაცია სოფლიდან ქალაქში და, შესაბამისად, უმუშევრობა,რასაც მოჰყვა პოლიტიკური პროცესების გამწვავება.

ამიტომ განვითარებადმა ქვეყნებმა ბოლო პერიოდში შეცვალეს თავიანთი ეკონომიკური განვითარების კურსი და უპირატესობა სოფლის მეურნეობას მიანიჭეს. დღეს მსოფლიოში იგი აღიარებულია სუსტად განვითარებული

ქვეყნების ეკონომიკის დომინირებულ სექტორად. განვითარების სტრატეგიების უმრავლესობაშიც უპირატესობა სწორედ აგრარულ სექტორს აქვს მინიჭებული. ამ ტენდენციას ოფიციალური სტატისტიკაც ადასტურებს. მაგალითად, 2012 წლის მონაცემებით, ნიგერიის აგრარულ სექტორში დასაქმებული იყო მომუშავეთა 70,0%,ინდუსტრიაში – 10,0%, ხოლო მომსახურების სფეროში – 20,0%; მოზამბიკში,შესაბამისად, 81,0%,6,0%, 13,0%; ლიბერიაში – 70,0%,8,0%,22,0%; სუდანში 80,0%,7,0%,13,0% და ა.შ. შედარებით „შერბილებულია“ ეს თანაფარდობა თურქეთში – 29,5%,24,7%,45,8%.

რაც შეეხება საქართველოს,2012 წლის ოფიციალური მონაცემებით,ეს თანაფარდობა ასეთი იყო: აგრარულ სექტორში დასაქმებული იყო მომუშავეთა 55,6%,ინდუსტრიაში – 8,9%, ხოლო მომსახურების სფეროში – 35,5%; შედარებისთვის, სომხეთში – 46,2%, 15,6%, 38,2%; აზერბაიჯანში – 39,3%, 12,1%, 48,6%.[17] 2015 წლის საქსტატის მონაცემებით, საქართველოში ეკონომიკის სექტორებს შორის დასაქმებულთა თანაფარდობა ასეთია: აგრარულ სექტორში – 51,7%, ინდუსტრიულ სექტორში – 15,0%,მომსახურების სექტორში – 33,3%.

ასეთია დღეს მსოფლიო ეკონომიკური პოლიტიკის ლოგიკა,განვითარების გენერალური კურსი,რაც სამყაროს კიდევ უფრო დიფერენცირებულსა და კონტრასტულს ხდის. ერთი რამ კი ცხადია: დღეს მსოფლიოში არ არსებობს წინააღმდეგობა მაღალტექნოლოგიურ მომსახურებასა და მაღალტექნოლოგიურ ინდუსტრიას შორის. წინააღმდეგობებს მხოლოდ მოძველებული ტექნოლოგიები და ნაკლებკონკურენტუნარიანი პროდუქცია განაპირობებს, რაც სუსტად განვითარებული ქვეყნებისთვისაა დამახასიათე-

[17] http://www.cia.gov/library/publications/the-world_factbook/geas

ბელი, მათი ხვედრია. ამ სიტუაციიდან თავის დაღწევა დიდ ძალისხმევას,მრავალჯერ გაზომვასა და ერთხელ გაჭრას მოითხოვს. საქართველოც დღეს ამ დილემის წინაშე აღმოჩნდა. გლობალიზაციის ეპოქალურმა მოვლენამ ახალი გამოწვევების წინაშე დააყენა საზოგადოებრივი სექტორი.

ძირითადი ცნებები

გლობალიზაცია. ღია საზოგადოება. „ნეოგლობალიზმი“. გლობალიზაციის KOF-ინდექსი. პოლიტიკური გლობალიზაცია. ეკონომიკური გლობალიზაცია. ნეკროეკონომიკის ზომბირება. სოციალური გლობალიზაცია. ახალინდუსტრიული ქვეყნები. „ჩრდილოატლანტიკური პარტნიორობის საბჭო.“ „ევროატლანტიკური თანამშრომლობის საბჭო.“ კეთილდღეობის სახელმწიფო პოლიტიკა.

დასკვნა

1. XX საუკუნის 60-იანი წლებიდან მსოფლიოში დაწყებულმა სისტემურმა პროგრესულმა ცვლილებებმა მნიშვნელოვნად შეუწყო ხელი გლობალიზაციის წარმოშობას. 80-იანი წლებიდან იგი ფრაგმენტაციის საწინააღმდეგო ტერმინად მოგვევლინა და პირველად ამერიკელმა თეოდორ ლევიტმა ცალკეული ბაზრების შერწყმის პროცესის ასახსნელად გამოიყენა. სულ მოკლე ხანში გლობალიზაციამ ფართო მნიშვნელობა შეიძინა და საზოგადოებრივი საქმიანობის ყველა სფერო მოიცვა. იგი, თავისი პოზიტიური და ნეგატიური ეფექტებით, უდიდეს როლს ასრულებს მსოფლიო ეკონომიკაში და გარკვეულწილად,განსაზღვრავს მსოფლიო პოლიტიკას;

2. გლობალიზაციამ, საერთაშორისო ეკონომიკური ურთიერთობებისა და ინტეგრაციის გაღრმავების საფუძ-

ველზე,კანონზომიერი ხასიათი მიიღო,თავისი არსით უნივერსალურია და,პირველ ყოვლისა,**მსოფლიოს ახალი წესრიგისა და სამოქალაქო საზოგადოების ჩამოყალიბებაში აისახება, პოზიტიურ გავლენას ახდენს საზოგადოებრივი სექტორის ეკონომიკის განვითარებაზეც;**

3. გლობალიზაცია არა მხოლოდ აახლოვებს ქვეყნებს ერთმანეთთან, არამედ ურთიერდამოკიდებულსაც ხდის. იგი ხელს უწყობს და აჩქარებს ცალკეულ ქვეყნებში ღია საზოგადოებების ჩამოყალიბებას, მსოფლიო მასშტაბით რესურსების ეფექტიან გამოყენებას, საქონლისა და მომსახურების თავისუფალ გაცვლას, პარტნიორული ურთიერთობების წინა პლანზე წამოწევას, ჩამორჩენილი ქვეყნების გასვლას მსოფლიოს კულტურულ გზაზე,ცხოვრების დონისა და ხარისხის ამაღლებას, ეროვნულ კულტურათა ურთიერთგამდიდრებას, მეცნიერული მიღწევების მოკლე ვადებში დანერგვას,რესურსდამზოგველი და უნარჩენო ტექნოლოგიების ფართოდ გავრცელებას,ინტელექტუალური კაპიტალის წარმოჩენას,ინტერნეტული ქსელისა და,საერთოდ, საინფორამციო ინდუსტრიის სწრაფ განვითარებას, კაპიტალის თავისუფალ მოძრაობასა და, განსაკუთრებით, ფინანსური კაპიტალის მობილურობის არნახულ ზრდას, რაც უშუალო გავლენას ახდენს საზოგადოებრივი სექტორის ეკონომიკის განვითარებაზე;

4. გლობალიზაციის დიდი დამსახურებაა მნიშვნელოვანი ნაბიჯების გადადგმა მსოფლიო დემოკრატიის დამკვიდრებაში. ამიტომ თავის მასშტაბებიდან და ფუნქციებიდან გამომდინარე,ძალზე მნიშვნელოვანია,რამდენად მართული იქნება ეს ყოვლისმომცველი, მრავალწახნაგოვანი და წინააღმდეგობებით სავსე ფენომენი. წინააღმდეგ შემთხვევაში გლობალიზაციას დიდი ზიანის მოტანა შეუძლია კაცობრიობისათვის;

5. მესამე ათასწლეულის დასაწყისში **გართულებულია განვითარებად ქვეყნებში ეკონომიკის მართვის დამოუკიდებელი სტრატეგიის განხორციელება, მითუმეტეს სახელმწიფო ფინანსების სფეროში,** განსაკუთრებით ნაკლებად ავტონომიურია ტრანზიტული ქვეყნები, მათ სულ უფრო ნაკლები ექსკლუზიური კონტროლი აქვთ საკუთარ ტერიტორიაზე მიმდინარე სოციალურ-ეკონომიკურ პროცესებზე, მათი ეკონომიკური პოლიტიკა სულ უფრო „გრილდება“, ხოლო ეროვნული თავისებურებებისა და ტრადიციების შენარჩუნების შესაძლებლობები მცირდება;

6. ინვესტიციები და ფინანსური ნაკადები განვითარებულ ქვეყნებშია კონცენტრირებული, განვითარებადი სამყარო კი ინვესტიციების დიდ ნაკლებობას განიცდის. წამყვან, განვითარებულ ქვეყნებს დომინანტური პოზიცია უკავიათ ახალი მსოფლიო წესრიგის განსაზღვრის საქმეში;

7. დღეს მცირე ქვეყნების ეკონომიკური პოლიტიკა მსოფლიო ბაზრების ძალებმა დაჩრდილა. მათ არ შეუძლიათ ეკონომიკურ და სოციალურ შედეგებზე განსაკუთრებული გავლენის მოხდენა. ამიტომ აშშ-ზე მნიშვნელოვნად არის დამოკიდებული განვითარებადი და ტრანზიტული ქვეყნების ეკონომიკური პოლიტიკა და მათი ეკონომიკური განვითარება. ამის დასტურია თუნდაც ის,რომ XX საუკუნის 80-იანი წლების შუა პერიოდში შეიქმნა ამერიკული დოქტრინა „ნეოგლობალიზმი“. იგი ცნობილია „რეიგანის დოქტრინის“ სახელწოდებით და ითვალისწინებს აშშ-ის გავლენას „მესამე სამყაროს“ ქვეყნებზე;

8. გლობალიზაციისაგან გვერდზე გადგომა დღეს შეუძლებელიცაა და იგი ქვეყნის იზოლაციაში ყოფნას ნიშნავს, ვინაიდან ამ ეპოქალურ პროცესს,ნეგატიურთან ერთად,აქვს უაღრესად პოზიტიური ეფექტები. იგი არა მხოლოდ აახ-

ლოებს ქვეყნებს ერთმანეთთან, არამედ ანგრევს ჩაკეტილ, ტოტალიტარულ რეჟიმებსა და ეკონომიკებს, აფართოებს ქვეყნების პარტნიორულ ურთიერთობებს, სწრაფი ტემპით ახდენს ბიზნეს-საქმიანობის ინტერნაციონალიზაციას,აყალიბებს ისეთ ბიზნეს-გარემოს,რომელიც შესაძლებლობას აძლევს კომპანიებს სწრაფად დანერგონ სიახლეები, ბიზნესს სულ უფრო მეტად ათავისუფლებს პოლიტიკური შეზღუდვებისაგან,რითაც მეტ თავისუფლებას ანიჭებს ბაზრებს და ა.შ. **ყოველივე ეს პოზიტიურ გავლენას ახდენს სახელმწიფო ფინანსების ზრდასა და „მესამე სექტორის“ განვითარებაზე, აქედან გამომდინარე კი, საზოგადოებრივი სექტორის ფუნქციონირებაზე;**

9. თანამედროვე მსოფლიო განვითარების ერთ–ერთი მთავარი ამოცანაა გლობალური და ლოკალური პროცესების ურთიერთშეხამება და ინტეგრაცია;

10. განსაკუთრებულ ყურადღებას იპყრობს საბაზრო და არასაბაზრო ურთიერთობებისა და ინსტიტუტების თანაფარდობის ოპტიმიზაცია, მდგრადი და უსაფრთხო განვითარების სტრატეგიის შემუშავება ცალკეული რეგიონებისა და ქვეყნებისათვის. ყოველივე ეს ნებისმიერ ქვეყანაში არაპირდაპირი გზით უდიდეს გავლენას ახდენს საზოგადოებრივი სექტორის ეკონომიკის განვითარებაზე;

11. ინდუსტრიული საზოგადოების გადაზრდამ პოსტინდუსტრიულში ახალი ბიძგი მისცა და დააჩქარა გლობალიზაციის პროცესი. კაცობრიობის განვითარების ამ თვისებრივ ნახტომში ყველაზე მნიშვნელოვანი იყო ის, რომ მან ეკონომიკას სოციალური ორიენტაცია შესძინა;

12. XXI საუკუნის დასაწყისში გლობალური პროცესების გაღრმავებამ დღის წესრიგში გლობალიზაციის კომპლექსური მაჩვენებლის შემუშავება დააყენა. გლობალიზაციის პოლიტიკურ და ეკონომიკურ მაჩვენებლებთან

ერთად, ყურადღება სოციალურ მაჩვენებლებზეც გამახვილდა. 2002 წელს შეიქმნა გლობალიზაციის KOF-ინდექსი. მონაცემები ძირითადად ეყრდნობა საერთაშორისო სავალუტო ფონდის,მსოფლიო ბანკის,გაეროს განათლების, მეცნიერებისა და კულტურის ორგანიზაციის, ვაჭრობისა და განვითარების შესახებ გაეროს კონფერენციის წლიურ ანგარიშებს, საერთაშორისო საფოსტო კავშირისა და საფოსტო სტატისტიკის საინფორმაციო მასალებს;

13. **სოციალური გლობალიზაცია** განისაზღვრება საერთაშორისო ტურიზმის განვითარების დონით, საერთაშორისო სატელეფონო კავშირებითა და წერილებით, ქვეყნის მთლიან მოსახლეობაში უცხოელთა წილით,ყოველ 1000 კაცზე ინტერნეტით მომხმარებელთა რაოდენობით, წიგნებისა და გაზეთების ვაჭრობით მიღებული შემოსავლების წილით მთლიან შიდა პროდუქტში და ა.შ. იგი,კულტურის უნივერსალიზაციის საფუძველზე, ხელს უწყობს ჩამორჩენილი ქვეყნების ხალხთა ცხოვრების წესში თანამედროვე ცივილიზაციის ელემენტების დამკვიდრებას,რაც მნიშვნელოვან როლს ასრულებს სხვადასხვა ქვეყანათა ცხოვრების წესის დაახლოებაში.

2015 წლის მონაცემებით, სოციალური გლობალიზაციის მაჩვენებლის მიხედვით პირველ ათეულშია: ლუქსემბურგი, შვეიცარია, ირლანდია, ანტიგუა და ბარბუდა, კვიპროსი, პუერტო რიკო, სინგაპური, ავსტრია, გრენადა და ბელგია. ამ ქვეყნებში სოციალური გლობალიზაციის KOF-ინდექსი 93,87%-სა და 88,12%-ს შორის ფარგლებშია; **საქართველოს ამ მაჩვენებლით 58,94%-ით 83-ე ადგილი უჭირავს;**

14. გლობალიზაციამ ახალი იმპულსი შეიძინა და ბიძგი მისცა მსოფლიო განვითარების კანონზომიერ პროცესს, რითაც ახალი ერა დაიწყო საზოგადოების განვითარებაში. ახალი მსოფლიოს წესრიგის საკითხის განხილვასთან ერ-

თად,განსაკუთრებული ყურადღება **სოციალური წესრიგის დამყარებაზე გამახვილდა.** ამ მიზნით შემუშავდა სხვადასხვა სახის სოციალური დაცვის მიზნობრივი პროგრამები, რომელთა დაფინანსებაში,სახელმწიფოსთან ერთად,კერძო სტრუქტურებმაც ფართო მონაწილეობა მიიღეს. ამ პროგრამებმა განვითარებულ ქვეყნებში მნიშვნელოვანი როლი შეასრულეს სოციალურად ორიენტირებული ეკონომიკის განვითარებაში. **ფართოდ გაიშალა სამოქალაქო საზოგადოების ჩამოყალიბების მსოფლიო პროცესი,** რომელმაც, თავის მხრივ,ხელი შეუწყო გლობალიზაციის მასშტაბების გაფართოებას;

15. გლობალიზაციის მსოფლიო პროცესის გამოძახილი იყო 90–იან წლებში „კომუნისტური სოციალიზმის“ ხანის დასრულება;

16. გლობალიზაცია რადიკალურად ცვლის თანამედროვე საზოგადოების არა მხოლოდ ცხოვრების შინაარსს, არამედ ეკონომიკის ღრმა სტრუქტურულ ცვლილებებსაც განაპირობებს,რაც არაპირდაპირი გზით უდიდეს გავლენას ახდენს ქვეყნის მოსახლეობის კეთილდღეობის დონეზე. ამაღლებს სახელმწიფო ფინანსების როლსა და მნიშვნელობას საზოგადოებრივი სექტორის ეკონომიკის განვითარებაში;

17. გლობალიზაციის ეპოქალურმა მოვლენამ და მსოფლიოში მიმდინარე ღრმა ტრანსფორმაციულმა პროცესებმა ახალი გამოწვევების წინაშე დააყენა საზოგადოებრივი სექტორი, წინა პლანზე წამოსწია მისი როლი კეთილდღეობის სახელმწიფოს პოლიტიკის განვითარებაში;

18. მსოფლიო ეკონომიკაში კეთილდღეობის სახელმწიფო პოლიტიკის გატარებით, წინა პლანზე წამოიწია საზოგადოების სოციალური დაცვის ფუნქციამ, რაც ეკონომიკის სტაბილიზაციის ერთ-ერთ მნიშვნელოვან ფუნქციადაა აღიარებული.

X თავი

საზოგადოებრივი სექტორის ეკონომიკის ფუნქციონირების თავისებურებები საქართველოს გარდამავალ ეკონომიკაში

საქართველოს ეკონომიკა თავისებურ რეპრესიულ რეჟიმში. ეკონომიკური პოლიტიკის ძირითადი მიმართულების (მეინსტრიმის) შეცვლა საქართველოში – საზოგადოებრივი სექტორის ეკონომიკის განვითარების საფუძველი. ინსტიტუციური რეფორმების როლი საზოგადოებრივი სექტორის ეკონომიკის ფუნქციონირებაში. ახალი ტიპის ფინანსური სისტემის ფორმირების თავისებურებები და გავლენა საზოგადოებრივი სექტორის ეკონომიკის განვითარებაზე. ბიუჯეტთაშორისო ურთიერთობების რეგულირება და ახალი ფისკალური ფედერალიზმის ფორმირება – საზოგადოებრივი სექტორის ეკონომიკის განვითარების მნიშვნელოვანი მიმართულება. ეკონომიკური უსაფრთხოების უზრუნველყოფა – საზოგადოებრივი სექტორის ეკონომიკის განვითარების ინდიკატორი. რაციონალური ბუნებათსარგებლობის უცხოური გამოცდილება და საზოგადოებრივი სექტორის გავლენა ეკოლოგიური უსაფრთხოების უზრუნველყოფაზე. სასურსათო უსაფრთხოების ტენდენციები და როლი საზოგადოებრივი სექტორის ეკონომიკის ფუნქციონირებაში.

X.1. საქართველოს ეკონომიკა თავისებურ რეპრესიულ რეჟიმში

დამოუკიდებლობის აღდგენის შემდეგ, საქართველო, სხვა პოსტსაბჭოურ ქვეყნებთან ერთად, გლობალიზაციის მსოფლიო პროცესის თანამონაწილე გახდა და, სრულიად ლოგიკურად, ახალი ამოცანები დაისახა თავის სოციალურ-ეკონომიკურ და, რა თქმა უნდა, პოლიტიკურ განვითარებაში.

უპირველეს ყოვლისა, საქართველომ მიზნად დაისახა სამოქალაქო საზოგადოების მშენებლობა და საბაზრო ეკო-

ნომიკაზე გადასვლა,ანუ ისეთი ეკონომიკური სისტემის შექმნა,რომელიც არსებითად განსხვავდება იმ კაპიტალისტურ ურთიერთობებზე აგებული ეკონომიკური სისტემისაგან, რომელიც ძალზე მტკივნეულად განვლო ცივილიზებულმა სამყარომ და დღეს განვითარებულ ქვეყნებში ისტორიის კუთვნილებაა.

მაგრამ რა მოგვიტანა ქვეყნის სისტემური რეფორმების 25 წელმა? რამდენად უპასუხებს საქართველოში არსებული სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობა გლობალიზაციის გამოწვევებს?

ჩვენ ისე ავაშენეთ საბაზრო ეკონომიკა, როგორც ავაშენეთ სოციალიზმი (თანაც განვითარებული!), ან კიდევ, ისე ვაშენებთ საბაზრო ეკონომიკას, როგორც ვაშენებდით კომუნიზმს. თუ მთლიანად შევაფასებთ ამ პერიოდს, მისი ზოგადი ფორმულირება ასეთია: საქართველოში სამოქალაქო საზოგადოების მშენებლობა საფრთხის წინაშე აღმოჩნდა და ჯანსაღი საბაზრო პრინციპების დამკვიდრება პროპაგანდის დონეზე დარჩა.

რა გვაძლევს ასეთი დასკვნის გაკეთების საფუძველს?

უპრიველეს ყოვლისა, **საქართველოში ვერ ჩამოყალიბდა საკუთრების პლურალიზმი** როგორც საბაზრო ეკონომიკის ფორმირების საფუძველი. მართალია, შეიქმნა საკუთრების მრავალფორმიანობა,მაგრამ მისი თითოეული ფორმის თანაბარი უფლების დამკვიდრების გარეშე (რასაც ხელი შეუშალა საკანონმდებლო ბაზის სისუსტემ, მიღებული კანონების არასრულყოფილებამ და,პირველ რიგში, მოუქნელმა საგადასახადო კოდექსმა,აგრეთვე,ქვეყნისთვის აუცილებელი რიგი კანონების მიუღებლობამ და ა.შ.). იგი შორსაა საკუთრების პლურალიზმისაგან. საქართველოში მოხდა სახელმწიფო საკუთრების განსახელმწიფოებრივება, მაგრამ ამ პროცესს,ეკონომიკური ზრდის თვალსაზრისით,

წარმატება არ მოჰყოლია. საქართველო მკვეთრად ჩამორჩა მსოფლიო განვითარებას. ახალ ეკონომიკურ სისტემაში ქვეყანაში, ჯერ კიდევ,ლაპარაკია არა ეკონომიკის სოციალურ ორიენტაციაზე,არამედ ადამიანის ბიოლოგიურ არსებობასა და ერის გადარჩენაზე. საქართველო ისევ ახალი ექსპერიმენტის მსხვერპლი გახდა. არ გაამართლა იმ დებულების გაუცნობიერებელმა გამოყენებამ, რომ ეკონომიკური რეფორმების ერთი და იგივე მოდელი წარმატებული იქნებოდა რეფორმების გამტარებელი ყველა ქვეყნისთვის.

საქართველოში ასევე ვერ განხორციელდა საბაზრო ეკონომიკის მეორე პრინციპი – მეწარმეობის თავისუფლება. მკაცრმა ფისკალურმა პოლიტიკამ, რაც გადასახადების გადიდებასა და სახელმწიფო ხარჯების შემცირებაში გამოიხატა (თითქმის ყოველწლიურად ხდებოდა ბიუჯეტის სეკვესტრირება), განაპირობა მოსახლეობის უკიდურესად დაბალი საქმიანი აქტიურობა და,ბუნებრივია,ძირს დასცა ერთობლივი მოთხოვნა, რამაც, თავის მხრივ, გამოიწვია ბანკების ფაქტობრივი მოწყვეტა საინვესტიციო საქმიანობისგან და საგადასახადო ბაზის შეკვეცა.

პრივატიზაცია, მიუხედავად დაშვებული უხეში შეცდომებისა, მბრძანებლურ-ადმინისტრაციული მმართველობიდან საქართველოს გამოსვლისა და ქვეყნისთვის წინგადადგმული ნაბიჯია, მაგრამ **კაპიტალიზმის ის არაცივილიზებული ფორმა, რომელიც საქართველოში ჩამოყალიბდა, სწორედ ქვეყანაში არასწორად გატარებული პრივატიზაციის შედეგია, რაც მნიშვნელოვნად აბრკოლებს ეფექტიანი ეკონომიკის შექმნას, ეკონომიკურ ზრდასა და დემოკრატიის განვითარებას.**

არასწორად განხორციელებული პრივატიზაციის შედეგია ის,რომ ქვეყანაში ვერ ჩამოყალიბდა საშუალო ფენა. **ინტელიგენცია ბედის ამარად დარჩა, ასევე არასწორად**

განხორციელებული მასობრივი პრივატიზაცია (ვაუჩერიზაცია) კი მხოლოდ დაცინვა იყო საზოგადოების მიმართ. ასეთი გზით შევძლებთ კი სოციალურად ორიენტირებული საბაზრო ეკონომიკის შექმნას ქვეყანაში? ეს კითხვები დღეს მეტად აქტუალურია საქართველოსათვის.

საქართველოში, რეფორმირების ნებისმიერ ეტაპზე, მიზნობრივად არ იქნა გამოყენებული შეღავათიანი კრედიტები და გრანტები. ამას დაემატა საბიუჯეტო სახსრების არამიზნობრივი ხარჯვაც, კორუფცია, აღრიცხვის მოუწესრიგებლობა, საკადრო საკითხების გადაჭრა კლანური ინტერესებით და ა.შ. სამომხმარებლო მოთხოვნის დაცემამ უკუგავლენა მოახდინა ბაზრის ტევადობაზე, გამოიწვია წარმოების,დასაქმებისა და შემოსავლების შემცირება,საინვესტიციო აქტიურობის მკვეთრი დაცემა,რასაც მოჰყვა უნაღდო ანგარიშსწორების პარალიზება,გადაუხდელობის კრიზისის გაღრმავება,კაპიტალისა და „ტვინების“ საზღვარგარეთ გადინება და ა.შ.

საქართველოში უმუშევრობის ძირითადი მიზეზები ახალი წარმოქმნილი არ არის, იგი შიდასისტემურია. „მოღიავებული“ ქვეყანა მოუმზადებლად და გაუცნობიერებლად ჩაეშვა გლობალიზაციის მორევში. **მთელი მოსახლეობის მეოთხედი – აქტიური მოსახლეობის მესამედზე მეტი – უცხოეთში წავიდა საშოვარზე გონისა და კუნთის, სულისა და ხორცის გლობალურ ბაზარზე სავაჭროდ.** ვინც რას შოულობდა,ნახევარს აქეთ აგზავნიდა. გამოგზავნილი ფული აძლევდა მსყიდველობით ძალას შინაბაზარს.[1] ეს პროცესი გარკვეულწილად დღესაც გრძელდება.

ამის პარალელურად არნახულ მასშტაბებს მიაღწია ფარულმა ეკონომიკამ,რომლმაც ზოგიერთ დარგში 70%-საც

[1] გლობალიზაციის პრობლემები: საერთაშორისო დისკუსია და ქართული ხედვა. „კომენტარი“,2003,№1 (სარედაქციო წერილი).

კი გადააჭარბა. ამასთან, მკვეთრად იმძლავრა კონტრაბანდამ, რომელმაც მძიმე დარტყმა მიაყენა ისედაც „შებოჭილ“ ეროვნულ წარმოებას.

ცნობილია, რომ ბიზნესი თავის ამოცნად არ ისახავს ისეთი ზოგადსაკაცობრიო, უნივერსალური ფასეულობების დაცვას, როგორიცაა თავისუფლება, დემოკრატია, კანონის უზენაესობა და ა.შ. ამათ დასაცავად თანამედროვე პირობებში იქმნება ახალი ინსტიტუტები, რაც უსათუოდ გლობალიზაციისაგან მიღებული სიკეთეა. საქართველოშიც შეიქმნა ასეთი ინსტიტუტები. დახმარების თვალსაზრისით დიდი იყო ძალისხმევა რიგი საერთაშორისო ორგანიზაციებიდან, სხვადასხვა ეროვნული და საერთაშორისო საქმიანი წრეებიდან, მაგრამ, იმის გამო, რომ **ქვეყანაში არ იყო პოლიტიკური ნება, საქმე წინ ვერ წავიდა და დემოკრატია ვერ განვითარდა. ამიტომ იმ ერთ დიდ ნაბიჯს, რომელიც საქართველომ გადადგა წინ 90-იანი წლების დასაწყისში, მოჰყვა ორი ნაბიჯი უკან, რის შედეგადაც სოციალური სამართლიანობის დამყარება ქვეყანაში მიუღწეველი შეიქმნა და მხოლოდ ფარატინა ქაღალდზე დარჩა.** საქართველოში შეიქმნა საშიშროება იმ თვალსაზრისით, რომ მოხდა პოლიტიკისა და ბიზნესის შერწყმა.

აქედან გამომდინარე, კატასტროფულად დაეცა სახელისუფლებო სტრუქტურების პასუხისმგებლობა. სახელმწიფო ინტერესები დაექვემდებარა ეროვნულთა ინტერესებს.

საქართველოში ვერ მოხერხდა საბიუჯეტო „შიმშილისაგან“ თავის დაღწევა. **ქვეყანაში ფეხი მოიკიდა ფსევდოინოვაციებმა, მოძველებული რესურს- და ენერგოტევადი ტექნოლოგიების იმპორტმა,** მაშინ როდესაც ჩვენი დონის ქვეყნები ცდილობდნენ ორიენტაცია შუალედურ ტექნოლოგიებზე აეღოთ.

სიტუაციას ამძიმებდა დემპინგურ ფასებში ჯანმრთელობისთვის საშიში კვების პროდუქტებისა და ფალსიფიცირებული მედიკამენტების მასობრივი იმპორტი.

საქართველოში დიდი ხანია დარღვეულია საბიუჯეტო-საგადასახადო ფედერალიზმის პრინციპები. აქედან გამომდინარე,ქვეყნის ყველა დონის ბიუჯეტმა,შეიძლება ითქვას, დაკარგა საინვესტიციო ფუნქცია და გადაიქცა სამომხმარებლო ბიუჯეტად. ამის შედეგია, რომ საქართველოში, 2015 წლის მონაცემებით, ოფიციალური მონეტიზაციის დონე* 17%-ია, მაშინ როდესაც არ უნდა იყოს 30%-ზე ნაკლები. შედარებისათვის, ეს მაჩვენებელი განვითარებული ქვეყნების უმრავლესობაში 80%-ს აღწევს,აშშ-ში კი 100%-ს აჭარბებს. ინფლაციის შიშით ფულის დეფიციტის ხელოვნურად შექმნამ და,პარალელურად,დოლარიზაციის სწრაფმა ზრდამ (დოლარიზაციის დონემ ზღვარს – 36%-ს გადააჭარბა) ჩამოაყალიბა ნეგატიური ტენდენციები როგორც ფულად-საკრედიტო, ისე ფისკალურ სფეროში და უარყოფითად აისახა საგადასახადო-საანგარიშსწორებო ურთიერთობების მთელ სისტემაზე.

აღნიშნულმა და სხვა ნეგატიურმა შიდა პროცესებმა მწვავე პრობლემად აქცია იმპორტის მკვეთრად გამოხატული წინგამსწრები ზრდა ექსპორტთან შედარებით. სავაჭრო ბალანსის უარყოფითმა სალდომ პერმანენტული ხასიათი მიიღო. ძალზე დამაფიქრებელი გახდა ექსპორტის სასაქონლო სტრუქტურაც, რომელშიც ჭარბობს ბუნებრივი რესურსები, სამაგიეროდ, დისბალანსი მოხმარებასა და წარმოებას შორის სამომხმარებლო იმპორტით კომპენსირდება. სავაჭრო ბალანსის მდგრადმა დეფიციტმა

* **ოფიციალური მონეტიზაცია** ნიშნავს ეკონომიკის ფულის ნიშნებით უზრუნველყოფას. გამოითვლება მიმოქცევაში და ბანკების დეპოზიტზე არსებული ფულის მასის მთლიანი რაოდენობის შეფარდებით მთლიან შიდა პროდუქტთან.

უარყოფითი გავლენა მოახდინა ეკონომიკურ ზრდაზე, გააუარესა ქვეყნის ფინანსური მდგომარეობა და სწრაფად გაზარდა საგარეო დავალიანება. დასავლურმა საკრედიტო „ინექციებმა“ გადაჭრა მხოლოდ სახელმწიფო ბიუჯეტის დეფიციტით გამოწვეული მწვავე მოკლევადიანი პრობლემები, სამაგიეროდ, უდიდესი დილემის წინაშე აღმოჩნდა ქვეყანა საგარეო ვალის მომსახურების თვალსაზრისით. ამიტომაც იყო, რომ ფინანსთა სამინისტროს მონაცემებით, მაგალითად,2004 წლის სახელმწიფო ბიუჯეტი ძირითადად წინა წლების ვალების გასტუმრებაზე იქნა აგებული. იგი შემოიფარგლა მხოლოდ საგარეო ვალის მომსახურებით, აგრეთვე ხელფასებისა და პენსიების მიმდინარე და ძველი ვალების გასტუმრებით.

მსოფლიოში განვითარებულმა 2008 წლის ფინანსურმა კრიზისმა, ბუნებრივია, უარყოფითი გავლენა მოახდინა საქართველოს ეკონომიკაზე, განსაკუთრებით გაამწვავა უმუშევრობის პრობლემა. ამიტომ უმუშევართა რიგების ზრდის ახალი ტალღა 2008 წლის აგვისტოს ომის შემდეგ დაიწყო. ამის მთავარი მიზეზი არახელსაყრელი ბიზნესგარემო და ამ ფონზე უცხოური კომპანიების მიერ საქართველოში ინვესტიციების ჩადებაზე უარის თქმა გახდა. საქართველოდან სამუშაოდ წასულმა ემიგრანტებმა უკან დაბრუნება დაიწყეს. უცხოეთში მცხოვრებ საქართველოს მოქალაქეთა ფულადმა გზავნილებმა საგრძნობლად იკლო. ამას დაემატა 30 ათასამდე დევნილი რუსეთის მიერ ოკუპირებული ტერიტორიებიდან, რომელმაც საქართველოს ტერიტორიის 20% შეადგინა.

საქართველო ტოტალური უმუშევრობის საფრთხის წინაშე აღმოჩნდა. შემცირდა ეკონომიკური აქტიურობა, ბუნებრივია, დასაქმებაც. **ასეთ სიტუაციაში ზედმეტი იყო ძალისხმევა საზოგადოებრივი სექტორის ეკონომიკის განვითარებასთან დაკავშირებით. ამისათვის არავითარი**

წინაპირობა არ არსებობდა. ამიტომ მოსახლეობა სოციალურად აბსოლუტურად დაუცავი იყო.

2009 წელს ვაშინგტონში მშვიდობის ფონდმა მოახდინა 177 ქვეყნის რანჟირება შემდეგი 12 მაჩვენებლის მიხედვით: 1. დემოგრაფიული წნეხი; 2. ლტოლვილები და იძულებით გადაადგილებულები; 3. მოსახლეობის უკმაყოფილო ჯგუფები; 4. ქვეყნიდან ემიგრირების დონე; 5. არათანაბარი ეკონომიკური მდგომარეობა სოციალურ ჯგუფებს შორის; 6. სახელმწიფოს დელეგიტიმაცია; 7. ეკონომიკური ვარდნა; 8. საზოგადოებრივი სექტორის ეკონომიკის ფუნქციონირების დონე; 9. ადამიანის უფლებების დარღვევა; 10. უშიშროების სამსახურის უკონტროლობა; 11. მოსახლეობის ელიტარული ჯგუფების ზრდა; 12. სხვა ქვეყნების ჩარევა მოცემული ქვეყნის შიდა საქმეებში.

ამ მაჩვენებლების მიხედვით ქვეყნები დაყოფილია ყველაზე წარუმატებელ (საგანგაშო),საფრთხილო,ზომიერ და მდგრად ჯგუფებად. ყველაზე წარუმატებელი ქვეყნების ჯგუფში პირველ ადგილზე აღმოჩნდა სომალი,ხოლო **საქართველო ამავე ჯგუფის 33-ე** ადგილზეა (აღსანიშნავია,რომ პოსტსოციალისტური ქვეყნებიდან მხოლოდ უზბეკეთი იყო ჩვენზე უარეს მდგომარეობაში,მას 31-ე ადგილი ეჭირა),მაშინ როდესაც 2007 წელს მას ეჭირა გაცილებით უკეთესი – 58-ე,ხოლო 2008 წელს – 56-ე ადგილი. ყველაზე წარმატებული, მდგრადი ქვეყანა, რომელსაც ბოლო – 177-ე ადგილი უჭირავს,არის ნორვეგია.[2]

განსაკუთრებით მძიმე მდგომარეობაში აღმოჩნდა განათლების სისტემა ამ სფეროში არასწორად ჩატარებული რეფორმის გამო. ადამიანის განვითარების

[2] www.fundforpeace.org/web/index.php2option=com_content&task=view &id =391&Itemid=549; www. List of country by failed states index.

ინდექსის (რომელიც 1990 წელს პირველად აისახა გაეროს განვითარების პროგრამაში, ხოლო 1991 წელს დაემატა განათლების მიღების საშუალო ხანგრძლივობა, რის საფუძველზეც შეიქმნა ცოდნის მაჩვენებელი) მიხედვით, რომელიც მერყეობს 0-დან 100 ქულამდე, რანჟირებულია 177 ქვეყანა. 80 და უფრო მაღალი ქულის მქონე ქვეყნები მიჩნეულია მაღალგანვითარებულად,50-მდე – დაბალგანვითარებულად. საქართველო იყო საშუალოგანვითარებული ქვეყნების ჯგუფში 72,9 ქულით. აღნიშნული მაჩვენებლით იგი,მართალია დარჩა საშუალოგანვითარებული ქვეყნების ჯგუფში,მაგრამ გაუარესდა მისი მდგომარეობა. **2005 წლის მონაცემებით, ამ ინდიკატორის მიხედვით საქართველომ, რომელიც 2002 წელს 81-ე ადგილზე იყო, გადაინაცვლა 96-ე ადგილზე, ხოლო 2015 წელს 76-ე ადგილზე აღმოჩნდა.**

ჩამორჩენილ, სუსტად განვითარებულ ქვეყნებს გლობალიზაცია ზოგჯერ უპირატესად მომხმარებლად აქცევს, ამასთან, დაბალი ხარისხისა და ფალსიფიცირებული იმპორტირებული ნაწარმის გამსაღებლად. ეს საფრთხე არც საქართველოს აცდა.

აქედან გამომდინარე, სავსებით ლოგიკურად ისმის კითხვა: არის თუ არა საქართველო მზად იმისათვის,რომ წინ აღუდგეს გლობალიზაციის ნეგატიურ ტენდენციებს,წინააღმდეგობა გაუწიოს მკვეთრად გამოხატულ კოსმოპოლიტურ გლობალიზაციას,რომელიც კოპირების,გათანაბრებისა და გასაშუალების გზით ანგრევს ქვეყნის ეკონომიკას,ყოველივე პოზიტიურს,რაც კი შექმნილა დასაბამიდან დღემდე? არის თუ არა ქვეყანა მზად იმისათვის,რომ დაიცვას ეროვნული ტრადიციები,ისტორიული და კულტურული მემკვიდრეობა, რელიგიურ-ზნეობრივი ფასეულობები, ეკოლოგია და, რაც მთავარია,თვით მკვიდრი მოსახლეობა?

ახალი ეკონომიკური სისტემის მშენებლობა უნდა გამხდარიყო საქართველოში ცხოვრების დონის ამაღლებისა და სამართლიანობის პრინციპებზე აგებული სისტემის ჩამოყალიბების საფუძველი. ქვეყნის არასწორმა მართვამ გამოიწვია ეკონომიკის მოშლა. ნაკლებად იქნა გათვალისწინებული ახალი მსოფლიო წესრიგისა და სამოქალაქო საზოგადოების მშენებლობის მოთხოვნები. **საქართველო აღმოჩნდა თავისებურ რეპრესიულ რეჟიმში.**

ის გარემოება,რომ საქართველო სატრანზიტო ქვეყანაა და თავისი გეოპოლიტიკური მდებარეობით წარმოადგენს ხიდს დასავლეთისა და ცენტრალური აზიის ქვეყნებს შორის,დიდ პასუხისმგებლობას ანიჭებს მას დაიკავოს საკუთარი გეოეკონომიკური სტრატეგიის ადეკვატური ადგილი მსოფლიო ცივილიზაციის პროცესში. ამ თვალსაზრისით, გადაიდგა კიდეც გარკვეული პოზიტიური ნაბიჯები. ამის დასტურია თუნდაც ის,რომ განხორციელდა ევროპა-კავკასია-აზიის სატრანსპორტო დერეფნის პროგრამა,საფუძველი ჩაეყარა ტრანსკავკასიური ნავთობსადენის – „ბაქო-თბილისი-ჯეიჰანისა“ და – „ბაქო-თბილისი-არზრუმის“ გაზსადენის ამოქმედებას„ბისეკის“ პროექტის (შავი ზღვის აუზის ქვეყნების ეკონომიკური თანამშრომლობა) განხორციელებას,თანამედროვე „აბრეშუმის გზის“ – ყარსი-ახალქალაქი-თბილისი-ბაქოს სარკინიგზო მაგისტრალის მშენებლობასა და ა.შ. ეს პროექტები მნიშ-ვნელოვნად შეუწყობს ხელს სახელმწიფოთაშორისი ურთიერთობების გაღრმავებასა და გარე სამყაროსთან საქართველოს ეკონომიკური და კულტურული თანამშრომლობის გაფართოებას.

საქართველო ჯერ კიდევ 1994 წელს შეუერთდა პროგრამას „პარტნიორობა მშვიდობისათვის“ და ნატოსთან განახორციელა თანამშრომლობის პროგრამები,რაც ბოლო

დროს კიდევ უფრო განმტკიცდა. საერთაშორისო ინტეგრაციის ეს პროცესი გლობალიზაციის მოთხოვნაა და მსოფლიო ტენდენციის გამოძახილიც.

მიუხედავად ამისა, ქვეყანაში შექმნილი სიტუაციიდან გამომდინარე, აქტუალურია შემდეგი კითხვები: რამდენად უპასუხებს საქართველოში არსებული სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობა გლობალიზაციის გამოწვევას? არის თუ არა ქვეყანა მზად აითვისოს გლობალიზაციის პოზიტიური შედეგები და სწრაფად მოახდინოს ეკონომიკის მოდერნიზაცია, ისე როგორც ეს გააკეთა ბევრმა ქვეყანამ, მათ შორის „აზიურმა ვეფხვებმა“, რომლებსაც მხოლოდ 10-15 წელი დასჭირდათ,რომ დაეძლიათ ეკონომიკური ჩამორჩენილობა და ახალინდუსტრიული ქვეყნების სტატუსი მიეღოთ?

მიუხედავად პოზიტიური ძვრებისა, საქართველო, ჯერ კიდევ,რთული სოციალურ-ეკონომიკური და პოლიტიკური პრობლემების წინაშე დგას. უპირველეს ყოვლისა,ვერ მოხერხდა ტრანსფორმაციული პროცესების ეთიკის ნორმებში წარმართვა,ეკონომიკური ინტერესების შეჯერება,შეიარაღებული კონფლიქტების თავიდან აცილება,წონასწორობის დამყარება საზოგადოებრივ ურთიერთობებში და სოციალური სოლიდარობის მიღწევა, საზოგადოებრივი სექტორის ეკონომიკის განვითარება და ა.შ.

საქართველომ დღესაც ვერ შეძლო, მთლიანი შიდა პროდუქტის წარმოების 1990 წლის დონისთვის მიეღწია. მსოფლიო ბანკისა და სსფ-ის ექსპერტული შეფასებით, საქარ-თველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროს სტატისტიკის დეპარტამენტის მონაცემებით, 2008 წელს საქართველოში რეალურმა მთლიანმა შიდა პროდუქტმა (მთლიანი შიდა პროდუქტის დეფლატორის – ფასების

ჯაჭვური ინდექსის მეთოდით) შეადგინა 1990 წლის დონის 71,1% (მიმდინარე ფასებით მოსახლეობის ერთ სულზე 3230 დოლარი,რაც საშუალო მსოფლიო დონის 1/3-საც ვერ აღწევს),* მაშინ როდესაც ეს ბარიერი დაძლია აზერბაიჯანმა (192,8%), სომხეთმა (171,6%), ლატვიამ (140,9%), ესტონეთმა (172,7%),ლიტვამ (129,7%),თურქმენეთმა (218,1%),უზბეკეთმა (157,3%),ყაზახეთმა (143,3%),ტაჯიკეთმა (138,5%),ბელორუსიამ (152,7%),რუსეთმა (112,3%).[3] **2015 წლის მონაცემებით, საქართველომ მაინც ვერ გადალახა ეს ბარიერი და აწარმოებს 1990 წლის დონის მხოლოდ 89,6%-ს.**[4]

ცივილიზაციის მიღწეული დონე ახალ აზროვნებას მოითხოვს, რაც განსაკუთრებით აუცილებელია ქვეყნის მართვასა და სახელმწიფო რეგულირებაში. გლობალიზაციის პირობებში ეკონომიკის წინსვლა ეროვნული ფასეულობების დაცვის და თვითმყოფადობის შენარჩუნების გარეშე შეუძლებელია. სამწუხაროდ, დღეს საქართველო არ არის მზად გამოიყენოს პოტენციური შესაძლებლობები და წინ აღუდგეს გლობალიზაციის ნეგატიურ ტენდენციებს, წინააღმდეგობა გაუწიოს კოსმოპოლიტურ გლობალიზაციას, რომელიც ქვეყნის უპერსპექტივობის წინაპირობაა. **უცხოურ მოდელზე მორგებული ეკონომიკური პოლიტიკა, გარკვეულწილად იმ დიდი პოლიტიკის შემადგენელი ნაწილია, რომლის მიზანიც არ არის მყარი ეკონომიკის შექმნა, პირიქით, იგი ქვეყნის ქრონიკული ჩამორჩენილობის საფუძველია.**

---

* ამ მნიშვნელოვანი ინდიკატორის თითქმის სამჯერ ჩამორჩენა ერთხელ კიდევ მიუთითებს საქართველოს მოსახლეობის მთლიან რიცხოვნობაში საშუალო ფენის დაბალ დონეზე. იგი მხოლოდ 9%-ია.

[3] http://www.geosat.ge/?astion=page&p-id=118&lang=geo

[4] საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მონაცემები.

მიუხედავად მძიმე პოლიტიკური და სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობისა, საქართველოს აქვს პოტენციალი გადაჭრას მის წინაშე არსებული რთული პრობლემები.

იმისათვის, რომ საქართველომ დაიცვას თავისი ეროვნული ფასეულობები, გამოიყენოს და განავითაროს ეკონომიკური თუ ინტელექტუალური პოტენციალი, ჩადგეს ცივილიზებული ქვეყნების რიგებში, დაიცვას ეროვნულ თვითმყოფადობაზე დაფუძნებული საზოგადოებრივი ინტერესები, ბუნებრივია, უნდა გაითვალისწინოს ევროპის განვითარებული ქვეყნების გამოცდილებაც, „ევროპის მმართველობა და გამგებლობა ქვეყნისა, ევროპის წესი და რიგი“ (ილია ჭავჭავაძე), მაგრამ იგი სახელმწიფოთა ინტერესების შეჯახების ადგილი და პოლიგონი კი არ უნდა გახდეს, არამედ ქვეყნების წარმომადგენელთა შეხვედრის ადგილი. ამ თვალსაზრისით, **საქართველომ უნდა დაიკავოს ის პოზიცია და შეასრულოს ის ფუნქციები, რასაც შვეიცარია ასრულებს შუაგულ ევროპაში. საქართველომ, რომელიც ევროპა-აზიის შესაყარზე მდებარეობს, კავკასიის ამ რეგიონში „რეგიონული ჰაბის“ ფუნქცია უნდა შეასრულოს.** პოლიტიკური, ეკონომიკური, სამეცნიერო, კულტურული და ა.შ. ურთიერთობები და შეხვედრები, რეგიონის სამივე ქვეყნის (აზერბაიჯანი, საქართველო, სომხეთი) წარმომადგენელთა მონაწილეობის შემთხვევაში (სომხეთსა და აზერბაიჯანს შორის კონფლიქტის გათვალისწინებით) პრაქტიკულად მხოლოდ საქართველოშია შესაძლებელი.[5]

მიუხედავად იმისა, რომ საქართველო უნიკალური რესურსების მფლობელია, მდიდარია მისი ეკონომიკური და ინტელექტუალური პოტენციალი, საინტერესო და

---

[5] **ისმაილოვი ელ., პაპავა ვ.** ცენტრალური კავკასია: გეოპოლიტიკური ეკონომიის ნარკვევები. თბილისი„„დიოგენე“,2007,გვ. 175.

მიმზიდველია ბუნებრივი რესურსებით, უნივერსალურია სასარგებლო წიაღისეულისა და სოფლის მეურნეობის პროდუქციის მრავალფეროვნებით, თერმული, მტკნარი და მინერალური წყლებით, კურორტების სიმრავლითა და მრავალფეროვნებით,სამკურნალო ტალახებით,კარსტული მღვიმეებით, კულტურის უძველეს ძეგლთა სიუხვითა და ეთნოგ-რაფიული თავისებურებებით და ა.შ.,ჩვენს ქვეყანაში ჯერ კიდევ მძიმე სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობაა. **არსებული ვითარება ერთხელ კიდევ გვაფრთხილებს, რომ აუცილებელია გავიაზროთ პასუხისმგებლობა საქართველოს ხვალინდელი დღის მიმართ.** უპირველეს ყოვლისა, აუცილებელია გავერკვეთ, საით მივდივართ, როგორ ეკონომიკურ სისტემას ვაშენებთ და როგორი ქვეყნის აშენება დავისახეთ მიზნად.

X.2. ეკონომიკური პოლიტიკის ძირითადი მიმართულების (მეინსტრიმის) შეცვლა საქართველოში – საზოგადოებრივი სექტორის ეკონომიკის განვითარების საფუძველი

ეკონომიკური პოლიტიკის მართვა მეტად რთული საქმეა, მას მხოლოდ პოლიტიკოსებს ვერ მივანდობთ

შარლ დე გოლი

ეკონომიკურ პოლიტიკას უდიდესი როლი აკისრია ნებისმიერი ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკურ განვითარებაში, აქედან გამომდინარე კი, კულტურულ-საგანმანათლებლო დონის ამაღლებასა და სამეცნიერო-ტექნოლოგიურ ფასეულობათა დამკვიდრებაში. სახელმწიფო კი იმის გარანტია, თუ არსებული ეკონომიკური პოლიტიკა რამდენად ადეკვატურია ქვეყნის ეკონომიკური განვითარების დონისა და თავისებურებების, რამდენად წარმატებულად იმართება

იგი. **რეალურად არსებობს კი ასეთი პოლიტიკა, თუ სინამდვილეში იგი არის თვალის დახუჭვისა და მისგან „გაქცევის“ პოლიტიკა?**

საქართველოში ეკონომიკურ პოლიტიკას სპონტანური ხასიათი აქვს და მას კლასიკური ფორმით არცერთი ეკონომიკური თეორია არ გამოუყენებია საბაზრო ეკონომიკაზე გარდამავალი პერიოდის ეკონომიკურ პოლიტიკაში. ქვეყანაში იგნორირებულია მსოფლიოში აპრობირებული მოწინავე გამოცდილება. როგორც ენდოგენური, ისე ეგზოგენური ფაქტორების ზეგავლენით საქართველომ ვერ შეძლო ჯანსაღ საბაზრო ურთიერთობებზე გადასვლა. გაუსაძლისია სოციალური ფონი, განუვითარებელია საზოგადოებრივი სექტორი, არ ხდება სახელმწიფოს განკარგულებაში არსებული ფინანსური რესურსების ეფექტიანად გამოყენება, აქედან გამომდინარე, საზოგადოებრივი სექტორის ეკონომიკის სათანადო დონეზე ფუნქციონირება, ადგილი არა აქვს ინკლუზიურ ეკონომიკურ ზრდას,მიღწეული არ არის სამართლიანობა და სოციალური თანხმობა. **გაუაზრებელმა ეკონომიკურმა პოლიტიკამ ეკონომიკის მოშლა გამოიწვია.** კვაზიდემოკრატია აფერხებს საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლას.

საქართველოს წარუმატებლობის მთავარი მიზეზი,პირველ ყოვლისა, არასწორ ეკონომიკურ პოლიტიკაში უნდა ვეძიოთ. ამიტომ **აუცილებელია ეკონომიკური პოლიტიკის ძირითადი მიმართულების (მეინსტრიმის) შეცვლა და სახელმწიფო ფინანსების სწორად (ეროვნული ინტერესებიდან გამომდინარე) წარმართვის საფუძველზე აქცენტის გაკეთება ეკონომიკის სოციალური ორიენტაციის გაძლიერებაზე. ეს უკანასკნელი ბაზრის გამოცოცხლების ერთადერთი გზა და საზოგადოებრივი სექტორის ეკონომიკის განვითარების გარანტია.**

თანამედროვე მსოფლიოში, გლობალიზაციის ეპოქაში განვითარებადი და გარდამავალი (ტრანზიტული) ეკონომიკის ქვეყნების მიმართ ზოგადად საკითხი შემდეგნაირად დგას – **გინდა გახდე სტაბილური და განვითარებული ქვეყანა? მაშ გაატარე ეკონომიკური რეფორმები იმ პირობებითა და პროგრამით, რომლებსაც ჩვენ გთავაზობთ.** მაგრამ, როგორც პრაქტიკამ აჩვენა, უცხოელი ეკონომისტების მიერ შემუშავებული „რეცეპტები" ყოველთვის არ არის ეფექტიანი. არ გაამართლა იმ შეხედულების გაუთვალისწინებელმა გამოყენებამ, რომ ერთ ქვეყანაში წარმატებული ეკონომიკური პოლიტიკა ასევე წარმატებული იქნებოდა სხვა ქვეყნებშიც. ამიტომ ეკონომიკის რეფორმების ერთი და იგივე მოდელი ჩვენი ქვეყნისთვის მიუღებელი აღმოჩნდა.

მსოფლიოში არ არსებობს ქვეყანა, სადაც საბაზრო ეკონომიკა (და არა საბაზრო ურთიერთობის ელემენტები) – სოციალურად ორიენტირებული ეკონომიკური სისტემა ჩამოყალიბდა კეინზიანური მაკროეკონომიკური თეორიის ძირითადი პოსტულატების გაუთვალისწინებლად. ჯონ მეინარდ კეინზის თეორია ხომ კრიზისული ეკონომიკის ანალიზს ეძღვნება და ხსნის უმუშევრობის, აქედან გამომდინარე კი, სიღარიბის მიზეზებს, ამასთან, იძლევა ამ სოციალურად აუტანელი მდგომარეობიდან ქვეყნის თავის დაღწევის გზებს. ჯონ კენეტ გელბრეითის შეფასებით, ისტორიაში ყველაზე ღრმა 1929–1933 წლების მსოფლიო ეკონომიკური კრიზისის და მისი შემდგომი პერიოდის დეპრესიის დაძლევა არაეფექტიანი სამკურნალო ღონისძიებებით მიმდინარეობდა. ამ მხრივ უდიდესი გარდატეხა ეკონომიკურ აზროვნებაში, შემდეგ კი ეკონომიკურ პოლიტიკაში მოახდინა ჯონ მეინარდ კეინზის ფუნდამენტურმა ნაშრომმა – „დასაქმების, სარგებლისა და ფულის ზოგადმა თეორიამ."

ამიტომაცაა, **დასავლეთში ნებისმიერმა განვითარებულმა ქვეყანამ, თავისი აღმავლობა, ეფექტიანი ეკონომიკური ზრდა „კეინზიანური რევოლუციით“ დაიწყო.**[6]

კეინზის მულტიპლიკაციური ეფექტი, რომლის ათვლის წერტილი ერთობლივი მოთხოვნის გაზრდასა და, აქედან გამომდინარე,ბაზრისა და,შესაბამისად,საქმიანი აქტიურობის გაფართოებას უკავშირდება„,ველური“ კაპიტალისტური ურთიერთობების ნგრევისა და ახალი საბაზრო ურთიერთობების ფორმირების საფუძველი გახდა. ეს უკანასკნელი კი, თავის მხრივ, **საზოგადოებრივი სექტორის ეკონომიკის ჩამოყლიბების ათვლის წერტილად შეიძლება ჩაითვალოს**.

ამ მოწინავე გამოცდილების, შეიძლება ითქვას**„მსოფლიო სასწაულის“** გაუთვალისწინებლობას საქართველოში მოჰყვა ქვეყნის მკვიდრი მოსახლეობის გარიყვა საკუთრებისა და საქმიანი აქტიურობისაგან, უმუშევრობისა და სიღარიბის მკვეთრი ზრდა, სახელმწიფო ბიუჯეტის დეფიციტის დაფარვა ჯერ ეროვნული ბანკიდან გადასროლილი თანხებით, ხოლო შემდეგ, ქვეყნის ეროვნული სიმდიდრის მეტწილად უცხოელებზე მიყიდვით. თავის მხრივ,ყოველივე ამას მოჰყვა კრიმინოგენური სიტუაციის გამწვავება, ციხეების პატიმრებით, მათ შორის, არასრულწლოვანი დამნაშავეებით ავსება,დემოგრაფიული სიტუაციის გამწვავება და, რაც ძალზე მნიშვნელოვანია, **ადამიანის უფლებებისა და ღირსების შელახვა**. მოკლედ, არასწორმა ეკონომიკურმა პოლიტიკამ საქართველოს მოსახლეობის დიდი ნაწილი მძიმე მდგომარეობაში ჩააყენა.

ჯერ იყო და რეფორმირების საწყის ეტაპზე (1991-1995), რადიკალიზმის მაღალი დონითა და „დიდი აფეთქების“ სახელწოდებით ცნობილი გარედან თავსმოხვეული ვაშინგ-

---

[6] **ასათიანი რ.** საით მიდის საქართველო? სოციალურ-ეკონომიკური განვითარების კონცეპტუალური ანალიზი. თბილისი,გამომცემლობა „სიახლე“,2014,გვ. 48.

ტონში შემუშავებული „შოკური თერაპიის“ მოდელი საქართველოსთვის არ იყო წარმატებული ექსპერიმენტი – ეკონომიკის შოკირებას თერაპია არ მოჰყოლია. იგი ერთმნიშვნელოვნად არის შეფასებული საქართველოში როგორც სისტემური რეფორმების წარუმატებლობის ერთ-ერთი მთავარი, ეგზოგენური მიზეზი, შეიძლება ითქვას, ათვლის წერტილიც კი.

საქართველოში „შოკური“ გზით განხორციელებული ინსტიტუციური ცვლილებები თავიდანვე ეჭვს ბადებდა საზოგადოებაში, განსაკუთრებით მეცნიერ-ეკონომისტებში. არა ერთხელ გამოგვითქვამს მოსაზრება იმის შესახებ, რომ ასე მოუმზადებლად გატარებული ფასების ლიბერალიზაცია და პრივატიზაცია კარგს არაფერს მოუტანდა ქვეყანას.[7]

რა შედეგიც მივიღეთ ეკონომიკის „შოკირებით“, რომელსაც თერაპია არ მოჰყოლია, კარგადაა ცნობილი. ეკონომიკის რეფორმირების ოცდახუთ წელზე მეტი დროის გასვლის შემდეგაც კი ვერ შევძელით საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლა (**იგი ხომ, პირველ ყოვლისა, სოციალური გარანტიებითაა განმტკიცებული**) და დამოუკიდებლობის აღდგენის შემდგომ პირველ წლებში ეკონომიკის შოკირებით შევძლებდით? პირიქით, არსებული, საზოგადოების მიერ ათეული წლების მანძილზე დიდი ძალისხმევით შექმნილიც კი დავანგრიეთ. იძარცვებოდა, ნადგურდებოდა საქართველოს მატერიალურ-ტექნიკური ბაზა, წარმოებრივი პოტენციალი. განუკითხაობა სუფევდა ქვეყანაში!

---

[7] **ასათიანი რ.** საკუთრების განსახელმწიფოებრივება: არსი, ფორმები, მეთოდები. „პოლიტიკა“, 1991, №9-10; **ასათიანი რ.** პრივატიზაცია: გზა საბაზრო ეკონომიკისკენ. „პოლიტიკა“, 1991, №11-12; **ასათიანი რ.** საკუთრების პრივატიზაცია და საქართველოს გადასვლა საბაზრო ურთიერთობებზე. „ეკონომიკური თეორიის საფუძვლები“. თბილისი, 1992; **ასათიანი რ.** პრივატიზაციის ქართული ვარიანტი: მითი თუ სინამდვილე. „შანსი“, 16 VIII, 1994 და სხვ.

ვაშინგტონის რეცეპტით ახალი ათვლის წერტილი ნულიდან უნდა დაწყებულიყო. ინსტიტუციური ცვლილებებით – ფასების ლიბერალიზაციითა და მოუფიქრებელი, თავაშვებული პრივატიზაციით მხოლოდ საბჭოური ეკონომიკური სისტემის დემონტაჟი (მაგრამ არა ცივილიზებული ფორმით) განხორციელდა, მაგრამ საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლა რომ ასე მარტივად არ მოხდებოდა, ეს ცხადი იყო.

ეკონომიკის კონვერსიასთან დაკავშირებულმა რეფორმებმა საქართველოში გაცილებით მეტი მწვავე პრობლემა წარმოქმნა, ვიდრე გადაჭრა, განსაკუთრებით სოციალურ სფეროში.

საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლის შემოთავაზებული სქემა ითვალისწინებდა კერძო საკუთრების შექმნასა და კონკურენციის განვითარებას. ბუნებრივია, ორივეს განხორციელება აუცილებელი იყო,მაგრამ საქართველოს მთავრობა მხოლოდ პრივატიზაციით დაკმაყოფილდა. სახელმწიფო საკუთრების მნიშვნელოვანი ნაწილი გადავიდა კერძო საკუთრებაში,მაგრამ ვერ ჩამოყალიბდა საკუთრების პლურალიზმი. კერძო სექტორს სახელმწიფოს აქტივები გადაეცა ყოველგვარი მარეგულირებელი პროცესების გარეშე. ამასთან, ამ პროცესს, ეკონომიკური ზრდის თვალსაზრისით, წარმატება არ მოჰყოლია. ნაჩქარევმა, მოუფიქრებელმა, არაკანონიერმა პრივატიზაციამ სასურველი შედეგი ვერ გამოიღო. იგი იქცა ნაკლებად გამჭვირვალე პროცესად და შემოვლითი გზით კორუფციის წყაროდ.[8]

ამ შიდა, ენდოგენურმა მიზეზმა, ეგზოგენურთან ერთად, საქართველოს ეკონომიკის უპრეცედენტო დაცემა, ჰიპერინფლაცია და უმუშევრობის კატასტროფული ზრდა

[8] **Папава В.** К вопросу о первом поколении посткоммунистических реформ в экономике Грузии (ретроспективный анализ). “Кавказ и Глобализация”. Том 5, вып. 3-4, 2011;

გამოიწვია. ამის პარალელურად ნეგატიურმა ფაქტორებმა – სამოქალაქო დაპირისპირებამ, საომარმა მოქმედებებმა აფხაზეთსა და სამაჩაბლოში, ტრადიციული ბაზრების დაკარგვამ და ეკონომიკური კავშირების მოშლამ, უაღრესად დაძაბული კრიმინოგენული გარემო შექმნა და ეკონომიკურ რეფორმას სპონტანური ხასიათი მიანიჭა.

საქართველოს მომავალს მნიშვნელოვანწილად განსაზღვრავდა რთული და უალტერნატივო პროცესის – ქვეყნის ეკონომიკის ტრანსფორმაციისა და ახალ თვისებრიობაში გადასვლის ტემპი და ხარისხი, რაც, თავის მხრივ, დამოკიდებული იყო სასტარტო გარემოზე, ეკონომიკური პროცესების რეგულირების მექანიზმზე. ხელისუფლება არ აღმოჩნდა მზად, ეკონომიკის რეფორმირების უაღრესად საპასუხისმგებლო სასტარტო პერიოდში კოორდინაცია გაეწია ამ მოულოდნელი პროცესებისათვის, შეემუშავებინა მართვის ბერკეტები და დაეცვა ქვეყანა გარედან თავსმოხვეული დოგმებისაგან. პირიქით, ასეთ რთულ სიტუაციაში, რადიკალური ლიბერალიზმის დოქტრინაზე დაყრდნობით, ეკონომიკური პროცესები თვითდინებაზე მიუშვა, რის გამოც გარდამავალი პერიოდის სტრატეგია საშიშროების წინაშე აღმოჩნდა. სწორედ ამაში მდგომარეობდა საქართველოს ეკონომიკის წარუმატებლობის ჩვენზე დამოკიდებული პირველი ენდოგენური მიზეზი.

ასე რომ, საქართველოში XX საუკუნის პირველ დიდ წარუმატებელ ექსპერიმენტს – 70-წლიან „საბჭოურ-სოციალისტურ“ ექსპერიმენტს მოჰყვა მეორე წარუმატებელი ექსპერიმენტი – საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლის „შოკური“ გზა.*

ამის შემდეგ იყო და 1996 წლიდან საქართველოს ეკონომიკურ პოლიტიკას საფუძვლად „ძვირი ფულის“

* რომელსაც, სამწუხაროდ, შემდგომ პერიოდში საქართველოში მოჰყვა „ექსპერიმენტების“ სერია.

პოლიტიკა დაედო. ინფლაციური სპირალის წინააღმდეგ მიმართულმა ამ პოლიტიკამ გამოიწვია მწვავე ფულადი „შიმშილი“ და კიდევ უფრო ჩაკლა წარმოება.[9]

საქართველოს ეკონომიკის ვარდნის მეორე მთავარი, ეგზოგენური მიზეზი უკავშირდება მაკროეკონომიკური სტაბილიზაციის ორთოდოქსულ მოდელს, რომელიც ისევ ვაშინგტონში მიღწეული შეთანხმების საფუძველზე აისახა ქვეყნის ეკონომიკურ პოლიტიკაში რეფორმირების II ეტაპზე – 1996-2003 წლებში. იგი ძირითადად ითვალისწინებდა როგორც საბიუჯეტო-საგადასახადო,ისე ფულადსაკრედიტო პოლიტიკის გამკაცრებას,რაც გამოიხატა სახელმწიფო ხარჯების,პირველ რიგში,სოციალური დაცვის ხარჯების,სახელმწიფო ტრანსფერების,სუბსიდიებისა და ა.შ. შემცირებასა და გადასახადების გადიდებაში,ასევე,ფულის მიწოდების შეზღუდვაში (რამაც,თავის მხრივ,მწვავე ფულადი შიმშილი გამოიწვია),საპროცენტო განაკვეთების ამაღლებაში,ერთობლივი მოთხოვნის შემცირებაში,გადაუხდელობის კრიზისის გაღრმავებაში,სამამულო წარმოების პროდუქციის წილის დაცემასა და საგადასახადო ბაზის შეკვეცაში,სახელმწიფო ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილის შემცირებასა და ა.შ.[10]

---

[9] **Papava V.** The Georgian Economy: Problems of Reform. “Euroasian Studies”. Vol. 2, 1995, № 2; **პაპავა ვ.** პოსტკომუნისტური გარდამავალი პერიოდის მაკროეკონომიკა. თბილისი„,თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა“, 2005, გვ. 32; **აბესაძე რ.** ეკონომიკური რეფორმების განხორციელების ძირითადი შედეგები და მომავლის ამოცანები საქართველოში. „საბაზრო ეკონომიკის განვითარების პრობლემები საქართველოში“. II ტომი. თბილისი,„მეცნიერება“, 2002; **ასათიანი რ.** „ძვირი ფულის“ პოლიტიკა ძვირად დაგვიჯდა. გაზ. „საქართველოს რესპუბლიკა“,2000,7,VII;

[10] **ასათიანი რ.** მცდარი მონეტარული პოსტულატები და საქართველო ილუზიების ტყვეობაში. „შრომები“. IV ტომი. საქართველოს ეკონომიკურ მეცნიერებათა აკადემია. თბილისი, გამომცემლობა „სიახლე“,2004;

„ძვირი ფულის“ პოლიტიკის სახელწოდებით ცნობილი მაკროეკონომიკური „სტაბილიზაციის“(!) თავს მოხვეული მოდელი, რატომ აღიქმება მაკროეკონომიკური სტაბილიზაციის მოდელად?

სტრუქტურულ-წარმოებრივი სტაბილიზაციის მოდელისაგან განსხვავებით, ამ ამერიკულმა მოდელმა, ორთოდოქსულ მოდელთან ერთად, ეკონომიკის დესტაბილიზაცია უფრო გამოიწვია,ვიდრე მისი სტაბილიზაცია,მაშინ, როდესაც სტრუქტურულ-წარმოებრივი სტაბილიზაციის მოდელის გამოყენებით (რაც ითვალისწინებს ერთობლივი მიწოდების ზრდას, პარალელურად ერთობლივი მოთხოვნის ამაღლებასაც, ადგილობრივი პროდუქციით ბაზრის გაჯერებას, ეროვნული ეკონომიკის „სანედლეულო დანამატად“ გარდაქმნის არდაშვებას, საქონლის ხარისხის ამაღლების საფუძველზე სამამულო წარმოების პროდუქციის კონკურენტუნარიანობის ამღლებასა და ა.შ.) უდიდეს წარმატებას მიაღწია იაპონიამ, ჩინეთმა, ასევე, რიგმა სხვა ქვეყნებმა. საქართველოში რატომ შემოგვთავაზეს ორთოდოქსული მოდელი და მასთან დაკავშირებული „ძვირი ფულის“ პოლიტიკა? ეს პერიოდი ხომ მწარედ დაამახსოვრდა საქართველოს მოსახლეობას: 14-ლარიანი, თანაც გაყინული პენსიები,ასევე,გაყინული მიზერული ხელფასები, გაჩერებული წარმოებები და სწრაფად მზარდი უმუშევრობა, პარალიზებული ტრანსპორტი, საქმიანი აქტიურობისა და ეკონომიკის ინვესტირების უაღრესად დაბალი დონე (იმ პერიოდში უმოქმედო საწარმოთა რიცხვმა 80%-ს მიაღწია). არაფერს ვამბობთ მწვავე ენერგეტიკულ კრიზისზე, თავაშვებულ კორუფციაზე, განსაკუთრებით სახელისუფლებო სტრუქტურებში, გაუმჭვირვალე პრივატიზაციაზე, არასამართლიან მცირე პრივატიზაციაზე,რომელმაც მძიმე მდგომარეობაში განსაკუთრებით ინტელიგენცია ჩააყენა და

ა.შ. ბუნებრივია,ყოველივე ეს აისახა საბიუჯეტო შემოსავლების მკვეთრ შემცირებასა და საგადასახდელო ბალანსის გაუარესებაში. **ამ პერიოდში მთლიან შიდა პროდუქტში ექსპორტის წილმა მხოლოდ 3% შეადგინა**.

ამრიგად, ორთოდოქსულ მოდელზე დაფუძნებულმა „ძვირი ფულის“ პოლიტიკამ, მართალია, ჰიპერინფლაციის შემდეგ „ხანძრის ჩაქრობის“ ეფექტი შექმნა,მაგრამ ეს არ იყო საკმარისი. მან ვერ გაამართლა საქართველოში. გარედან თავსმოხვეულმა, ქვეყნის ეკონომიკის ნგრევის მეორე ეგზოგენურმა მიზეზმა უკიდურესად გაამძაფრა ეკონომიკური პრობლემები და კიდევ უფრო დასცა ცხოვრების დონე. თუმცა,საქართველოში შეიქმნა ახალი ეკონომიკური სისტემის ინსტიტუციური საფუძვლები, რამაც მოახდინა ეკონომიკური ზრდის სტიმულირება 90-იანი წლების II ნახევრის დასაწყისში,მაგრამ 90-იანი წლების ბოლოს იგი მკვეთრად შეფერხდა.

საგულისხმოა ერთი მეტად მნიშვნელოვანი გარემოება: როცა მთავრობამ ჰიპერინფლაციის დაძლევის შემდეგ შეინარჩუნა ინფლაციის დათრგუნვის კურსი,სახელმწიფო ბიუჯეტის დეფიციტის დასაფარავად ძირითადად აქცენტი საგარეო ვალზე გააკეთა. საგარეო ვალის გაზრდამ საქართველოს ეკონომიკა დამოკიდებული გახადა მსოფლიო საფინანსო ორგანიზაციებზე და, საერთოდ, მსოფლიო საფინანსო ბაზრების კონიუნქტურაზე,რამაც ხელი შეუწყო სახელმწიფო ხარჯების არარაციონალური სტრუქტურის ჩამოყალიბებას. ყოველივე აღნიშნულმა კიდევ უფრო დასცა ერთობლივი მოთხოვნა და მეწარმეობის განვითარება. კაპიტალმა, ეროვნული წარმოების ამოქმედების ნაცვლად, გეზი საზღვარგარეთისაკენ აიღო,ვინაიდან ადგილობრივი წარმოება არ აღმოჩნდა საიმედო. მაღალი იყო სამეწარმეო რისკი,პარალიზებული – უნაღდო ანგარიშსწორება. სამაგი-

ეროდ,არნახულ მასშტაბებს მიაღწია ფარულმა ეკონომიკამ, რომელმაც 60%-ს გადააჭარბა, თუმცა, ზოგიერთ დარგში (მაგალითად, ჯანდაცვაში) – 75-85%-საც კი მიაღწია. ქართულ ეკონომიკურ პოლიტიკაში თავი იჩინა დაგვიანების ეფექტმა. გაჩნდა ლაგი. ქვეყანამ მიზნობრივად ვერ გამოიყენა ის შედავათიანი კრედიტები და გრანტები, რომლებიც უწყვეტ ნაკადად მოედინებოდა საქართველოში. დახმარების თვალსაზრისით დიდი ძალისხმევა იყო საერთაშორისო ორგანიზაციებიდან, მაგრამ ვინაიდან არ იყო პოლიტიკური ნება, საქმე ვერ წავიდა წინ. **ამიტომ სოციალური სამართლიანობის ლოზუნგზე აგებული საბჭოური მონოპოლია შეიცვალა კლანურ ინტერესებზე აგებული კაპიტალისტური მონოპოლიით**. კატასტროფულად დაეცა სახელისუფლებო სტრუქტურების პასუხისმგებლობა. სახელმწიფოს ინტერესები დაექვემდებარა ერთეულთა ინტერესებს. ეროვნულმა ეკონომიკამ დაკარგა სოციალური ორიენტაცია,რის გარეშეც ფორმირების პროცესში მყოფი ახალი ეკონომიკური სისტემა პოლიტიკურად ნაკლებსიცოცხლისუნარიანი გახდა.

დაშვებული უხეში შეცდომების შედეგად ჩამოყალიბდა ქონებრივად მკვეთრად დიფერენცირებული საზოგადოება, მოსახლეობის 55% სიღარიბის ზღვარს მიღმა აღმოჩნდა.

ასე რომ,XXI საუკუნის დასაწყისში,როდესაც მსოფლიო ალაპარაკდა ცოდნისა და ინოვაციური ეკონომიკის პრიორიტეტებზე, უმძიმესი იყო საქართველოს სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობა,ასევე,საინვესტიციო გარემოც. 2003 წელს მშპ-ის მოცულობამ 1990 წლის დონის მხოლოდ 46,2% შეადგინა, ხოლო ინვესტიციების წილმა ძირითად კაპიტალში – მხოლოდ 9,6%.[11] მოკლედ, **არ გაამართლა**

[11] საქართველოს სტატისტიკის სახელმწიფო დეპარტამენტის მასალები.

არც უცხოურმა რეცეპტებმა და არც „ეროვნულმა ხელისუფლებამ“. ენდოგენურმა მიზეზებმა, ეგზოგენურთან ერთად, ხელი შეუწყო ქვეყნის ეკონომიკის შემდგომ ნგრევას, რამაც მოსახლეობის უდიდესი ნაწილი უკიდურესად მძიმე მდგომარეობაში ჩააყენა. საქართველო ისევ ახალი ექსპერიმენტის მსხვერპლი გახდა.

ეკონომიკის შოკირება პოსტკომუნისტურ სივრცეში ეკონომიკურ ლიტერატურაში ოქტომბრის რევოლუციასთან არის შედარებული.[12]

თუ გადავხედავთ მსოფლიო ეკონომიკის განვითარების პრაქტიკას, არც ერთი ქვეყანა დეპრესიიდან უკან – კრიზისში არ დაბრუნებულა და არც ერთ ქვეყანას ასეთ პირობებში არ გამოუყენებია „ძვირი ფულის“ პოლიტიკა. მონეტარულმა რეცეპტებმა ნეგატიური გავლენა მოახდინა ქვეყნის სამეურნეო ცხოვრებაზე და ინფლაციის დამუხრუჭების მხოლოდ მოკლევადიანი ეფექტი წარმოქმნა.

ჩინეთმა არ გამოიყენა დასავლეთის კონსულტანტთა რეცეპტები, გამოკვეთა საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლის საკუთარი, თანდათანობითი, ევოლუციურად გადასვლის გზა (გრადუალისტური მოდელი).[13] მან პოსტსაბჭოთა ქვეყნებზე ადრე დაიწყო საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლა არა წარმოებრივი პოტენციალის განადგურებით, არამედ აქტიური ეკონომიკური პოლიტიკის გატარებით, სახელმწიფოს მიერ ეკონომიკის საკვანძო სფეროების შენარჩუნებით, წარმოების მოდერნიზაციით, პროგრესული სტრუქტურული და

---

[12] **Сильцов Е.Н.** Экономика государственного сектора. М., “издательство московского университета”, 1995; **ასათიანი რ.** საით მივყავართ რეფორმებს?. (ეკონომიკის რეფორმების ალტერნატიული სტრატეგია). „ეკონომიკა“, 2004, №4.

[13] **ასათიანი რ.** თანამედროვე ეკონომიკის მცირე ენციკლოპედია. თბილისი, გამომცემლობა „სიახლე“, 2014, გვ. 228-229.

საინვესტიციო პოლიტიკით, ადგილობრივ მწარმოებელთა დაცვით, მეცნიერული გამოკვლევების წახალისებით, ეროვნული მოთხოვნის სტიმულირებითა და ა.შ. სტრუქტურულ-წარმოებრივი სტაბილიზაციით (და არა ორთოდოქსული ან ჰეტეროდოქსული მოდელით) ჩინეთმა შეძლო კიდეც არა მხოლოდ სწრაფი ეკონომიკური ზრდისთვის მიეღწია, არამედ შეექმნა ძლიერი არასახელმწიფო სექტორიც.

დამოუკიდებლობის აღდგენის შემდეგ საქართველოს არცერთ ხელისუფლებას არ გამოუყენებია განვითარებულ ქვეყნებში საკმაოდ აპრობირებული ეკონომიკის მაკროეკონომიკური რეგულირების ბერკეტები. პირიქით, თავისუფალი ბაზრის იდეოლოგიასთან – Laissez faire-თან მიახლოვებული პოლიტიკა მომდევნო ეტაპებზე შეცვალა ეკონომიკაში უხეში ჩარევის პოლიტიკამ. ზედმეტია ლაპარაკი ეკონომიკური პოლიტიკის წარმართვისთვის კლასიკურ ფორმებზე, რომელსაც, ეკონომიკური მეცნიერების წარმოშობიდან მოყოლებული, მსოფლიო ეკონომიკის განვითარების ნებისმიერ ეტაპზე საფუძვლად ედო ესა თუ ის ეკონომიკური თეორია. ამ უკანასკნელს უდიდესი წვლილი მიუძღვის ეკონომიკური პოლიტიკის სრულყოფასა და მსოფლიოს წამყვანი ქვეყნების განვითარებაში.[14] **ეკონომიკური მიმდინარეობები და შესაბამისი მოდელები, შეიძლება ითქვას, მსოფლიო ეკონომიკაში განსაზღვრავენ „თამაშის წესებს“ და უდიდეს როლს ასრულებენ საზოგადოებრივი სექტორის ეკონომიკის განვითარებაში.**

თუ გავითვალისწინებთ ეკონომიკის დარგში ნობელის პრემიის ლაურეატის დუგლას ნორთის აზრს, **„ძვირი ფულის“ პოლიტიკა წარმატებულია მხოლოდ მაშინ, როდესაც**

[14] **ასათიანი რ.** თეორიული ცოდნა როგორც სიახლეების დანერგვისა და ეკონომიკური პოლიტიკის ჩამოყალიბების საფუძველი. „ბიზნეს-ინჟინერინგი“, 2012, №3.

ლაპარაკია ბაზრის ფუნქციონირებაზე და არა იმაზე, თუ როგორ უნდა შეიქმნას და განვითარდეს ბაზარი.[15]

ქვეყნის მაკროეკონომიკური სტაბილიზაციის ორთოდოქსულ მოდელზე მორგებული ეს პოლიტიკა თავისებური შოკი აღმოჩნდა საქართველოსთვის. მან ეკონომიკას არამც თუ შესძინა სოციალური ორიენტაცია, არამედ, პირიქით, გაამწვავა სოციალური პრობლემები, რითაც საფრთხე შეუქმნა სამოქალაქო საზოგადოების მშენებლობასა და საზოგადოებრივი სექტორის ეკონომიკის ფუნქციონირებას. ამიტომაცაა, 2015 წლის ოფიციალური მონაცემებით, საქართველოში შემოსავლების გადანაწილებაში უთანაბრობის ინდექსი – ჯინის კოეფიციენტი მაღალია (0,42) და სოციალური სტრატიფიკაცია ვერავითარ კრიტიკას ვერ უძლებს.

როგორ შეიძლება ქვეყნისთვის სტრატეგიული ობიექტების (კავშირგაბმულობის, წყალ-, ელექტრო-, გაზმომარაგებისა და ა.შ.) ასე ხელაღებით პრივატიზება? ისიც უცხოელებზე! ამით ხომ თანდათან ვკარგავთ ეკონომიკურ დამოუკიდებლობას,ურომლისოდაც პოლიტიკური დამოუკიდებლობა ფიქციაა?

პრივატიზაციის სტრატეგიული მნიშვნელობა კონკურენტული გარემოს შექმნაა, მაგრამ როგორ შეიქმნება პრივატიზაციის ამ გზით კონკურენტული გარემო, როდესაც კერძო მეწარმეები, რომლებიც იკავებენ მყარ პოზიციებს ბაზარზე,კონკურენციულ ბრძოლაში ადვილად ამარცხებენ ახალ მეტოქეებს? მათი მდგომარეობა ბაზარზე, წარმოებული პროდუქციის მოხმარების მასობრივი და წარმოების ფართომასშტაბური ხასიათიდან გამომდინარე,ყოველთვის მონოპოლიური იქნება.

---

[15] **North D.C.** Institution and Economic Theory. The new Institutional Economics and Third World Development. Ed. by Harris J. New York, 1995.

საქართველოს ეკონომიკის წარუმატებლობის,გარედან თავსმოხვეული,ეგზოგენური მესამე მიზეზი უკავშირდება რეფორმირების III ეტაპს – 2004-2012 წლებს, როდესაც ქვეყნის ეკონომიკურ პოლიტიკას საფუძვლად დაედო მონეტარულ დოქტრინაზე აგებული ნეოლიბერალური ეკონომიკური თეორია, თუმცა, ამ მოდელში ჭეშმარიტ ლიბერალურ ფასეულობებზე მსჯელობა ზედმეტია. **იგი ის ულტრალიბერალური კაპიტალიზმის მოდელია, რომელმაც შეარყია განვითარებული ეკონომიკები და რომლის კრახი 2008 წლის ოქტომბერში ოფიციალურად დააფიქსირა ევროკავშირის სამიტზე იმდროინდელმა საფრანგეთის პრეზიდენტმა ნიკოლა სარკოზმა.**[16] ამის შესახებ სერიოზული მსჯელობა იყო 2010 წლის დავოსის საერთაშორისო ეკონომიკურ ფორუმზეც, სადაც ლიდერი ქვეყნების წარმომადგენლებმა მკაცრად გააკრიტიკეს მსოფლიო ეკონომიკურ პოლიტიკაში, განსაკუთრებით, ფულად-საკრედიტო სისტემაში შექმნილი რთული ვითარება.[17]

მიუხედავად იმისა, რომ საქართველოში 2005 წლიდან, ახალი საგადასახადო კოდექსის საფუძველზე, საგადასახადო ტვირთი მნიშვნელოვნად შემცირდა, ბიზნესის წამოწყების პროცესები არსებითად გამარტივდა, ახალმა შრომითმა კანონმდებლობამ დაქირავებულებთან ურთიერთობებში დამქირავებლებს სრული თავისუფლება მიანიჭა და ყოველივე ამით საქართველომ ნეოლიბერალური რეფორმების გამტარებელი ქვეყნის იმიჯი დაიმსახურა, ამავდროულად საკუთრების უფლების შელახვის უამრავი ფაქტი დაფიქსირდა. **მსხვილი ბიზნესი მთლიანად მთავრობაში შემავალი კლანის მიერ კონტროლირებადი გახდა.**

[16] "The Economist", 11 October, 2008, p. 12.

[17] http://ictsd.org/i/news/bridgesrussiandigest/69878

2006 წელს ანტიმონოპოლიური კანონმდებლობის გაუქმებამ ეკონომიკის ძლიერი მონოპოლიზაცია გამოიწვია, ხოლო მასობრივი კორუფციის აღკვეთას ელიტარული კორუფციის შემაშფოთებელი მასშტაბები მოჰყვა. შემოღებულ იქნა „თავისუფალი ვაჭრობისა და კონკურენციის შესახებ“ კანონი, თუმცა, მან არ „იმუშავა“ და ბიზნესი ხელისუფლების ზეწოლის, პოლიტიკის წნეხის ქვეშ აღმოჩნდა. შეილახა მეწარმეთა უფლებები, რაც ეწინააღმდეგება საქართველოს კონსტიტუციის 30-ე მუხლის მე-2 პუნქტის მოთხოვნას – „სახელმწიფო ვალდებულია ხელი შეუწყოს თავისუფალი მეწარმეობისა და კონკურენციის განვითარებას“.

დამოუკიდებლობის აღდგენიდან 2013 წლამდე ძლიერ პოლიტიზირებული იყო მაკონტროლებელი ორგანოები, ვერავითარ კრიტიკას ვერ უძლებდა შრომის კოდექსი,რომელიც დამქირავებელთა განუსაზღვრელ უფლებებსა და დაქირავებულთა ინტერესების მინიმუმამდე დაყვანას ითვალისწინებდა. შეზღუდული იყო სიტყვის თავისუფლება, საოცარი მონსტრი შეიქმნა ხელისუფლებასა და მედიის ერთ ნაწილს შორის და ა.შ. ოლიგოპოლიური ბაზარი განაპირობებდა კონკურენციის ჰორიზონტალურ შეზღუდვას, არ არსებობდა ადმინისტრაციის ჰუმანიზაცია, საბანკო სისტემა ნაკლებად გამჭვირვალე და კონკურენტუნარიანი იყო.

მომრავლდა ფინანსისტი–სპეკულანტები, რომლებიც შემოსავალს ვალუტების კურსებს შორის სხვაობით იღებდნენ. საბანკო და საფინანსო ინსტიტუტებმა საქართველოს რეალური სექტორის ტრადიციული დარგების ადგილი დაიკავა. არ არსებობდა აგრობიზნესის განვითარების სტიმულები. მინიმუმამდე იყო დაყვანილი ამ დარგის განვითარების სახელმწიფო რეგულაცია. არ ხდებოდა დარგის შესაბამისი პროფილის კვალიფიციური კადრების

მომზადება. საქსტატის მონაცემებით,სოფლის მეურნეობის წარმოების 90%-ზე მეტი საკუთარი მოხმარებისთვის იყო განკუთვნილი და იგი მოსახლეობის არსებობის მნიშვნელოვან წყაროს წარმოადგენდა. სამწუხაროდ,ეს ტენდენცია დღესაც არის შემორჩენილი.

სოფლის მეურნეობის პროდუქციის რეალიზაციიდან მიღებული შემოსავლების წილი შინამეურნეობის მთლიან შემოსავლებში მხოლოდ 7%-ია.[18] მიწების საპრივატიზაციო პოლიტიკა მხოლოდ უცხოელებზეა მორგებული და აბსოლუტურად გაუმჭვირვალეა. საქართველოში უცხოელები თავიანთი ქვეყნიდან ჩამოყვანილ სამუშაო ძალას ასაქმებენ.

თანამედროვე ეპოქა იმდენად არის დატვირთული აშკარა თუ ფარული პრობლემებით, რომ თვით ეკონომიკური თეორია დგას ახალი გამოწვევების წინაშე. XX საუკუნის 40-იანი წლებიდან მოყოლებული,ეკონომიკურ პოლიტიკაში ცნობილი ლიბერალური ეკონომიკური თეორიის 160-წლიანი ბატონობის შემდეგ,ეკონომიკური თეორია „დუღილს“ განიცდის და „პირველი ვიოლინოს“ როლს ასრულებს დღეს განვითარებული, მაგრამ იმ პერიოდში მძიმე სოციალურ-ეკონომიკურ მდგომარეობაში მყოფი ქვეყნების ეკონომიკურ პოლიტიკაში. ამასთან,თანამედროვე პირობებში მას მნიშვნელოვანი ფუნქციები აკისრია ახალი მსოფლიო წესრიგის განვითარებაში. **ამიტომ დღეს, გლობალურ ეკონომიკაში არ შეიძლება მსოფლიოში მიმდინარე პორცესებისგან იზოლირებულად განვიხილოთ საქართველოს ეკონომიკური მდგომარეობა**. აუცილებელია ამ პროცესების გაანალიზების საფუძველზე გავაკეთოთ სათანადო დასკვნები. აქედან გამომდინარე, მიზანშეწონილია საქართველოს სოციალურ-ეკონომიკურ პრობლემებთან გლობალიზაციის

[18] www.statistics.ge (სექცია „შინამეურნეობები“).

შეუქცევადი პროცესისა და ეკონომიკური თეორიის წინაშე მდგარი ამოცანების დაკავშირება. თუმცა, რიგმა ნეგატიურმა ეფექტებმაც,რომლებმაც განსაკუთრებით 2008 წლის მსოფლიო ფინანსური კრიზისის ფონზე იჩინა თავი, დღის წესრიგში დააყენა ეკონომიკურ პოლიტიკაში ეკონომიკური თეორიის ძირითადი მიმართულების (მეინსტრიმის) შეცვლის აუცილებლობა.

მილთონ ფრიდმენისა და საერთოდ, „ჩიკაგოს სკოლის“ მონეტარულ თეორიაზე აგებული ნეოლიბერალური ეკონომიკური პოლიტიკა, რომელსაც თითქმის უკანასკნელი ორი ათწლეულის მანძილზე ეყრდნობოდა აშშ-ისა და სხვა მოწინავე ქვეყნების ეკონომიკა, სტაბილურობისა და მდგრადი ეკონომიკური განვითარების გარანტად იყო აღიარებული. იგი ითვალისწინებდა მაკროეკონომიკური რეგულირების შესუსტებასა და საბაზრო ძალების გაძლიერებას,სახელმწიფო სოციალური ხარჯების შემცირებას სოციალური პროგრამების შეკვეცის, ხელფასის მინიმალური განაკვეთების „გაყინვის“, პროფკავშირების როლის შესუსტებისა და ა.შ. გზით. „ოქროს წლებად“ მონათლულ ამ პერიოდში აღზევებული მონეტარიზმი ეკონომიკურ თეორიაში „აზრთა კონვერგენციის“ უმაღლესი გამოხატულების ნიმუშს წარმოადგენდა და იგი ქვეყნის მაკროეკონომიკური რეგულირების წარმატებულ მოდელად აღიქმებოდა.

მაშინ, როდესაც აშშ ეკონომიკური ქცევის „დიდ სტაბილურობას“ ზეიმობდა, ხოლო მილთონ ფრიდმენსა და „ჩიკაგოს სკოლის“ სხვა ცნობილ წარმომადგენლებს (მაგ. ფ. კეიგანს, ფ. ჰაიეკს, ე. მელტცერს, მ. ლუკასს, პ. შვარცსა და ა.შ.) მიაჩნდათ, რომ დეპრესიის პრევენციის ცენტრალური პრობლემა გადაჭრილი იყო, კრიზისის დადგომის ნიშნები, განსაკუთრებით 2007 წლიდან, ნელ-ნელა იკვეთებოდა. ამ დროს, როგორც 2008 წლის ნობელის პრემიის ლაურეატი

პოლ კრუგმანი აღნიშნავს, **„ეკონომიკური დარგის პროფესიონალები თვლემდნენ. მიუხედავად აშშ-ის ფედერალური სარეზერვო სისტემის მცდელობისა, გამოესწორებინა კეთილდღეობის გზიდან ეკონომიკის მნიშვნელოვანი გადახრები, ამერიკული ეკონომიკა აცდა სწორ გზას და „ლიანდაგიდან გადავიდა“.**[19] ევროკავშირის სამიტზე 2008 წლის ოქტომბერში საფრანგეთის პრეზიდენტმა ნ. სარკოზმა განაცხადა, რომ **„ულტრალიბერალურმა კაპიტალიზმმა კრახი განიცადა და აუცილებელია იგი შეიცვალოს სოციალური საბაზრო ეკონომიკის მოდელით“.**[20]

საყურადღებოა აშშ-ის ეკონომიკურ პოლიტიკაში მონეტარული თეორიის როლის შესახებ პოლ კრუგმანის მოსაზრება. მისი აზრით, **ჩიკაგოელი ეკონომისტების კომენტარები არის „ბნელი საუკუნის“ მაკროეკონომიკის პროდუქტი, სადაც რთულად მოპოვებული ცოდნა დავიწყებულ იქნა, ხოლო უცნაური განტოლებებით „გამოპრანჭული“ ირაციონალური და არაპროგნოზირებადი თეორიები ძალიან შორს აღმოჩნდნენ რეალობისგან.**[21]

როგორც იტყვიან, პრაქტიკა ჭეშმარიტების კრიტერიუმია. მ. ფრიდმენის მონეტარული თეორიის ნაკლოვანებებმა თავი იჩინა მსოფლიო ეკონომიკურ პოლიტიკაში. გლობალური ფინანსური კრიზისის წარმოშობის ერთ-ერთი მთა-

---

[19] **კრუგმანი პ.** როგორ მოახერხეს ეკონომისტებმა ყველაფრის არასწორად გაგება. თარგმანი ინგლისურიდან. „საქართველოს ეკონომიკა“, 2009, №10, გვ. 80 (Krugman P. How did Economists get it so wrong? “New York Times”, 2009, September 2).

[20] “The Economist.” October 11, 2008, p. 12.

[21] **კრუგმანი პ.** როგორ მოახერხეს ეკონომისტებმა ყველაფრის არასწორად გაგება. თარგმანი ინგლისურიდან. „საქართველოს ეკონომიკა“, 2009, №10, გვ. 80 (Krugman P. How did Economists get it so wrong? “New York Times”, 2009, September 2).

ვარი მიზეზი სწორედ მაკროეკონომიკური რეგულირების მკვეთრ შეზღუდვასა და, გარკვეულწილად, საბიუჯეტო-საგადასახადო რეგულირების უკანა პლანზე გადაწევაში მდგომარეობს.[22] ამასთან,ფულად-საკრედიტო პოლიტიკაში საკრედიტო რეგულირების შესუსტებამ,თვითდინებაზე მიშვებამ და წინა პლანზე ფულის ფენომენის წამოწევამ გზა გაუხსნა ვირტუალურ ეკონომიკას. ფინანსურმა ეკონომიკამ, რომელიც,შეიძლება ითქვას,მოწყდა რეალურ ეკონომიკას, მსოფლიოს ფინანსური კრიზისისკენ უბიძგა, რომელიც შემდეგ მსოფლიო ეკონომიკურ კრიზისში გადაიზარდა. ფინანსური ეკონომიკა მხოლოდ საშუალებაა საბოლოო მიზნის მიღწევისათვის. საბოლოო მიზანი კი არა სპეკულაციური გარიგებები და ამ გზით ფულის კეთებაა, არამედ მატერიალური და არამატერიალური დოვლათისა და ფასეულობების წარმოებაა. სამწუხაროდ,ეს აქსიომატური ჭეშმარიტება არ იქნა გათვალისწინებული. ფულის კეთების ხელოვნებამ (ქრემატისტიკა – არისტოტელე) დაფარა მეურნეობის მართვის ხელოვნება (ეკონომიკა). საბოლოოდ კი მივიღეთ მსოფლიო ეკონომიკური კრიზისი. საერთაშორისო სავალუტო ფონდის ოფიციალური მონაცემებით, მსოფლიო მთლიანი შიდა პროდუქტი 3,02%-დან 0,60%-მდე დაეცა.[23] ამაში ფრიდმენის მონეტარული თეორიის უპირობო გამოყენებამ უდიდესი როლი შეასრულა.

ნეოორთოდოქსულ თეორიაზე მორგებული მონეტარიზმის მოდელი (გარკვეული გადახრებით) საფუძვლად დაედო „დანარჩენი სამყაროს“ უმეტესი ქვეყნების, მათ შორის, საქართველოს ეკონომიკურ პოლიტიკას. ამიტომ ეკონომი-

---

[22] **Асатиани Р.** Экономика Грузии сквозь призму нового мирового порядка. „სოციალური ეკონომიკა“,2014,№5.

[23] http://ictsd.org/i/news/bridgesrussiandigest/69878

კური კრიზისი მეტ-ნაკლები ზომით აისახა ჩვენს ქვეყანაშიც, რაც, პირველ ყოვლისა, ეკონომიკური ზრდის ტემპების შემცირებასა და ერთობლივი მოთხოვნის დაცემაში გამოიხატა.

მსოფლიო ფინანსურმა კრიზისმა, შეიძლება ითქვას, გამოიწვია მონეტარიზმის „ინტელექტუალური კოლაფსი" და თვით აშშ-შიც კი კითხვის ქვეშ დააყენა ნეოლიბერალური ეკონომიკური პოლიტიკა.

ეკონომიკურ მეცნიერებაში ამ ბოლო დროს გაბატონებულმა შეხედულებამ იმის შესახებ, რომ კეინზიანური ერა დასრულდა, გადასინჯვა მოითხოვა. კეინზიანური თეორიის დედაარსმა (ანუ იმან,რომ ეკონომიკური განვითარების ათვლის წერტილი ერთობლივი მოთხოვნის გაზრდით იწყება, რასაც ბაზრის ტევადობის,წარმოების გაფართოებისა და უმუშევრობის შემცირება მოჰყვება,ყოველივე ეს კი,წარმოქმნის მულტიპლიკაციურ ეფექტს,რაც ქვეყნის ეკონომიკურ ზრდასა და განვითარებაში აისახება) ისევ მიიპყრო განვითარებული ქვეყნების ყურადღება. თანამედროვე გლობალურმა კრიზისმა აიძულა ცივილიზებული სამყარო კეინზიანური მოდელისკენ შემობრუნებულიყო. ამიტომ სავსებით ლოგიკურად, წინა პლანზე ისევ კეინზიანური თეორიის პოსტულატებმა – **ეკონომიკაში სახელმწიფოს, როგორც საბაზრო სისტემაში „ჩაშენებული სტაბილიზატორის", როლის გააქტიურებამ, კერძოდ, სახელმწიფო სოციალური ხარჯების გაზრდამ და გადასახადების შემცირებამ, კერძო სექტორის სუფსიდირებამ, განსაკუთრებით კი მცირე და საშუალო ბიზნესის სახელმწიფო მხარდაჭერის გაფართოებამ, საშუალო ფენის შენარჩუნებისა და გაზრდის მიზნით მათი შემოსავლების გაზრდამ, სამომხმარებლო კრედიტის გააქტიურებამ, ანტიმონოპოლიური რეგულირების გაძლიერებამ, საზოგადოებრივი სექტორის ეკონომიკის განვითარებამ** და ა.შ. **წინა პლანზე წამო-**

იწია. ეკონომიკურ პოლიტიკაში დღის წესრიგში დადგა ეკონომიკური თეორიის მეინსტრიმის შეცვლის აუცილებლობა. ეკონომიკურ პოლიტიკაში არსებითი ცვლილებების გარეშე გართულდებოდა მსოფლიო ეკონომიკური კრიზისიდან თავის დაღწევა, რომელმაც სათავე ფრიდმენის სამშობლოში – აშშ-ში აიღო და სწორედ აშშ-დან დაიწყო აქტიური ანტიკრიზისული ღონისძიებების გატარება. მაგალითად, ეკონომიკის ნორმალური ფუქნციონირების აღდგენისა და ფინანსურ ბაზრებზე ლიკვიდურობის პრობლემის გადასაჭრელად ფედერალურმა სარეზერვო სისტემამ, ევროკავშირის, დიდი ბრიტანეთის, იაპონიის, შვეიცარიისა და კანადის ცენტრალურ ბანკებთან ერთად, გამოყო 640 მლრდ დოლარი ფინანსური ინსტიტუტების მხარდასაჭერად, ხოლო 800 მლრდ დოლარი სამომხარებლო კრედიტის სახით.[24]

„კეინზიანური რევოლუციიდან“ მოყოლებული არ არსებობს დღეს განვითარებული ქვეყანა, რომელსაც ეკონომიკის ტრანსფორამციის პროცესსა და კრიზისულ სიტუაციებში თავისი ეკონომიკური პოლიტიკისათვის საფუძვლად არ დაედო კეინზიანური მოდელი – რელიგიურ ეთიკაზე აგებული ეს ჰუმანური თეორია. მაგრამ ეს „ფუფუნება“ თავის დროზე მხოლოდ მსოფლიოს წამყვან ქვეყნებს ერგოთ წილად.

რაც შეეხება სუსტად განვითარებულ ქვეყნებსა და ზოგიერთ ტრანზიტულ ქვეყანას,მათ შორის,საქართველოსაც, ამ კატეგორიის ქვეყნებში ეკონომიკურ პოლიტიკას, მეტ-ნაკლები ზომით,სპონტანური ხასიათი აქვს და კლასიკური ფორმით არც ერთი თეორია,მითუმეტეს კეინზიანური მოდელი არ ყოფილა გათვალისწინებული ეროვნული ეკონომიკის მართვაში. მათ, როგორც ენდოგენური, ისე ეგზოგენური ფაქტორების ზეგავლენით,ვერ გამოიყენეს ამ

[24] “МЭ и МО”, 2009, №7, с. 15.

მხრივ მსოფლიოში აპრობირებული გამოცდილება,ამიტომ ვერ შეძლეს სოციალურად ორიენტირებულ საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლა და დღესაც „ულტრალიბერალური კაპიტალიზმის“ მარწუხებში არიან მოქცეულნი. ამ ქვეყნების მოსახლეობის უდიდესი ნაწილი მძიმე პრობლემების წინაშეა. „გლობალური იმპერიის ქოლგის ქვეშ მოქცეულ განვითარებად ქვეყნებში, როგორც ცნობილია, სუსტია სამართლებრივი ინსტიტუტები,დაბალია ცხოვრების დონე, მიზერულია საშუალო ფენა, მიუღწევადია სამართლიანობა და სოციალური თანხმობა. ამ ქვეყნების საგარეო ვალმა უკვე 4,2 ტრილიონ დოლარს გადააჭარბა, ხოლო ამ ვალის მომსახურების წლიურმა ღირებულებამ 375 მლრდ დოლარს მიაღწია. ეს იმაზე მეტია, რასაც ხარჯავენ ეს ქვეყნები ჯანდაცვასა და განათლებაზე და 20-ჯერ მეტი, რასაც თვითონ ყოველწლიურად იღებენ ეკონომიკური დახმარების სახით.[25]

უკანასკნელი ნახევარი საუკუნის მანძილზე,განსაკუთრებით კი ბოლო ათწლეულებში მსოფლიოს პოლიტიკურ, ეკონომიკურ, სოციალურ და მეცნიერულ-ტექნოლოგიურ სფეროებში უდიდესი ცვლილებები მოხდა,რაც მეტ-ნაკლები ზომით აისახა ცალკეული ქვეყნების განვითარებაზე. ამ მხრივ, არც საქართველოა გამონაკლისი.

დიდი ილია ბრძანებდა: „ყველა დროს თავისი ტკივილი აქვს.. ჭეშმარიტი მეისტორიე, ვითარცა გამკითხველი, ჯერ იმ დროების ქერქში უნდა ჩაჯდეს და მერე განიკითხოს იმ დროების შვილნი. ეს რომ არ იყოს, კაცი ვერც საბუთს უპოვის ცხოვრებას და ვერც აზრს“.[26]

---

[25] **Перкинс Д.** Исповедь экономического убиицы. 4-е издание. Перевод с английского. М., “Перетекст”, 2015, с. 29-30.

[26] **ჭავჭავაძე ი.** აი ისტორია. თხზ. ტ. IV. თბილისი, 1955, გვ. 66.

თანამედროვე დროებასაც თავისი „ტკივილი“ აქვს, განსხვავებული წინა ეპოქებისაგან. პოზიტიურთან ერთად, დიდია გლობალიზაციის ნეგატიური ტენდენციების გავლენა. სწორედ ამ დროების „ქერქში ჩაჯდომით უნდა ვეცადოთ „საბუთი ვუპოვოთ ცხოვრებას“, შეძლებისდაგვარად წინ აღვუდგეთ სახელმწიფოებრიობის,ეროვნული თავისებურებებისა და ტრადიციების დამანგრეველ გარე, ეგზოგენურ ფაქტორებს,რომელთა ნიველირების გარეშე გართულდება შიდა,ენდოგენური წინააღმდეგობების,მაკროეკონომიკური დისპროპორციების დაძლევა და ქვეყნის პროგრესი.

საქართველოში საბაზრო ეკონომიკაზე გარდამავალი პერიოდის ექსპერიმენტს დასასრული არ უჩანს. ქვეყანაში შექმნილია „მანკიერი წრე“,რომლისგანაც თავის დაღწევა რთულდება. დავადექით კი იმ გზას, რომელიც დასახულ მიზნამდე მიგვიყვანს? ამ გზით შევძლებთ სოციალურად ორიენტირებული საბაზრო ეკონომიკის შექმნას? არადა, დღეს, გლობალურ სამყაროში ასეთი სისტემის გარეშე წინსვლა და განვითარება შეუძლებელია.

ეკონომიკის განვითარების დონისა და ეროვნული ინტერესების არაადეკვატური იყო უცხოური რეკომენდაციების მნიშვნელოვანი ნაწილი, რომელიც საფუძვლად დაედო ქვეყნის ეკონომიკურ პოლიტიკას.[27] ქვეყანაში დაწყებულმა

[27] **პაპავა ვ.** საერთაშორისო სავალუტო ფონდი საქართველოში: მიღწევები და შეცდომები. თბილისი, „იმპერიალი“, 2000; **Папава В**. О некоторых ошибках Международного валютного фонда в Грузии. “Вопросы экономики”, 2002, №3; **ასათიანი რ.** საქართველოს ეკონომიკა. ახალი ეპოქა. თბილისი, გამომცემლობა „სიახლე“, 2009; **ასათიანი რ.** საქართველოს ეკონომიკის წარუმატებლობის ეგზოგენური და ენდოგენური მიზეზები. „ეკონომიკისა და ეკონომიკური მეცნიერების განვითარების აქტუალური პრობლემები“. თსუ პაატა გუგუშვილის ეკონომიკის ინსტიტუტი, საერთაშორისო სამეცნიერო-პრაქტიკული კონფერენციის მასალები. 27-28 ივნისი, თბილისი, 2014.

როგორც ინსტიტუციურმა გარდაქმნებმა (სახელმწიფო საკუთრების დეცენტრალიზაცია და საკუთრების მრავალფორმიანობის ჩამოყალიბება, ახალი საკანონმდებლო ბაზისა და შესაბამისი სტრუქტურების შექმნა, წარმოების ფაქტორთა,საქონლის და მომსახურების ბაზრების,საბაზრო ინფრასტრუქტურის ფორმირება და ა.შ.), ისე ეკონომიკის კონვერსიის სხვა პროცესებმა (ფასების ლიბერალიზაცია, ეკონომიკის დემონოპოლიზაცია და ანტიმონოპოლიური რეგულირება, საგარეო ვაჭრობისა და, საერთოდ, საგარეოეკონომიკური ურთიერთობების ლიბერალიზაცია და ა.შ.) აშკარა დეფორმაციული ხასიათი მიიღო: ეკონომიკის რეფორმირების პირველ ეტაპზე, ფასების მოუმზადებელი ლიბერალიზაცია ჰიპერინფლაციაში გადაიზარდა, ახლად ფორმირებულმა საბაზრო ინფრასტრუქტურის ინსტიტუტებმა სპეკულაციური ორიენტაცია შეიძინა. ამას მოჰყვა საქმიანი აქტიურობის დაცემა და ეროვნული წარმოების პარალიზება.

საქართველოს წარუმატებლობის მთავარი ეგზოგენური მიზეზები მაკროეკონომიკური სტაბილიზაციის ორთოდოქსულ მოდელში, რეფორმირების II ეტაპზე, ისე როგორც „შოკურ თერაპიასა“ (I ეტაპი) და III ეტაპზე „ანტიკეინზიანურ რევოლუციად მონათლულ ნეოლიბერალურ ეკონომიკურ პოლიტიკაში უნდა ვეძიოთ.[28] განვითარებულ ქვეყნებში, მათ შორის, აშშ-შიც კი არ გამოდგა ნეოლიბერალურ ეკონომიკურ თეორიაზე აგებული ეს მოდელი (თანაც, უფრო დახვეწილი ფორმით) და საქართველოში გამოდგებოდა? თუმცა, რაოდენ პატარაც უნდა იყოს ქვეყანა, თუ ეკონომიკურად ფეხზე დგას, ვერავინ მოერევა.

---

[28] **ასათიანი რ.** ინსტიტუციური რეფორმები. „საქართველოს ეკონომიკა“. ეძღვნება საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის,უწმინდესისა და უნეტარესის ილია II აღსაყდრების 35-ე წლისთავს. მთავარი რედაქტორი **ასათიანი რ.** თბილისი. გამომცემლობა „სიახლე“,2012.

საქართველო მცდარ მონეტარულ პოსტულატებზე დაყრდნობით, კვლავ ილუზიების ტყვეობაში აღმოჩნდა.[29] ქვეყანა არ დაადგა იმ გზას,რომელიც დასახულ მიზნამდე მიგვიყვანდა.

ეკონომიკის რეფორმირების წინა ეტაპებზე,მეწარმეობაში შექმნილი რთული ვითარების გამო, ზედმეტი იყო მსჯელობა კონკურენციის განვითარებაზე, მითუმეტეს ქვეყნის კონკურენტუნარიანობის ამაღლებაზე. არადა,ნებისმიერი ქვეყნის წარმატების,ამასთან „ჩინური სასწაულის“ უმთავრეს ფაქტორად სამამულო წარმოების პროდუქციის კონკურენტუნარიანობის ამაღლებაა აღიარებული, რაც თანამედროვე მეცნიერულ-ტექნოლოგიურ პროგრესს ემყარება და რამაც განვითარების აქამდე არნახული შესაძლებლობები შეუქმნა ამ ქვეყანას.

საქართველოში რიგი ენდოგენური ფაქტორების გავლენით, მათ შორის, როგორც აღინიშნა, **არასწორად განხორციელებული ე.წ. მცირე პრივატიზაციის გამო, ვერ ვითარდება მცირე და საშუალო ბიზნესი, რაც უარყოფით გავლენას ახდენს სახელმწიფო ბიუჯეტისა და, აქედან გამომდინარე, საზოგადოებრივი სექტორის ეკონომიკის განვითარებაზე**. 2012 წლის მონაცემებით,მცირე ბიზნესის წილად მოდიოდა სამეწარმეო სექტორის მთლიანი გამოშვების 6,6% (საშუალო ევროპული მაჩვენებელი 40%-ია), საშუალო ბიზნესის წილად – 9,2% (ევროკავშირში 18%-ია), სამაგიეროდ,მსხვილი ბიზნესის წილი მთელი გამოშვების 84,2%-ს შეადგენდა და 2-ჯერ აღემატებოდა ევროკავშირის შესაბამის მაჩვენებელს.[30] 2015 წლის მონაცემებით, მცირე ბიზნესის წილად მოდის 9,1%, საშუალო ბიზნესის წილად

[29] **Asatiani R.** Post-communist Transition Period in the Georgian Economy. “The Caucasus & Globalization”. vol. 3, Issue 2-3, Ca&CC Press, Sweden, 2009.
[30] Eurostat Newsrelease, 2008, №47; www.statistics.ge („სამეწარმეო სფერო“).

– 8,4%, ხოლო მსხვილი ბიზნესის წილად – 82,5%. **თავიდან ვერ მოვიცილეთ „ხელგაწვდილობის სინდრომი“, რის გამოც ნელ-ნელა ვკარგავთ დამოუკიდებლობას**. სსფ-ის შეფასებით, საქართველოში ჯერ კიდევ სუსტია სასამართლო სისტემა და კორუფციას ქვეყანამ თავი ვერ დააღწია, თუმცა, ბოლო პერიოდში შესუსტდა ეს „მავნე სენი“. კორუფციის ინდექსის მიხედვით, საქართველო, თუ 2008 წლის მონაცემებით, 180 ქვეყანას შორის 67-ე ადგილზე იყო,[31] 2015 წლის მონაცემებით, ამ მხრივ გაუმჯობესდა მდგომარეობა და 48-ე ადგილზეა.

ბოლო აღწერით, 2015 წლის 1 იანვრის მონაცემებით, საქართველოს მოსახლეობა 4371 ათასი კაციდან 2015 წელს 3720,0 ათას კაცამდე, ე.ი. 651 ათასი კაცით შემცირდა (თბილისის მოსახლეობამ 1,118 ათას კაცი შეადგინა).[32] საარსებო მინიმუმმა* მხოლოდ ნომინალურად შეამცირა სიღარიბის დონე. 2015 წლის დეკემბრის მონაცემებით, შრომისუნარიანი მამაკაცის საარსებო მინიმუმი 162,4 ლარია, საშუალო მომხმარებლის – 163,9, საშუალო ოჯახის – 272,5 ლარი. ოთხსულიან ოჯახზე საარსებო მინიმუმი თვეში 286,8 ლარს შეადგენს.** მინიმალური ხელფასი სამომხმარებლო კალათის ღირებულებაზე თითქმის 2-ჯერ ნაკლებია და საჯარო სექტორში 140 ლარია, ხოლო საშუალო ნომინალური ხელფასი – 900,4 ლარი.[33]

---

[31] **მესხია ი.** გლობალური ეკონომიკური კრიზისი და საქართველოს მაკროეკონომიკური სტაბილურობის პრობლემები. „ეკონომისტი“, 2009, №2, გვ. 19.

[32] www.statistics.ge (სექცია „მოსახლეობა“).

* განვითარებულ ქვეყნებში საარსებო მინიმუმის ცნებას ცვლის **„რაციონალური სამომხმარებლო კალათა“**.

** **საარსებო მინიმუმის ღირებულება** შედგება შრომისუნარიანი ადა-მიანის სიცოცხლისა და ჯანმრთელობისათვის აუცილებელი სასურსათო პროდუქტებისა და პირველადი მოხმარების არასასურსათო საქონლის მინიმალური რაოდენობის საბაზრო ღირებულებებისგან.

[33] http:/bls.gov/data/:www.statistics.ge (სექცია „შინამეურნეობები“).

2015 წლის საქსტატის მონაცემებით, მთლიანი შიდა პროდუქტი, მიმდინარე ფასებში, 31775,6 მლნ ლარი იყო, მოსახლეობის ერთ სულზე – 8550,9 ლარი,რაც 3760,6 დოლარს შეადგენდა.

საქართველოში ორგანიზაციულ-სამართლებრივი ნორმების მიხედვით, ეკონომიკურ სუბიექტთა რიცხოვნობაზე ნათელ წარმოდგენას იძლევა შემდეგი მონაცემები: 2016 წლის 1 ნოემბრის მდგომარეობით, სულ დასაქმებული იყო 647874 კაცი. კომერციული იურიდიული პირები 196386 კაცს ანუ 30,3 %-ს შეადგენდა, არაკომერციული, არასამეწარმეო იურიდიული პირები – 23569 კაცს (3,6%), ინდივიდუალური მეწარმეები – 418823 კაცს (64,6%), საოჯახო სამართლის სუბიექტები – 5918 კაცს (0,9%), სხვა ფორმები – 3178 კაცს (0,6%).

საქსტატის მონაცემებით, საქართველოში ინსტიტუციური სექტორების მიხედვით დასაქმებულთა განაწილება 2006–2015 წლებში წარმოდგენილია №2.1. ცხრილში.

№2.1. ცხრილი

დასაქმებულთა განაწილება ინსტიტუციური სექტორების მიხედვით საქართველოში 2005 – 2015 წლებში

	2006	2007	2008	2009	2010	2011	2012	2013	2014	2015
										ათასი კაცი
სულ	1747,3	1704,3	1601,9	1656,1	1628,1	1664,2	1724,0	1712,1	1745,2	1779,9
სახელმწიფო სექტორი	360,3	327	275	298,3	285,8	266,4	273,7	247,3	251,2	274,9
არასახელმწიფო სექტორი	1387	1377,3	1326,9	1357,8	1342,2	1397,8	1450,4	1464,7	1494	1505
										%
სულ	100	100	100	100	100	100	100	100	100	100
სახელმწიფო სექტორი	20,6	19,2	17,2	18,0	17,6	16,0	15,9	14,4	14,4	15,4
არასახელმწიფო სექტორი	79,4	80,8	82,8	82,0	82,4	84,0	84,1	85,6	85,6	84,6

ექსპერტული შეფასებით, საქართველოში მოსახლეობის უღარიბესი ფენა (პაუპერები) 15%-ს შეადგენს. საარსებო მინიმუმის ზღვარს მიღმა 21%-ია, სოციალურად ღარიბები (ანუ მოსახლეობის ის ნაწილი, რომლის შემოსავალი ფარავს საარსებო მინიმუმს, მაგრამ არ არის საკმარისი ნორმალური კვლავწარმოებისათვის) 50%-ია, მდიდრები – 5%, მათ შორის შეძლებულნი – 3,5%.[34]

ასეთი მწვავე სოციალური სტრატიფიკაციის გამო, საქართველო გამოირჩევა დანაზოგების ძალზე დაბალი დონით და ამ მაჩვენებლის მიხედვით საჰარის სამხრეთით მდებარე განვითარებადი ქვეყნების ჯგუფში განიხილება.[35] ამიტომ, ვინაიდან დეპოზიტების ბაზა საკმარისი არ იყო, ამ პრობლემის გადაჭრის მიზნით ბანკები საგარეო ბაზრებიდან სესხების მოზიდვას ახერხებდნენ. ამ კამპანიამ იმდენად მასობრივი ხასიათი მიიღო, რომ უცხოური ინვესტიციები ქვეყნის შიდა დანაზოგების დეფიციტის შევსების წყარო კი არ გახდა, არამედ, შეიძლება ითქვას, ეკონომიკის მამოძრავებელ ძალად იქცა.

სსფ-ის მისიის მიერ საქართველოში გატარებული რეფორმების შედეგად, საგრძნობლად იკლო საკრედიტო ბაზარზე ბანკების საინვესტიციო აქტიურობამ. 2008 წლის ბოლოსათვის პრაქტიკულად არ მუშაობდა გრძელვადიანი დაზოგვის მექანიზმი, რასაც მნიშვნელოვნად შეუწყო ხელი დეპოზიტების დაზღვევის ინსტიტუტის არარსებობამ. აქე-

---

[34] www.geoeconomics.ge; **არჩვაძე ი**. საშუალო ფენა საქართველოში: სოციალურ-ეკონომიკური როლი და მნიშვნელობა. „საქართველოს ეკონომიკა“, 2007, №7.

[35] **კორდონიე კ**. კერძო დანაზოგები, მაკროეკონომიკური სტაბილურობა და ფინანსური სექტორის განვითარება საქართველოში. „საქართველოს ეკონომიკური ტენდენციები“, GEPLAC, ოქტომბერი, 2008, გვ. 62.

დან გამომდინარე,საქართველოს საბანკო სისტემას ბზარი 2008 წლის მსოფლიო ფინანსური კრიზისის დაწყებამდე გაუჩნდა,თუმცა,გლობალურმა კრიზისმა ეს ბზარი კიდევ უფრო გააღრმავა.[36]

მიუხედავად იმისა,რომ ბრიუსელის ცნობილ დონორთა კონფერენციაზე (2008 წლის 22 ოქტომბერი), საქართველოს საბანკო სექტორის მხარდასაჭერად,სესხებისა და გრანტების სახით,850 მლნ დოლარი გამოიყო,2009 წლის იანვარში კომერციული ბანკების აქტივები,წინა წელთან შედარებით, 319 მლნ ლარით შემცირდა. ყოველივე ეს ნეგატიურად აისახა ქვეყნის რეალურ სექტორზე და განაპირობა საქართველოს საექსპორტო პოტენციალის საბანკო დაფინანსების გარეშე დატოვება. აღნიშნულმა და სხვა უარყოფითმა შიდა პროცესებმა მწვავე პრობლემად აქცია საგარეო ვაჭრობის პერმანენტული დეფიციტი. 2015 წლის ოფიციალური მონაცემებით, გამომდინარე იქიდან, რომ სამომხმარებლო ბაზრის 80% იმპორტულ საქონელზე მოდის და ექსპორტით იმპორტის დაფარვამ მხოლოდ 28,5% შეადგინა. ამასთან,დასავლეთის საკრედიტო „ინექციებმა“ სწრაფად გაზარდა საქართველოს საგარეო დავალიანება და უდიდესი დილემის წინაშე დააყენა ქვეყანა საგარეო ვალის მომსახურების მხრივ.

2015 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, საქართველოს საგარეო ვალმა თითქმის 15,1 მლრდ დოლარი (საქართველოს მშპ-ის 107,9%) შეადგინა, ხოლო საგარეო ვალის მომსახურებამ – 264 მლნ დოლარი. სამთავრობო საგარეო ვალი 4,6 მლრდ დოლარი იყო, რაც მშპ-ის 32,9%-ს შეადგენდა. საგარეო ვალის სტრუქტურაში კერძო სექტორზე მოდიოდა მთლიანი

[36] **ასათიანი რ.** საქართველოს საბანკო სისტემა გლობალური ფინანსური კრიზისის პირობებში. „ეკონომისტი“,2009,№4.

საგარეო ვალის 67%,ხოლო სახელმწიფო სექტორზე – 33%.

2003–2015 წლებში საქართველოს საგარეო ვალის შესახებ ნათელ წამოდგენას იძლევა №2.2. ცხრილი.

№2.2. ცხრილი

საქართველოს საგარეო ვალი

(ათასი აშშ $)

	31.12.2003	31.12.2012	31.12.2015
მთლიანი საგარეო ვალი	2861026,7	13287541,1	15088909,5
სამთავრობო სექტორი	1520530,1	4245807,1	4385132,3
ეროვნული ბანკი	344362,9	582319,9	219244,0
ბანკები	106229,9	2468534,8	82957125,7
სხვა სექტორები	467301,6	3493868,2	4514522,4
არასაფინანსო კორპორაციები	467301,6	3156378,1	4273195,3
კომპანიათაშორისო სესხები	422602,2	2662851,3	3012885,0

საქართველოში შექმნილი სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობა შემდეგი დასკვნის გაკეთების საფუძველს იძლევა: საქართველოში პირველი რიგის ამოცანაა ქვეყნის ეკონომიკის ადეკვატური ეკონომიკური პოლიტიკის შექმნა. იგი უნდა დაეყრდნოს მსოფლიოში აპრობირებულ განვითარებული ქვეყნების გამოცდილებას. აქედან გამომდინარე, პირველ ყოვლისა,აუცილებელია უმუშევრობის შემწეობის კანონის მიღება. იგი გაიცემა ბიუჯეტიდან,რაც აიძულებს სახელმწიფოს შეამციროს უმუშევრობა.

თუ გვინდა, რომ თავიდან მოვიცილოთ „ხელგაწვდილობის სინდრომი“, ქვეყნის აღმავლობის ათვლის წერტილი უნდა იყოს ჯ. მ. კეინზის მაკროეკონომიკურ თეორიაზე მორგებული ეკონომიკური პოლიტიკა,* გარკვეული კორექტივებით. რა თქმა უნდა, ეკონომიკური კრიზისის დაძლევის შემდეგ საქართველოს ეკონომიკური პოლიტიკა უნდა დაეყრდნოს „ახალ ნეოკლასიკურ სინთეზს“, რომელშიც ასახულია ახალი კეინზიანელების იდეები, ტექნოლოგიების სფეროში არსებული სიახლეებისა და ქვეყნის კონკურენტუნარიანობის ამაღლების გათვალისწინებით.**

ღვთისმშობლის წილხვედრმა ქვეყანამ მსოფლიოში უნდა დაიმკვიდროს ღირსეული ადგილი და შეინარჩუნოს თვითმყოფადობა. „საქართველო ტახტია წმინდისა სამებისა“ (საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი ილია II). გმირული წარსულით,ლამაზი ტრადიციებითა და ქვეყანაში არსებული პოტენციალით საქართველო ამის დიდ იმედებს იძლევა.

X.3. ინსტიტუციური რეფორმების როლი საქართველოში საზოგადოებრივი სექტორის ეკონომიკის ფუნქციონირებაში

საბაზრო ეკონომიკაზე გარდამავალმა პერიოდმა საქართველოში თვისებრივად ახალი ინსტიტუტების შექმნა მოითხოვა,რომელთა ერთი ნაწილი არსებული ინსტიტუტების

* მხოლოდ ერთობლივი მოთხოვნის გაზრდითაა შესაძლებელი ბაზრის ამოქმედება, ბაზრის „გამოცოცხლება“ კი წარმოებისა და, აქედან გამომდინარე,მიწოდების ზრდის საწინდარია.

** ტრადიციულ კეინზიანურ ფასეულობებზე ორიენტირებული **ახალი კეინზიანელობა მოდიფიცირებული კეინზიანური თეორიაა,** რომელიც ჩამოყალიბდა XX საუკუნის ბოლო ათწლეულში. ეკონომიკურ თეორიაში ამ ახალი მიმართულების წარმომადგენლებია კეინზიანელთა უფროსი თაობა (ჯ. ტობინი, უ. ხელერი...), პოსტ-

ტრანსფორმაციის, ხოლო, მეორე ნაწილი, მათი რღვევის შედეგად უნდა ჩამოყალიბებულიყო. ეს ურთულესი პროცესი კონცეპტუალურ,სისტემურ მიდგომას მოითხოვდა და ისეთი ფასეულობები წამოსწია წინა პლანზე,როგორიცაა სოციალურ-ფსიქოლოგიური განწყობა, ქცევის კულტურა, რაციონალიზმი აზროვნებასა და ქმედებაში და ა.შ.

ქართული სახელმწიფოს ინსტიტუციურ მოწყობაში გარდამავალი პერიოდის საწყის ეტაპზე მათ გაცილებით დიდი როლი ენიჭებოდათ,ვიდრე არსებულ მატერიალურ-ტექნოლოგიურ რესურსებს. შერეული ეკონომიკის ფორმი-

---

კეინზიანელები (პ. დავიდსონი, ლ. ბოლი, რ. რაისი...) და ახალი კეინზიანელები (უ. სტიგლიცი, ჯ. აკერლოფი, ო. ბლანშარი, ს. ფიშერი,ბ. ბერნარდი,ჯ. გრილვალდი...). ახალმა კეინზიანელებმა გააფართოვეს კვლევის სფერო, გარდა მაკროეკონომიკური პრობლემებისა, დაიწყეს **მიკროეკონომიკური პრობლემების ანალიზი**. კვლევის ცენტრმა ეფექტიანი ერთობლივი მოთხოვნის ანალიზიდან,ინდივიდუალიზმის პრინციპების მიკროეკონომიკურ პრობლემებზე გადაინაცვლა; მათ ეკონომიკურ ანალიზში ჩართეს ინსტიტუციალიზმის ცალკეული დებულებები, ინსაიდერებისა და აუტსაიდერების მიკროეკონომიკური პრობლემები. ახალი კეინზიანელები იკვლევენ ფულადი პოლიტიკის გავლენას მოკლევადიან პერიოდში დასაქმებასა და წარმოებაზე. ისინი არ ახდენენ კეინზიანური მაკროეკონომიკისა და ნეოკლასიკური მიკროეკონომიკის მექანიკურ შეერთებას,არამედ ეყრდნობიან იმ მტკიცებას,რომ **ეკონომიკური წონასწორობის დაცვა შესაძლებელია მხოლოდ ჯანსაღი ეკონომიკური პოლიტიკით, ხოლო ეკონომიკის უწონასწორობის დაძლევისათვის აუცილებელია, ღია ეკონომიკის მიღწევების გათვალისწინების საფუძველზე, სახელმწიფო რეგულირება,** ფულის მიმოქცევაზე ვალუტის ბაზრის გავლენის შესწავლა,ინფლაციის დაორგუნვის ღონისძიებების გატარება. ახალი კეინზიანელები ეკონომიკურ ზრდასა და განვითარებაში განსაკუთრებულ როლს ფინანსურ სფეროს ანიჭებენ, „სავალო ეკონომიკის“ – ზღვარსგადასული დავალიანებებზე დაფუძნებული ეკონომიკის პრობლემების კვლევას განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებენ, ასევე, სახელმწიფო ფინანსების როლს ეკონომიკის აღმავლობასა და ერთობლივი მიწოდების ზრდაში. ახალმა კეინზიანელებმა შექმნეს **„ახალი ნეოკლასიკური სინთეზი“**.

რება, ფასებთან ერთად, სამეწარმეო საქმიანობის ლიბერალიზაციას მოითხოვდა, რაც, თავის მხრივ,დღის წესრიგში აყენებდა საზოგადოებრივი სექტორის ეკონომიკის განვითარებას,ეკონომიკის დემონოპოლიზაციის განხორციელებასა და ანტიმონოპოლიური რეგულირების აუცილებლობას, საკუთრების დემოკრატიზაციისა და პლურალიზმის დამკვიდრებას, საბაზრო ინფრასტრუქტურის ჩამოყალიბებას, გარე სამყაროსთან თავისუფალი ეკონომიკური ურთიერთობების ფართოდ გაშლასა და ა.შ.

საქართველოში ინსტიტუციური რეფორმების გატარების უპირველეს ამოცანას, ფასების ლიბერალიზაციასთან ერთად, საკუთრების განსახელმწიფოებრივება წარმოადგენდა.[37] იგი მეწარმეობის განვითარების, კონკურენციული გარემოს შექმნის, ინკლუზიური ეკონომიკური ზრდისა და, საბოლოო ანგარიშით, საზოგადოებრივი სექტორის ეკონომიკის განვითარების საწინდარია.

საზოგადოებრივი ფასეულობა აქვს ისეთ ეკონომიკურ ზრდას, რომელიც საზოგადოების მუდმივად მზარდ მოთხოვნილებათა დაკმაყოფილებასა და კეთილდღეობის ამაღლებაში გამოიხატება, ანუ საზოგადოებრივი ფასეულობა აქვს ინკლუზიურ ანუ საყოველთაო ეკონომიკურ ზრდას. მშპ მოსახლეობის ერთ სულზე ყოველთვის როდი ასახავს ინკლუზიურ ეკონომიკურ ზრდას იმ მარტივი მიზეზის გამო, რომ მასში აისახება ეკონომიკის განვითარების მხოლოდ რაოდენობრივი მხარე, წარმოებული საქონლისა და მომსახურების მთლიანი ღირებულება,ხოლო ხარისხობრივი მხარე არ არის გათვალისწინებული,რაც საზოგადოების კეთილდღეობაზე, საბოლოო ანგარიშით, უარყოფითად აისახება.

[37] საქართველოში ინსტიტუციური რეფორმების განხორციელების თავისებურებების შესახებ დეტალური ანალიზი იხილეთ: საქართველოს ეკონომიკა. მთავარი რედაქტორი **ასათიანი რ.** თბილისი, გამომცემლობა „სიახლე“, 2012, გვ. 36–48.

ეკონომიკური ზრდის დაბალი ტემპების პირობებშიც კი, შეიძლება ადგილი ჰქონდეს ქვეყნის ეკონომიკურ განვითარებას. ამის ნათელი მაგალითია გასული საუკუნის 90-იან წლებში საქართველოში განვითარებული მოვლენები.

ეკონომიკურ ზრდას თუ არ ახლავს ეკონომიკური განვითარება ან,პირიქით,ქვეყნის ეკონომიკურ განვითარებაში მომხდარი პოზიტიური ძვრები თუ არ აისახება ეკონომიკურ ზრდაში, მაშინ ორივეს ექნება მოკლევადიანი ეფექტი და ქვეყანა მდგრად ეკონომიკურ განვითარებას ვერასდროს მიაღწევს, რაც უარყოფითად აისახება საზოგადოებრივი სექტორის ეკონომიკის განვითარებაზე.

პოსტკომონისტური ტრანსფორმაციის პირობებში საკუთრების ოპტიმალურ სტრუქტურაზე გადასვლა საკმაოდ ხანგრძლივი პროცესია. ამ გრძელ გზაზე საქართველოში მთავარი იყო შერეული ეკონომიკის ისეთი ტიპის შექმნა, რომელიც არ გამოიწვევდა სოციალურ დაძაბულობას,კონფლიქტებსა და ეკონომიკას გამოიყვანდა ბიუროკრატიული ორგანოების კონტროლიდან,რაც საქართველოში ვერ მოხერხდა ეკონომიკის რეფორმირების პერიოდში.

საქართველოში საკუთრების სხვადასხვა ფორმით განსახელმწიფოებრივების განხორციელებას,მათ შორის,პრივატიზაციის სწორად ჩატარებას ეკონომიკის რეფორმირების ნებისმიერ ეტაპზე სერიოზულად აფერხებდა არაჯანსაღი გარემო,რაც გამოიხატა კორუფციის ფართო მასშტაბებით, ქვეყნის თავისებურებების ნაკლებად გათვალისწინებით, სახელმწიფოებრივი მიდგომის დაბალი დონითა და ა.შ.

საქართველოში მეცნიერულად დასაბუთებული გადაწყვეტილების გარეშე სახელმწიფო ყიდდა ყველაფერს. **„აბა ახლა რა გავყიდოთ“ – ამ პრინციპზე აგებულმა საკუთრების განსახელმწიფოებრივების თავაშვებულმა პროცესმა არ დაინდო სტრატეგიული მნიშვნელობის ბევრი**

ობიექტი. საზოგადოება უძლური აღმოჩნდა შეეჩერებინა ეს პროცესი. ამ მხრივ, სახელმწიფოს პოლიტიკურ ნებას გადამწყვეტი როლი ენიჭებოდა ინსტიტუციური რეფორმების ცივილიზებული ფორმით წარმართვაში.

2012 წლის 26 ივნისის, საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილებით, კანონით ნებადართული გახდა უცხოელი ფიზიკური პირების მიერ საქართველოში ნებისმიერი სახის სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის შეძენა.

მსოფლიოს ქვეყნები ფრთხილად ეკიდებიან სასოფლო-სამეურნეო მიწების უცხოელებისათვის მიყიდვის საკითხს. ეს სფერო უმკაცრესი რეგულაციით გამოირჩევა და რეგულირდება სხვადასხვა ნორმატიული აქტებით.

ნებისმიერ სახელმწიფოში სასოფლო-სამეურნეო მიწის ნაკვეთი სტრატეგიული დანიშნულების ობიექტადაა მიჩნეული და შეზღუდულია მათი გასხვისება უცხოელებზე. მაგალითად, თურქეთში 2,5 ჰა-ს არ უნდა აღემატებოდეს უცხოელზე მიყიდული თურქული მიწა, ლატვიაში მიწა და ტყე მხოლოდ ევროკავშირის წევრ–ქვეყნებზე იყიდება.

ცნობილია, რომ საქართველო მცირემიწიანი ქვეყანაა. ამასთან, მიწა საქართველოში ერთ-ერთი ყველაზე ძვირფასი ეროვნული სიმდიდრეა. ეს უნდა გაითვალისწინოს ყველამ, პირველ რიგში კი „საჭეთმპყრობელებმა“, თუ გვინდა, რომ შევინარჩუნოთ სამშობლო. ამ მხრივ მნიშვნელოვანი როლი უნდა შეასრულოს საზოგადოებრივმა სექტორმა.

უძრავ ქონებაზე, განსაკუთრებით კი სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთებზე, გასხვისებისას უნდა იქნეს გათვალისწინებული შემდეგი მოთხოვნები: არ უნდა შეილახოს ქვეყნის სახელმწიფოებრიობა და უშიშროება, სოციალურ-ეკონომიკური და კულტურული ინტერესები.

სოციალურად ორიენტირებული საბაზრო ეკონომიკის ფორმირებისათვის არ არის მიზანშეწონილი სახელმწიფო საკუთრების სრული ტრანსფორმაცია. ნაწილობრივი პრივატიზაციის,შერეული მეწარმეობის დასავლეთში აპრობირებული ფორმა საქართველოს ეკონომიკის განვითარების და საზოგადოებრივი სექტორის ფუნქციონირების ორგანული ნაწილი უნდა გამხდარიყო.

საქართველოში მეწარმეობის დიდი ტრადიციები, არსებული სოციალურ-ეკონომიკური და პოლიტიკური სიტუაცია საკუთრების განსახელმწიფოებრივებისადმი და,უპირველეს ყოვლისა,პრივატიზაციისადმი საკუთარ (ეროვნულ) მიდგომას მოითხოვს. აღსანიშნავია, რომ საქართველოში ეკონომიკის ინსტიტუციონალიზაციის კანონზომიერი პროცესი თავიდანვე გარკვეული თავისებურებებით წარიმართა, რაც აისახა კიდეც მის ძირითად მიმართულებებში. ამ მეტად რთულ და წინააღმდეგობებით სავსე პროცესზე გარკვეული გავლენა მოახდინა წარსულის მემკვიდრეობამ,რაც გამოიხატა ავტორიტარულ და ბიუროკრატიულ ადმინისტრირებაში, გამოცდილების არარსებობასა და სამართლიანი ეკონომიკური ქცევის დეფიციტში.

ტრანზიტულ პროცესებზე აგებული ეკონომიკის დამახასიათებელმა თავისებურებამ – მოკლევადიან პერიოდში პრივატიზაციის პროცესსა და ბიუჯეტში საგადასახადო შენატანების ზრდას შორის პირდაპირი დამოკიდებულების არარსებობამ (ეს კონცეფცია ცნობილია დასავლურ ეკონომიკურ ლიტერატურაში და იგი განვითარებულია მ. ფრიდმენის, გ. იეროუსა და სხვათა ნაშრომებში)[38] ჩვენს ქვეყანაში ვერ პოვა ასახვა. **საქართველოში იყიდებოდა ქონება, ბიუჯეტი კი**

[38] **Friedman M.** Capitalism and Freedom. Chicago. “Univ. of Chicago Press”, 1992; **Yarrow G.** Privatization on Theory and Practice. Economic Policy. Cambridge, “Cambridge University press”, April, 1986.

ცარიელი იყო. ილია ჭავჭავაძე ხაზგასმით აღნიშნავდა: „ამათ გარეშე ჩვენ „ჩვენ“ არ ვიქნებით და მათი მარადიული დაცვა თითოეული ჩვენგანის წმინდათა წმინდა ვალია.“

საკუთრების განსახელმწიფოებრივების პროცესში გასათვალისწინებელი იყო ეროვნული ფასეულობები, ეროვნულ თვითმყოფადობაზე დაფუძნებული საზოგადოებრივი ინტერესები და ქვეყნის განვითარების თავისებურებები.

უკანასკნელ პერიოდამდე საქართველოს ინსტიტუციური გარემო ძალიან ჰგავდა რუსეთისას. ამჟამად სიტუაცია შეიცვალა. საქართველო ცდილობს გადავიდეს დასავლური ინსტიტუციური მოწყობის მოდელზე.[39] ბუნებრივია,ეს გავლენას ახდენს საზოგადოებრივი სექტორის ეკონომიკის განვითარების დონესა და მიმართულებებზე.

ინსტიტუციური სივრცეების შექმნა მნიშვნელოვნად უწყობს ხელს ქვეყნებს შორის ეკონომიკური თანამშრომლობის გაფართოებასა და გაღრმავებას. თანამედროვე პირობებში აშშ და ევროკავშირი ცდილობენ თავიანთი ინსტიტუციური მოდელი დანერგონ და,აქედან გამომდინარე, შესაბამისი გარემო შექმნან სხვა ქვეყნებში, მათ შორის, ტრანზიტულ ქვეყნებშიც, რათა ამით ხელი შეუწყონ ამ ქვეყნებში ღია ეკონომიკის რეალურად ჩამოყალიბებასა და ინტეგრაციული პროცესების განვითარებას. დღეს ევროკავშირის ბაზარი ყველაზე ორგანიზებულია მსოფლიოში. ამიტომ საქართველოს ინსტიტუციური გარემოც ევროკავშირზეა ორიენტირებული.

თანამედროვე პირობებში ქვეყნის ინსტიტუციური განვითარება, როგორც დემოკრატიზაციისა და ეკონომიკური საქმიანობის წესების, ეკონომიკური წესრიგის ჩამოყალი-

[39] **ასათიანი რ.** საქართველოს ეკონომიკა. ახალი ეპოქა. თბილისი, გამომცემლობა „სიახლე“,2009,გვ. 104.

ბების გამოხატულება, ეყრდნობა **„ინსტიტუციური მიბმის“ კონცეფციას** და აქცენტს სტაბილური და ქმედითი ინსტიტუტების მოდელზე აკეთებს. ამ პროცესის ორიენტირად საქართველოს ხელისუფლებამ ევროკავშირის კანონმდებლობა აირჩია, რაც 1996 წელს დაფიქსირდა პარტნიორობისა და თანამშრომლობის ხელშეკრულებაში და საბოლოოდ დადასტურდა 2004 წელს ევროპის სამეზობლო პოლიტიკასთან საქართველოს მიერთებით.

ჯერ კიდევ 1997 წლის სექტემბერში საქართველოს პარლამენტმა მიიღო დადგენილება, რომლის თანახმადაც „საქართველოს პარლამენტის მიერ 1998 წლის პირველი სექტემბრიდან მიღებული ყველა კანონი და ნორმატიული აქტი უნდა შეესაბამებოდეს ევროკავშირის მიერ დაწესებულ სტანდარტებსა და წესებს.“ ამ დადგენილების ამოქმედება შეიძლება ჩაითვალოს საქართველოს საკანონმდებლო სისტემის ევროკავშირის საკანონმდებლო სისტემასთან დაახლოების მიმართულებით გადადგმულ მნიშვნელოვან ნაბიჯად.[40]

ამჟამად საქართველოს ინსტიტუციური განვითარების გარკვეულ ჩარჩოებში მოქცევის პროცესი ახლოსაა **გერშენკრონის კონვერგენციის თეორიასთან**. „ლოგიკურია, ისეთმა ქვეყანამ, როგორიც საქართველოა, ინსტიტუციური განვითარება ნულიდან კი არ უნდა დაიწყოს, არამედ ევროკავშირის გამოცდილება გამოიყენოს... ევროკავშირი ქვეყნების ერთ-ერთი ყველაზე განვითარებული ნაკრებია მსოფლიოში, რომელსაც მაღალი ეკონომიკური და სოციალური მწარმოებლურობა ახასიათებს.“[41] მართლაც, განვითარებული

[40] მნიშვნელოვანი ეკონომიკური მოვლენები. „საქართველოს ეკონომიკური ტენდენციები“. კვარტალური მიმოხილვა. GEPLAC, თებერვალი, 2008, გვ. 12.

[41] **სამსონი ი.** განვითარების გზების ძიება: საქართველოს ამოცანები. „საქართველოს ეკონომიკური ტენდენციები“. კვარტალური მიმოხილვა. GEPLAC, მარტი, 2006, გვ 89.

ქვეყნების ინოვაციების იმიტირება,რომელიც თავისთავად არ იძლევა ინსტიტუციური რეფორმების განხორციელების საშუალებას, ხელს შეუწყობს საქართველოს ეკონომიკას ნაკლები დანახარჯებით მაღალი უკუგების მიღებასა და ბიზნესგარემოს გაჯანსაღებას. ამასთან, ინსტიტუციური განვითარება ურთულესი პროცესია,რომელსაც ისეთი სპეციალური საკომუნიკაციო არხების მობილიზება სჭირდება როგორიც **სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციებია**. ისინი „არასამეწარმეო იურიდიული პირის" კატეგორიას მიეკუთვნებიან და საქართველოში არსებული კანონმდებლობით რიგი საგადასახადო შეღავათებით სარგებლობენ. მათ მიერ კომერციული საქმიანობიდან მიღებული მოგება საერთო წესით იბეგრება,ხოლო არაკომერციული საქმიანობიდან მიღებული ფულადი სახსრები (გრანტები,შემოწირულობები და ა.შ.) მოგების გადასახადისგან თავისუფალია. ეს ორგანიზაციები,ასევე,არ იბეგრება ქონების გადასახადით. მიუხედავად იმისა,რომ კანონმდებლობა სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციებს არავითარ დაბრკოლებას არ უქმნის,არც განსაკუთრებულ დახმარებას სთავაზობს „მესამე სექტორს" ფინანსური დამოუკიდებლობის მისაღწევად.

სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციები მეტწილად უცხოელი დონორების დახმარებაზე არიან დამოკიდებულნი – დაფინანსების 95%-ს მათგან იღებენ. სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციებმა – არასამთავრობო და საქველმოქმედო ორგანიზაციებმა ფართოდ მოიკიდა ფეხი საქართველოში.

საქართველოში დაახლოებით 10 ათასზე მეტი რეგისტრირებული **არასამთავრობო ორგანიზაციაა,** თუმცა, რეალურად მათი გაცილებით მცირე რაოდენობა ფუნქციონირებს. ეს ორგანიზაციებია: „საქართველოს ახალგაზრდა

იურისტთა ასოციაცია“ (საია),„საერთაშორისო გამჭვირვალება–საქართველო“,„ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია“, „ღია საზოგადოება – საქართველო“,„მედიის განვითარების ფონდი“, „თავისუფლების ინსტიტუტი“, USAID, „National Endowment for Democrasy“ და სხვ.

არასამთავრობო ორგანიზაციების დიდი ნაწილი თბილისშია კონცენტრირებული. ისინი გაცილებით აქტიურია საქართველოს დედაქალაქში, ვიდრე რეგიონებში არსებული ორგანიზაციები. კანონმდებლობა არასამთავრობო ორგანიზაციებისთვის ფინანსური რესურსების ხელმისაწვდომობას არ ზღუდავს,თუმცა,არც საქველმოქმედო შემოწირულობების წახალისებას ახდენს.

არასამთავრობო ორგანიზაციების რეკომენდაციები პოლიტიკურ გადაწყვეტილებებზე ნაკლებად ახდენს გავლენას. ხელისუფლებასა და არასამთავრობო ორგანიზაციებს შორის დიალოგი ინსტიტუციონალიზებული არ არის. საკმაოდ ზედაპირული და არამდგრადია საზოგადოების ფართო ფენების ჩართულობა ამ მხრივ,რაც ხელისუფლების ანტიკორუფციული პოლიტიკის ერთ-ერთი სუსტი რგოლია. ყოველივე ეს ნეგატიურ გავლენას ახდენს საზოგადოებრივი სექტორის ეკონომიკის ფუნქციონირებაზე და, გარკვეულწილად, ხელს უშლის ეკონომიკის სოციალური ორიენტაციის მიმართულებით განვითარებას.

საქართველოში 62 რეგისტრირებული **საქველმოქმედო ორგანიზაცია, საზოგადოება, ასოციაცია და ფონდია,** რომელთაც აქვთ უფლება დაუბეგრავი შემოწირულობები მიიღონ. **ესენია: „წითელი ჯვრის საერთაშორისო კომიტეტი“** – მოქმედებს მთელ მსოფლიოში,ნეიტრალიტეტისა და მიუკერძოებლობის საფუძველზე უზრუნველყოფს საერთაშორისო და შიდა კონფლიქტებით დაზარალებულთა სიცოცხლის დაცვას; **„ბერი ანდრიას სახელობის საქველ-**

მოქმედო ფონდი“ – ეხმარება სიმსივნით დაავადებულ ბავშვებსა და მათ ოჯახებს ყველა იმ საქმეში, რაც მათ მკურნალობას,რეაბილიტაციასა და სიცოცხლის ხარისხის გაუმჯობესებას ეხება; **„ქართული გალობა“** – ფონდის საქმიანობის მიზანია, ტრადიციული ქართული სიმღერა-გალობისა და ხალხური შემოქმედების განვითარებისათვის ხელშეწყობა და პოპულარიზაცია საქართველოში და მის ფარგლებს გარეთ; **„იმედის ხელი“** – ემსახურება ონკოლოგიური და სხვა მძიმე დაავადებების მქონე ახალგაზრდა ადამიანებს, რომლებსაც ესაჭიროებათ ძვირადღირებული სამედიცინო მკურნალობა და ოპერაციები; **„აი ჯენერეი-შენი“** – საგანმანათლებლო საქველმოქმედო ორგანიზაცია; **დიაბეტიან ბავშვთა დაცვის ასოციაცია**; საერთაშორისო საქველმოქმედო ფონდი - **„სიკეთის კვალი“** – საგანმანათლებლო პროექტების განხორციელება,დახმარების გაწევა სოციალურად დაუცველი მრავალშვილიანი და მარტოხელა დედებისათვის, ლეიკემიით და სიმსივნით დაავადებული ბავშვებისათვის და ა.შ.; **„ფესვები“** – არასამთავრობო საქველმოქმედო საზოგადოება; **„ქართუ“** – საერთაშორისო საქველმოქმედო ფონდი; **„არძა“** – საზოგადოებისათვის სასარგებლო საქმიანობის განხორციელება, რომელიც ორიენტირებული იქნება საზოგადოების სხვადასხვა ჯგუფისათვის გრძელვადიანი შედეგების მოტანასა და ჯანსაღი გარემოს შექმნაზე. ფონდი „არძას“ შინა პრიორიტეტულ სფეროებს წარმოადგენს: გარემოს დაცვა, კულტურა, განათლება,სოციალური დაცვა; **„სოციალური პარტნიორობა“** – ფონდი ეხმარება მრავალშვილიან ოჯახებს, მზრუნველობამოკლებულ ბავშვებსა და საწოლს მიჯაჭვულ ხანდაზმულებს; **„იმედის სხივი“** – მკურნალობს ლეიკემიით დაავადებულებს; **„მომავლის გზა“** – ფონდის მიზანია გაუსაძლისი სიღარიბის დაძლევა და გადაუდებელი დახ-

მარების გაწევა; **„საქართველოს წითელი ჯვრის საზოგადოება“;** საქველმოქმედო ორგანიზაცია **„ქველი“** – ეხმარება სოციალურად დაუცველ მრავალშვილიან ოჯახებს; ნოე ჟორდანიას სახელობის **„საერთაშორისო ინიციატივებისა და საჯარო დიპლომატიის განვითარების ფონდი“; „გზა მომავლისკენ“** – ითვალისწინებს ბავშვების ცხოვრების გაუმჯობესებას; **„საქართველოს სოს–ბავშვთა სოფელი“** – ფონდის მიზანია მიტოვების რისკის წინაშე მყოფ და მშობელთა მზრუნველობას მოკლებულ ბავშვთა უფლებების დაცვა, სოციალურად დაუცველი ბავშვების დახმარება, მათი საზოგადოებაში ინტეგრაციისა და სოციალიზაციის მიზნით; **„ქომაგი“** – საქართველოს შრომის ვეტერანთა და დაუსაქმებელ სპეციალისტთა საქველმოქმედო კავშირი; **„ლაზარე“** – საქართველოს საპატრიარქოს საქველმოქმედო ფონდი; **„პირველი ნაბიჯი – საქართველო“** – სოციალური მომსახურების სააგენტო ადმინისტრირებას უწევს რამდენიმე ათეულ სოციალურ და ჯანმრთელობის დაცვის სახელმწიფო პროგრამას; **„იავნანა“** – პაატა ბურჭულაძის საერთაშორისო საქველმოქმედო ფონდი; **„კათარზისი“** – საერთაშორისო ჰუმანიტარული კავშირი და ა.შ.

განათლება და მეცნიერება. თანამედროვე პირობებში საქართველოში საზოგადოებრივი სექტორის ეკონომიკის განვითარება სრულიად ახალ ამპლუაში აყენებს **განათლების** ფენომენს,მთელი საგანმანათლებლო სისტემის უახლეს მოთხოვნათა დონეზე ორგანიზებას, რომლის გარეშე ქვეყანა თავს ვერ დააღწევს დაბალკონკურენტუნარიანი სამუშაო ძალის პრობლემას.

საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისი განათლებისა და თანამედროვე ტექნოლოგიების დამკვიდრება, საინფორმაციო მომსახურებისა და კომპიუტერული ქსელების,

ტელეკომუნიკაციისა და სატრანსპორტო სისტემების ფართოდ განვითარება დღეს ნებისმიერი ქვეყნისათვის უნივერსალური პოლიტიკაა,ხოლო ცოდნაზე დაფუძნებული ეკონომიკა – მომავლის ეკონომიკა.

ეს პრინციპები მესამე ათასწლეულის დასაწყისში მნიშვნელოვნად განსაზღვრავს ახალ მსოფლიო წესრიგსა და „ეროვნული მუნდირის“ ღირსებას,აქედან გამომდინარე, საზოგადოებრივი სექტორის ეკონომიკის განვითარების დონესა და ტემპებს,რაც,თავის მხრივ,ეკონომიკის ეფექტიანად ფუნქციონირების საფუძველია.

ახალ ეკონომიკურ სისტემაზე გადასვლამ,რასაც მოჰყვა ბიუჯეტის მწვავე დეფიციტი და მეცნიერებისადმი საბჭოთადროინდელი გარანტირებული შეკვეთების სისტემის გაუქმება, მნიშვნელოვანი დარტყმა მიაყენა სამეცნიერო დაწესებულებების დაფინანსებას.

განათლებისა და მეცნიერების პრობლემები ერთ-ერთი მწვავეა დღეს საქართველოში ესოდენ გართულებული სოციალურ-ეკონომიკური და პოლიტიკური პროცესების ფონზე.

საზოგადოებაში სამართლიანობის პრინციპი, მრავალ სხვა საკითხთან ერთად, უკავშირდება საზოგადოებრივი დოვლათის ყველასათვის ხელმისაწვდომობის საკითხს. საზოგადოებრივი დოვლათის სამართლიანი განაწილება **ეგალიტარიზმის** სახელწოდებითაა ცნობილი. იგი საზოგადოებრივი სექტორის ეკონომიკის კვლევის სფერო და მისი ერთ-ერთი პრინციპია. ამ თვალსაზრისით,განსაკუთრებულ ყურადღებას იმსახურებს განათლების სისტემა და მასთან დაკავშირებული პრობლემები.

რა არის განათლებაში ისეთი, რომ სახელმწიფო ახდენს მის სუბსიდირებას? ამასთან, დაწყებითი და საშუალო განათლება არის არა მხოლოდ უფასო,არამედ სავალდებულოც.

ასეთი სისტემა, რომელიც ბევრ ქვეყანაშია, მიუხედავად იმისა,რომ ეკონომიკური ეფექტიანობის თვალსაზრისით არ არის მიმზიდველი,მასში ისეთი რამ არის განსაკუთრებული, რომ მთავრობა დაინტერესებულია მისი წარმოებით.

ბერძენი ისტორიკოსის პლუტარქეს მორალის თანახმად, „პატიოსნებისა და კეთილშობილების ფესვიცა და ნაყოფიც კარგ განათლებაშია“.

საქართველო რომ უძველესი კულტურის ქვეყანაა,ამას ისიც ადასტურებს, რომ განათლებისა და მეცნიერების ტრადიციები უხსოვარი დროიდან იღებს სათავეს. ამაზე მეტყველებს ახ. წ. III-IV საუკუნეებიდან ქართული კულტურის უმნიშვნელოვანესი სამეცნიერო-პედაგოგიური და საგანმანათლებლო კერების – სკოლების, სამონასტრო ცენტრებისა და აკადემიების არსებობა საქართველოს სხვადასხვა კუთხესა და სხვადასხვა დროში.

განათლებისა და მეცნიერების განვითარებაში განვლილი პერიოდი საქართველოში დაყოფილია შემდეგ ეტაპებად: I ეტაპი – უძველესი პერიოდიდან XIX საუკუნის დასაწყისამდე; II ეტაპი – XIX საუკუნიდან XX საუკუნის 20-იან წლებამდე და III ეტაპი – XX საუკუნის 20-იანი წლებიდან 90-იან წლებამდე.[42]

90-იანი წლებიდან საქართველოში განხორციელებულმა სისტემურმა რეფორმებმა და ეკონომიკის კონვერსიამ უდიდესი გავლენა მოახდინა ქვეყნის განათლებისა და მეცნიერების განვითარებაზე. განსაკუთრებით დიდი ცვლილებები მოხდა განათლების სისტემაში 2004 წლიდან,რამაც პოზიტიურთან ერთად,ნეგატიური პროცესებიც წარმოქმნა.

ამჟამად საქართველოს განათლების სისტემაში მოქმედებს როგორც სახელმწიფო (საჯარო),ისე კერძო სამარ-

[42] საქართველოს ეკონომიკა. მთავარი რედაქტორი **ასათიანი რ.** თბილისი, გამომცემლობა „სიახლე“, 2012, გვ. 203.

თლის იურიდიული პირების სტატუსის მქონე ზოგადსაგანმანათლებლო სკოლები და უმაღლესი სასწავლებლები.

საქართველოს განათლების სისტემა იყოფა შემდეგ ნაწილებად: სკოლამდელი განათლება, საშუალო განათლება, რომელიც მოიცავს დაწყებითს (1-4 და 5-6 კლ.), არასრულ საშუალოს (7-9 კლ.),სრულ საშუალოს (10-12კლ.), პროფესიულ განათლებასა და უმაღლეს განათლებას.

საქართველოში საჯარო (საერო) სკოლების ფართო ქსელის არსებობა საზოგადოებრივი დოვლათის სამართლიანი განაწილების – ეგალიტარიზმის ნათელი მაგალითია. დაწყებითი და საშუალო განათლების ყველასთვის ხელმისაწვდომობა სოციალური მობილურობის მნიშვნელოვანი გამოხატულებაა.

თანამედროვე პირობებში სახელმწიფო უდიდეს როლს ასრულებს ადამიანისეული კაპიტალის ფორმირებაში. საჯარო სკოლებს კონკურენციას კერძო სკოლები უწევენ, რაც დემოკრატიული პროცესების შემადგენელი ნაწილია და სასკოლო სისტემის განვითარებასაც უწყობს ხელს, ხოლო საჯარო და კერძო სკოლებს შორის წარმოშობილი წინააღმდეგობის გადაჭრა შესაძლებელია მაკროეკონომიკური რეგულირებით,რაც სახელმწიფოს პრეროგატივაა. სახელმწიფომ,ერთი მხრივ,მატერიალურ-ტექნიკური ბაზისა და სწავლების ხარისხის სრულყოფით დიდი როლი უნდა შეასრულოს საჯარო სკოლების განვითარებაში, მეორე მხრივ კი,აუცილებელია დაიცვას კონკურენცია,რაც ძალზე მნიშვლეოვანია ახალი მსოფლიო წესრიგის მოთხოვნათა გათვალისწინებისათვის.[43]

საქართველოში გაუქმდა ასპირანტურა და სამეც-

[43] http://economylit.online/obshie-rabotyi_719/nestabilnost-funktsionirovanyaryinochnoy.html

ნიერო ხარისხების მინიჭების ორსაფეხურიანი სისტემა, შემოღებულ იქნა მაგისტრისა და აკადემიური დოქტორის ხარისხები. შეიქმნა რესურს-ცენტრები,გაუქმდა უმაღლეს სასწავლებლებში მისაღები გამოცდები და შემოღებულ იქნა ერთიანი ეროვნული გამოცდები,შეიცვალა უმაღლესი განათლების სისტემის საკანონმდებლო რეგულაცია. 2005 წელს საქართველო შეუერთდა ბოლონიის პროცესს.

საქართველოს ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების რაოდენობისა და მათში მოსწავლეთა რიცხოვნობის შესახებ ნათელ წარმოდგენას იძლევა ცხრილი №3.3.

№3.3. ცხრილი

საქართველოში ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების რაოდენობა და მათში მოსწავლეთა რიცხოვნობა[44] (სასწავლო წლის დასაწყისისთვის)

	2003/2004	2009/2010	2011/2012	2012/2013	2013/2014	2014/2015	2015/2016
სკოლების რაოდენობა, სულ	3331	2430	2317	2320	2328	2331	2331
საჯარო სკოლები	3175	2130	2084	2084	2084	2085	2085
კერძო სკოლები	156	300	233	236	244	246	246
მოსწავლეთა რაოდენობა (ათახი მოსწ.), სულ	672	595	568	559	553	554	554
საჯარო სკოლებში	655	542	517	507	502	500	499
კერძო სკოლებში	17	53	52	53	51	54	55

როგორც №3 ცხრილიდან ჩანს, საქართველოს ზოგადსაგანმანათლებლო სფეროში 2016 წელს, 2003 წელთან შედარებით, სულ სკოლების რაოდენობა შემცირდა 1000 ერთეულით, აქედან, საჯარო სკოლების რაოდენობა 1090-ით,ხოლო კერძო სკოლების რაოდენობა გაიზარდა 90 ერ-

[44] საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მასალები.

თეულით. მოსწავლეთა მთლიანი რაოდენობა აღნიშნულ პერიოდში 118 ათასით შემცირდა, საჯარო სკოლებში 155 ათასით, ხოლო კერძო სკოლებში გაიზარდა 38 ათასით.

ამრიგად, ახალ ეპოქაში საქართველოს საჯარო სკოლები და მათი კონტინგენტი ხასიათდება შემცირების ტენდენციით, ხოლო კერძო სკოლები და მათი კონტინგენტი – ზრდის ტენდენციით.

საქართველოს უმაღლესი განათლების მდგომარეობას რაოდენობრივ გამოხატულებაში 2003-2016 წლებში ასახავს ცხრილი №3.4.

№3.4. ცხრილი

საქართველოს უმაღლესი სასწავლებლების მახასიათებელი ინდიკატორები[45]

(სასწავლო წლის დასაწყისისათვის)

	2003/2004	2009/2010	2011/2012	2012/2013	2013/2014	2014/2015	2015/2016
უმაღლესი სასწავლებლები, სულ	176	129	52	57	66	73	73
სტუდენტები, სულ	153254	102710	95110	109533	117710	124223	132944
აკადემიური პერსონალი, სულ	2218	6606	6927	6287	8276	8389	8083
სახელმწიფო უმაღლესი სასწავლებლები	26	21	19	19	20	21	21
მათში სტუდენტები	123866	74056	70922	80009	83250	86247	90452
კერძო უმაღლესი სასწავლებლები	150	108	33	38	46	52	52
მათში სტუდენტები	29388	28654	24188	29524	34460	37976	42492

როგორც №4 ცხრილიდან ჩანს, საქართველოში 2016 წლის მონაცემებით, 2003 წელთან შედარებით, სახელმწიფო უმაღლესი სასწავლებლების რაოდენობა შემცირდა 5 ერთეულით, ხოლო სტუდენტთა რიცხოვნობა – 33414-ით.

[45] საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მასალები.

კერძო უმაღლესი სასწავლებლების რაოდენობა შემცირდა 108 ერთეულით,ხოლო სტუდენტთა რიცხოვნობა გაიზარდა 13104 სტუდენტით.

განათლების წილი მთლიან შიდა პროდუქტში 2014 წელს შეადგენდა 1,9%-ს, ხოლო 2015 წელს – 2,6%-ს. რაც შეეხება განათლების ხარჯების წილს სახელმწიფო ბიუჯეტში, 2014 წელს 7,5%-ს შეადგენდა, ხოლო 2015 წელს – 10,2%-ს.

2015 წელს განათლების სფეროს დაფინანსება 833914,1 ათას ლარს შეადგენდა, აქედან, უმაღლესი განათლების – 132736,7 ათას ლარს, ხოლო მეცნიერებისა და სამეცნიერო კვლევების – 26732,6 ათას ლარს.

2015 წლის მონაცემებით, მეცნიერების წილი მთლიან შიდა პროდუქტში 0,3%-ს შეადგენს და თითქმის 6-ჯერ ჩამორჩება საშუალო მსოფლიო მაჩვენებელს, ხოლო მეცნიერების განვითარებისათვის გამოყოფილი იყო საბიუჯეტო სახსრების 1,14%, რაც (თავდაცვის სფეროს ხაზით განხორციელებული კვლევების ჩათვლით) 92,7 მლნ ლარს შეადგენდა.

საგანგაშო მდგომარეობაა მოსახლეობის ერთ სულზე მეცნიერებაზე გაღებული ხარჯებით მსყიდველობითუნარიანობის პარიტეტით. იგი საშუალო მსოფლიო მაჩვენებლის 10%-ზე ნაკლებია და 1,16 დოლარს შეადგენს.[46]

საქართველოში არასწორად გატარებული რეფორმების გამო დღეს ქვეყანა ეკონომიკურად მძიმე მდგომარეობაშია, მაგრამ ისიც გასათვალისწინებელია,რომ მაღალი კულტურის მქონე ეს ძირძველი ქვეყანა განთქმულია მსოფლიოში თავისი მათემატიკური, ფიზიოლოგიური, ფსიქოლოგიური სკოლებით, ამიტომ განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს მათ განვითარებას.

---

[46] საქართველოს ეკონომიკა. მთავარი რედაქტორი **ასათიანი რ.** თბილისი,გამომცემლობა „სიახლე“,2012,გვ. 211.

ჯანმრთელობის დაცვა. საქართველოში ეკონომიკის კონვერსიამ და სისტემურმა ტრანსფორმაციამ ჯანმრთელობის დაცვის სისტემის ტოტალური კომერციალიზაცია გამოიწვია. დამოუკიდებლობის აღდგენის შემდეგ,გარკვეული დროის განმავლობაში არ მოქმედებდა ჯანდაცვის სახელმწიფო დაზღვევის სისტემა. სახელმწიფო ფინანსური რესურსების ასიგნებებში ჯანდაცვა პრიორიტეტულ მიმართულებად არ ითვლებოდა.[47] თუმცა, ბოლო წლებში გატარებული რეფორმების საფუძველზე გაიზარდა საზოგადოებრივ ჯანდაცვაზე გაწეული საბიუჯეტო ხარჯები.

საქართველოში 2012 წლის არჩევნების შემდე, გახანგრძლივებული კრიზისით შეჭირვებულ და დაავადებებით დამძიმებულ მოსახლეობას მხსნელად ჯანდაცვის სისტემაში საყოველთაო დაზღვევა მოევლინა. სამედიცინო მომსახურების რეალური ხელმისაწვდომობის უზრუნველსაყოფად, ხარისხიანი ჯანდაცვისა და სოციალური უზრუნველყოფის პრიორიტეტად გამოცხადების შედეგად,საყოველთაო ჯანმრთელობის დაცვის სახელმწიფო პროგრამის მიზანი ჯანმრთელობის დაზღვევის არმქონე საქროველოს მოსახლეობის ფინანსური დახმარება გახდა. 2015 წელს სახელმწიფო ბიუჯეტიდან,აღნიშნული მიმართულებით,29,3% დაიხარჯა, რამაც მშპ-ში აქამდე არნახულ დონეს – 9,2%-ს მიაღწია.[48]

2014 წელს საქართველოსა და მსოფლიოს ზოგიერთ ქვეყანაში მოსახლეობის ერთ სულზე საზოგადოებრივი ჯანმრთელობის დაცვის ხარჯებზე (მსყიდველობითუნარიანობის პარიტეტის მიხედვით) წარმოდგენას იძლევა №5 ცხრილი.

---

[47] **არჩვაძე ი.** ჯანმრთელობის დაცვა. „საქართველოს ეკონომიკა." მთავარი რედაქტორი **ასათიანი რ.** თბილისი, გამომცემლობა „სიახლე",2012,გვ. 213.

[48] www.ssa.gov.ge; www.mof.gov.ge

№5 ცხრილი

საზოგადოებრივი ჯანდაცვის ხარჯები მოსახლეობის ერთ სულზე 2014 წელს საქართველოსა და მსოფლიოს რამდენიმე ქვეყნის მიხედვით[49] (მსყიდველობითუნარიანობის პარიტეტით)

	აშშ დოლარი	თანაფარდობა საქართველოსთან (საქართველო=1)
საქართველო	170	1
აშშ	4160	24,5
შვეიცარია	4001	23,5
გერმანია	3691	21,7
საფრანგეთი	3317	19,5
იაპონია	2997	17,6
გაერთიანებული სამეფო	2762	16,2
იტალია	2481	14,6
საბერძნეთი	1617	9,5
ისრაელი	1377	8,1
ესტონეთი	1139	6,7
თურქეთი	756	4,4

საქართველოს ჯანდაცვაში მიმდინარე რეფორმის შედეგად,2010-2015 წლებში,ინფლაციის გათვალისწინებით, თითქმის 2-ჯერ გაიზარდა ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალური დახმარების მოლიანი ბრუნვა,ხოლო აღნიშნულ სფეროში დასაქმებულთა რაოდენობა 56583-დან 61249-მდე

49 შედგენილია საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურისა და ფინანსთა სამინისტროს, აგრეთვე ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაციის (OECD) მონაცემების საფუძველზე.

და დასაქმებულთა საშუალო თვიური ანაზღაურება 435,0-დან 836,5 ლარამდე გაიზარდა.[50]

საზოგადოებრივი ჯანდაცვის მაღალი პასუხისმგებლობის საუკეთესო მაგალითია დიდი ბრიტანეთი, სადაც ჯანდაცვის ობიექტების 95% სახელმწიფო საკუთრებაშია და ჯანდაცვის ბიუჯეტის 90% საგადასახადო შემოსულობებით იფარება.[51]

მდგრადი სადაზღვევო სისტემის ჩამოყალიბება სახელმწიფოს ინსტიტუციური განვითარების მნიშვნელოვანი ინდიკატორია. ბოლო წლებში საქართველოში განხორციელებულმა რეფორმებმა პოზიტიური როლი შეასრულეს სადაზღვევო სექტორის განვითარებაში. განსაკუთრებით ამ მხრივ დიდია სახელმწიფოს წვლილი სადაზღვევო პროგრამით განსაზღვრულ სერვისებში.

2013 წლის მარტიდან საქართველოში ამოქმედებულმა საყოველთაო ჯანდაცვის პროგრამამ მნიშვნელოვნად გაზარდა ინკლიზიურობის ხარისხი სამედიცინო სერვისებით სარგებლობის უფლების მოპოვებაში. სამედიცინო დაზღვევის არმქონე 2 მლნ-ზე მეტ მოქალაქეს მიეცა სახელმწიფო ჯანდაცვის პროგრამით განსაზღვრული სამედიცინო სერვისებით სარგებლობის უფლება. 2014 წელს,წინა წელთან შედარებით,თითქმის გაორმაგდა ჯანდაცვის სექტორისთვის გამოყოფილი სახელმწიფო ასიგნებების მოცულობა და 365 მლნ ლარიდან 634 მლნ ლარამდე გაიზარდა.

ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციის რეკომენდაციების მიხედვით, ჯანდაცვაზე სახელმწიფო ხარჯების წილი მთლიან სახელმწიფო ხარჯებში საშუალოდ უნდა შეადგენდეს 15%-ს. მიუხედავად საქართველოში ჯანდაცვაზე სახელმწიფო ხარჯების ზრდისა, საქართველო ამ

[50] www.geostat.ge
[51] http://mda-cro.com/rus/news/51.html

მხრივ, ჩამორჩება არა მხოლოდ ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციის მიერ დადგენილ საერთაშორისო სტანდარტებს, არამედ ბევრი დაბალშემოსავლიანი ქვეყნის მაჩვენებელსაც.

2015 წლის მონაცემებით, საქართველოში სახელმწიფო ბიუჯეტიდან ჯანდაცვაზე გაღებული ხარჯების წილი 12,8%-ია.[52]

ამ მხრივ მსოფლიოს ქვეყნებს შორის საქართველო ბოლოდან მესამე ადგილზეა, უსწრებს მხოლოდ გვინეას (11,0%) და მიანმას (11,7%),ხოლო მოსახლეობის ერთ სულზე ჯანდაცვაზე გაწეული ხარჯების მოცულობამ 2016 წელს 191 დოლარი შეადგინა და საშუალო მსოფლიო დონეს 4,2-ჯერ ჩამორჩება.*

მსოფლიო ჯანდაცვის ორგანიზაციისა და საქართველოს ფინანსთა სამინისტროს მონაცემებით, 170 ქვეყნიდან ჯანდაცვის მთლიან ხარჯებში საზოგადოებრივ ჯანდაცვაზე გაღებული ხარჯების წილით საქართველო 149-152 ადგილებს იყოფს იემენთან,ტოგოსთან და ერიტრიასთან ერთად.

ამრიგად,საქართველოს ჯანდაცვის სისტემა ურთულესი პრობლემების წინაშეა და თუ საზოგადოებრივმა სექტორმა არ იზრუნა მასზე,ბაზარი ვერ დაარეგულირებს ამ სფეროში არსებულ პრობლემებს. ამასთან, მნიშვნელოვან როლს სახელმწიფო საყოველთაო დაზღვევასთან ერთად, დღეს საქართველოში ასრულებს სახელმწიფოს მხარდაჭერით არსებული კერძო დაზღვევა,რომელიც წარმოდგენილია 14 სადაზღვევო კომპანიით.**

---

[52] საქართველოს ფინანსთა სამინისტროსა და საქართველოს ეროვნული სტატისტიკური სამსახურის მონაცემები.

* აშშ,რომელიც შეადგენს მსოფლიო მოსახლეობის 8%-ს,მასზე მოდის ავადობის გლობალური ტვირთის 10%, ხოლო ხარჯავს მსოფლიოში ჯანდაცვაზე გაწეული მთლიანი ხარჯების 50%-ს.

** საქართველოს სადაზღვევო კომპანიებია: „ალდაგი“; „იმედი“; „ჯი პი აი ჰოლდინგი“; „პსპ დაზღვევა“; „ტაო“; „აისი ჯგუფი“;

საზოგადოებრივი სექტორის ეკონომიკის კვლევის არეალშია აგრეთვე **საზოგადოებრივი ტრანსპორტი**.

საქართველოში შემუშავებულია თბილისის მდგრადი ურბანული ტრანსპორტის სტრატეგია (SUT),[53] რომელიც ინტეგრირებული მიდგომის საფუძველზე განსაზღვრავს იმ პრიორიტეტებს,რომლებიც განხორციელდება ეტაპობრივად 2015-2030 წლებში. ეტაპები დაყოფილია მოკლევადიან (2015-2017), საშუალოვადიან (2018-2021) და გრძელვადიან (2021-2030) ფაზებად.

სტრატეგია ითვალისწინებს ეკოლოგიურად სუფთა სატრანსპორტო ინოვაციურ, უსაფრთხო და ფინანსურად მდგრად სისტემას, რაც ხელს შეუწყობს ეკონომიკურ განვითარებას. იგი შედგება სამი ძირითადი მიმართულებისაგან: 1. ჯანსაღი საცხოვრებელი გარემოს ჩამოყალიბება (მდგრად ურბანულ ტრანსპორტზე ფოკუსირება); 2. თბილისის,როგორც ეკონომიკური ცენტრის,ფუნქციის ზრდა; 3. თბილისის,როგორც კულტურულ,ტურისტულ და ახალგაზრდულ ჰაბად ჩამოყალიბება.

მდგრად ურბანულ მოდელზე გადასვლა მოითხოვს საზოგადოებრივი ტრანსპორტის მომსახურების გაზრდას, ავტობუსებისა და მიკროავტობუსების სამარშრუტო ქსელის რეორგანიზაციას, ეკოლოგიურად სუფთა სატრანსპორტო საშუალებებისა და ტექნოლოგიების საყოველთაო ხელმისაწვდომობას, საცობების შემცირებას, ფინანსურ მდგრადობასა და ა.შ. საბოლოოდ, სტრატეგიის მიზანია ეფექტიანი, უნივერსალური, უსაფრთხო, ურბანული მობი-

„ირაო“ (საერთაშორისო); „არდი ჯგუფი“; „ალფა“; „უნისონი“; „ქართუ“; „სტანდარტ დაზღვევა საქართველო“; „კოპენბური“; სადაზღვევო კომპანია „კამარა“ (საერთაშორისო).

[53] თბილისის მდგრადი ურბანული ტრანსპორტის სტრატეგია (სამსახურებრივი სარგებლობისათვის). თბილისი, 2015, დეკემბერი.

ლობის სისტემის შექმნა და ძირითადი სატრანსპორტო ქსელის გაფართოება.

საგზაო უსაფრთხოება ითვალისწინებს არასამთავრობო ორგანიზაციების სავარაუდო ჩართულობას,ტაქსებისთვის საკანონმდებლო ბაზის შექმნას, კანონის მკაცრად დაცვასა და საზოგადოების ცნობიერების ამაღლებას.

X.4. ახალი ტიპის ფინანსური სისტემის ფორმირების თავისებურებები და გავლენა საზოგადოებრივი სექტორის ეკონომიკის განვითარებაზე

ფინანსური სისტემა, როგორც ფინანსური ურთიერთობებისა და მათი მარეგულირებელი ინსტიტუტების ერთობლიობა, მნიშვნელოვნად განსაზღვრავს ქვეყანაში მაკროეკონომიკური სტაბილიზაციის ხარისხს. მისი მეშვეობით სახელმწიფო წყვეტს ისეთ სოციალურ-ეკონომიკურ პრობლემებს, რომელთა წინაშე უძლურია საბაზრო მექანიზმი. ამიტომ საქართველოს ეკონომიკური რეფორმების პროგრამაში ერთ-ერთი წამყვანი ადგილი დაფინანსების მთელი მექანიზმის ფაქტობრივად თავიდან შექმნამ დაიკავა. თავის მხრივ, იგი მოითხოვდა ფინანსური რესურსების როგორც მიკრო-, ისე მაკროდონეზე ჩამოყალიბებისა და ხარჯვის თანამედროვე მეთოდებით რეგულირებას. მიკროდონეზე – შინამეურნეობებსა და ფირმებში წარმოქმნილ პირველად ფინანსებს, რომლებიც ქმნის მუნიციპალურ (ადგილობრივ) ბიუჯეტს, მაკროდონეზე უნდა ჩამოეყალიბებინა სახელმწიფო ფინანსები,ხოლო ამ უკანასკნელს,როგორც სახელმწიფო შემოსავლებისა და ხარჯების ერთობლიობას და მთელი ფინანსური სისტემის ცენტრალურ რგოლს,სახელმწიფო შემოსავლებისა და ხარჯების გეგმა – ახალი დამოუკიდებელი სახელმწიფო ბიუჯეტი,როგორც საზოგადოებრივი სექტორის ეკონომიკის განვითარების საფუძველი და,

შეიძლება ითქვას, მისი ღერძი. ამიტომ, სავსებით ლოგიკურად, საქართველოში სახელმწიფოებრიობის აღდგენის შემდეგ, ეკონომიკური რეფორმების I ეტაპზე ფინანსების სფეროში სრულიად განსხვავებული ტიპის ეკონომიკური ურთიერთობების ფორმირება დაიწყო, ვიდრე ეს იყო მბრძანებლურ-ადმინისტრაციული მმართველობის პირობებში.

საბაზრო ურთიერთობებზე აგებული ფინანსური სისტემის ჩამოყალიბება მნიშვნელოვანწილად განსაზღვრავდა პოსტკომუნისტური გარდამავალი პერიოდის ხანგრძლივობასა და ეკონომიკის კონვერსიის შედეგებს. ამისათვის კი არსებით გარდაქმნებს მოითხოვდა მთელი ეკონომიკის ფინანსური სექტორი,როგორც სახელმწიფო,ისე საწარმოთა ფინანსური სისტემები,აგრეთვე ინსტიტუციური ინვესტირების სისტემა. აქედან გამომდინარე, სახელმწიფო ფინანსები,რომელიც მოიცავს ცენტრალური,რეგიონული და ადგილობრივი ერთეულების ფინანსებს,საწარმოთა ფინანსები,რომელიც აერთიანებს მსხვილი,საშუალო და მცირე ფირმების ფინანსებს და ინსტიტუციური ინვესტირების სისტემა, რომელიც ქმნის ინვესტიციური და საპენსიო ფონდების,აგრეთვე სადაზღვევო კომპანიების ერთობლიობას, რეფორმირების პროცესში თვისებრივ გარდაქმნებს დაექვემდებარა. **ამ გარდაქმნების გარეშე შეუძლებელი იყო საზოგადოებრივი სექტორის ეკონომიკის ფორმირება და ახალ ეკონომიკურ სისტემაში მისი ფუნქციონირება.**

თუ მბრძანებლურ-ადმინისტრაციულ ეკონომიკურ სისტემაში ქვეყნის მთელი ფინანსური რესურსი ძირითადად სახელმწიფო საკუთრებაში იყო თავმოყრილი, საბაზრო სისტემაში ფინანსური რესურსების უმეტესი ნაწილი დეცენტრალიზებულია, მეურნე სუბიექტების საკუთრებაა და სახელმწიფოსგან დამოუკიდებლად ფუნქციონირებს.

ამიტომ საქართველოში იმთავითვე დაიწყო ფინანსური რესურსების დეცენტრალიზაციის პროცესი და მისი ძირითადი ნაწილი სახელმწიფო მმართველობიდან არასახელმწიფო სტრუქტურების დაქვემდებარებაში გადავიდა. აქედან გამომდინარე, მნიშვნელოვნად შემცირდა სახელმწიფო ხარჯები ეკონომიკის დარგთა განვითარებისათვის, ასევე, სახელმწიფო კაპიტალური დაბანდებები. მაგალითად, 1993 წელს ქვეყნის ეკონომიკის განვითარებისათვის გამოყოფილი იყო მთელი საბიუჯეტო ხარჯების 7%,მაშინ როდესაც 1992 წელს იგი 33%-ს შეადგენდა.[54]

ამის პარალელურად სახელმწიფო ფინანსების სფეროში დაიწყო ცენტრალური,რეგიონული და ადგილობრივი მართვის დონეების უფლებებისა და პასუხისმგებლობების გადანაწილება. სახელმწიფო ფინანსების ოპერატიული მართვა დაეკისრა საქართველოს მთავრობას,სახელმწიფო საფინანსო და ადგილობრივ აღმასრულებელ ორგანოებს, ხაზინას, საგადასახადო სამსახურებსა და სახელმწიფო არასაბიუჯეტო ფონდების ხელმძღვანელობას. ამასთან,სახელმწიფო ფინანსებს,როგორც ეკონომიკის ყველა სექტორის ფინანსური რესურსების მობილიზაციის უმნიშვნელოვანეს ინსტრუმენტს, განმსაზღვრელი როლი დაეკისრა საშინაო და საგარეო პოლიტიკის განხორციელებასა და იმ საერთო–სახელმწიფოებრივი ამოცანების გადაჭრაში,როგორიცაა სახელმწიფო მმართველობა, თავდაცვა, ეკონომიკური, ტექნოლოგიური,სასურსათო და ეკოლოგიური უსაფრთხოების უზრუნველყოფა, ინფრასტრუქტურის განვითარება, საზოგადოებრივი სექტორის ეკონომიკის თანამედროვე მოთხოვნათა დონეზე ფუნქციონირება და ა.შ. ამისათვის კი **ერთ-ერთი პირველი რიგის ამოცანას ახალი ტიპის**

[54] საქართველოს ფინანსთა სამინისტროს მონაცემები.

საბიუჯეტო-საგადასახადო სისტემისა და სახელმწიფო ბიუჯეტის ფორმირება წარმოადგენდა.

საქართველოში ფინანსური რესურსების მნიშვნელოვანი ნაწილის დეცენტრალიზაციასთან ერთად,როდესაც მოხდა სახელმწიფო მართვის სფეროდან არასახელმწიფო სტრუქტურების დაქვემდებარებაში მათი გადასვლა, დაიწყო საბაზრო ეკონომიკის მოთხოვნებისადმი მისადაგებული დამოუკიდებელი საბიუჯეტო-საგადასახადო სისტემის ფორმირება. ამას თვით საბაზრო ურთიერთობებზე გადასვლის ამოცანები მოითხოვდა. ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური და საინვესტიციო პრობლემები, რომლებიც ადრე სამინისტროებისა და უწყებების დონეზე წყდებოდა, მნიშვნელოვანწილად საბიუჯეტო-საგადასახადო სისტემას უნდა გადაეწყვიტა და შესაბამისი რეგულირებით განეხორციელებინა. მის ჩამოყალიბებას საფუძველი ჩაუყარა 1993 წლის 30 მარტს საქართველოს პარლამენტის მიერ მიღებულმა კანონმა „საბიუჯეტო სისტემისა და უფლებების“ შესახებ,რომლითაც განისაზღვრა ყველა დონის ბიუჯეტის შედგენის,განხილვის,დამტკიცებისა და ხარჯების გამიჯვნის ძირითადი პრინციპები და მმართველობის ორგანოების უფლებამოსილებანი.

საქართველოს ფინანსთა სამინისტროსთან შეიქმნა სახაზინო სამსახური, რომელსაც დაევალა ცენტრალური ბიუჯეტის შესრულების ორგანიზაცია და კონტროლი, ფინანსური ურთიერთობების რეგულირება ბიუჯეტსა და ბიუჯეტგარეშე ფონდებს შორის,ბიუჯეტგარეშე ფონდების შემოსავლებსა და მათ გამოყენებაზე კონტროლი,ინფორმაციის შეკრება, დამუშავება და ანალიზი სახელმწიფო ფინანსების მდგომარეობის შესახებ, ფინანსური რესურსების ოპერატიული მართვა და პროგნოზირება, საბიუჯეტო

სისტემის მდგომარეობის შესახებ ანგარიშის მომზადება და წარდგენა ხელისუფლების ორგანოებისთვის და ა.შ.

ეკონომიკის რეფორმირების კვალობაზე,გარდამავალი პერიოდის I ეტაპზე წინგადადგმულ ნაბიჯად და პოზიტიურ მოვლენად უნდა ჩაითვალოს ბიუჯეტის საშემოსავლო და საგასავლო ნაწილში არასაბიუჯეტო ფონდების ასახვა, რამაც შესაძლებელი გახადა არასაბიუჯეტო ფონდებისა და მათი ფორმირების წყაროების ბიუჯეტთან ერთად საკანონმდებლო წესით დამტკიცება. ასევე, ამ ეტაპის დადებით მოვლენად უნდა ჩაითვალოს საბიუჯეტო კლასიფიკაციის ნაწილობრივ მოწესრიგება. ამით შესაძლებელი გახდა სხვადასხვა პოზიციიდან მისი მაჩვენებლების ანალიზი, თუმცა, საბიუჯეტო მაჩვენებლების საერთაშორისო შესადარისობის მიღწევა ჯერ კიდევ შეუძლებელი იყო. ამასთან, აღსანიშნავია, რომ საბიუჯეტო-საგადასახადო სისტემის ფორმირების პროცესი მიმდინარეობდა შესაბამისი თეორიულ-მეთოდოლოგიური წანამძღვრების სათანადო შესწავლისა და მომზადების გარეშე, რის გამოც დაშვებულ იქნა ბევრი შეცდომა. ამას მოჰყვა საბიუჯეტო-საგადასახადო კანონმდებლობის ხშირი კორექტირება, შესაბამის კანონებში პერმანენტულად შესწორებების შეტანა.

1991 წლიდან მოყოლებული სერიოზული სირთულეები შეიქმნა საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტში*. 1991 წლის ბიუჯეტი მართალია შესრულდა და გასავალზე შემოსავლის გადამეტებაც კი დაფიქსირდა, მაგრამ ეს ძირითადად განპირობებული იყო საბიუჯეტო ხარჯების 25%-მდე შემცირებით.[55]

* 1990 წელს საქართველოს რესპუბლიკის ბიუჯეტი უდეფიციტო იყო. შემოსავალი მთლიანად ფარავდა გასავალს და შესაბამისად 100,7 და 96,8%-ს შეადგენდა.

[55] **მესხია ი., მურჯიკნელი მ.** ეკონომიკური რეფორმა საქართველოში. თბილისი, „თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა“, 1996, გვ. 121.

განსაკუთრებით რთული მდგომარეობა შეიქმნა 1992 წლიდან, როდესაც საქართველოში ჩამოყალიბებულმა მძიმე ეკონომიკურმა კრიზისმა სახელმწიფო ბიუჯეტის მწვავე დეფიციტი წარმოქმნა. ამ წელს ბიუჯეტის დეფიციტმა **მშპ**-ში 28% შეადგინა. ამას განსაკუთრებით ხელი შეუწყო თავდაცვისა და სამართალდამცავი ორგანოების ხარჯების ასახვამ ქვეყნის ბიუჯეტში,რაც ადრე საკავშირო ბიუჯეტიდან იფარებოდა. ამასთან,ამავე წლიდან ქვეყანაში დაწყებულმა საომარმა კონფლიქტებმა,თავის მხრივ,უარყოფითი გავლენა მოახდინა მთელ საბიუჯეტო-საგადასახადო სფეროზე. მოიშალა სახელმწიფო შემოსავლების სისტემა, გაიზარდა სახელმწიფო ხარჯები.

მდგომარეობა კიდევ უფრო გაუარესდა 1993 წელს. ბიუჯეტის დეფიციტმა **მშპ**-ში უკვე 47% შეადგინა.[56] მის დასაფარავად სახელმწიფომ ჯერ კიდევ 1992 წელს დაიწყო უცხოური სესხების,ტრანსფერებისა და ეროვნული ბანკის ემისიური კრედიტების გამოყენება. მაგალითად,1992 წელს ეროვნული ბანკის კრედიტით დაიფარა მთელი საბიუჯეტო ხარჯების 60%,1993 წელს კი – 84%.[57] ამ გარემოებამ ხელი შეუწყო საბიუჯეტო და საგადასახადო დისციპლინის მოშლას, ბიუჯეტის ხარჯებზე სახელმწიფო კონტროლის მკვეთრ შესუსტებასა და, საბოლოო ანგარიშით, ინფლაციის სწრაფ ზრდას. 1993 წელს სახელმწიფო ბიუჯეტის დეფიციტმა კულმინაციას მიაღწია.

1994 წელს,მართალია,იგი შემცირდა 37%-მდე,მაგრამ მდგომარეობა მაინც უკიდურესად მწვავე იყო. 1993-1994

---

[56] საქართველოს ფინანსთა სამინისტროს მასალები.

[57] **ზურაბიშვილი ვ.** საქართველოს საბიუჯეტო-საგადასახადო კანონმდებლობის სრულყოფისათვის. „შრომები“. IV ტომი. საქართველოს ეკონომიკურ მეცნიერებათა აკადემია. თბილისი, გამომცემლობა „სიახლე“,2004,გვ. 162.

წლების ბიუჯეტი პარლამენტს არ დაუმტკიცებია და მისი განხილვა–მიღება ხდებოდა კვარტალების მიხედვით. დიდი სირთულეების წინაშე დადგა სახელმწიფო ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილის ფორმირება. მასობრივი ხასიათი მიიღო შემოსავლების გადამალვისა და გადასახადებისგან თავის არიდების პრაქტიკამ. 1994 წელს სახელმწიფო შემოსავლების წილი მშპ-ში 1991 წლის 31%-დან 4,2%-მდე შემცირდა, ხოლო საგადასახადო შემოსავლების წილმა 1994 წლის დასაწყისისათვის მხოლოდ 2% შეადგინა.[58] **ასეთ სიტუაციაში ზედმეტი იყო მსჯელობა საზოგადოებრივი სექტორის ეკონომიკის განვითარებაზე, რაც დაეტყო კიდეც ქვეყნის სოციალურ სფეროს, მოსახლეობა აღმოჩნდა უკიდურესად მძიმე მდგომარეობაში**.

1994 წლის მეორე ნახევრამდე ეროვნული ბანკი ახდენდა სხვადასხვა ორგანიზაციებზე დიდი ოდენობის სესხების გაცემას, რამაც კიდევ უფრო მოშალა საბიუჯეტო-საგადასახადო სისტემა და ხელი შეუწყო ჰიპერინფლაციის წარმოქმნას. ამ და სხვა მიზეზების (წარმოებრივი კავშირების გაწყვეტა როგორც ქვეყნის შიგნით, ისე მის საზღვრებს გარეთ, პოლიტიკური არასტაბილურობა და ა.შ.) გამო პარალიზებული აღმოჩნდა რეალური სექტორი. ასეთ ვითარებაში ეკონომიკის შოკირებამ, თერაპიის გარეშე, ვერ გამოიწვია წარმოების ზრდის სტიმულირება,რაც,ბუნებრივია,ნეგატიურად აისახა მთელ საბიუჯეტო-საგადასახადო სისტემაზე. უკვე 1995 წლის ნაერთი (კონსოლიდირებული) ბიუჯეტის შემოსავალში, ნახევარზე მეტს (53,9%) საერთაშორისო საფინანსო ორგანიზაციებისა და სხვადასხვა ქვეყნების

[58] **ბასილია თ., სილაგაძე ა., ჩიკვაიძე თ.** პოსტსოციალისტური ტრანსფორმაცია: საქართველოს ეკონომიკა XXI საუკუნის მიჯნაზე. თბილისი,2001,გვ. 309.

მიერ გამოყოფილი დახმარებები,გრანტები და კრედიტები შეადგენდა.[59]

ამის პარალელურად მკვეთრად შეიცვალა ბიუჯეტის ხარჯების სტრუქტურა. 1993–1995 წლებში მნიშვნელოვნად შემცირდა ეროვნულ ეკონომიკაზე გამოყოფილი საბიუჯეტო ასიგნებათა მოცულობა,სამაგიეროდ გაიზარდა სახელმწიფო მმართველობისა და სამართალდამცავი ორგანოების შენახვის ხარჯები. მაგალითად, თუ 1992 წელს ბიუჯეტის მთლიან ხარჯებში იგი შეადგენდა 5%-ს, 1993 წელს 10% შეადგინა. რაც შეეხება სოციალური ინფრასტრუქტურის დარგებს – განათლებას, მეცნიერებას, ჯანდაცვას, კულტურასა და ა.შ.,მათი წილი საბიუჯეტო ხარჯებში მკვეთრად დაეცა. კერძოდ, **სსფ**-ის საექსპერტო შეფასებით, **თუ მშპ-ში განათლებისა და კულტურის წილი 1991 წელს 7,3%-ს შეადგენდა, 1993 წელს 0,9% შეადგინა. მეცნიერების წილი, შესაბამისად, იყო 0,4 და 0,09%, ჯანდაცვისა და სპორტის – 3,9 და 0,3% და ა.შ.**[60]

1995 წელს, ორწლიანი პაუზის შემდეგ, საქართველოს პარლამენტმა დაამტკიცა სახელმწიფო ბიუჯეტი,დაბალანსებულ იქნა შემოსავალი-ხარჯები,ყურადღება გამახვილდა ეროვნული ბანკის მიერ საკრედიტო და არაემისიური წყაროების (საერთაშორისო საფინანსო ორგანიზაციებიდან მიღებული კრედიტები და სხვა წყაროები) გამოყენების გზით ინფლაციის დონის შეზღუდვასა და ბიუჯეტის მაჩვენებელთა რეგულირების მიღწევაზე.

უდეფიციტო ბიუჯეტის შედგენას საფუძვლად დაედო მაკროეკონომიკური სტაბილიზაციისა და სტრუქტურული ცვლილებების ანტიკრიზისული პროგრამა, რომელიც

[59] საქართველოს ფინანსთა სამინისტროს მონაცემები.
[60] იქვე.

ითვალისწინებდა ქვეყანაში ეკონომიკური ზრდის მიღწევას. საქართველოს ეკონომიკაში დადებითი ტენდენციები გამოიკვეთა, რამაც გააუმჯობესა ქვეყნის საბიუჯეტო-საგადასახადო მოწყობა. გაძლიერდა საბიუჯეტო ხარჯების კონტროლი,აღრიცხვა-ანგარიშგება,ამაღლდა სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსავლების მობილიზების დონე და ა.შ. 1995 წელს ბიუჯეტის დეფიციტის წილი **მშპ**–ში, 1994 წელთან შედარებით,თითქმის სამჯერ შემცირდა და 4,8% შეადგინა. 1996 წლის 29 მაისს პარლამენტმა მიიღო „კანონი საბიუჯეტო სისტემისა და საბიუჯეტო უფლებამოსილებათა შესახებ“. ამას მოჰყვა სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსავლების ზრდის ტენდენცია. 1996 წელს ბიუჯეტის შემოსავლებმა 518,1 მლნ ლარი შეადგინა და შემოსავლების გეგმა 92,0%-ით, ხოლო 1997 წელს 87,2%-ით შესრულდა. თუმცა **ამ პერიოდში ბიუჯეტის ხარჯები იმდენად მიზერული იყო, რომ სოციალური სფეროს მინიმალურ მოთხოვნილებებსაც კი ვერ აკმაყოფილებდა** (არაფერს ვამბობთ ეკონომიკის განვითარების სხვა პრიორიტეტებზე). სამაგიეროდ,სწრაფი ზრდის ტენდენცია გამოიკვეთა საგარეო ვალის მომსახურებაში, რაც მძიმე ტვირთად დააწვა სახელმწიფო ბიუჯეტს და, აქედან გამომდინარე, ქვეყნის ეკონომიკას. საბიუჯეტო შემოსავლების ზრდის ტენდენცია გაგრძელდა 1997 წელსაც და 621,8 მლნ ლარი შეადგინა, თუმცა, ხარჯებმა 797,2 მლნ ლარს მიაღწია. საბიუჯეტო შემოსავლების ზრდის ტენდენცია გაგრძელდა 1998 წლის პირველ ნახევარშიც,ხოლო მეორე ნახევარში საბიუჯეტო შემოსავლების ზრდის ტემპების შემცირება გამოიკვეთა და, 1995 წლის შემდეგ, პირველად დაფიქსირდა წარმოების მოცულობის ვარდნა. ასეთმა მდგომარეობამ მნიშვნელოვნად განაპირობა 1998 წლის მეორე ნახევრიდან საბიუჯეტო კრიზისის გამწვავება, რომელიც

გაგრძელდა 1999 და 2000 წლებშიც. ამასთან, 1999 წელს საბიუჯეტო შემოსავლების გეგმამ,1998 წელთან შედარებით, 8,2 პროცენტული პუნქტით ნაკლები შეადგინა. ასეთმა მდგომარეობამ განაპირობა 1999 წლის ნაერთი ბიუჯეტის ხარჯების შესრულების ძალზე დაბალი დონე – 76,4%. თუ 1996 წელს ხარჯების გადამეტება შემოსავლებზე 24%-ს შეადგენდა, 1997 წელს შეადგინა 31, 1998 წელს – 28, 1999 წელს – 41,8,ხოლო 2000 წელს – 43%.[61] ამასთან,ამ პერიოდში ნაერთი ბიუჯეტის შემოსავლებისთვის დამახასიათებელი იყო: ა). საკუთარი შემოსავლების წილის შემცირებისა და გრანტების წილის გადიდების ტენდენცია; ბ). მთლიან შემოსავალში საგადასახადო შემოსავლების წილის ზრდა; გ). მთლიან შემოსავალში არაპირდაპირი გადასახადების, კერძოდ,დამატებული ღირებულების,აქციზისა და საბაჟო გადასახადების მაღალი ხვედრითი წონა (58%).[62]

საქართველოს 2001,2002,2003 წლების ნაერთი ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილი,წინა წლებთან შედარებით,ხასიათდება ზრდის ტენდენციით (შესაბამისად,15,7,15,1 და 13,9%). 2000–2003 წლებში ქვეყნის ნაერთი ბიუჯეტის შემოსავლები 43,7%-ით გაიზარდა.[63] ამასთან, სუსტი ეკონომიკური ზრდა შედარებით მაღალი ტემპით შეიცვალა. მიუხედავად ამისა, ამ წლების საბიუჯეტო შემოსავლების გეგმები არ სრულდებოდა,მათი შეუსრულებლობისათვის კი არ ტარდებოდა

[61] რა უნდა ვიცოდეთ საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ. საქართველოს პარლამენტის საბიუჯეტო ოფისი. თბილისი, 1999, გვ. 25.

[62] ანგარიში 2000 წლის საქართველოს საგადასახადო სისტემის მუშაობის შესახებ. საქართველოს საგადასახადო შემოსავლების სამინისტრო. თბილისი,2001,გვ. 68-70.

[63] **ზურაბიშვილი ვ.** საქართველოს საბიუჯეტო სისტემა საბაზრო ეკონომიკის ფორმირების პერიოდში. თბილისი,2005,გვ. 36,47.

სათანადო ღონისძიებები,როგორც საბიუჯეტო-საგადასახადო სისტემის,ისე მთლიანად ქვეყნის ეკონომიკის განვითარებისათვის.

2003 წელს სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსავლები წლიური გეგმის მხოლოდ 76%-ს შეადგენდა, ხოლო საგადასახადო დეპარტამენტის შემოსავლები – გეგმის 86%-ს. დიდი იყო კონტრაბანდის მასშტაბები. ამ წლებში საბაჟო დეპარტამენტის შემოსავლებმა მხოლოდ 74% შეადგინა. რაც შეეხება არასაგადასახადო შემოსავლებს, ამ მხრივ გეგმა მხოლოდ 73%-ით შესრულდა.[64] რთული სიტუაცია ჩამოყალიბდა საბიუჯეტო ხარჯების სტრუქტურაში. მკვეთრად შემცირდა ეკონომიკის ცალკეული დარგების დაფინანსება. თუ 1990 წელს საქართველოს ეკონომიკის დაფინანსებაზე მთელი საბიუჯეტო ხარჯების 43,9% მოდიოდა,2003 წლისთვის 11,5% შეადგინა. განსაკუთრებით შემცირდა ასიგნებები სათბობ-ენერგეტიკული კომპლექსის დაფინანსებაზე – 1990-2003 წლებში 8,7%-დან 2,3%-მდე დაეცა,თავდაცვის ხარჯები შემცირდა 8,3%-დან 3,5%-მდე, ჯანდაცვის – 6,1%-დან 4,9%-მდე. აღსანიშნავია,რომ 2003 წელს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის ხარჯები ბიუჯეტის მხოლოდ 0,5%-ს შეადგენდა. ამასთან,დიდად გაიზარდა საერთო დანიშნულების სახელმწიფო მომსახურების ხარჯები (10,1%-დან 18,5%-მდე), რომელიც გარდა ფუნდამენტური გამოკვლევებისა (რომელთა წილიბიუჯეტში, საერთოდ, მიზერულია), ძირითადად ხელისუფლებისა და მმართველობის ორგანოების შენახვის ხარჯებს მოიცავდა. ამასთან, სწრაფად გაიზარდა ისეთი ხარჯები, რომლებიც არ განეკუთვნება ძირითად განყოფილებებს (ამ ხარჯების უმეტესი ნაწილი მოდიოდა საგარეო

[64] **ასათიანი რ.** პატარა ქვეყანას დიდი შეცდომების უფლება არა აქვს. თბილისი,გამომცემლობა „სიახლე“,2005,გვ. 506–507.

და საშინაო ვალის მომსახურებაზე). მათი ნაერთი წილი ბიუჯეტის საერთო ხარჯებში 1990–2003 წლებში 10,9%-დან 20,8%-მდე გაიზარდა.[65] ყოველივე ეს მიუთითებდა საბიუჯეტო სახსრების არამიზნობრივ ხარჯვაზე. **ამ პერიოდში უმოქმედო საწარმოთა რიცხვმა 80%-ს მიაღწია**. ქვეყანაში მძიმე საინვესტიციო გარემო შეიქმნა. ინვესტიციების წილი ძირითად კაპიტალში მხოლოდ 9,6%-ს შეადგენდა.

საბიუჯეტო კრიზისის დასაძლევად ყურადღება გადატანილი იყო საბიუჯეტო ხარჯების შემცირებაზე და არა შემოსავლების გაზრდაზე. ამასვე ემსახურებოდა საკანონმდებლო ბაზაც. ქვეყნის ეკონომიკისთვის არაადეკვატურ კანონმდებლობას თან ახლდა უპასუხისმგებლობა ყველა დონეზე, განუკითხაობა და დაუსჯელობა. ასე, რომ საქართველომ თავი ვერ დააღწია მწვავე საბიუჯეტო კრიზისს, რაც სისტემურ კრიზისში გადაიზარდა.

ამიტომ საქართველოს საბიუჯეტო-საგადასახადო სისტემა და, აქედან გამომდინარე, ქვეყნის სახელმწიფო ბიუჯეტი არსებით ცვლილებებს მოითხოვდა. ამ თვალსაზრისით, „ვარდებით“ მოსულ ახალ ხელისუფლებას მემკვიდრეობით არაერთი გადაუჭრელი, მწვავე პრობლემა დახვდა,რაც დაუყოვნებლივ გადაწყვეტას მოითხოვდა. შექმნილი სიტუაციიდან (საბიუჯეტო-საგადასახადო სისტემაში გამეფებული კორუფცია,სახელმწიფო ბიუჯეტის პერმანენტული დეფიციტი, დაგროვილი გაუცემელი ხელფასები საბიუჯეტო სფეროში დასაქმებულთათვის, გადაუხდელი პენსიები და ა.შ.) გამომდინარე,რადიკალური რეფორმების გატარება გადაუდებელ ამოცანას წარმოადგენდა.

2004 წლიდან დაიწყო რევოლუციურ პათოსზე მორგებული რეფორმების ახალი ტალღა. თებერვალში პარლამენ-

[65] საქართველოს ფინანსთა სამინისტროს მონაცემები.

ტმა საქართველოს კონსტიტუციაში შეიტანა ცვლილებები (მორიგი ცვლილებები კი 2006 წლის მიწურულს განხორციელდა), რამაც საპრეზიდენტო ძალაუფლების გაძლიერება გამოიწვია. მართალია „ძალაუფლების კონცენტრაციას სულაც არ მოჰყოლია დემოკრატიის განვითარება, მაგრამ პოსტრევოლუციურ მთავრობას შეაძლებინა გაეზარდა საგადასახადო შემოსავლები, დაეძლია მწვავე საბიუჯეტო კრიზისი, რამაც შესაძლებელი გახადა დაგროვილი საპენსიო და სახელფასო (საბიუჯეტო სექტორში) დავალიანებების დაფარვა.“[66] ამას, გარკვეულწილად, ხელი შეუწყო კორუფციაში დადანაშაულებული თანამდებობის პირების დაპატიმრების შემდეგ მათ მიერ პატიმრობიდან გასათავისუფლებლად სოლიდური თანხის, ე.წ. „თავისუფლების საფასურის“ გადახდამ. თუმცა, უნდა აღინიშნოს, რომ **ეს „დამატებითი შემოსავლები“ ძირითადად ძალოვანი უწყებების ბიუჯეტგარეშე ანგარიშებზე იქნა აკუმულირებული**.

დასავლეთის ყურადღება მიიპყრო და მოწონება დაიმსახურა ფირმების რეგისტრაციის პრაქტიკის გამარტივებამ, გადასახადებისა და ტარიფების შემცირებამ. საერთაშორისო სავალუტო ფონდმა საქართველოსთან განაახლა 2003 წელს შეჩერებული პროგრამა.

2004 წელს ნაერთი ბიუჯეტის შემოსავლები (გრანტებთან ერთად), 2003 წელთან შედარებით, 69,2%-ით გაიზარდა და 2283 მლნ ლარს მიაღწია. საბიუჯეტო შემოსავლების წილი **მშპ**-ის მიმართ 14,9%-დან 21,4%-მდე გაიზარდა.

საბიუჯეტო შემოსავლების ზრდის ტენდენცია მომდევნო 2005 წელსაც გაგრძელდა. წინა წელთან შედარებით,

---

[66] **პაპავა ვ.** პოსტრევოლუციურ საქართველოში განხორციელებული ეკონომიკური რეფორმების პათოლოგიური ანატომია. „შრომები“. VI ტომი. საქართველოს ეკონომიკურ მეცნიერებათა აკადემია. თბილისი, გამომცემლობა „სიახლე“, 2008, გვ. 20–21.

იგი (გრანტებთან ერთად) 53,3%-ით გაიზარდა და 3257,2 მლნ ლარს მიაღწია. 2006 წელს, წინა წელთან შედარებით, 3,6%-ით დაეცა ზრდის ტემპი და აბსოლუტურ მონაცემებში ამ მაჩვენებელმა 3139,2 მლნ ლარი შეადგინა. ყველაზე ნორმალური იყო 2007 წელი. წინა წელთან შედარებით, საბიუჯეტო შემოსავლები 42,4%-ით გაიზარდა და 4469,1 მლნ ლარს მიაღწია. 2008 წელს ზრდამ, წინა წელთან შედარებით, 22,3% შეადგინა და 5469,6 მლნ ლარს მიაღწია.[67]

განსხვავებულ სტატისტიკას გვთავაზობს ეკონომიკური პოლიტიკისა და სამართლებრივი საკითხების ქართულ-ევროპული საკონსულტაციო ცენტრი. სახელდობრ,გრანტების გარეშე მთლიანმა შემოსავალმა 2005 წელს 3152,7 მლნ ლარი შეადგინა და **მშპ**-ის 27,2%-ს მიაღწია,2006 წელს, შესაბამისად, 4235,6 მლნ ლარი და **მშპ**-ის 30,7% შეადგინა, ხოლო 2007 წელს – 5915,6 მლნ ლარი და მშპ-ის 34,8%.[68]

2008 წლის 1 იანვრიდან საქართველოში ამოქმედდა ახალი საბიუჯეტო კლასიფიკატორი,რომლის მიხედვით ბიუჯეტის აღრიცხვა წარმოებს **სსფ**-ის 2001 წლის სახელმწიფო ფინანსების სტატისტიკის სახელმძღვანელოს შესაბამისად.

საქართველოში საბაზრო ურთიერთობების ფორმირების კვალობაზე საბიუჯეტო-საგადასახადო სფეროში გატარებული რეფორმა არ აღმოჩნდა საკმარისი იმისათვის, რომ ქვეყანას თავი დაეღწია მძიმე ეკონომიკური სიტუაციისაგან, განსაკუთრებით საბიუჯეტო კრიზისისაგან. ამის მთავარი მიზეზი იყო საქართველოში მიმდინარე ტრანზიტული პროცესების მაკროეკონომიკური რეგულირების სისუსტე და

[67] საქართველოს ფინანსთა სამინისტროს მონაცემები.

68 „საქართველოს ეკონომიკური ტენდენციები“. კვარტალური მიმოხილვა. GEPLAC, ოქტომბერი, 2008, გვ. 29; განსხვავებული ვარიანტია მოცემული სტატისტიკურ კრებულში: სტატისტიკის წელიწდეული – 2008. საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროს სტატისტიკის დეპარტამენტი. თბილისი,2008,გვ. 247.

ეკონომიკურ პოლიტიკაში დაშვებული შეცდომები.

საქართველოში, ბიუჯეტის დეფიციტის ინფლაციური დაფინანსების შეწყვეტასთან ერთად,გამოვლინდა სახელმწიფო ხარჯების მჭიდრო დამოკიდებულება საგადასახადო შენატანებთან. საქმიანი (სამეურნეო) აქტიურობის მკვეთრმა დაცემამ გამოიწვია დასაბეგრი ბაზის შემცირება და საბიუჯეტო კრიზისის გაღრმავების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ფაქტორი გახდა.

საქართველოს საბიუჯეტო კრიზისი ფინანსურ დილემად გადაიქცა. საბიუჯეტო ხარჯების გადამეტებამ შემოსავლებზე, ფაქტობრივად, პერმანენტული ხასიათი მიიღო. მაგალითად, 1996 წელს საბიუჯეტო შემოსავლების გეგმა შესრულდა 92,0%-ით, 1997 წელს – 87,2%-ით, 1998 წელს – 82,7%-ით, ხოლო 1999 წელს კიდევ უფრო გაღრმავდა საბიუჯეტო კრიზისი და შემოსავლების გეგმა მხოლოდ 70,5%-ით შესრულდა. საბიუჯეტო შემოსავლების მობილიზების დონის მიხედვით ეს წელი ყველაზე წარუმატებელი აღმოჩნდა. ბიუჯეტს დააკლდა 272,3 მლნ ლარი.[69]

ბუნებრივია, შემოსავლების შემცირების ტენდენცია გამოიკვეთა ქვეყნის **მშპ**-შიც. თუ 1997 წელს საგადასახადო შემოსავლები **მშპ**-ის 10,1%-ს შეადგენდა,1998 წელს 9% შეადგინა. აღსანიშნავია ის გარემოებაც, რომ ეს მაჩვენებელი СНГ-ს ქვეყნების უმრავლესობაში ამ პერიოდისთვის 27%-ს, ხოლო რუსეთში – 30%-ს შეადგენდა.[70]

რაც შეეხება განვითარებულ ქვეყნებს,მათი საბიუჯეტო შემოსავლების წილი **მშპ**-ში მაღალია. ქვეყნების ძირითადი

---

[69] მოხსენება 1999 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულების შესახებ. საქართველოს პარლამენტის საბიუჯეტო ოფისი. თბილისი, 2000, გვ. 25.

[70] Экономика переходного периода. Руководитель авторского коллектива **Гайдар Е.** М., 1998, с. 135.

ჯგუფისათვის ეს მაჩვენებელი 40–45%-ის ტოლია,საერთოდ კი მერყეობს 30%-დან (აშშ) 52%-მდე (შვედეთი). აღნიშნული ფაქტი ადასტურებს საგადასახადო შემოსავლების მჭიდრო დამოკიდებულებას **მშპ**-ის დინამიკასთან.

საგადასახადო შემოსავლების მობილიზება,ეროვნული წარმოების განვითარების კვალობაზე მისი გაზრდა ქვეყნის საბიუჯეტო-საგადასახადო სფეროს ერთ-ერთ მთავარ პრობლემად დარჩა. საბიუჯეტო კრიზისის გაღრმავებას დიდად შეუწყო ხელი იმ გარემოებამაც,რომ მთავრობა არ წავიდა სახელმწიფო ხარჯების ეფექტიანობის ამაღლებისა და სტრუქტურის გაუმჯობესების გზით. იგი, საბიუჯეტო დეფიციტის შემცირების მიზნით, შემოიფარგლა მხოლოდ სახელმწიფო ხარჯების საერთო შემცირებით. დაფინანსების უზრუნველყოფისათვის მან აირჩია შედარებით ადვილი გზები: ჯერ რეფორმების დაწყების პირველ ეტაპზე დაარღვია ფულადი პოლიტიკისადმი საბიუჯეტო პოლიტიკის დაქვემდებარების მოთხოვნა – ფულის მასის ზრდის ტემპის შესაბამისობა **მშპ**-ის ზრდის ტემპთან, რამაც წარმოქმნა ინფლაციური გადასახადი და გაზარდა საშინაო ვალი, ხოლო შემდეგ, შეინარჩუნა რა ინფლაციის დათრგუნვის კურსი, აირჩია მეორე გზა – ძირითადად აქცენტი საგარეო ვალზე გადაიტანა.

სახელმწიფო ვალის გაზრდამ საქართველოს ეკონომიკა მჭიდროდ დამოკიდებული გახადა მსოფლიო საფინანსო ბაზრების კონიუნქტურაზე, რამაც ხელი შეუწყო სახელმწიფო ხარჯების არარაციონალური სტრუქტურის ჩამოყალიბებას.

ინფლაციის დათრგუნვას უნდა შეექმნა ეკონომიკური პირობები ეროვნული კაპიტალის ფორმირების პროცესის დაწყებისათვის, დანაზოგისა და ინვესტიციების გადიდებისათვის,მაგრამ არსებული ფინანსური დილემა აფერხებდა ეკონომიკური ზრდის ამ უმნიშვნელოვანესი ფაქტორების

ამოქმედებას. საქართველოსათვის საგულისხმო პარადოქსი გახდა, ერთი მხრივ, ქვეყნის მზარდი მოთხოვნა ინვესტიციებზე (განსაკუთრებით ეროვნულ ინვესტიციებზე) და, მეორე მხრივ, კაპიტალის გადინება საზღვარგარეთ.

სახელმწიფო სექტორში სტრუქტურული რეფორმის გარეშე სახელმწიფო შემოსავლებისა და ხარჯების მკვეთრმა დაცემამ უარყოფითი გავლენა მოახდინა სოციალური დაცვის, განათლების, ჯანდაცვის, მეცნიერებისა და კულტურის სფეროებზე, მკვეთრად შეამცირა მათი ფუნქციონირების ეფექტიანობა. ხელი შეეშალა ეკონომიკის რესტრუქტურიზაციის პროცესების განვითარებასაც.

საბიუჯეტო კრიზისმა მკვეთრად დააჩქარა შემოსავლების დიფერენციაციის პროცესი, გაზარდა სოციალური დაძაბულობა. მაგალითად, 1999 წელს საქართველოში მოსახლეობის უმდიდრეს 10%-ზე მოდიოდა ფულადი შემოსავლების 37%, ე.ი. თითქმის 2/5, ყველაზე ღარიბი ნაწილის 10%-ზე – მხოლოდ 1%-მდე.[71]

ქვეყანაში ფეხი მოიკიდა მკვეთრი ქონებრივი დიფერენციაციის ტენდენციამ, როგორც ეს სუსტად განვითარებული ქვეყნებისთვისაა დამახასიათებელი. **დენაციონალიზაცია საზოგადოებას შემოუბრუნდა სახელმწიფო ქონების განიავებით, მომხმარებლის მონოპოლიური ჩაგვრით**. საქართველოში უგულებელყოფილია ცივილიზებულ სამყაროში აპრობირებული მოსაზრება, რომ **ინვესტიციები ადამიანისეულ კაპიტალში გრძელვადიანი ეკონომიკური ზრდის უზრუნველყოფის მნიშვნელოვანი გარანტია.**[72]

ამ პერიოდისთვის საქართველოში პრაქტიკულად ამოიწურა სახელმწიფო ხარჯების შემცირების ყველა

[71] საქართველოს სტატისტიკის სახელმწიფო დეპარტამენტის მასალები.

[72] **Lucas R.** On the Mechanics of Economy Development. “Journal of Monetary Economics”, Vol. 22, 1988, p. 22.

შესაძლებლობა. მაგალითად, 2004 წელს იგი **მშპ**-ის მხოლოდ 17,4%-ს შეადგენდა,თუმცა,2008 წლის ოფიციალური მონაცემებით, სახელმწიფო ხარჯებმა 4936,3 მლნ ლარი შეადგინა ანუ **მშპ**-ის 25,9%.[73] შედარებისთვის – აშშ-ში ეს მაჩვენებელი 42%-ია.

ყოველივე ზემოაღნიშნულმა შეასუსტა საბაზრო ეკონომიკის სტიმულები და გააჭიანურა გარდამავალი პერიოდი. ამიტომ აუცილებელი გახდა რადიკალური რეფორმის განხორციელება მაკროეკონომიკური რეგულირების სფეროში, მეცნიერულ დონეზე ქვეყნის ეკონომიკური განვითარების მოდელის შემუშავება და ადეკვატური ეკონომიკური პოლიტიკის გატარება.

ეკონომიკურ თეორიასა და პრაქტიკაში ცნობილი,ცივილიზებულ სამყაროში საკმაოდ აპრობირებული დაბეგვრის მოწინავე გამოცდილება არ იქნა გათვალისწინებული დამოუკიდებელი საქართველოს ეკონომიკურ პოლიტიკაში. **არასწორმა საგადასახადო პოლიტიკამ სახელმწიფო ბიუჯეტი დაანგრია**. ამის დამადასტურებელია თუნდაც ის,რომ საქართველოში სახელმწიფო ხარჯების საგადასახადო დაფარვის კოეფიციენტი მხოლოდ 60–65%-ს აღწევდა.

ამ ნგრევის საფუძველი ეკონომიკური განვითარების თეორიის უგულებელყოფაშია, რამაც, ბევრ სხვა მიზეზთან ერთად, საგადასახადო ბაზის უკიდურესი სივიწროვე გამოიწვია.

გარდამავალი პერიოდის პირველივე წლებიდან საქართველოში გამოიკვეთა ეკონომიკაზე საგადასახადო სისტემის პოზიტიური ზემოქმედების შესუსტების სიმპტომები. გადასახადებს არა მხოლოდ ეკონომიკის მასტიმულირებელი და მარეგულირებელი,არამედ ფისკალური ეფექტიც კი არ ჰქონდა. აბსოლუტურად მოუქნელი იყო საგადასახა-

[73] საქართველოს სტატისტიკის სახელმწიფო დეპარტამენტის მასალები.

დო შეღავათების სისტემა. იმთავითვე აშკარად გამოიკვეთა საგადასახადო სისტემის მარგი ქმედების კოეფიციენტის დაცემის ტენდენცია. არსებული საგადასახადო სისტემა კიდევ უფრო ამწვავებდა ეკონომიკის კრიზისულ მდგომარეობას და იგი ეკონომიკური რეფორმის ყველაზე სუსტ რგოლს წარმოადგენდა.

საბაზრო პრინციპებზე მორგებული დამოუკიდებელი საგადასახადო სისტემის შექმნა მრავალი ობიექტური თუ სუბიექტური წინააღმდეგობის დაძლევას მოითხოვდა. ჩვენში ახლო წარსულში საგადასახადო სამართალი არ არსებობდა, ხოლო საგადასახადო სამსახურის დონე უპასუხებდა არა საბაზრო, არამედ ეკონომიკის მართვის ცენტრალიზებული სისტემის მოთხოვნებს. საგადასახადო საქმის მცოდნე კვალიფიციური კადრების ნაკლებობასთან ერთად, ამ სისტემაში ფეხი მოიკიდა განუკითხაობამ, განსაკუთრებით აღრიცხვა-ანგარიშგების სფეროში, ასევე, არასახელმწიფოებრივ სექტორში, რის გამოც დიდი ოდენობის თანხა იკარგებოდა და თავს არ იყრიდა ბიუჯეტის შემოსავლებში. მოკლედ, **საგადასახადო სისტემაში (ისე როგორც მთელ მაკროსისტემაში) საქართველოს მკვეთრად გამოხატული განვითარების კურსი არ ჰქონდა. სიტყვით თითქოს გადავდიოდით საბაზრო ეკონომიკაზე, საქმით კი სულ სხვა სურათი იყო**.

1992 წელს დროებითმა მთავრობამ მიიღო დოკუმენტი – „საქართველოს რესპუბლიკის ეკონომიკური რეფორმების ძირითადი მიმართულებები," რომელიც, ეკონომიკური დაქვეითების პროცესის შეჩერებისა და სამეურნეო ცხოვრებაში წესრიგის დამყარების მიზნით, მრავალ სხვა საკითხთან ერთად, საბიუჯეტო-საგადასახადო სისტემის რეორგანიზაციას ითვალისწინებდა. მაგრამ ქვეყანაში შექმნილი მასობრივი უწესრიგობა და მკვეთრად გამოხატული

პოლიტიკური დესტაბილიზაცია აფერხებდა რეალური ეკონომიკური რეფორმების დაწყებას.

1993 წლის 21 დეკემბერს მიღებულ იქნა კანონი „საგადასახადო სისტემის საფუძვლების შესახებ“. ეს ის პერიოდია, როდესაც ქვეყანაში მძვინვარებდა ჰიპერინფლაცია. საწარმოთა დიდი უმრავლესობა არ მუშაობდა. ქვეყანაში თანდათან იზრდებოდა გამოუყენებელი შრომითი პოტენციალის რაოდენობა,რომელიც მძიმე ტვირთად აწვებოდა ეკონომიკას. მდგომარეობა არა მხოლოდ კრიზისული,არამედ კატასტროფულიც იყო.

ეს პერიოდი საქართველოს ისტორიაში შევიდა ქვეყნის ნგრევის, პოლიტიკური ლოზუნგებისა და რიტორიკული მოწოდებების ხანად.

1997 წლის 13 ივნისს საქართველოს პარლამენტმა, ძალზე დაგვიანებით (მასზე მუშაობა 1993 წლიდან დაიწყო), როგორც იქნა მიიღო საგადასახადო კოდექსი (საფუძვლად ყაზახური საგადასახადო კოდექსი დაედო). არ იქნა გათვალისწინებული საერთაშორისო სავალუტო ფონდის რიგი რეკომენდაციებისა (მაგალითად, გადასახადების განაკვეთების სიდიდის განსაზღვრისას არ იქნა გათვალისწინებული რეალური საგადასახადო ტვირთის ოპტიმალური გაანგარიშების მაჩვენებლები). ამიტომ 1998 წლიდან, არსებული შეცდომების გასწორების მიზნით,საგადასახადო კოდექსში დაიწყო შესწორებების შეტანა. 2004 წლამდე 270-ზე მეტი ცვლილება იქნა შეტანილი. გადამხდელთათვის ისედაც რთული ენით წარმოდგენილი კანონი,მრავალჯერადი ცვლილებით კიდევ უფრო რთული გასაგები გახდა. მიუხედავად ამისა,საგადასახადო კანონმდებლობაში განხორციელდა გარკვეული პოზიტიური ცვლილებები (მოხდა სანქციების ლიბერალიზაცია,დამატებული ღირებულების

გადასახადისგან განთავისუფლდა სამედიცინო აპარატურა, ფარმაცევტული საქონელი,პრესა,საგამომცემლო პროდუქცია...), მაგრამ, მიუხედავად ამისა, **საგადასახადო კოდექსი არასრულყოფილი იყო, რამაც მნიშვნელოვანი როლი შეასრულა ქვეყანაში არაჯანსაღი კონკურენციული გარემოსა და დაბალი საგადასახადო კულტურის ჩამოყალიბებაში**.

სახელმწიფო ხარჯების დაფინანსებაში მუდმივ დაძაბულობას იწვევდა გადასახადების აკრეფის არაჯანსაღი მექანიზმი. არადიფერენცირებული გადასახადები ხელს უწყობდა ფარული ეკონომიკის ზრდას. საგადასახადო შედავათების სისტემა არ შეესაბამებოდა ეკონომიკის რეალურ მოთხოვნებს. ქვეყანაში ადმინისტრაციის მიმართ ჩამოყალიბდა უნდობლობის გარემო. ამ გარემოებამ დაღი დაასვა ქვეყნის ფისკალურ პოლიტიკას და უარყოფითი გავლენა მოახდინა ეროვნული ეკონომიკის განვითარებაზე.

საგადასახადო კოდექსში, რომელშიც ხშირი ცვლილებები და შესწორებები ხდებოდა, არ იყო ასახული განაკვეთების დაწესების მეთოდოლოგია. საგადასახადო განაკვეთების დადგენისადმი გათვალისწინებული იყო მხოლოდ ფისკალური მიდგომა. გერმანელი ექსპერტების აზრით,სოფლის მეურნეობის პროდუქციაზე 20%-იანი დღგ (გფრ-ში 8%-ია) გააჩანაგებდა ქართულ სოფელს.*

ყურადღებას იპყრობს საქართველოში პირდაპირი და არაპირდაპირი გადასახადების თანაფარდობის საკითხი. განვითარებულ ქვეყნებში მათ შორის თანაფარდობა, შესაბამისად, მერყეობს 2,0 : 1-თან ფარგლებში. მაგალითად, 1995 წლის მონაცემებით, იგი აშშ-ში შეადგენდა 1,7 : 1-თან, კანადაში – 1,3 : 1-თან, შვედეთში – 1,4 : 1-თან, შვეიცარიაში

* სამაგიეროდ, საქართველოში აზარტულ თამაშებზე გადასახადი 15%-ს შეადგენდა, მაშინ როდესაც ევროპის ქვეყნებში იგი 58%-ია, ამჯერად მდგომარეობა რამდენადმე გამოსწორდა: აზარტულ თამაშებზე გადასახადი მიბმულია შედეგებთან.

– 2,0 : 1-თან და ა.შ.[74] საქართველოში კი პირდაპირ და არა-პირდაპირ გადასახადებს შორის თანაფარდობა 1995 წელს შეადგენდა 1 : 1,02-თან, (49,5 და 50,5%), 1996 წელს 1 : 1,6-თან (46,3 და 53,7%), ხოლო 1997 წელს – 1 : 6,8-თან (12,8 და 87,2%). 1994 წელს მოგების გადასახადის წილიც მთლიან საგადასახადო შემოსავლებში იყო 28,2%, 1997 წელს კი მხოლოდ 8%, ხოლო **მშპ**-ში, შესაბამისად,– 0,8 და 0,6%.[75]

ამრიგად, საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტის საგადასახადო შემოსავლების ძირითადი ნაწილი არაპირდაპირ გადასახადებზე მოდიოდა, რაც არ ითვლება ნორმალურ მოვლენად. მოუქნელთან ერთად, არასტაბილური საგადასახადო სისტემა დიდ სიძნელეებს ქმნიდა მეწარმეობის განვითარებისათვის. ზოგჯერ ინსტრუქცია წინა რიცხვით შედიოდა ძალაში, რაც უხერხულობას იწვევდა წესიერ გადამხდელებშიც კი და მათ კანონის დამრღვევთა რიგებში აყენებდა. საგადასახადო სისტემაში ერთ-ერთი სერიოზული პრობლემა იყო საგადასახადო დავალიანების ზრდა. მაგალითად, 1996 წლის 1 ივლისის მდგომარეობით, მსხვილ გადამხდელთა საგადასახადო დავალიანებამ 6 მლნ ლარს მიაღწია, მათ შორის 75%-ზე მეტი მოდიოდა ჯარიმებზე, სახელმწიფო საგადასახადო ინსპექციის საგადასახადო დავალიანებამ კი 61,2 მლნ ლარი შეადგინა.

ნიშანდობლივია ის გარემოებაც, რომ ზოგიერთ საწარმოში, სადაც არ აღინიშნებოდა წარმოების დაცემა,

---

[74] **Жильцов Е. Н.** Экономика государственного сектора и некоммерческих организаций. М., "Издательство московского университета", 1998, с. 67.

[75] „საქართველოს ეკონომიკის მიმართულებები". კვარტალური მიმოხილვა. ეკონომიკური პოლიტიკისა და სამართლებრივი საკითხების ქართულ–ევროპული საკონსულტაციო ცენტრი. "Tacis", პირველი კვარტალი, 1998, გვ. 21; „ბიულეტენი", 1998, № 7, გვ. 28.

გადასახადების გადახდა მცირდებოდა. ეს ტენდენცია უკავშირდებოდა გადასახადებისაგან კანონსაწინააღმდეგო გადახრას, გადაუხდელობის სინდრომის განვითარებას, ბიუჯეტის წინაშე ეკონომიკური აგენტების დავალიანების დაგროვებას,დაუსაბუთებელი საგადასახადო შეღავათების მასშტაბების გაფართოებას (მაგალითად, 1998 წლისათვის გადაუხდელი გადასახადების მოცულობამ თითქმის 1 მლრდ ლარს მიაღწია, ხოლო 2004 წლისათვის – 2 მლრდ ლარზე მეტს) და ა.შ. ამას ემატებოდა კანონმდებლობის არასრულყოფილება, საგადასახადო ადმინისტრირების სისუსტე და სხვ.

2004–2008 წლებში საქართველოს ეკონომიკის ფუნქციონირებაში მომხდარმა არსებითმა ცვლილებებმა, გარკვეული პოზიტიური ტენდენციები შექმნა ფისკალურ კონსოლიდაციაში. საგადასახადო ადმინისტრირების გაუმჯობესების საფუძველზე, ნაერთი ბიუჯეტის საგადასახადო შემოსავლები **მშპ**-ის მიმართ 2003 წლის 13,9%-დან 2004 წელს 18,6%-მდე გაიზარდა,2005 წელს – 20,8,2006 წელს – 22,9,2007 წელს – 25,8, ხოლო 2008 წელს 26,8%-მდე გაიზარდა.[76] 2008 წლის ნაერთი ბიუჯეტის მთლიან შემოსავლებში, ახალი საბიუჯეტო კლასიფიკაციის მიხედვით, თავი მოიყარა საგადასახადო შემოსავლებმა, გრანტებმა, სხვა შემოსავლებმა, ფინანსურმა და არაფინანსურმა აქტივებმა. აღსანიშნავია, რომ ამ წლის გრანტებმა სულ 593 მლნ ლარი შეადგინა. აქედან,2008 წლის აგვისტოში საქართველოში განვითარებული მოვლენებიდან გამომდინარე, საზღვარგარეთის მთავრობებისგან მიღებული გრანტები 412,5 მლნ დოლარს, ანუ გრანტების მთელი მოცულობის

[76] „საქართველოს ეკონომიკური ტენდენციები“. კვარტალური მიმოხილვა. GEPLAC, ოქტომბერი,2008, გვ. 29.

70%-ს შეადგენდა.[77] მთლიანად შედავათიანი კრედიტების ჩათვლით საქართველომ მიიღო 4,55 მლრდ დოლარი.

ხელისუფლებამ ვერ შექმნა საბაზრო სისტემის ეფექტიანი ფუნქციონირების ხელშემწყობი სამართლიანი ბაზა, რომელიც დააჩქარებდა ბიზნესის განვითარებას,დაიცავდა კონკურენციას, უზრუნველყოფდა ბაზრის მიერ უსამართლოდ განაწილებული შემოსავლების სამართლიან გადანაწილებას,საზოგადოებრივი სექტორის ეკონომიკის განვითარებას, ამის საფუძველზე ეკონომიკური კონიუნქტურის მერყეობით გამოწვეული ინფლაციის დათრგუნვასა და ეკონომიკური ზრდის სტიმულირებას.

2005 წლამდე საქართველოს საგადასახადო სისტემა, კანონმდებლობის მიხედვით, ხასიათდებოდა საგადასახადო ტვირთის გაცილებით მაღალი დონით, ვიდრე ეს გადასახადების აკრეფის პრაქტიკაშია აპრობირებული. არსებული საგადასახადო წნეხი არ შეესაბამებოდა საერთაშორისო სტანდარტებს, რაც საქართველოს ეკონომიკისათვის მიუღებელი და შეუსაბამო იყო.

საქართველოში ფისკალური კრიზისი, შეიძლება ითქვას, თვითგამაძლიერებელ ხასიათს ატარებდა. ეკონომიკური აგენტების მაღალ დაბეგვრასა და საგადასახადო ამონაგების დაბალ დონეს შორის წინააღმდეგობას კიდევ უფრო აძლიერებდა საგადასახადო ტვირთის უთანაბრობა. საგადასახადო სისტემა არ იყო ნეიტრალური იმ გადამხდელების მიმართ, რომლებიც ერთნაირ ეკონომიკურ პირობებში იმყოფებოდნენ. იგი,გარკვეული თვალსაზრისით,ავიწროე-

[77] **პაპავა ვ.** ბრიუსელის კონფერენციის გადაწყვეტილებათა ფარგლებში დონორთა ფინანსური დახმარების ასახვა საქართველოს 2008 და 2009 წლების სახელმწიფო ბიუჯეტებში. ანგარიში მომზადდა კოალიცია „გამჭვირვალე ფინანსური დახმარება საქართველოს“ ფარგლებში. თბილისი,აპრილი,2009,გვ. 8.

ბდა კეთილსინდისიერი გადამხდელების წრეს. როგორც ცნობილია, საგადასახადო ტვირთს ძირითადად მსხვილი გადამხდელები ატარებენ, ფიზიკური პირებიდან კი – საშუალოშემოსავლიანი გადამხდელები. დიდი შემოსავლების მქონე ფიზიკური პირები ხშირად სხვადასხვა გზით ნიღბავენ თავიანთ შემოსავლებს. ასეთი მდგომარეობა, რომელიც ხელს უშლის მეწარმეობის განვითარებას, ტიპური იყო საქართველოსთვის.

საქართველოში, მიუხედავად დაბეგვრის საკითხებსა და საგადასახადო სისტემის აგების შესახებ გაცხოველებული პოლემიკისა, ვერ იქნა შემუშავებული დაბეგვრის ერთიანი კონცეფცია. არსებულმა საგადასახადო კოდექსმა (რომელიც, შეიძლება ითქვას, ერთი დაკვრით შეიქმნა) ვერ შეძლო ახალ ეკონომიკურ პირობებთან ადაპტირება. ვერ გამარტივდა საგადასახადო სისტემა საგადასახადო კოდექსში შესაბამისი ცვლილებების შეტანის საფუძველზე. თავიდან ვერ იქნა აცილებული ორმაგი დაბეგვრა, გადასახადების (განსაკუთრებით დამატებული ღირებულების გადასახადის და ა.შ.) დიფერენციაცია. **მცირე საწარმოების მიმართ არ იქნა შემოღებული (მსოფლიოში საკმაოდ აპრობირებული) ფიქსირებული გადასახადი**, არაფერს ვამბობთ იმაზე, რომ ზოგიერთი ქვეყანა, მაგალითად იაპონია, მცირე ბიზნესს საერთოდ ანთავისუფლებს გადასახადებისგან. ვერ განხორციელდა შეღავათების ვარირება, რომელთა დიფერენციაცია წარმოების დინამიკისა და სტრუქტურაზე ზემოქმედების საშუალებას იძლევა და ა.შ.

როგორც ცნობილია, ცივილიზებულ ქვეყნებში საგადასახადო მექანიზმი სტიმულს აძლევს საქველმოქმედო საქმიანობას. ნებისმიერი სახის ქველმოქმედება თავისუფლდება გადასახადებისაგან, რის გამოც ასეთი ქმედება არა მხოლოდ მორალურადაა პრესტიჟული, არამედ ეკონომი-

კურადაც ხელსაყრელია. ეს მოწინავე გამოცდილება არ იქნა გათვალისწინებული საქართველოს ეკონომიკურ პოლიტიკაში.

აღნიშნული ღონისძიებები გააუმჯობესებდა საგადასახადო კულტურასა და დისციპლინას, აიძულებდა არგადამხდელებს მოეხდინათ თავიანთი საწარმოების რესტრუქტურიზაცია, შემდეგ კი ვალები დაეფარათ, გააძლიერებდა ბრძოლას ფარული ეკონომიკის წინააღმდეგ, საბოლოო ანგარიშით,**სახელმწიფო ბიუჯეტში გაზრდიდა საგადასახადო შემოსავლების მოცულობას, ხელს შეუწყობდა მის სტაბილიზაციას და, აქედან გამომდინარე, გააქტიურებდა საზოგადოებრივი სექტორის ეკონომიკის ფუნქციონირებას.**

საქართველოში საგადასახადო პოლიტიკის შემუშავებისას არ იქნა გათვალისწინებული ორი მნიშვნელოვანი გარემოება: მისი ეფექტიანობისა და სამართლიანობის უზრუნველყოფა.

იმ თეორიას, რომელიც საქართველოს ეკონომიკურ პოლიტიკას ამ პერიოდში ედო საფუძვლად, „სტაგნაციის ახალი თეორია“ შეიძლება ეწოდოს. **სახელმწიფომ ვერ დაიცვა წარმოება, რომელიც გაკოტრების ზღვარზე მივიდა, სახელმწიფომ ვერ დაიცვა ბაზარი, რომელიც სპეკულაციური ბიზნესით იყო გაჯერებული.**

სოციალური სამართლიანობის პრინციპი საგადასახადო სისტემის აგების ერთ-ერთი ცენტრალური პრინციპია, რაც ნაკლებად იქნა გათვალისწინებული საქართველოს პოსტკომუნისტურ გარდამავალ ეკონომიკაში. **ხელისუფლებამ ვერ გაათვითცნობიერა ის, რომ გადასახადების დადგენის საკითხისადმი მხოლოდ ფისკალური მიდგომა ქვეყნის დამღუპველია.**

ვერავითარ კრიტიკას ვერ უძლებდა არსებული საგადა-

სახადო კოდექსი, რომელშიც ახლებურად, მსოფლიოში ცნობილი მეთოდებით არ იყო გათვალისწინებული გადასახადების მასტიმულირებელი ფუნქცია. საქართველოში მოქმედებდა 21 საერთო-სახელმწიფოებრივი და ადგილობრივი გადასახადი. მაღალი იყო საგადასახადო ტვირთი, რომელიც ანგრევდა ისედაც სუსტ ეკონომიკას და სიღარიბისკენ უბიძგებდა ქვეყანას. ძალიან დიდი გარღვევა იყო თვით საგადასახადო ტვირთის დონესა და აკრეფილ გადასახადებს შორის. ბიუჯეტში არ შედიოდა აკრეფილი გადასახადის მნიშვნელოვანი ნაწილი.

2004 წლის 22 დეკემბერს საქართველოს პარლამენტმა მიიღო ახალი საგადასახადო კოდექსი,რომელიც ამოქმედდა 2005 წლის 1 იანვრიდან. აღებულ იქნა გადასახადების ლიბერალიზაციის კურსი. განხორციელდა ცვლილებები საგადასახადო კანონმდებლობაში. წინა პერიოდთან შედარებით, გამარტივდა ადმინისტრაციული მექანიზმები,შემცირდა გადასახადების რაოდენობა,გამკაცრდა კონტროლის მექანიზმი, შემოღებულ იქნა საგადასახადო დავების წარმოების წესი.

2005 წელს გადასახადების რაოდენობა შემცირდა 7-მდე. გადასახადების შემდგომი ლიბერალიზაცია განხორციელდა 2008 წელს. საგადასახადო კოდექსში შეტანილი ცვლილებების საფუძველზე საგრძნობლად გამარტივდა საგადასახადო რეგისტრაცია და საიდენტიფიკაციო კოდის მინიჭების პროცედურა, გაუმჯობესდა საგადასახადო ადმინისტრირება. გადასახადების რაოდენობა დავიდა 6-მდე. ეს გადასახადებია: საშემოსავლო გადასახადი, მოგების გადასახადი, დღგ, აქციზი, ქონების გადასახადი, საპროცენტო შემოსავალსა და დივიდენდიდან მიღებულ შემოსავალზე გადასახადი (დივიდენდის დაბეგვრა). ამასთან, ცვლილებები მოხდა საგადასახადო განაკვეთებშიც. 12%-იან საშემოსავლო გადასახადს შეუერთდა 20%-იანი სოციალური გადასახადი

(რომელიც 2005 წლამდე იყო 33%) და დაწესდა 25%-იანი ერთიანი საშემოსავლო გადასახადი (ამჟამად 20%–იანი), მოგების გადასახადი 20%-დან 15%-მდე შემცირდა, დღგ – 20%-დან 18%-მდე (2006 წლიდან). რაც შეეხება ქონების გადასახადს,იგი 1%-ის ფარგლებში მერყეობდა.[78] აღსანიშნავია,რომ საქართველოში არ არის თანაბარი გადასახადი მემკვიდრეობით მიღებულ ქონებაზე, ასევე,– გადასახადი კაპიტალის ზრდით გამომუშავებულ მოგებაზე.

მართალია, საქართველოში ამ პერიოდში განხორციელდა საგადასახადო რეფორმა და მნიშვნელოვანი ნაბიჯები გადაიდგა ამ მიმართულებით, მაგრამ ქვეყანაში, ჯერ ერთი, თავი იჩინა დაგვიანების ეფექტმა, ამოქმედდა ლაგის ფაქტორი და, მეორეც, ამ პოზიტიური პროცესის პარალელურად დაიწყო საშუალო და მსხვილ ბიზნესზე ზეწოლა, რაც შეუიარაღებელი თვალითაც კარგად ჩანდა და ისედაც მძიმე მდგომარეობაში მყოფ ეკონომიკას თავისი დაღი დაასვა.

ის გარემოება,რომ რეკეტით,კერძო საკუთრების ხელყოფითა და სხვა ნეგატიური ფაქტორებით ეროვნული ეკონომიკა მძიმე მდგომარეობაში იყო,ეს გარედან,ქვეყნის საზღვრებს გარეთ არ ჩანდა, ხოლო „ვარდების რევოლუციის“ შემდეგ რომ მოხდა გადასახადების ნაწილობრივი ლიბერალიზაცია, ეს კარგად გამოჩნდა და ამიტომაც იყო, რომ საქართველო მსოფლიოში ერთ-ერთ ყველაზე მიმზიდველ საგადასახადო სისტემის იურისდიქციად გამოცხადდა.

მთლიანობაში საქართველოს წინა ხელისუფლებამ ვერ შეძლო მაკროეკონომიკური რეგულირების ცივილიზებული ფორმებისა და მეთოდების (და არა ადმინისტრაციული მეთოდების) დანერგვა და მათ შესრულებაზე მკაცრი კონტრო-

[78] WWW.georgia.gov.ge საქართველოს ეკონომიკის მიმოხილვა. თებერვალი, 2009, გვ. 25.

ლის დაწესება,საბიუჯეტო წონასწორობის უზრუნველყოფა და გრძელვადიან პერიოდში მისი შენარჩუნებისათვის სახელმწიფო ფინანსებში სტრუქტურული რეფორმების გატარება.

მსოფლიოში ფართოდაა აპრობირებული საბიუჯეტო-საგადასახადო რეგულირებით მეწარმეობის განვითარების სტიმულები, რაც, თავის მხრივ, განაპირობებს სახელმწიფო ფინანსების ოპტიმიზაციასა და საზოგადოებრივი სექტორის ეკონომიკის განვითარებას. მაკროეკონომიკური რეგულირების ამ მექანიზმმა საქართველოში ვერ პოვა საათანადო გამოყენება. ყურადღებას იპყრობს სახელმწიფო ბიუჯეტში საბიუჯეტო ხარჯების საბიუჯეტო შემოსავლებით გადაფარვის პროცენტული მაჩვენებელი. 2015 წლის მონაცემებით,იგი საქართველოში 101,1%-ია. ეს მაჩვენებელი აშშ-ში არის 88,4%, იაპონიაში – 84,4, დიდ ბრიტანეთში – 89,6, საფრანგეთში – 92,7, ხოლო გერმანიაში – 102,1%.

სახელმწიფო ფინანსების მართვის სტრატეგიაში განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს საგარეო ვალის პრობლემას, რათა საქართველო არ აღმოჩნდეს სასიცოცხლო მნიშვნელობის სოციალური პროგრამების დაფინანსების შემცირების ან შეწყვეტის წინაშე. ფინანსური მდგომარეობის უზრუნველსაყოფად აუცილებელია ქვეყნის საბიუჯეტო-საგადასახადო სფეროში ფინანსური რესურსების დროულად გამოვლენა და მართვის ეფექტიანი სისტემის შემუშავება.

გასათვალისწინებელია ეკონომიკური შოკების (მაგ., ლარის გაცვლითი კურსის გაუარესება და ა.შ.) ნეგატიური ზემოქმედება სახელმწიფო ფინანსების ეფექტიან მართვაზე, რაც უშუალო გავლენას ახდენს მოსახლეობის სოციალურ დაცვასა და,ბუნებრივია,საზოგადოებრივი სექტორის ეკონომიკის განვითარებაზე.

დღეს საქართველოს ფინანსურ სისტემაში არსებული გამოწვევები განაპირობებს ინკლუზიურ ეკონომიკურ ზრდაზე ორიენტირებული ფისკალური პოლიტიკის გატარებას, რაც შესაძლებელს გახდის საზოგადოებრივი სექტორის ეკონომიკის ფუნქციონირების გაძლიერების საფუძველზე ქვეყანაში არსებული არაორდინარული სოციალური ფონის გაუმჯობესებას.

X.5. ბიუჯეტთაშორისო ურთიერთობების რეგულირება და ახალი ფისკალური ფედერალიზმის ფორმირება – საზოგადოებრივი სექტორის ეკონომიკის განვითარების მნიშვნელოვანი მიმართულება

საქართველოში ახალ ეკონომიკურ სისტემაზე გადასვლასთან დაკავშირებით, სახელმწიფოსა და რეგიონებს შორის ფინანსური ურთიერთობების რეფორმამდელმა მოდელმა ამოწურა თავისი თავი და დღის წესრიგში დადგა ამ მიმართულებით ახალი ეკონომიკური ურთიერთობების ფორმირების აუცილებლობა.

ფისკალური ფედერალიზმის ჩამოყალიბების პროცესს საქართველოში გარკვეული დაღი დაასვა წარსულის მემკვიდრეობამ – მბრძანებლურ-ადმინისტრაციული ეკონომიკისათვის დამახასიათებელმა ბიუჯეტთაშორისო ურთიერთობების მანკიერმა ტრადიციებმა. საბჭოურმა საბიუჯეტო პოლიტიკამ გამოიწვია ცალკეული რეგიონების სტრუქტურული დეფორმაცია და რესურსული პოტენციალის დაქვეითება. თავი იჩინა მწვავე სოციალურმა პრობლემებმა, დაბალმა ერთობლივმა მოთხოვნამ და გადაუხდელობის სინდრომმა. საბაზრო ეკონომიკაზე გარდამავალ პერიოდში ფისკალური ფედერალიზმის ძირითადი პრინციპების რეალიზაციისათვის თითქოსდა შეიქმნა სამართლებრივი სივრცე,

მაგრამ სინამდვილეში ყველა დონის ბიუჯეტმა ქმედითუუნარობა გამოავლინა.

საქართველოს საბაზრო ეკონომიკაზე გარდამავალ ეკონომიკაში სახელმწიფო ფინანსების მართვა და გამოყენების ოპტიმიზაცია, სხვა დონისძიებებთან ერთად, მათ ტერიტორიულ განაწილებასაც გულისხმობს. სხვაგვარად შეუძლებელია ქვეყნის ტერიტორიული ერთეულებისათვის გარკვეული ეკონომიკური დამოუკიდებლობის მინიჭება და ქვეყნის მასშტაბით საზოგადოებრივი სექტორის ეკონომიკის განვითარება. ეს ცივილიზებულ სამყაროში ნებისმიერი სახელმწიფოს უმნიშვნელოვანესი ფუნქცია და პოლიტიკური სტაბილურობის ნორმაა. ამას მოითხოვს ქვეყნის მთელ ტერიტორიაზე მაკროეკონომიკური პროპორციების შენარჩუნების,კონკურენციული გარემოს შექმნის,საზოგადოებრივი სექტორის ეკონომიკის განვითარებისა და,საბოლოო ანგარიშით, ეკონომიკური ეფექტიანობის ამაღლების აუცილებლობა. წინააღმდეგ შემთხვევაში წარმოიქმნება რეგიონული დისპროპორციები (მათ შორის სოციალურ სფეროში), რაც გამოვლინდება საბიუჯეტო რესურსების არარაციონალურ ხარჯვაში, ბიუჯეტთაშორისო პრობლემების გაღრმავებაში,უმუშევრობის ზრდასა და ა.შ. ამიტომ ცენტრსა და რეგიონებს შორის საბიუჯეტო უფლებამოსილებისა და პასუხისმგებლობების განაწილება ბიუჯეტთაშორისო ურთიერთობების რეგულირების მთავარი პრობლემა და ფისკალური ფედერალიზმის ღერძია. მისი მეშვეობით სახელმწიფო წყვეტს ქვეყნის ისეთ სოციალურ-ეკონომიკურ პრობლემებს,მათ შორის,რეგიონულ დონეზეც, რომელთა წინაშე საბაზრო მექანიზმი უძლურია.

ფისკალური ფედერალიზმი ასახავს ქვეყნის ფინანსური სისტემის ფუნქციონირების წესს. იგი,როგორც საბიუჯეტო

მოწყობის ფორმა, გულისხმობს ერთიან პროცესში საბიუ-ჯეტო სისტემის ყველა რგოლის მონაწილეობას, ცენტრსა და რეგიონებს, ხელისუფლების ყველა დონეს (ცენტრალ-ური, რეგიონული და ადგილობრივი ორგანოები) შორის ფინანსური რესურსების, საგადასახადო უფლებებისა და საბიუჯეტო პოლიტიკისადმი პოლიტიკური პასუხისმგე-ბლობის განაწილებას.

ეკონომიკის რეფორმირების პირველ ეტაპზე ახლად ჩამოყალიბებული ბიუჯეტთაშორისო ურთიერთობები გაცილებით ახლოს აღმოჩნდა მართვის ცენტრალიზებულ სისტემასთან, ვიდრე საბაზრო პრინციპებთან. თუ საბჭოურ ეკონომიკაში დაუბალანსებობა ვლინდებოდა, პირველ ყოვ-ლისა, ეკონომიკის არაეფექტიან სტრუქტურაში, რაც სხვა მიზეზებთან ერთად, სასაქონლო დეფიციტს წარმოქმნიდა, პოსტკომონისტური გარდამავალი პერიოდის დაწყებიდან მოყოლებული, იგი ყველა დონის ბიუჯეტის საშემოსავლო ბაზის მკვეთრ შემცირებასა და ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობაში გამოვლინდა. მათ ფაქტობრივად და-კარგეს საინვესტიციო ფუნქცია და სამომხმარებლო ბიუ-ჯეტებად გადაიქცნენ.

ფისკალური ფედერალიზმისთვის ნიშანდობლივი ჰორი-ზონტალური ურთიერთობები ფაქტობრივად ვერტიკალურმა ურთიერთობებმა დაფარა. მისი ერთ-ერთი ძირითადი პრინცი-პი – საშემოსავლო უფლებამოსილების შესაბამისობა ხარ-ჯების კომპეტენციასთან – ფარატინა ქაღალდად დარჩა.

ბიუჯეტთაშორისო ურთიერთობების დაურეგულირე-ბლობამ საქართველოში გაამწვავა ფინანსური ურთიერ-თობები ცენტრსა და რეგიონებს შორის. ხელისუფლება საბიუჯეტო კრიზისის დაძლევას საბიუჯეტო ხარჯების უბრალო შემცირებით ცდილობდა. ამასთან, მაღალმა გა-

დასახადებმა მკვეთრად დააქვეითა რეგიონების ბუნებრივ-ეკონომიკური პოტენციალის გამოყენების დონე და ხარისხი. დაეცა სახელმწიფო ფინანსური რესურსების ეფექტიანობა, სამაგიეროდ სწრაფი ტემპით დაიწყო ზრდა ფარული ეკონომიკის მასშტაბებმა. ქვეყანაში იმძლავრა კონტრაბანდამ. მწვავე საბიუჯეტო კრიზისმა პერმანენტული ხასიათი მიიღო.

საბიუჯეტო საგადასახადო სფეროში ერთიანი სტრატეგიის, დასაბუთებული ფისკალური პოლიტიკის უქონლობის გამო საქართველოში შეიქმნა არასახარბიელო ეკონომიკური გარემო, რამაც სამეწარმეო საქმიანობის დაქვეითება და ეკონომიკური ზრდის ტემპების მკვეთრი დაცემა გამოიწვია, განსაკუთრებით ნეგატიური გავლენა მოახდინა ქვეყნის მასშტაბით შიდა საინვესტიციო პოლიტიკის წარმართვასა და სოციალურ სფეროზე.

1993 წლის 24 აპრილს მიღებულმა კანონმა „საქართველოს საბიუჯეტო სისტემის შესახებ“ განსაზღვრა სახელმწიფო ბიუჯეტიდან რეგიონულ ბიუჯეტებში ანარიცხების ნორმატივები, ხოლო 1996 წელს მიღებული კანონით „საბიუჯეტო სისტემისა და საბიუჯეტო უფლებამოსილების შესახებ“ განისაზღვრა საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტის, ავტონომიური ბიუჯეტების, ქვეყნის სხვა ტერიტორიული ერთეულების (ქალაქების, რაიონების, სოფლების) ბიუჯეტებისა და ბიუჯეტგარეშე სახელმწიფო ფონდების შემოსავლებისა და ხარჯების შედგენასთან,დამტკიცებასა და შესრულებასთან დაკავშირებული საკითხები.

ცენტრალური და ტერიტორიული ხელისუფლების სტრუქტურებს შორის საგადასახადო უფლებამოსილებისა და პასუხისმგებლობის განაწილება საგადასახადო ფედერალიზმში აისახება. რაც უფრო ნაკლებდემოკრატიულია სახელმწიფო, მით უფრო მწვავედ დგას ეს პრობლემა და

საგადასახადო ფედერალიზმის პრინციპების რეალიზაცია რიგ წინააღმდეგობებს აწყდება. მის სწორ ორგანიზაციაზე კი დიდად არის დამოკიდებული ცენტრსა და რეგიონებს შორის საგადასახადო შემოსავლების განაწილება, რაც სხვადასხვა იერარქიული დონის ბიუჯეტებს შორის ურთიერთობების ყველაზე მნიშვნელოვანი სფეროა.

საქართველოში საბიუჯეტო-საგადასახადო სფეროში შექმნილმა კრიზისულმა მდგომარეობამ დაღი დაასვა საგადასახადო უფლებამოსილებისა და პასუხისმგებლობის განაწილებას მმართველობის იერარქიულ დონეებს შორის. ამ პრობლემამ, რომელიც მეტად მნიშვნელოვანია ახალი ეკონომიკური სისტემის ფორმირების პროცესში, კიდევ უფრო გაამწვავა ბიუჯეტთაშორისო ურთიერთობები. დაირღვა ფისკალური ფედერალიზმის პრინციპები, დემოკრატიული დეცენტრალიზაციის პროცესი. ადგილობრივი ბიუჯეტების დამოუკიდებლობა ფიქციად იქცა. გადასახადების ადმინისტრირების დაბალმა დონემ წარმოქმნა შეუსაბამობა გადასახადების ფაქტობრივ დონესა და რეგიონების პოტენციურ შესაძლებლობებს შორის. საგადასახადო უფლებამოსილების ტერიტორიული განაწილება და ხელისუფლების ქვემდგომი ორგანოებისათვის ავტონომიის მინიჭების კანონმდებლობა ნაკლებად ეყრდნობოდა ევროკავშირსა და სხვა საერთაშორისო ორგანიზაციებში მიღებულ სტანდარტებს და არ ითვალისწინებდა „სახელმწიფოს დემოკრატიული განვითარების კრიტერიუმს“, რომელიც საკუთარი შემოსავლებისა და სუბსიდირებული სახსრების თანაფარდობით გამოითვლება.

საქართველოში საგადასახადო ფედერალიზმის განვითარებას აფერხებდა უმოქმედო საწარმოთა დიდი რაოდენობა,გამოუყენებელი შრომითი პოტენციალის მაღალი

დონე,გადასახადების სიმრავლითა და მაღალი განაკვეთებით დამძიმებული 1997 წელს მიღებული საგადასახადო კოდექსი. ტერიტორიული ერთეულების (ავტონომიური რესპუბლიკების,რაიონების,ქალაქების) ბიუჯეტებში,მართალია, მთლიანად ჩაირიცხებოდა ადგილობრივი გადასახადები (სამეწარმეო საქმიანობისთვის გადასახადი, სათამაშო ბიზნესის გადასახადი, საკურორტო გადასახადი, სასტუმროს გადასახადი,რეკლამის გადასახადი,მანქანების პარკირების გადასახადი, გადასახადი ადგილობრივი სიმბოლიკის გამოყენებისათვის), მაგრამ ეს არ იყო საკმარისი მათი სოციალურ–ეკონომიკური განვითარებისათვის. არსებული საგადასახადო კოდექსი არ იძლეოდა ადგილობრივი გადასახადებიდან მიღებული შემოსავლების სწორი განსაზღვრის შესაძლებლობას. არ იყო დაზუსტებული ტერიტორიული ერთეულების სოციალურ-ეკონომიკური განვითარებისათვის საერთო–სახელმწიფოებრივი გადასახადების რა წილი უნდა შესულიყო მათ ბიუჯეტებში. იგნორირებული იყო ტერიტორიული ერთეულების ბიუჯეტების საგადასახადო შემოსავლების მარეგულირებელი როლი.

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის გრძელვადიანი ნორმატივები მნიშვნელოვნად განსხვავდებოდა სხვა ტერიტორიული ერთეულების ნორმატივებისაგან. მას რჩებოდა გადასახადებისგან მიღებული შემოსავლების გაცილებით დიდი ნაწილი, ვიდრე საქართველოს სამხარეო მოწყობის ტერიტორიულ–ადმინისტრაციულ ერთეულებს (კახეთის, ქვემო ქართლის,შიდა ქართლის,იმერეთის,გურიის,სამეგრელოსა და ზემო სვანეთის,სამცხე–ჯავახეთის,რაჭა–ლეჩხუმის მხარეებს). ეს გარემოება ხელს უშლიდა რეგიონების სოციალურ–ეკონომიკური განვითარებისათვის თანაბარი პირობების შექმნასა და რეგიონული თანხმობის მიღწევას.

დარღვეული იყო საქართველოს კანონი „საბიუჯეტო სისტემისა და საბიუჯეტო უფლებამოსილებათა შესახებ“, რომლის მიხედვით მთლიანად უნდა ჩარიცხულიყო ტერიტორიული ერთეულების ბიუჯეტებში ისეთი ადგილობრივი ხასიათის გადასახადები, როგორიცაა მიწის გადასახადი, ქონების გადასახადი,გადასახადი ქონების გადაცემისთვის, გადასახადი ბუნებრივი რესურსებით სარგებლობისთვის, გადასახადი მავნე ნივთიერებებით გარემოს დაბინძურებისთვის. ეს გადასახადები კანონის დარღვევით თავმოყრილი იყო საერთო–სახელმწიფოებრივი გადასახადების ჯგუფში.

ჯერ კიდევ შემორჩენილი იყო ტოტალიტარული სახელმწიფოს ტრადიციები ხელისუფლების ადგილობრივი ორგანოებისათვის საგადასახადო უფლებამოსილების მინიჭებაში. კერძოდ,მათ არ ჰქონდათ უფლება თავად განესაზღვრათ საგადასახადო ბაზა, საგადასახადო განაკვეთები და გადახდის პირობები. მათთვის ამ უფლების მინიჭების მსოფლიოში აპრობირებული პრაქტიკის იგნორირება ხელს უშლიდა ტერიტორიული ერთეულების ხელისუფლების ავტონომიურობის ამაღლებას მათი კომპეტენციის ფარგლებში. დარღვეული იყო ხელისუფლების სხვადასხვა დონეებს შორის საგადასახადო შენატანების განაწილებაში წილობრივი მონაწილეობის პრინციპი, ასევე, ტრანსფერების გადაცემის პრაქტიკა. ტრანსფერებს მნიშვნელოვანწილად იმ ტერიტორიულ ერთეულებს კი არ გამოუყოფდნენ, რომლებიც განიცდიდნენ საბიუჯეტო უზრუნველყოფის დეფიციტს,არამედ იმათ,რომლებიც კანონის იგნორირებით, სუბიექტური თვალსაზრისით წყვეტდნენ ამ პრობლემას.

საგადასახადო ფედერალიზმის ფორმირების პროცესში ნაკლები ყურადღება ექცეოდა რეგიონული და ადგილობრივი ბიუჯეტების როლის განსაზღვრას მცირე ბიზნესის განვითარებაში,რაც აისახა კიდეც რეგიონების

სოციალურ-ეკონომიკურ განვითარებაზე. შეიძლება ითქვას, პარალიზებული იქნა საქმიანი აქტიურობა. **ასეთ პირობებში ზედმეტი იყო საუბარი ტერიტორიულ დონეზე საზოგადოებრივი სექტორის ეკონომიკის განვითარებაზე.**

2005 წლიდან, ახალი საგადასახადო კოდექსის ამოქმედებასთან დაკავშირებით, შემცირდა ადგილობრივი გადასახადების რაოდენობა და ტერიტორიულ ერთეულებს მხოლოდ 2 გადასახადი – ქონების გადასახადი და სათამაშო ბიზნესის გადასახადი დაეკისრათ,ხოლო 2008 წელს მასში შეტანილი ცვლილებების საფუძველზე – მხოლოდ ქონების გადასახადი. გარკვეული თვალსაზრისით, ამ სფეროში ლიბერალური პოლიტიკის გატარების მიუხედავად, საქართველოს რეგიონების სოციალურ-ეკონომიკური განვითარების კომპლექსური პროგრამის შეუმუშავებლობის გამო, ფისკალური ფედერალიზმი დარჩა პრიმიტიულ დონეზე და სათანადო როლი ვერ შეასრულა ქვეყნის რეგიონულ განვითარებაში. თავის მხრივ, ტერიტორიული მოწყობის ადეკვატური რეგიონული ფისკალური ფედერალიზმის უქონლობის გამო, ვერ მოხერხდა საგადასახადო ბაზის გაფართოება, ეკონომიკური პროპორციების დამყარება და, საბოლოო ანგარიშით,ეკონომიკური ზრდის სტიმულირება. **ყოველივე აღნიშნულმა განაპირობა ფისკალური ფედერალიზმის დაბალი მულტიპლიკაციური ეფექტი, რაც, ბუნებრივია, ნეგატიურად აისახა საზოგადოებრივი სექტორის ეკონომიკის ფორმირება-განვითარებაზე და გამოიხატა უმუშევრობისა და ურბანიზაციის სწრაფ ზრდაში, სოფლად სამუშაო ძალის დეფიციტში, ადგილობრივი შრომითი რესურსების უცხოეთში გადინებაში და ა.შ.**

ასე,რომ საქართველოში ბიუჯეტთაშორისო ურთიერთობების რეგულირება და ფისკალური ფედერალიზმი მწვავე პრობლემების წინაშე აღმოჩნდა, რომელთა გადაჭრა,

პირველ რიგში, მეინსტრიმის შეცვლას უკავშირდება. ეს უკანასკნელი ხელს შეუწყობს საბიუჯეტო პოლიტიკისადმი პოლიტიკური პასუხისმგებლობის ამაღლებასა და რეგიონულ და ადგილობრივ დონეებზე ფინანსური რესურსებისა და საგადასახადო პასუხისმგებლობის სწორ განაწილებას, რაც, საბოლოო ანგარიშით, ქვეყნის მასშტაბით განაპირობებს სახელმწიფო ფინანსების ეფექტიან გამოყენებასა და საზოგადოებრივი სექტორის ეკონომიკის ნორმალურ ფუნქციონირებას,მის განვითარებას მთელი ქვეყნის მასშტაბით.

X.6. ეკონომიკური უსაფრთხოების უზრუნველყოფა საქართველოში – საზოგადოებრივი სექტორის ეკონომიკის განვითარების ინდიკატორი

დამოუკიდებლობის აღდგენის შემდეგ განვლილმა პერიოდმა საქართველოში ნათლად წარმოაჩინა ეკონომიკური უსაფრთხოების ფართო სპექტრი და მისი მაღალი მულტიპლიკაციური ეფექტი. ეს პრობლემა 90-იანი წლებიდან ქვეყანაში განხორციელებულმა მასშტაბურმა გარდაქმნებმა წინა პლანზე წამოსწია. ამასთან, ისე აქტუალური იგი, როგორიც დღეს არის, შეიძლება ითქვას, არ ყოფილა ქვეყნის განვითარების ყველაზე რთულ პერიოდშიც კი. მიუხედავად ამისა, ეკონომიკური უსაფრთხოების უზრუნველყოფა არ არის პრიორიტეტული მის მიზნობრივ ორიენტირებს შორის. ამის ერთ-ერთი დამადასტურებელი ისიცაა, რომ 2002-2003 წლებში საქართველოს სოციალურ-ეკონომიკური და რეგიონული პრობლემების სამეცნიერო-კვლევითმა ინსტიტუტმა მოამზადა ორი უმნიშვნელოვანესი დოკუმენტი – „საქართველოს ეკონომიკური უსაფრთხოების კონცეფცია“ და „მეთოდური რეკომენდაციები ეკონომიკური უსაფრთხოების პროგრამის შესამუშავებლად“. ეს დოკუმენტები ეკონომიკის, მრეწველობისა და ვაჭრობის სამინისტროს მიერ

განხილული,დამტკიცებული და სამოქმედოდ რეკომენდირებულ იქნა 2003 წლის 7 მარტსა (I) და 20 აგვისტოს (II),თუმცა, შემდგომი მსვლელობა მათ არ მიეცათ და ეს პრობლემა უყურადღებოდ დარჩა.[79] ამიტომაც დღეს საქართველოს არა აქვს ეკონომიკური უსაფრთხოების პროგრამა. არადა,როგორც უკვე გვქონდა მსჯელობა ამის შესახებ VIII თავში, ეკონომიკური უსაფრთხოება უდიდეს როლს ასრულებს ქვეყანაში ეკონომიკური წესრიგის დამყარებაში,სტაბილურობისა და დამოუკიდებლობის შენარჩუნებაში,სამოქალაქო საზოგადოების ჩამოყალიბებასა და ა.შ.

ეკონომიკური უსაფრთხოების პრობლემისადმი სახელმწიფო რეგულაციის შესუსტება მრავალ ნეგატიურ ტენდენციას განაპირობებს, რომელთა ნეიტრალიზაცია უდიდეს მატერიალურ და ფინანსურ სახსრებს მოითხოვს, არღვევს ქვეყნის ეკონომიკურ პოტენციალს,მის კულტურას და საფრთხეს უქმნის სახელმწიფოებრიობას.[80]

მიუხედავად იმისა,რომ საქართველოში,90-იანი წლების პირველი ნახევრის ნგრევითი პროცესებისგან განსხვავებით,შემდგომ პერიოდში გარკვეული პოზიტიური ნაბიჯები გადაიდგა საბაზრო ურთიერთობების განვითარების თვალსაზრისით,ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობა დღეს მაინც უკიდურესად მძიმეა, ეკონომიკის ტრანსფორმაციის პროცესი მეტად რთულად და წინააღმდეგობრივად მიმდინარეობს.

---

[79] საქართველოს ეკონომიკური უსაფრთხოების კონცეფცია; მეთოდური რეკომენდაციები ეკონომიკური უსაფრთხოების პროგრამის შესამუშავებლად. იხ.: „საბაზრო ეკონომიკის ფორმირებისა და ფუნქციონირების პრობლემები საქართველოში“. შრომების კრებული. VII ტომი. **ნ. ჭითანავას** რედაქციით. თბილისი,2003.

[80] **ასათიანი რ.** XX საუკუნის მსოფლიო ეკონომიკის კონცეპტუალური ანალიზი და საქართველოს ეკონომიკური პორტრეტი. თბილისი,გამომცემლობა „სიახლე“,2017.

ეკონომიკის გამოცოცხლებისთვის არსებული შესაძლებლობების გამოყენების საშუალებას არ იძლევა ქვეყნის განვითარების დაბალი დონე, გარედან დახმარებების მიღების გარდუვალობა.

ეკონომიკურ სისტემასთან ერთად შეიცვალა საზოგადოებაც. დარღვეულია თანაცხოვრების ჰარმონია. ეკონომიკურმა რეფორმებმა მოითხოვა არა მარტო ცხოვრების ახალი პირობებისადმი შეგუება, არამედ ეკონომიკური ქცევის შეცვლაც, რისთვისაც საქართველო მზად არ იყო. ეკონომიკის კონვერსიის მოუფიქრებელმა,სხვისი კარნახით განხორციელებამ და საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლისათვის აუცილებელი ცოდნის მწვავე დეფიციტმა საფრთხის წინაშე დააყენა ქვეყნის ეკონომიკური განვითარება. ეს პრობლემა არ არის მხოლოდ საქართველოს სატკივარი,იგი გლობალური პრობლემაა და მის „სუსხს“ განსაკუთრებით სუსტად განვითარებული ქვეყნები გრძნობენ.

ეკონომიკური დაცემა გადაიზარდა დიდ ტრანსფორმაციულ დეპრესიაში. იგი გაცილებით ღრმა და ხანგრძლივი აღმოჩნდა, ვიდრე მას საერთაშორისო ორგანიზაციები ვარაუდობდნენ.[81] ამ მოსაზრების დასამტკიცებლად ისიც საკმარისია ერთხელ კიდევ ხაზგასმით ითქვას,რომ მაშინ, როდესაც ყველა პოსტკომუნისტური ქვეყანა მშპ-ის წარმოებით 1990 წლის დონეს დიდი ხანია გასცდა,2015 წლის მონაცემებით, საქართველოში წარმოებულმა მშპ-მა 1990 წლის დონესაც კი ვერ მიაღწია და,როგორც აღინიშნა,მხოლოდ 89,6%-ს შეადგენს.

---

[81] **ასათიანი რ.** ეკონომიკური უსაფრთხოება სახელმწიფო რეგულირების სისტემაში. თსუ პაატა გუგუშვილის სახელობის ეკონომიკის ინსტიტუტის საერთაშორისო სამეცნიერო-პრაქტიკული კონფერენციის მასალები. 1 ივლისი,2016. თბილისი,2016.

ეროვნული პროდუქციის კონკურენტუნარიანობის ამაღლების პრობლემა როგორც მსოფლიო, ისე შიდა ბაზრებზე ეკონომიკური უსაფრთხოების მნიშვნელოვანი მხარეა, თუმცა, ჯერ კიდევ, არ გადადგმულა პრაქტიკული ნაბიჯები მისი გადაჭრისთვის. საქართველოში მიმდინარე ფსევდორეფორმებმა დასცა სამამულო პროდუქციის კონკურენტუნარიანობა, რამაც უარყოფითი გავლენა მოახდინა წარმოების განვითარებაზე და კიდევ უფრო გააღრმავა ეკონომიკური კრიზისი.

განუვითარებელი ადგილობრივი წარმოება ვერ აკმაყოფილებს საშინაო ბაზრის მოთხოვნებს, ამიტომ ერთობლივი მოთხოვნის უდიდესი ნაწილი იმპორტირებული პროდუქციით კმაყოფილდება. არასახარბიელოა ექსპორტის სასაქონლო სტრუქტურაც, რომელშიც ჭარბობს ბუნებრივი რესურსები და ნედლეული. ბევრი ტრადიციული საქონელი, რომლის საწარმოებლად ქვეყანას აქვს გარკვეული აბსოლუტური და შეფარდებითი უპირატესობები, შემოდის უცხოეთიდან. ყოველივე ეს ნეგატიურად აისახება საქართველოს ეკონომიკაზე,სახელმწიფო ფინანსების სიდიდეზე,ეკონომიკურ უსაფრთხოებაზე და,აქედან გამომდინარე,საზოგადოებრივი სექტორის ეკონომიკის ფუნქციონირებაზე.

X.7. რაციონალური ბუნებათსარგებლობის უცხოური გამოცდილება და საზოგადოებრივი სექტორის გავლენა ეკოლოგიური უსაფრთხოების უზრუნველყოფაზე

ქვეყნის ეკონომიკური უსაფრთხოების უზრუნველყოფაზე არაპირდაპირი გზით უდიდეს გავლენას ახდენს ბუნებათსარგებლობის პრობლემები.

ცნობილია,რომ გარემოს დაცვა და რაციონალური ბუნებათსარგებლობა სოციალური მნიშვნელობის პრობლემებია და,აქედან გამომდინარე,სახელმწიფო რეგულაციის მნიშ-

ვნელოვანი სფეროც. ბიზნესის განვითარების საფუძველზე გარემოს დაბინძურებისა და ბუნებრივი რესურსების სულ უფრო მეტი რაოდენობით წარმოებაში ჩართვის შედეგად იზრდება ექსტერნალიების უარყოფითი გავლენა საზოგადოებრივ განვითარებაზე. იგი პერმანენტული პროცესია, რომელიც მოითხოვს სახელმწიფოს აქტიურ ჩარევას. ეს განსაკუთრებით ეხება საქართველოს, სადაც კაპიტალის მიწოდების შეზღუდულობის, ახალი ტექნოლოგიების ხელმიუწვდომლობის, მწირი სამეწარმეო გამოცდილების გამო ადგილობრივ ბუნებრივ რესურსებს დიდი მნიშვნელობა აქვთ ქვეყნის ეკონომიკური განვითარებისთვის. ეკონომიკის განვითარების დაბალი დონე აიძულებს საქართველოს მოახდინოს მოძველებული ტექნოლოგიების იმპორტი, რომელთა გამოყენების გრძელვადიანი შედეგის შესახებ ინფორმაციასაც კი არ ფლობს. ამიტომ დაბალი საინვესტიციო შესაძლებლობები მოძველებული ტექნოლოგიების გამოყენებას განაპირობებს. ასეთი ტექნოლოგიები ხელს უწყობს გარემოს დაბინძურებასა და ეკოლოგიური კატასტროფების წარმოქმნას.

ეკოლოგიური რეგულირება და ეკოლოგიური უსაფრთხოების* უზრუნველყოფა რაციონალურ ბუნებათსარგებლობას უკავშირდება, საქართველოს ეკონომიკური განვითარების მნიშვნელოვანი ფაქტორია. იგი უშუალო გავლენას ახდენს ქვეყნის სოციალურ ორიენტირებულობასა და საზოგადოებრივი სექტორის ეკონომიკის განვითარებაზე. თავის მხრივ,საზოგადოებრივი სექტორი ხელს უწყობს ქვეყანაში

* **ეკოლოგიური უსაფრთხოება** არის მთელი საზოგადოების სახელმწიფო ინტერესების დაცვა იმ შიდა და გარე უარყოფითი ეფექტებისგან,რომლებიც საფრთხეს უქმნიან ეკოლოგიური სისტემის მყარ ფუნქციონირებას და, გარკვეული თვალსაზრისით, არყევენ ქვეყნის სახელმწიფოებრიობას.

ეკოლოგიურ რეგულირებასა და იცავს მას უარყოფითი ფაქტორების ზემოქმედებისაგან.

საქართველოში გარემოს დაბინძურების ერთ-ერთ მთავარ მიზეზს – ადგილობრივ თუ იმპორტირებულ რესურს– და ენერგოტევად მოძველებულ მანქანა-მოწყობილობებსა და ტექნოლოგიებს დომინირებული ადგილი უჭირავთ ქვეყნის ეკონომიკაში. სიტუაციას ამძიმებს ეკოლოგიურად საშიში სხვადასხვა დანიშნულების საქონლის იმპორტიც, მათ შორის,ეკოლოგიური საფრთხის გამოვლენის ერთ-ერთ ფორმად არ შეიძლება არ დავასახელოთ ჯანმრთელობისთვის საშიში კვების პროდუქტებიც. იმპორტირებული სურსათის მნიშვნელოვანი ნაწილი,რომელიც მოსახლეობას მიეწოდება დემპინგური ფასებით,არ შეესაბამება ეკოლოგიურ სტანდარტებს, რაც, გარდა იმისა, რომ აქვეითებს ეროვნული წარმოების კონკურენტუნარიანობას, არყევს ქვეყნის ეკოლოგიურ წონასწორობას. ამ პრობლემის მოუგვარებლობამ შეიძლება გამოიწვიოს გამოუსწორებელი შედეგები (განსაკუთრებით სოციალური უზრუნველყოფის სფეროში),მითუმეტეს ისეთი მცირერიცხოვანი ქვეყნისთვის, როგორიც საქართველოა.

ამ პროცესის დარეგულირება საბაზრო მექანიზმით განაპირობებს ეკონომიკურ ზრდასა და მნიშვნელოვან როლს შეასრულებს ეკოლოგიური უსაფრთხოების უზრუნველყოფაში, რაც, თავის მხრივ, სოციალურ ორიენტირებულობას გაზრდის ქვეყანაში და ხელს შეუწყობს საზოგადოებრივი სექტორის ეკონომიკის განვითარებას. ამ უკანასკნელის განვითარების გარეშე კი შეუძლებელია ეკოლოგიური უსაფრთხოების უზრუნველყოფა.

ბუნებათსარგებლობის ეკონომიკური ასპექტების კვლევაში მნიშვნელოვანი ადგილი ექსტერნალიების ანუ გარე ეკონომიკური ხარჯების (externalities, external costs) პრობ-

ლემას უჭირავს. მისი არსი მდგომარეობს იმაში,რომ ხშირ შემთხვევაში სამეურნეო საქმიანობის ზოგიერთი რეალური შედეგი და ხარჯი,რაც გარე უარყოფით ეფექტებში აისახება, ყურადღების მიღმა რჩება. მას მიეკუთვნება გარემოს დაბინძურება და მასთან დაკავშირებული ხარჯები,რომლებიც ხშირად არ აისახება საწარმოს წარმოებრივ დანახარჯებში და მითუმეტეს სოციალურ ხარჯებში. სოციალურ და წარმოებრივ ხარჯებს შორის სხვაობა ექსტერნალიებია, რომელიც არღვევს წონასწორობას საზოგადოებას, ეკონომიკასა და ბუნებას შორის. ბიზნესის გაფართოებისა და თვისებრივი ცვლილებების საფუძველზე გარემოს დაბინძურებისა და ბუნებრივი რესურსების სულ უფრო მეტი რაოდენობით წარმოებაში ჩართვის შედეგად იზრდება ექსტერნალიების უარყოფითი გავლენა საზოგადოებრივ განვითარებაზე. ეს უკანასკნელი დღეს განიხილება არა როგორც იშვიათი და გამონაკლისი შემთხვევა, არამედ როგორც პერმანენტული პროცესი, რომელიც მოითხოვს ეკონომიკურ ანალიზსა და სახელმწიფოს აქტიურ ჩარევას. იგი საზოგადოებრივი სექტორის ეკონომიკის უშუალო კვლევის სფეროა.

განვითარებულ ქვეყნებში დიდი ყურადღება ექცევა ეკოლოგიურად მისაღები ტექნოლოგიური წარმოების განვითარებასა და ეკოლოგიურად დასაშვები წარმოებრივი ტექნოლოგიების დანერგვას.

აშშ-ში გამოკვლევებმა აჩვენა, რომ 2–6 წლამდე ბავშვებში ტყვიის მცირე რაოდენობამ კი იწვევს გონებრივ ჩამორჩენილობასა და ნერვული სისტემის სერიოზულ დაავადებებს. ამან აიძულა ამერიკელები უარი ეთქვათ ეთილირებულ ბენზინზე.

აშშ-ში საჰაერო აუზის ან წყლის რესურსების დაცვის შესახებ კანონის სერიოზული დარღვევები მხოლოდ ერთი დღითაც კი ისჯება 25 ათას დოლარამდე ჯარიმის გადახდით, სისხლის სამართლის პასუხისმგებლობის თვალსაზრისით – 2 წლამდე თავისუფლების აღკვეთით.[82] ამასთან, კანონმდებლობა ითვალისწინებს ჯარიმების გაუქმებას იმ შემთხვევაში, როდესაც კანონდამრღვევი წარადგენს დაბინძურების დადგენილი ნორმების შესრულების შეუძლებლობის დამადასტურებელ ტექნიკურ და ეკონომიკურ დოკუმენტაციას. ამდენად, ამ პრობლემის ჯარიმებით რეგულირების პრაქტიკა ოპტიმალური გადაწყვეტილებების შემუშავების საშუალებაა.

აშშ-სა და სხვა განვითარებულ ქვეყნებში (გერმანია, შვეიცარია...) დიდი ყურადღება ექცევა ეკოლოგიური ექსპერტიზის მექანიზმს უარყოფითი გარე ეფექტების შეფასებისათვის, რაც საზოგადოებრივი სექტორის ეკონომიკის კვლევის სფეროა. ეკოლოგიური ექსპერტიზა ითვალისწინებს, სახელმწიფო ეკოლოგიური სტანდარტების დაცვის საფუძველზე, ფირმებისთვის ეკოლოგიური ექსპერტიზის უფლების მიცემასა და ახალი პროდუქციის ეკოლოგიური ექსპერტიზის ბაზრებზე პროდუქციის იმ ახალი სახეობების არდაშვებას, რომლებიც ვერ უპასუხებენ ეკოლოგიურ მოთხოვნებს.

აშშ–ში 80-იანი წლებიდან ფართო გავრცელება პოვა „წმინდა“ ტექნოლოგიების შეძენის წახალისებისთვის საინვესტიციო ბანკების მიერ უპროცენტო სესხების გაცემის პრაქტიკამ. მრეწველობისთვის ასეთი ტექნოლოგიების მიწოდების საშუალოდ 40% ყოველწლიურად ფინანსდება საინვესტიციო ბანკების მიერ. ამ სესხების დროული დაფარ-

[82] Государство и рынок: американская модель. Под ред. **Портного М. А.** М., 2009, с. 414.

ვის გარანტი თვით სახელმწიფოა. გარდა ამისა, გარემოს დაცვის მიზნით, მცირე და საშუალო მეწარმეების დახმარებისათვის როგორც სახელისუფლო ორგანიზაციები, ისე კომერციული ბანკები, სახელმწიფო გარანტიების საფუძველზე, იძლევიან გრძელვადიან სესხებს (30 წლის ვადით) დაბალი პროცენტით (6,6%), 500 ათასი დოლარის ფარგლებში. ამასთან,მცირე ფირმებს ეძლევათ გარკვეული დახმარება გარემოს დაცვის მიზნით.

გარემოს დაცვაზე ეკონომიკური ბერკეტების ზემოქმედების სისტემა საგადასახადო და საკრედიტო ხასიათის ღონისძიებათა ნაკრებია,რომელთა გათვალისწინება აუცილებელია საქართველოში ეკოლოგიური რეგულირებისა და რაციონალური ბუნებათსარგებლობის უზრუნველყოფის მიზნით. ამასთან,მეტად საყურადღებოა მსოფლიოში აპრობირებული გამოცდილების გათვალისწინება **ეკოლოგიური ბანკების** შექმნასთან დაკავშირებით. ასეთი ბანკების დეპოზიტები არის არა ფინანსური რესურსები,არამედ დასაშვებ ნორმაზე ზევით დაბინძურების მოცულობის შემცირების დოკუმენტურად დამტკიცებული ტექნიკური მაჩვენებლები,რაც კომერციული გაცვლის საგანია. ეკოლოგიურ რეგულირებაში საბაზრო ურთიერთობების გამოყენების ამ მეთოდმა ფართო გავრცელება პოვა აშშ–სა და სხვა ქვეყნებში. იგი უკავშირდება გარემოს დაბინძურების უფლების ბაზრის შექმნას. მაგალითად, აშშ–ის ფედერალურმა მთავრობამ შეიმუშავა სპეციალური პროგრამა, რომლის მიხედვით ის ფირმები,რომლებმაც შეძლეს გარემოს დაბინძურების „ზენორმატიული“ შემცირება,ე.ი. იმაზე მეტის შემცირება, ვიდრე ამას კანონმდებლობა მოითხოვს, შეუძლიათ თავიანთი „ნამეტი“ (სხვაობა გარემოს ზენორმატიულ და ნორმატიულ დაბინძურებას შორის) ეკოლოგიური ბანკების მეშვეობით მიჰყიდონ სხვა ფირმებს. ამრიგად, ეს

„ნამეტი“ იქცევა საქონლად, რომელიც სტიმულს აძლევს ფირმებს არა მხოლოდ დაიცვან კანონმდებლობით გათვალისწინებული ბუნების დაცვის ნორმები, არამედ კიდევ უფრო შეამცირონ გარემოს დაბინძურების დონე,რათა ამით მიეცეთ შესაძლებლობა მათაც აწარმოონ ეს „ნამეტი“ და წარმოადგენდნენ მეანაბრეებს ეკოლოგიურ ბანკებში.

ეკოლოგიური დისბალანსის ლიკვიდაცია და ეკოლოგიური წონასწორობისკენ სწრაფვა, რაც ნებისმიერი, და მითუმეტეს, ჩვენი საზოგადოების უპირველესი ამოცანაა,უნდა დავიწყოთ ეკონომიკის ტექნოლოგიური დონის არსებითი ამაღლებითა და უარყოფითი გარე ეფექტების ნიველირებით.

საქართველოში ეკოლოგიური უსაფრთხოების დაცვის მიზნით, პირველ ყოვლისა, აუცილებელია შემუშავდეს **ეროვნული ეკოლოგიური პროგრამა,** რომელიც უნდა მოიცავდეს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების გამოყენების, ნორმატივების შემუშავების, დადგენისა და კონტროლის სხვადასხვა მექანიზმს. განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს ტექნოლოგიების დანერგვის ნორმატივებს და შემოღებულ იქნეს სხვადასხვა ადმინისტრაციული სანქციები, რაც უზრუნველყოფს დადგენილი ნორმატივების დაცვას. აუცილებელია დასაშვებ ნორმაში მოექცეს ატმოსფერული ჰაერის დაბინძურება ისეთი მომწამვლელი გაზებით,როგორიცაა ნახშირორჟანგის,აზოტისა და გოგირდის ორჟანგის გამონაბოლქვები, წარმოებული მყარი მავნე ნარჩენები, სამრეწველო და საყოფაცხოვრებო ნარჩენები და აშ. ამისათვის, სხვა ღონისძიებებთან ერთად, განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს ავტომანქანების ტექნიკური გაუმართაობის აღკვეთას, დაბინძურებისგან წყლის რესურსების დაცვასა და ა.შ.

საქართველოს სანიტარიისა და ჰიგიენის ინსტიტუტის

გამოკვლევებმა დაადასტურა, რომ საქართველოში ატმოსფერული ჰაერის დაბინძურების მძლავრ წყაროს სწორედ ავტომანქანების გამონაბოლქვი აირები წარმოადგენს. მათი ხვედრითი წონა 60-65%–ია, ხოლო თბილისში 80%–ს აღემატება. განსაკუთრებით დიდი რაოდენობით ჭვარტლი და კანცეროგენული ფისოვანი ნივთიერებები გამოიყოფა ძრავის გაუმართაობის შედეგად. აღინიშნება გოგირდის ანჰიდრიდისა და აზოტის ორჟანგის მაღალი კონცენტრაცია, რომელიც თბილისის ზოგიერთ რაიონში 20–ჯერ აღემატება დასაშვებ ნორმას. **ჯანმრთელობისათვის ძალზე სახიფათოა ეთილირებული ბენზინის შემადგენლობაში ტყვიის არსებობა.**

საქართველოში გარემოს დაცვის ღონისძიებების აქტივიზაცია დადებით გავლენას მოახდენს ეკონომიკურ კონიუნქტურაზე, საბაზრო მექანიზმს ეკოლოგიზაციის მიმართულებას მისცემს და ხელს შეუწყობს ეკოწონასწორობის აღდგენას, რაც პოზიტიურ გავლენას მოახდენს საზოგადოებრივი სექტორის ეკონომიკის განვითარებაზე. თავის მხრივ,ამ უკანასკნელს მნიშვნელოვანი როლი აკისრია გარემოს დაცვის ღონისძიებების გატარებაში, რაც ხელს შეუწყობს საქმიანი აქტიურობის გამოცოცხლებას, განსაკუთრებით ეკონომიკური დაცემის პერიოდში. ამიტომ ამ პრობლემის წინა პლანზე წამოწევა მეტად აქტუალურია დღეს საქართველოსათვის.

X.8. სასურსათო უსაფრთხოების ტენდენციები და როლი საზოგადოებრივი სექტორის ეკონომიკის ფუნქციონირებაში

სასურსათო უსაფრთხოება,როგორც ქვეყნის ეროვნული უსაფრთხოების შემადგენელი ნაწილი,უდიდესი მნიშვნელობის პრობლემაა, რომელიც, ბუნებრივია, გავლენას ახდენს

საზოგადოებრივი სექტორის ეკონომიკის განვითარებაზე.

სასიქადულო მამულიშვილი ივანე ჯავახიშვილი წერდა: „ერის ფიზიკურ-გონებრივი განვითარებისათვის უდიდესი მნიშვნელობა აქვს კვებას და ადამიანის მეურნეობითი შემოქმედების ამ დარგშიც ჩანს კულტურის განვითარების როგორც მიმდინარეობა, ისე მისი დონეც...“.[83]

საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მიერ, ნორმატიულ-სტატისტიკურ მეთოდზე დაყრდნობით, გამოთვლილია საქართველოში მინიმალური სასურსათო კალათის არსებული ღირებულება. იგი, 2016 წლის მდგომარეობით, 109,9 ლარია, მაშინ როდესაც საერთაშორისო მეთოდიკით გამოთვლის შემთხვევაში რეალური ღირებულება უნდა იყოს 176,25 ლარი, რაც 38%-ით აღემატება ოფიციალურად მიღებულ 109,9 ლარს.[84]

საქართველოში საარსებო მინიმუმის კალათაში სურსათის კალორიულობა შეფასებულია 2300 კკალ-ის დონეზე, რაც საგრძნობლად ნაკლებია საერთაშორისოდ აღიარებულ ნორმაზე (2450 კკალ).

საზოგადოების განვითარების ნებისმიერ საფეხურზე სასურსათო უსაფრთხოების პრობლემა წარმოებულია ინკლუზიური ეკონომიკური ზრდის ამოცანებიდან. ამ პრობლემის კონკრეტული შინაარსი იცვლება მოცემულ პერიოდში ჩამოყალიბებულ საშინაო და საგარეო პირობებზე დამოკიდებულებით.

უკანასკნელი წლების გამოცდილებამ საქართველოში ნათლად დაგვანახა სასურსათო უსაფრთხოების ფართო სპექტრი და მისი მაღალი მულტიპლიკაციური ეფექტი.

---

[83] **ჯავახიშვილი ივ.** საქართველოს ეკონომიკური ისტორია. თხზ. ტომი IV. თბილისი, 1996.

[84] „ახალი აგრარული საქართველო“, 2016, №5.

კვების პროდუქტების ხარისხზე მნიშვნელოვნად არის დამოკიდებული მოსახლეობის ჯანმრთელობა და ამ პრობლემის მოუგვარებლობამ შეიძლება გამოიწვიოს გამოუსწორებელი შედეგები. ეს პრობლემაც მითუმეტეს გასათვალისწინებელია ისეთი მცირერიცხოვანი ქვეყნისთვის,როგორიც საქართველოა.

აღსანიშნავია, რომ საქართველოს სასურსათო სფეროს დამოკიდებულება მსოფლიო ბაზარზე არ არის ინტეგრაციული პროცესების გამომხატველი. ეს არის ცალმხრივი დამოკიდებულება, რომლის მასშტაბები და სასაქონლო ხარისხი სერიოზულ საფრთხეს უქმნის როგორც ეროვნული ეკონომიკის განვითარებას,ისე მოსახლეობის ჯანმრთელობას. ეს პრობლემა დღეს განიხილება არა როგორც იშვიათი შემთხვევა,არამედ როგორც პერმანენტული პროცესი,რომელიც მოითხოვს სახელმწიფოსა და,აქედან გამომდინარე, საზოგადოებრივი სექტორის აქტიურ ჩარევას.

ამჟამად საქართველოში საჭირო სურსათის ნახევარზე მეტი შემოდის საზღვარგარეთიდან და, ბუნებრივია, მოსახლეობისათვის სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის მიწოდება ძირითადად ხორციელდება იმპორტის ხარჯზე, საკუთარი წარმოების საზიანოდ.* ამასთან, სურსათის მნიშვნელოვანი ნაწილი საფრთხის ქვეშ აყენებს მომხმარებელთა ჯანმრთელობას. საყურადღებოა ის გარემოებაც, რომ ასეთი მდგომარეობა აძლიერებს დამოკიდებულებას მსოფლიო ბაზრის ეკონომიკურ კონიუნქტურაზე, ხოლო გამომდინარე იქიდან, რომ კვების პროდუქტებით უზრუნველყოფა საზოგადოების სიცოცხლისუნარიანობის მნიშვნელოვანი კომპონენტია,სასურსათო უსაფრთხოებაც

* საქართველოში სურსათის იმპორტმა მიაღწია 54%-ს, ხოლო თბილისში – 80%-ს.

დამოკიდებული ხდება მასზე.

საქართველოში სუსტია სოფლის მეურნეობის ტექნიკური აღჭურვილობა,მატერიალურ-ტექნიკური ბაზა,ეცემა მიწების ნაყოფიერება,უარესდება სოფლის მოსახლეობის გენოფონდი. დემპინგური ფასებით სურსათის,ისე როგორც მოსახლეობისათვის აუცილებელი სხვა საქონლის,იმპორტი იწვევს ეროვნული წარმოების კონკურენტუნარიანობის შესუსტებას (საქართველოში იმპორტის წილი საცალო საქონელბრუნვის საერთო მოცულობაში 50%-ს აჭარბებს). უმნიშვნელოა წვრილი და საშუალო მეწარმეების წილი კონკურენციული გარემოს შექმნაში. საკუთრების უფლების დაცვის, კონტრაქტების, ხელშეკრულებებისა და ვალდებულებების შესრულების იურიდიული ინსტიტუტი ნელა ფორმირდება. საწარმოთა მოთხოვნის დაცემამ გამოიწვია მეცნიერულ-ტექნოლოგიურ დამუშავებებზე მოთხოვნის შემცირება.

დაბალი სამომხმარებლო მოთხოვნა განაპირობებს მრავალი სახის წარმოების გაქრობას. ფასების სტაბილიზაცია მხოლოდ მონეტარული პოლიტიკით, ე.ი. ფულადი ემისიის მკაცრი რეგულირებით,ნაკლებად საიმედოა. ამასთან, ფასების სტაბილიზაცია შეუძლებელია წარმოებისა და მიმოქცევის სტაბილიზაციის, აგრეთვე შრომის მწარმოებლურობის ზრდის გარეშე.

მსოფლიო საბაზრო კონიუნქტურაზე დამოკიდებულება, წარმოებრივი სიმძლავრეების გამოუყენებლობა,ძირითადი კაპიტალის ფიზიკური და მორალური ცვეთის მკვეთრი ზრდა, ეროვნული სიმდიდრის განადგურება – აი ის ძირითადი მახასიათებლები,რითაც დღეს „დამშვენებულია“ საქართველოს არა მხოლოდ აგრარული სექტორი,არამედ მთელი ეროვნული ეკონომიკა.

წარმოების დაცემა,დეპრესია და ნელი რესტრუქტური-

ზაცია დღეს საქართველოში არასტაბილურობის მიზეზთა რიცხვს მიეკუთვნება და, შეიძლება ითქვას, ეკონომიკის სტაგნაციის გამომხატველია.

თუ წინათ საბჭოთა კავშირი,ბუნებრივია,საქართველოც, მისი ავტარკიული მექანიზმებით ნაკლებად იყო დამოკიდებული კონკურენციული გარემოს ზემოქმედებაზე, ამჟამად საქართველოში სიტუაცია მკვეთრად შეიცვალა. იმპორტზე დამოკიდებულების გაზრდამ წინა პლანზე წამოსწია სასურსათო უსაფრთხოების უზრუნველყოფის პრობლემა,რამაც, თავის მხრივ, უდიდესი ნეგატიური გავლენა მოახდინა მოსახლეობის ჯანმრთელობაზე,აქედან გამომდინარე კი,უკიდურესად გაამწვავა სოციალური პრობლემები და შეაფერხა საზოგადოებრივი სექტორის ეკონომიკის ფუნქციონირება. სხვა მრავალ მიზეზთან ერთად, ამ პრობლემას საქართველოში კიდევ უფრო ამწვავებს სატრანსპორტო გადაზიდვების მოუგვარებლობა, მოუსავლიანი წლები და ა.შ.

აღნიშნული პრობლემის გადასაჭრელად აუცილებელია კომპლექსური მიდგომა,პირველ რიგში,აუცილებელია ეკოლოგიურად სუფთა ეროვნული სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის წარმოების გაზრდა. საშინაო ბაზრების გარედან დაცვა, ფინანსური სფეროს სტაბილიზაცია და სახელმწიფო ფინანსების აქტივიზაცია, ტექნოლოგიების განვითარების თვალსაზრისით, ქვეყნის სასურსათო უსაფრთხოების უზრუნველყოფის მნიშვნელოვანი პირობაა.

სახელმწიფოს მხარდაჭერა სასოფლო-სამეურნეო სფეროსათვის შეიძლება გამოიხატოს წამახალისებელი საკრედიტო პოლიტიკის გატარებით (უკანასკნელ წლებში ამ მიმართულებით გადაიდგა პოზიტიური ნაბიჯები),აგრეთვე სოფლის მეურნეობის მუშაკთა უფლებების დაცვით, შიდა ბაზარზე პროდუქციის ხარისხისადმი კონტროლის გაძ-

ლიერებით და ა.შ. ამასთან, არანაკლებ მნიშვნელოვანია კონტროლის გაძლიერება სასურსათო უსაფრთხოების უზრუნველყოფის მიზნით მიღებული კანონების შესრულებაზე. აუცილებელია კონკურენციული გარემოს შექმნა სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის ბაზარზე და მიწათსარგებლობის სფეროში ეკონომიკური ურთიერთობების ეფექტიანი რეგულირების გაძლიერება.

სასურსათო დისბალანსის ლიკვიდაცია და სასურსათო წონასწორობის აღდგენა მთელი საზოგადოების სასიცოცხლო ინტერესების დაცვაა იმ უარყოფითი ეფექტებისგან, რომლებიც საფრთხეს უქმნის არა მარტო საზოგადოებრივი სექტორის ეკონომიკის ეფექტიან ფუნქციონირებას,არამედ, გარკვეული თვალსაზრისით,არყევს ქვეყნის სახელმწიფოებრიობას.

სასურსათო უსაფრთხოების ღონისძიებების აქტივიზაცია დადებით გავლენას ახდენს ეკონომიკის კონიუნქტურაზე. იგი ხელს უწყობს საქმიანი აქტიურობის გამოცოცხლებას,განსაკუთრებით ეკონომიკური დაცემის პერიოდში. ამიტომ ამ პრობლემის წინა პლანზე წამოწევა მეტად მნიშვნელოვანია დღეს საქართველოსთვის. მის რეალიზაციაში, მართალია, ლოკომოტივის როლი სახელმწიფომ უნდა შეასრულოს, მნიშვნელოვანი ფუნქციები საზოგადოებრივ სექტორსაც აკისრია, მაგრამ ამ სფეროში თანდათანობით საბაზრო ურთიერთობებმაც უნდა მოიკიდოს ფეხი და კერძო სექტორიც ჩაერთოს.

დღეს საქართველოში უკიდურესად რთული პრობლემების წინაშეა აგრარული სექტორი, რაც შეუიარაღებელი თვალითაც კარგად ჩანს. მსოფლიო ბანკის მონაცემებით, საქართველო სოფლის მეურნეობის პროდუქტიულობის მიხედვით ბოლო ადგილზეა პოსტსაბჭოთა ქვეყნებს შორის. ამასთან, საქსტატის მონაცემებით, სოფლის მეურნეობაში

წარმოებული პროდუქციის 90%-ზე მეტი საკუთარი მოხმარებისთვისაა წარმოებული და იგი სოფლის მოსახლეობის არსებობის მნიშვნელოვანი წყაროა. გარდა იმისა,რომ 1990 წელთან შედარებით, საქართველოს მშპ-ში სოფლის მეურნეობის პროდუქციის წილი 30-დან 8%-მდე დაეცა, წარმოიქმნა სასოფლო-სამეურნეო ლაგი (გარღვევა წარმოების ფაქტობრივ და პოტენციურ მოცულობებს შორის) და სოფლის მოსახლეობის ინტენსიური მიგრაცია ქალაქად, ასევე, სხვა ნეგატიური პროცესები უდიდესი საფრთხის წინაშე ჩააყენა ქართული სოფელი, საქართველოს მოსახლეობა და შოკისმომგვრელი ეფექტები წარმოქმნა. ყოველივე ეს იმაზე მიუთითებს, რომ საქართველოში არ არსებობს ადეკვატური ეკონომიკური პოლიტიკა და არ არის სისტემური მიდგომა.

მდგომარეობის გამოსასწორებლად აუცილებელია სახელმწიფოს პოლიტიკური ნება და საზოგადოებრივი სექტორის აქტიური მხარდაჭერა, მათ შორის, შიდა ბაზრის დაცვის კანონმდებლობის მოწესრიგება,რეგულირება და პროტექციონისტული პოლიტიკის გატარება, სოფლად ინფრასტრუქტურის განვითარება,შესაბამისი რეგულაციით შრომითი რესურსების ადგილზე დამაგრება,სოფლის მეურნეობის ინდუსტრიალიზაციის დონის ამაღლება,ეკოლოგიურად სუფთა პროდუქციის მწარმოებელთა წახალისება, სატყეო მეურნეობის, თევზჭერისა და ნადირობის განვითარება **(და არა ტყეების უსისტემო გაჩეხვა და უცხოელებზე გასხვისება),** შესაბამისი კადრების მომზადება და ა.შ. ამ ეროვნული პრობლემის გადაჭრას თვით ეროვნული ტრადიციებიც გვკარნახობს.

აგრარული სექტორის განვითარება ქვეყნის ეკონომიკური განვითარების ერთ-ერთი პრიორიტეტი უნდა გახდეს, მაგრამ არა გენერალური სტრატეგია. აგრარულმა სექ-

ტორმა უნდა შეძლოს შიდა საწარმოო და სამომხმარებლო მოთხოვნის მნიშვნელოვანწილად დაკმაყოფილება, ამას თვით საქართველოს ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ეკონომიკური სტრატეგიის – ტურიზმის განვითარებაც გვკარნახობს.

სასურსათო დისბალანსის ლიკვიდაცია და სასურსათო წონასწორობისკენ სწრაფვა, რაც საზოგადოებრივი სექტორის უპირველესი ამოცანაა, უნდა დაიწყოს ეკონომიკის ტექნიკურ-ტექნოლოგიური დონის ამაღლებით. ამ პროცესის დარეგულირება საბაზრო მექანიზმით ხელს შეუწყობს ეკონომიკურ ზრდასა და მნიშვნელოვან როლს შეასრულებს სასურსათო უსაფრთხოების უზრუნველყოფაში.

სასურსათო უსაფრთხოების თანამედროვე პრობლემები ზოგადსაკაცობრიოა, ამიტომ დიდ საზოგადოებრივ ძალისხმევას მოითხოვს.

ძირითადი ცნებები

„შოკური თერაპია“. „ძვირი ფულის“ პოლიტიკა. ორთოდოქსული სტაბილიზაცია. ჰეტეროდოქსული სტაბილიზაცია. გრადუალიზმი. სტრუქტურულ-წარმოებრივი სტაბილიზაცია. „კეინზიანური რევოლუცია“. არასამთავრობო ორგანიზაციები. საქველმოქმედო ორგანიზაციები. ფისკალური ფედერალიზმი. ეკონომიკური უსაფრთხოება. ეკოლოგიური უსაფრთხოება. სასურსათო უსაფრთხოება. პროტექციონისტული პოლიტიკა.

დასკვნა

1. საქართველო, დამოუკიდებლობის აღდგენის შემდეგ, გლობალიზაციის მსოფლიო პროცესის თანამონაწილე გახდა და ახალი ამოცანები დაისახა სოციალურ-ეკონომი-

კურ და პოლიტიკურ განვითარებაში. საქართველომ მიზნად დაისახა სამოქალაქო საზოგადოების მშენებლობა და საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლა ანუ ისეთი ეკონომიკური სისტემის შექმნა, რომელიც არსებითად განსხვავდება იმ კაპიტალისტურ ურთიერთობებზე აგებული ეკონომიკური სისტემისაგან, რომელიც ძალზე მტკივნეულად განვლო ცივილიზებულმა სამყარომ და დღეს განვითრებულ ქვეყნებში ისტორიის კუთვნილებაა;

2. საქართველოში სამოქალაქო საზოგადოების მშენებლობა საფრთხის წინაშე აღმოჩნდა და ჯანსაღი საბაზრო პრინციპების დამკვიდრება პროპაგანდის დონეზე დარჩა. ამიტომ დღეს ზედმეტია საუბარი განვითარებული საზოგადოებრივი სექტორის ეკონომიკის სრულფასოვან ფუნქციონირებაზე;

3. საქართველოში ვერ ჩამოყალიბდა **საკუთრების პლურალიზმი** – როგორც საბაზრო ეკონომიკის ფორმირების საფუძველი. ის არაცივილიზებული ფორმა კაპიტალიზმისა, რომელიც შეიქმნა საქართველოში, ქვეყანაში არასწორად გატარებული პრივატიზაციის შედეგია,რაც მნიშვნელოვნად აბრკოლებს ეფექტიანი ეკონომიკის შექმნას, ეკონომიკურ ზრდასა და დემოკრატიის განვითარებას.

საქართველოში ვერ ჩამოყალიბდა საშუალო ფენა. იგი მხოლოდ 9%-ია. ინტელიგენცია ბედის ამარად დარჩა, მასობრივი პრივატიზაცია (ვაუჩერიზაცია) მხოლოდ დაცინვა იყო საზოგადოების მიმართ. მიზნობრივად არ იქნა გამოყენებული შედავათიანი კრედიტები და გრანტები. ამას დაემატა საბიუჯეტო სახსრების არამიზნობრივი ხარჯვა, კორუფცია, აღრიცხვის მოუწესრიგებლობა, საკადრო საკითხების გადაჭრა კლანური ინტერესებით და ა.შ. სამომხმარებლო მოთხოვნის დაცემამ,უკუგავლენა მოახდინა

ბაზრის ტევადობაზე, გამოიწვია წარმოების, დასაქმებისა და შემოსავლების შემცირება, საინვესტიციო აქტიურობის მკვეთრი დაცემა, რასაც მოჰყვა უნაღდო ანგარიშსწორების პარალიზება, გადაუხდელობის კრიზისის გაღრმავება, კაპიტალისა და „ტვინების“ საზღვარგარეთ გადინება. ამის პარალელურად არნახულ მასშტაბებს მიაღწია ფარულმა ეკონომიკამ;

4. ქვეყანაში არ იყო პოლიტიკური ნება, საქმე ვერ წავიდა წინ და დემოკრატია ვერ განვითარდა. ამიტომ **იმ ერთ დიდ ნაბიჯს, რომელიც საქართველომ გადადგა წინ 90-იანი წლების დასაწყისში, მოჰყვა ორი ნაბიჯი უკან, რის შედეგადაც სოციალური სამართლიანობის ლოზუნგზე აგებული საბჭოური მონოპოლია შეიცვალა კლანურ ინტერესებზე აგებული კაპიტალისტური მონოპოლიით;**

5. ქვეყანაში ფეხი მოიკიდა ფსევდოინოვაციებმა, მოძველებულმა რესურს- და ენერგოტევადმა ტექნოლოგიების იმპორტმა, მაშინ როდესაც ჩვენი დონის ქვეყნები ცდილობდნენ ორიენტაცია შუალედურ ტექნოლოგიებზე აიღონ;

6. სიტუაციას ამძიმებს დემპინგურ ფასებში ჯანმრთელობისთვის საშიში კვების პროდუქტებისა და ფალსიფიცირებული მედიკამენტების მასობრივი იმპორტი;

7. საქართველოში დიდი ხანია დარღვეულია საბიუჯეტო-საგადასახადო ფედერალიზმის პრინციპები. ქვეყნის ყველა დონის ბიუჯეტმა დაკარგა საინვესტიციო ფუნქცია და გადაიქცა სამომხმარებლო ბიუჯეტად. ამის შედეგია, რომ საქართველოში, 2015 წლის მონაცემებით, ოფიციალური მონეტიზაციის დონე 17%-ია, მაშინ როდესაც არ უნდა იყოს 30%-ზე ნაკლები. შედარებისათვის, ეს მაჩვენებელი განვითარებული ქვეყნების უმრავლესობაში 80%-ს აღწევს, აშშ-ში კი 100%-ს აჭარბებს. ინფლაციის შიშით ფულის დეფიციტის

ხელოვნურად შექმნამ და,პარალელურად,დოლარიზაციის სწრაფმა ზრდამ (დოლარიზაციის დონემ დასაშვებ ზღვარს – 36%-ს გადააჭარბა) ჩამოაყალიბა ნეგატიური ტენდენციები როგორც ფულად-საკრედიტო, ისე ფისკალურ სფეროში და უარყოფითად აისახა საგადასახადო-საანგარიშსწორებო ურთიერთობების მთელ სისტემაზე;

8. ნეგატიურმა შიდა პროცესებმა მწვავე პრობლემად აქცია იმპორტის მკვეთრად გამოხატული წინგამსწრები ზრდა ექსპორტთან შედარებით. 2015 წლის მონაცემებით,იგი არის 80:20-თან, სავაჭრო ბალანსის უარყოფითმა სალდომ პერმანენტული ხასიათი მიიღო. ძალზე დამაფიქრებელი გახდა ექსპორტის სასაქონლო სტრუქტურაც, რომელშიც ჭარბობს ბუნებრივი რესურსები, სამაგიეროდ,დისბალანსი მოხმარებასა და წარმოებას შორის სამომხმარებლო იმ-პორტით კომპენსირდება. სავაჭრო ბალანსის მდგრადმა დეფიციტმა უარყოფითი გავლენა მოახდინა ეკონომიკურ ზრდაზე, გააუარესა ქვეყნის ფინანსური მდგომარეობა და სწრაფად გაზარდა საგარეო დავალიანება. 2015 წლის მო-ნაცემებით, მან 15 მლრდ დოლარს გადააჭარბა;

9. უმუშევართა რიგების ზრდის ახალი ტალღა 2008 წლის აგვისტოს ომის შემდეგ დაიწყო. ამის მთავარი მიზეზი არახელსაყრელი ბიზნესგარემო და ამ ფონზე უცხოური კომპანიების მიერ საქართველოში ინვესტიციების ჩადე-ბაზე უარის თქმა გახდა. საქართველოდან სამუშაოდ წა-სულმა ემიგრანტებმა უკან დაბრუნება დაიწყეს. უცხოეთში მცხოვრებ საქართველოს მოქალაქეთა ფულადმა გზავნი-ლებმა საგრძნობლად იკლო. ამას დაემატა 30 ათასამდე დევნილი რუსეთის მიერ ოკუპირებული ტერიტორიებიდან, რომელმაც საქართველოს ტერიტორიის 20% შეადგინა;

10. საქართველო ტოტალური უმუშევრობის საფრთხის

წინაშე აღმოჩნდა. შემცირდა ეკონომიკური აქტიურობა, ბუნებრივია, დასაქმებაც. ზედმეტი იყო ძალისხმევა საზოგადოებრივი სექტორის ეკონომიკის განვითარებასთან დაკავშირებით. ამისათვის არავითარი წინაპირობა არ არსებობდა. ამიტომ მოსახლეობა სოციალურად აბსოლუტურად დაუცველი აღმოჩნდა;

11. 2009 წელს ვაშინგტონში მშვიდობის ფონდმა მოახდინა 177 ქვეყნის რანჟირება. ყველაზე წარუმატებელი ქვეყნების ჯგუფში პირველ ადგილზე აღმოჩნდა სომალი, ხოლო საქართველო – ამავე ჯგუფის 33-ე ადგილზე;

12. განსაკუთრებით მძიმე მდგომარეობაშია განათლების სისტემა ამ სფეროში არასწორად ჩატარებული რეფორმის გამო. ადამიანის განვითარების ინდექსის მიხედვით, რომელიც მერყეობს 0-დან 100 ქულამდე,რანჟირებული 177 ქვეყნიდან საქართველო იყო საშუალოგანვითარებული ქვეყნების ჯგუფში 72,9 ქულით. აღნიშნული მაჩვენებლით იგი დარჩა საშუალოგანვითარებული ქვეყნების ჯგუფში, მაგრამ გაუარესდა მისი მდგომარეობა. 2005 წლის მონაცემებით, საქართველომ, რომელიც 2002 წელს 81-ე ადგილზე იყო, გადაინაცვლა 96-ე ადგილზე, ხოლო 2015 წლის მონაცემებით, 76-ე ადგილზეა;

13. საქართველოში არ იქნა გათვალისწინებული ახალი მსოფლიო წესრიგისა და სამოქალაქო საზოგადოების მშენებლობის მოთხოვნები. საქართველო აღმოჩნდა თავისებურ რეპრესიულ რეჟიმში;

14. საქართველომ ვერ შეძლო მოლიანი შიდა პროდუქტის წარმოების 1990 წლის დონისთვის მიეღწია. 2008 წელს საქართველოში რეალურმა მშპ-მა შეადგინა 1990 წლის დონის 71,1%, 2015 წლის მონაცემებით კი, მხოლოდ 89,6%;

15. საქართველოში ეკონომიკურ პოლიტიკას სპონტანუ-

რი ხასიათი აქვს და მას კლასიკური ფორმით არცერთი ეკონომიკური თეორია არ გამოუყენებია საბაზრო ეკონომიკაზე გარდამავალი პერიოდის ეკონომიკურ პოლიტიკაში. ქვეყანაში იგნორირებულია მსოფლიოში აპრობირებული მოწინავე გამოცდილება. ამიტომ აუცილებელია ეკონომიკური პოლიტიკის ძირითადი მიმართულების (მეინსტრიმის) შეცვლა და სახელმწიფო ფინანსების სწორად (ეროვნული ინტერესებიდან გამომდინარე) წარმართვის საფუძველზე აქცენტის გაკეთება ეკონომიკის სოციალური ორიენტაციის გაძლიერებაზე. ეს უკანასკნელი ბაზრის გამოცოცხლების ერთადერთი გზა და საზოგადოებრივი სექტორის ეკონომიკის განვითარების გარანტია;

16. მსოფლიოში არ არსებობს ქვეყანა, სადაც საბაზრო ეკონომიკა (და არა საბაზრო ურთიერთობის ელემენტები) – სოციალურად ორიენტირებული ეკონომიკური სისტემა ჩამოყალიბდა კეინზიანური მაკროეკონომიკური თეორიის ძირითადი პოსტულატების გაუთვალისწინებლად. ჯონ მეინარდ კეინზის თეორია ხომ კრიზისული ეკონომიკის ანალიზს ეძღვნება და ხსნის უმუშევრობის, აქედან გამომდინარე კი, სიღარიბის მიზეზებს, ამასთან, იძლევა ამ სოციალურად აუტანელი მდგომარეობიდან ქვეყნის თავის დაღწევის გზებს. ამიტომაცაა, დასავლეთში ნებისმიერმა განვითარებულმა ქვეყანამ, თავისი აღმავლობა, ეფექტიანი ეკონომიკური ზრდა „კეინზიანური რევოლუციით“ დაიწყო;

17. ეკონომიკის კონვერსიასთან დაკავშირებულმა რეფორმებმა საქართველოში გაცილებით მეტი მწვავე პრობლემა წარმოქმნა, ვიდრე გადაჭრა, განსაკუთრებით სოციალურ სფეროში. არასწორმა ეკონომიკურმა პოლიტიკამ საქართველოს მოსახლეობის დიდი ნაწილი მძიმე მდგომარეობაში ჩააყენა.

რეფორმირების საწყის ეტაპზე გარედან თავსმოხვეული

ვაშინგტონში შემუშავებული „შოკური თერაპიის“ მოდელი ერთმნიშვნელოვნად არის შეფასებული საქართველოში როგორც სისტემური რეფორმების წარუმატებლობის ერთ-ერთი მთავარი, ეგზოგენური მიზეზი. იძარცვებოდა, ნად-გურდებოდა საქართველოს მატერიალურ-ტექნიკური ბაზა, წარმოებრივი პოტენციალი;

18. საქართველოს ეკონომიკის ვარდნის მეორე ეგზო-გენური მიზეზი უკავშირდება მაკროეკონომიკური სტაბი-ლიზაციის ორთოდოქსულ მოდელს,რომელიც ისევ ვაშინ-გტონში მიღწეული შეთანხმების საფუძველზე აისახა ქვეყ-ნის ეკონომიკურ პოლიტიკაში რეფორმირების II ეტაპზე – 1996-2003 წლებში. იგი ითვალისწინებდა სახელმწიფო ხარჯების,პირველ რიგში,სოციალური დაცვის ხარჯების, სახელმწიფო ტრანსფერების,სუბსიდიებისა და ა.შ. შემცი-რებასა და გადასახადების გადიდებას,ფულის მიწოდების შეზღუდვას,საპროცენტო განაკვეთების ამაღლებას,ერთო-ბლივი მოთხოვნის შემცირებას,გადაუხდელობის კრიზისის გაღრმავებას.

მაკროეკონომიკური „სტაბილიზაციის,“ „ძვირი ფულის“ პოლიტიკის სახელწოდებით ცნობილმა ამერიკულმა მოდელ-მა,ორთოდოქსულ მოდელთან ერთად, ეკონომიკის დესტაბილი-ზაცია უფრო გამოიწვია,ვიდრე მისი სტაბილიზაცია,მაშინ, როდესაც სტრუქტურულ-წარმოებრივი სტაბილიზაციის მოდელის გამოყენებით (რაც ითვალისწინებს ერთობლივი მიწოდების ზრდას,პარალელურად ერთობლივი მოთხოვნის ამაღლებასაც,ადგილობრივი პროდუქციით ბაზრის გაჯერე-ბას, ეროვნული ეკონომიკის „სანედლეულო დანამატად“ გარდაქმნის არდაშვებას,საქონლის ხარისხის ამაღლების საფუძველზე სამამულო წარმოების პროდუქციის კონკუ-რენტუნარიანობის ამღლებასა და ა.შ.) უდიდეს წარმატებას

მიაღწია იაპონიამ, ჩინეთმა, ასევე, რიგმა სხვა ქვეყნებმა.

ორთოდოქსულ მოდელზე დაფუძნებულმა „ძვირი ფულის“ პოლიტიკამ, მართალია, ჰიპერინფლაციის შემდეგ, „ხანძრის ჩაქრობის“ ეფექტი შექმნა, მაგრამ უკიდურესად გაამძაფრა ეკონომიკური პრობლემები და კიდევ უფრო დასცა ცხოვრების დონე;

19. სოციალური სამართლიანობის ლოზუნგზე აგებული საბჭოური მონოპოლია შეიცვალა კლანურ ინტერესებზე აგებული კაპიტალისტური მონოპოლიით. კატასტროფულად დაეცა სახელისუფლებო სტრუქტურების პასუხისმგებლობა. სახელმწიფოს ინტერესები დაექვემდებარა ეროვნულთა ინტერესებს. ეროვნულმა ეკონომიკამ დაკარგა სოციალური ორიენტაცია;

20. ეკონომიკური მიმდინარეობები და შესაბამისი მოდელები დღეს მსოფლიო ეკონომიკაში განსაზღვრავენ „თამაშის წესებს“ და უდიდეს როლს ასრულებენ საზოგადოებრივი სექტორის ეკონომიკის განვითარებაში. **„ძვირი ფულის“ პოლიტიკა წარმატებულია მხოლოდ მაშინ, როდესაც ლაპარაკია ბაზრის ფუნქციონირებაზე და არა იმაზე, თუ როგორ უნდა შეიქმნას და განვითარდეს ბაზარი;**

21. საქართველოს ეკონომიკის წარუმატებლობის მესამე ეგზოგენური მიზეზი უკავშირდება რეფორმირების III ეტაპს – 2004-2012 წლებს, როდესაც ქვეყნის ეკონომიკურ პოლიტიკას საფუძვლად დაედო მონეტარულ დოქტრინაზე აგებული ნეოლიბერალური ეკონომიკური თეორია. იგი ის ულტრალიბერალური კაპიტალიზმის მოდელია, რომელმაც შეარყია განვითარებული ეკონომიკები და რომლის კრახი 2008 წლის ოქტომბერში ოფიციალურად დააფიქსირა ევროკავშირის სამიტზე იმდროინდელმა საფრანგეთის პრეზიდენტმა ნიკოლა სარკოზმა;

22. მიუხედავად იმისა, რომ საქართველოში 2005 წლი-

დან, ახალი საგადასახადო კოდექსის საფუძველზე, საგადასახადო ტვირთი მნიშვნელოვნად შემცირდა, ბიზნესის წამოწყების პროცესები არსებითად გამარტივდა, ახალმა შრომითმა კანონმდებლობამ დაქირავებულებთან ურთიერთობებში დამქირავებლებს სრული თავისუფლება მიანიჭა და ყოველივე ამით საქართველომ ნეოლიბერალური რეფორმების გამტარებელი ქვეყნის იმიჯი დაიმსახურა, ამავდროულად საკუთრების უფლების შელახვის უამრავი ფაქტი დაფიქსირდა. მსხვილი ბიზნესი მთლიანად ხელისუფლების მიერ კონტროლირებადი გახდა. 2006 წელს ანტიმონოპოლიური კანონმდებლობის გაუქმებამ ეკონომიკის ძლიერი მონოპოლიზაცია გამოიწვია,ხოლო მასობრივი კორუფციის აღკვეთას ელიტარული კორუფციის შემაშფოთებელი მასშტაბები მოჰყვა;

23. დამოუკიდებლობის აღდგენიდან 2013 წლამდე ძლიერ პოლიტიზირებული იყო მაკონტროლებელი ორგანოები, ვერავითარ კრიტიკას ვერ უძლებდა შრომის კოდექსი,რომელიც დამქირავებელთა განუსაზღვრელ უფლებებსა და დაქირავებულთა ინტერესების მინიმუმამდე დაყვანას ითვალისწინებდა. შეზღუდული იყო სიტყვის თავისუფლება,საოცარი მონსტრი შეიქმნა ხელისუფლებასა და მედიის ერთ ნაწილს შორის. ოლიგოპოლიური ბაზარი განაპირობებდა კონკურენციის ჰორიზონტალურ შეზღუდვას,არ არსებობდა ადმინისტრაციის ჰუმანიზაცია,საბანკო სისტემა ნაკლებად გამჭვირვალე და კონკურენტუნარიანი იყო;

24. სოფლის მეურნეობის პროდუქციის რეალიზაციიდან მიღებული შემოსავლების წილი შინამეურნეობის მთლიან შემოსავლებში მხოლოდ 7%-ია. მიწების საპრივატიზაციო პოლიტიკა მხოლოდ უცხოელებზეა მორგებული და აბსოლუტურად გაუმჭვირვალეა. საქართველოში უცხოელები

თავიანთი ქვეყნიდან ჩამოყვანილ სამუშაო ძალას ასაქმებენ;

25. „ჩიკაგოს სკოლის“ მონეტარულ თეორიაზე აგებული ნეოლიბერალური ეკონომიკური პოლიტიკა სტაბილურობისა და მდგრადი ეკონომიკური განვითარების გარანტად იყო აღიარებული. „ოქროს წლებად“ მონათლულ ამ პერიოდში აღზევებული მონეტარიზმი ეკონომიკურ თეორიაში „აზრთა კონვერგენციის“ უმაღლესი გამოხატულების ნიმუშს წარმოადგენდა.

მაშინ, როდესაც აშშ ეკონომიკური ქცევის „დიდ სტაბილურობას“ ზეიმობდა, ხოლო მილთონ ფრიდმენსა და „ჩიკაგოს სკოლის“ სხვა ცნობილ წარმომადგენლებს მიაჩნდათ, რომ დეპრესიის პრევენციის ცენტრალური პრობლემა გადაჭრილი იყო, კრიზისის დადგომის ნიშნები, განსაკუთრებით 2007 წლიდან, ნელ-ნელა იკვეთებოდა. ამ დროს, როგორც 2008 წლის ნობელის პრემიის ლაურეატი პოლ კრუგმანი აღნიშნავს, „ეკონომიკური დარგის პროფესიონალები თვლემდნენ. მიუხედავად აშშ-ის ფედერალური სარეზერვო სისტემის მცდელობისა, გამოესწორებინა კეთილდღეობის გზიდან ეკონომიკის მნიშვნელოვანი გადახრები, ამერიკული ეკონომიკა აცდა სწორ გზას და „ლიანდაგიდან გადავიდა“;

26. მ. ფრიდმენის მონეტარული თეორიის ნაკლოვანებებმა თავი იჩინა მსოფლიო ეკონომიკურ პოლიტიკაში. გლობალური ფინანსური კრიზისის წარმოშობის ერთ-ერთი მთავარი მიზეზი სწორედ მაკროეკონომიკური რეგულირების მკვეთრ შეზღუდვასა და, გარკვეულწილად, საბიუჯეტო-საგადასახადო რეგულირების უკანა პლანზე გადაწევაში მდგომარეობს. ამასთან, ფულად-საკრედიტო პოლიტიკაში საკრედიტო რეგულირების შესუსტებამ,თვითდინებაზე მიშვებამ და წინა პლანზე ფულის ფენომენის წამოწევამ გზა გაუხსნა ვირტუალურ ეკონომიკას;

27. ფინანსური ეკონომიკა მხოლოდ საშუალებაა საბ-

ოლოო მიზნის მიღწევისათვის. საბოლოო მიზანი კი არა სპეკულაციური გარიგებები და ამ გზით ფულის კეთებაა, არამედ მატერიალური და არამატერიალური დოვლათისა და ფასეულობების წარმოება. სამწუხაროდ, ეს აქსიომატური ჭეშმარიტება არ იქნა გათვალისწინებული. ფულის კეთების ხელოვნებამ (ქრემატისტიკა – არისტოტელე) დაფარა მეურნეობის მართვის ხელოვნება (ეკონომიკა). საბოლოოდ კი მივიღეთ მსოფლიო ეკონომიკური კრიზისი. საერთაშორისო სავალუტო ფონდის ოფიციალური მონაცემებით, მსოფლიო მთლიანი შიდა პროდუქტი 3,02%-დან 0,60%-მდე დაეცა. ამაში ფრიდმენის მონეტარული თეორიის უპირობო გამოყენებამ უდიდესი როლი შეასრულა;

28. ნეოორთოდოქსულ თეორიაზე მორგებული მონეტარიზმის მოდელი (გარკვეული გადახრებით) საფუძვლად დაედო „დანარჩენი სამყაროს“ უმეტესი ქვეყნების, მათ შორის, საქართველოს ეკონომიკურ პოლიტიკას. ამიტომ ეკონომიკური კრიზისი მეტ-ნაკლები ზომით აისახა ჩვენს ქვეყანაშიც, რაც, პირველ ყოვლისა, ეკონომიკური ზრდის ტემპების შემცირებასა და ერთობლივი მოთხოვნის დაცემაში გამოიხატა;

29. ეკონომიკურ მეცნიერებაში ამ ბოლო დროს გაბატონებულმა შეხედულებამ იმის შესახებ,რომ კეინზიანური ერა დასრულდა გადასინჯვა მოითხოვა. კეინზიანური თეორიის დედაარსმა ისევ მიიპყრო განვითარებული ქვეყნების ყურადღება. თანამედროვე გლობალურმა კრიზისმა აიძულა ცივილიზებული სამყარო კეინზიანური მოდელისკენ შემობრუნებულიყო. ამიტომ წინა პლანზე ისევ კეინზიანური თეორიის პოსტულატებმა – ეკონომიკაში სახელმწიფოს, როგორც საბაზრო სისტემაში „ჩაშენებული სტაბილიზატორის“, როლის გააქტიურებამ, კერძოდ, სახელმწიფო

სოციალური ხარჯების გაზრდამ და გადასახადების შემცირებამ,კერძო სექტორის სუფსიდირებამ,განსაკუთრებით კი მცირე და საშუალო ბიზნესის სახელმწიფო მხარდაჭერის გაფართოებამ,საშუალო ფენის შენარჩუნებისა და გაზრდის მიზნით მათი შემოსავლების გაზრდამ, სამომხმარებლო კრედიტის გააქტიურებამ,ანტიმონოპოლიური რეგულირების გაძლიერებამ,საზოგადოებრივი სექტორის ეკონომიკის განვითარებამ და ა.შ. წინა პლანზე წამოიწია. დღის წესრიგში დადგა ეკონომიკური თეორიის მეინსტრიმის შეცვლის აუცილებლობა;

30. „კეინზიანური რევოლუციიდან“ მოყოლებული არ არსებობს დღეს განვითარებული ქვეყანა, რომელსაც ეკონომიკის ტრანსფორამციის პროცესსა და კრიზისულ სიტუაციებში თავისი ეკონომიკური პოლიტიკისათვის საფუძვლად არ დაედო კეინზიანური მოდელი – რელიგიურ ეთიკაზე აგებული ეს ჰუმანური თეორია. მაგრამ ეს „ფუფუნება“ წილად მხოლოდ მსოფლიოს წამყვან ქვეყნებს ერგოთ. რაც შეეხება სუსტად განვითარებულ ქვეყნებსა და ზოგიერთ ტრანზიტულ ქვეყანას,მათ შორის, საქართველოსაც, ამ კატეგორიის ქვეყნებში ეკონომიკურ პოლიტიკას,მეტ-ნაკლები ზომით,სპონტანური ხასიათი აქვს და ეროვნული ეკონომიკის მართვაში კლასიკური ფორმით არც ერთი თეორია, მითუმეტეს კეინზიანური მოდელი არ ყოფილა გათვალისწინებული. მათ, როგორც ენდოგენური, ისე ეგზოგენური ფაქტორების ზეგავლენით,ვერ გამოიყენეს ამ მხრივ მსოფლიოში აპრობირებული გამოცდილება,ამიტომ ვერ შეძლეს სოციალურად ორიენტირებულ საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლა და დღესაც „ულტრალიბერალური კაპიტალიზმის“ მარწუხებში არიან მოქცეულნი;

31. საქართველოში საბაზრო ეკონომიკაზე გარდამა-

ვალი პერიოდის ექსპერიმენტს დასასრული არ უჩანს. ქვეყანაში შექმნილია „მანკიერი წრე“,რომლისგანაც თავის დაღწევა რთულდება.

საქართველოს წარუმატებლობის მთავარი მიზეზი მაკროეკონომიკური სტაბილიზაციის ორთოდოქსულ მოდელში, ისე როგორც „შოკურ თერაპიასა“ და რეფორმირების III ეტაპზე „ანტიკეინზიანურ რევოლუციად მონათლულ ნეოლიბერალურ ეკონომიკურ პოლიტიკაში უნდა ვეძიოთ. განვითარებულ ქვეყნებში, მათ შორის, აშშ-შიც კი არ გამოდგა ნეოლიბერალურ ეკონომიკურ თეორიაზე აგებული მოდელი (თანაც, უფრო დახვეწილი ფორმით) და საქართველოში გამოდგებოდა?

32. საქართველო მცდარ მონეტარისტულ პოსტულატებზე დაყრდნობით,კვლავ ილუზიების ტყვეობაში აღმოჩნდა.

თავიდან ვერ მოვიცილეთ „ხელგაწვდილობის სინდრომი“, რის გამოც ნელ-ნელა ვკარგავთ დამოუკიდებლობას. 2015 წლის მონაცემებით, მცირე ბიზნესის წილად მოდის 9,1%, საშუალო ბიზნესის წილად – 8,4%, ხოლო მსხვილი ბიზნესის წილად – 82,5%. საქართველო,კორუფციის ინდექსის მიხედვით,2008 წელს 180 ქვეყანას შორის 67-ე ადგილზე აღმოჩნდა,ხოლო 2015 წლის მონაცემებით,ამ მხრივ გაუმჯობესდა მდგომარეობა და 48-ე ადგილზეა.

საარსებო მინიმუმმა მხოლოდ ნომინალურად შეამცირა სიღარიბის დონე. 2015 წლის დეკემბრის მონაცემებით,შრომისუნარიანი მამაკაცის საარსებო მინიმუმი 162,4 ლარია,საშუალო მომხმარებლის – 163,9, საშუალო ოჯახის – 272,5 ლარი. ოთხსულიან ოჯახზე საარსებო მინიმუმი თვეში 286,8 ლარს შეადგენს. მინიმალური ხელფასი სამომხმარებლო კალათის ღირებულებაზე თითქმის 2-ჯერ ნაკლებია და საჯარო სექტორში 140 ლარია, ხოლო საშუალო ნომინალური ხელფასი – 900,4 ლარი.

2015 წელს მშპ, მიმდინარე ფასებში, 31775,6 მლნ ლარი იყო, მოსახლეობის ერთ სულზე – 8550,9 ლარი,რაც 3760,6 დოლარს შეადგენდა.

საქართველოში 2016 წლის 1 ნოემბრის მდგომარეობით, სულ დასაქმებული იყო 647874 კაცი. კომერციული იურიდიული პირები 196386 კაცს ანუ 30,3 %-ს შეადგენდა, არაკომერციული, არასამეწარმეო იურიდიული პირები – 23569 კაცს (3,6%), ინდივიდუალური მეწარმეები – 418823 კაცს (64,6%),საოჯახო სამართლის სუბიექტები – 5918 კაცს (0,9%), სხვა ფორმები – 3178 კაცს (0,6%);

33. ექსპერტული შეფასებით, საქართველოში მოსახლეობის უღატაკესი ფენა (პაუპერები) 15%-ს შეადგენს. საარსებო მინიმუმის ზღვარს მიღმა 21%-ია,სოციალურად ღარიბები (ანუ მოსახლეობის ის ნაწილი,რომლის შემოსავალი ფარავს საარსებო მინიმუმს, მაგრამ არ არის საკმარისი ნორმალური კვლავწარმოებისათვის) 50%-ია,საშუალო ფენა – 9%-ია,მდიდრები – 5%,მათ შორის შეძლებულნი – 3,5%;

34. საქართველოში პირველი რიგის ამოცანაა ქვეყნის ეკონომიკის ადეკვატური ეკონომიკური პოლიტიკის შექმნა. იგი უნდა დაეყრდნოს მსოფლიოში აპრობირებულ განვითარებული ქვეყნების გამოცდილებას. თუ გვინდა,რომ თავიდან მოვიცილოთ „ხელგაწვდილობის სინდრომი“,ქვეყნის აღმავლობის ათვლის წერტილი უნდა იყოს ჯ. მ. კეინზის მაკროეკონომიკურ თეორიაზე მორგებული ეკონომიკური პოლიტიკა. „კეინზიანური რევოლუცია“, ეკონომიკური კრიზისის დაძლევის შემდეგ კი – **„ახალი ნეოკლასიკური სინთეზი,** რომელშიც გათვალისწინებული იქნება თანამედროვე მეცნიერულ-ტექნოლოგიური მიღწევები“;

35. მიუხედავად მძიმე პოლიტიკური და სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობისა,საქართველოს აქვს პოტენციალი

გადაჭრას მის წინაშე არსებული რთული პრობლემები. საქართველომ უნდა დაიკავოს ის პოზიცია და შეასრულოს ის ფუნქციები, რასაც შვეიცარია ასრულებს შუაგულ ევროპაში. საქართველომ,რომელიც ევროპა-აზიის შესაყარზე მდებარეობს, კავკასიის ამ რეგიონში „რეგიონული ჰაბის“ ფუნქცია უნდა შეასრულოს;

36. საქართველოში საბაზრო ეკონომიკაზე გარდამავალმა პერიოდმა თვისებრივად ახალი ინსტიტუტების შექმნა მოითხოვა,რომელთა ერთი ნაწილი არსებული ინსტიტუტების ტრანსფორმაციის,ხოლო,მეორე ნაწილი,მათი რღვევის შედეგად უნდა ჩამოყალიბებულიყო;

37. პოსტკომონისტური ტრანსფორმაციის პირობებში საკუთრების ოპტიმალურ სტრუქტურაზე გადასვლა საკმაოდ ხანგრძლივი პროცესია. ამ გრძელ გზაზე საქართველოში მთავარი იყო შერეული ეკონომიკის ისეთი ტიპის შექმნა, რომელიც არ გამოიწვევდა სოციალურ დაძაბულობას,კონფლიქტებსა და ეკონომიკას გამოიყვანდა ბიუროკრატიული ორგანოების კონტროლიდან,რაც საქართველოში ვერ მოხერხდა ეკონომიკის რეფორმირების პერიოდში;

38. საქართველოში მეცნიერულად დასაბუთებული გადაწყვეტილების გარეშე სახელმწიფო ყიდდა ყველაფერს. „აბა ახლა რა გავყიდოთ“ – ამ პრინციპზე აგებულმა საკუთრების განსახელმწიფოებრივების თავაშვებულმა პროცესმა არ დაინდო სტრატეგიული მნიშვნელობის ბევრი ობიექტი. საზოგადოება უძლური აღმოჩნდა შეეჩერებინა ეს პროცესი;

39. საქართველოში ეკონომიკის ინსტიტუციონალიზაციის კანონზომიერი პროცესი თავიდანვე გარკვეული თავისებურებებით წარიმართა, რაც აისახა კიდეც მის ძირითად მიმართულებებში. ამ მეტად რთულ და წინააღმდეგობებით სავსე პროცესზე გარკვეული გავლენა მოახდინა

წარსულის მემკვიდრეობამ, რაც გამოიხატა ავტორიტარულ და ბიუროკრატიულ ადმინისტრირებაში, გამოცდილების არარსებობასა და სამართლიანი ეკონომიკური ქცევის დეფიციტში. უკანასკნელ პერიოდამდე საქართველოს ინსტიტუციური გარემო ჰგავდა რუსეთისას. ამჟამად სიტუაცია შეიცვალა. საქართველო ცდილობს გადავიდეს დასავლური ინსტიტუციური მოწყობის მოდელზე,რაც გავლენას ახდენს საზოგადოებრივი სექტორის ეკონომიკის განვითარების დონესა და მიმართულებებზე;

40. თანამედროვე პირობებში ქვეყნის ინსტიტუციური განვითარება, როგორც დემოკრატიზაციისა და ეკონომიკური საქმიანობის წესების, ეკონომიკური წესრიგის ჩამოყალიბების გამოხატულება, ეყრდნობა „ინსტიტუციური მიბმის“ კონცეფციას და აქცენტს სტაბილური და ქმედითი ინსტიტუტების მოდელზე აკეთებს. ამ პროცესის ორიენტირად საქართველოს ხელისუფლებამ ევროკავშირის კანონმდებლობა აირჩია,რაც 1996 წელს დაფიქსირდა პარტნიორობისა და თანამშრომლობის ხელშეკრულებაში და საბოლოოდ დადასტურდა 2004 წელს ევროპის სამეზობლო პოლიტიკასთან საქართველოს მიერთებით.

საქართველოში მიღებული ყველა კანონი და ნორმატიული აქტი უნდა შეესაბამებოდეს ევროკავშირის მიერ დაწესებულ სტანდარტებსა და წესებს. ამ დადგენილების ამოქმედება შეიძლება ჩაითვალოს საქართველოს საკანონმდებლო სისტემის ევროკავშირის საკანონმდებლო სისტემასთან დაახლოების მიმართულებით გადადგმულ მნიშვნელოვან ნაბიჯად;

41. საქართველოს ინსტიტუციური განვითარების გარკვეულ ჩარჩოებში მოქცევის პროცესი ახლოსაა **გერშენკრონის კონვერგენციის თეორიასთან**. განვითარებული

ქვეყნების ინოვაციების იმიტირება,რომელიც თავისთავად არ იძლევა ინსტიტუციური რეფორმების განხორციელების საშუალებას, ხელს შეუწყობს საქართველოს ეკონომიკას ნაკლები დანახარჯებით მაღალი უკუგების მიღებასა და ბიზნესგარემოს გაჯანსაღებას;

42. „არასამეწარმეო იურიდიული პირის“ კატეგორიას მიეკუთვნება საზოგადოებრივ სექტორში შემავალი „მესამე“ სექტორის სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციები – არასამთავრობო და საქველმოქმედო ორგანიზაციები. ისინი მეტწილად უცხოელი დონორების დახმარებაზე არიან დამოკიდებულნი და დაფინანსების 95%-ს უცხოელი დონორებისგან იღებენ. საქართველოში დაახლოებით 10 ათასზე მეტი რეგისტრირებული არასამთავრობო ორგანიზაციაა,თუმცა,რეალურად მათი გაცილებით მცირე რაოდენობა ფუნქციონირებს. ქვეყანაში 62 რეგისტრირებული საქველმოქმედო ორგანიზაცია,საზოგადოება,ასოციაცია და ფონდია,რომელთაც აქვთ დაუბეგრავი შემოწირულობების მიღების უფლება;

43. სამოქალაქო საზოგადოების რეფორმის პროცესში ჩართვის შესაძლებლობაზე ნეგატიურად მოქმედებს პოლიტიკური გარემო. არასამთავრობო ორგანიზაციების რეკომენდაციები პოლიტიკურ გადაწყვეტილებებზე ნაკლებად ახდენს გავლენას. ხელისუფლებასა და არასამთავრობო ორგანიზაციებს შორის დიალოგი ინსტიტუციონალიზებული არ არის. საკმაოდ ზედაპირული და არამდგრადია საზოგადოების ფართო ფენების ჩართულობა, რაც ხელისუფლების ანტიკორუფციული პოლიტიკის ერთ-ერთი სუსტი რგოლია. ყოველივე ეს ნეგატიურ გავლენას ახდენს საზოგადოებრივი სექტორის ეკონომიკის ფუნქციონირებაზე და,გარკვეულწილად,ხელს უშლის ეკონომიკის სოციალური ორიენტაციის მიმართულებით განვითარებას;

44. საქართველოს ეკონომიკური რეფორმების პროგრამაში წამყვანი ადგილი დაფინანსების მოელი მექანიზმის ფაქტობრივად თავიდან შექმნამ დაიკავა. იგი მოითხოვდა ფინანსური რესურსების როგორც მიკრო-, ისე მაკროდონეზე ჩამოყალიბებისა და ხარჯვის თანამედროვე მეთოდებით რეგულირებას. მიკროდონეზე – შინამეურნეობებსა და ფირმებში წარმოქმნილ პირველად ფინანსებს, რომლებიც ქმნის მუნიციპალურ ბიუჯეტს, მაკროდონეზე უნდა ჩამოეყალიბებინა სახელმწიფო ფინანსები,ხოლო ამ უკანასკნელს ახალი დამოუკიდებელი სახელმწიფო ბიუჯეტი, როგორც საზოგადოებრივი სექტორის ეკონომიკის განვითარების საფუძველი. ამიტომ საქართველოში ეკონომიკური რეფორმების I ეტაპზე ფინანსების სფეროში სრულიად განსხვავებული, ახალი ტიპის ფინანსური ურთიერთობების ფორმირება დაიწყო;

45. სახელმწიფო ფინანსები რეფორმირების პროცესში თვისებრივ გარდაქმნებს დაექვემდებარა. **ამ გარდაქმნების გარეშე შეუძლებელი იყო საზოგადოებრივი სექტორის ეკონომიკის ფორმირება და ახალ ეკონომიკურ სისტემაში მისი ფუნქციონირება.** ქვეყანაში იმოავითვე დაიწყო ფინანსური რესურსების დეცენტრალიზაციის პროცესი და მისი ძირითადი ნაწილი სახელმწიფო მმართველობიდან არასახელმწიფო სტრუქტურების დაქვემდებარებაში გადავიდა. აქედან გამომდინარე, მნიშვნელოვნად შემცირდა სახელმწიფო ხარჯები ეკონომიკის დარგთა განვითარებისათვის, ასევე, სახელმწიფო კაპიტალური დაბანდებები. ამის პარალელურად სახელმწიფო ფინანსების სფეროში დაიწყო ცენტრალური, რეგიონული და ადგილობრივი მართვის დონეების უფლებებისა და პასუხისმგებლობების გადანაწილება. სახელმწიფო ფინანსების ოპერატიული მართვა დაეკისრა საქართველოს მთავრობას,სახელმწიფო

საფინანსო და ადგილობრივ აღმასრულებელ ორგანოებს, ხაზინას, საგადასახადო სამსახურებსა და სახელმწიფო არასაბიუჯეტო ფონდების ხელმძღვანელობას;

46. საქართველოში ფინანსური რესურსების მნიშვნელოვანი ნაწილის დეცენტრალიზაციასთან ერთად, დაიწყო საბაზრო ეკონომიკის მოთხოვნებისადმი მისადაგებული დამოუკიდებელი საბიუჯეტო-საგადასახადო სისტემის ფორმირება;

47. ეკონომიკის რეფორმირების I ეტაპზე წინგადადგმულ ნაბიჯად და პოზიტიურ მოვლენად უნდა ჩაითვალოს ბიუჯეტის საშემოსავლო და საგასავლო ნაწილში არასაბიუჯეტო ფონდების ასახვა და საბიუჯეტო კლასიფიკაციის ნაწილობრივ მოწესრიგება. ამით შესაძლებელი გახდა სხვადასხვა პოზიციიდან მისი მაჩვენებლების ანალიზი;

48. 1992 წლიდან საქართველოში ჩამოყალიბებულმა მძიმე ეკონომიკურმა კრიზისმა სახელმწიფო ბიუჯეტის მწვავე დეფიციტი წარმოქმნა. მდგომარეობა კიდევ უფრო გაუარესდა 1993 წელს. ბიუჯეტის დეფიციტმა მშპ-ში უკვე 47% შეადგინა. **ასეთ სიტუაციაში ზედმეტი იყო მსჯელობა საზოგადოებრივი სექტორის ეკონომიკის განვითარებაზე, რაც დაეტყო კიდეც ქვეყნის სოციალურ სფეროს, მოსახლეობა აღმოჩნდა უკიდურესად მძიმე მდგომარეობაში**;

49. **თუ მშპ-ში განათლებისა და კულტურის წილი 1991 წელს 7,3%-ს შეადგენდა, 1993 წელს 0,9% შეადგინა. მეცნიერების წილი, შესაბამისად, იყო 0,4 და 0,09%, ჯანდაცვისა და სპორტის წილი – 3,9 და 0,3% და ა.შ.** 1995 წელს,ორწლიანი პაუზის შემდეგ,საქართველოს პარლამენტმა დაამტკიცა სახელმწიფო ბიუჯეტი,დაბალანსებულ იქნა შემოსავალი-ხარჯები. საქართველოს ეკონომიკაში დადებითი ტენდენციები გამოიკვეთა, რამაც გააუმჯობესა ქვეყნის

საბიუჯეტო-საგადასახადო მოწყობა. 1996 წლის 29 მაისს პარლამენტმა მიიღო „კანონი საბიუჯეტო სისტემისა და საბიუჯეტო უფლებამოსილებათა შესახებ“, რასაც მოჰყვა სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსავლების ზრდის ტენდენცია;

50. ამ პერიოდში ბიუჯეტის ხარჯები იმდენად მიზერული იყო, რომ სოციალური სფეროს მინიმალურ მოთხოვნილებებსაც კი ვერ აკმაყოფილებდა. საქართველოს 2001,2002,2003 წლების ნაერთი ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილი,წინა წლებთან შედარებით,ხასიათდება ზრდის ტენდენციით (შესაბამისად,15,7,15,1 და 13,9%). 2000–2003 წლებში ქვეყნის ნაერთი ბიუჯეტის შემოსავლები 43,7%-ით გაიზარდა. სუსტი ეკონომიკური ზრდა შედარებით მაღალი ტემპით შეიცვალა;

51. რთული სიტუაცია ჩამოყალიბდა საბიუჯეტო ხარჯების სტრუქტურაში. მკვეთრად შემცირდა ეკონომიკის ცალკეული დარგების დაფინანსება.

საბიუჯეტო კრიზისის დასაძლევად ყურადღება გადატანილი იყო საბიუჯეტო ხარჯების შემცირებაზე და არა შემოსავლების გაზრდაზე. ამასვე ემსახურებოდა საკანონმდებლო ბაზაც. ქვეყნის ეკონომიკისთვის არაადეკვატურ კანონმდებლობას თან ახლდა უპასუხისმგებლობა ყველა დონეზე, განუკითხაობა და დაუსჯელობა. ასე, რომ საქართველომ თავი ვერ დააღწია მწვავე საბიუჯეტო კრიზისს, რაც სისტემურ კრიზისში გადაიზარდა;

52. 2004 წლიდან დაიწყო რევოლუციურ პათოსზე მორგებული რეფორმების ახალი ტალღა. პარლამენტმა საქართველოს კონსტიტუციაში შეიტანა ცვლილებები, რამაც საპრეზიდენტო ძალაუფლების გაძლიერება გამოიწვია;

53. დასავლეთის ყურადღება მიიპყრო და მოწონება დაიმსახურა ფირმების რეგისტრაციის პრაქტიკის გა-

მარტივებამ, გადასახადებისა და ტარიფების შემცირებამ. საერთაშორისო სავალუტო ფონდმა საქართველოსთან განაახლა 2003 წელს შეჩერებული პროგრამა;

54. 2008 წლის 1 იანვრიდან საქართველოში ამოქმედდა ახალი საბიუჯეტო კლასიფიკატორი, რომლის მიხედვით ბიუჯეტის აღრიცხვა წარმოებს **სსფ**-ის 2001 წლის სახელმწიფო ფინანსების სტატისტიკის სახელმძღვანელოს შესაბამისად. საქართველოში გატარებული რეფორმა არ აღმოჩნდა საკმარისი იმისათვის, რომ ქვეყანას თავი დაეღწია მძიმე ეკონომიკური სიტუაციისაგან, განსაკუთრებით, საბიუჯეტო კრიზისისაგან. ამის მთავარი მიზეზი იყო საქართველოში მიმდინარე ტრანზიტული პროცესების მაკროეკონომიკური რეგულირების სისუსტე და ეკონომიკურ პოლიტიკაში დაშვებული შეცდომები.

შემოსავლების შემცირების ტენდენცია გამოიკვეთა ქვეყნის **მშპ**-შიც. საბიუჯეტო კრიზისის გაღრმავებას დიდად შეუწყო ხელი იმ გარემოებამაც, რომ მთავრობა არ წავიდა სახელმწიფო ხარჯების ეფექტიანობის ამაღლებისა და სტრუქტურის გაუმჯობესების გზით. საბიუჯეტო დეფიციტის შემცირების მიზნით, შემოიფარგლა მხოლოდ სახელმწიფო ხარჯების საერთო შემცირებით. რეფორმების დაწყების პირველ ეტაპზე დაარღვია ფულადი პოლიტიკისადმი საბიუჯეტო პოლიტიკის დაქვემდებარების მოთხოვნა – ფულის მასის ზრდის ტემპის შესაბამისობა **მშპ**-ის ზრდის ტემპთან, რამაც წარმოქმნა ინფლაციური გადასახადი და გაზარდა საშინაო ვალი, ხოლო შემდეგ, შეინარჩუნა რა ინფლაციის დათრგუნვის კურსი, აირჩია მეორე გზა – ძირითადად აქცენტი საგარეო ვალზე გადაიტანა;

55. **სახელმწიფო სექტორში სტრუქტურული რეფორმის გარეშე სახელმწიფო შემოსავლებისა და ხარჯების**

მკვეთრმა დაცემამ უარყოფითი გავლენა მოახდინა სოციალური დაცვის, განათლების, ჯანდაცვის, მეცნიერებისა და კულტურის სფეროებზე, მკვეთრად შეამცირა მათი ფუნქციონირების ეფექტიანობა. ხელი შეეშალა ეკონომიკის რესტრუქტურიზაციის პროცესების განვითარებასაც. საბიუჯეტო კრიზისმა მკვეთრად დააჩქარა შემოსავლების დიფერენციაციის პროცესი,გაზარდა სოციალური დაძაბულობა. ქვეყანაში ფეხი მოიკიდა მკვეთრი ქონებრივი დიფერენციაციის ტენდენციამ. **დენაციონალიზაცია საზოგადოებას შემოუბრუნდა სახელმწიფო ქონების განიავებით**. ამ პერიოდისთვის საქართველოში პრაქტიკულად ამოიწურა სახელმწიფო ხარჯების შემცირების ყველა შესაძლებლობა;

56. საგადასახადო სისტემაში (ისე როგორც მთელ მაკროსისტემაში) საქართველოს მკვეთრად გამოხატული განვითარების კურსი არ ჰქონდა. ამის დამადასტურებელია თუნდაც ის, რომ საქართველოში სახელმწიფო ხარჯების საგადასახადო დაფარვის კოეფიციენტი მხოლოდ 60–65%-ს აღწევდა. **სიტყვით თითქოს გადავდიოდით საბაზრო ეკონომიკაზე, საქმით კი სულ სხვა სურათი იყო**.

ეს პერიოდი საქართველოს ისტორიაში შევიდა ქვეყნის ნგრევის, პოლიტიკური ლოზუნგებისა და რიტორიკული მოწოდებების ხანად;

57. საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტის საგადასახადო შემოსავლების ძირითადი ნაწილი არაპირდაპირ გადასახადებზე მოდიოდა, რაც არ ითვლება ნორმალურ მოვლენად. მოუქნელთან ერთად, არასტაბილური საგადასახადო სისტემა დიდ სიძნელეებს ქმნიდა მეწარმეობის განვითარებისათვის. ხელისუფლებამ ვერ შექმნა საბაზრო სისტემის ეფექტიანი ფუნქციონირების ხელშემწყობი სამართლიანი ბაზა, რომელიც დააჩქარებდა ბიზნესის

განვითარებას,დაიცავდა კონკურენციას,უზრუნველყოფდა ბაზრის მიერ უსამართლოდ განაწილებული შემოსავლების სამართლიან გადანაწილებას,საზოგადოებრივი სექტორის ეკონომიკის განვითარებას.

იმ თეორიას, რომელიც საქართველოს ეკონომიკურ პოლიტიკას ამ პერიოდში ედო საფუძვლად, „სტაგნაციის ახალი თეორია“ შეიძლება ეწოდოს. **სახელმწიფომ ვერ დაიცვა წარმოება, რომელიც გაკოტრების ზღვარზე მივიდა, სახელმწიფომ ვერ დაიცვა ბაზარი, რომელიც სპეკულაციური ბიზნესით იყო გაჯერებული;**

58. სოციალური სამართლიანობის პრინციპი ნაკლებად იქნა გათვალისწინებული საქართველოს პოსტკომუნისტურ გარდამავალ ეკონომიკაში. **ხელისუფლებამ ვერ გაათვითცნობიერა ის, რომ გადასახადების დადგენის საკითხისადმი მხოლოდ ფისკალური მიდგომა ქვეყნის დამღუპველია;**

59. საქართველოში ამ პერიოდში განხორციელდა საგადასახადო რეფორმა და მნიშვნელოვანი ნაბიჯები გადაიდგა ამ მიმართულებით,მაგრამ ქვეყანაში,ჯერ ერთი,უკვე თავი იჩინა დაგვიანების ეფექტმა, ამოქმედდა ლაგის ფაქტორი და, მეორეც, ამ პოზიტიური პროცესის პარალელურად დაიწყო საშუალო და მსხვილ ბიზნესზე ზეწოლა, რაც შეუიარაღებელი თვალითაც კარგად ჩანდა და ისედაც მძიმე მდგომარეობაში მყოფ ეკონომიკას თავისი დაღი დაასვა. ის გარემოება, რომ რეკეტით, კერძო საკუთრების ხელყოფითა და სხვა ნეგატიური ფაქტორებით ეროვნული ეკონომიკა მძიმე მდგომარეობაში იყო, ეს გარედან, ქვეყნის საზღვრებს გარეთ არ ჩანდა, ხოლო „ვარდების რევოლუციის“ შემდეგ რომ მოხდა გადასახადების ნაწილობრივი ლიბერალიზაცია, ეს კარგად გამოჩნდა და ამიტომაც იყო,რომ საქართველო მსოფლიოში ერთ-ერთ ყველაზე მიმზიდველ საგადასახადო

სისტემის იურისდიქციად გამოცხადდა;

60. **მსოფლიოში ფართოდაა აპრობირებული საბიუჯეტო-საგადასახადო რეგულირებით მეწარმეობის განვითარების სტიმულები, რაც, თავის მხრივ, განაპირობებს სახელმწიფო ფინანსების ოპტიმიზაციასა და საზოგადოებრივი სექტორის ეკონომიკის განვითარებას**. მაკროეკონომიკური რეგულირების ამ მექანიზმმა საქართველოში ვერ პოვა სათანადო გამოყენება;

61. სტაბილიზაციისათვის აუცილებელია ქვეყნის საბიუჯეტო-საგადასახადო სფეროში ფინანსური რესურსების დროულად გამოვლენა და მართვის ეფექტიანი სისტემის შემუშავება. გასათვალისწინებელია ეკონომიკური შოკების (მაგ. ლარის გაცვლითი კურსის გაუარესება და ა.შ.) ნეგატიური ზემოქმედება სახელმწიფო ფინანსების ეფექტიან მართვაზე,რაც უშუალო გავლენას ახდენს მოსახლეობის სოციალურ დაცვასა და,ბუნებრივია,საზოგადოებრივი სექტორის ეკონომიკის განვითარებაზე.

დღეს საქართველოს ფინანსურ სისტემაში არსებული გამოწვევები განაპირობებს ინკლუზიურ ეკონომიკურ ზრდაზე ორიენტირებული ფისკალური პოლიტიკის გატარებას, რაც შესაძლებელს გახდის **საზოგადოებრივი სექტორის ეკონომიკის ფუნქციონირების გაძლიერების საფუძველზე ქვეყანაში არსებული არაორდინარული სოციალური ფონის გაუმჯობესებას;**

62. საქართველოში სახელმწიფო ფინანსების მართვა და გამოყენების ოპტიმიზაცია მათ ტერიტორიულ განაწილებასაც გულისხმობს. სხვაგვარად შეუძლებელია ქვეყნის ტერიტორიული ერთეულებისათვის გარკვეული ეკონომიკური დამოუკიდებლობის მინიჭება და ქვეყნის მასშტაბით საზოგადოებრივი სექტორის ეკონომიკის განვითარება.

ეს ცივილიზებულ სამყაროში ნებისმიერი სახელმწიფოს უმნიშვნელოვანესი ფუნქცია და პოლიტიკური სტაბილურობის ნორმაა;

63. ფისკალური ფედერალიზმის განვითარებას მოითხოვს ქვეყნის მთელ ტერიტორიაზე მაკროეკონომიკური პროპორციების შენარჩუნების, კონკურენციული გარემოს შექმნის, საზოგადოებრივი სექტორის ეკონომიკის განვითარებისა და, საბოლოო ანგარიშით, ეკონომიკური ეფექტიანობის ამაღლების აუცილებლობა. წინააღმდეგ შემთხვევაში წარმოიქმნება რეგიონული დისპროპორციები (მათ შორის სოციალურ სფეროში), რაც გამოვლინდება საბიუჯეტო რესურსების არარაციონალურ ხარჯვაში, ბიუჯეტთაშორისო პრობლემების გაღრმავებაში, უმუშევრობის ზრდაში;

64. ფისკალური ფედერალიზმი ასახავს ქვეყნის ფინანსური სისტემის ფუნქციონირების წესს. იგი გულისხმობს ერთიან პროცესში საბიუჯეტო სისტემის ყველა რგოლის მონაწილეობას, ცენტრსა და რეგიონებს, ხელისუფლების ყველა დონეს შორის ფინანსური რესურსების,საგადასახადო უფლებებისა და საბიუჯეტო პოლიტიკისადმი პოლიტიკური პასუხისმგებლობის განაწილებას;

65. ეკონომიკის რეფორმირების პირველ ეტაპზე ბიუჯეტთაშორისო ურთიერთობები გაცილებით ახლოს აღმოჩნდა მართვის ცენტრალიზებულ სისტემასთან, ვიდრე საბაზრო პრინციპებთან. თუ საბჭოურ ეკონომიკაში დაუბალანსებობა ვლინდებოდა ეკონომიკის არაეფექტიან სტრუქტურაში,რაც სხვა მიზეზებთან ერთად,სასაქონლო დეფიციტს წარმოქმნიდა,პოსტკომუნისტური გარდამავალი პერიოდის დაწყებიდან მოყოლებული, იგი ყველა დონის ბიუჯეტის საშემოსავლო ბაზის მკვეთრ შემცირებასა და ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობაში გამოვლინდა. მათ ფაქტობრივად დაკარგეს საინვესტიციო ფუნქცია და

სამომხმარებლო ბიუჯეტებად გადაიქცნენ;

66. მაღალმა გადასახადებმა მკვეთრად დააქვეითა რეგიონების ბუნებრივ-ეკონომიკური პოტენციალის გამოყენების დონე და ხარისხი. დაეცა სახელმწიფო ფინანსური რესურსების ეფექტიანობა, თუმცა, სწრაფი ტემპით დაიწყო ზრდა ფარული ეკონომიკის მასშტაბებმა. ქვეყანაში იმძლავრა კონტრაბანდამ. მწვავე საბიუჯეტო კრიზისმა პერმანენტული ხასიათი მიიღო.

ცენტრალური და ტერიტორიული ხელისუფლების სტრუქტურებს შორის საგადასახადო უფლებამოსილებისა და პასუხისმგებლობის განაწილება მეტად მნიშვნელოვანია და რაც უფრო ნაკლებ დემოკრატიულია სახელმწიფო, ეს პრობლემა მით უფრო მწვავედ დგას;

67. საქართველოში საბიუჯეტო-საგადასახადო სფეროში შექმნილმა კრიზისულმა მდგომარეობამ დაღი დაასვა საგადასახადო უფლებამოსილებისა და პასუხისმგებლობის განაწილებას მმართველობის იერარქიულ დონეებს შორის. ამ პრობლემამ კიდევ უფრო გაამწვავა ბიუჯეტთაშორისო ურთიერთობები. დაირღვა ფისკალური ფედერალიზმის პრინციპები, დემოკრატიული დეცენტრალიზაციის პროცესი;

68. ადგილობრივი ბიუჯეტების დამოუკიდებლობა ფიქციად იქცა. გადასახადების ადმინისტრირების დაბალმა დონემ წარმოქმნა შეუსაბამობა გადასახადების ფაქტობრივ დონესა და რეგიონების პოტენციურ შესაძლებლობებს შორის. საგადასახადო უფლებამოსილების ტერიტორიული განაწილება და ხელისუფლების ქვემდგომი ორგანოებისათვის ავტონომიის მინიჭების კანონმდებლობა ნაკლებად ეყრდნობოდა ევროკავშირსა და სხვა საერთაშორისო ორგანიზაციებში მიღებულ სტანდარტებს და არ ითვალისწინებდა „სახელმწიფოს დემოკრატიული განვითარების კრიტერიუმს“;

69. ხელისუფლების ადგილობრივ ორგანოებს არ ჰქონდათ უფლება თავად განესაზღვრათ საგადასახადო ბაზა, საგადასახადო განაკვეთები და გადახდის პირობები. მათთვის ამ უფლების მინიჭების მსოფლიოში აპრობირებული პრაქტიკის იგნორირება ხელს უშლიდა ტერიტორიული ერთეულების ხელისუფლების ავტონომიურობის ამაღლებას მათი კომპეტენციის ფარგლებში. ხელისუფლების სხვადასხვა დონეებს შორის დარღვეული იყო საგადასახადო შენატანების განაწილებაში წილობრივი მონაწილეობის პრინციპი;

70. საქართველოს რეგიონების სოციალურ-ეკონომიკური განვითარების კომპლექსური პროგრამის შეუმუშავებლობის გამო, ფისკალური ფედერალიზმი პრიმიტიულ დონეზე დარჩა და სათანადო როლი ვერ შეასრულა ქვეყნის რეგიონულ განვითარებაში. თავის მხრივ, ტერიტორიული მოწყობის ადეკვატური რეგიონული ფისკალური ფედერალიზმის უქონლობის გამო, ვერ მოხერხდა საგადასახადო ბაზის გაფართოება, ეკონომიკური პროპორციების დამყარება და ეკონომიკური ზრდის სტიმულირება. **ფისკალური ფედერალიზმის დაბალი მულტიპლიკაციური ეფექტი ნეგატიურად აისახა საზოგადოებრივი სექტორის ეკონომიკის ფორმირება-განვითარებაზე და გამოიხატა უმუშევრობისა და ურბანიზაციის სწრაფ ზრდაში, სოფლად სამუშაო ძალის დეფიციტში, ადგილობრივი შრომითი რესურსების უცხოეთში გადინებაში და ა.შ.;**

71. საქართველოში ბიუჯეტთაშორისო ურთიერთობების რეგულირება და ფისკალური ფედერალიზმი მწვავე პრობლემების წინაშე აღმოჩნდა. საბიუჯეტო პოლიტიკისადმი პოლიტიკური პასუხისმგებლობის ამაღლება და რეგიონულ და ადგილობრივ დონეებზე ფინანსური რესურსებისა და

საგადასახადო პასუხისმგებლობის სწორი განაწილება ქვეყნის მასშტაბით საზოგადოებრივი სექტორის ეკონომიკის განვითარების გარანტია;

72. დამოუკიდებლობის აღდგენის შემდეგ განვლილმა პერიოდმა საქართველოში ნათლად წარმოაჩინა ეკონომიკური უსაფრთხოების ფართო სპექტრი და მისი მაღალი მულტიპლიკაციური ეფექტი. თუმცა, ეკონომიკური უსაფრთხოების უზრუნველყოფა არ არის პრიორიტეტული მის მიზნობრივ ორიენტირებს შორის. დღეს საქართველოს არა აქვს ეკონომიკური უსაფრთხოების პროგრამა.

ეკონომიკური უსაფრთხოების პრობლემისადმი სახელმწიფო რეგულაციის შესუსტება მრავალ ნეგატიურ ტენდენციას განაპირობებს, რომელთა ნეიტრალიზაცია უდიდეს მატერიალურ და ფინანსურ სახსრებს მოითხოვს, არღვევს ქვეყნის ეკონომიკურ პოტენციალს,მის კულტურას და საფრთხეს უქმნის სახელმწიფოებრიობას;

73. ეკონომიკურ სისტემასთან ერთად შეიცვალა საზოგადოებაც. დარღვეულია თანაცხოვრების ჰარმონია. ეკონომიკურმა რეფორმებმა მოითხოვა არა მარტო ცხოვრების ახალი პირობებისადმი შეგუება,არამედ ეკონომიკური ქცევის შეცვლაც,რისთვისაც მზად არ იყო საქართველო. ეკონომიკის კონვერსიის მოუფიქრებელმა,სხვისი კარნახით განხორციელებამ და საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლისათვის აუცილებელი ცოდნის მწვავე დეფიციტმა საფრთხის წინაშე დააყენა ქვეყნის ეკონომიკური განვითარება. ეს პრობლემა არ არის მხოლოდ საქართველოს სატკივარი,იგი გლობალური პრობლემაა და მის „სუსხს“ განსაკუთრებით სუსტად განვითარებული ქვეყნები გრძნობენ;

74. ეროვნული პროდუქციის კონკურენტუნარიანობის ამაღლების პრობლემა როგორც მსოფლიო, ისე შიდა ბაზრებზე ეკონომიკური უსაფრთხოების მნიშვნელოვანი

მხარეა, თუმცა, ჯერ კიდევ, არ გადადგმულა პრაქტიკული ნაბიჯები მისი გადაჭრისთვის. საქართველოში მიმდინარე ფსევდორეფორმებმა დასცა სამამულო პროდუქციის კონკურენტუნარიანობა, რამაც უარყოფითი გავლენა მოახდინა წარმოების განვითარებაზე და კიდევ უფრო გააღრმავა ეკონომიკური კრიზისი;

75. განუვითარებელი ადგილობრივი წარმოება ვერ აკმაყოფილებს საშინაო ბაზრის მოთხოვნებს, ამიტომ ერთობლივი მოთხოვნის უდიდესი ნაწილი იმპორტირებული პროდუქციით კმაყოფილდება. არასახარბიელოა ექსპორტის სასაქონლო სტრუქტურაც, რომელშიც ჭარბობს ბუნებრივი რესურსები და ნედლეული. ბევრი ტრადიციული საქონელი, რომლის საწარმოებლად ქვეყანას აქვს გარკვეული აბსოლუტური და შეფარდებითი უპირატესობა, შემოდის უცხოეთიდან. ყოველივე ეს ნეგატიურად აისახება საქართველოს ეკონომიკაზე, სახელმწიფო ფინანსების სიდიდეზე,ეკონომიკურ უსაფრთხოებაზე და,აქედან გამომდინარე,საზოგადოებრივი სექტორის ეკონომიკის ფუნქციონირებაზე;

76. რაციონალური ბუნებათსარგებლობა და ეკოლოგიური უსაფრთხოების უზრუნველყოფა საქართველოს ეკონომიკური განვითარების მნიშვნელოვანი ფაქტორია. იგი უშუალო გავლენას ახდენს ქვეყნის სოციალურ ორიენტირებულობასა და საზოგადოებრივი სექტორის ეკონომიკის განვითარებაზე;

77. საქართველოში გარემოს დაბინძურების ერთ-ერთი მთავარი მიზეზი ადგილობრივი თუ იმპორტირებული რესურს– და ენერგოტევადი მოძველებული მანქანა-მოწყობილობები და ტექნოლოგიებია, რომლებსაც დომინირებული ადგილი უჭირავთ ქვეყნის ეკონომიკაში. სიტუაციას ამძიმებს ეკოლოგიურად საშიში სხვადასხვა დანიშნულების საქონლის იმპორტიც, მათ შორის, ეკოლოგიური

საფრთხის გამოვლენის ერთ-ერთ ფორმად არ შეიძლება არ დავასახელოთ ჯანმრთელობისთვის საშიში კვების პროდუქტები;

78. ეკოლოგიური პროცესის დარეგულირება საბაზრო მექანიზმით დიდ როლს შეასრულებს ეკოლოგიური უსაფრთხოების უზრუნველყოფაში, რაც, თავის მხრივ, სოციალურ ორიენტირებულობას გაზრდის ქვეყანაში და ხელს შეუწყობს საზოგადოებრივი სექტორის ეკონომიკის განვითარებას;

79. **აშშ-სა და სხვა განვითარებულ ქვეყნებში (გერმანია, შვეიცარია...) დიდი ყურადღება ექცევა ეკოლოგიური ექსპერტიზის მექანიზმს უარყოფითი გარე ეფექტების შეფასებისათვის**,რაც საზოგადოებრივი სექტორის ეკონომიკის კვლევის სფეროა. ეკოლოგიური ექსპერტიზა ითვალისწინებს ფირმებისთვის ეკოლოგიური ექსპერტიზის უფლების მიცემასა და ახალი პროდუქციის ეკოლოგიური ექსპერტიზის, ბაზრებზე პროდუქციის იმ ახალი სახეობების არდაშვებას, რომლებიც ვერ პასუხობენ ეკოლოგიურ მოთხოვნებს;

80. აშშ-ში 80-იანი წლებიდან ფართო გავრცელება პოვა „წმინდა“ ტექნოლოგიების შეძენის წახალისებისთვის საინვესტიციო ბანკების მიერ უპროცენტო სესხების გაცემის პრაქტიკამ. მრეწველობისთვის ასეთი ტექნოლოგიების მიწოდების საშუალოდ 40% ყოველწლიურად ფინანსდება საინვესტიციო ბანკების მიერ. სესხების დროული დაფარვის გარანტი თვით სახელმწიფოა. გარდა ამისა,გარემოს დაცვის მიზნით,მცირე და საშუალო მეწარმეების დახმარებისათვის როგორც სახელისუფლო ორგანიზაციები,ისე კომერციული ბანკები,სახელმწიფო გარანტიების საფუძველზე,იძლევიან გრძელვადიან სესხებს (30 წლის ვადით) დაბალი პროცენტით (6,6%),500 ათასი დოლარის ფარგლებში. ამასთან, მცირე ფირმებს ეძლევათ გარკვეული დახმარება გარემოს

დაცვის მიზნით;

81. გარემოს დაცვაზე ეკონომიკური ბერკეტების ზემოქმედების სისტემა საგადასახადო და საკრედიტო ხასიათის ღონისძიებათა ნაკრებია,რომელთა გათვალისწინება აუცილებელია საქართველოში ეკოლოგიური რეგულირების მიზნით. ამასთან,მეტად საყურადღებოა მსოფლიოში აპრობირებული გამოცდილების გათვალისწინება **ეკოლოგიური ბანკების** შექმნასთან დაკავშირებით. ასეთი ბანკების დეპოზიტები არის არა ფინანსური რესურსები, არამედ დასაშვებ ნორმაზე ზევით დაბინძურების მოცულობის შემცირების დოკუმენტურად დამტკიცებული ტექნიკური მაჩვენებლები,რაც კომერციული გაცვლის საგანია. ეკოლოგიურ რეგულირებაში საბაზრო ურთიერთობების გამოყენების ამ მეთოდმა ფართო გავრცელება პოვა განვითარებულ ქვეყნებში. იგი უკავშირდება გარემოს დაბინძურების უფლების ბაზრის შექმნას;

82. ფირმებს,გარემოს დაბინძურების „ზენორმატიული“ შემცირებით, შეუძლიათ თავიანთი „ნამეტი“ ეკოლოგიური ბანკების მეშვეობით მიჰყიდონ სხვა ფირმებს. ეს „ნამეტი“ გადაიქცევა საქონლად, რომელიც სტიმულს აძლევს ფირმებს არა მხოლოდ დაიცვან კანონმდებლობით გათვალისწინებული ბუნების დაცვის ნორმები, არამედ კიდევ უფრო შეამცირონ გარემოს დაბინძურების დონე, რათა ამით მიეცეთ შესაძლებლობა მათაც აწარმოონ ეს „ნამეტი“;

83. ეკოლოგიური დისბალანსის ლიკვიდაცია და ეკოლოგიური წონასწორობისკენ სწრაფვა შესაძლებელია ეკონომიკის ტექნოლოგიური დონის არსებითი ამაღლებითა და უარყოფითი გარე ეფექტების ნიველირებით;

84. საქართველოში ეკოლოგიური უსაფრთხოების დაცვის მიზნით, აუცილებელია შემუშავდეს **ეროვნული**

ეკოლოგიური პროგრამა, რომელიც უნდა მოიცავდეს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების გამოყენების, ნორმატივების შემუშავების, დადგენისა და კონტროლის სხვადასხვა მექანიზმს. განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს ტექნოლოგიების დანერგვის ნორმატივებს და შემოღებულ იქნეს სხვადასხვა ადმინისტრაციული სანქციები, რაც უზრუნველყოფს დადგენილი ნორმატივების დაცვას. აუცილებელია დასაშვებ ნორმაში მოექცეს ატმოსფერული ჰაერის დაბინძურება ისეთი მომწამვლელი გაზებით, როგორიცაა ნახშირორჟანგის, აზოტისა და გოგირდის ორჟანგის გამონაბოლქვები, წარმოებული მყარი ნარჩენები, სამრეწველო და საყოფაცხოვრებო მავნე ნარჩენები. ამისათვის განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს ავტომანქანების ტექნიკური გაუმართაობის აღკვეთას,დაბინძურებისგან წყლის რესურსების დაცვასა და ა.შ.;

85. საქართველოს სანიტარიისა და ჰიგიენის ინსტიტუტის გამოკვლევებმა დაადასტურა, რომ ქვეყანაში ატმოსფერული ჰაერის დაბინძურების მძლავრ წყაროს ავტომანქანების გამონაბოლქვი აირები წარმოადგენს. მისი ხვედრითი წონა 60 65%–ია, ხოლო თბილისში 80%–ს აღემატება. განსაკუთრებით დიდი რაოდენობით ჭვარტლი და კანცეროგენული ფისოვანი ნივთიერებები გამოიყოფა ძრავის გაუმართაობის შედეგად. აღინიშნება გოგირდის ანჰიდრიდისა და აზოტის ორჟანგის მაღალი კონცენტრაცია, რომელიც თბილისის ზოგიერთ რაიონში 20–ჯერ აღემატება დასაშვებ ნორმას. ძალზე სახიფათოა ჯანმრთელობისათვის ეთილირებული ბენზინის შემადგენლობაში ტყვიის არსებობა;

86. საქართველოში გარემოს დაცვის ღონისძიებების აქტივიზაცია დადებით გავლენას მოახდენს ეკონომიკურ კონიუნქტურაზე,საბაზრო მექანიზმს ეკოლოგიზაციის მიმარ-

თულებას მისცემს და ხელს შეუწყობს ეკოწონასწორობის აღდგენას,რაც,თავის მხრივ,პოზიტიურ გავლენას მოახდენს საზოგადოებრივი სექტორის ეკონომიკის განვითარებაზე, ხელს შეუწყობს საქმიანი აქტიურობის გამოცოცხლებას;

87. უკანასკნელი წლების გამოცდილებამ საქართველოში ნათლად დაგვანახა სასურსათო უსაფრთხოების ფართო სპექტრი და მისი მაღალი მულტიპლიკაციური ეფექტი;

88. საქართველოს სასურსათო სფეროს დამოკიდებულება მსოფლიო ბაზარზე არ არის ინტეგრაციული პროცესების გამომხატველი. ეს არის ცალმხრივი დამოკიდებულება,რომლის მასშტაბები და სასაქონლო ხარისხი სერიოზულ საფრთხეს უქმნის როგორც ეროვნული ეკონომიკის განვითარებას, ისე მოსახლეობის ჯანმრთელობას. ეს პრობლემა დღეს განიხილება არა როგორც იშვიათი შემთხვევა, არამედ როგორც პერმანენტული პროცესი, რომელიც მოითხოვს სახელმწიფოს აქტიურ ჩარევას;

89. საქართველოში სურსათის ნახევარზე მეტი შემოდის საზღვარგარეთიდან და სასურსათო პროდუქციის მოსახლეობისათვის მიწოდება ძირითადად ხორციელდება იმპორტის ხარჯზე,საკუთარი წარმოების საზიანოდ;

90. საქართველოში სუსტია სოფლის მეურნეობის ტექნიკური აღჭურვილობა,მატერიალურ-ტექნიკური ბაზა,ეცემა მიწების ნაყოფიერება,უარესდება სოფლის მოსახლეობის გენოფონდი. დემპინგური ფასებით სურსათის იმპორტმა უკიდურესად დასცა სოფლის მეურნეობის წარმოება. სოფლის მოსახლეობის ინტენსიურმა მიგრაციამ ქალაქად, ასევე,სხვა ნეგატიურმა პროცესებმა უდიდესი საფრთხის წინაშე დააყენა ქართული სოფელი და შოკისმომგვრელი ეფექტები წარმოქმნა;

91. მსოფლიოს საბაზრო კონიუნქტურაზე დამოკიდებულება, წარმოებრივი სიმძლავრეების გამოუყენებლობა,

ძირითადი კაპიტალის ფიზიკური და მორალური ცვეთის მკვეთრი ზრდა,ეროვნული სიმდიდრის განადგურება – აი ის ძირითადი მახასიათებლები,რითაც დღეს „დამშვენებულია“ საქართველოს არა მხოლოდ აგრარული სექტორი,არამედ მთელი ეროვნული ეკონომიკა;

92. რაციონალური ბუნებათსარგებლობის ეკონომიკური ასპექტების კვლევაში მნიშვნელოვანი ადგილი ექსტერნალიების,გარე ეკონომიკური ხარჯების პრობლემას უჭირავს. მისი არსი მდგომარეობს იმაში, რომ ხშირ შემთხვევაში სამეურნეო საქმიანობის ზოგიერთი რეალური შედეგი და ხარჯი,რაც გარე უარყოფით ეფექტებში აისახება,ყურადღების მიღმა რჩება. მას მიეკუთვნება გარემოს დაბინძურება და მასთან დაკავშირებული ხარჯები,რომლებიც ხშირად არ აისახება საწარმოს წარმოებრივ დანახარჯებში და მითუმეტეს სოციალურ ხარჯებში. ამიტომ **აუცილებელია ექსტერნალიების ასახვა წარმოების დანახარჯებში შესაბამისი საკანონმდებლო ბაზის შექმნის საფუძველზე**;

93. მდგომარეობის გამოსასწორებლად აუცილებელია სახელმწიფოს პოლიტიკური ნება და აქტიური მხარდაჭერა, პროტექციონისტული პოლიტიკის გატარება, სოფლად ინფრასტრუქტურის განვითარება, შრომითი რესურსების ადგილზე დამაგრება,სოფლის მეურნეობის ინდუსტრიალიზაციის დონის ამაღლება, ეკოლოგიურად სუფთა პროდუქციის მწარმოებელთა წახალისება,სატყეო მეურნეობის, თევზჭერისა და ნადირობის განვითარება (და არა ტყეების გაჩეხვა და უცხოელებზე გასხვისება),შესაბამისი კადრების მომზადება და ა.შ. ამას თვით ეროვნული ტრადიციებიც გვკარნახობს;

94. აგრარული სექტორის განვითარება საქართველოს ერთ-ერთი პრიორიტეტი უნდა გახდეს,მაგრამ არა გენერა-

ლური სტრატეგია. აგრარულმა სექტორმა უნდა შეძლოს შიდა საწარმოო და სამომხმარებლო მოთხოვნის მნიშვნელოვანწილად დაკმაყოფილება, ამას თვით ქვეყნის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ეკონომიკური სტრატეგიის – ტურიზმის განვითარებაც გვკარნახობს.

95. სასურსათო უსაფრთხოების თანამედროვე პრობლემები დიდ საზოგადოებრივ ძალისხმევას მოითხოვს, რომელშიც მნიშვნელოვანი როლი საზოგადოებრივი სექტორის ეკონომიკის განვითარებამ უნდა შეასრულოს.

*

* *

ალბათ ნაკლებად მოიძებნება ქვეყანა,რომელიც არსებობის ამდენი ხნის ისტორიით ამაყობდეს და თავისი ისტორია დასაბამიდან დღემდე ესოდენ არაორდინარული,სხვებისგან ასე განსხვავებული ჰქონდეს. ქვეყანა ბრძოლით იკაფავს გზას შინაური თუ გარეშე მტრების ხელყოფისაგან. შემთხვევით არ შენიშნავდა ილია ჭავჭავაძე, რომ „ქართველების სიმღერა გაბმული კვნესაა“. დღესაც„სინათლის“ საოცარი დეფიციტის პირობებში, რთული პრობლემების წინაშეა საქართველო, მაგრამ თუ სწორად წარმართავს ეკონომიკურ პოლიტიკას,პირველ რიგში,კი იაპონიის გამოცდილებაზე დაყრდნობით განავითარებს ეროვნულ ეკონომიკას, მაღალპასუხისმგებლობამინიჭებულ მის საზოგადოებრივ სექტორს,ქვეყანა თავს დააღწევს მძიმე ეკონომიკურ მდგომარეობას, რაც იქნება ყველა სხვა პრობლემის გადაჭრის საწინდარი.

გამოყენებული და საორიენტაციო ლიტერატურა

აბესაძე რ. ეკონომიკური განვითარების თეორია. თბილისი, „თსუ პაატა გუგუშვილის ეკონომიკის ინსტიტუტის გამომცემლობა“,2016;

აბესაძე რ. ეკონომიკური განვითარება. მეორე გამოცემა. თბილისი, „თსუ პაატა გუგუშვილის ეკონომიკის ინსტიტუტის გამომცემლობა“,2015;

აბესაძე რ. ეკონომიკური განვითარება და ეკონომიკური რეგრესი. თბილისი,„თსუ პაატა გუგუშვილის ეკონომიკის ინსტიტუტის გამომცემლობა“,2014;

აბესაძე რ. მოსახლეობის ცხოვრების დონე, სიღარიბე და უმუშევრობა საქართველოში. „შრომები“. XI ტომი. საქართველოს ეკონომიკურ მეცნიერებათა აკადემია. თბილისი, გამომცემლობა „სიახლე“,2013;

აბრალავა ა. ეროვნული ეკონომიკა და გლობალიზაცია. თბილისი,„ინოვაცია“,2005;

ანანიაშვილი ი., პაპავა ვ. გადასახადები, მოთხოვნა და მიწოდება: ლაფერ-კეინზიანური სინთეზი. თბილისი, გამომცემლობა „სიახლე“,2009;

არჩვაძე ი. საქართველოს მოსახლეობის თანამედროვე სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის ზოგიერთი ასპექტი. „სოციალური ეკონომიკა“,2010,№1;

არჩვაძე ი. რა ფერისაა მილიარდი? თბილისი„მერკური“, 2002;

ასათიანი რ. კეთილდღეობის ეკონომიკის თანამედროვე მოდელები. „ეკონომისტი“,2017,№1;

ასათიანი რ. სოციალური საბაზრო ეკონომიკა საბაზრო ეკონომიკის უმაღლესი ფორმა. „ახალი ეკონომისტი“, 2017,№1;

ასათიანი რ. ეკონომიკური პოლიტიკის ძირითადი მიმართულების შეცვლის აუცილებლობა საქართველოში. „ეკონომისტი“,2016,№1;

ასათიანი რ. კონკურენციის თეორიები და ახალი ინოვაციური სისტემა. „ახალი ეკონომისტი“. 2016,№2;

ასათიანი რ. საზოგადოებრივი სექტორის ეკონომიკის, როგორც მეცნიერების,გენეზისი. „ეკონომისტი“,2016,№3;

ასათიანი რ. ეკონომიკური უსაფრთხოების სტრატეგია,„ჰოლანდიური დაავადება“ და საქართველო. „ბიზნეს-ინჟინირინგი“,2016,№4;

ასათიანი რ. ეკონომიკური უსაფრთხოება სახელმწიფო რეგულირების სისტემაში. „ინოვაციური ეკონომიკა და მისი ფორმირების პრობლემები პოსტკომუნისტურ ქვეყნებში“. **თსუ** პაატა გუგუშვილის სახელობის ეკონომიკის ინსტიტუტი. საერთაშორისო სამეცნიერო-პრაქტიკული კონფერენციის მასალათა კრებული. 2016,1-2 ივლისი. თბილისი,2016;

ასათიანი რ. ინსტიტუციური გარდაქმნები და მათი შედეგები საქართველოს ეკონომიკაში. **თსუ** პაატა გუგუშვილის სახელობის ეკონომიკის ინსტიტუტი. შრომების კრებული. ტომი VIII,2015;

ასათიანი რ. XX საუკუნის მსოფლიო ეკონომიკის კონცეპტუალური ანალიზი და საქართველოს ეკონომიკური პორტრეტი. თბილისი,გამომცემლობა „სიახლე“,2015;

ასათიანი რ. თანამედროვე ეკონომიკის მცირე ენციკლოპედია. თბილისი,გამომცემლობა „სიახლე“,2014;

ასათიანი რ. საით მიდის საქართველო? სოციალურ-ეკონომიკური განვითარების კონცეპტუალური ანალიზი. თბილისი,გამომცემლობა „სიახლე“,2014;

ასათიანი რ. საზოგადოებრივი სექტორის ეკონომიკის სწავლების აუცილებლობა საქართველოს უმაღლეს სასწავლებლებში. „სოციალური ეკონომიკა“,2014,№1;

ასათიანი რ. საზოგადოებრივი სექტორის ეკონომიკა. სასწავლო პროგრამა ბაკალავრების,მაგისტრანტებისა და დოქტორანტებისათვის. თბილისი,გამომცემლობა „სიახლე“, 2014;

ასათიანი რ. ბიუჯეტთაშორისო ურთიერთობების სახელმწიფო რეგულირება და საბიუჯეტო ფედერალიზმის განვითარება საქართველოში. „საქართველოს ეკონომიკური და სოციალური განვითარების მიმართულებები, მოსაზრებები,წინადადებები,რეკომენდაციები“. თსუ პაატა გუგუშვილის ეკონომიკის ინსტიტუტი. თბილისი,2013;

ასათიანი რ. ზოგადი ეკონომიკური თეორია და მისი სწავლების აღდგენის აუცილებლობა (საკითხის დასმის წესით). თბილისი,გამომცემლობა „სიახლე“,2013;

ასათიანი რ. საზოგადოებრივი სექტორის ეკონომიკა და მისი განვითარების თავისებურებები საქართველოს გარდამავალ ეკონომიკაში. „პოსტკომუნისტური ქვეყნების ეკონომიკების აქტუალური პრობლემები თანამედროვე ეტაპზე“. თსუ პაატა გუგუშვილის ეკონომიკის ინსტიტუტი. საერთაშორისო სამეცნიერო-პრაქტიკული კონფერენციის მასალები. 28-29 ივნისი,2013. თბილისი,2013;

ასათიანი რ. ახალი მსოფლიო წესრიგი და მისი პრინციპების რეალიზაციის არსებული მდგომარეობა საქართველოში. „საქართველოს ეკონომიკა“,2013,№12;

ასათიანი რ. სახელმწიფო როგორც ეკონომიკური გან-

ვითარებისა და ეროვნული თანხმობის გარანტი. „ეროვნული ეკონომიკები და გლობალიზაცია“. საერთაშორისო სამეცნიერო–პრაქტიკული კონფერენციის მასალები. თსუ პაატა გუგუშვილის ეკონომიკის ინსტიტუტი. თბილისი,28-29 ივნისი,2012;

ასათიანი რ. ეკონომიკური წესრიგი და დემოკრატიული სისტემა. „საქართველოს ეკონომიკა“,2012,№9;

ასათიანი რ. ბიუჯეტთაშორისო ურთიერთობების სახელმწიფო რეგულირება – პირველი რიგის ამოცანა. „ახალი ეკონომისტი“,2012,№4;

ასათიანი რ. გლობალიზაცია, რელიგიურ ეთიკაზე აგებული ეკონომიკური თეორია და საქართველო. „საქართველოს ეკონომიკა“. მთავარი რედაქტორი **ასათიანი რ.** თბილისი,გამომცემლობა „სიახლე“,2012;

ასათიანი რ. ეკონომიკის სოციალური ორიენტაცია - ეკონომიკური უსაფრთხოების მნიშვნელოვანი ინდიკატორი. „სოციალური ეკონომიკა“,2012,№3;

ასათიანი რ. სამეცნიერო-ტექნოლოგიური პროგრესი – სამეცნიერო-ტექნიკური პროგრესის განვითარებული ფორმა. „ბიზნეს-ინჟინირინგი“,2012,№4;

ასათიანი რ. საქართველოს სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობა XXI საუკუნის მეორე ათეულის დასაწყისში. „შრომები“. X ტომი. საქართველოს ეკონომიკურ მეცნიერებათა აკადემია. თბილისი, გამომცემლობა „სიახლე“, 2012;

ასათიანი რ. გლობალური კონკურენტუნარიანობის რეიტინგი და საქართველო. „საქართველოს ეკონომიკა“. 2011,№2;

ასათიანი რ. გლობალიზაციის ეპოქალური პროცესი და ეკონომიკური თეორია ახალი გამოწვევების წინაშე. „ახალი ეკონომისტი“, 2010,№2;

ასათიანი რ. სოციალური დიფერენციაციის მოდელები და საქართველო. „სოციალური ეკონომიკა“,2010,№2;

ასათიანი რ. საქართველოს ეკონომიკა არასაბაზრო კაპიტალიზმის ჩიხში. „ეკონომისტი“. 2009,№1;

ასათიანი რ. გარე ეფექტები და „გადასხმის ხარჯები“. „ეკონომისტი“,2009,№2;

ასათიანი რ. პრივატიზაცია, ინსტიტუციური მიბმის კონცეფცია და საქართველო. „სოციალური ეკონომიკა“. 2009,№2;

ასათიანი რ. საქართველოს ეკონომიკა. ახალი ეპოქა. თბილისი,გამომცემლობა „სიახლე“,2009;

ასათიანი რ. საზოგადოებრივი სექტორის ეკონომიკა და სოციალური რეფორმები. „შრომები“. VI ტომი. საქართველოს ეკონომიკურ მეცნიერებათა აკადემია. თბილისი, გამომცემლობა „სიახლე“,2008;

ასათიანი რ. პატარა ქვეყანას დიდი შეცდომების უფლება არა აქვს. თბილისი,გამომცემლობა „სიახლე“,2005;

ასათიანი რ. მცდარი მონეტარისტული პოსტულატები და საქართველო ილუზიების ტყვეობაში. „შრომები“. IV ტომი. საქართველოს ეკონომიკურ მეცნიერებათა აკადემია. თბილისი,გამომცემლობა „სიახლე“,2004;

ასათიანი რ. საით მივყავართ რეფორმებს? (ეკონომიკის რეფორმირების ალტერნატიული სტრატეგია). „ეკონომიკა“, 2004,№4;

ასათიანი რ. ახალი მსოფლიო წესრიგი და სამოქალაქო საზოგადოების მშენებლობა. „მაკრო მიკრო ეკონომიკა“, 2003,№4;

ასათიანი რ. „ახალი სოციალური საკითხი“ და სიღარიბის წინააღმდეგ ბრძოლა. „შრომები“. II ტომი. საქართ-

ველოს ეკონომიკურ მეცნიერებათა აკადემია. თბილისი, გამომცემლობა „სიახლე“,2001;

ასათიანი რ. „ძვირი ფულის“ პოლიტიკა ძვირად დაგვიჯდა. „საქართველოს რესპუბლიკა“,2000,7 VII;

ასათიანი რ. საქართველოს სოციალური სტრატიფიკაცია ეკონომიკური რეფორმების ფონზე. „ეკონომიკა“, 2000, №9-12;

ასათიანი რ. საქართველოს ეკონომიკური დამოუკიდებლობა და ეროვნული ეკონომიკის განვითარების პრიორიტეტები. „რეგიონის განვითარების სოციალურ-ეკონომიკური პრობლემები“. III საერთაშორისო კონფერენციის მასალები. ქუთაისი,1999.

ასათიანი რ. ეკონომიკის გაჯანსაღება სწორი დიაგნოზის დასმით უნდა დავიწყოთ. „ჯორჯიან თაიმსი“,1994 (009);

ასათიანი რ. მთავარია შეიქმნას კონკურენტუნარიანი ბაზარი. „რეფორმა“,1994,XII;

ასათიანი რ. მომსახურება და საბაზრო სისტემა. თბილისი„თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა“,1993;

ასათიანი რ. ნაწილობრივ მაინც დავძლიოთ „ინფორმაციული შიმშილი“. „ბანკი“,1993 №6 (30);

ასათიანი რ. როგორი ბაზარი გვსურს? „საქართველოს რესპუბლიკა“. 1992,№50 (323);

ასათიანი რ. საბაზრო ინფრასტრუქტურა. „ეკონომიკა“, 1991,№7-8;

ბარათაშვილი ე. რეგიონალიზმი: თეორია და პრაქტიკა. თბილისი„აფხაზეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა“,2010;

ბასილია თ., სილაგაძე ა., ჩიკვაიძე თ. პოსტსოციალისტური ტრანსფორმაცია: საქართველოს ეკონომიკა XX საუკუნის მიჯნაზე. თავი V,VI. თბილისი,2001;

ბერიძე თ. ეკონომიკური ზრდა და ეკონომიკური განვითარება. „შრომები“. X ტომი. საქართველოს ეკონომიკურ მეცნიერებათა აკადემია. თბილისი,გამომცემლობა „სიახლე“, 2012;

გველესიანი მ. რა არის ეკონომიკური პოლიტიკა. თბილისი,„კომენტარი“,2008;

გლობალიზაციის პრობლემები: საერთაშორისო დისკუსია და ქართული ხედვა. „კომენტარი“,№1 (სარედაქციო წერილი);

თოთაძე ა. რად არ გაფიქრებს შენი მოდგმის გადაშენება? დემოგრაფიული ვითარება საქართველოში ეროვნული კატასტროფის ტოლფასია. თბილისი,„უნივერსალი“,2017;

ისმაილოვი ელ., პაპავა ვ. ცენტრალური კავკასია: გეოპოლიტიკური ეკონომიის ნარკვევები. თბილისი,„დიოგენე“, 2007;

კაკულია მ. ეკონომიკური შენელება საქართველოში: პოლიტეკონომიური ასპექტი. საქართველოს სტრატეგიისა და საერთაშორისო ურთიერთობათა კვლევის ფონდი. თბილისი,2013;

კაკულია მ. საქართველოსა და ევროკავშირს შორის თავისუფალი ვაჭრობის შესაძლო მაკროეკონომიკური ეფექტი. „შრომები“. VIII ტომი. საქართველოს ეკონომიკურ მეცნიერებათა აკადემია. თბილისი,გამომცემლობა „სიახლე“. 2010;

კაკულია რ. გლობალური ეკონომიკა და სახელმწიფოს ეკონომიკური რეგულირების ასპექტები. „შრომები“. V ტომი. საქართველოს ეკონომიკურ მეცნიერებათა აკადემია. თბილისი,გამომცემლობა „სიახლე“. 2005;

კახნიაშვილი ჯ. მაკროეკონომიკა: თეორია და პოლიტიკა. მეცნიერ-რედაქტორი **ასათიანი რ.** თბილისი, გამომცემლობა „სიახლე“, 1998;

კრუგმანი პ. როგორ მოახერხეს ეკონომისტებმა ყველაფრის არასწორად გაგება? თარგმანი ინგლისურიდან. „საქართველოს ეკონომიკა“,2009,№10;

ლეიაშვილიპ. ეკონომიკური მოღვაწეობა: სისტემური ანალიზი. თბილისი,გამომცემლობა „სიახლე“,2017;

ლეიაშვილი პ. ქართული რეფორმები ინსტიტუციონალურ ხაფანგში. თბილისი,„აისი“,2003;

ლეიაშვილი პ. ეკონომიკური თეორია და პრაქტიკა გარდამავალ ეტაპზე. თბილისი,2002;

ლინდერტი პ. საერთაშორისო ეკონომიკა. თარგმანი ინგლისურიდან. ქართული თარგმანის რედაქტორი **ასათიანი რ.** გამომცემლობა „სიახლე“,2000;

ლორთქიფანიძე ვ. საქართველოს ტერიტორიული მოწყობა (ისტორიულ-ეკონომიკური მიდგომა). „საბაზრო ეკონომიკის ფორმირებისა და ფუნქციონირების პრობლემები საქართველოში“. შრომების კრებული. IV ტომი. თბილისი,1999;

ლორთქიფანიძე რ. რაციონალური კონკურენცია – ეკონომიკური ეფექტიანობის საფუძველი. „შრომები“. XII ტომი. საქართველოს ეკონომიკურ მეცნიერებათა აკადემია. თბილისი,„უნივერსალი“,2015;

მარქსი კ. „კაპიტალი“. I ტომი. თბილისი,1959;

მესხია ი. საქართველოს ეკონომიკური უსაფრთხოების ინდიკატორების პროგნოზი. „სოციალური ეკონომიკა“,2009, №4;

მექვაბიშვილი ე. ეკონომიკის გლობალიზაცია: მიმართულებები,პერსპექტივები. თბილისი,„ინოვაცია“,2009;

მსოფლიო ციფრებში. საქართველო და გარე სამყარო. „ეკონომიკური ბარომეტრის“ სამეცნიერო საბჭო. თბილისი, გამომცემლობა „სიახლე“,2000;

პაპავა ვ. საქართველოს ეკონომიკა: რეფორმები და ფსევდორეფორმები. თბილისი,„ინტელექტი“,2015;

პაპავა ვ. არატრადიციული ეკონომიკსი. თბილისი,2011;

პაპავა ვ. პოსტკომუნისტური გარდამავალი პერიოდის მაკროეკონომიკა. თბილისი, „თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა“,2005;

პაპავა ვ. საბაზრო წონასწორობის დოქტრინა. თბილისი, 1999;

პაპავა ვ. სახელმწიფოს როლი თანამედროვე ეკონომიკურ სისტემაში. „ეკონომიკა“, 1995,№7-9;

რიკარდო დ. პოლიტიკური ეკონომიის და დაბეგვრის საფუძვლები. თარგმანი ინგლისურიდან. თბილისი,1937;

როუზენი ვ. საჯარო ფინანსები. თარგმანი ინგლისურიდან,თბილისი,2007;

სამსონი ი. განვითარების გზის ძიება: საქართველოს ამოცანები. „საქართველოს ეკონომიკური ტენდენციები“. კვარტალური მიმოხილვა. ეკონომიკური პოლიტიკისა და სამართლებრივი საკითხების ქართულ-ევროპული საკონსულტაციო ცენტრი. GEPLAC,თბილისი,მარტი,2006;

სამსონი ი. საქართველოს რეფორმის საშუალოვადიანი პროგრამისა და ევროკავშირი-საქართველოს სამოქმედო გეგმის თავსებადობის შესახებ. „საქართველოს ეკონომიკური ტენდენციები“. კვარტალური მიმოხილვა. GEPLAC. თბილისი,ოქტომბერი,2006;

სართანია ვ. განათლება და მეცნიერება. „საქართველოს ეკონომიკა“. მთავარი რედაქტორი **ასათიანი რ.** თბილისი, გამომცემლობა „სიახლე“,2012;

საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი ილია II სოციალურ-ეკონომიკური განვითარების აქტუალური

საკითხების შესახებ. შემდგენელი **შიხაშვილი გ.** თბილისი, „გეოკერია“,2004;

საქართველოს სოციალურ-ეკონომიკური განვითარების სტრატეგია – საქართველო 2020. თბილისი, საქართველოს მთავრობა, 2014, www.gov.ge/fies382_42949_233871_200-1.pdf

სილაგაძე ა. ეკონომიკური დოქტრინები. თბილისი, „ინოვაცია“,2012;

სმითი ა. გამოკვლევა ხალხთა სიმდიდრის ბუნებისა და მიზეზების შესახებ. თარგმანი ინგლისურიდან. თბილისი, 1938;

უმუშევრობის სტრუქტურა და სტრუქტურული უმუშევრობა საქართველოში. საქართველოს სტრატეგიისა და საერთაშორისო ურთიერთობების კვლევის ფონდი. კვლევის ხელმძღვანელი **კაკულია მ.** თბილისი,2016;

ჩიქავა ლ. დასაქმება და უმუშევრობა საქართველოში. თბილისი,გამომცემლობა „უნივერსალი“,2012;

ჩიქავა ლ. ინოვაციური ეკონომიკა. თბილისი, მეცნიერ-რედაქტორი **ასათიანი რ.** გამომცემლობა „სიახლე“,2006;

ჭითანავა ნ. საქართველოს ეკონომიკის მეტამორფოზები და პერსპექტივები. თბილისი,„ივერიონი“,2012;

ჭითანავა ნ. ეკონომიკის სახელმწიფო რეგულირების გაძლიერების აუცილებლობა და სახელმწიფოს ეკონომიკური პოლიტიკის ჩამოყალიბების თეორიულ-მეთოდოლოგიური საკითხები. „საბაზრო ეკონომიკის ფორმირებისა და ფუნქციონირების პრობლემები საქართველოში“. IV ტომი. თბილისი,1999;

ჭითანავა ნ, თაკალანძე ლ. სოციალური ეკონომიკა. I ნაწილი. თბილისი,„ინოვაცია“,2008;

ჯიბუტი მ. საქართველოს ფინანსური ბაზარი ეკონომიკის რეფორმირების პროცესში. „შრომები“. III ტომი. საქართველოს ეკონომიკურ მეცნიერებათა აკადემია. თბილისი, გამომცემლობა „სიახლე“,2002;

Asatiani R. Caucasus and Georgian Economy: Past, Present, Prospects. “The Caucasus Region: Economic and Political Developments”. New York, Nova Science Publishers Inc, 2011;

Asatiani R. Post-communist Transition Period in the Georgian Economy. “The Caucasus & Globalization”. Vol3(2-3), Volume 3, Issue 4, “Ca&CC Press”, Sweden, 2009;

Asatiani R. The Phenomenon of Globalization and its Influence on National Economics. “The Caucasus & Globalization”. Vol 1(3), Sweden, “Ca&CC Press”, 2007;

Asatiani R. Study of Public Sector Economics as Necessary Condition of Social Orientation. “Bulletin of the Georgian Academy of Sciences”. Vol. 169, number 2, March-April, 2004;

Atkinson A. B., Stiglitz J. E. Lectures on public economics. 1980;

Coase R. The Problem of Social Cost. “Journal of Law and Economics”. Vol. 3, 1996;

Friedman M. Capitalism and Freedom. Chicago. “Univ. of Chicago Press”, 1992;

Galbraith J.K. Economics in the Century Ahead. “The Future of Economics.” Oxford, Blackwell, 1992;

Megay E.N. Anti-Pluralist Liberalism: The German Neoliberals. Politican Science Quarterly. Vol. 85, N. 3.85(3),1970;

North D. Institutional Change and Economic Performance. Cambridge, “Cambridge University Press”, 1990;

Porter M. Competitivite Advantages of Nations. “Harvard Business Revieu”, 1990, № 2;

Rodrik D. Spence Christens a New Washington Consensus. 2008; “The Economists” voice., Vol.5., issue 3, article 4.

Stiglitz J. The Price Inequality. “W.W. Nortonn & Company”, New York-London, 2012;

Stiglitz J. E. Economics of the public sector. Second Edition. New York-London, “W.W. Nortonn & Company”, 1999;

Marshall T. Citizenship and Social class: And Other Essays. Cambridge “University Press”, 1950.

Musgrave R. The Theory of Public Finance. New York, McGrow Hill, 1959;

Асатиани Р. Теории конкуренции и новые перспективы стран ориентированных на конкурентноспособность. “Кавказ и глобализация”, Швеция, “Ca&CC Pres”, 2015;

Асатиани Р. Усиление глобальных тенденции конкуренции и новые перспективы конкурентоспособности Грузии. „სოციალური ეკონომიკა“, 2015, №6;

Асатиани Р. Экономика Грузии сквозь призму нового мирового порядка. „სოციალური ეკონომიკა“, 2014, №5;

Асатиани Р. Особенности экономики Грузии в переходный период. “Общество и экономика”, 1998, № 2;

Асатиани Р. Все ли отношения в рыночной экономике рыночны? “Российский экономический журнал”, 1993, № 7;

Вобленко С. В., Вобленко Н. А. Экономика общественного сектора. Учебное пособие для неэкономических специальностей. М., 2011;

Гэлбреит Дж. Экономические теории и цели общества. Перевод с английского. М., 1979;

Кеинс Дж. Общая теория занятости, процента и денег. Перевод с английского. М., “Прогресс”, 1978;

Кетелс К. , Портер М. Конкурентноспособность: экономике нужны ясные цели; www.vedomosti.ru/newspaper/article/2007/11/26/136711

Колодко Г. Глобализация и сближение уровней экономического развития: от спада к росту в странах с переходной экономикой. “Вопросы экономики”, 2000, №10;

Коуз Р. Фирма, рынок и право. М., 1993;

Лампер Х. Социальная рыночная экономика. М., «Дело», 1994;

Леиашвили П. Экономикс в тисках эмпиризма и догматизма. Тбилиси, издательство «Сиахле», 2013;

Леиашвили П. Экономическая деятельность. Телеологический анализ. Тбилиси, издательство «Сиахле», 2011;

Занабворов В. С. Теория государственных финансов. М., ИД ГУ ВШЭ, 2006;

Зенков М. Ю. Зарубежный опыт управления: государственная служба. Новосибирск, 2004;

Надель С. Социальные факторы экономического роста. «МЭ и МО», 2015, №5;

Нуреев Р. М. Экономика развития: модели стоновления и модернизации рыночной экономики. Учебник для студентов экономических вузов и факультетов. М., 2008;

Нуреев Р. М. Теории развития: новые модели экономического роста (вклад человеческого капитала). «Вопросы экономики», 2000, №9;

Ойкен В. Основные принципы экономической политики. Перевод с немецкого. М., 1995;

Папава Г. Методология познания качеств реалий смешанной рыночной экономики и паралогизм. Стокгольм, “CA&CC Press”, 2009;

Пигу Е. Экономическая теория благосостояния. Перевод с английского. М., 1985;

Портер М. Конкуренция. Перевод с английского. Санкт-Петербург, Москва, Киев. «Вильямс», 2000;

Портер М. Международная конкуренция. М., «Международные отношения», 1993;

Пронин С., Люблинский В., Цвышев Р. О приоритетах социальной политики. «Общество и экономика», 2000, №8;

Жильцов Е. Н.. Экономика государственного сектора и некоммерческих организаций. М., “издательство московского университета”, 1998;

Жильцов Е. Н.. Экономика государственного сектора., “издательство московского университета”, М., 1995;

Ринквист М. Об общественном секторе: что он дает и что берет. Стокгольм, 1995;

Смирнов О., Исаев Н. Социальная политика: новый курс. «Вопросы экономики», 2009, № 2;

Сорос Дж. Открытое общество: реформируя глобальный капитализм. Перевод с англійсского. М., некоммерческий фонд “Поддержки культуры, образования и новых информационных технологии”. 2001;

Стиглиц Дж. Ю. Экономика государственного сектора. Перевод с английского. М., «издательство московского университета», “ИНФРА-М”, 1997;

Тинберген Я. Пересмотр международного порядка. Перевод с английского. М., «Наука», 1980;

Тодаро М. Экономическое развитие. Перевод с английского. М., «Прогресс», 1982;

Эклунд К. Эффективная экономика. Шведская модель. Перевод с английского. М., 1991;

Экономика государственного сектора. Под ред. **Жильцова Е.Н.**, **Лафея Ж. Д.** М., 1998;

Экономическая теория на пороге XXI века. Под ред. **Осипова Ю.М.**, **Зотовой Е.О.** М., "Юрист", 2000;

Эрхард Л. Благосостояние для всех. Перевод с английского. М., 1991;

Фишер С., Сахаи Р. Стабилизация и рост в переходных экономиках: первые уроки. «Вопросы Экономики», 1997, № 5;

Шумпетер Й. теория экономического развития. Перевод с немецкого. М., «Прогресс», 1982;

Хайлбронер Р., Тароу Л. Экономика для всех. Перевод с английского. Лондон, "Overseas Publications Interchange Ltd", 1991;

Хайнц Д. Социальная рыночная экономика. Германский путь. М., 1998;

Юрьева Т.В. Социальная экономика. Учебник. М., "Дрофа", 2001;

Экономика общественного сектора. Под ред. **Якобсона Л. И., Колосницыной М.Г.** М., «Юнаит», 2016;

Якобсон П. Экономика общественного сектора. Под ред. Жильцова Е. Н. Лафея Ж. Д. М., «Аспект пресс», 2000;

Web რესურსები:

www.statistics.ge

www.economics.ge

www.nbg.gov.ge

www.mof.ge

http://www.bepress.com/ev/vol5/

http://www3.weforum.org/docs/WEF_GlobalCompetitivenessReport_2010-11.pdf

http://www.mbg.ge/uploads/depositarycorporeshenqartulad/assets_liabilies _of_commercial_banks_totalgeo.xls

http://www.nbg.gov.ge/nbg.new.geo/naking_system/concept

http://www.cia.gov/library/publications/theworld_factbook/geas

http://www.chelt.ru/2001/12/uzbashianz-12.html

http://economylit.online/obshie-rabotyi_719/nestabilnost-funktsionirovaniya-ryinochnoy.html

http://www.economy-web.org/?p=612

http://www.moneyweek.com/news-and-charts/economics/how-zombie-companies-suck-the-life-from-an-economy-14089.aspx (**Sepek J.** Nov. 18, 2008).

http://www.studme.org/31098/pravo/modeli_sotsialnogo_gosudarstva

http://www.worldbank.org/data/databytopic/class.htm

https://vk.com/topik_11828368033427030

http://mof.ge/2328

ს ა რ ჩ ე ვ ი

რეცენზიის მაგიერ 5

წინათქმა 19

შესავალი 29

I თავი. **საზოგადოებრივი სექტორის ეკონომიკის, როგორც მეცნიერების, გენეზისი** 37

II თავი. **ბაზრის ნაკლოვანებათა თეორია და საზოგადოებრივი სექტორის ეკონომიკის არსებობის აუცილებლობა** 77

III თავი. **სოციალური საბაზრო ეკონომიკა როგორც ცივილიზაციის უმაღლესი ფორმა** 101

IV თავი. **კეთილდღეობის სახელმწიფო და სამოქალაქო საზოგადოების მშენებლობა** 127

V თავი. **ახალი მსოფლიო წესრიგის გავლენა საზოგადოებრივი სექტორის ეკონომიკის განვითარებაზე** 167

VI თავი. **ინსტიტუციური რეფორმები – საზოგადოებრივი სექტორის ეკონომიკის ეფექტიანად ფუნქციონირების წანამძღვრები** 185

VII თავი. **საბიუჯეტო-საგადასახადო რეგულირება – საზოგადოებრივი სექტორის ეკონომიკის განვითარების მნიშვნელოვანი მიმართულება** 197

VIII თავი. **ეკონომიკური უსაფრთხოება – საზოგადოებრივი სექტორის ეკონომიკის განვითარების გარანტი** 219

IX თავი. **გლობალიზაციის ეპოქალური პროცესი ახალი გამოწვევების წინაშე და მისი როლი ეკონომიკის სოციალურ ორიენტაციასა და საზოგადოებრივი სექტორის განვითარებაში** 247

X თ ა ვ ი. **საზოგადოებრივი სექტორის ეკონომიკის ფუნქციონირების თავისებურებები საქართველოს გარდამავალ ეკონომიკაში** 271

გამოყენებული და საორიენტაციო ლიტერატურა 427

შინაარსი

რეცენზიის მაგიერ 5

წინათქმა 19

შესავალი 29

I თავი. **საზოგადოებრივი სექტორის ეკონომიკის, როგორც მეცნიერების, გენეზისი** 37

I.1. მიკროეკონომიკური პარადიგმებისა და საზოგადოებრივი კეთილდღეობის ინდივიდუალისტური კონცეფციის ბატონობის ეპოქა 37

I.2. საზოგადოებრივი სექტორის ეკონომიკის, როგორც მეცნიერების, წარმოშობის ობიექტური წანამძღვრები 40

I.3. ეკონომიკის სახელმწიფო რეგულირება – საზოგადოებრივი სექტორის ეკონომიკის წარმოშობის საფუძველი 45

I.4. საზოგადოებრიცი სექტორის ეკონომიკის საგანი, ამოცანები და სტრუქტურა 47

I.5. ეკონომიკის სახელმწიფო რეგულირების ძირითადი მიმართულებები 61

I.6. „მესამე სექტორის“ არსი და ფუნქციები 64

I.7. სამოქალაქო საზოგადოება – ეკონომიკის „მესამე სექტორი“ და საზოგადოებრივი სექტორის შემადგენელი ნაწილი 67

ძირითადი ცნებები 69

დასკვნა 70

II თავი. **ბაზრის ნაკლოვანებათა თეორია და საზოგადოებრივი სექტორის ეკონომიკის არსებობის აუცილებლობა** 77

II.1. ბაზრის არასრულყოფილება საბაზრო ეკონომიკაში 77

II.2. არასაბაზრო ურთიერთობების არსებობის განმაპირობებელი ფაქტორები 79

II.3. საზოგადოებრივი დოვლათის არსი და ძირითადი ნიშნები 81

II.4. გარე ეფექტების არსი და რეგულირების მაკროეკონომიკური მექანიზმები 88

II.5. ქოუზის თეორემა 93

II.6. ბუნებრივი მონოპოლიების არსი და სახელმწიფო რეგულირება 94

ძირითადი ცნებები 96

დასკვნა 97

III თავი. სოციალური საბაზრო ეკონომიკა როგორც ცივილიზაციის უმაღლესი ფორმა 101

III.1. ფრაიბურგის სკოლის „წესრიგის“ ორდოლიბერალური კონცეფცია და „მესამე გზის“ თეორია 101

III.2. საბაზრო ეკონომიკაში სოციალური ორიენტაციის გაძლიერების წანამძღვრები 107

III.3. კეთილდღეობის მაკონტროლებელი პროგრამები – სახელმწიფოს სოციალური დაცვის პროგრამები 108

III.4. სოციალური სტრატიფიკაციის თეორია და სოციალური დიფერენციაციის მოდელები 113

III.5. სოციალური საბაზრო ეკონომიკა როგორც საბაზრო სისტემის განსაკუთრებული ფორმა 117

ძირითადი ცნებები 122

დასკვნა 122

IV თავი. კეთილდღეობის სახელმწიფო და სამოქალაქო საზოგადოების მშენებლობა 127

IV.1.კეთილდღეობის სახელმწიფოს თეორია და მისი

კავშირი საზოგადოებრივი სექტორის ეკონომიკასთან 127

IV.2. კეთილდღეობის სახელმწიფოს მოდელები 132

IV.3. კეთილდღეობის სახელმწიფოს ნორდიკული მოდელის მომხიბვლელობა 137

IV.4. „კეთილდღეობა ყველასათვის, კეთილდღეობა კონკურენციის გზით“ 142

IV.5. ეროვნული კონკურენტული უპირატესობის რომბი 151

ძირითადი ცნებები 154

დასკვნა 155

V თავი. ახალი მსოფლიო წესრიგის გავლენა საზოგადოებრივი სექტორის ეკონომიკის განვითარებაზე 167

V.1. ახალი მსოფლიო წესრიგი და ახალი საზოგადოების ფორმირება 167

V.2. ეკონომიკური წესრიგის პოლიტიკის როლი ეკონომიკის სოციალური ორიენტაციის უზრუნველყოფასა და საზოგადოებრივი სექტორის განვითარებაში 170

V.3. საზოგადოებრივ წარმოებაში პროგრესული სტრუქტურული გარდაქმნების გავლენა საზოგადოებრივი სექტორის ეკონომიკის განვითარებაზე 174

V.4. სახელმწიფოს ეკონომიკური როლის გააქტიურება – სოციალურად ორიენტირებული საბაზრო ეკონომიკის გარანტი 178

ძირითადი ცნებები 181

დასკვნა 182

VI თავი. ინსტიტუციური რეფორმები – საზოგადოებრივი სექტორის ეკონომიკის ეფექტიანად ფუნქციონირების წანამძღვრები 185

VI.1. ინსტიტუციური რეფორმები – ეკონომიკის სისტემური გარდაქმნის საფუძველი 185

VI.2. ინსტიტუციური რეფორმების ძირითადი მიმართულებების გავლენა საზოგადოებრივი სექტორის ეკონომიკის ფუნქციონირებაზე 187

VI.3. საკუთრების განსახელმწიფოებრივება როგორც საზოგადოებრივი სექტორის ეკონომიკის ინსტიტუციური ბაზის ზრდის ფაქტორი 189

ძირითადი ცნებები 193

დასკვნა 193

VII თავი. **საბიუჯეტო-საგადასახადო რეგულირება – საზოგადოებრივი სექტორის ეკონომიკის განვითარების მნიშვნელოვანი მიმართულება** 197

VII.1. სახელმწიფო ფინანსები – საზოგადოებრივი სექტორის ეკონომიკის ფუნქციონირების ძირითადი წყარო 198

VII.2. სახელმწიფო შემოსავლებისა და ხარჯების ოპტიმიზაციის პრობლემა 201

VII.3. საგადასახადო სისტემის ძირითადი პრინციპები და ხარჯები 210

ძირითადი ცნებები 214

დასკვნა 215

VIII თავი. **ეკონომიკური უსაფრთხოება – საზოგადოებრივი სექტორის ეკონომიკის განვითარების გარანტი** 219

VIII.1. ეკონომიკური უსაფრთხოების სტრატეგია 219

VIII.2. ეკონომიკური უსაფრთხოების ინდიკატორები 224

VIII.3. ეკონომიკურ უსაფრთხოებაზე მოქმედი ფაქტორები და მათი გავლენა საზოგადოებრივი სექტორის ეკონომიკის ფუნქციონირებაზე 226

VIII.4. ეკონომიკური უსაფრთხოების კრიტერიუმები 229

VIII.5. ეკოლოგიური და სასურსათო უსაფრთხოების ზოგადსაკაცობრიო პრობლემები და საზოგადოებრივი სექტორის ეკონომიკა 232

ძირითადი ცნებები 238

დასკვნა 238

IX თავი. გლობალიზაციის ეპოქალური პროცესი ახალი გამოწვევების წინაშე და მისი როლი ეკონომიკის სოციალურ ორიენტაციასა და საზოგადოებრივი სექტორის განვითარებაში 247

IX.1. გლობალიზაცია – კაცობრიობის განვითარების თვისებრივი ნახტომი 247

IX.2. გლობალიზაციის პოზიტიური ეფექტების გავლენა სოციალურად ორიენტირებული საბაზრო ეკონომიკის ჩამოყალიბებაზე 254

IX.3. გლობალიზაციის KOF-ინდექსი – სოციალური გლობალიზაციის ხარისხის მაჩვენებელი 256

IX.4. გლობალიზაცია და კეთილდღეობის სახელმწიფოს პოლიტიკა 259

ძირითადი ცნებები 265

დასკვნა 265

X თავი. საზოგადოებრივი სექტორის ეკონომიკის ფუნქციონირების თავისებურებები საქართველოს გარდამავალ ეკონომიკაში 271

X.1. საქართველოს ეკონომიკა თავისებურ რეპრესიულ რეჟიმში 271

X.2. ეკონომიკური პოლიტიკის ძირითადი მიმართულების (მეინსტრიმის) შეცვლა საქართველოში – საზოგადოებრივი სექტორის ეკონომიკის განვითარების საფუძველი.. 284

X.3. ინსტიტუციური რეფორმების როლი საქართველოში საზოგადოებრივი სექტორის ეკონომიკის ფუნქციონირებაში 315

X.4. ახალი ტიპის ფინანსური სისტემის ფორმირების თავისებურებები და გავლენა საზოგადოებრივი სექტორის ეკონომიკის განვითარებაზე 338

X.5. ბიუჯეტთაშორისი ურთიერთობების რეგულირება და ახალი ფისკალური ფედერალიზმის ფორმირება – საზოგადოებრივი სექტორის ეკონომიკის განვითარების მნიშვნელოვანი მიმართულება 367

X.6. ეკონომიკური უსაფრთხოების უზრუნველყოფა საქართველოში – საზოგადოებრივი სექტორის ეკონომიკის განვითარების ინდიკატორი 375

X.7. რაციონალური ბუნებათსარგებლობის უცხოური გამოცდილება და საზოგადოებრივი სექტორის გავლენა ეკოლოგიური უსაფრთხოების უზრუნველყოფაზე 378

X.8. სასურსათო უსაფრთხოების ტენდენციები და როლი საზოგადოებრივი სექტორის ეკონომიკის ფუნქციონირებაში..... 385

ძირითადი ცნებები 392

დასკვნა 392

გამოყენებული და საორიენტაციო ლიტერატურა..... 427

სარჩევი 443

CONTENTS

INSTEAD OF A REVIEW 5

PREFACE 19

INTRODUCTION 29

CHAPTER I. **GENESIS OF PUBLIC SECTOR ECONOMICS AS A SCIENCE** 37

I.1 The era of dominance of individual conception of microeconomic paradigms and social welfare 37

I.2. Objective precursors of the origin of public sector economics as a science 40

I.3. State regulation of economy – the foundations of the origin of public sector economics 45

I.4. The object, tasks and structure of public sector economics.... 47

I.5. The main directions of macroeconomic regulation 61

I.6. The essence and functions of the "third sector" 64

I.7. Civil society – the "third sector" of economics and a constituent part of the public sector 67

BASIC NOTIONS 69

CONCLUSION 70

CHAPTER II. **DEFICIENT MARKET HYPOTHESIS AND THE NECESSITY OF THE FUNCTIONING OF PUBLIC SECTOR ECONOMICS** 77

II.1. Market imperfection in market economy 77

II.2. Factors determining the existence of nonmarket relations.... 79

II.3. The essence of public wealth and its main features 81

II.4. The essence of external effects and macroeconomic mechanisms of regulation 88

II.5. The Coase Theorem 93

II.6. The essence of natural monopolies and state regulation 94

BASIC NOTIONS 96

CONCLUSION 97

CHAPTER III. **SOCIAL MARKET ECONOMY AS A MODERN FORM OF CIVILIZATION** 101

III.1. Ordoliberal concept of the Freiburg School of "Ordnung" 101

III.2. Precursors for strengthening social orientation in market economy 107

III.3. Welfare monitoring programs – state-provided social protection programs 108

III.4. Theory of social stratification and models of social differentiation 113

III.5. Social market economy as a special form of market economy 117

BASIC NOTIONS 122

CONCLUSION 122

CHAPTER IV. **BUILDING A WELFARE STATE AND CIVIL SOCIETY.....** 127

IV.1. Theory of a welfare state and its connection with public sector economics 127

IV.2. Models of a welfare state 132

IV.3. The attractiveness of Nordic model of a welfare state 137

IV.4. "Welfare for everyone, welfare by the way of competitiveness" 142

IV.5. Rhomb of national competitive advantage 151

BASIC NOTIONS 154

CONCLUSION 155

CHAPTER V. **THE IMPACT OF A NEW WORLD ORDER ON THE DEVELOPMENT OF PUBLIC SECTOR ECONOMY** 167

V.1. New world order and formation of a new society 167

V.2. Role of the policy of economic order in providing social orientation of economy and development of public sector economics... 170

V.3. The impact of progressive structural transformations in social production on the development of public sector economics..... 174

V.4. Activation of the economic role of the state – a guarantee of socially oriented market economy 178

BASIC NOTIONS 181

CONCLUSION 182

CHAPTER VI. **INSTITUTIONAL REFORMS – PRECURSORS OF EFFICIENT FUNCTIONING OF PUBLIC SECTOR ECONOMICS** 185

VI.1. Institutional reforms – the basis for systemic transformation of the economics 185

VI.2. The impact of main directions of institutional reforms on functioning of public sector economics 187

VI.3. Governmentalisation of the property as the basis for formation of institutional base of public sector economics 189

BASIC NOTIONS 193

CONCLUSION 193

CHAPTER VII. **FISCAL REGULATION – THE MOST IMPORTANT DIRECTION OF THE DEVELOPMENT OF PUBLIC SECTOR ECONOMICS** 197

VII. 1. Public finance – main source of functioning public sector economics 198

VII.2. Problem of optimization of public revenues and public expenses 201

VII.3. Main principles and expenditures of tax system 210

BASIC NOTIONS 214

CONCLUSION 215

CHAPTER VIII. **ECONOMIC SECURITY – A GUARANTEE OF THE**

DEVELOPMENT OF PUBLIC SECTOR ECONOMICS 219

VIII.1. Strategy of economic security 219

VIII.2. Indicators of economic security 224

VIII.3. Factors affecting economic security 226

VIII.4. Criteria of economic security 229

VIII.5. Universal problem of economic and food security and public sector economics 232

BASIC NOTIONS 238

CONCLUSION 238

CHAPTER IX. **EPOCHAL PROCESS OF GLOBALIZATION FACING NEW CHALLENGES AND ITS ROLE IN SOCIAL ORIENTATION OF ECONOMY AND DEVELOPMENT OF PUBLIC SECTOR** 247

IX.1. Globalization – a qualitative leap in mankind's evolution... 247

IX.2. The positive impacts of globalization on the formation of socially oriented market economy 254

IX.3. Globalization and welfare state policies 256

BASIC NOTIONS 265

CONCLUSION 265

CHAPTER X. **PECULIARITIES OF FUNCTIONING PUBLIC SECTOR ECONOMICS IN TRANSITION ECONOMY OF GEORGIA** 271

X.1. Georgian economy under a repressive regime 271

X.2. The change of the mainstream of economic policy in Georgia – the basis for the development of public sector economics... 284

X.3. The role of institutional reforms in the development of public sector economics in Georgia 315

X.4. Peculiarities of the formation of new type financial system 338

X.5. Regulation of inter-budgetary relations and formation of a new fiscal federalism are important directions of the development of public sector economics 367

X.6. Ensuring economic safety _ an indicator of the development of public sector economics 375

X.7. Food safety trends and role in functioning of public sector economics 378

X.8. International experience in ecological regulation and the impact of public sector economics on the development of an ecological security 385

BASIC NOTIONS 392

CONCLUSION 392

USED AND INDICATIVE LITERATURE 427

TABLE OF CONTENTS 443

როზეტა ასათიანი

საზოგადოებრივი სექტორის ეკონომიკა

სახელმძღვანელო
გამომცემლობა „სიახლე“
თბილისი, 2017

Rozeta Asatiani

ECONOMICS OF THE PUBLIC SECTOR

(in Georgian Language)
textbook
Publishing Company “Siakhle”
Tbilisi, 2017

გამომცემლობა „სიახლე“, თბილისი 0162, ყიფშიძის ქ. 10.

ტელ.: 599530487 E-mail: siakhle@gmail.com; marinassati@gmail.com